ვიქტორ რცხილაძის გადაწყვეტილებით წიგნის მ თ ე ლ ი ჰონორარი გადაერიცხება საქართველოს სამხედრო აკადემიას.

# DIE GEORGIER UNTER DER DEUTSCHEN FAHNE IN DEM ZWEITEN WELTKRIEG

*Materialien, Vorwort und Bemerkungen von Viktor Rzchiladse*

TBILISSI 1994

# ქართველები
# შეკვანილი დროების ქვეშ
# ვეფხე
# განთლიო ოვში

*მასალები გამოსაცემად*
*მოამზადა, წინასიტყვაობა და*
*შენიშვნები დაურთო*
*ვიქტორ რუხილაძემ*

გამომცემლობა „განათლება"

თბილისი 1994

0503000000 — 065
R ———————— ბრძ. 94
R — 602 (02) — 94
ISBN 5—505—01878—5

# წინასიტყვაობა

დღეს, როდესაც საქართველოში კვლავ სისხლი იღვრება და ქვეყანა განსაცდელშია, დღეს, როდესაც საქართველოს საუკეთესო შვილები იმპერიალისტებისა და მათი დაქირავებული გადამთიელებისაგან სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავენ და რასაც სხვაგვარად სამამულო ომი ჰქვია, ალბათ ურიგო არ იქნებოდა გააზრება იმ ტრაგედიისა, რაც ამ ნახევარი საუკუნის წინ თავს დაატყდა ისედაც გაუბედურებულ ქვეყანას. წინამდებარე კრებულის სახით მკითხველი ღებულობს ფრიად დამაფიქრებელ წიგნს, რომელიც ამ განსაცდელის ჟამს ჩვენს ყოფას ეხმიანება. საქმე ეხება საქართველოს ბედუკუღმართი წარსულის იმ ტრაგიკულ ფურცლებს, ამ ნახევარი საუკუნის წინ რომ გამოიარა მან მეორე მსოფლიო ომში. უფრო ზუსტად, წინამდებარე წიგნი ეთმობა ჩვენი მკითხველისათვის თითქმის უცნობ მასალებს იმ ქართველი მეომრების შესახებ, რომელნიც თავიანთი ბედითა თუ უბედობით გერმანული დროშის ქვეშ იბრძოდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს გასათავისუფლებლად.

როგორც ცნობილია, საქართველო, რომელიც ჩვენს საუკუნეში რუსეთისაგან ხელმეორედ იქნა დაპყრობილი და გადათელილი, აწ უკვე, როგორც მისი პროვინცია, ჩაითრიეს მეორე მსოფლიო ომში, არნახული მასშტაბის ხალხთა ამ სასაკლაოში. დადგენილია, რომ ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი ჯარისკაცი ღებულობდა ამ ომში მონაწილეობას და რეალურად გამოიკვეთა ერის ფიზიკურად გადაშენების საფრთხე. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლშევიკურ-კომუნისტურმა პროპაგანდამ ოცი წლის მანძილზე, ე. ი. საქართველოს დაპყრობის დღიდან გერმანიის მიერ რუსეთზე თავდასხმამდე (1921—1941), მიუხედავად საქართველოს 1924 წლის აჯანყებისა და ბოლშევიკ-რუსების მხრიდან საქართველოში ჩატარებული მრავალგზისი მასობრივი სისხლიანი რეპრესიებისა, მრავალ ქართველს თავგზა აუბნია და „საბჭოთა პატრიოტად“ გახადა, რაშიც ალბათ უკანასკნელ როლს არ თამაშობდა სტალინ-ბერიას ქართველობა. ბევრ ქართველ ჯარისკაცს, უმეტესად მუშაობა და გლეხთაგან გამოსულებს, 1941 წლისათვის აღარც კი სმენოდათ რამ საქართველოს დამოუკიდებლობაზე (1918—1921) და მხოლოდ გერმანულ ტყვეობაში ჩავარდნილებს, ქართველი ემიგრანტებისა და ინტელექტუალების პროპაგანდის მეოხებით ეუწყებოდათ ხოლმე ამის შესახებ, რაც მათში აღვიძებდა ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობებს. ცხადია, მათ შორის იყვნენ ისეთე-

ბიც, ვინც ამ გრძნობებს „თამაშობდა“ ტყვეთა დუხჭირი არსებობისაგან თავის დაღწევის მიზნით.

სამაგიეროდ, განათლებულ ქართველობას შესანიშნავად ახსოვდა ახლო წარსულის ბრწყინვალე ფურცელი 1918 წლის გერმანულ-ქართული ურთიერთობისა, როდესაც საქართველოს მისი დამოუკიდებლობის გარანტად გერმანული ჯარი მოევლინა. დიახ, მათ კარგად ახსოვდათ გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების კეთილშობილება და რაინდობა და აგრეთვე ქართველთა დიდსულოვნება, როდესაც პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანულ ჯარს საქართველოდან მუსიკითა და ყვავილებით აცილებდნენ გემებამდე, და ეს მაშინ, როდესაც უმეტეს ქვეყნებში დამარცხებულ უცხო ჯარს მოსახლეობა ზურგში ჩასცემდა ხოლმე მახვილს. ახსოვდათ რა ყოველივე ეს და ისიც, თუ რა სისხლის ღვარი დააყენეს საქართველოში ბოლშევიკებმა და რუსმა დამპყრობლებმა, ბევრი შეგნებული ქართველი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის სახით თავისი სამშობლოს მხსნელს ხედავდა ცივილიზებული ევროპიდან მოვლენილს. მრავალმა მათგანმა არც იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ფაშიზმის მხეცური სახის შესახებ. ამიტომ მრავალი ასეთი ქართველი, ვინც ფრონტზე მოხვდა, შეგნებულად გადავიდა გერმანელთა მხარეზე, ხოლო ვინც საქართველოში დარჩა, ტყეს შეაფარა თავი პარტიზანული ბრძოლის გასაწევად*. რაც შეეხება ქართველ ემიგრანტებს, სსრკ-ზე თავდასხმის წინ, გერმანელებმა მათგან შექმნეს ასკაციანი დივერსანტული ჯგუფი („თამარა“ I, II) საქართველოში აჯანყების მოსაწყობად**.

ამ ბოლო წლებში თვით რუსების მხრიდან ხდება გადაფასება იმ რუსი მეომრების ქმედებისა, რომელნიც გერმანელთა მხარეზე გადავიდნენ და იარაღი თავიანთი სამშობლოს წინააღმდეგ მიმართეს. კერძოდ, ცნობილი გენერალი ვლასოვი ცხადდება ჭეშმარიტად რუსეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლად, რომელიც თურმე ცდილობდა „მესამე ძალის“ შექმნას ერთდროულად სტალინისა და ჰიტლერის წინააღმდეგ (იხ. თუნდაც „ქნიჟნოე ობოზრენიე“ № 41, 12 ოქტომბერი, 1990), ასეთივე პოზიცია აქვს ცნობილ რუს მწერალს სოლჟენიცინს, რომელიც თავის გახმაურებულ „გულაგის არქიპელაგის“ მესამე ტომში ჰიტლერს აცხადებს „სტალინის უმცროს ძმად“, და ამ უკანასკნელს რუსეთისათვის ყველაზე დიდ ბოროტებად მიიჩნევს, ვიდრე ნებისმიერ გერმანულ აგრესიას. მსგავსი აზრისაა ცნობილი რუსი ემიგრანტი მწერალი ვიქტორ ნეკრასოვი, რომელიც ჩვენს კრებულში შეტანილი ინგლისელი მწერლის

---

* გადმოცემით ვიცი, რომ როდესაც გერმანელები კავკასიონს მოადგნენ, კახელი გლეხები ამბობდნენ: აღდგომა მოდისო...

** Нюрнбергский процесс, М., 1958, т. II, стр. 647.

ბეტელის წიგნის ბოლოსიტყვაობაში დიდი სიმპათიებით იხსენიებს იმ კაზაკობას, რომელნიც ომის ბოლო დღეებამდე გერმანელებთან ერთად მძაფრ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსულ არმიას.

თუკი ჰეშმარიტი რუსები ასეთი აზრის არიან ამ მოვლენებზე, მაშინ ჩვენ, ქართველებს, რაღა გვეთქმის?! გერმანელებს კი არა და რუსებს ჰყავდათ დაპყრობილი მაშინ ჩვენი სამშობლო, რუსებმა კი არა, გერმანელებმა გადასცეს ქართულ ლეგიონებს დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა, დროშა ერეკლე მეორის სახელობისა და სხვა ეროვნული დროშები, რომელთა ქვეშაც აბრძოლებდნენ მათ სამშობლოს გასათავისუფლებლად. რაც შეეხება დანაშაულებრივი ფაშისტური სახელმწიფოს მიერ შექმნილ საშინელ საკონცენტრაციო ბანაკებს, სადაც მასობრივად ჟლეტდნენ მათთვის არასასურველ ადამიანებს, შეიძლება ითქვას, რომ ამის შესახებ იმხანად არა მარტო ქართველებმა არ უწყოდნენ, არამედ არაფერი იცოდა თვით ფართო გერმანულმა მოსახლეობამაც*. მაგალითად, ამერიკელი გენერალი ომარ ბრედლი თავის წიგნში „ჯარისკაცის ჩანაწერები" აღწერს ერთ შემთხვევას, როდესაც ამერიკულმა ჯარებმა აიღეს დასავლეთი გერმანული ქალაქი, მას და გენერალ ეიზენჰაუერს მოახსენეს, რომ ამ ქალაქთან იმყოფებოდა საკონცენტრაციო ბანაკი. გენერლები გაეშურნენ მის დასათვალიერებლად. ბანაკის მნახველი გენ. ეიზენჰაუერი ცუდად გახდა. ამის შემდეგ მათ გასცეს ბრძანება, რომ ბანაკში მიეყვანათ იმ ქალაქის ბურგომისტრი მეუღლითურთ. ამ უკანასკნელებმა ბანაკი დაათვალიერეს, ცუდად არ გამხდარან, მაგრამ მეორე დღეს თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე.

ასე რომ, გერმანიის მხარეზე მებრძოლი უმეტესი ქართველი მეომრისათვის არ შეიძლება ფაშიზმის დანაშაულობათა გადაბრალება. პირიქით, როგორც აღვნიშნეთ, ისინი ყოველგვარ პატივისცემას იმსახურებენ. დიახ, მაგრამ მათი იდეალიზირება მაინც არ შეიძლება. საქმე ისაა, რომ გერმანიის მხარეზე მებრძოლი ქართველი მეომრები ობიექტურად მაინც დანაშაულებრივი, შეიძლება ითქვას, სატანური სახელმწიფოს სამსახურში იყვნენ ჩაყენებულნი**. აქ საქმე ეხება არა მარტო დოსტოევსკის

---

* ისე, მათ არც რუსული საკონცენტრაციო ბანაკები ჩამორჩებოდა, ახლაც ჩამესმის სვანეთის განმანათლებელი მღვდლის ბესარიონ ნიჟარაძის ძის, რაფოს სიტყვები, რომელიც გერმანიაში განსწავლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო 1937 წლიდან 1956 წლამდე რუსულ საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებოდა: რუსებს არ ჰქონდათ გაზის კამერები, თორემ ერთიანად ამოგვეუქმებინათ. ჩემი თვალით ვნახე კანიბალიზმის შემთხვევები, როდესაც მკვდრებს აჭრიდნენ ხორცს და ჭამდნენ...

** წინამდებარე წიგნის შემდგენელს 1974 წელს პოლონეთში ყოფნისას შესაძლებლობა ჰქონდა დაახლოებოდა ცნობილ პოლონელ მწერალსა და თეოლოგს ანტონ გოლუბეცს, რომელმაც გაიხსენა, რომ პირველ მსოფლიო ომში ჩვენთან (ე. ი. ვარშავაში) შემოსული გერმანელები, თუმცა ძალზე მკაცრნი, მაგრამ სამართლიანნი იყვნენო. მეორე ომის დროს კი ისინი პირდაპირ მხეცებს ჰგვანდნენო. პოლონელებს

ცნობილ სიტყვებს, რომ თუკი მსოფლიოს ბედნიერება ერთი ბავშვის ცრემლებზე იქნება აშენებული, მაშინ ასეთი ბედნიერება მიუღებელია, ხოლო ფაშისტურმა გერმანიამ კი მარტო ებრაელი ერის ექვსი მილიონი შვილი გაზის კამერებში ამოახრჩო. საქმე ისაა, რომ თვით საქართველოს მიმართ გერმანიის მიზნები მისი გამარჯვების შემთხვევაში ფრიად სათუო იყო. მართალია, ნიურნბერგის პროცესის მასალებში არსებულ ე. წ. როზენბერგის „კავკასიურ საქაღალდეში“ მოიპოვება 1942 წლის 14 აგვისტოთი დათარიღებული მოხსენებითი ბარათი ფიურერისადმი, ფეკენშტედტის ხელმოწერით, „კავკასიის გარდაქმნის“ შესახებ, სადაც საუბარია „კავკასიელი ხალხებისათვის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მინიჭების“ თაობაზე, ხოლო საერთოდ ამ „საქაღალდეში“ ქართველების მისამართით ნახმარია ფრიად სასურველი გამონათქვამები, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე მარტო რეკომენდაციების დონეზე დარჩა. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 1918 წლიდან ქართველებისადმი კეთილად განწყობილი გრაფი ფონ დერ შულენბურგი და მასთან ერთად გერმანიის „საგარეო საქმეთა სამინისტრო“ როზენბერგმა („აღმოსავლეთის სამინისტრომ“) კავკასიის საკითხებს ჩამოაშორა. ამ ფაქტს, ნიურნბერგის დოკუმენტების გარდა, გვამცნობს შულენბურგთან დაახლოებული ოფიცერი დავით ვაჩნაძე, რომელიც გვაუწყებს: ადოლფ ჰიტლერის და მის უახლოეს თანამშრომელთა აზრით კავკასია უნდა გადაქცეულიყო ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკოლონიზაციო ბაზად გამარჯვებული გერმანიისათვის (იხ. „ივერია“, თბილისი-პარიზი 1992, გვ. 136). ვართალია, გენ. შ. მაღლაკელიძე თავის „მოგონებანში“ იხსენებს, რომ ქართველი ლეგიონერები ფიცს აძლევდნენ „რუსი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ ქართულ მიწას“, მაგრამ თვით ისიც ვერ უარყოფს, რომ 1942 წელს საქართველოსთან ბრძოლით მოსული, საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ მოსაზრებებს იგი ანდობდა მხოლოდ გრაფ შულენბურგსა და კავკასიის არმიის გერმანულ შტაბს, ხოლო თვით ჰიტლერმა და გერმანიის უმაღლესმა ხელისუფლებმა ამის შესახებ არაფერი უწყოდნენ. უფრო თვალსაჩინოა ამ მხრივ მთელი „აღმოსავლური ლეგიონების“ ერთ-ერთი მესვეურის, გენერალ ჰაიგენდორფის ჩვენება*, რომელიც, სხვათაშორის, ახასიათებს რა ქართულ შენაერთებს, სხვებთან შედარებით აღნიშნავს მათ პოლიტიკურ გახლეჩილობას: უფროს თაობას ახსოვდა 1918 წელი და პროგერმანულად იყვნენ განწყობილნიო, ხოლო

---

ჩვენგან არ ესწავლებათ, თუ რა არის იძულებითი „რუსიფიკაცია“, მაგრამ ამბობენ: ბარბაროსისაგან ეს უფრო ასატანია, ვიდრე ცივილიზებული ერისაგანო.

* Gen. R. von Heygndorff. Erfahrungen mit ostvölkischen Freiwilligen im 2. Weltkriege ←→ — დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებულ გაიოზ მაღლაკელიძის არქივში. თვით გენ. ჰაიგენდორფის მოხსენებითი ბარათი დაწერილია ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდგომ.

ახალგაზრდა ქართველები (უმეტესად ტყვეთაგან მობილიზებულნი) დიდ იმედებს სტალინზე ამყარებდნენო. დიახ, გენერალი ჰაიგენდორფი გვამცნობს, რომ როდესაც 1942 წლის სექტემბერში მას ჩააბარეს „აღმოსავლური ლეგიონები“, მან საკითხი დააყენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განემარტა მას „თავისი ქართველებისა, სომხებისა, აზერბაიჯანელთა და სხვათათვის“ ომის მიზანი ნათლად და გარკვეულად. პასუხად მან მიიღო: „ბრძოლა ბოლშევიზმისა და რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ“. გენ. ჰაიგენდორფის აზრით, ეს არ იყო დამაკმაყოფილებელი, რადგან ომის მიზანი პოზიტიურად უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული და არა ისე, რომ ამ ხალხების თვალში ერთი მბრძანებლის ბატონობა მეორე მბრძანებლის ბატონობით შეცვლილიყო. იგი იხსენებს, „ამაზე შეიძლებოდა სიცილი, სატირალი რომ არ ყოფილიყო“, თუ როგორ გადასცა მას 1945 წლის აღდგომა დღის დღესასწაულზე აზერბაიჯანული ემიგრანტული მთავრობის ლიდერმა ფეტელიბეკ დუდანგინსკიმ წერილი მინისტრ როზენბერგის ხელმოწერით: „ფიურერმა გადაწყვიტა, რათა აზერბაიჯანს მიანიჭოს ეროვნული დამოუკიდებლობა“ — ეს ისე ეწერა, განაგრძობს ჰაიგენდორფი, თითქოს წითელი არმია ქალაქ ოდერის ფრანკფურტთან არ მდგარიყოს. და პირიქით, როდესაც ჩვენ კავკასიის კარიბჭესთან ვიდექით, არც კი ვიცოდით, თუ რა უნდა გვეთქვა კავკასიის ხალხებისათვისო!

და კიდევ ერთი რამ: ჩემს წინაშეა გერმანიაში 1941 წელს, ე. ი. შუა ომის დროს გამოშვებული წიგნი რასობრივ მოძღვრებაზე*. ამ წიგნის 50-ე გვერდზე მოცემულია ფოტოები „წინააზიური“ ტიპების დასახასიათებლად და ჰოი, საოცრებავ! აქ ცალკე ტიპად განხილულია „იმერელი ქუთაისიდან“, ცალკე ტიპად მოყვანილია სტალინის ფოტო, როგორც „ქართველის“ ნიმუში, ხოლო „კეთილშობილი სომეხის“ ნიმუშად მიჩნეულია გენერალი პეტრე ბაგრატიონის პორტრეტი! ახლა ისმის კითხვა, ასეთი „ცნობარით“ ხელში რომელიმე სს-ის ბატალიონი რა ცოდვას დაატრიალებდა კავკასიაში ანდა ეს სულელები ომს საერთოდ როგორ მოიგებდნენ!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ „შეუგნებელი“ ქართველი მეომრები საბჭოთა დროშის ქვეშ მაინც ბოროტებას ებრძოდნენ. ასეთი არის ისტორიის ირონია და ქართველი ხალხის ტრაგედია, რომ სხვის ომებში, სატანური იმპერიების დროშის ქვეშ საქართველოს შვილები თავს წირავდნენ და მათი ძვლებით მოფენილია უკიდეგანო რუსეთის, გერმანიის, ეგვიპტის, ავღანეთისა და სხვა ქვეყნების მიწები.

---

* Prof. Dr. Hans F. K. Günther, kleine Rassenkunde des deutschen Volkes, München/Berlin, 1941.

1944 წლიდან ქართველ ლეგიონერებს აბრძოლებენ უკვე საფრანგეთში, იტალიასა და ბალკანეთში ინგლისელების, ამერიკელებისა და ადგილობრივი პარტიზანების წინააღმდეგ. ეს იყო ერთ-ერთი ტრაგიკული მომენტი, რადგან ქართველ პატრიოტთა სურვილი იყო მხოლოდ ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს გასათავისუფლებლად. ამ აზრის იყო, სხვათა შორის, შალვა მაღლაკელიძეც, რომელიც 1944 წლიდან უკვე ჩამოშორდა ლეგიონერებს, ხოლო მისი ძე გაიოზი კი 1944 წლის აპრილიდან უკვე აღარ რედაქტორობს ლეგიონერთა გაზეთს. როგორც ლეგიონერებს, ისევე მათ გაზეთს, რომელსაც სიტყვა „ლეგიონერთა" შეუცვალეს და უკვე „ქართველ მოხალისეთა ყოველ კვირეულ გაზეთად" იწოდებოდა, შემდგომში განაგებდა ე. წ. „ქართული საკავშირო შტაბი", რომელსაც მაღლაკელიძეების მეტოქე და მათდამი, მტრულად განწყობილი პიროვნებები (მიხ. კედია, გ. მაღალაშვილი, გ. გაბლიანი და სხვანი) მართავდნენ. ისინი ლეგიონერებისაგან თითქმის ომის დასასრულამდე მოითხოვდნენ ინგლის-ამერიკელთა წინააღმდეგ ბრძოლას.

მძიმე იყო სამშობლოში დაბრუნებულ თუ „ჩამოყვანილ" ლეგიონერთა ხვედრი. უმეტესი მათგანი მრავალი წლით გააციმბირეს. ბევრი ვეღარც დაბრუნდა საქართველოში...

ახლა ორიოდ სიტყვა თვითონ ამ კრებულში წარმოდგენილ მასალებზე: პირველყოვლისა შ. მაღლაკელიძის „მოგონებანზე". როდესაც პირველად გამოქვეყნდა ვითომც მისი ხელმოწერილი „აღსარებანი" (გაზ. „ზარია ვოსტოკა", „კომუნისტი" 1954 წლის 9—10 დეკემბერი), საზოგადოებაში მალე გავრცელდა ხმა, რომ გენერალი მოტაცებული იყო დასავლეთ ბერლინიდან კგბ-ს აგენტების მიერ. ამის მერე დიდმა დრომ განვლო და იგი შევიცანი ერთ-ერთ გახმაურებულ სასამართლო პროცესზე, მისი ადვოკატობის პერიოდში. ამავე დროს იგი აღმოჩნდა ჩემს მეზობლად, დიდუბის ქუჩის საპირისპირო ბათუმის ქუჩაზე მცხოვრები. ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, ეს იყო 1975 წლის აგვისტო, დავინახე გენერალი მუშთაიდის ბაღის გასწვრივ მიმავალი. გულმა ვეღარ გამიძლო, გადავუდექი მას წინ და გავეცანი. საუბარი ცოცხლად წარიმართა. ქუჩიდან ბაღში გადავინაცვლეთ. არ დამავიწყდება ის ჯადოსნური დღე. როგორც ვთქვი, დილა იყო და ისე შემოგვაღამდა, რომ საუბარში გართულებმა (ბ-მა შალვამ პირველი მსოფლიო ომის ამბებიდან დაიწყო მოყოლა), ძლივს შევამჩნიეთ ამხელა დროის გასვლა. მე თვითონ ბაბუა, დედის მხრიდან, ოფიცერი მყავდა, ფრონტელი, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოსაც ემსახურა და მისი მონათხრობები კარგად მახსოვ-

და*. მაგრამ გენ. შ. მაღლაკელიძის მონათხრობმა მიმიზიდა თავისი მასშტაბურობით. გადაწყდა და პირობაც დავთქვით, რომ მე მის „მოგონებებს“ ჩავიწერდი. მართლაც, მეორე დღეს ვეწვიე მას ბინაზე, ჩასაწერად მომზადებული. მაგრამ პრაქტიკულად ეს შეუძლებელი აღმოჩნდა: გენერალი ისე სწრაფად ლაპარაკობდა, მე ისე ნელა ვიწერდი, რომ საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ გენერალი საკმაოდ ხანდაზმული იყო (81 წლის), ჩემი ჩაწერის ტემპს აღარ ითვალისწინებდა და მეც მას სიტყვის შეწყვეტას ვერ ვუბედავდი. ასე ჩაიარა იმ დღემაც ზეპირ საუბრებში, ჩაუწერლად. აი, მაშინ დამებადა აზრი, რომ ჩამეწერა ეს ყოველივე მაგნიტოფონის ფირზე. ძლივძლივობით ვითხოვე ძველმოდური მაგნიტოფონი და ამჯერად ჩემთან მოვიწვიე გენერალი. სიტყვა რომ აღარ გავაგრძელო, თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა ჩაწერა. მიკროფონი გენერალს ეჭირა ხელში და ხშირად ვახსენებდი მას ამის შესახებ, რადგან მოყოლისას იგი მას ავიწყდებოდა, ძალზე შორს წევდა და ამის გამო ჩანაწერიც არაერთგვაროვანი ხარისხის აღმოჩნდა. ჩაწერას ვიწყებდით დაახლოებით საღამოს ხუთი საათიდან და ძალზე ხშირად გენერალი დილის ხუთ საათზე გადასულა თავის სახლში. ფორმა ჩაწერისა იყო ინტერვიუს სახით, ე. ი. მე ვეკითხებოდი და ის მპასუხობდა. სულ დაგროვდა ჩაწერილი ფირის 34 კასეტა, ორმხრივი ჩანაწერით. ამათგან სამი დაკარგულია. განსაკუთრებით დასანანია ის კასეტა, სადაც გენერალი აღწერს მეტეხის ციხის ამბებს, ქართველ პატრიოტთა ტანჯვა-წამებას და მათი სიკვდილით დასჯის ისტორიას**. რასაკვირველია, ამ „მოგონებანის“ კითხვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მაინც ზეპირად მონაყოლია და რაც ზეპირ თხრობას უარყოფითი რამ ახასიათებს (სიტყვის გაქცევა, საკითხის მომრგვალება მკაცრი მეცნიერული ანალიზის გარეშე და სხვა) ეს ამ მონაყოლსაც გააჩნია. თვით გენერლის სურვილის თანახმად — „ჩემი მონაყოლი სხვა წყაროებსაც შეუდარე, შეცდომა არ გამეპაროსო“ — ჩვენ შეძლებისდაგვარად შევასრულეთ და ტექსტს განმარტებითი სქოლიოები დავურთეთ. აქ ისიც უნდა დავძინოთ, რომ „მო-

---

* იგი ღირსი არის ხსენებისა ვიქტორ გოგუა ანუ „კოჭლი ოფიცერის გმირობა“— ამ სათაურით 1918 წელს გაზ. „ერთობა“ და სხვანი დიდ ადგილს უთმობდნენ მის მხედრულ თავდადებას თურქეთის ფრონტზე.

** გენ. შ. მაღლაკელიძის გარდაცვალების (1976 წ. 7 ნოემბერი) შემდეგ მე დავწერე მასზე „მარტიროლოგი“ და გამოვაქვეყნე იგი ხელმოუწერლად „საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის“ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ (№ 2, 1976 წ.). როგორც ჩემი ავტორობის დადგენა და ამის საფუძველზე ჩემი დაპატიმრება, ასევე შ. მაღლაკელიძის ზემოთხსენებული ჩანაწერის გაქრობა იმის ხინდისზე იყოს, ვისი ხსენებაც კი არ მსურს. ვიტყვი მხოლოდ, რომ დანარჩენ კასეტებს ჩემი დაპატიმრების შემდეგ უპატრონა და გადაარჩინა ბ-მა ამირან სოსიაშვილმა, ბედის ირონიის წყალობით თვითონ ყოფილმა ლეგიონერმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

გონებანის“ ფირიდან ქაღალდზე გადმოტანისას იგი საგრძნობლად შევამცირეთ და გარკვეულ ჩარჩოებში მოვაქციეთ, ე. ი. ფირზე ჩაწერილი მასალა გაცილებით მეტია. თვითონ ქაღალდზე გადმოწერა მოხდა შარშანწინ და ნაწილი ამ სამუშაოსი შეასრულა ბ-ნმა ნუგზარ ცხოვრებაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ. როგორც ჩანს, ფირის სიძველის გამო იქ ბევრი რამ აღარ ისმინება და გენერლის მონაყოლიდან ბევრი საინტერესო ეპიზოდი მხოლოდ ჩემს მეხსიერებას შემორჩა. ორი ასეთი ეპიზოდი მინდა რომ მკითხველს არ დავუკარგო, რომელიც ქართველი კაცის რაინდობაზე მეტყველებს, რაც ბოლო ხანებში ჩვენთვის უცხო ხილი გახდა. ერთხელ, ტფილისში, ქეიფის დროს, ახალგაზრდა გენერალ-გუბერნატორმა შ. მაღლაკელიძემ რევოლვერი ისროლა. სუფრას სხვებთან ერთად უჯდა ოფიცერი ასათიანი (სახელი აღარ მახსოვს). ქეიფის მერე დამეკარგა ეს ოფიცერიო, თქვა შ. მაღლაკელიძემ. მერე აღმოაჩინეს იგი საავადმყოფოში, დაჭრილი. თურმე იმ ქეიფში ასათიანს გენერალ-გუბერნატორის ნასროლი ტყვია ფეხში მოხვედროდა, მაგრამ როგორც რაინდს ეს არ გაუმხელია და არ შეურცხვენია გენერალი, შეუმჩნევლად გალასლასებულა იგი ოთახიდან და ასე აღმოჩნდა შემდეგ საავადმყოფოში. მეორე ეპიზოდი 1942 წელს ეხება, როდესაც გერმანელებთან ერთად მაღლაკელიძის ლეგიონი კავკასიონს იყო მომდგარი ოსურ სოფელ ურუხთან. აქ მას ღამით დაზვერვაზე გაუშვია რამდენიმე ლეგიონერი. დილით, როდესაც უკან დაბრუნდნენ, ერთ-ერთ მათგანს, კარგი შესახედაობის ვაჟკაცს, მთლად ჩასისხლიანებული ჰქონია პირისახე. გამოირკვა, რომ თურმე იგი ღამით ვერ ხედავს, სჭირს ავადმყოფობა, ე. წ. „ქათმის სიბრმავე“, მაგრამ უფროსისათვის ამის თქმას მოერიდა — სიმხდალეში არ ჩამომართვანო! დიახ, იყო ჩვენში რაინდული სული, რომელიც დღეს იმედის ნაპერწკლად კიაფობს საქართველოს მხედრობის დაღვრილ სისხლად აფხაზეთში.

თვითონ გენერალი გახლდათ დიდი იუმორის მქონე, ხალისიანი ბუნების, რაც მას ტრაგიკულ კოლიზიებში, მისი გრძელი ცხოვრების გზაზე, როგორც ჩანს, ძალზე შველოდა. მახსოვს, როდესაც ჩაწერა გაგვიგრძელდა, ჩემი ოჯახის ქალებმა ბუზღუნი დაიწყეს — ბინაში ისინი თავისუფლად ვეღარ მოძრაობდნენ. ამიტომ ყოველ დილას მეკითხებოდნენ: რომელ წელზე ხართო? (მათ იცოდნენ, რომ ჩაწერა ისტორიზმის, ქრონოლოგიის დაცვით მიმდინარეობდა). როდესაც ვუპასუხე: ჯერ კიდევ 1920 წელზე მეთქი — აბა დავღუპულვართო, მიპასუხეს. ეს მეორე დღეს მოვახსენე გენერალს და მახსოვს, ცხონებულმა, ბევრი იცინა. მაგრამ იყო დრამატული მომენტებიც. ერთ ღამეს, როცა ჩაწერა გაგვიგრძელდა, იქნებოდა დაახლოებით დილის 3 საათი, ჩემს პირდაპირ სავარძელში მჯდომ გენერალს მზერა გაუშტერდა და ჩემს ზურგს უკან რაღაცას მიაჩერდა. იგი გაფითრდა. როდესაც ამაზე ჩემი შეშფოთება გამოვთქვი,

მან ხმადაბლა მითხრა: „ყმაწვილო, ახლახან გამომეცხადა გოგიტა ფაღავას „სისხლიანი ლანდი“*.

ნამდვილად განგებამ ინება ამ ჩანაწერების გაკეთება, რადგან ამის მერე გენერალს დიდხანს აღარ უცოცხლია.

შემდგომი ფართო მასალა, რომელიც ჩვენს კრებულშია წარმოდგენილი, გახლავთ გაზეთი „საქართველო“, ქართველ ლეგიონერთა ყოველკვირეული გაზეთი, რომელიც ომის დროს გამოდიოდა გერმანიაში. ჩვენ შევეცადეთ ამ გაზეთებიდან ამოგვეკრიბა მხოლოდ ლეგიონერთა ცხოვრებისა და ბრძოლის ამსახველი მასალა, ხოლო თვით გაზეთი იმ დროისათვის თითქმის ევროპულ დონეზე იდგა და მასში წარმოჩენილი იყო ფართო სპექტრი პოლიტიკის, კულტურისა და ისტორიის სფეროდან დაწყებული ზოოფსიქოლოგიით დამთავრებული. გაზეთის პირველ ცხრა ნომერს რედაქტორობდა მიხაკო წერეთელი (სამწუხაროდ, ეს ნომრები ჩვენთვის დაკარგულია), ხოლო შემდეგ რედაქტორებად თავად ლეგიონერები მოგვეელინენ, მათ შორის ძე შალვა მაღლაკელიძისა — გაიოზი (ხშირად „მადაურიძის“ ფსევდონიმით), რომელიც ყველაზე დიდხანს იყო ამ გაზეთის რედაქტორი, დაახლოებით ორი წელი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ ხსენებული გაზეთის აკინძული ნომრები გერმანიიდან ჩამოიტანა პროფესორმა გურამ შარაძემ, რომელმაც დიდსულოვნად დაგვითმო იგი წინამდებარე ნაშრომისათვის. მადლობას იმსახურებს იგი აგრეთვე გაიოზ მაღლაკელიძის არქივის ჩამოტანისათვის, რომლის გარკვეული მასალებიც შევიდა ამ კრებულში.

ვიქტორ რცხილაძე

თბილისი, 1993 წლის 8 თებერვალი
დავით აღმაშენებლის ხსენების დღე.

* გ. ფაღავა გახლდათ 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მოთავე. ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

## შალვა მაღლაკელიძე

### მოგონებანი *

როცა მე დავიბადე, მამაჩემს გადაუწყვეტია — თავადი სევერიან ლორთქიფანიძე რომ მოდიოდა ეკლესიაში კაპიტნის პაგონებით, ისეთი პაგონებიანი იყოს ჩემი შვილიცო. არ იცოდა მამაჩემმა, წესი, რომ თავადაზნაურების შვილები ექვსი წლიდან მიჰყავდათ კადეტთა სამხედრო-სასწავლო სკოლაში. ფორმას აცმევდნენ მხედრულს, არუსებდნენ. ამიტომ ჩვენი თავადაზნაურობა სულ კადეტთა კორპუსებში იზრდებოდა, რომელიც რეალურ სასწავლებელს უდრიდა. ამით უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებოდი სადაც გინდოდა, თუ სამხედრო სასწავლებელში არ გადახვიდოდი. კადეტთა კორპუსი საშუალო სკოლა იყო, მიჰყავდათ ვლადიკავკაზში — იქ იყო ასეთი სასწავლებელი, ასევე ორიოლში, მოსკოვში.

რომ გავხდი 6 წლის, მიადგა თავად ნაუმ ლორთქიფანიძეს ნიკო — მამაჩემი. ეს იყო პირველი იურისტი და უთხრა, მე და შენს პატარა ძმას ალექსანდრეს ერთი ძუძუ გვაქვს ნაწოვიო, დედაჩემისო. დამეხმარეო, მინდა რომ ჩემი ბიჭი კადეტთა კორპუსში მომიწყოო. შენ რომ პატარაობისას პაგონები გეკეთა და „ჩესტს“ რომ იღებდიო, ისე მინდა ჩემს შვილსაც ჰქონდესო. ხარჯს არ დაეარიდებიო. ნიკოია გასულელდიო — უპასუხნია ნაუმ ლორთქიფანიძეს — შენ შვილს ვინ მიიღებსო კადეტთა კორპუსში. ის ჩვენთვის არის, თავადაზნაურისთვისო. შენ გლეხიკაცი ხარ და მეტრიკაც არა გაქვსო, მეტრიკა ხომ უნდა მიიტანოო. ფულს გავიღებ, ნაუმ-ჩემოო — უპასუხნია მამაჩემს. ფული არ ჭრისო, უთქვამს ლორთქიფანიძეს, ღირსება ჭრისო. ყაძახი ხარ შენ, ყაძახიო. მე შენ გირჩევო, შეძლებული კაცი ხარო, ვენახი გაქვსო, სამოყიანი თოხი უყიდეო. მიეცი ხელშიო. სამოყიანი თოხი არის თქვენი, ყაძახების საქმეო. მამაჩემმა იფიქრა, ქვეყანა რომ დაიქცეს, ბავშვს პაგონები მაინც უნდა დავაკრაო. რაცხას მოვახერხებო, ქუთაისში წავალო. იქ გელაზაროვს ვიცნობო. გელაზაროვი ქართველი კათოლიკე იყო. გელაზაროვთან მართლაც მივიდა, მან უთხრა, რომ გლეხს არ მიიღებენო, მანდ მხოლოდ აზნაურებს ღებულობენო.

ჩემი სწავლა შემდეგნაირად დაიწყო. საერთოდ სწავლას 8 წლისანი იწყებდნენ. მე 6 წლის ვიყავი. ჩემმა ნათლიამ სერაპიონ ადეიშვილმა ჩემი ბიძის სახლში გახსნა კურსები. სკოლა იყო მარტო სალხინოში. ჩვენს სოფელში, დიხაშხოში, სკოლა არ არსებობდა. მერხები არ ჰქონდათ. ედგათ ჩვეულებრივი საქეიფო სუფრა და სკამები. თოთხმეტამდე

* მთხრობელისა და სტატიათა სტილი დაცულია (ვ. რ.).

იქაური ბავშვი მოიყვანა, რომ წერა-კითხვა ესწავლებინა უფასოდ. უმთავრესად აზნაურთა ბავშვები. მე მივედი სანახავად, რა ხდებოდა. შევიჭყიტე კარებში. დამინახა და როგორც ნათლულს, დამიძახა: მოდი აქო. მე დავიწყე სიარული მასთან, არც წიგნი მქონდა, არც რვეული. ჩემს გვერდით იჯდა ერთი აზნაური გოგორიშვილი გურია, რომელიც ეხლა ცოცხალი არ არის და მის წიგნში ვიხედებოდი ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს გურიამ წიგნში არ ჩამახედა, შენს ეზოში ატმები და ჭერამია დამწიფებულიო და რამდენს ჩაიხედავ ჩემს წიგნში, იმდენი ატამი და ჭერამი მომეციო. მე, როგორც პატარას და როგორც ნათლულს, დიაკვანი არ მთხოვდა სწავლას. უბრად მასწრებდა მეცადინეობას. იქ კი 9 წლის ბიჭები ისხდნენ. ერთხელაც, როდესაც დიაკვანმა ჩამომსვა სკამზე, გურიას შეეშალა რაღაც და მე ადგილიდან უნებლიედ გავუსწორე. გამომხედა სერაპიონ ადეიშვილმა, დიაკვანმა და ჩემმა ნათლიამ, და მკითხა საიდან იცით? გურიას ყოველდღე ატამს და ჭერამს ვაძლევ, რომ წიგნში ჩამახედოს-მეთქი. სერაპიონმა მითხრა, ხვალ მამა მოიყვანეო. მამაჩემს უთხრა: შენ ფული ბევრი გაქვს, მე სწავლაში ფულს არ ვიღებ, მაგრამ წიგნებში უნდა გადაიხადოო და ათმაგი გადაახდევინა, ეს კურსები ექვსი თვე გვქონდა, რის შემდეგაც სალხინოს სკოლაში წაგვიყვანეს. იმ სოფელში იოსებ ავალიანი იყო გამოჩენილი პედაგოგი. მერე გადავედი ამაღლების სამასწავლებლო სკოლაში. მე იქ წამიყვანეს ჩემს ბიძაშვილთან ერთად, რომელიც ორი წლით ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ ცოდნა ერთნაირი გვქონდა. მიგვიყვანეს ამაღლების სკოლაში. აზნაურ ლომინაძის ოჯახში. პანსიონი იყო. ეს სამასწავლებლო სკოლა რუსული გახლდათ, 4 განყოფილება და 3 კლასი. ქართულად გადიოდნენ მხოლოდ ბუნების კარს. ამის პატრონი იყო თედო ჟორდანია, ინსპექტორი, ცნობილი ისტორიკოსი. რუსულის მასწავლებელი გვყავდა ბარნოვი, მუნჯური მეთოდით გვასწავლიდა. აჩვენებდა საგანს და პირდაპირ გვეუბნებოდა რას აღნიშნავს. მე ტარას ძიგრაშვილმა გამომცადა, რომელიც ერთი თვის შემდეგ მღვდელი გახდა და ჩვენს სოფელში გაგზავნეს მღვდლად. მე დამტოვეს ჩემს ბიძაშვილ ვალოდიასთან ერთად, ძიგრაშვილმა რომ გამოგვცადა, თქვა, რომ ვალოდია მეორე განყოფილებაზე ვერ მოხვდებაო. მე მითუმეტეს ვერ მოვხვდებოდი მეორე განყოფილებაზე და დამტოვეს ამ პანსიონში პირველ განყოფილებაზე. ოთხივე განყოფილება ერთ ოთახში მეცადინეობდა. მე არ ვჩერდებოდი პირველ განყოფილებაში, მეორეში გადავჯდებოდი ხოლმე. საშობაო არდადეგების მერე მასწავლებელმა თვითონ დამსვა მეორე განყოფილებაში, მოელაპარაკა გამგეს — ზაქარია მჭედლიძეს. ზიარების მოწმობა უნდა მიგვეტანა ეკლესიიდან. აღსარებაზე იძლეოდნენ სამ შეკითხვას. მოგიპარავს თუ არა? დედ-მამა შეგიგინებია თუ არა? ტყუილი გითქვამს თუ არა? ეს იყო შაბლონი. პირველი აღსარება საკურთხეველში დაჩოქილს უნდა გეპასუხა.

მე ვუპასუხე, არც მომიპარავს, არც დედ-მამა შემიგინებია, არც ტყუილი მითქვამს-მეთქი. მე მომცეს მოწმობა, რომ მიიღეს ჩემგან ზიარება. ეს რუსულად დაწერილი ქაღალდი მივიტანე და დამსვეს მეორე განყოფილებაში. მაისში გადამიყვანეს მესამე განყოფილებაში.

დადგა 1905 წელი, რევოლუციის წელი. მეცადინეობა შეწყდა. იმ წელიწადს ყველა დარჩა იმავე განყოფილებაზე, მთელ სკოლაში მარტო მე გადამიყვანეს პირველ კლასში. დაიწყო აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება. მჭადაგებელი იყო ბიჭიკო ერისთავი. წაგვიყვანა ჩვენ მეორე განყოფილების ბავშვები ტყეში, ეკლესიასთან ახლოს. არ ვიცით, რატომ შეგვიყვანა ამ ტყეში ჩუმად ბიჭიკო ერისთავმა. თურმე პროპაგანდისტი გამხდარა, რაღაცა პატარა წიგნები აქვს ქართულად. დაგვირიგა. ეს შემხვდა წიგნი „ჯუზეპე გარიბალდი“. ახლაც მახსოვს: „ჯუზეპე გარიბალდი დაიბადა ქ. ნიცაში“ — ასე იწყებოდა ეს წიგნი. ნიცა არ არის იტალია, მაშინ იყო იტალიაში. წამოვიღეთ ეს წიგნები სახლში გახარებულებმა და გავხდით, როგორ ვთქვა, „ბიჭიკო ერისთავის პარტია“.

ამ დროს სამხედრო საქმეს, ლაშქრულ საქმეებს გვასწავლიდა ვასილ ლოთმანიძე, დიდი პატრიოტი, რაჭველი, სემინარიადამთავრებული. ვინ ასწავლიდა მაშინ სამხედრო საქმეს? მესამე განყოფილებიდან მე ვარ მეთაური ჩემი განყოფილებისა. ყავრისაგან გვაქვს გამოჭრილი ხმალი და ეს გვამეცადინებს ჩვენ დიდი დასვენების დროს ლაშქრობას, სიმღერებსაც გვასწავლის ლაშქრულს, ზოგჯერ განგებ დაგვსჯის, გაკვეთილების მერე რომ დაგვტოვოს და ზაჭარია მღვდელი არ შეედავოს „რას ასწავლი შენ მათო“. ხოდა გვასწავლიდა ხმლის ხმარებას და ლაშქრულ სიმღერებს. მე მამაჩემიც მასწავლიდა ბავშვობიდან ხანჯლის ხმარებას და მერე ლატვიაში გამომადგა, დუელში, ეს ბავშვობაში ნასწავლი.

ერთ დღეს მივედი სახლში და დამხვდნენ სტუდენტები მამაჩემთან ერთად, სვამენ. თურმე მამაჩემს გადაუწყვეტია ჩემი გიმნაზიაში წაყვანა და ესენი რეპეტიტორებად უნდა. ორი სტუდენტია: შალვა სანებლიძე, მღვდლის შვილი, მედიკური ფაკულტეტიდან და ჩვენი სალხინოს აზნაური კოლია ლორთქიფანიძე, იურიდიულ ფაკულტეტიდან.

წამიყვანეს ქუთაისში და მიმიღეს კერძო გიმნაზიაში, მეორე კლასში. ეს კერძო გიმნაზია იყო ქართული, სადაც თავმოყრილი იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც შემდეგ ცნობილი სწავლულნი და პროფესორები გახდნენ: დიტო უზნაძე, გრიგოლ ნათაძე, ალ. გარსევანიშვილი, მომავალი აკადემიკოსი ჯანელიძე. ქართული ენის მასწავლებელი და გიმნაზიის ინსპექტორი იყო სილოვან ხუნდაძე, ხოლო გიმნაზიის დირექტორი გახლდათ იოსებ ოცხელი. იგი თვითონ არ მასწავლებლობდა. ფიზიკო-მათემატიკოსი იყო (ძმაც ფიზიკო-მათემატიკოსი ჰყავდა), მაგრამ თავისუფალ დროს გაკვეთილებზე შემოდიოდა ხოლმე ხშირად. ასე, რომ ეს გიმნაზია იძლეოდა საუკეთესო ახალგაზრდობას. ჩვენთან 12 წლიანი იყო

სწავლება და 12 წლის მანძილზე ჩვენ გვქონდა საშუალება გვესწავლა ქართული, საქართველოს ისტორია, მაგრამ ჩვენი უბედურება იმაში იყო, რომ ეს გახლდათ კერძო გიმნაზია და რუსეთის მთავრობა ამას ალმაცერად უყურებდა; მასწავლებლებიც საეჭვოდ მიაჩნდათ, რადგანაც ყოველი მასწავლებელი რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნოდა, როგორც, მაგალითად, ფედერალისტებს პარტიას ეკუთვნოდა სილოვან ხუნდაძე, იოსებ ოცხელი — ნაციონალურ პარტიას, იასონ ნიკოლაიშვილი, გახურებული გურული კაცი — მენშევიკებს, ალექსანდრე ჯანელიძე — ფედერალისტებს და ა. შ. ამიტომ, ჩვენი მდგომარეობა, მოსწავლეებისა, ცოტა უხერხული იყო ამ მხრივ, თუ სილოვანი ფედერალისტია და ამავე დროს იგი, როგორც ინსპექტორი, გავლენიანი კაცია, მაშინ ჩვენც ერთგვარი სიმპათიები გვაქვს მისი პარტიისადმი. იმავე დროს წესად არის მიღებული, დილას რომ მოხვალ სკოლაში, მერხებზე გაზეთებია დადებული სხვადასხვა პარტიებისა. იმ დროს ჩემთან ერთად სწავლობდა ერთი გურული ბიჭი, კობალაძე, მას მოჰქონდა ხოლმე მუდამ „მერცხალი“, მენშევიკების გაზეთი, ქუთაისში რომ გამოდიოდა. დილით რომ მოვიდოდით სკოლაში, იმის მაგიერ, რომ ჩვენი წიგნები გადაგვეშალა, ამოვიღებდით ამ გაზეთებს და ვკითხულობდით. ახლა, რომ დაინახავდა სილოვანი, რომ შენ „მერცხალს“ კითხულობ, ხოლო თვითონ ფედერალისტია — „კოლხიდას“ უნდა კითხულობდეთო, გვეუბნებოდა. ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით. მაგრამ ფედერალისტები მენშევიკებისაგან განსხვავებით, არ კადრულობდნენ გიმნაზიაში თავიანთი გაზეთის შემოტანას. რაც შეეხება ამ „მერცხალს“, მასში აბაზი უნდა გადაგეხადა თვეში, მაგრამ კობალაძეს წესად ჰქონდა ხოლმე შემოღებული ამ დროს ეთქვა ხუმრობით: „მოკვდაო“, და რაკი „მოკვდა“ — ვინღა გადაიხდისო, და ჩვენც არ ვიხდიდით. ამ წესით მოწაფეები უკვე ჩაბმულნი იყვნენ პოლიტიკურ მუშაობაში. თვითონ სილოვანს ჰქონდა ძალზე დიდი მისწრაფება, რომ ჩვენ აღვეზარდეთ „ფედერალისტად“ კი არა, არამედ ნამდვილ ქართველ მოქალაქეებად. რუსული რომ წამოგვცდენოდა, ეს უბედურება იქნებოდა. სილოვანი „ფომიჩი“ იყო და თუ „ბატონ სილოვანს“ არ ეტყოდი, ან „ბატონო იოსებ“ — ოცხელს არ მიმართავდი (იოსები „ივანიჩი“ იყო) — წარმოუდგენლად ითვლებოდა. მოწაფეს არაფრით არ წამოსცდებოდა „იჩი“, ახლა რომ დიდ ღირსებად არის მიჩნეული. რუსული სიტყვების შერევა ქართულში არ შეიძლებოდა. ამით აიხსნება ალბათ, რომ მე 33 წელი უცხოეთში ვიყავი და ქართული როგორ დამავიწყდებოდა. კლასიკური გიმნაზიისაგან ჩვენ ფორმითაც განვსხვავდებოდით. იმათ ეცვათ რუხი ფერის ფორმა, ჩვენ — შავი, წითელი კანტებით. ამით ჩვენ კიდევ ერთხელ ვგრძნობდით, რომ ჩვენ სხვა მდგომარეობაში ვართ, რომ ჩვენ ქართველები ვართ. ჩვენთან ერთად სწავლობდა, შენი ჭირიმე, დავით ბაგრატიონი, იმერეთის მეფის ნამდვი-

ლი მემკვიდრე: შემდეგ დადიანები, დადეშქილიანები... დავით ბატონიშვილს სახლში ასწავლიდნენ, ის მარტო პარასკეობით მოდიოდა ჩვენთან. ეს იმიტომ, რომ იგი ბატონიშვილი იყო, ჩემო ბატონო, უკან შეიარაღებული მცველები დაყვებოდნენ, აჭარლები, ჩაქურებში. დედამისი, ბატონო ჩემო, დედოფლად თვლიდა თავის თავს. მე მათთან ვყოფილვარ არაერთხელ სტუმრად ქუთაისში, ოჯახში. დედამისს ფერუმარილის წასმა უყვარდა განსაკუთრებით, განსაკუთრებულ ქუდს იხურავდა. ამ დედოფალს ძალიან უცნაური თვისებები ჰქონდა და იმდენად იღებავდა სახეს, რომ გასასეირნებლად როცა გამოვიდოდა ქუთაისში ეტლით, მთელი ქვეყანა ხედავდა, რომ ეს არის ბატონიშვილის დედა. თუ არ ვცდები, თურქიშვილის გვარის ქალი იყო, კარგად არ მახსოვს. ამ ბატონიშვილს მე კიდევ შევხვედრივარ შემდეგ, როდესაც აქ თანამდებობის კაცი ვიყავ — ის იყო რაღაც ადიუტანტსავით ჩვენს სამხედრო სამინისტროში გენერალ გედევანიშვილთან. გასაბჭოების შემდეგ დაღუპულა. როცა აქ დავბრუნდი, მე მითხრეს, ბოლშევიკების აგენტი გამხდარა და თითქოს გასცა ვიღაცეებიო.

ახლა ისევ გიმნაზიაზე მოგახსენებთ. ამ გიმნაზიაში სუფევდა ნამდვილი ქართული სული. თვითონ სილოვანი იყო განსახიერება სიწმინდის, რიგიანობის, კეთილშობილების. იგი ჩვენში პირველ რიგში ადამიანებს ხედავდა. თვლიდა, რომ ჩვენ ღირსეულნი უნდა ვყოფილიყავით, რადგან „ჩვენ ზურგი გვაქვს მაგარი ჩვენი ისტორიული წარსულითო". და ამიტომ სამშობლო არ უნდა შევარცხვინოთო. ასე ვიზრდებოდით ჩვენ სილოვანის გავლენის ქვეშ. ამავე დროს სილოვანი იყო ჩვენი გიმნაზიის ბიბლიოთეკარი და მის ხელში იყო წიგნების შეძენა. იგი გიმნაზისტებიდან აირჩევდა ხოლმე თავის „მოადგილეს" საბიბლიოთეკო საქმეში და ამ ბიჭს შეაგნებინებდა, რომ შენ უნდა გახდე საქართველოს პროპაგანდისტი, მისი ისტორიისა და აწმყოსიო. მაგრამ განურჩევლად იმისა, თუ რა პოლიტიკური მიმართულების იქნებოდი შენ, არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომელიმე ჩვენგანს ეგრძნოს ჩვენი მასწავლებლებისგან რაიმე დაწოლა გავლენის მხრივ, რომ ჩემი მიმართულების იყავიო. ამას არ იკადრებდა არასოდეს არცერთი მასწავლებელი. ჩვენ ამ მხრივ ჩვენს ნებაზე ვიყავით მიშვებული. რაც შეეხება ბიბლიოთეკარის მოადგილეობას, ივანე ყიფიანის მერე მე ამირჩიეს ამ ადგილზე ფარული კენჭისყრით. სილოვანის მოადგილეობა ნიშნავდა, რომ უნდა ყოფილიყავი ყოველმხრივ სანიმუშო.

ვ ი ქ ტ ო რ რ ც ხ ი ლ ა ძ ე: ბატონო შალვა, ილია მოკლეს 1907 წელს. და თუ იყო რაიმე საუბრები, აზრის გამოთქმა ამის შესახებ? როგორ მიაჩნდა საზოგადოებას, ვისი ხელიდან მოხდა ეს?

შ ა ლ ვ ა მ ა ღ ლ ა კ ე ლ ი ძ ე: მე შემიძლია თამამად მოგახსენოთ,

ამის შესახებ. რადგან გიმნაზიის მასწავლებლებისა და მოსწავლეების გარდა ჩვენ ვხვდებოდით მაშინ ქუთაისის ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენლებს, არტისტებს, მწერლებს... ქუთაისი პატარა ქალაქი იყო და თითქმის ყველა ვიცნობდით ერთმანეთს. აკაკი ჩვენთვის ახლობელი იყო, ხოლო ილია ჩვენთან არ ყოფილა და მე იგი არც მინახავს არასდროს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წყალობით, განურჩევლად მათი დაყოფისა „მენშევიკებად“ და „ბოლშევიკებად“, ილია ჭავჭავაძეზე ერთი, აზრი არსებობდა, თითქოს ილია იყო რეაქციის, შავრაზმელების (რუსი შავრაზმელების არა), მაგრამ ჩვენი გაგებით უფრო სხვა სახის, მემამულეების ქომაგი, პატრონი და არასასურველი პიროვნება ერისათვის. ასეთი აზრი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ასე რომ ილიას მკვლელობაში თუკი ახლა ბრალს დებენ განსაზღვრულ წრეებს, განსაზღვრულ პირებს და განსაზღვრულ მიმართულებას იმავე მარქსისტებში, უნდა ითქვას, რომ ამაში წილი უსათუოდ უდევთ თვითონ იმ მემარჯვენე მარქსისტებსაც სოციალ-დემოკრატების სახით, რადგან პროპაგანდა საერთო იყო განურჩევლად ამ ფრაქციონერობისა, ე. ი. ილიას მიიჩნევდნენ ნამდვილ მტრად საწყალი ხალხისა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩვენთაგანმა იცოდა ილია — ჩვენ გავდიოდით ილიას, აკაკის, ბარათაშვილს და სხვას, მაგრამ თვითონ პოლიტიკურ წრეებში და იმ წრეებში, მოწაფეები რომ გაპოლიტიკდნენ, პოლიტიკას რომ მოეკიდნენ, აზრი უდავო იყო, თითქოს ილია არის მტერი საწყალი ხალხის. ასეთი გახლდათ პროპაგანდა. თვითონ სილოვან ხუნდაძე არასოდეს არ ამბობდა არაფერს, ფედერალისტი იყო და ეჩოთირებოდა ამაზე ლაპარაკი. სოციალ-დემოკრატები კი ამაზე უკან არ იხევდნენ — ილია და ილია, წყალს არ ასმევს გლეხებსო და... ე. ი. ყოვლად უსინდისო პროპაგანდა წარმოებდა.

გიმნაზიას ვამთავრებდით დიდი რიცხვი — 88 კაცი, აქედან 30—32 კაცი მეორე წლიანები იყო. მაშინ წესი იყო ასეთი, რომ ჩვენ გიმნაზიას არ ჰქონდა უფლება სიმწიფის მოწმობის გაცემისა, თუ კავკასიის ოლქის მმართველის ბრძანებით დანიშნული ასისტენტები არ მიიღებდნენ მონაწილეობას გამოცდებში. კლასიკური გიმნაზიის 4 კლასს თუ დაამთავრებდი, მოგცემდნენ მოწმობას. ქართულ გიმნაზიას არ ჰქონდა ეს უფლება. თუ ასისტენტების დასწრებით ჩააბარებდი გამოცდებს, მხოლოდ მაშინ გეძლეოდა უფლება მიგეღო ატესტატი, წინააღმდეგ შემთხვევაში — ვითომც სულ არ გისწავლია. ამას განგებ აკეთებდნენ, რადგან თავადები და აზნაურები აღარ მიაღწევდენ მერვე კლასამდე. ამრიგად, მეფის რუსეთის მთავრობა ამ გიმნაზიას დევნიდა, ხოლო ჩვენი თავადაზნაურობა იცავდა. ასეთი სათავადაზნაურო გიმნაზია სულ ორი იყო: ერთი თბილისში, ახლა უნივერსიტეტის შენობა რომ არის, და მეორე — ეს. ჩვენი პატრონები, დამცველები იყვნენ ე. წ. მარშლები, ე. ი. თავადაზნაურთა ხელმძღვანელები. ქუთაისის გუბერნიისათვის ჩემს დროს იყო და-

თა ნიჟარაძე მარშალი; აკაკი წერეთელიც, როგორც საპატიო პიროვნება, მაგრამ იგი ოფიციალურად არ იყო ჩვენი დამცველი.

დაიწყო გამოსაშვები გამოცდები. ეს ხდება 1914 წელს, მაგრამ ომი ჯერ არ არის დაწყებული, ის ივლისში დაიწყო. გამოცდები შემდეგნაირად წარმოებდა. მოდის კავკასიის ოლქის უფროსი, მაშინ რუდოლფი იყო, ნიშნავს თავის დეპუტატს, რწმუნებულს, იმას მოყავს ყოველი საგნისათვის ორ-ორი ასისტენტი, რომლებიც ესწრებიან გამოცდებს. ჩემს დროს რწმუნებულად დანიშნეს ვინმე კორიცკი გიორგი მიხაილოვიჩი, ყოფილი პოლონელი, გარუსებული, მეტისმეტი შავრაზმელი კაცი, ახალციხის მამაკაცების გიმნაზიის ინსპექტორი, თვითონ რუდოლფის თანაშემწედ ლოპატინსკი, იგი არ იყო იმდენად ავი კაცი. თვითონ რუდოლფი (შემდეგ მე უცხოეთში შევხვედრივარ მას) ჩეხი იყო, მაგრამ ამას არ ამხელდა, მერე „კავკასიელად“ გამოცხადდა, რადგან კავკასიის ოლქის უფროსად მსახურობდა და კავკასიურ საზოგადოებაში იყო პრაღაში.

კორიცკის, გამხდარ, ხმელ-ხმელ, მაღალ კაცს, შავი თმა ჰქონდა და ეშმაკს ჰგავდა. დიახ, კორიცკი როგორც კი მოვიდა, უკვე ეტყობოდა, რომ აგრესიულად იყო განწყობილი. პირველი გამოცდა რუსულ წერაში გვქონდა. კორიცკი აგვიელის, ჩაგვიელის, ჩაგვხედავს, თუ რას ვაკეთებთ, რომ გადაწერის საშუალება არ გექონდეს, თან ხმებია დაყრილი და განსაკუთრებით კლასიკურ გიმნაზიაში, რომ აქ, ჩვენთან, მასწავლებლები თვითონ უწერენ თემას მოწაფეებსო. თემა მოგვცეს — „ჟენსკიე ტიპი პო დანნიმ რუსკოი ლიტერატური“. ეს თემა მან თვითონ მოიტანა, ამოიღო ჯიბიდან და დაფაზე დაწერა. აივლის, ჩაივლის, პირდაპირ მოსვენებას არ გვაძლევს, გადაწერის საშუალება არ არის, ამიტომ სუსტები და ის მეორეწლიანები ჩაიჭრნენ და ახლა წადი ქუჩაში, თითქოს ორი კლასიც არ გაგივლია. კლასიკური გიმნაზია რომ ყოფილიყო, 7 წლის მოწმობას მაინც აიღებ და აქ კი ამის საშუალება არ არის. ყველაფერი ეს განგებაა გაკეთებული. ახლა ქართულ წერაში დაინიშნა გამოცდა. სილოვანმა დემონსტრაციულად ასეთი თემა მოგვცა — „ქართველი ქალები ქართული ლიტერატურის მიხედვით“. ეს რომ გამოაცხადა სილოვანმა, მერე რუსულად უთხრა კორიცკის. კორიცკი ადგა, ზურგი შეაქცია და გავიდა, მიატოვა გამოცდა. სილოვანს ეს უნდოდა? ნერვებაშლილი კაცია, სძულს რუსები, იმან კი ზურგი შეაქცია და გავიდა. სილოვანმა დაუძახა — „ვერნიტეს“! არ ბრუნდება, — „ვერნიტეს ია ვამ პრიკაზივაიუ“! არ ბრუნდება. აქ საქმეში ჩაერია დირექტორი იოსებ ოცხელი. მძიმე კაცი იყო, კათოლიკე, ნერვები არ აეშლებოდა და უთხრა: გამოცდები არ ჩაიშალოს მოეშვიო. ჩვენ თუ რუსულს დავესწარით, თქვა სილოვანმა, ქართულს რატომ არ ესწრება. ან დაესწროს, ან სულ ნუ ერევა ამ საქმეშიო.

გამოცხადდა რუსული წერის ნიშნები. ასე ოცდაათი კაცი ჩაჭრილია

და მათთვის ყველაფერი გათავებულია: ვერაფერ მოწმობას ვერ მიიღებენ, პატარა მოხელეებადაც არ გამოდგებიან და აღარც ქართულის გამოცდაზე არიან. ახლა ლათინურშიც დაიწყო გამოცდა. იმ წელს კავკასიაში და მთელ რუსეთშიც ახალი წესით ატარებენ გამოცდას: რუსულიდან უნდა გვეთარგმნა ლათინურად. ადრე ლათინურიდან ვთარგმნიდით რუსულად. ეს უფრო იოლი იყო ჩვენთვის. მაგრამ რას იზამ. დავწერეთ თემა ახალი წესით, ჩაიჭრა კიდევ ხალხი. მე ყველაფერში კარგად მიედივარ, მაგრამ ჩემი ამხანაგების ბედი მაღელვებს. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ეს ჩაჭრილები გამოცდაზე აღარ მოდიან, ეზოში დადიან და აღარაფერი მათი საშველი აღარ არის, არცერთ გიმნაზიაში მაგათ აღარ მიიღებენ, ორი კლასის მოწმობასაც არ მისცემენ. კორიცკი ყოველთვის ჟანდარმით მოდის. ნოე მგალობლიშვილი გვყავდა, „სმოტრიტელ ზდანია“ — შენობის მეთვალყურე, აზნაურისშვილი და დარაჯები რომ არიან, იმათი უფროსი. ჩოხები ეცვათ მათ, დარაჯობდა თვითონაც, ნოეც ჩოხოსანია და ის გააღებს წინასწარ კარებს. ქუჩიდან ეზოში რომ შეხვიდე, დიდი მანძილი უნდა გაიარო და კარები წინასწარ უნდა გააღონ, რომ ვერაფერი მოუვიდეს, ამ ბიჭებმა არ მოკლან, რომ ჩაიჭრნენ -მათ და ეშინია. უნდა გამოიაროს თეთრი ხიდი, გადმოვიდეს რიონის მეორე მხარეზე, ცერე გეგუთის ქუჩა და წინასწარ იქაც გააღებინებს კარებს, რეალურ სასწავლებელთან რომ არ მოკლან და აქაც ჭიშკარი ღია უნდა იყოს, რომ ჩქარა შემოვიდეს ეტლი, თორემ გადაღმა წულუკიძის სახლია, სადაც მე ვცხოვრობ, იქ დარღვეული დაბალი ღობეა, რომელსაც შეიძლება კაცი აეფაროს და ამ წულუკიძის ეზოდან ესროლოს. ქმნის ისეთ ატმოსფეროს, რომ უნდა ეს გიმნაზია გაანადგუროს, ეს ამოცანა აქვს დასახული, ეს გიორგი კორიცკი ამ საქმისათვისაა მოწოდებული. ერთ დღეს ალგებრაში ზეპირი გამოცდა დაიწყო და მოვიდა კორიცკი. კიბესთან დახვდა სილოვანი და არ უშვებს. კორიცკიმ ჟანდარმს უთხრა: „პრიმიტე მერი!“ ამის თქმაზე სილოვანმა ჰკრა ხელი კორიცკის და სათვალეები გააგდებინა. ატეხა ყვირილი: „უბიიცი, სპასიტე!“ მიტრიალდა უკან, ჩახტა ეტლში ჟანდარმთან ერთად და გაიქცნენ. წავიდა და მიადგა პირდაპირ ქუთაისის გუბერნატორს, გენერალ სლავოჩინსკის, „სპასიტე“, უთხრა. გააგზავნეს დეპეშა ნამესტნიკთან, იქიდან მოვიდა პასუხი: „ზაკრიც გიმნაზიუ ი ოტსტრანიც ი დირექტორა ი ინსპექტორა“, დახურეს გიმნაზია და ორივე გადააყენეს. თურმე იმ დღეს, ერთი ლეჟავა გვყავდა, 24 წლის იყო და მოეტანა ხანჯალი „კორიცკი უნდა მოვკლაო“. ეს გაუგია სილოვანს, იმიტომ არ შემოუშვა კორიცკი და თავისი თავი გასწირა.

აქეთ იოსებ ოცხელი დატრიალდა, დაუძახა თავადაზნაურთა ხელმძღვანელს დათა ნიჟარაძეს — „უნდა დაგვეხმაროო“. დაიწყო პირდაპირ ეროვნული ბრძოლა. დათა ნიჟარაძე და თავად-აზნაურთა წარმომადგენლები ცდილობენ, რომ „ნამესტნიკთან“ — ვორონცოვ-დაშკოვთან, რო-

გორმე გამოასწორონ მდგომარეობა. ამ დროს გამოცხადდა მსოფლიო ომი. ჩვენი გიმნაზია გადაიქცა რეზერვისტების პუნქტად და ჩვენ შენობაში ვეღარ შევდივართ, სამაგიეროდ, გიმნაზიის წინ გიორგი ზდანოვიჩის სახლები იყო, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, დედა ქართველი ჰყავდა, ქრისტინაშვილი იყო მისი ფსევდონიმი. მან ეს სახლები გიმნაზიას აჩუქა, იქ წარმოებს დამატებითი გამოცდები ჩაჭრილთათვის. ჩამოვიდა ვინმე ილარიონოვი კორიცკის მაგივრად და იმან განაგრძო გამოცდები. იოსებ ოცხელი აღადგინეს, იმიტომ, რომ არაფერ შუაში იყო. დავამთავრეთ გიმნაზია. კორიცკი დაბრუნდა ახალციხეში და გახდა გიმნაზიის დირექტორი. ახლა მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ მე ვარ უკვე ოფიცერი ახალციხეში. ერთ მშვენიერ დღეს, ეს ხდება 1916 წელს, შევდივარ ახალციხის ქალაქის კლუბში და დავინახე, რომ კორიცკი აქ ზის. კორიცკის შეურთავს ცოლად ვინმე ქვრივი ჭავჭავაძისა, გერი გამოყოლია ქალიშვილი და ისიც აქ ზის. მივედი მე „სტოიკასთან“. ვარლამ ჩიჩუასთან ერთად, ოფიცერი იყო ისიც და ვარლამმა მითხრა: შეხედე, რა ლამაზი ქალი უზის ამ ბრუციანსო, მისი გერიაო. ამის მერე ამოვიღე მე ეს კორიცკი მიზანში. მისდა საუბედუროდ მოხდა რევოლუცია. სახელმწიფო სათათბიროდან აკაკი ჩხენკელმა დაანიშვნინა ჩემი თავი „ჩრეზვიჩაინი უპოლნომოჩენი პო ვოენნიმ ი გრაჟდანსკიმ დელამ ვ მუსულმანსკოი გრუზიი“. სამოქალაქო და სამხედრო საქმე ჩემს ხელში გადმოვიდა. ქალაქის თავი მოვსესოვი იყო, სომეხი — დავაბარებინე თავისთან კორიცკი და იქ ვუთხარი მას: „გიორგი მიხაილოვიჩ, უშლი ბი ვი ვ ოტსტავკუ“. ამაზე მიპასუხა: „ია ვ ოტსტავკუ ნე უიდუ, ია დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ, გრაჟდანსკი გენერალ“. არადა, 1917 წლის დასაწყისია და გამოვუცხადე მოვსესოვს: „ოტსტრანიც ეგო ნემედლენო ი ნაზნაჩიც დანელია სერგო!“ და იქვე იმ დღესვე დავანიშნინე ჩვენი სერგო.

რაც შეეხება იმათ, ვინც მაშინ ჩაიჭრა, ომი რომ გამოცხადდა, მათ ისარგებლეს ამით, გამოიტანეს მოწმობები, რომ მოისმინეს კურსი და წავიდნენ „პრაპორშჩიკების“ სკოლაში. ეს სკოლა ექვსთვიანი იყო და თანაც ომისათვის საჭირო — ოფიცრები ჭირდებათ. ამით დავამთავრებ გიმნაზიაზე მოყოლას.

დავასრულეთ გიმნაზია და სიმწიფის მოწმობები თბილისში მივიღეთ. გავგზავნე მოწმობის ასლები სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მაშინ წესი ასეთი იყო. მე მივდიოდი ყაზანის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე. ჩემთან ერთად მოდიან ტიციან ტაბიძე, მოსკოვის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი და სილოვან ხუნდაძის ძმისწული შალვა ხუნდაძე, რაჟდენ ხუნდაძის შვილი. იგი ძველი სტუდენტი იყო და ჩვენი, რომ იტყვიან, ატამანი. ტიციანი ჩემი სოფლიდან იყო და კარგად ვიცნობდი. მატარებლით წავედით ერთად

როსტოვამდე. როსტოვში მე უნდა გადავმჯდარიყავი ყაზანში წასასვლელად, მაგრამ ტიციანმა დამიკეტა მატარებლის კარი და ყაზანის ბილეთით წამიყვანეს მოსკოვში. მაშინ მიღებული ყოფილა თურმე, რომ ყოველი სტუდენტთა სათვისტომო ცდილობდა გიმნაზიიდანვე დაესახათ რომელიმე უმაწვილი და წაეყვანათ თავისთან. რადგან იქაც პარტიული ბრძოლა იყო ფედერალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. მე, ცხადია, არცერთ პარტიას არ ვეკუთვნოდი. ჩავედით მოსკოვში, არავითარი საბუთი არ მაქვს. ჩემი საბუთები ყაზანშია. მაგრამ ჯერ ერთი ეპიზოდი უნდა მოვყვე ამ მგზავრობიდან, გზაში ერთი როსტოველი სომხის ქალი, ახალგიმნაზიადამთავრებული დაგვემგზავრა, ტიციანს მოეწონა ძალიან. შალვა ხუნდაძემ შეამჩნია, რომ ტიციანს თვისება აქვს ერთბაშად შეყვარებოდა ვინმე და ახლაც ასე ხდება. სხვა რომ დაელაპარაკოს ამ ქალს, ტიციანი ნერვიულობს: შეცოდებია ეს გოგო — „შალვა ხუნდაძემ არაფერი მოუწიოსო“, ხოლო შალვამ იცის ტიციანის ამბავი და ხუმრობით ვითომ გაყავს ეს გოგო გამყოლის ოთახში, ტიციანი წყრება და ამბობს, ეს არ არის ამხანაგური საქციელიო, ეს გოგო სომეხია, ჩვენი ახლობელიაო. „ხომ არ შეგიყვარდაო“, ჰკითხა შალვა ხუნდაძემ. „შენს ხელში რომ ვარდება, შემეცოდა და მართლა შემიყვარდაო“ — უპასუხა ტიციანმა. ამას იმიტომ ვყვები, რომ ტიციანს მერე დუელი შეხვდა ამისთანა საქმეზე. ჩავედით მოსკოვში და დავბინავდით. მამაჩემმა მე გამატანა 350 მანეთი — ერთი წლის ფული ერთბაშად. ტიციანს ვუთხარი, ამდენი ფული მაქვს-მეთქი. ტიციანს ჰქონდა 30 მანეთი, დიაკვანი იყო მამამისი და ერთი თვის ხელფასი მიუცია. პავლე აბულაძეს, ტიციანის მეგობარი იყო, ისიც მეორე კურსის სტუდენტი, 20 მანეთი. აქვს, დავბინავდით ერთად, 20 მანეთად სამი კაცი, მკერავი ქალი იყო უნივერსიტეტთან ახლოს, აქირავებდა ბინას. ტელეფონიც გვაქვს. ტიციანი უკვე მაშინ წერდა ლექსებს და ტიტე ერქვა. ამ დროს იგი ძალიან იყო შეყვარებული ვალერი ბრიუსოვზე და სიყვარულს მარტო მის პოეტობაზე კი არ გამოხატავდა, თვითონ სახელის კეთილხმოვანება როგორიაო — ვალერირი!!! — რრრ!! — ბრიუსოვ! — კარგად ჟღერსო. აბა, მე როგორ დამარქვეს ტიტე ტაბიძეო., რაფერ დაუძახებო კაცსო შორიდანო — ტიტე ტაბიძეო! სულ ამას ამბობდა. ერთ დღეს მე ვუთხარი: შენც ადექი და „ტიციანი“ დაირქვი-მეთქი.

ახლა აქ სიდამონოვია ადვოკატი და ერთ გაზეთში დაბეჭდა წერილი, თუ რატომ ქვია ტიციანს ტიციანიო. ერთმა ვექილმა-იურისტმა (ჩემზე), რომელსაც არ სურს გვარის დასახელებაო, თქვაო, რატომ დაერქვა ტიციანს — ტიციანიო. მე ვთხოვე, ჩემი გვარი არ ახსენოთქო და ეს ამბავია, რომ მოვყევი.

როგორც კი ვუთხარი ტიციანი დაირქვი-მეთქი, წამოხტა ლოგინიდან და „ტიციან ტაბიძე“ და „ტიციან“ და „ტიციან“ და გახდა, ჩემო ბატო-

ნო, ამ უბრალო ლაპარაკის დროს ვალერი ბრიუსოვის ნიადაგზე ჩვენი ტიტე — ტიციანი.

უნივერსიტეტში უდოკუმენტებოდ მიმიღო ნიკიფოროვმა, მემარჯვენე კაცი იყო, იურიდიულ ფაკულტეტზე, დოკუმენტები ერთი თვის შემდეგ მოვიდა ყაზანიდან, სულ მალე გავხდი პირველი კურსის სტუდენტი — სტუდენტთა კავშირის გამგეობის წევრი, გრიგოლ ვეშაპიძე (ვეშაპელი) იყო თავმჯდომარე, ქუთაისის კლასიკური გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, უკიდურესი მემარჯვენე იყო, პარლამენტის წევრი, პარიზში მოკლეს.

ვ. რ.: გრიგოლ ვეშაპელზე გვსმენია, რომ მაგან გასცა 1924 წლის აჯანყება. მართალია თუ არა ეს ცნობა?

შ. მ.: არა, ბატონო, ტყუილია, არავითარ შემთხვევაში. მას არავინ არ გაუცია. მხოლოდ ეს კი იყო, რომ იგი გადმოვიდა საბჭოების მხარეზე. მაგაზე მერე მოგახსენებთ.

პირველი კურსის სტუდენტი არ უნდა გამხდარიყო გამგეობის წევრი, მაგრამ რადგან ძალით წამიყვანეს აქედან, ფედერალისტებმა მხარი დამიჭირეს. აი აქ, თაბუკაშვილი რომ არის, რეზო, მაკისი მამა ფედერალისტი იყო და მაგისმა მამამაც დამიჭირა მხარი. ფედერალისტებისაგან ის იყო გამგეობაში, ხოლო ესერებიდან ჩარექიშვილი, ქართველი კათოლიკე, ფიზიკა-მათემატიკურს ამთავრებდა, სოციალ-დემოკრატებიდან იყო ლადო რამიშვილი, იურიდიულს ამთავრებდა. ერთი ვიყავი პირველი კურსელი და თანაც უპარტიო. გამგეობა 5 კაცისაგან შედგებოდა.

ამავე დროს არსებობდა ქართველთა საზოგადოება სუმბატოვ-იუჟინისა, „ღალატის“ ავტორის, საიმპერატორო თეატრების დირექტორის. წევრია ამაში ჭავჭავაძის ქალი, სუხადოლსკის, მაშინ პოლონეთის თავადაზნაურთა ხელმძღვანელის ცოლი. საზოგადოებაშია ამავე დროს ფალიაშვილი, არაყიშვილი, ზანდუკელი, ალექსანდრე ჯავახიშვილი. აქ არის შესანიშნავი ქართული წრე.

1915 წლის მაისია. მე უკვე ვარ იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი და გამოცხადდა ადგილობრივ გაზეთში, კადეტების გაზეთი იყო, ბირიუკოვის, „რუსკიე ვედომოსტი“, რომ ყველა სტუდენტი, ვინც ჯანმრთელია, უნდა გამოცხადდეს — სამხედრო კომისრები რომ ქვია ახლა, იმათთან. მე მივედი, სადაც დაგვიბარეს, ეზოში და დავდექი. რიგში ჩემს წინ დადგა ერთი ებრაელი, ივან სამუილოვიჩ ფაიბუშევიჩი, კომერციული ინსტიტუტის სტუდენტი, მონათლული იყო, მართლმადიდებელი, თორემ ისე მოსკოვში ვერ მოხვდებოდა ინსტიტუტში, არ დააყენებდნენ. მისი რიგი რომ მოვიდა, უნტეროფიცერი შეეკითხა: „კაკოი ნაციონალისტი?“ „ია რუსკი, ესლი ხოტიტე ია რუსკი ევრეი“-ო. „აა, რუსკი ევრეი ეტო დრუგოე დელო. ეი დოლჟნი იდტი ვ ლეფორტოვსკიე კაზარმი, ვამ ოფიცერსკოგო ჩინა ნე პრინიაც“ — ებრაელი როგორ შე-

იძლებოდა ოფიცერი, სამხედრო სასწავლებელში — „ნა კურსკი ვოგზალ სეგოდნია 6 ჩასოვ ვეჩერომ. ზაბუდტე, ჩტო ვი სტუდენტ!“ მოვიდა ჩემი რიგი. „მაღლაკელიძე შალვა ნიკოლაევიჩ“ — შალვა მას მოეჩვენა „შალომად“ არადა „შალომ“ ებრაული სახელია. „ვი კაკოი ნაციონალნოსტი?“ — შემეკითხა „კაკოე ვაშე დელო“ — მე ვუთხარი. „ვი ტოჟე ევრეი და?“ „-ია გრუზინ“-მეთქი „ზნაჩიტ, ნა პოგიბელნი კავკაზ“, როგორც „საშიშ ადგილზეო“, ასეთი გამოთქმა არსებობდა ძველად, რუს სამხედროს რომ დანიშნავდნენ კავკასიაში, ასე იტყოდნენ ხოლმე. მე აღარაფერი არ ვუთხარი, ქართველებს საერთოდ არ აგზავნიდნენ თბილისში, სამხედრო სასწავლებელში. მათ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში უშვებდნენ და ამას განზრახ აკეთებდნენ, რომ გავლენა არ ჰქონოდათ საქართველოში. ჩემ შემთხვევაში მას ეტყობა, აერია, კარგად ვერ გაიგო და ასე წამოვედი საქართველოში. შევიკრიბეთ ჩვენ კურსკის ვაგზალზე 37 კაცი. მათ შორის მარტო მე ვარ ქართველი. ჩამოვედით თბილისში. მე მივედი საშა წულუკიძის მეუღლესთან, ლორთქიფანიძის ქალი იყო, კონსერვატორია რომ არის, იქ ცხოვრობდა. მე ხომ ქუთაისშიც მათ ოჯახში ვცხოვრობდი. სამხედრო სკოლაში მისვლა დამაგვიანდა, ღამის 2 საათი იქნებოდა, რომ მივედი. ჩემზე უფიქრიათ, დეზერტირია, ჩამოვიდა საქართველოში ეს ქართველი ბიჭი და გაიპარაო, მორიგე ოფიცერმა ჩემი მ-სვლა ძალზე გაიკვირვა და თან გაუხარდა, დეზერტირი რომ არ ვყოფილვარ. ავედი ზედა სართულზე, დავინახე კაპიტნის ფორმაში ჩემი ნაცნობი რუსი ოფიცერი, ქუთაისში იყო, ვასილევსკი გვარად და როდესაც მე ქუთაისში მოწაფე ვიყავი, ის ავარჯიშებდა სამხედროებს. მე მიყვარდა მათი ვარჯიშის ყურება, თან ჩემი მეზობელიც იყო, იქვე ცხოვრობდა და ვიცნობდი მის ოჯახსაც. ახლა ყოფილა სამხედრო სასწავლებლის პირველი ასეულის მეთაური, გვარდიის კაპიტანი. გვარდიის კაპიტანი მაშინ ნიშნავდა კაპიტანს, რომელიც უშუალოდ გადადიოდა პოლკოვნიკის ხარისხზე, ე. ი. პოდპოლკოვნიკობა არ სჭირდებოდა. ახლა სულ სხვა ამბავი არის, ძველად „კაპიტნობას“ ვერ მიაღწევდი, სანამ შტაბს-კაპიტანი არ იქნებოდი. ახლა აღარ არის ასე.

დამინახა ვასილევსკიმ და გაუხარდა. აქ შენზე მითხრეს „დეზერტირიაო“, მე კი მახსოვდა შენ რომ სამხედრო საქმეები გიყვარდაო. ვასილევსკიმ დაუძახა მორიგე ოფიცერს: წაიყვანეთ აბანოში, დაბანეთ და გაპარსეთ. მე პირველ ასეულში გამამწესეს. დილით გამოვიდა „კურსოვოი“ ოფიცერი, კაპიტანი ორლოვსკი, ფრონტზე ნამყოფი და ჩამოგვარა. რომ გვნახოს იუნკრები. რაღაც მოუვედი თვალში და მითხრა: სასწავლებელში დაგტოვებ ჩემს თანაშემწედო. სასწავლებელში დარჩენა ნიშნავს, რომ ადვილად მიდიხარ „ზევით“, ჩინებს ღებულობ, ერთი წელი ორად გეთვლება და შტაბში იქნები. დავიწყეთ მეცადინეობა. პირველ

რიგში ვისწავლეთ, გენერალს როგორ უნდა მიესალმო: უნდა დამდგარიყავი „ვო ფრონტ“, შეგებებოდი, როცა წავიდოდა გენერალი, კიდევ უნდა შეტრიალებულიყავი, ერთი სიტყვით, მთელი ცერემონია იყო.

ეხლა მოვყვები იმ ამბავს, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და რამაც მთელ ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა.

მეხუთე ასეულში არის ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ბაგრატ ილურიძე, კარგი პატრიოტი ბიჭი. ერთ დღეს გავედით სასეირნოდ თბილისში, მაგრამ გოლოვინის, ახლანდელ რუსთაველის პროსპექტზე ბევრი გენერლები დადიან და ჩვენ დავიმალეთ — გვეზარება მისალმების ცერემონია. ჩავედით ალექსანდრეს ბაღი რომ არის ახლა, ძნელაძის ბაღი, ქვედა ბაღში, მაშინ გაყოფილი არ იყო, იქ ეხლა ძნელაძის ძეგლია და მაშინ იმ ადგილას იდგა (მგონი ეხლაც არის) „სკამეიკა“. დავჯექით ამ „სკამეიკაზე“ მე და ბაგრატ ილურიძე. უცებ მოულოდნელად მოვიდა ჩვენთან ცივილურ ტანისამოსში ჩაცმული კაცი, შავი შლიაპა ახურავს, შავ ტანისამოსში და დაჯდა ჩვენთან. შეგვეკითხა რაღაც უცნაური, თურქული ან სპარსული აქცენტით, მაგრამ ქართულს კარგად ლაპარაკობს — ქართველები ხართ? — კი ბატონო, სამხედროდ ემზადებით არა? — დიახ, ბატონო-თქო. დიდი მთავრის სასწავლებელში ხართო? — მამაშვილურად თუ შეიძლება თქვენთან ლაპარაკიო (და მახსოვს ეს, არ დამავიწყდება, აქედან დაიწყო მთელი ჩემი პოლიტიკური ამბავი)—თუ თქვენ გვეკადრებით, ჩვენ საწინააღმდეგო რა გვაქვსთქო. გვითხრა: თუ იცით, რა არის სამაჰმადიანო საქართველოო. ბაგრატმა უთხრა — ვიცითო. — რომელ კუთხეს თვლითო სამაჰმადიანო საქართველოდ? ბაგრატმა უთხრა — ბატონო თქვენ ალბათ უკეთესად იცითო და ჩვენ, მე და ჩემი ამხანაგი, მაგ საკითხში მაინცდამაინც ვერ ვერკვევითო, ისე ჩვენი გაგებით ბორჯომის გადაღმა თათრებიაო. — ყმაწვილებო, აღარ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ მე ქართველი მაჰმადიანი ვარ, ჩემი გვარია ლორთქიფანიძეო. მე ვარ სამხედრო ექიმი, პოლკოვნიკი, მაგრამ ტყვეო, და არ მეშინია, მამაშვილურად გელაპარაკებით, ბაქოდან თბილისში მოსულიო. თქვენ არ შეგეშინდეთ, არავითარი ცნობები მე არ მჭირიაო, ჩემი ძმა სულთნის მინისტრი არისო. (მერე გამოირკვა, რომ კონსტანტინოპოლში მართლაც იყო „ლორთქიფანიძე-ბეგი“) — ერთი რამ უნდა გითხრათ, — განაგრძო მან — ამ ომს შეიძლება ბევრი რამ მოყვეს და ჩვენი მიზანია შევქმნათ ერთიანი, დიდი საქართველო, ჯვრისა და მთვარის საქართველო. ამისათვის იყავით ვაჟკაცები და შეეცადეთ კავკასიის ფრონტზე მოხვდეთ, თურქების წინააღმდეგ, მაგრამ ამისთვის თქვენ წარჩინებით უნდა დაამთავროთ სასწავლებელი, რადგანაც ვაკანსიები ქართველებისათვის საქართველოში არ არსებობს და ამიტომ თავი ისე უნდა ისახელოთ, რომ გამონა-

კლისი დაუშვანო და ჩემი თხოვნა იქნება, ასეთ შემთხვევაში ყარსში ან ახალციხეში მოხვედეთო*.

ჩვენ შევთანხმდით, რომ ყოველი თვის ბოლოს ბაღში ამ ადგილას შევხვედროდით ერთმანეთს. დავამთავრეთ სასწავლებელი პირველი ხარისხით, ლორთქიფანიძეს ვხვდებოდით რეგულარულად, ვსაუბრობდით პოლიტიკურ გეგმებზე და იმაზე თუ როგორ ვსწავლობდით. ამ დროს უკვე აქ დანიშნულია „ნამესტნიკად“ მეფის ბიძა, დიდი მთავარი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი. მეფე ნიკოლოზმა თავად აიღო მთავარსარდლობა ბიძამისის ნაცვლად, რადგან მას უჩიჩინებდნენ „ბიძაშენი ტახტს დაიკავებსო“ და ამიტომ „ნამესტნიკად“ გამოგზავნა აქ. ჩვენი პატრონი არის ეხლა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, მეფის ბიძა, შავ ჩოხაში დადის, შესანიშნავი გარეგნობის, ძალიან თავმომწონე კაცი, სულ არ გავს ნიკოლოზს, ვეებერთელა, ჩვენ თავადებთან ქეიფობს, განსაკუთრებით უყვარს კოტე აფხაზი.

ჩვენი გამოშვების დრო რომ დადგა, მოგვცეს ჩვენ ოფიცრების ტანისამოსი, მაგრამ სამხრეები ჯერ არ გვაქვს. მე საგანგებოდ მომცეს ჩოხა-ახალუხი და კავკასიური ხმალი. ქართველებს ჰქონდათ უფლება კავკასიური ხმლის ტარებისა. ამავე დროს სამხედრო გენერალი ზაგიუ მიცნობს. კარგად. დამავიწყდა მეთქვა, როდესაც მოსკოვიდან წამომიყვანეს, მე ვიყავი მოსკოვის ქალაქის თავის ჩერნაკოვის მდივანი, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ სტუდენტი გახლდით. ეს ასე მოხდა: არსებობდა ქალაქის მმართველობა, ხოლო ქ. მოსკოვის თავი იყო რუსეთის ყველა ქალაქების თავების, „სოიუზ გოროდოვ“-ის თავმჯდომარე. აი სწორედ ამ ქალაქის თავმა მისცა გაზეთში განცხადება, რომ ქალაქის განყოფილების — „პო პრიომუ ი ევაკუაციი რანენიხ“ — მხრივ მას სჭირდება მდივანი, მაგრამ სასურველიაო მას ჰქონდეს 18 წლის მუშაობის სტაჟიო. ახლა მე სტუდენტი ვარ და ხუმრობით შევიარე ქალაქის თავთან, რომ ამ ადგილზე დამნიშნოს. მდივანმა შემიყვანა მასთან, თვითონ ჩერნაკოვი პროფესორი იყო და მან მკითხა: „დედტკა, ჩტო ხატიტე“-ო. მე შემრცხვა ხუმრობით რომ ვიყავი მისული და ვუთხარი: განცხადების მიხედვით მოვედი-თქო. (მერე იქ რა წერიაო? ვუპასუხე 18 წლის სტაჟია საჭიროთქო,) — მერეო? — მკითხა. ხმა ვეღარ ამოვიღე. „ვი გრუზინ?“ — „და!“ „პო აქცენტუ ვიდნო“. მერე მდივანს უთხრა: თქვენ თავისუფალი ბრძანდებით, მე გავესაუბრები მასთ. მცირე გასაუბრების შემდეგ, ეტყობა მოვეწონე თუ რა არის, მითხრა: „ნაზნაჩუ. სემდესიატ რუბლეი ზოლოტომ პოლუჩიტე, ეკიპაჟ პოლუჩიტე ს ლოშადმი, ნო ნე ორლოვსკიე რისაკი ბუდუტ, ა

---

* ეს ის ლორთქიფანიძეა თუ არა, რომელსაც შ. მაღლაკელიძე იხსენიებს ჟურნ. „ქართლოსში“ (იხ. ამ „მოგონებანის“ ბოლოს) ძნელი სათქმელია. შეიძლება აქ გვარი ეშლებოდეს ხანდაზმულ გენერალს (ვ. რ.).

ობიჩნიე. დოკტორსკი ობედ ბუდეტე პოლუჩატ. ვ ვაშემ რასპორიაჟენიი ბუდუტ ვრაჩი ვსეი იმპერიი. მოი სეკრეტარ ობუჩიტ ვას, კაკ პრისტუპიტ კ დელუ, ვი მნე პონრავილის, ნე ნუჟნო ნიკაკოგო სტაჟა". გამოვედი გარეთ. ბიჭები მიცდიდნენ. მე ვუთხარი: დამნიშნეს! ახლა ამათ ატეხეს აურზაური: ჩვენც მოგვაწყეო! მართლაც, გამოვიგონე თანამდებობა — „ეტაჟნი სტუდენტ", ე. ი. სახლებში, რომლებიც ლაზარეთებად იქცა, მორიგე რომ იყოს თითოეულ სართულზე. დაჭრილებს რომ მოიყვანენ, ამისთვის დავნიშნე ჩემი ბატონო, ვინც კი ქართველი სტუდენტი იყო: ეს ნოზაძე, ეს ჩვენი თუში რომ არის ქადაგიძე, თვითონ ის ვეშაპელი, რამიშვილი და ყველა. დაენიშნათ ხელფასი 50 მანეთის რაოდენობით. ასე გავხდი უცებ დიდი თანამდებობის კაცი. ახლა როცა აქა ვარ, თბილისში, სამხედრო სასწავლებელში მოდის ტელეგრამა სამხედრო მინისტრის მოადგილის, გენერალი ბელიაევის: გენერალუ ზაგიუ, ნაჩალნიკუ მიხაილოვსკოგო ვოენნოგო უჩილიშჩა — იუნკერა მაღლაკელიძე ნიზამედლიტელნო ვერნუც ვ რასპორიაჟენიე სოიუზა გოროდოვ, ლიჩნოე რასპორიაჟენიე პრედსედატელია სოიუზა გოროდოვ ჩერნაკოვა. პერევოდიმ 300 რუბლეი ზოლოტომ". დამიძახა ზაგიუმ, ახალგაზრდა ცოლი ყავს, თვითონ მუცლიანია, ფრანგი და მითხრა: „ვას ვიზივაიუტ, ა ვი პრისიაგუ პრინიალი, კაკ ია მოგუ ვას ოტპრავიც. ა ნე ოტპრავიც ნელზია. ვი დოლჟნი მნე პომოჩ, დო ეტოგო დოშლო დელო". შეშინებულია კაცი. თურმე ფიცის მიღების შემდეგ მარტო ნიკოლოზს შეუძლია გაათავისუფლოს ჯარისკაცი და ჩავარდა ეს უხერხულ მდგომარეობაში. მე ვუთხარი: მე წამოვედი იმიტომ, რომ ვიბრძოლო და არ მინდა არავითარი „ბრონი-მეთქი". მოვიდა, მაკოცა შუბლზე და მითხრა: „მოლოდცომ, ია ზაპომნიუ ეტო" და გაუგზავნა დეპეშა, რომ „ოტკაზალსია ლიჩნო ი ტრებუეტ, ჩტობი ვ პერვუიუ ოჩერედ ოტპრავიც ნა ფრონტ". ამის მერე უკვე „სტუმრის" პირობებზე ვარ სასწავლებელში და ამავე დროს ვღებულობ 300 მანეთს ოქროთი მოსკოვიდან და 150 მანეთს მამაჩემიდან, მაგრამ რად მინდა ეს ფული, როდესაც 10 მანეთზე მეტის მიღების უფლება არა გვაქვს. ამიტომ განვაცხადე, რომ ჩემს ანგარიშზე მიიღოს ასეულმა ჩაი, ნამცხვარი და პაპიროსი. ამ ფაქტმაც თითქოს ხელი შემიწყო წინ წაწევაში და იძახიან, რომ აქ დარჩეს მაღლაკელიძე „კურსოვოი ოფიცრადო". ეს ნიშნავს, რომ ჩინებს ადრე მივიღებ და „ნამესტნიკი" რომ მოვა ჩვენი გამოშვების დროს, პირველი მე უნდა გამომიძახონ. მოვიდა ეს დროც. „ნამესტნიკს" ველით გამოსაშვებ სადილზე, რომელიც 2 საათზეა დანიშნული. ჩვენი ასეული ჩამწკრივებულია. გენერალი ზაგიუ უცდის პლეხანოვის პროსპექტიდან. გრიცენკოა ერთი, პოლკოვნიკი, „ინსპექტორ პლაცო" და ის ეზოდან ელოდება. საიდან შემოვა, არავინ იცის. უცებ შემოვიდა უკანა კიბიდან, მთვრალი, თურმე ჩვენს კნიაზებთან უქეიფია და მოსდევენ ეს ჩვენი კნიაზები უკან, როგორც

ვთქვი, 2 საათზე იყო დანიშნული სადილი და ახლა 4 საათია, ორი საათი ფეხზე ვდგევართ მშივრები, რომ შემოვიდა, ვასილევსკი უნდა მიეგებოს, რადგან ზაგიუ და გრიცენკო გარეთ არიან და ვერ წარმოედგინათ რომ უკანა კიბიდან მოვიდოდა. მე ჩემი „ეზოდის“ სათავეში ვდგევარ. არადა ნამესტნიკი მიცნობს, არაერთხელ ვიყავი სასახლეში მორიგედ, ჰოდა, შემოვიდა მთვრალი და „ოხ“ მომაშვირა თითი: „მოი გრუზინჩიკ, მოი გრუზინჩიკ“... ვეღარც რაპორტი მიართვეს და დაიბნა ყველა. ამ დროს ამოვარდა გენერალი ზაგიუ, უნდა გაუკეთოს რაპორტი, მაგრამ ეს არ ღებულობს, მთვრალია, ფეხებზე კიდია და მომადგება მე — „ეგო ნადო პოსტავიტ, ვსიოტაკი ედინსტვენნაგო გრუზინჩიკა, ვ ლუჩშეე პოლოჟენიე! ონ ნავერნოე, ხოჩეტ ჩერკესკუ!“ და ამიტომ იყო, რომ სასწავლებელმა შეუკვეთა ჩემთვის ჩოხა-ახალუხი. ერთ ღამეში შემიკერეს. კავკასიური ხმალიც მომცეს. საწყალმა რუსებმა სურათი გადაიღეს. ჰმ ჩემი ხმლით, საცოლეებს უნდა გაუგზავნონ, „არმეისკი“ ხმალი არ უნდათ. ასე აღმოვჩნდი ჩოხა-ახალუხით „პეხოტაში“ — ქვეით ჯარში. გამომიძახეს პირველი მე. ქუთაისში არის ვაკანსია. გენ. ზაგიუს ეს გაუხარდა და შთავაზობს. არადა მე ყარსში ან ახალციხეში მინდა, ხოლო ყარსში და ახალციხეში სულ 3 ადგილია.

ვ. რ.: თუ შეიძლება, ერთი წუთით, შევჩერდეთ ბატონო შალვა და ბრძანეთ, თუ როგორი „მოდა“ იყო აქ ჩოხა-ახალუხის ტარებისა მაშინ.

შ. მ.: ჩოხა-ახალუხის კანონმდებელი იყო და მერე ქუთაისი. ზუგდიდში მოგეხსენებათ, დადიანები იყვნენ, პრინცი მიურატიც იყო იქ, ფრანგი, მაგრამ ჩოხას ატარებდა. იმ დროს, პირველი მსოფლიო ომის დროს, აქ მიღებული იყო შავი ჩოხა-ახალუხი, ხოლო თუ ხანშიშესული იყავით და თეთრი გქონდათ გარეული, მაშინ რუხი, ნაცრისფერი ჩოხა უნდა გქონოდათ. ატარებდა ასეთ ჩოხას, მაგალითად კოწია ერისთავი, გურიის თავადი, ლამაზი კაცი იყო და ყველაზე უკეთესი ჩოხოსანი, მეორე კარგი ჩოხოსანი იყო იასონ გელოვანი, რაჭა-ლეჩხუმის თავადაზნაურობის ცნობილი მარშალი. ჩოხა შეკერილი უნდა ყოფილიყო თერძის მიერ ხელით და ამის განსაკუთრებული სპეციალისტები იყვნენ. ქუთაისში, მაგალითად იყო, ორი მაღლაკელიძე ამ ხელობისა. ასე რომ ქუთაისი და ზუგდიდი, ერთმანეთს მეტოქეობდა, რომ იტყვიან პარიზი და ლონდონი რომ იყო ქალების ტანისამოსში მაგალითად, აი ასე იყო. ქილები უნდა ჰქონოდა არა ვერცხლის — ყოვლად სამარცხვინო იქნებოდა ჯაჭვებით რომ ყოფილიყო, არამედ — სადა, რქის. შავი რქის ქილები იყო საჭირო, ასევე სარტყელიც რქისა და არა ვერცხლის. ხმლის თავიც შავი რქის უნდა იყოს, მოჭედილი არ შეიძლება, ქუდი, ბოხოხი, უნდა გქონდეს შავი, შედარებით დაბალი და არა ქურთული სახის, ხანჯალიც სადა, არავითარი მოჭედილი. თავმომწონე კაცი მოჭედილს არ გაიკეთებს, მოჭედილ ქამარ-ხანჯალს ატარებენ აგერ ვიღაცა ვაჭრები.

ახალუხი — ატლასის, შავი, საგანგებო მატერია იყო. ჩემი შავი ჩოხა-ახალუხი, ამ 60 წლის წინ რომ შემიკერეს, დღეს აქვს გაიოზს, ჩემს შვილს, დასავლეთ გერმანიაში რომ არის. ახლახან ჩამოვიდნენ ჩემთან ნაცნობები და ძითხრეს, ერთ ოთახში გაიოზს შენი ჩოხა-ახალუხი უკიდიაო, დაბადების დღეზე იცვამს-ხოლმეო. ოსური შალი იყო, ავალიანმა რომ შემიკერა აქა. ეს ავალიანი დიდი თერძი იყო, აზნაური, ისეთი კარგი ჩოხა შემიკერა, რომ ჩრჩილმა არ შეჭამა. დიახ შარვალიც შავი უნდა ყოფილიყო. ფესსაცმელები, თუ პატივსაცემი კაცი იყავი, სამ ნაწილად იყოფოდა; პირველი მესტები, ჯერ ძირი რომ არა აქვს გამოკერებული, წინდები ტყავის, შავ მაი წინდები შავ მესტებში, რამოდენიმე დღეს ატარებ ამას და მერე გამოაკრავენ ძირს, ძალიან თხელს, საცვეთები ამოდის ძუხლამდე, თუ ძალიან თავმომწონე კაცი ხარ, მაშინ მეორე ნაწილიც არის მუხლის ზემოთ. ახლა ალბათ სცენაზე გინახავთ, მაგრამ უშნოდ არის გაკეთებული და მაშინ შესანიშნავად აკეთებდნენ.

ვ. რ.: ხანჯლის პირი როგორი იყო — ერთ ღარიანი, ორი თუ სამღარიანი?

შ. მ.: ხანჯალი ორღარიანი იყო, გადაღმა-გადმოღმა, ლეკები სხვანაირად აკეთებდნენ. ჩვენ ჩვეულებრივი ხანჯალი გვქონდა, ახლა რომ შეხვდებით ისეთი, მხოლოდ იმ განსხვავებით, ჩვენ ხანჯალს ბუდეც აქვს, ქარქაშზე, უკანა მხრიდან ჰქონდა, ხანჯლის შვილი ქვიოდა — პატარა დანა ფრჩხილებისათვის ან სხვა რამისათვის. ტანადობის შესაფერისად უნდა იყოს რევოლვერის სიგრძე. უმეტესად მიღებული იყო „სმით-ვესონის“ რევოლვერი. რევოლვერი მარჯვენა მხარეს უნდა გქონოდა. გერმანელები, მაგალითად, მარცხენა მხარეს იკიდებდნენ. ხმალი სარტყელზე უნდა გეკიდოს მარცხენა მხარეს. ასე მქონდა მე გერმანულ ჯარში. გერმანელებმა მთელი ფილმები გადამიღეს ამ ჩოხაში. 1923 წელს გავიტანე საბჭოეთიდან ჩოხაც და ხანჯალიც, ახლა ჩემს შვილს რომ აქვს. დაბოლოს, ჩოხას ხაბადიც უნდა ახლდეს. მახსენდება ჩვენი თავადები, „სმით-ვესონის“ რევოლვერს ზოგი უნებართვოდ ატარებდა და გამოეკიდებოდა ხოლმე ზოგჯერ პრისტავი. არადა, ჩემო ბატონო, თავადები არიან — კოლია ნიჟარაძე, დგებუაძე, გოგი დადიანი; პიპინია მიქელაძე, ლორთქიფანიძე, დგანან და უცდიან, ვინ დააგირავებს მამულს ანჯაფარიძესთან (ჩვენი ვერიკოს მამა იყო) და მერე წვალენ, რესტორანი „მედვედია“ ქუთაისში, ისვრიან იქ ზევით და ქვევით და ქეიფობენ. ჩხუბის დროს რევოლვერის ხმარება არ შეიძლებოდა, არც ხანჯლის ამოღება — უწესობა იყო. თუ ხანჯალს ამოიღებდი, უნდა გემოქმედა და თუ მოხანჯლე კაცი იყავი, მაინცდამაინც კუნთებში უნდა დაგეკრა. მამაჩემს უსწავლებია ჩემთვის არაერთხელ: „კუნთებში უნდა დაჰკრა, მუცელში არ მოახვედროო!“. 25 მანეთი იყო დაჭრისათვის, საქმე პოლიციამდე რომ არ მისულიყო. ჩემს სოფელში ცხოვრობდა თეოფილე სუპატაშვი-

ლი, აზნაური, კარგი მოხანჯლე და მისი ცოლი დოდო ექიმბაშობდა, დაჭრილებს არჩენდა, დიახ, დამშრალი 25 მანეთს გაღაუხდიდა დაზარალებულს და ეს კიდევ არ წავიდოდა საჩივრად თავად ფაღავასთან, ბაღდადის პრისტავთან და რომც მისულიყო, ფაღავა გალანძღავდა: ვირ გაასწორეთ ანგარიშები ადგილზეო! დიახ, თუ ვაჟკაცი ხარ, ხანჯალი მუდამ უნდა გქონდეს, მაგრამ ხანჯლის ამოღება უნდა ყოფილიყო იშვიათ შემთხვევაში. მხოლოდ როცა სტუმრად მიბრძანდებით, დიასახლისს შეუძლია გიოხრას, რომ ხანჯლები დატოვეთ და ისე დაბრძანდითო. მე თვითონ ვყოფილვარ კახეთში თქვენთან*, ავალიშვილების ოჯახში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოჯახში. ქაქუცასთან რომ მივედით, მახსოვს, ოთახში დიდი ვერცხლის ჯვარი ესვენათ კუთხეში, მათი საგვარეულო ჯვარი. დედამისმა ხანჯლები გარეთ დაგვატოვებინა და ისე დაგვსვა სუფრასთან. თამადობა თვითონ დაიწყო და მერე გადაულოცა თავის უფროს შვილს, დავითს. შემდეგში სულ ასეთი წესით გვმასპინძლობდნენ.

ვ. რ.: დუელი თუ გახსოვთ, ბატონო შალვა?

შ. მ.: მახსოვს, როგორ არა, მე თვითონ მომიხდა აქ, ალექსანდრეს ბაღში, მაგრამ ნახევრადოფიციალური, სეკუნდანტები არ გვახლდა და უამისოდ დუელი არაფერი არ არის. ისე, ცნობილი ხალხის ორი დუელი მახსოვს, მაგრამ არცერთი არ შედგა. ერთი იყო ტიციანისა და აბულაძის, მეორე კი პარიზში მოხდა, როდესაც ევგენი გეგეჭკორმა გამოიწვია ჩვენი მთავარსარდალი კვინიტაძე. კვინიტაძემ მიიღო გამოწვევა, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ დავადგინეთ, რომ საქართველოში როცა დავბრუნდებით, მაშინ შესრულდეს ეს დუელიო. კიდევ ერთი დუელი მახსოვს, რომელიც არ შედგა და ეს მე შემეხება. უკვე გასული ვარ საბჭოეთიდან და ვიმყოფები დამოუკიდებელ ლატვიაში. იქ ვიყავი „კავკასიური საზოგადოების“, სადაც ყველა კავკასიელი ერი შედიოდა, თავმჯდომარე. ჩემთან კარგ დამოკიდებულებაში იყო ადმირალი სპადე, პირველი ლატვიელი ადმირალი. თავის დროზე ჰავჰავაძის ფლოტში მსახურობდა. საწყალმა გასაბჭოების დროს, 1940 წელს თავი მოიკლა. ცოლი ქართველი ყავდა, პეტრიაშვილის ქალი და იმანაც თავი მოიკლა.

დიახ, ჩემო ბატონო, ვართ ლატვიაში და გამართა ჩვენმა საზოგადოებამ ბალი. ჩემი მეუღლე არის „ხაზიაიკა ბალა“ და ჩვენი სურათებია მიცემული ადგილობრივ გაზეთებში — გერმანულში, რუსულში, ლატვიურში. ამ ბალის მერე დავდგით წარმოდგენა „ღალატი“. ერთი არტისტი იყო გორის მაზრიდან, წარმოშობით სომეხი, ქართველობდა, მისი ფსევდონიმი იყო ვილოვსკი და იმან დადგა, ჩვენს ბალს ელჩებიც ესწრებოდნენ. მახსოვს, 1924 წელია, 14 იანვარი. ნინოობის დღესასწაული და

---

* მიმართავს ვ. რცხილაძეს, რომელიც წარმოშობით კახელია (ჩამწერი).

გარეთ თოვს, მიდის წარმოდგენა და ამ დროს გარედან ატეხეს ბრახუნი — თურმე მთვრალი ლატვიელი ოფიცერია და არ შემოუშვეს. შემოუშვეს ესენი მხოლოდ დილას — ოფიცრები და სტუდენტები. თურმე ამათში ურევია ის ოფიცერი, რომელსაც მე თავის დროზე იარაღი ავყარე. ეს იყო ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, როცა საქართველოში მამისონის უღელტეხილით გადმოვიდა დენიკინის უკანასკნელი პოლკი — „კაბარდიისკი პოლკ“. შესანიშნავი პოლკი იყო და იარაღი ავყარე, საბჭოეთიდან რაიმე კონფლიქტი რომ არ მოგვსვლოდა. ახლა ამათში ურევია ერთი იმ ოფიცერთაგანი და სხედან მაგიდასთან. მე, როგორც საზოგადოების თავმჯდომარე, მივედი მათთან და მივესალმე. იმ ოფიცერმა, მთვრალია, აკრა მაგიდას ხელი და იყვირა: შენ მე შეურაცხყოფა მომაყენე! — რა შეურაცხყოფა-თქო?! — გენერალი ერდელი თუ გახსოვთ, მე მისი ადიუტანტი ვიყავიო და თქვენ იარაღი აგვყარეთო და ბოლშევიკებს უჭერდითო მხარს! უცებ ამოიღო რევოლვერი და მესროლა ფეხებში, მაგრამ ამცდა. მაშინვე ვიძრე ხანჯალი და ბრტყლად დავარტყი შუბლში. დავარტყი და წაიქცა. ეს რომ დაინახეს დანარჩენებმა, კურდღლებივით გაიქცნენ, ზოგი ფანჯრიდან გადახტა, შემრჩა ხელში ეს დავარდნილი კაცი. მერე გავუშვით და მესამე დღეს რევოლვერიც დავუბრუნე. ახლა გავარდა ხმა და მაგას ამას ვუზამთო და იმასაო, უნდა გაასახლოთ, პოლიტიკური კაცია, ასეთ-ისეთია, რატომ ითვლება ჩვენს ჯარშიო („დვინსკი“ კავალერიის პოლკში ვითვლებოდი და მთელი რიგი პოლიტიკური ამოცანები მქონდა დასახული, საბჭოების წინააღმდეგ მიმართული). ახლა მე გამოვიწვიე დუელში მათი ყველა სამხედრო ნაწილის წარმომადგენელი და დავუნიშნე ის „ცარსკი ლესში“ — რიგის გადაღმა დიდი ტყეა. დავნიშნე სეკუნდანტები და თვითონ ბალიდისიც დავასახელე, მათი სამხედრო მინისტრი, ჩემთან სწავლობდა. იარაღის არჩევანი თქვენზე მომინდვიათქო. მაგრამ არცერთი ლატვიელი არ გამოცხადდა დუელზე. საქმე ისე ახსნეს, თითქოს ბალიდისმა გასცა განკარგულება, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს დუელი აიკრძალა და დემოკრატიულ ლატვიაში არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ მასო. ეს ამბავი ადგილობრივმა გაზეთებმაც აღნიშნეს. გაზეთი იყო იქა „ზა კულისამი“, გამოდიოდა რუსულ-გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურ-ლატვიურ ენებზე და არისტოკრატიულ ცხოვრებას ასახავდა, იქ იწერებოდა ამისთანა ამბები. ლატვიაში ერთადერთი ჟურნალი მეც გამოვუშვი — „კავკაზ“, როგორც ალმანახი. იქ ჩემი წერილი იყო და ასე თავდებოდა: „ბუდეტ ნეზავისიმაია გრუზია, ბუდეტ ნეზავისიმი კავკაზ!“ მერე ჩვენთან ელჩები რომ იყვნენ, იქ საბჭოთა ელჩიც ერია და გავიგონე, იმეორებდნენ ამ ფრაზას. მე მივედი და ვუთხარი: „ჩტო ტაკოე“-თქო. მიპასუხეს: „მი ჩიტალი ვაშ ჟურნალო“, იუმორით, ვითომ შენ კი გინდა „ნეზავისიმოსტ“, მაგრამ არ იქნებაო და მართლაც აღარ იქნა.

ვ. რ.: ახლა გავაგრძელოთ იქიდან, სანამ თქვენ დაინიშნებოდით ახალციხეში.

შ. მ.: როგორც მოგახსენეთ, პირველად მე გამომიძახეს და ავირჩიე ახალციხე. მითხრეს კიდევაც, ქუთაისელი კაცი ხარ და ახალციხეში რატომ გსურსო, მაგრამ მე ხომ არ გავუმხელდი, შეთანხმებული რომ ვიყავი მაჰმადიან ლორთქიფანიძესთან, პოლკოვნიკთან. ბაგრატმა აირჩია ყარსი და ჩვენ ორივენი თავ-თავის ადგილზე აღმოვჩნდით. ამის შესახებ ვაცნობეთ მას და შემდეგ აღარ შეგვხვედრია. არც მე და არც ბაგრატს, რომელიც შემდეგ ჩემთან ერთად აღმოჩნდა ემიგრაციაში. ალბათ, დაიღუპა სადმე. ახალციხის პოლკში გამოჩენილ ოფიცრად ვითვლებოდი და ერთ-ერთი პატარა მოქმედების დროს თათრების ერთი ოცეული შევიპყარი, მოვიყვანე. ამისათვის წარმადგინეს გიორგის ჯვარზედ და გადმომცეს. პირველი კაცი ვარ, თვით პოლკის უფროსს არ ჰქონდა ჯვარი. ამავე დროს დავამყარე კავშირი მაჰმადიანებთან. ახალ ადგილას ჩასვლისთანავე უნდა მიხვიდე სადარბაზოდ ყველასთან და შენთანაც უნდა მოვიდნენ. ასე ვეწვიე პოლკის უფროსს, ბატალიონის უფროსს და ა. შ. მერე მოვისურვე პოლიციის ნახვა. ახალციხის მთავარი ბოქაული იყო ბახრიბეგ ერისთავი. თორნიკე ერისთავის შთამომავალი კაცი, ახალგაზრდა, შესანიშნავი ბიჭი. გავეცანი ამ ერისთავს. ქართული იცის, ჩოხა-ახალუხს ატარებს, ადიგენელი მაჰმადიანია, სურამ ბეგის შვილი, თავს ქართველად თვლის. ჯიბეში სურათი აქვს თავისი საცოლის, სურე ხანუმის, რომელზედაც შეყვარებულია და რომელიც ცხოვრებაში არ უნახავს. მხოლოდ ფოტო აქვს. ეს სურე ხანუმი იყო ქალიშვილი ხულოში მცხოვრებ ხიმშიაშვილი ბეგის, ჯემალ ფაშასი. მოკლედ, ბახრიბეგ ახალგაზრდაა, 24 წლის, მეც ახალგაზრდა ვარ, ღვინოსაც სვამს და ერთად ვიქეიფეთ, დავმეგობრდით, ბარემ აქვე ვიტყვი რომ სწორედ მე ვიყავი მისი საპატიო მაყარი მისი „ჯვრისწერის“ დროს, ხულოში, მაჰმადიანური წესით, ცეცხლის ქვეშ, ხანჯლების ქვეშ. პატარძალიც მაჩვენეს და საჩუქარიც მივართვი. არცერთი მართლმადიდებელი არ ყოფილა იქ ჩემს მეტი. ღამით ჩუმად მოვიდნენ იქ თურქეთის ოფიცრები, ხიმშიაშვილები, გადასულები რომ იყვნენ, ისინი. მიულოცეს მათ და ისევ გაიპარნენ. მე ნიკოლოზის და ისინი თურქულ პაგონებში. მთელი ორი კვირა დავყავი იქ და პოლკმა დამსაჯა, დროზე რომ არ გამოვცხადდი ნაწილში*.

დიახ, ახალციხეში შემდეგ გავეცანი ალი ეფენდი ეფენდიევს, ყაზის, ე. ი. უმაღლეს სამღვდელო პირს მთელი მაჰმადიანური საქართველოსი. ბაგრატიონია, გადაკეთებული აქვს გვარი ეფენდიევი, ე. ი. ბატონიშვილი. მშვენიერი გარეგნობის კაცია. შემდეგ მან წინადადება მომცა ცოლად

* ამ სტუმრობის შესახებ უფრო ვრცლად იხ. „მოგონებანის“ ბოლოს დართულ ჟურნ. „ქართლოსში“.

შემერთო სერვერბეგ ათაბეგის, ფაშას და, რის შედეგადაც მივიღებდი ფაშების მთელ მემკვიდრეობას, ოღონდაც მოითხოვდა, რომ მიმეღო მაჰმადიანობა. რასაკვირველია რჯულის გამოცვლაზე უარი ვთქვი და შემდეგ ის ქალი ცოლად გააყოლეს აზერბაიჯანელ ექიმს აზიზბეკოვს.

შემდეგ გავეცანი „უეზდნი ნაჩალნიკს“. გუდიევია, ინგუში, თბილისის გუბერნატორს ვიშინსკის დაუნიშნავს ახალციხის „უეზდის“ უფროსად. როგორც მაჰმადიანი. როტმისტრია, კავალერიის ოფიცერი. ცოლად ჰყავს სპარსეთის კონსულის ულამაზესი ქალი, მესამე ცოლია. დარაჯები უდგას კარებში — ინგუშები, თანამდებობის ხალხი სულ მაჰმადიანებია. ქალაქის თავი სომეხია, მოვსესოვი. ერთადერთი გიმნაზია, სერგი დანელიაა მასწავლებელი. მოსახლეობა სომხურია. ქალაქის ახალი ნაწილი მთლიანად სომხურია. ჩვენი ყაზარმები ახალ ნაწილშია. მეორე ნაწილია რაბათი — ქართველი კათოლიკები და ებრაელები ცხოვრობენ. სომხების ნაწილში არცერთი ებრაელი ვაჭარი არ არის. ერთი ზედგინიძეა მარტო ქართველი. გახსნა ფართლეულის მაღაზია, მაგრამ არავინ არ იყიდა მასთან არაფერი და დაიკეტა.

ვ. რ.: ბატონო შალვა, როგორი იყო მაჰმადიანი ქართველების პოლიტიკური მიმართება?

შ. მ.: მათი სიმპათიები თურქეთის მხარეზე იყო. რელიგიურ ნიადაგზე და რევოლუციის მერე სულ დაეკარგათ წარმოდგენა რუსეთზე. სერვერბეგ ათაბეგის მამა იყო ახალციხის ფაშა. რუსეთმა გადმოიბირა ეს ფაშა, ჯაყელები იყვნენ გვარად და მისცა ტიტული — პრინც ქობლიანსკი ადიგენსკი და დაარქვეს გვარი ათაბეგოვ. ე. ი. მამა ბეგებისა, თურქულად ათა-მამაა. ასევე ხიმშიაშვილებმა ზოგმა თურქეთის მხარე დაიჭირა და ფაშობა მიიღო, მაგალითად ჯემალ ფაშამ. მაგრამ მერე ჯემალ ფაშა რუსეთის მხარეზე გადმოვიდა და მას პოლკოვნიკობა მისცეს. თვმურ ბეგი კი ოზურგეთის „უეზდის ნაჩალნიკი“ იყო, იგივე ხიმშიაშვილი. ომი რომ დაიწყო, ხიმშიაშვილების, ბეგების ერთი ნაწილი გადავიდა თურქების მხარეს. ჯემალ ფაშა კი არა. ჩემი მეგობარი იყო, ხშირად მოდიოდა ჩემთან ახალციხეში.

რევოლუცია რომ მოხდა, მაჰმადიანებმა თავი წამოყვეს და ოსმალებისათვის სასარგებლო დრო დადგა. მართვა-გამგეობა მაჰმადიანების ხელში იყო. ქალაქის მმართველობა — მუნიციპალიტეტი სომხების ხელშია, ქართული მართლმადიდებელი ელემენტი არ არის. მარტო აბასთუმანშია აბასთუმნის კურორტის პატრონი რობიტაშვილი, მართლმადიდებელი ქართველი, ყოფილი ოფიცერი. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მე ახალციხეში ვიყავი, ნიკოლოზ მეორის გადადგომის შესახებ ცნობა რომ მოვიდა, მაგრამ იმ ცნობამ ოთხი დღის დაგვიანებით მოაღწია, მანამდე არც ჩვენ და არც ხალხმა, საზოგადოებამ ამის შესახებ არ იცოდა. სიკო ჩიქოვანი იყო ციხის უფროსი, სემინარიადამთავრებული, სტალინის ამ-

ხანაგი, ერთად სწავლობდნენ და ნიკო ელიავას სურათი ციხეში უკიდია, როგორც ბოლშევიკის, შალვა ელიავას ძმის, პატიმარი ყოფილა აქ და მისი დიდი სურათი უკიდია, მეფის დროს. მე მათ ყველას ვიცნობდი. სიკომ ამბავი მომიტანა, რაღაც ამბავი მომხდარაო, მგონია, ნიკოლოზი გადააყუდესო. შენ რა იცი მეთქი და, ციხე ყველაზე ადრე გებულობსო. ერთი რუსი გერმანელი იყო, გვარი აღარ მახსოვს მისი. ჩვენი გარნიზონის ბატარეის უფროსი, შემხვდა ხიდთან შემთხვევით და მითხრა: მგონი საქმე ცუდადააო. რა მოხდათქო და, ნიკოლოზი აღარ არის, ზუსტი ცნობები მაქვს ბორჯომიდანო. მე მივედი პოლკის უფროსთან და ვთხოვე, ოფიცრები შეეკრიბა, რომ გაგვერკვია სიტუაცია. მშიშარა კაცი იყო და დაფეთდა: „ჩტო ვი გოვორიტე, მოლჩატ“! პირველი ბატალიონის უფროსი იყო პოლკოვნიკი შუხოვი, რომელსაც 1905 წელს მონაწილეობა მიუღია თბილისში დემონსტრაციის წინააღმდეგ და უსვრია იარაღი. ჩვენ ეს არ ვიცოდით და იმან რომ გაიგო, რევოლუცია დაიწყოო, მოუმზადებია თავისი მეოთხე ბატალიონი. ჩემი მეთექვსმეტე „როტაც“ ამ ბატალიონში შედიოდა და მოაღწია ცნობამ, რომ შუხოვმა ბრძანა: ყაზარმებში დარჩითო. პოლკის უფროსს ბრძანება გაუცია — არტილერია მზადყოფნაში იყოსო. ამასობაში შევიკრიბეთ ოფიცრები ქართველი ოფიცრებიც არიან: გვარამაძე, კვარაცხელია, დევიძე, საყვარელიძე კოლია, ამბროსი ხოშტარია — იაპონიის ომის მონაწილე, პოლკის უფროსის თანაშემწე სამეურნეო დარგში. პოლკის უფროსმა თქვა: გავრცელებულია ხმები მეფის გადადგომის შესახებო და მე გიბრძანებთ, ყველანი თქვენს პოსტზე იყავითო. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვიძახდი, „ზა ვერუ ცარია ი ოტეჩესტვა“, გავიხარე, რევოლუცია რომ მოხდა — იქნებ ჩვენ, საქართველოს, რამე გვეშველოს-თქო. დღეს დაგირიგდებათ ას-ასი პატრონი ნაგანებისათვისო. მე ვკითხე: ვის წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ, ხალხის წინააღმდეგ მეთქი? და გაცხარდა — „არესტოვაც ეგოო“, იყვირა. ამ დროს გამოხტა ერთი ოფიცერი, გვარად მოროზი, უკრაინელი, პატარა ტანის იყო, ასეულის მეთაური. პირველად რომ მოვედი, მასთან მოვხვდი ასეულში ოცეულის მეთაურად და — „ბატონო პოლკოვნიკო, ნება მომეცით, პასუხი გავცე ნებისმიერი იარაღითთქო“. სხვები რას ფიქრობენო, იკითხა პოლკის უფროსმა. ხოშტარიამ თქვა: აქამდე მივიდა საქმეო? — დიახ, დიახ, ამბროსი ფომიჩო, მოროზმა დაიძახა — ხმლითო, გამოვედით გარეთ, გამოგვყვა მთელი ეს ამალა. მეტი გზა აღარ არის, ამოვიღე ხმალი. ამოიღო მოროზმაც. და ამ დროს, ყველა ქართველი ვინც იყო, პირდაპირ საკვირველია, სულ რომ არ ველოდი, დადგნენ შუაში, კოლია საყვარელიძემ დაიძახა :„ვი ნა გრუზინსკოი ზემლე ხოტიტე სნამი სრაჟატსა-ო“ და ამოიღეს ხმლები. — პრეკრატიც! — იყვირა უფროსმა და ჩაიშალა ეს ინციდენტი. იმწუთშივე დავაარსე მე, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე უკე-

თესი, „ვოენნი პრეზიდიუმ ახალციხსკოგო გარნიზონა“. მაშინვე დავაბეჭდინე სტამბაში განცხადება, რომ ეს პრეზიდიუმი ღებულობს თავის თავზე გარნიზონის ხელმძღვანელობას და მე ვექცევი სათავეში. წამოვედი ჩემს ასეულში და გამოვუცხადე, რომ დაარსდა პრეზიდიუმი და მე ვარ უფროსი. ასე რომ გარნიზონი ჩემია, საკითხი ეხება მხოლოდ პირველ ბატალიონს შუხოვისას, რომელიც რეჟიმის დასაცავადაა გამზადებული და არტილერიასაც. ორი-სამი დღის განმავლობაში ამ მდგომარეობაში ვიყავით. პოლკის უფროსი კლოდიცკი გადავაყენე და დავნიშნე პოლკის უფროსად ხოშტარია. მალე ბატარეაც დაგვნებდა.

მოკლე ხანში სახელმწიფო დუმიდან, თურმე აკაკი ჩხენკელის მეოხებით, რომელსაც მისვლია ეს ამბავი (მე მერე გავიგე), მომივიდა სპეცდეპეშა — სახელმწიფო დუმის დადგენილება, რომ ვარ დანიშნული „ჩრეზვიჩაინი უპოლნომოჩენი პო ვოენნიმ ი გრაჟდანსკიმ დელამ მუსულმანსკოი გრუზიი“. ე. ი. პირველი, რაც გააკეთა ჩხენკელმა რევოლუციური წესით, სახელმწიფო დუმის სახელით, სამაჰმადიანო საქართველო დააარსა, მე ასე ვიტყოდი. დავიწყე მოქმედება. მაგრამ სანამ ამაზე გადავალ, ორიოდე სიტყვა ჩხენკელზე მინდა ვთქვა. აკაკი და მისი ძმა კიტა ჩხენკელები მღვდლის შვილები იყვნენ. კიტა ჩემთან ერთად იყო იურიდიულ ფაკულტეტზე. აკაკი ჩხენკელმა გაზარდა კიტა, რადგან მათ შორის ასაკში სხვაობა დიდი იყო. აკაკი ჩხენკელი, სახელმწიფო დუმის წევრი, იცავდა აჭარლებს ყარსის პროცესზე, ე. ი. აკაკი ჩხენკელი ცნობილი იყო როგორც დამცველი ქართველი მაჰმადიანებისა, რომლებსაც რუსეთის მთავრობა ღალატში დებდა ბრალს, ხიმშიაშვილების მთელი ოჯახი გადავიდა ოსმალეთში. მაგრამ რამდენიმე კაცი დაიჭირეს და ყარსის პროცესზე აკაკი იცავდა მათ. მოსკოვიდან წამოსვლის შემდეგ მე მაინც მჭონდა მიწერ-მოწერა კიტასთან, მას კიდევ თავის ძმასთან და მე დიდი სიმპათიებით ვეპყრობოდი აკაკის მუშაობას. აი, ასე მოხდა, რომ აკაკიმ გამოგზავნა ჩემი დანიშვნა. დავიწყე მოქმედება. გავემგზავრე არდაგანში, ფოცხოვში იქ იყო შტაბსკაპიტანი ამილახვარი, ამ რაიონის უფროსი. მივედი მასთან და ვუთხარი ვინც ვიყავი. ამილახვარი დავტოვე თანამდებობაზე, შემდეგ მოვყევი და დავიწყე შეცვლა ყველა თანამდებობის პირების. არსაიდან ცენტრთან კავშირი არა მაქვს, თვითონ დამოუკიდებლად ვმოქმედებ. ამიერკავკასიის სახელმწიფო დუმამ გამოყო დეპუტატი ხარლამოვი, კაზაკი, ე. ი. კავკასიის „ნამესტნიკის“ მაგივრად. დამავიწყდა მეთქვა რომ გამოყვეს კავკასიისგან ცალკე „ზაკავკაზია“ და „პერედნაია კავკაზია“. სათავეში დგას ხარლამოვი, კადეტური პარტიის წევრი, მთავრობის, ასე ვთქვათ, წევრებად კი ჩხენკელი ქართველებიდან, პაპაჯანოვი სომხებისგან და აზერბაიჯანისაგან ჯაფაროვი. ჩვენი — ჩემი და ჩხენკელის ინტერესია, რაც შეძლება მეტი ტერიტორია შევინარჩუნოთ. ბაგრატი მე დავნიშნე ჩემს მოადგილედ ყარსში. ვიშინსკიმ

თბილისის გუბერნია ჩააბარა ჟორდანიას, ხატისოვს და პოპოვს. პირველი გუბერნატორი ჟორდანია იყო, ქალაქის თავი თბილისის—ხატისოვი, სომეხი და პოპოვი — გარნიზონის წარმომადგენელი. მეც ფორმისათვის ასე გავაკეთე: მაღლაკელიძე, მიტროფანოვ, გუდიევი. მე, როგორც ჟორდანია იქ, მიტროფანოვი რუსი და გუდიევი ინგუში — „უეზდნი ნაჩალნიკი“, მაგრამ ჯაფაროვმა და პაპაჯანოვმა დააყენეს საკითხი „ეთნოგრაფიული მოსახლეობის“, ე. ი. გავლენის სფერო სად უნდა იყოს ძლიერი ქართული, სად აზერბაიჯანული და სად — სომხური. აი აქ შეიქმნა დიდი კონფლიქტი. ამ არევ-დარევას მოჰყვა ის, რომ (ეს ხომ თებერვალში მოხდა), მოვიდა ოქტომბრის რევოლუცია და დადგა დიდი პოლიტიკური საკითხი: აზიაში რუსეთის ბატონობა თუ ინგლისის? რუსეთის ძველი ტენდენცია, რომ ჰქონდეთ გასასვლელი კონსტანტინოპოლისა და დარდანელის გზით, შეასრულეს თავის დროზე. ხარლამოვი ხომ კადეტია, ე. ი. მილუკოვის პარტიის კაცი და დარდანელია მათი იდეა. ახლა უნდა მიუდგნენ როგორმე. ამიტომ იყო, რომ პირადად ლენინმა აიყვანა ვინმე ოსიპოვი, სომეხი, რომელიც ვითომ ბოლშევიკობდა. ეს არ არის ცნობილი და ერთი მილიონი ოქროს ზოდებით გამოუგზავნა ოსმალეთის ფრონტის უფროსს კარაპედ-ფაშას—სულთანის მთავარსარდალს, იმ პირობით, რომ რუსის ჯარი მოიხსნება ფრონტიდან სრულიად. ყველაფერს, რაც იარაღს შეეხება, დატოვებენ და ყოველი მხრივ აღუთქვამს დახმარებას და ძმობას კარაპედ-ფაშას. სულთანი მაგომედ მეხუთე კონსტანტინოპოლში ზის ამ დროს. ანკარაში მოძრაობა დაიწყო და ინგლისელებს გამოუგზავნიათ ათა თურქი, სალონიკელი ებრაელი, რომელსაც მაჰმადიანობა მიუღია, ფაშა გამხდარა, გენერალი გამხდარა, როგორც მოხერხებული ებრაელი — ენები იცის, ქემალ ფაშად ცნობილი. ათა თურქი მერე გახდა, ვითომ თურქი, მაგრამ ურიაა. როგორც მოგახსენეთ, ინგლისელები სულთანთან არიან კონსტანტინოპოლში. ანკარაში მოძრაობა დაიწყო, იმპერია ინგრევა და ამ დროს ინგლისელებმა გადაწყვიტეს, რომ ერთადერთი კაცი, რომელიც მოახერხებს ინგლისელებს შეუნარჩუნოს პრივილეგია, არის ათა თურქი. ეს საკითხი ლენინმა ფულით გადაჭრა — თურქეთთან რომ კარგი ურთიერთობა და გასასვლელი ჰქონდეს აქედან ინდოეთისაკენ და აქაურობა არ დარჩეს ისევ ინგლისელების ხელში. აქედან მიუდგა ინდოეთს. ეს იყო ჯერ კიდევ მეფის პოლიტიკა და ლენინს ახლაც უნდა მისი გატარება. ეს ფული კარაპედ-ფაშამ რომ მიიღო, გაიგო ათა თურქმა ანკარაში. ახალი კაცია, სულთანის გამოგზავნილი. კარაპედ-ფაშა წავიდა მასთან მოსალაპარაკებლად და ეს მილიონი მიართვა. ათა თურქმა მოწამლა კარაპედ-ფაშა, გამოუყვანა წირვა... ათა თურქს დარჩა ეს მილიონიც და კარგი ურთიერთობაც საბჭოებთან. ათა თურქმა ერთი მხრივ უზრუნველყო თავისი უშიშროება აქედან, თან ფულიც ჩაიგდო ხელში, ამას გარდა, მან ააფეთქა ყველაზე წმიდა მეჩეთი, სადაც მარტო სულთ-

ნები ლოცულობენ, მახვილი ჩასცა მაჰმადიანობას, რელიგიას, ე. ი. პროგრესი დაიწყო, დაუპირისპირდა სულთანს და ინგლისელებმა ნახეს, რომ სულთანთან აღარ ღირს ლაპარაკი, ეს საკითხი ავტომატურად მოიხსნა. ანკარა მისი აღარ იყო. ინგლისელები ჭკვიანი ხალხია, ყოველთვის იქ მიდიან, სადაც რომ გამოსარჩენია. შემდეგ ათა თურქმა აიყვანა ერთი თურქის ულამაზესი ქალი და იშვილა, სინამდვილეში მისი საყვარელი იყო. დასამალი არ არის, ის ქალი გახადა მფრინავი, ე. ი. პირველი მფრინავი თურქი ქალი. გასცა განკარგულება ჩადრის მოხდისა და ვინაიდან დიდი არევ-დარევა იყო — გაიტანა თავისი. გამოაცხადა თავისი თავი თურქად. ამგვარად გახდა ეს კაცი უდიდესი პიროვნება და ჩვენთანაც კარგ დამოკიდებულებაშია, მაგრამ ამავე დროს აქ არ არის საქმე კარგად. იმიტომ, რომ პაპაჯანოვი საქმეს თავისკენ ქაჩავს, ჯაფაროვი თავისკენ. პაპაჯანოვი დაშნაკია და მას უფრო მეტი ხმა აქვს, ასე ვთქვათ, ეროვნული, ჩხენკელი კი სოციალ-დემოკრატია, ინტერნაციონალისტი და ვერაფერს ამბობს, თუმცა ცენტრი თბილისია. ხარლამოვი აღარ არის, ახლა ამიერკავკასიის კომისარიატია. კომისარიატში ჩხენკელი და გეგეჭკორი შეიყვანეს, გეგეჭკორი თავმჯდომარე ხდება. ამ დროს წამოვიდნენ თურქები. რუსების ჯარმა ხომ დატოვა საზღვარი და წამოვიდნენ წითელი დროშებით, ლოზუნგებით „ვსე პო დამამ“, „ტურკი ნაში ბრატია“, და ა. შ. მე მათ დავხვდი მტკვრის ხეობაში, ვარძია რომ არის, იქ, და არც ერთი ჯარისკაცი არ გამიშვია, იარაღი რომ არ ამეყარა. მარტო მათარებით ვუშვებდი. ჩვენი შეიარაღებული ძალები შედგებოდა ქართველებისაგან და სომხებისაგან, რომელიც მე შევადგინე. პირველი ქართულ-სომხური ლაშქარი, დაახლოებით ათიათასი კაცი და ესენი ანიარაღებდნენ მათ. მე აწყურს იქით ვარ, კავშირი არა მაქვს ამიერკავკასიის კომისარიატთან. გეგეჭკორი მოითხოვს გამომაცხადონ მტრად. არავის არ სცნობსო. მე ხომ მივეცი კომისრობა ყველას, ბახრიბეგი დავნიშნე ქალაქის კომისრად, გუდიევი დავნიშნე „უეზდის“ კომისრად, მერე „გრადონაჩალნიკი“ გახდა ბაქოში და ქე დახვრიტეს.

ვ. რ.: რატომ მოსწყდით კომისარიატს?

შ. მ.: გეგეჭკორი დაობდა იმაზე, რომ ჩვენ ერთი სახელმწიფო გვაქვს, რუსეთთან კავშირი არ გაგვიწყვეტია და შენ მანდ რას ამყარებო, ანგარიშს აღარაფერს არ უწევო. გამოგზავნა გენერალი არჯევანიძე და კოლია ქარცივაძე, გეგეჭკორის მოადგილე იყო, როგორც დიპლომატი. აზერბაიჯანელებმა და სომხებმა კომისარიატში მოითხოვეს, რომ ახალციხე და ახალქალაქი სომხებისა თუ თათრებისაა. დამავიწყდა მეთქვა, რომ მე ჩვენი პოლკის სამხედრო ექიმი, სომეხი, სამხედრო პრეზიდიუმი როცა გამოვაცხადე მაშინ, გამეპარა ახალქალაქში და ახალქალაქი შეუერთა ალექსანდროპოლის მაზრას, ერევნის გუბერნიას. გავაგზავნე პოლკოვნიკი კობეშავიძე, დავიჭირე ის, მოვიყვანე და სიკო ჩიქოვანს ჩავაბა-

რე ციხეში. ე. ი. ახალქალაქის შეერთება სურდა სომხეთთან. მე არ დავემორჩილე არც კომისარიატს, არც გეგეჭკორს და არც ქარცივაძეს — მოლაპარაკება ბორჯომში ვაწარმოოთო. მე მოვითხოვე აწყურს მობრძანდით-მეთქი. ე. ი. მე გავხდი კაცი, რომელიც არაფერს ანგარიშს რომ არ უწევს! — მე ვიყავი „უპოლნომოჩენნი მუსულმანსკოი გრუზიი“ და თქვენ თუ საქართველოდ არ თვლით — ნუ გინდათთქო. შეიქმნა დავა, აზერბაიჯანელი ოფიცრები იყვნენ, ვიზიროვები გვარად, დააყენეს საკითხი, დრო არის თურქეთთან საბოლოოდ დავამყაროთ კავშირი და კავკასია იყოს მაჰმადიანურიო. ჩრდილოეთ კავკასია მაჰმადიანურია, გუდიევი კომისარიატმა ბაქოს „გრადონაჩალნიკად“ გააგზავნა, ინგუშია, მუსაფიევი ინგუშია, აწყურში რომ არის. გააბეს კავშირი ერთმანეთთან და უნდათ ქართველები და სომხები მოექცნენ მაჰმადიანების რკალში. მე დამიჭერია წერილები, აზერბაიჯანიდან აქაურ თათრებს რომ სწერდნენ „სკორო მი ბუდემ დეფილიროვაც ვ სამომ ტფილისი, სკორო მი ბუდემ დეფილიროვაც ვ აბასთუმანე“ — ყველაფერი ეს მე მივარდება ხელში. ესე იგი შეთქმულებაა სრული.

მათი ლტოლვა ეთნოგრაფიული პრინციპით იმ დროისთვის ნორმალური იყო მათთვის, იმიტომ, რომ სათავეში სოციალისტები იყვნენ და ინტერნაციონალური გაგება უნდა იყოს ერებს შორისო. თავის დროზე ეს პრინციპი ჟორდანიამაც კი წამოაყენა, როდესაც ილია ჭავჭავაძეს ედავებოდა—ეთნოგრაფიული პრინციპით უნდა იყოს აგებული მომავალიო, შვეიცარიული კანტონური სისტემა უნდა იყოსო. და თუ ასეა, მაშინ თბილისი სომხების ყოფილა, ასე გამოდის, ბატონო, და მათი პრეტენზია გასაგებია. ამ პირობებში მე დავეყრდენი მაჰმადიან ბეგებს იმ მოსაზრებით, რომ ჯერ ერთი, გავლენიანნი არიან, მერე საზღვარი ოსმალეთთან გვაქვს, ოსმალეთი გერმანიასთან იყო კავშირში, შავ ზღვაში ორი გერმანული წყალქვეშა ნავი აღმოჩნდა, ომი რომ დაიწყო და იქ დარჩა, სხვათა შორის, 1914 წელს ფოთს დაარტყეს მოულოდნელად და ფოთის ევაკუაცია მოხდა. ამიტომ მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო მაჰმადიანებისადმი. თანაც მე დავნიშნე ეს მაჰმადიანები რაიონებში და დაიმედებული ვიყავი, რომ ზურგი მაგარი მაქვს. ასე, რომ ჩამთვალონ მე გარიყულად და მე მაინც ვიბრძვი სამცხე-საათაბაგოსთვის. გიმნაზიიდან მჭონდა თავში ეს აზრი. გეგეჭკორმა არ იცოდა, დამთავრებული ქონდა კლასიკური გიმნაზია და „ბორჯომის იქით თათრებიაო“ ამბობდა. მე კი, ასე ვთქვათ, გავაქართველე ისინი, მთელი თავისი არსებით, მაგრამ დარჩა ერთი მათგანი — სერვერბეგ ათაბეგი ფაშა, რომელიც ჩემთან კარგ ურთიერთობაშია. ყველაზე მდიდარი კაცი იყო ერთი სომეხი, რომელიც რუსებმა დაასახლეს აქ, მისცეს ცხენების ფერმა, შემდეგ ძალიან გამდიდრდა და იმ სომეხს, ბაიბურიც კი მისცეს გვარად, მდიდარი გახლდათ.

ვ. რ.: რა გვარის იყო ეს სერვერბეგი?

შ. მ.: მისი გვარი იყო სერვერბეგ ათაბეგოვ პრინც ქობლიანსკი, წარმოშობით ქართველი, ჯაყელი, მამამისს, ახალციხეში რომ მოკვდა გიორგი, ტახტის მემკვიდრე და მისი კუბო რომ მოქონდათ ხელით, გაუსკდა გული კუბოს ქვეშ, ე. ი. ძველი ფაშა რუსეთის ტახტის მემკვიდრის კუბოს ქვეშ კვდება. თავის დროზე საქართველოს უღალატა. როცა ფაშაობაზე გადავიდა ოდესღაც, ახლა კი უდიდეს ერთგულებას იჩენს რომანოვებისადმი, ხელით მოასვენებს კუბოს და კვდება.

იმ პირობებში, როდესაც მე ახალ ხელისუფლებას ვქმნიდი, სერვერბეგი დიდი მემამულე იყო. ქურთების ტომის ხალხიც, არტაანის ოლქიდან, ემორჩილებოდნენ მას. ახალციხეში ქონდა საკუთარი სახლები, აბასთუმანშიც. რამდენიმე უმაღლესი განათლება ქონდა მიღებული, გერმანიაში აგრონომიული და რუსეთში, პეტერბურგში, იურიდიული. თავისუფლად იცოდა გერმანული, რუსული, თურქული, ქართული უჭირდა. და შეიძლება ითქვას, არც იცოდა ქართული. უცოლშვილო იყო. იქნებოდა დაახლოებით 30 წლისა, მეტისმეტი მომჭირნე. სამხედრო საქმეც ესმოდა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო სამსახურში არასოდეს ყოფილა, ფაშა არაა, მაგრამ პრინც ქობლიანსკია, კნიაზია, სხვები — ავალიშვილები, ფალავანდიშვილები, ამილახვრები რომ არიან, ისინი არ ატარებენ ამ წოდებას. მათ ბეგს უძახიან. ბეგ ფალავანდოვ, ბეგ ამილახვარი ჩაუწერეს საბუთში. სერვერბეგის მამას, ფეიზულა ბეგს, ასეთი ტიტული მისცა რუსეთმა: პრინც ათაბეგოვ ქობლიანსკი. ამ ჰიდილში, სომხები თავისკენ და თათრები კიდევ თავისკენ რომ ექაჩებიან, ოსმალეთის აგენტურა ხელს უწყობს, როგორმე ჩამოაცილოს საქართველოს ტერიტორია და საზღვარი ბორჯომი გახადოს. ეს არ მოსწონთ სომხებს. დაშნაკცუთიუნის პარტია აღორძინდა, არალეგალურად რომ იყო. დაშნაკელები ცდილობენ ჩემთან კარგ ურთიერთობაში ყოფილიყვნენ. ერთერთი იმედი მე ვარ მაგათი, ახალქალაქი რომ არ დავანებე მაგათ, შეურიგდნენ ამ ფაქტს და მაქსიმალურად ცდილობენ კარგ დამოკიდებულებაში დარჩნენ ჩემთან. თურქებმა დაიწყეს თავდასხმები ქრისტიანულ სოფლებზე, პირველად, ხერთვისთან არის სოფელი სარო და იმას დაესხნენ, ქართულ სოფელს. ამ დროისთვის, როცა ეს ამბავი ხდება, ჩემთან მოვიდა კაცი და მითხრა, რომ ბორჯომში, სასტუმროში მოსულა გენერალი მაყაშვილი, კახელი და სურს თქვენთან გადმოსვლაო, მოხალისედ, ჯარისკაცის სახით. ცნობილი გენერალია, კადეტთა კორპუსში აღზრდილი. მე შევუთვალე, რომ შეგიძლიათ ჩემთან მობრძანდეთთქო. მაყაშვილს მოჰყვა პოლკოვნიკი კობეშავიძე. ესეც კახელი. მაყაშვილს სამხედრო სკოლა რომ გაუთავებია, აქ ყოფილა ტენგინის პოლკის ადიუტანტი და მთელი სომხობა იცნობს — კნიაზ მაყევ... ახალგაზრდა ოფიცერი რომ იყო, აქ მსახურობდა და მისი სიყვარული სამაჰმადიანო საქართველოსადმი გასაგებია. ყველა სომეხი მედუქნე იცნობდა. დაბადებია

აზრი, რადგანაც ასეთი დრო დადგა, წავალ ახალციხეში და რამეში გამოვადგები საქართველოსო. ის თვლიდა, რომ ეს კუთხე თათრების კი არაა, როგორც გეგეჭკორი, ჟორდანია და სხვები თვლიან, მისი ქვეყანაა.

მოვიდნენ ჩემთან ახალციხეში ეს შესანიშნავი გარეგნობისა და ჭკუაგონების ადამიანები—დამშვენებული იყვნენ ჭკუითაც, პატრიოტიზმითაც. სულითაც და გარეგნულადაც. მე ვუთხარი: ბატონო გენერალო, მე რა უნდა მოგცეთ-მეთქი. შვილოო, მითხრა, მე მოვედი, როგორც ჯარისკაცი და დაივიწყე, გენერალი რომ ვარო, მომეცი ერთი ოცეულიო. მე ვუთხარი — ბატონო გენერალო, თქვენ იყავით ჩემი უფროსითქო. — როგორ გეკადრებათ, ეგ არ იქნებაო, ოფიცრების ერთი ქვეითი ოცეული თუ შედგებაო, მომეციოთ და მივეცი მე ოცი ოფიცრისაგან შემდგარი ოცეული და ვის მერე?! გენერალ მაყაშვილს, ცნობილ კაცს მთელს რუსეთის ჯარში. შემდეგ კიდევ მოემატა ოფიცრები, ასე ოცდაათამდე ავიდა, მაგრამ ოფიცერთა ასეული ეწოდებოდა. გენერალი მაყაშვილია უფროსი და კობეშავიძე ყავს თანაშემწედ. მე და გენერალ მაყაშვილს ერთ ბინაში გვძინავს, ერთად ვართ, მე მაშინ უცოლშვილო ვიყავი, კობეშავიძესაც ჩვენთან ძინავს და ერთ მშვენიერ დილას, ნოემბერია, მოულოდნელად მომახსენეს მე და შალვა მაყაშვილიც იქ არის, რომ ადიგენიდან წამოვიდა მაჩაბელის, ჩემი კომისარის, რაზმებიო და ახალციხეს უახლოვდებიანო.

მანამდე სოფელ საროს, ხერთვისის რაიონში, დაესხნენ თავს თურქები და გვიშველეთო, ნამდვილი ქართველები იყვნენ, მართლმადიდებლები. როგორც ჩვენ ვართ, ისეთი. ამავე დროს, ესხმიან კათოლიკებსაც ვალეში. მე ერთი ქვემეხი მივეცი ვალეს და უდეს თავის დასაცავად. ზარბაზნის მაგივრად ხმარობდნენ სიტყვა დარბაზანს. არ დამავიწყდება მისდღემჩი: მოგვეცი ბატონო, დარბაზანიო და მივეცი მე მათ „დარბაზანი“. ამ დროს მოვიდა ცნობა საროდან—თავდასხმის შესახებ. მე ვუთხარი, გიორგი კობეშავიძეს. „გეორგიევსკი კავალერი“ რომ არის—რა ვქნათ, ბატონო პოლკოვნიკო, ხალხია მოსული, ტირიან, გვიშველეთო. კობეშავიძემ მითხრა: გამიშვი მეო, ერთი ქვემეხი მომეციო. კი ბატონო-თქო, მივეცი ერთი ქვემეხი და ექვსი არტილერისტი ბიჭი უდედან და ვალედან. წავიდა ექვსი არტილერისტი საროს გამოსახსნელად. მივიდნენ საროსთან, მიაგორეს ეს ქვემეხები და როგორც კი ისროლეს, გაიფანტნენ ისინი ყველანი, მაგრამ გიორგი კობეშავიძე, ეს უბედური კაცი კი მოკლეს, დაიღუპა. მძიმედ დაუჭრიათ, წამოუყვანიათ და გზაში მოუკვდათ. დამარხული არის მანგლისთან ახლოს, ერთ-ერთ ტყეში, მე გამიგონია მათგან, ხის ძირში. მან თავი შესწირა საროს ქრისტიანი მოსახლეობის გამოხსნას და ამის დავიწყება არ შეიძლება არაფრით.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ახლა ბახშიბეგ მაჩაბელის რაზმების მოახლოების შესახებ. მოვიდა დელეგაცია ბახშიბეგ მაჩაბელის მეთა-

ურობით, რომლებიც მოგვდგომია ადიგენის გზიდან. იქაური კომისარი იყო. ჩოხაში ბრძანდება. მე რომ ავსტრიული მალხერის სისტემის თოფები მივეცი საკავალერიო, ის გადაუკიდებია ყაჩაღურად. თვითონ დიდი ტანის, წარმოსადეგი კაცია, მე რომ გამოვიღვიძე და გავიხედე, გარშემო მთაზე შავად მოსჩანან თოვლზე. 1917 წლის ნოემბერია, კარგად მახსოვს, და უსინდისოდ მომადგა ბახშიბეგ მაჩაბელი. მერე მთლად გაქართველდა ვითომ, მე პოლკოვნიკობაზეც წარვადგინე. მაგრამ მაშინ, იმ დროს, იმდენად გატაცებული შეიქმნენ სომხობის ამოხოცვით, უნდათ მეც დამარწმუნონ, რომ სომხური ელემენტი არის ის ელემენტი, ვისაც საქართველოს დაღუპვა უნდა და ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები, მზად ვართ, გემსახუროთ, ოღონდაც სომხები არ იყვნენო, რადგან სომხები ბატონობენ ახალციხეში. ამათ კი აქვთ მამულები შიგადაშიგ. მაგრამ მაინც, თვით სერვერბეგ ათაბეგის მოურავიც სომეხია. სხვათა შორის, მისი დედის არაკანონიერ ქმრად ითვლებოდა ეს სომეხი მოურავი, ე. ი. ფაქტიურად სერვერბეგი სომხის ხელში იყო და მუდამ უსისინებდა ახალგაზრდა კაცს ქართველების წინააღმდეგ. სერვერბეგის შური ქონდათ დანარჩენ ბეგებს, როგორც ყველაზე მდიდრის და მათ შორის ამის გამო არ იყო კეთილი განწყობილება. ის მოურავი ძალიან უწყობდა ხელს სერვერბეგის მტრულად განწყობილებას მომავალი საქართველოსადმი. დედა ყაზანელი თათარი ყავდა, ე. ი. მამამისს, ფეიზულა ბეგს, ფაშას, შეურთავს ყაზანელი თათრის ქალი. ეს ქალი მთლიანად ჩვენი წინააღმდეგი იყო ეგრეთ წოდებული ქმრის წყალობით. ამ პირობების გამო სერვერბეგი განზე იდგა, არც გვმტრობს და არც კეთილი განწყობილებით არის, თანაც მე მისთვის არ მიმიცია არც ორდენები და არაფერი, იმიტომ, რომ პრინცია, ქობლიანსკი. სამხედრო საქმე თვითონ ესწავლა, თავისით, არც ერთ სამხედრო სკოლაში არ ყოფილა.

იმას მოგახსენებდით, რომ ერთ დილას დელეგაციას უდგას სათავეში ბახშიბეგ მაჩაბელი, წარმომადგენლები ყავს ყველა რაიონებიდან, მაჰმადიანები, ადიგენის, ახყურის, აბასთუმნის რაიონებიდან ორ-ორი კაცი. მობრძანდნენ ჩემთან შტაბში. ჯერ რომ შევხედე მე მაგას, ის ჩემი დაკერებული პაგონები კი აქვს: ჩემი კაცია, კაცო, მეჰრაბი იყო უწინ, წყლის გამყვანი, წყალს რომ უნაწილებდა მოსახლეობას, ახლა კაცია ამ ქვეყანაზე, ოფიცერია, ჩოხა აცვია, პაგონები აქვს, ბეგია. რუსულად ლაპარაკობდა, ქართული უჭირდა. შევეკითხე: „ტი ჩტო, იზმენიკ?“ არ მესმის, რას მეკითხებითო, მე ვუთხარი: კარგადაც გესმის, რასაც გეკითხები-თქო.—დაწყნარდით, დაწყნარდითო,—ერთი მათგანი, გვარად ორჯონიკიძე, მაჰმადიანი ურიადნიკია თურმე პოლიციის, აწყურში, წარსულში, მეფის დროს. ამ ორჯონიკიძემ ქართულიც არ იცის, აწყურელია და დამიწყო მე ქართულად ლაპარაკი. ბახშიბეგმა უთხრა, შენ დაელაპარაკეო. მე ვკითხე — რაშია საქმეთქო. ბატონო, ჩვენ იმისათვის კი არ მოვედით,

რომ თქვენ შეგაწუხოთ, ჩვენ იმიტომ მოვედით, ეს სომხები რომ არიანო, ესენი უნდა გავყლიტოთო, მაშინ გვეშველება ჩვენო. ე. ი. ქართველი მაჰმადიანები მოისვენებენ მაშინ, როცა არ იქნებიან ეს სომხები. ამიტომ ჩვენ მოვედით, რომ მთლიანად მოვსპოთ დედიან-ბუდიანად ქალაქი ახალციხეო და ისე არ წავალთო. თქვენ არ შეგაწუხებთო. ორი სოფელი რომ არის გრიგორიანელების, ახალციხის შემოსასვლელთან, უკვე დაკავებული გვაქვსო. ხალხი უკვე აყვანილი ყოლიათ, რომ დახოცონ. სარდაფებში ჩაუმწყვდევიათ მძევლებად და იმათ სულ მოკლე ხანში გავათავებთო. რას ამბობ, თუ იცითქო! თქვენ ქართველი კაცი ხართო, მითხრა და მე მედავებითო? ე. ი. ამას ნორმალურად თვლის, სარდაფებში რომ ყავთ ბავშვები და ქალები. ახლა აქ მობრძანდნენ. რაბათის მხრიდანაც მომდგარი არიან. აწყურიდან გასულან სოფელ სვირზე და იქიდან მოგვიდგნენ. მაღალი ადგილი რომ არის, სადაც არტილერია გვქონდა და ქართველი კათოლიკები ცხოვრობდნენ, იქიდანაც არიან მოსული. ე. ი. მთლიანად გარშემორტყმული ვართ. ბორჯომის მიმართულებით აღმასკომის თავმჯდომარე ომარ ფაიკი ბრძანდება. წარმოშობით ნამდვილი ქართველი. მისი დისშვილი იყო ახმედი, მაგაზე მერე მოგახსენებთ, რომელმაც საბჭოთა ჯარები შემოიყვანა ბაქოში, პეპინაშვილი გვარად, ჩემი ამხანაგი იყო მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე და ვიცნობდი როგორც ქართველ კაცს. პეპინოვ-პეპინაშვილი, მაჰმადიანი იყო. შემდეგ აზერბაიჯანის პარლამენტში სოციალისტური ფრაქციის ლიდერი გახდა ეს ახმედი, ჩემი ამხანაგი მოსკოვიდან. დიდად პატრიოტობდა ეითომ და მერე იქ იყო. იმან შემოიყვანა პირველი საბჭოთა ჯარი ბაქოში, როგორც სოციალისტური ფრაქციის ლიდერმა.

იმას მოგახსენებდით, მე გავწყრი სასტიკად, ორჯონიკიძეს ვუთხარი — გაპატიმრებთქო. როგორ დამაპატიმრებო — თვითონ დაპატიმრებული ბრძანდებითო. ამ დროს კივილი ისმის სასტიკი, ნიკოლოზის ქუჩა იყო ერთადერთი ქუჩა, ხიდზე რომ გახვიდოდი ზევით, მერე ქუჩა აღარ ქვია, რაბათია, აი აქ, ხიდთან, თავი მოიყარა ხალხმა და კივიან, რომ დაგვხოცავენო. გაუგია უკვე მოსახლეობას სოფლების ამბები და ვისაც რა იარაღი უშოვია — ხანჯალია, რევოლვერია, თუ „ლაფათქები“, სულ შეიარაღებულან, მაგრამ ხიდს აქეთ ვერ მოდიან, მე ძირს მყავს ინგუშების ესკადრონი, მეფის დროიდან დავტოვე ყველა, ცხენოსანი რაზმია, ასოცი კაცი, მაგრამ ამ გადმოღმაა ეს, აბასთუმნის გზაზე, ამიტომ მე უნდა გამოვიდე და მოვუწოდო ამ ინგუშებს, პირველი ძალა ესაა, ნამდვილი მხედრული ძალა და დანარჩენი მოხალისეები არიან. გამოვეშურე მე ფეხით შტაბიდან და მომდევს თან ეს ორჯონიკიძე და დეპუტაცია. ხიდთან როდესაც მივედი და სომხებმა დამინახეს, იყვირეს, გვიშველეთო, მკლავიან ფეხზე კაცები, ქალები, ტირიან, იქცევა ქვეყანა, გავედი ხიდზე. ესკადრონი მარცხენა მხარეს არის განლაგებული. ვუ-

ბრძანე ესკადრონს: ცხენებზე! მეც მომგვარეს ცხენი. გავეშურე მე ბორჯომის მიმართულებით, სოფელი ამირანწმინდა რომ იწყება, იქ არიან დაბანაკებულიო, მოვიდა ცნობა. ორი-სამი კილომეტრი გავიარე და მართლაც დავინახე, აქ არიან დაბანაკებულნი. მივუახლოვდი ასე ნახევარი კილომეტრით, მოვიხედე უკან და არც ერთი ინგუში აღარ არის., მარტო ერთი კაცია, ვინა ხართქო: ბერიძე ვარო, ესკადრონიდან. ინგუშები შეთქმული ყოფილან ომარ ფაიკთან, რომ მე მიღალატონ და მთავარი დასაყრდენი, სამხედრო ესკადრონი ჩამომშორდა, ყველა ინგუშები იყვნენ, მარტო ერთი ბერიძეა თურმე ქართველი მართლმადიდებელი. მე არც კი ვიცოდი, თუ ის ბერიძე იყო. როდესაც მივუახლოვდი ვხედავ, ცხენზე ზის ომარ ფაიკი, უუნაგირო ცხენზე და მივაშურე ბერიძესთან ერთად ომარ ფაიკს. აჯანყებულები თხრილებში არიან ჩაწოლილები, რომ მივუახლოვდი, ადგნენ და სალამს მაძლევენ მაჰმადიანურად, ე. ი. იმათ იფიქრეს, რომ ჩვენ ერთი და იგივე ვართ. ომარ ფაიკი აღმასკომის თავმჯდომარეა. მე უფროსი ვარ, ჩემი კაცია ესა, ალბათ მეც ვიღაცას ვღალატობ და არაფერი არ იმოქმედეს. არც ამას უბრძანებია — შეშინდა. მივაშურე და სიმართლე უნდა მოგახსენოთ რომა მოვუქნიე მათრახი ომარ ფაიკს და მან ცხენი უკან დახია. წამოვედით უკან. იქიდან სომხები შემოგვხვდნენ, რა ამბავიაო, მე რომ ცხენი გავაქანე, შეშინდნენ, მაღლაკელიძე არ დაიღუპოსო, ჩვენ რაღა გვეშველებაო. სომხები თავისიანად მთვლიან. ქრისტიანული პრინციპია. წავედი ნიკოლოზის ქუჩით შტაბისაკენ და იქვე სხედან ბახშიბეგი და დეპუტაცია, არ დაძრულან ადგილიდან და ისინი დავაპატიმრე. მთავარი ძალები იყო აწყურისა, იქ კი ომარ ფაიკია მთელი მოძრაობის თავი, თურქების აგენტი ნამდვილი და ამათ რაღა უნდა ექნათ, ეს რომ დაპატიმრებული ნახეს.

ვ. რ.: რა მოსაზრებით დაიცავით ეს სომხური მოსახლეობა?

შ. მ.: ეს უკვე ქრისტიანული, რელიგიური მომენტია. დამაეწყდა მეთქვა, რომ მითხრეს ყველაფერს ამ საქმეს ხელმძღვანელობს ჩუმად ვინმე სპარსელი პოლკოვნიკი კაჯარი შაჰინშაჰების ოჯახიდანო. კაჯარები იყვნენ შაჰინ-შაჰები ყოველთვის. რუსეთმა გადაიბირა ერთი შაჰინშაჰის ოჯახიდან, კაჯარი იყო მათი გვარი და ნიკოლოზის ამალის პოლკოვნიკი იყო ეს კაჯარი, ე. ი. გადმოვიდა რუსეთში, გარუსდა, ნიკოლოზის ამალაში მსახურობდა და ახლა აქ არის, ის ურევია ომარ ფაიკის მოძრაობაში, ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელია და მაჰმადიანობის ნიადაგზე გამოდის ეს სპარსელი თურქების მხარეს. მათ შორის განსხვავებაც არის, არიან სუნიტები და შიიტები. კაჯარი შიიტია, ერთმანეთის მტრები არიან და აქ უკვე მოყვრები გახდნენ. აზერბაიჯანის დავალებით იყო მოსული ჩუმად, მე რომ წერილები მივარდებოდა ხელში, ერთ წერილში იყო: „პრინც კაჯარ". სომხები დაიშალნენ, ომარ ფაიკის ხალხი ყველა მიიმა-

ლა. დამრჩა ხელში ეს დეპუტაცია: ბახშიბეგ მაჩაბელი, თვითონ პრინცი კაჯარი არ ჩანს. ინგუშების ესკადრონი თავის ადგილზე დაბრუნდა. მე მათ მოვთხოვე პასუხი და შეცდომაში შეგვიყვანა ბახშიბეგმაო, მერე გამოტყდნენ — კაჯარისგან ყოფილა ეს. მე ვუთხარი დეპუტაციას: თქვენ ხართ ჩემი კომისრები, ადმინისტრაცია, თქვენ უნდა მეხმარებოდეთ მე წესრიგის დამყარებაში, მე თქვენ მოგენდვეთ, ჩინები მოგეცით, რაც შემეძლო, ყველაფერი მოგეცით, შენ მეპრაბი იყავი, წყლის დამრიგებელი, ახლა კაპიტნის ჩინი გაქვს და შენ კი ამას ჩადიხართქო. რა ვქნა, ბატონო, პრინც კაჯარის მოწყობილი საქმეაო. ვინ არის პრინც კაჯარითქო — შევეკითხე. პრინც კაჯარი ომარ ფაიქმა იცის ვინ არისო. მეც ვიცოდი, რომ სადღაც არის პრინც კაჯარი, მაგრამ არ ჩანს, მოხდა ის, რომ მითხრეს, შეეცდით ბატონოო. მთელი სიმძიმე პრინც კაჯარზე გადაიტანეს, პირველი, რაც მოვთხოვე, დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ იმ ორი სოფლის მაცხოვრებლებითქო.

მეორე დღეს შეუდგნენ ჩემთან ადრინდელივით სამსახურს. ომარ ფაიქმა მომცა ისევ ფიცი. მე მას როგორ ვენდობი, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს.

ვ. რ.: ე. ი .მდგომარეობა იხსნა ამ თქვენმა ფსიქოლოგიურმა მოშენტმა?

შ მ.: მეტმა არაფერმა! თათრებმა არ მესროლეს — ნაჩალნიკიაო, მერე მათრახი რომ დავარტყი, ამან მოახდინა გავლენა, ცხენიდანაც კი ჩამოვარდა და გათავდა ამით ყველაფერი, თანაც თვითონაც არ იციან კარგად, რას აკეთებენ, საწყალი, ბნელი ხალხია. მისდღემჩი ჯარში არ ყოფილან, თოფები ყოველთვის საყაჩაღოდ ქონდათ. ფოსტა რომ მიდიოდა ბორჯომიდან ახალციხეში, აწყურში რომ გაიელიდნენ, იმას ძარცვავდნენ, დაესხმოდნენ თავს და ეს იყო მათი ხელობა.

მე ისევ შევუდექი მუშაობას, აგიტაცია და პროპაგანდა სწარმოებს სასტიკი. გრძელდება თავდასხმები სხვადასხვა ადგილებში ქრისტიანულ სოფლებზეც, პატარა რაზმები გადმოდიან, ქრისტიანობა ძალზე შევიწროებულია, მოკლეს ფალავანდოვი ბეგი იმ გადმოსულებმა. ქრისტიანული მოსახლეობა სადაც არის, იქაური ბეგი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს, ასეთი არევ-დარევა რომ არის, შემოვიდა ახალციხეში ერთი პატარა რაზმი, ოცდაათი კაცი. ჩემს შენობას, სადაც მე ვარ, აივანი აქვს და იმ აივანის ქვეშ დაბანაკებულან, აივანზე რომ გამოვედი, დავინახე ესენი და დავუძახე, რა ხდება, რაშია საქმეთქო. ერთი პატარა ბებერი კაცი გამოეყო მათ, მოკლე ჟღალი ჩოხა აცვია და მე არსლანი ვარო, ქართულად ლაპარაკობს, ამოდი ზემოთ-თქო. ამოვიდა, შევეკითხე: ვინ ხარმეთქი. მე ვარო მუტრიბიო. რა არის მუტრიბითქო, შევეკითხე. ჩვენო მუტრიბები გვქვიაო, ჩვენ ვართ ძველი ქართველებიო, გამაჰმადიანებულები და ხან ოსმალეთში ვცხოვრობთო, იქაც გვდევნიანო

და ხან რუსეთის ტერიტორიაზე, აქაც გვდევნიანო და როგორც ციგნები, ისეთ დღეში ვართო. ჩვენ არც სულთანის, არც ნიკოლოზის ხალხი არა ვართო, მაგრამ სულ მუდამ გვიხდება საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლა. ხან ისინი გამოგვრეკავენ და ხან აქედან გაგვრეკავენო, მოხეტიალე ხალხი ვართო. როდესაც სამასი კაცი გავხდებით, ჩვენი ერთად დადგომა აღარც შეიძლება და მაშინ უნდა გავიყაროთო, თორემ სისხლის ღვრა იქნებაო. არც სახლი აქვთ, არც კარი, ცხენები ჰყავთ, ქალები თან დაჰყავთ, ისინიც ცხენებზე სხედან ჩადრების გარეშე. არსლანი არის მათი მეთაური, პატრონი. ტომს ერქვა სახელად მუტრიბი. გავიგეთ მეფე აღარ არისო, რუსები აღარ არიანო და გვინდა აქ დავბანაკდეთო, ამბობენო, რომ მიწებსაც მივიღებთო. ჩვენ ხომ აღარაფერი გაგვაჩნია, არც მიწა, არც სახლიო და გვინდაო მიწა, შენთან ამაზე მოვედითო და აღარ გავიქცევითო, აქ დავრჩებითო. სად მოგცეთ-მეთქი მიწა და ფალავანდოვის მამულშიო, შულავერის რაიონშიო. ერთი ჯგუფი ჩვენ იქ დავტოვეთ და ბაღებში არიან შესულიო. ამის ლაპარაკში ვართ და თვითონ ფალავანდოვი მოჭენდა ცხენით აღელვებული და მითხრა: ჩემი ბაღი დაიკავეს მუტრიბებმაო. ეს ხდება 1917 წლის ივნისში. პურის ნათესები სულ გაუთელიათ ცხენებით. სადაც შევლენ, ყველაფერს ანადგურებენ, ერთ კვირაში სულ გააოხრებენ. ეს არის ბანდა, რომელიც არც თურქეთს ემორჩილება და არც არავის. არც არიან მაჰმადიანები და კიდევაც არიან. არც ქრისტიანები არიან. არსლანი ჩემთან დავიტოვე. ავიყვანე ჩემი ინგუშები და გავეშურე ფალავანდოვის მამულისაკენ, რომ გამოვყაროთ ესენი იქიდან. ტირის კაცო ფალავანდოვი, დამიწვეს ყველაფერი, ცხვრებს კლავენ, ჭამენო, ქვაბები ჩამოკიდეს ვაშლის ხეებზეო, რა ვქნა არ ვიციო.

ფალავანდოვის მამულს რომ მივუახლოვდი, გამოვიდნენ ქალები ცხენებზე და პატარა ბავშვებს ისვრიან ჩემს ცხენის ქვეშ, შევშინდი კაცო, გადავირიე, არსლანმა თქვა, მე დავაწყნარებო. ამის მაგივრად პირიქით, გააგებინა იმათ, რომ წინააღმდეგობა გაუწიეთო, გამოვბრუნდი უკან არსლანს შევეკითხე: საიდან მოხვედით ჩემთანთქო. ქუთაისში ვიყავიო გადასულან ზეკარზედ აბასთუმნის გზით ქუთაისში. იმ დროს ქუთაისში „პაგრომები“ მოუწყვიათ რუსის ჯარისკაცებს. გაუგიათ ამათ ეს ამბავი, უფიქრიათ: ძარცვა-გლეჯის დრო დადგაო და წაუყვანია ეს თავის ბანდა არსლანს. გაუძარცვიათ ქუთაისში მაღაზიები, გადმოსულან ახალციხეში და მე მომადგნენ. ეს მუტრიბები შემდეგ სერვერბეგ ათაბეგის განმგებლობის ქვეშ დარჩნენ, როდესაც სერვერბეგი ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდა.

სერვერბეგ ათაბეგი ამ დროს არის უკვე ჩვენი მტერი, იმიტომ, რომ პირველი რაც გააკეთეს ჩვენებმა, კომისარიატმა კავკასიისამ, სახლები ჩამოართვეს ახალციხეში. ე. ი. ქონება. სერვერბეგი ოსმალეთის აგენტად ჩათვალეს. გეგეჭკორმა გამოგზავნა ვინმე ევგენი დარჩია (მენშევიკი)

ამ საქმის მოსაგვარებლად, როცა ცეკავშირი დაარსდა, მისი პირველი თავმჯდომარე იყო ეს ევგენი დარჩია, სერვერბეგმა შემატყობინა, რომ ყარსში მივდივარო და იცოდე, არ დავზოგავო, არც ერთი ქართველის ფეხი არ იქნება ჩემს ბაღშიო, რაიმე დიდ პოლიტიკაზე კი არ ამბობს, ჩემი, ბენაარისთვისო, ბაღისთვისო.

ვ. რ.: ხომ იყო ცოტა უგუნური მენშევიკების პოლიტიკა ამ საკითხში?

შ. მ.: უგუნური კი არა, მთლად სულელური. რა დროს ბაღია. შენ უნდა გადმოიბირო რამენაირად, პირიქით რამე უნდა მისცე. მე მოვიფიქრე ახალგაზრდა კაცმა რაღაცა და შენ ხარ, კაცო, გეგეჭკორი, სახელმწიფო დუმის წევრი, ნიკოლოზის დროს გამოდიხარ პურიშკევიჩის წინააღმდეგ, მილიუკოვის წინააღმდეგ, ცნობილი ადვოკატი ხარ, იურისტი და იმის უნარი არ უნდა გქონდეს, რომ როგორმე მოინადირო მისი გული? შენ კი ბენაარის ბაღს ართმევ, სადაც თვითონ ძინავს, ყმებს არ ენდობა, არ გამიფუჭონ ვაშლიო და თითოეულ ვაშლს ცალკე ქაღალდში ახვევს, რომ არ გაუფუჭდეს. გადააქვს ხულოს გზით ბათუმში და მარსელში გზავნის.

ყარსზე სომხები ამბობენ, რომ ჩვენი ტერიტორიააო, მაგრამ თურქების ხელშია და სერვერბეგს გადაუწყვეტია, შექმნას ეგრეთ წოდებული ბუფერული ყარსის მთავრობა თავისი თავმჯდომარეობით. ეს იქნება მაჰმადიანური ქვეყანა თურქეთსა და საქართველოს შორის. შიგ შევა ახალციხე-ახალქალაქის მაზრა, აჭარაც, შეადგინა მან ეს ყარსის მთავრობა. აღარ წერენ ახლა ამას. ეს ყარსის მთავრობა შემდეგ დამარცხდა. სერვერბეგმა ცხოვრება შემდეგში დაამთავრა, როგორც ანკარის პარლამენტის წევრმა ყარსის ოლქიდან. მერე თურქებმა არ იგუეს, უთხრეს, შენ მაინც გურჯი ხარო, და მეორე არჩევნებზე აღარ აირჩიეს. 1918 წლის 26 მაისს ჩვენ გამოვაცხადეთ საქართველოს დამოუკიდებლობა, თურქეთის დაწოლით და გერმანელების რჩევით, თურქეთი დაიკავებდა საქართველოს, თუ არ გამოვაცხადებდით ჩვენს დამოუკიდებლობას. სერვერბეგი დარჩა ჩვენი მტერი არა ყარსის მთავრობის სახელით, არამედ პირადად. ჩემს მაგივრად, ამ დროს ახალციხის მაზრაში არის გენერალი მაყაშვილი.

ვ. რ.: ე. ი. ახლა იწყება ის პერიოდი, როდესაც თქვენ ტოვებთ ახალციხეს, მაყაშვილი რჩება თქვენს მაგივრად და მისი ბედი?

შ. მ.: მე გადმოვედი ქუთაისში, ასე რომ ბრძოლა სერვერბეგთან მე აღარ მიხდებოდა, ბრძოლა უხდებოდა მაყაშვილს ჯერ და მერე მთავრობას მაისის შემდეგ. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ჩვენ უნდა დაგვეტოვებინა ახალციხე და მაყაშვილმა მიიღო ბრძანება. მე იქ უკვე აღარა ვარ. პრინც კაჯარი უკვე ღიად გამოჩნდა. დადის თბილისში კომისარიატში და აკეთებს ოსმალეთის საქმეს. მაყაშვილს ოფიციალურად უბრძანეს, რომ გამოვიდეს ახალციხიდან. მაყაშვილი დაემორჩილა ამი-

ერკავკასიის კომისარიატს. მაყაშვილმა მოახერხა, შეირაღებული გამოვიდა ახალციხიდან და მოაღწია აწყურს. ეს მე თვალით არ მინახავს, მაგრამ ეს ამბავი ნამდვილად ასე იყო, ვიცი ეს პირადად მაყაშვილისაგან, აწყურში რომ მოვიდა, თურქეთის გუბერნატორი — ვალი გამოცხადდა თვით აწყურში. ე. ი. ბორჯომამდე ამ ვალის ხელშია ყველაფერი. ახალციხეშიც ვალია უფროსი. ჩვენთან რომ იყვნენ ბეგები, ზოგიერთები მიემხრნენ ვალს, ახალ გუბერნატორს თურქეთისას. მაყაშვილმა წამოიყვანა ქართველები, ვინც კი შეძლო, ის ოფიცრებიც, მე რომ მივეცი თავის დროზე და წამოვიდა სამხედრო წესით, გაიგო, რომ აწყურში ვალი დაჯდა, შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს და ამიტომ მოდის სამხედრო წესით. როგორც კი მოვიდა აწყურში, ვალის შტაბში, აქ უთხრეს შეჩერდიო, მაგრამ იციან შეიარაღებული რომ არის. ახალციხეში ხომ არ დაანება იარაღი იქაურ ვალის, არადა ბრძანება აქვს კომისარიატისაგან, ჩააბაროს ყველა ტერიტორია, იარაღი, ქონება. გამოვიდა ვალი თავისი შტაბიდან და უთხრა მაყაშვილს — მე ბრძანება მაქვსო თურქეთის სარდლობის, რომ უნდა დავიკავო ეს ტერიტორია ბორჯომამდე და თქვენი იარაღის ჩაბარების უკანასკნელი ადგილი აქ არისო. თქვენ არღვევთ თქვენივე კომისარიატის დადგენილებასო, ამიტომ ვერ გაგიშვებთ და სისხლს ნუ დაგვაღვრევინებთო. მაყაშვილმა უთხრა: მე იარაღს არ ჩაგაბარებთო. ფრანგულად ლაპარაკობდნენ. მოდით ყავა მივირთვათ და ვილაპარაკოთო — შესთავაზა ვალიმ. მაყაშვილი არ დაჯდა, ვალის ეგონა, რომ მაყაშვილი იარაღს ჩააბარებდა, ძალითაც არ უნდა, იმიტომ რომ ეშინია. იცის, მაყაშვილს რომ საკმაო ძალები გააჩნია. ვალიმ მაინც მიაწოდა ყავა მაყაშვილს და უთხრა — ეს ბრძანება უნდა შეასრულოო. ამის თქმა იყო და, ეს ცნობილი ფაქტია, მაყაშვილმა შეთავაზებული ყავა სახეში შეასხა ვალის. ვალი გაშეშდა, ხმა ვერ ამოიღო და გამოუშვა მაყაშვილი ბორჯომში იარაღით, უბრძოლველად.

მაყაშვილი მე მოვიწვიე, როდესაც თბილისის გენერალ-გუბერნატორი ვიყავი და დავნიშნე თბილისის კომენდანტად. ამაზე აყაყანდნენ სოციალისტები: თქვენ რეაქციონერები ხართო და აიძულეს მაყაშვილი და მეც მაიძულეს, რომ გამეთავისუფლებია. მაგრამ მე წავედი ვეზიროვთან. — განჯის გუბერნატორი იყო, მოველაპარაკე და განჯის სამხედრო სკოლის უფროსად დავანიშნინე მაყაშვილი. გუდიევი, ახალციხეში „უეზდის ნაჩალნიკი“ რომ იყო, დაინიშნა „გარდონაჩალნიკად“ ბაქოში. პეპინოვი, ომარ ფაიკის დისშვილი ახმედ პეპინაშვილი, გადაიქცა ქართველი მოქალაქიდან აზერბაიჯანელ მოქალაქედ, სოციალისტური ფრაქციის ლიდერი გახდა აზერბაიჯანის პარლამენტში. ამ პეპინოვმა შემოიყვანა პირველი მატარებელი წითლებით ყოველგვარი ბრძოლის გარეშე ბაქოში. ე. ი. სულ ახალციხის ხალხია, ჩვენი გენერალი მაყაშვილი კი, როდესაც რომ გასაბჭოება მოხდა, პეპინოვის შემდეგ, შეიპყრეს, ხელ-

ფეხი შეუკრეს, კასპიის ზღვაში გადააგდეს და დაახრჩვეს. ასეთია მისი ხვედრი.

ვ. რ.: რა სისულელე იყო ამ კაცის ხელიდან გაშვება.

შ. მ.: რამიშვილმა ქვეყანა დააქცია. ჟორდანიამ თქვა, რად გვინდა, ვინ არის ეს კაციო, მაგ არაფერს არ შეასრულებსო და ა. შ. იძულებული გავხდით ისე მოვქცეულიყავით, როგორც ზემოთ მოგახსენეთ.

ახლა დავუბრუნდეთ ჩემს ქუთაისში გადასვლას, მე მთხოვეს, რომ ქუთაისში ჭაოსია და წესრიგის დასამყარებლად კაცი არ არისო. მე გადავედი, როგორც ქუთაისის მაზრის კომისარი. შევადგინე რაზმი მოხალისე ქართველი სტუდენტებისაგან, ერთი ესკადრონი და ამ ესკადრონის საშუალებით დავამყარე სრული წესრიგი ხონამდე. ადგილზე იყვნენ უკვე ბოლშევიკები, კომისრები, მაგალითად, ფარცხანაყანების და მაღლაკის კომისრები იყვნენ კომუნისტები. მე ისინი მოვხსენი ყველა, მოვატანინე იარაღი და ასე დავამყარე სრული წესრიგი ქუთაისში. ქუთაისში ვიყავი ექვსი თვე. თბილისში რომ გადმოვედი, გერმანელები უკვე მოსულები არიან. სათავეში უდგას შულენბურგი და გენერალი კესტრინჯი, რომლებიც შემდეგ სტალინთან იყვნენ ელჩად და ატაშედ. მათ მოინდომეს, რომ ერთპიროვნული გუბერნატორი ყოფილიყო და არა კოლეგიალური. ამიტომ ჟორდანია-ხატისოვი-პოპოვის მაგივრად მე გავხდი ერთპიროვნულად გუბერნიის კომისარი, ნოე ხომერიკის და ნოე რამიშვილის სურვილით. მომიწვიეს მე, როგორც კარგი ადმინისტრატორი. ახალციხეში დავამყარე წესრიგი, ქუთაისში დავამყარე წესრიგი და ოფიციალური დადგენილებით მომიწვიეს აქ, თბილისში, გუბერნიის კომისრად. თანაშემწეებად ავიყვანე ყოფილი გუბერნატორები განჯის და და ერევნისა — ჩიქოვანი და კალანდარიშვილი, მისენკო — თბილისის ვიცე-გუბერნატორი, ნახევრად უკრაინელი, დედით ქართველი, ეს სამი თანაშემწე და ვასილეესკი, ადრე გუბერნატორის მდივანი, დავტოვე მდივნად. ძველი გუბერნატორის კანცელარია დავიკავე სოლოლაკში. 18 ოთახისაგან შედგებოდა, ბინადაც იქ დავბინავდი. ახლა წითელი ჯვარია შიგ.

შევუდექი საქმეს, გერმანელების ბავარიის დივიზიაა, შესანიშნავი წესრიგის და დისციპლინის, გარეთ არ გამოდიან, ავლაბარშია უაზარმები და იქ არიან, მაგრამ ამ დივიზიის ნაწილებს ზოგიერთი რკინიგზის სადგურიც უკავიათ ბათუმიდან მოკიდებული, ასე რომ, ყველა აქ არაა. მათი მეთაურები, როგორც მოგახსენეთ, არიან შულენბურგი — ვილჰელმ მეორის ამალის ყოფილი პოლკოვნიკი და გენერალი კესტრინგი. არის კიდევ კრესტ ფონკრესტენშტაინი, გენერალი, პოლიტიკური ფიგურა.

მე დავეყრდენი ძველ მოხელეებს, გუბერნატორებს. ამათ იციან ყოველგვარი წესი. მათ მითხრეს, რომ, უნდა მიაღწიო გენერალ-გუბერნატორობასო, იმიტომ, რომ გენერალ-გუბერნატორის ფუნქციები არ ეგუ-

ება რესპუბლიკის ფუნქციებს, მაშინ სამხედროც და სამოქალაქო საქმეც მის ხელში გადადის და მთავრობა განზე დგება, სანამ სამხედრო წესრიგი არ მოიხსნებაო. ეს ყველაფერი ამათ ამიხსნეს, მე არ ვიცოდი, კომისრობაც მაკმაყოფილებდა. დამიახლოვდა ვინმე შმიდტი, გერმანელი, რომელმაც რუსულიც იცის. ჩემი მეუღლე გერმანელი იყო. მე თბილისში დავჭორწინდი, ამიტომ გერმანელებისთვის მე შორეული, უცხო კაცი არა ვარ.

თბილისის გუბერნიაში მაშინ შედიოდა გორის მაზრა მთლიანად, ბორჯომის რაიონიც, ახალციხის მაზრა, ახალქალაქის მაზრა. დუშეთის, თიანეთის, სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს მაზრები — ეს იყო ვეებერთელა, თითქმის ნახევარი საქართველო.

სხვათა შორის, ერთი პატარა ეპიზოდის შესახებ მინდოდა მომეხსენებინა თქვენთვის. შემთხვევითი ამბავია, მაგრამ ძალიან დამახასიათებელი, იმიტომ, რომ ახლაც თითქოს აქტუალურია ეს საკითხი. საკითხი ქართველების მისი მიწაწყლიდან აყრის და შორეულ ციმბირში გადასახლების ცდას ეხება. ეს თითქოს ახალი ამბავია და მიეწერება ხრუშჩოვს, ხალხი მიაწერს, ასე უნდოდაო. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და მე მინდა მოვიგონო ძველი ამბავი იმ არქივების საფუძველზე, რომელიც ჩემს ხელში იყო თავის დროზე. ესაა ვორონცოვ-დაშკოვის მეფისნაცვლობის დროინდელი თბილისის გუბერნატორის კანცელარიის არქივი. იყო თეთრი ქაღალდი, როგორც წესად ჭონდათ მიღებული მაშინ, მშვენიერი კალიგრაფიული წესით შესრულებული. ნახევარზე იწერებოდა, ნახევარი რჩებოდა სუფთად, შენიშვნების დაწერა რომ ყოფილიყო მოსახერხებელი, თავისი აზრი რომ გამოეთქვათ. ახლა სხვა ამბავია, ნაწერზე უნდა დააწერო, ნაწერზე ნაწერი და ვეღარ გაიგებს კაცი, რა წერია რეზოლუციაში და შიგნით რა ეწერა. ასე არ შეიძლებოდა.

მოხდა ასეთი ამბავი, როდესაც ალიხანოვი 1905 წელს შეიჭრა გურიაში, როგორც ამბოხებების ცენტრში (გურია მეფის მოწინააღმდეგე მხარედ იყო აღიარებული), გამარჯვების შემდეგ მან მაზრის უფროსად დანიშნა ვინმე პოლკოვნიკი ზაკუსოვი, ე. ი. ადმინისტრაციული ცენტრის ხელმძღვანელად. მეფის დროს იყო კანონი, რომლის საფუძველზე გუბერნატორს შეეძლო გამოეტოვებინა მეფისნაცვალი და უშუალოდ შეეტყობინებინა მეფისათვის რაიმე ამბის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლიდა, რომ არ იყო სასურველი ამის შესახებ ფართოდ სცოდნოდათ სხვებს. დაწერა ზაკუსოვმა „რაპორტი“. მე ვიცი მისი შინაარსი, თავად წამიკითხავს, ახლა დაკარგულია ის დოკუმენტი და რა ეწერა ახლა ამ „რაპორტში“... მიმართვა, რასაკვირველია, როგორც შეჰფეროდა მეფეს, წესი იყო და ისე უნდა დაეწერა. შემდეგ იწყებოდა მოხსენება.

პირველი: „გურიიცი კაკ პლემია პრესტუპნი პო პრიროდე პო სვოემუ როჟდენიუ“. ეს იყო პირველი მუხლი.

მეორე მუხლი: „კაკ პლემია“, სულ „პლემია“ — ერად არ თვლის, „პრესტუპნიე ი ნეისპრავიმიე, სო ვსემი სემიამი დოლჟნი ბიც ვისელენი ვ ოტდალიონიე გუბერნიი სიბირი“!.. მთავარი ეს იყო, რაც მახსოვს, დანარჩენი მეორეხარისხოვანი იყო. ბოლოს, როგორც წესი, ეწერა: „დაკლადივაიუ კუტაისკომუ გუბერნატორუ სლავოჩინსკომუ ნა პრედმეტ ნაპრავლენია ეგო იმპერატორსკომუ ველიჩესტვუ“. სლავოჩინსკიმ არც აცივა, არც აცხელა, კარგი ამბავია, არც ერთ გუბერნატორს არ გაუკეთებია ამისთანა დიდი ამბავი, ვორონცოვ-დაშკოვს არ მოახსენა და თავისი წარწერით გადაუგზავნა ნიკოლოზ მეორეს. ნიკოლოზმა მიიღო ეს წერილი, არ მოეწონა და წააწერა ზედ: „დიადიე ილარიონუ ოტ ნიკა“. ე. ი. არ განიხილა თვითონ. რატომ დაწერა „დიადიე“ და აღზრდილი იყო ვორონცოვ-დაშკოვის მიერ სასახლეში. იმიტომ გამოაგზავნა მეფისნაცვლად აქ, რომ უკეთეს კაცს ვის მონახავდა. თავის მასწავლებლად მიაჩნდა და ნიკი იმიტომ მიაწერა, ღირსებისათვის... ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ „რაპორტს“ ახლოს არ მიიკარებს, იმდენად პატივს სცემს თავის აღმზრდელს. მიიღო ეს „რაპორტი“ ვორონცოვ-დაშკოვმა და ახლა არის მისი ხელით დაწერილი შენიშვნები. უპასუხა ყველა იმ საკითხებზე, რაც აქ ეწერა. იმავე „რაპორტზე“, რომ მოგახსენეთ, ნახევარ მხარეს შენიშვნებისათვის ტოვებდნენ-მეთქი. პირველზე უპასუხა, რომ „ფელდფებელ“ შეურაცხყოფა რომ მიეყენებინა პოლკოვნიკ ზაკუსოვისთვის, „ფელდფებელი“ დაარქვა, ე. ი. გაუნათლებელი, ჩამორჩენილი კაციო — „ფელდფებელ ზაკუსოვ ნახოდიას ნა პოსტუ უეზდნოგო ნაჩალნიკა ნაზივაეტ პლემენემ გურიიცევ. ნე ზნაეტ დაჟე, ჩტო გურიიცი ტაკიე ჟე გრუზინი, კაკ ვსე ოსტალნიე, მოჟეტ ბიც დაჟე ლუჩშე, პოტომუ ჩტო ანი გოვორიატ ობშჩიმ ლიტერატურნიმ გრუზინსკიმ იაზიკომ, ა ნე ნა დიალექტე, ხოტია იმეეტსა დიალექტი სვანსკი, მეგრელსკი, წოვათუშინსკი“ და ბოლოს ეწერა: „ფელდფებელ ნემედლენო დოლჟენ ბიც ოტსტრანიონ ზა ნეზნანიე, ზა ნეუმენიე უპრავლიაც!“ ასე რომ ახლანდელი ამბავი ალბათ ანარეკლია ან გაგონილი ამბავი მაშინდელისა, რადგან დოკუმენტი არ არსებობს ხრუშჩოვის შესახებ.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა! ახლა ჩვენ დავუბრუნდეთ იმ ამბავს, თქვენ რომ ბრძანდებით თბილისის გუბერნიის კომისრად, აქ არიან გერმანელები და მათსა და ბერლინის კომიტეტის გეგმებს.

შ. მ.: ეს ცალკე საკითხია. 1914 წლის ომი როდესაც გამოცხადდა, ნიკოლოზ მეორე ომში ჩაება ძალიან შეცდომით, ხვოსტოვი ყავდა იუსტიციის მინისტრი და იმან ურჩია, ჩარეულიყო ომში.

მოგეხსენებათ, რომ ფრანც იოზეფს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე მოუკლეს სერბიაში. მასთან ერთად მოკლეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ისინი მიპატიჟებული იყვნენ სტუმრად იუგოსლავიაში. ხორვატია მაშინ ავსტრია-უნგრეთში შედიოდა. სერბია კი და-

მოუკიდებელი სამეფო იყო. რაკი მიპატიჟებული ტახტის მემკვიდრე მოკლეს, ავსტრია-უნგრეთის იმპერატორმა ფრანც იოზეფმა წაუყენა ულტიმატუმი. ეს ცნობილი ამბავია. ამის შედეგად სერბიისათვის თავი გამოიდო რუსეთის იმპერატორმა. სერბია რუსებმა გაათავისუფლეს თურქებისაგან, ისინიც მართლმადიდებლები არიან. ენითაც ახლოს არიან რუსულ ენასთან. პარტიამ „სოიუზ რუსკოგო ნაროდამ“ (ოფიციალურად ასე უწოდებდნენ) დაარწმუნა იმპერატორი, რომ თუ გამოექომაგება სერბიას, ფრანც იოზეფის ულტიმატუმი არ განხორციელდება. რას თხოულობს ფრანც იოზეფი: დაუშვით ჩემი დიპლომატი იმ კომისიაში, რომელიც გამოიძიებს, რამ გამოიწვია ეს მკვლელობაო. ე. ი. ეს სუვერენული სახელმწიფოს საქმეში ჩარევა იყო თითქოს და ხვოსტოვმა, როგორც იუსტიციის მინისტრმა, დააჯერა ნიკოლოზი, სერბიის სუვერენიტეტს უგულვებელყოფენო და მობილიზაცია მოახდინე მარტო ძალის დემონსტრაციისათვისო. ნიკოლოზის საუბედუროდ, არ აღმოჩნდა მეორე მინისტრი, ისეთი კაცი, რომელიც სხვას ურჩევდა. იმაშიც დაარწმუნეს, რომ ვილჰელმ მეორე ომს არ აწარმოებს პარლამენტის გარეშე და პარლამენტში კი ყველაზე ძლიერია სოციალ-დემოკრატიული პარტია, შეიდემანის პარტიაო. შეიდემანი ომს ხმას ვერ მისცემს, როგორც ინტერნაციონალისტი და სოციალისტი. მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელია. მაშასადამე უეჭველია, რომ გერმანია ომში ვერ ჩაერევა და ულტიმატუმი არ განხორციელდება. ამაზე ახლა არ წერენ, არ უნდათ სიმართლის თქმა, არადა სინამდვილეში ეს ასე იყო. მახსოვს კარგად, პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი.

გამოაცხადა ნიკოლოზმა მობილიზაცია. ვილჰელმ მეორემ გააფრთხილა ნიკოლოზი, ამას ნუ გააკეთებო. ამან შეიდემანის იმედით გააკეთა მობილიზაცია. გააკეთა და მომზადებული კი არ იყო ომისათვის. არც ფიქრობდა ომს. მოხდა ისე, რომ მობილიზაციაზე მობილიზაციით უპასუხა ვილჰელმ მეორემ. მერე ამოიღო მიზანში რუსეთი. აი, აქ ჭირდებოდა ვილჰელმ მეორეს რუსეთის მოსახლეობაში ერთგვარი დასაყრდენი, თუ ფიზიკური არა, სულიერი მაინც, ამ დიდი რუსეთის წინააღმდეგ. დაიწყო ომი, შეეტაკა გერმანია რუსეთს. ომი დაიწყო გალიციაში. გალიციელები კათოლიკეები იყვნენ და სეპარატისტულად განწყობილნი, ამიტომ პირველი სასტიკი მარცხი მიიღო რუსეთის ჯარმა ავსტრიის ფრონტზე. სხვათა შორის, მაშინ დაიღუპა ჩემი ბიძაშვილი მაღლაკელიძე. ნიკოლოზმა მეტი ვერაფერი მოახერხა და ხატები და მღვდლები გაგზავნა დასახმარებლად. თუ ნიკოლოზი სოციალ-დემოკრატებში ეძებდა მხარდაჭერას (არადა შეიდემანმა ხმა მისცა ომს და მეორე ინტერნაციონალიც დაიღუპა). ასევე ვილჰელმ მეორეც ეძებდა რუსეთის სუსტ მხარეს. ეს სუსტი მხარე არის პროვინციებში, მოსაზღვრე პატარა სახელმწიფოებში. განსაკუთრებით სად? პოლონეთში არა, პოლონეთის ნაწილი ავსტ-

რია-უნგრეთში შედიოდა, რუსეთშიც და გერმანიაშიც. პოლონეთი იმდენად არ გამოდგება. საქართველოს ისტორიულად დიდი ხანი არაა რაც დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა, ასთოთხმეტი წელია და აიღო მიზნად საქართველო. ამ დროს მიუნხენის უნივერსიტეტში სწავლობს ვინმე გიორგი მაჩაბელი. ერთი თვეა რაც გავიგე სრულიად შემთხვევით, რომ ივანე მაჩაბლის ძმისშვილი ყოფილა. გიორგი მაჩაბელს კარგად ვიცნობდი, მაგრამ ეს არ ვიცოდი. თავის დროზე ივანე მაჩაბელს გაუგზავნია ის და სხვა სტუდენტები გორის მაზრიდან გერმანიაში გეოლოგიურ ფაკულტეტზე სასწავლებლად. გიორგი კარგი წარმოსადეგი კაცი იყო. თავადის გვარი ჭონდა და გაერია პრინცებში, როგორც „ფიურსტი“. ფიურსტად ითარგმნება თავადი, ფიურსტი გერმანიაში მიღებულია, როგორც დინასტიის წოდება. გერმანიას ბევრი სამეფო ჰქონდა და ფიურსტები იყვნენ, მაგრამ ყველა დინასტიური იყო, ასე ესმის გერმანელს.

ფიურსტი ჩვენთან ჩვეულებრივი თავადია. თავისი ღირსებით ყოველი მხრივ და მოხერხებით დაუახლოვდა გიორგი პრინცებს, ახალგაზრდა ჰოპენცოლერებს, ვიტენბახებს ბავარიისა, დამეგობრდა მათთან, სწავლობდა და ომიც დაიწყო. სულ მალე ვილჰელმ მეორემ დააარსა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა წამოაყენა ვილჰელმა. რატომ წამოაყენა ეს, სხვა საქმეა, მთავარი ისაა, რომ მანამდე ასე ღიად არავის დაუყენებია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობდა ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო, მაგრამ ეს ლოზუნგად გამოდგებოდა, დამოუკიდებლობის კომიტეტი არ შექმნილა.

ამ კომიტეტში მოიწვიეს ხუთი კაცი. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მაში გვარებიც მინდა დავასახელო და ეს კი ცნობილი არ არის. თავმჯდომარედ გახდა გიორგი მაჩაბელი, წევრებად მიხაკო წერეთელი, ქართული ენის პროფესორი, ადრე პროპოტკინის მიმდევარი და ანარქისტი. უცხოეთში იმყოფებოდა 1905 წლიდან. შესანიშნავი მცოდნე ძველი ებრაულის და სანსკრიტული ენის სპეციალისტი. ძმები კერესელიძეები — ლეო და გიორგი, რომლებიც რაჭიდან დუშეთის მაზრაში გადმოსული მზარეულის შვილები იყვნენ. სწავლობდნენ თბილისში, გიმნაზიაში. იმ დროს გაძარცვეს აქ ფოსტა და ფული წაიღეს უცხოეთში, ორჯონიკიძემ წაიღო ეს ფული და მიუტანა ლენინს. ფედერალისტებმაც იფიქრეს, იქნება ასეთი ექსპროპრიაციის გზით ჩვენც ფული ვიშოვნოთო. სოსო გედევანიშვილი, მერე ავტორი „ფერიების“, კაპიტანი იყო, დუშეთის კომენდანტი, ფედერალისტობდა ჩუმად და, იქ დუშეთში, ეს ორი გიმნაზიელი ძმა, სოსო გედევანიშვილის იმედით დაესხა თავს ფოსტას, რომ ფედერალისტებისათვის შეეძინათ თანხა ისევე, როგორც შეიძინა აქ სტალინმა და გაუგზავნა შემდეგ ლენინს. თვითონ სტალინი კი არ დასხმია, ჩეკას თავმჯდომარე რომ იყო მერე, ის დაესხა. გაიმეორეს

ფედერალისტებმაც, მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში. სოსო გედევანიშვილი დაითხოვეს სამსახურიდან, დაკარგა თავის კაპიტნობის წოდება. 1918 წელს აღადგინეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შერე და გენერლის ხარისხშიც კი აიყვანეს ბოლოს. მისი ორი ძმაც გენერალი იყო — ალექსანდრე და კოლია. ეს გიმნაზიელი ძმები გაიქცნენ, მოხვდნენ შვეიცარიაში და გახდნენ, ასე ვთქვათ, პოლიტიკური მოღვაწეები. იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა ორივემ, მეხუთე წევრი იყო ინჟინერი ანდრო დეკანოზიშვილი კახეთიდან. ე. ი. თავმჯდომარე არის გიორგი მაჩაბელი, წევრები — მიხაკო წერეთელი, ლეო და გიორგი კერესელიძეები, ძმები და ანდრო დეკანოზიშვილი. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. რა მიზანი ჰქონდა ახლა ამას. ვილჰელმ მეორის მიზანი არის და ამათთვისაც საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ მსგავსად ბალკანეთის სახელმწიფოებისა, უნდა აღსდგეს საქართველოს სამეფო, მაგრამ ტახტზე ავიდეს არა ბაგრატიონი, არამედ არც მეტი, არც ნაკლები, ვილჰელმ მეორის პირველი შვილი იოახიმი, რომელიც დასაბამს მისცემს ახალ დინასტიას საქართველოსას, მიხაის მსგავსად, რუმინეთს რომ ყავდა, გერმანელი იყო, ქალს შეირთავდა რუმინელს, საბერძნეთისაც ჰობენცოლერი იყო. ბრაზილიაშიც კი გაგზავნეს ერთ დროს მაქსიმილიანი მეფედ. მაშასადამე, ბათუმამდე ჩამოვიდოდა. ინტერესი იყო სტრატეგიული გავლენის სფერო. ჩვენ უნდა გვყოლოდა მხოლოდ სარძლო და დაიწყებოდა ახალი დინასტია. თუ დამარცხდებოდა რუსეთი — საქართველოს ჩამოაცილებდნენ რუსეთს და გახდებოდა სრულიად დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო თავისი მეფით. მეფედ კურთხევას, როგორც გითხარით, უპირებდნენ ვილჰელმ მეორის პირველ შვილს იოახიმს, ტახტის მემკვიდრეს, რომელიც იმპერიის ტახტის მემკვიდრეა. იმდენად დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ვილჰელმი და იმდენად აფასებდა, რომ განიზრახა თავისი შვილი, რომელსაც ტახტი აქვს უეჭველი იმპერიის — პატარა საქართველოს მეფეც ყოფილიყო. იოახიმი დასახელებული იყო. მეუღლე უნდა ყოლოდა ქართველი ქალი. ეს ქართველი ქალია მარინე მაჩაბელი. მე მგონია, ახლაც ცოცხალია რომში. ჩემი ხნის იქნება, მოხუცებული. მარინე მაჩაბელი გიორგის ახლო ნათესავი იყო, მიშო მაჩაბლის ქალიშვილი. მამამისი მიშო მაჩაბელი საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ნაციონალ-დემოკრატების პარტიიდან ფრაქციაში ძალიან ძლიერი და თავდადებული პატრიოტი გახლდათ. ისინი გორის მაზრიდან იყვნენ. მარინე მაჩაბელი მე უკანასკნელად ვნახე 1953 წელს, ინდოეთიდან რომ ვბრუნდებოდი რომში. თავისი სასახლე ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ის გეგმები არ განხორციელდა, ზემოთ რომ მოგახსენეთ, მარინე მაჩაბელი მითხოვდა იტალიის კონსულს აქ, თბილისში, ფრანზონის. ასე, რომ დედოფლის მაგივრად კონსულის მეუღლე გახდა. ფრანზონი მალე გარდაიცვალა, მარინეს დარ-

ჩა ორი ვაჟიშვილი. მე რამდენადაც; ვიცი, ეს ვაჟები ამ ომის დროს დიპლომატიურ სამსახურში იყვნენ — ერთი შვეიცარიაში, იტალიის წარმომადგენლად და მეორე ავღანისტანში. რადგანაც მარინეს ხელში იყვნენ გაზრდილნი, ქართველობდნენ კიდეც. მე გამიგია, რომა ჩვენ ქართველები ვართო. ეს სხვათა შორის, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მაინც დამახასიათებელი არის და აღნიშვნის ღირსია.

• დავუბრუნდეთ ისევ გიორგი მაჩაბელს. შექმნილმა კომიტეტმა პირველ ამოცანად დაისახა შეიარაღებული ძალების ჩანასახი მოეწყო. რადგანაც ომის დროა და ქართველებიც არიან ტყვედ ჩავარდნილი და დაჭრილებიც, აქედან უნდა შემდგარიყო ერთი ათასეული მაინც. კომიტეტმა დაიწყო სიარული სამხედრო ლაზარეთებში, ქართველები რომ ნახონ. მიხაკო წერეთლის ნაამბობს მოგახსენებთ სიტყვა-სიტყვით. დაიწყო მიხაკომ ლაზარეთების დათვალიერება, რომ ნახოს ქართველი ოფიცერი, რომელსაც მიანდობს ერთ ასეულს მაინც, როცა შეგროვდება და გადმოსვას ოსმალეთში. ამოცანა ასეთია და ოსმალეთი კი გერმანიის მხარეზეა ამ დროს. მივადექიო — ყვება მიხაკო წერეთელი — ბერლინში სამხედრო ლაზარეთს, ვეძებ გვარებს და წავიკითხეო კაპიტანი ფონ წერეთელი, ე. ი. თავადი ან აზნაური ვარო. მეც ვწერდიო ფონ წერეთელი, იმიტომ, რომ გერმანელები ძალიან აფასებდნენ ამას და მე რას ვკარგავ, აზნაური მეც კი ვარო. მივედი ამ ფონ წერეთელთანო, კარგი შესახედი კაცია, დაჭრილი, კავალერისტი. მიველაპარაკე ქართულად, მიპასუხა, მაგრამ რაღაც უგემურად, არ ესიამოვნა ჩემი ნახვაო. მიხაკო წერეთელი ძალიან ხუმარა კაცი იყო. ხაუბარში ტიპიური იმერელი, გამოთქმებითაც, საქციელითაც და მე ვუთხარიო: რა ამბავია, კაცო, ჰიათურის რაიონში კი არა ვართო, სხვიტორშიო. რა გეწყინა, გამეხარდა ჩემი გვარის კაცის ნახვაო. „ა შტო ხოჩეშო“ — რუსულად მითხრაო. ეს რომ მითხრაო, რუსულად, არ მესიამოვნაო. მე ქართულად ველაპარაკები, ქართული იცის და უცებ „ა ჩტო ხოჩეშო“. მე ვუთხარიო, არაფერი არ მინდა, მეც წერეთელი ვარ და შენი ნახვა გამეხარდაო. იქნებ რამე დახმარება გჭირდებათქო. სხვა არაფერი გაქვს სათქმელიო? — ქართულად მკითხაო. მე შევეშფოთდი, ლაპარაკი ძნელი იქნებათქო. გეწყინათ ჩემი ნახვათქო? მე იმიტომ მოვედი, მეგონა, ჩემი ნახვა გაგეხარდებოდათქო. მე კავშირი მაქვს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, ქართულ წიგნებს მოგიტანდი, რაღაცას დაგეხმარებოდითქო. „პაშოლო!“ და რუსულად დედის გინება დააყოლაო. ნამდვილი რუსული გამოთქმა. ე. ი. შეატყო, რომ გადაკრულ-გადმოკრულად ველაპარაკებოდი, მიხვდა და რაიმე საეჭვო არ იყოსო, ან აგენტიო, შეშინდა და რუსული შეგინება რომ არის დედის, ის მიუმატა. მაშინვე მოვცილდიო, მეგონა წერეთელიაო, ეს იქნება ნამდვილი პატრიოტი და ამან კი დედა შემაგინაო. წამოვედი, გავიარე რამოდენიმე პალატა და ვკითხულობ: კაპიტანი ლადო სიამაშვილი. ვიფიქრე, მივიდე

თუ არ მივიდეო. ვიცოდი, რომ სიამაშვილები ჩოხატაურის რაიონში იყვნენ, გურულები და გადავწყვიტე, რაც იქნება იქნება, მივალ, გამარჯობას მაინც ვეტყვიო. ჩავუარე და ვუთხარი ცივადო: ქართველი ბრძანდებით? „რა გინდებიენო?“ — გურულად მითხრაო. ვიფიქრე ამასთან, გურულთან უფრო ადვილი იქნება საუბარი, თუ რევოლუციაა, თუ რაღაცა არისო. ჩამოჯექითო, ჩემს საწოლზეო. ეს რომ მითხრა, გავნათდიო და ვუთხარიო: დაინტერესებული ვარ ქართული ენითო. ანარქისტი ვიყავი და ემიგრანტი ვართქო — ამას როგორ ვეტყოდიო. — შე დალოცვილო, ქვეყანა იქცევა და ენის დრო არისო ახლაო, ვაი ჩემო საწყალო ქვეყანაო! მე ვიფიქრე, ეს ნამდვილად ჩემი კაციაო. შევეკითხე: რა ჭრილობა გაქვსთქო და მალე წამოვხტები ფეხზეო. მერეთქო? მერე ვნახოთ რა იქნებაო. სხვა დაჭრილებთან თუ გაქვს კავშირითქო. კიო, აქაო ერთი წერეთელიც არისო, ლაპარაკში შევატყვეო, რომა ეს კაცი ქართულად მსჯელობს, საქართველო ძალიან უყვარს და პირდაპირ ვუთხარი — ასეთი საქმე არის, დაარსდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი და რისთვისაც მივედი მასთანო. სულთანსაც სურს ესთქო და შეიქმნება ნახევარი მთვარის და ჯვრის ქვეყანა, ერთად გაერთიანებული დიდი საქართველო. მოეწონა, მაგრამ აჭარლები მაჰმადიანები არიან და მაინც-დამაინც ჩვენი ერთგულები არ არიანო. მაგ საკითხი აღარც დადგებათქო, თამარ მეფის დროს ტრაპიზონიც საქართველოში შედიოდათქო! დამეთანხმა და აიღო თავის თავზე პირველი სამხედრო ერთეულის შედგენა. შედგა ეს ერთეული ბატალიონის სახით და ეს ბატალიონი აღმოჩნდა ტრაპიზონში ომის დროს.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ლეო კერესელიძე გამოგზავნა ოსმალეთში. იგი ჩამოვიდა და დაბინავდა ტრაპიზონში, შეუკვეთა გენერლის ფორმა თავისთვის, თუმცა გენერალი არასდროს არ ყოფილა. გაჩენიდან კუზი ქონდა, მოხრილი იყო ნამეტანი. ჯარში ასეთები არ მიყავდათ. დაირქვა სახელად „ისკანდერ ბეგი“!

იოახიმი ტახტის მემკვიდრეც ჩავიდა ტრაპიზონში, იმიტომ, რომ საქართველოს მეფე უნდა გახდეს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ლადო სიამაშვილიც ტრაპიზონშია თავისი ათასეულით. შემდეგში ლადო სიამაშვილი ჩვენს ჯარში იყო, მერე პოლონეთის ოფიცერი იყო, მაიორი, ბატალიონის უფროსი. იცავდა ვარშავას უკვე ამ ომში, მეორე მსოფლიო ომში. მე ტყვედ ავიყვანე ვარშავასთან სიამაშვილი. ვარშავაში რომ შევდიოდი მაშინ. ახლა ცოცხალი აღარ არის, გარდაიცვალა. ძალიან კარგი კაცი იყო და საქართველოს დიდი პატრიოტი.

მაშასადამე, ჩანასახი ქართული ლაშქარისა და ის ლეგიონები, მე რომ შევქმენი, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ჩემი იდეა კი არ იყო, ეს ძველი იდეა არის და აქედანაა ჩემი გერმანელებთან დაახლოება მხედ-

რული ხაზით და ის დიდი ნდობა, რომელიც მე მქონდა შტაბში, გამოწვეული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ამბებიდან. ამგვარად ეს იდეა — საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის და სუვერენული სახელმწიფოს შექმნისა — რომ შევაჯამოთ, წამოყენებულია იმპერატორ ვილჰელმ მეორის მიერ.

მას შემდეგ, რაც გერმანიის სამხედრო ძალები აღმოჩნდნენ საქართველოში, ჩვენ ისინი დავაბანაკეთ სრულიად გამოყოფილად ავლაბარში, ამასთან ერთად ჩვენ საქმე გვქონდა კრეს ფონ კრესტენშტაინის დიპლომატიურ მისიასთან, რომელიც ითვლებოდა პატრონად როგორც ამ სამხედრო ძალებისა, ასევე დიპლომატიურისა, მაგრამ უფრო ფორმალურად და ფაქტიურად კი მთელი საქმიანობა შულენბურგის ხელში იყო. როგორც გითხარით, ის იყო ვილჰელმის პოლკოვნიკი, თანაც დიპლომატი, მეტისმეტად განათლებული კაცი, დიდი ოჯახიდან, ფონ დერ შულენბურგ. ე. ი. მარტო ფონი კი არ იყო, არამედ ფონ დერ. ასე რომა იმპერატორთან ახლოს იყო. მას სწამდა რუსეთის დამარცხებისა და რაიმე სიკეთე თუ მოხდებოდა მისი გაგებით, ეს იქნებოდა დიდი რუსეთის დაჩუცმაცება ეროვნულ ერთეულებად. მასთან იყო აგრეთვე გენერალი კესტრინგი, რომელიც არ ჩანდა იმიტომ, რომ ატაშე გახლდათ. იგი რუსეთში დაბადებული გერმანელი იყო. კარგად იცოდა რუსული, „გენერალ ოტ კავალერიი“. მე შევხვდი მას ამ ომის დროსაც, ჩემთან კარგად იყო, მერე მოგახსენებთ. მაგის შესახებ. იმან და შულენბურგმა ერთად მიმიყვანეს მე ჰიტლერთან.

ვინაიდან ნოე რამიშვილი სწავლობდა გერმანიაში (მერე მოკლეს პარიზში, მოგეხსენებათ, ბატონო) და როდესაც დიდი გაჭირვება დადგა, თურქეთის მხრიდან, მან სცადა ეთხოვა გერმანელებისათვის დაგვიხსენითო. ჩვენ პატარა ძალები გვქონდა, ფული არ გაგვაჩნდა, საქართველოს ბანკიც კი არ გვქონდა, არც მოჭრილი ფული. ქაღალდი იყო და სანამ დაბეჭდავდი, უკვე ფასი ეკარგებოდა. უფულობის გამო უცხოეთთან კავშირს ვერ ვამყარებდით და ნოე რამიშვილმა მიმართა ამ მისიას, როგორმე დაგვეხმარეთო. მათ გააჩერეს თურქეთი. რასაკვირველია, ამას რამიშვილის თხოვნა არ ეყოფოდა, გერმანელები რომ მბრძანებლები არ ყოფილიყვნენ, იმიტომ, რომ ყოველ ასეულში თურქეთის ჯარისა ერთი გერმანელი იყო და მოხდა ისე, რომა, ნოე რამიშვილის მეოხებით გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს, დაარსება დაარსებაა, მაგრამ მარტო გერმანელების ჯარზე ხომ არ დავეყრდნობოდით. უკვე ცნობა მოვიდა, რომ ინდოეთში ინგლისის ჯარია, ავღანეთს უახლოვდებიან. ოსმალეთი დაინგრა, ეგვიპტემ გამოყო თავი, მთელი ამბავია, დიდი სომხეთის საკითხი დადგა, ე. ი. აბრია მთელი ქვეყანა. ომი გათავდა და ამ პირობებში შეეცადა ჩვენი მთავრობა, რომ იქნებ როგორმე იურიდიული ცნობა მივიღოთო. ჩვენ გამოცხადებას მო-

ყვა ის, რომ 27 მაისს სომხებმა და 28 მაისს აზერბაიჯანელებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა.

იურიდიული ცნობის მისაღებად შედგა დელეგაცია, რომელშიც შევიდნენ მიხაკო წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, აკაკი ჩხენკელი, სპირიდონ კედია, ნიკო ნიკოლაძე. შედგა ეს დელეგაცია ჩხენკელის ფავმჯდომარეობით, მაგრამ გასამგზავრებელი ფული არ ქონდათ. მეთამბაქოებს რაღაც ორგანიზაცია ჰქონდათ სოხუმში, გაუყიდიათ თამბაქო ვალუტაზე და იმათგან ისესხეს. მიხაკო წერეთელი მიყვებოდა, როგორ მიდიოდნენ ამ ფულით და ისეთი იუმორით ყვებოდა, ჩვენში რომ იტყვიან, მუცელზე კანი არ შეგრჩებოდა. როდესაც მივედითო კონსტანტინოპოლშიო, აკაკი ჩხენკელმა თქვაო, ნასესხები ფულია და ცოტა უნდა გავუფრთხილდეთო. ნიკო ნიკოლაძემ უთხრაო: კაცო, ჯერ არ ჩამოვსულვართ და რა დროს ფულზე ლაპარაკიაო. მე ვუთხარიო, ჩვენ ჟურნალისტებს უნდა შევხვდეთ, მათ დაპატიჟება ჭირდებათ — ე. ი. ახლანდელი პრესკონფერენცია რომ არის — ასე უნდა მოვაწყოთო; რომ ჩამოვიდა დელეგაცია, აქვს კონცესიები, დავაინტერესოთ ხალხიო, განცხადების ფული უნდა გადავიხადოთ გაზეთებშიო, ჟურნალისტს უნდა დავაწერინოთ ჩვენზე, საქართველოზეო და ა. შ.

გადავწყვიტეთ, რომ წავიდეთ ლონდონშიო. ნიკო ნიკოლაძემ თქვა, საფრანგეთში წავიდეთო. დაძლია ნიკოლაძის აზრმა და ჯერ წავედით პარიზშიო.

საფრანგეთში ყოფნისასო, ხუმრობით ყვებოდა მიხაკო, ნიკო ნიკოლაძემ ერთი პატარა ამბავი გაგვიკეთაო, ამ ბებერმა კუზიანმაო. ნიკოლაძე კუზიანი კი არ იყო, მაგრამ ცოტა მოხრილი კი იყო ბეჭებში. ხოდა ნიკო ნიკოლაძე მეტისმეტად ქალების მოყვარული კაცი იყოო და სასტუმროში როდესაც დავბინავდით, გოგო რომ შემოვიდა მოახლე, იმას ახედ-დახედაო. ხანში შესული კაცი იყო ნიკო და ჩვენ არ მივაქციეთ ყურადღება. როდესაც გამოვედით ნომრიდან და კიბეზე ჩავდიოდითო, უცებ ნიკომ თქვაო, ცხვირსახოცი დამრჩა ოთახშიო და დაბრუნდა უკანო. ცოტა შეაგვიანდაო. გავაგზავნეთ სპირიდონი — ადი კაცო, ნახე, რა მოუვიდა ნიკოსო. მივიდა, დაუკაკუნა, კარები დაკეტილია, სპირიდონი ამისთანა საქმეში ნამეტანი მორიდებული კაცი იყოო, მორცხვი და მოდის დარცხვენილი. რა მოგივიდა სიპიტოო, სიპიტოს ეძახდნენ სპირიდონს. კარები დაკეტილი არისო და ვიღაცეები კი არიან შიგნითო. ქალის ხმაც ისმისო. ნიკო იმ მოსამსახურე გოგოსათვის დაბრუნებულა თურმე. მე ვუთხარიო, დაანებე თავი მაგას, გაუსკდა მიწა მაგ ჯიხაიშელ ოხერსო, ამის დრო გვაქვს ჩვენ ახლაო?! პატარა ხანში ჩამობრძანდაო. მე ვუთხარიო, სად იყავი ნიკო ამდენ ხანსო? კაცო, ვერ ვნახეო, ვეძიე, ვეძიეო და უცხვირსახოცოდ მოვდივარო, წარმოგიდგენიაო. სპირიდონ, მართალს ამბობსთქო? და სპირიდონი გაწითლდა, თითქოს ის იყო დამნაშავე რამე-

შიო. ეს უსინდისო ნიკო თავის წვერებით, ყოვლად შეჩვენებული და სპირიდონი კი დარცხვენილი, ქალის ხმა რომ გაიგონა და ჩვენ რომ გვითხრა, ე. ი. დაასმინაო. მე ვუთხარიო კარგი ოხერი ხართქო და გათავდა ამით ამბავი.

ახლა უნდა წავიდეთ ლონდონში, რადგან ფრანგებმა გვითხრეს, ჩვენ ჯერ ვერ გიცნობთ იურიდიულადო, რუსეთთან კონფლიქტში ვერ შევალთო.

ჩავედითო ლონდონში, იქ დაგვხვდა, თავის დროზე ჩვენს მიერ გაგზავნილი სტუდენტი ანდრო გუგუშვილი, მეგრელი, მენშევიკი, მენშევიკების სტიპენდიანტი, ახლაც იქ არის, გაზეთი რომ გამოდის „ჯორჯია“, იქ თანამშრომლობს.

სადგურზე გუგუშვილის მეტი არავინ არ დაგვხვედრია და გვეწყინაო. კაკო ჩხენკელი დაელაპარაკა მეგრულადო, აკაკი ჩხენკელი მღედლის შვილი იყო ოჩამჩირიდან და მეგრული იცოდაო, ისე ხონელი იყო. სულ იძახისო ლონდონი, ლონდონი, ლონდონიო. ჩავერიე საუბარში და ვუთხარი, აკაკი წალენჯიხა კი არ არის აქაო. კაცო, გაგვაგებინე, რას ეუბნები ამ კაცსო. რას ვეუბნები და დიპლომატიური წესიაო, მასწავლისო, ოჩამჩირელიო, მეო, მიხაკო წერეთელსო, ამდენ ხანს უცხოეთში ნამყოფსო. წესი არისო, ბოშოო, ევროპაშიო, მეუბნება დიდი რიხითო, რომაო, როდესაც რომელიმე სახელმწიფოში ჩადიხარ, პირველხარისხოვან სასტუმროში უნდა გაჩერდეო და ეს მოახდენს დიდ გავლენასო და ვეკითხები, ლონდონში სასტუმროს შესახებო. მეფის კარზეც გაიგებენ, რომ დელეგაცია ჩამოვიდა და ლონდონი რომ ქვია, იქ გაჩერდნენო. გუგუშვილმა, ქართულად უთხრაო: ბატონო აკაკი, ლონდონი ტრაქტირიაო, თანაც გლახა ტრაქტირიო. აქ „გიორგი მეხუთე“ ქვია სასტუმროს და იქ ჩერდებიან დიდი დიპლომატებიო. ამდენი ფული ჩვენ არ გვაქვსო. რა უნდა ექნა გუგუშვილს, მონახა რაღაცა მეათე ხარისხოვანი სასტუმრო და იქ დავბინავდით.

მივდექ-მოვდექით აქეთ-იქით, ყველგან ცხვირი აგვიბზუეს და დაგვარწმუნეს, იმაში, როგორც ფრანგებმაო, რომ ჯერ მიიღეთ ლენინის ცნობა და მერე მობრძანდითო. წამოვედით კუდამოძუებულებიო.

მოგეხსენებათ, თქვენ, რომ ამ საკითხის გარშემო არაფერი არ გამოუვიდათ და დაბრუნდნენ.

ვ. რ.: ჩვენ დაგვრჩა სათქმელი — 1918 წელს გერმანელების წასვლა, ინგლისელების მოსვლა და სომხეთთან ომი.

შ. მ.: გერმანია როდესაც დამარცხდა, იძულებული გახდნენ აქედან წასულიყვნენ იმიტომ, რომ ინგლისის ჯარი უკვე მოდის ავღანეთიდან, შემოვლენ და ეს გერმანული დივიზიები ტყვედ ჩავარდებიან. ინგლისელების ამოცანაც ასეთია სწორედ. ამიტომ მოხდა გერმანული დივიზიების ევაკუაცია. ევაკუაცია რომ არ მომხდარიყო, ინგლისის დაზვერვა

შეუთანხმდა დაშნაკცუთიუნის პარტიას, დენიკინს და ძეგვი რომ არის სოფელი თბილისთან რკინიგზის ხიდი ააფეთქეს იქ, რაღაც ხუთი წუთით გადაასწრეს გერმანულმა ეშელონებმა, თორემ დაიღუპებოდნენ. მაშინვე მაცნობეს მე ამის შესახებ. დილის ოთხი საათია. სასწრაფოდ ავიყვანე ჩემი საგანგებო ბატალიონი. ბატალიონი მყავდა „ოსობი, სვოი, სობსტვენი“ და მატარებლით გავეშურეთ ძეგვის მიმართულებით, მივედით ძეგვში. გავჩხრიკეთ მთელი სოფელი, ყველა ოჯახში იარაღი აქვთ. გავედით მეორე ნაპირზე და ვნახეთ მაეთულები, ე. ი. ხიდის ასაფეთქებელი საშუალებები. გათენდა. ვხედავთ, ერთი ბებერი კაცი მოდის. გავაჩერეთ და ვკითხე: სად იყავი ბაბუათქო. თბილისიდან მოვდივარო, ვინმე თუ დაინახეთქო, კიო, ერთი კაცი დავინახე ბუჩქებში იმალებოდაო, და მე რომ დამინახა, გაიქცაო. შლიაპა ეხურაო და რუსული ტანისამოსი ეცვაო. ე. ი. კოსტუმიო, აქვე ახლოსო. მოვუჩქარეთ ჩვენ ფეხს, ინასარიძე მყავდა ოფიცერი და იმან გამოათრია ბუჩქებიდან შავი შლიაპით, შავი კოსტუმით, წვერიანი. აღმოჩნდა პოლკოვნიკი ივანოვი, აფეთქების სპეციალისტი. „კტო ვი ბუდეტე“ — მე ვუთხარი. „ია სამ ნე ზნაიუო“, „კაკ ნე ზნაიტე, ნენორმალნი ჩტოლი“-თქო. ამ დროს ვიღაცამ აგვიტეხა სროლა. მერე გაირკვა: ტყვია გაეჭედა მაუზერში და დაგვნებდა; დაშნაკების ტერორისტი ნალბანდიანი. მე ამ რუსს ჩავაცივდი, ვინ ხარ მეთქი, აქ რა გინდათქო. „ნიჩეგო ნე ზნაიუ მენია ნაპოილი ვ ტბილისი მუშტაიდ, ჩტო ნაზივაიეტსა ტამ, ვ კაფე ნაპილსა ვოტკი, კაკ რუსკი ჩელოვეკ ი ვი ზნაეტე, რუსკი ჩელოვეკ კოგდა ნაპიოტსა, ტერიაეტ ვსე გრანიცი, მენია კაკიეტო პროსტიტუტკი ზახვატილი, პასადილი ნა ფაეტონ, ვიველი კუდატო ი ია ოკაზალსა ვ ლესუ, სტალ ჟერტვოი მოეი რუსკოი გლუპოსტი, ვო“. არადა თურმე გენერალური შტაბის პოლკოვნიკია: ამ დროს ატეხა სროლა ნალბანდიანმა. გაიქცნენ ბიჭები, შემოეხვივნენ და ისიც დანებდა, სროლა, რომ ვეღარ შეძლო. წამოვედი თბილისში. მოვიყვანეთ თბილისში, პეტრე დიდის ქუჩა ქვიოდა ძველად, ახლა ძერჟინსკის რომაა, იქ კუთხის სახლში იყო პოლიტიკური პოლიციის შტაბი და იქ შევიყვანეთ. დავკითხე, ვუთხარი, სინამდვილე თქვი თორემ გაგათავებმეთქი და მაშინ მითხრა: „ია ოფიცერ გენერალნოგო შტაბა პოლკოვნიკ ივანოვო, უ მენია ხოროშაია სპინა. ეტო ანგლია“. — „დენიკინეც“? — მე ვუთხარი“ და დენიკინეცო“. „ა კტო ეტოიტ მოლოდოი ჩელოვეკ?“ „პუსტ სამ სკაჟეტო“. „ია პრინადლეჟუ კ პარტიი დაშნაკცუტიუნ, ტერორისტ, მი ეტო სდელალი პო პორუჩენიუ / ანგლისკიხ ვლასტეი, ანი ნაპრაველიაიუტსა ვ ტბილისი“.

მე ისინი მივეცი მაშინათვე სამხედრო საველე სასამართლოში. სამხედრო საველე სასამართლოში უფროსი ოფიცრები უნდა იყვნენ კაპიტანს ზევით, წესია ასეთი, სამი პოლკოვნიკი დაჯდა, გამოუტანა განაჩენი „სიკვდილით დასჯა დახვრეტით“ და მე დავამტკიცე. განაჩენი სის-

რულეში უნდა მოვიდეს ოცდაოთხ საათში. ამასობაში შემოვიდნენ ინგლისელები.

პირველი, რაც გააკეთეს, დაიკავეს ჩემი ბინა სოლოლაკში, გუბერნატორის ბინა და მოითხოვეს ჩემი გადაყვანა ვერაზე, იმიტომ, რომ სოლოლაკი არის სომხების და გუბერნატორს აქ რა უნდაო, მაგრამ ჩვენ არ დავთანხმდით და იძულებული გახდნენ ავლაბარში გადასულიყვნენ. ქუთაისის ქალაქის თავი იყო კალანდარიშვილი და მე განკარგულება გავეცი გერმანელების შესახებ, რომ დახვედროდნენ მათ და არ ეფიქრათ გერმანელებს, რადგან ჩვენ ისინი აღარ გვჭირდებიან, ამიტომ ავაფეთქეთ ხიდი. გერმანელები ქუთაისში ერთ კვირას დარჩნენ. ამ ომის დროს ჩემთან იყო ზოგიერთი მათგანი და თავიდან მართლაც გონებიათ, ქართველებმა ჩაიდინეს ეს საქმეო, მაგრამ კალანდარიშვილი რომ დახვდა მათ ჩემი დავალებით, ამან არ შეალახვია ჩვენი სინდისი, თორემ სომხებსაც ის უნდოდათ, გერმანელებს ეფიქრათ, ვითომ ქართველებმა დახოცეს გერმანელებიო. ასე გამოვედით ღმერთის წყალობით ამ ბინძური პროვოკაციული მდგომარეობიდან.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დილა როდესაც გათენდა და განაჩენი სისრულეში უნდა მოვიდეს, გამოცხადდა ინგლისის რწმუნებული ჟორდანიასთან და უთხრა, ეს ჩვენი ხალხიაო და ვერ დახვრეტთო. მოვათავსეთ ციხეში. მე დავწერე განცხადება გადადგომაზე, რომ არ მსურს ასეთ პირობებში მუშაობა, თუ ჩემი ბრძანება არ ხორციელდება და რა ვუყოთ ინგლისელების ხალხია თუ პეტრესი, პროვოკატორები, დივერსანტები ხომ არიან, ხომ ჩაიდინეს ბოროტმოქმედება და შეეტანე განცხადება, მაგრამ არა, არაო და დამაბრუნეს უკან. მაგათ ჩვენ მოვკლავთო და რა გააკეთეს. პარტახტიანი ტიფი იყო მოდებული, ნოე რამიშვილს დაუვალებია ერთი აგენტისათვის მექი კედიას აგენტისათვის... ეს მექი იყო ყოფილი პრისტავი და „ნაჩალნიკ ოსობოგო ოტრიადა“,

ვ. რ.: სპირიდონის შვილი იყო?

შ. მ.: არა, სპირიდონი პოლიტიკური მოღვაწეა, მექი მეფის პრისტავი იყო, ახლა ურევენ ერთმანეთში. სპირიდონი დიდი კაცია, პატიოსანი და კეთილშობილი, ის პოლიციელი იყო ძველად, პარიზში მოკვდა, მიშა ჭედიას მამა იყო, ახლა რომ წერენ, უკანასკნელ დროს მიშა კედიაზე, ჰიტლერთან რომ იყო იმის მამაა.

იმას მოგახსენებდით რომ მე არც გამიგია, ისე მოუსვამთ ტიფიანი კაცის ტილი მათ მოსაკლავად, მაგრამ ამ დროს მათთან იყო ავსტრიელი ებრაელი ტყვე ოფიცერი ექიმი, რატომღაც მოხვედრილა ციხეში და ქე არ მოარჩინა ტიფისაგან... წაიყვანეს ეს პროვოკატორები ინგლისელებმა და გაათავისუფლეს.

ვ. რ.: ინგლისელებისთვის თბილისი სომხური ქალაქია?

შ. მ.: დიახ, სომხურ ქალაქად თვლიდნენ, 1918 წელს. ეს მე თქვენთვის არ მითქვამს, სომხებმა დაადგინეს, რომ თბილისის გუბერნიას უნდა რქმეოდა „არმიანსკაია გუბერნია“. შებრძანდით კეცხოველზე, სპეციალური განყოფილება რომ არის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში და იქ ნახავთ გაზეთში ამის შესახებ. სომხებმა ჩვენ ქართველები გამოგვაცხადეს გერმანიის აგენტებად, ე. ი. ინგლისის მტრებად.

ამ დროს თელავის მაზრაში დაიწყეს ბანდიტებმა მოქმედება, არაფერს არ ერიდებოდნენ, ხოცავდნენ და ა. შ. ქალაქის თავი იყო კოტე ანდრონიკაშვილი, მაზრის უფროსი ექვთიმე მიქელაძეა, ჩემი გაგზავნილი ქალაქის კომენდანტი კოტრიკაძეა, თავაძე ლეგიონის უფროსი, ეს გახლავთ 1918 წლის ნოემბერი. კოტე ანდრონიკაშვილი ქალაქის თავი, თავადიშვილი, მაგრამ მენშევიკი, ძალიან მომზადებული, ზრდილობიანი კაცია, ციხეში დაუწერია ჯვარი თავის ცოლზე და ამიტომ თავად-აზნაურთა წრიდან გაძევებულიყო, თანაც მენშევიკი, სოციალისტი. ნიკო ქადაგიძე რომ არის, გერმანული ენის მასწავლებელი, ინსტიტუტში — ასეულის მეთაურია თავაძის პოლკში. ჩემი ამხანაგი მოსკოვის უნივერსიტეტიდან, გაბო ცისკარიშვილიც ამ გვარდიაშია, მაგრამ მთელი თელავის გვარდიის მეთაური არის სომეხი ვიღაცა ფირუზა და ამ დროს ხდება ეს სასტიკი ბანდიტობა. თავმჯდომარე არის ყაველაშვილი, პარტიული კაცი და მას ემორჩილებიან ყველა, როგორც აღმასკომის თავმჯდომარეს. ვინ არის ეს ყაველაშვილი — ვინ არის და 1905 წლის ტერორისტი, თავისი ხალხი ყავდა, იმალებოდა და ახლა გამოვიდა გარეთ, თავისუფლება არის და თარეშობენ. პირველი რა გააკეთა ყაველაშვილმა და ვასო ავალიშვილსა ყავს ვერძი, ლამაზი რქებით, ძაღლივით დაყვება ყველგან, რესტორანშიც კი, წაართვა ეს ვერძი ავალიშვილს და ახლა ეს ვერძი აღმასკომის თავმჯდომარეს დაყვება. წაართვა ხმალი, ხანჯალი, ორივე მოჭედილი და თვითონ დაიკიდა.

მოვიდა ჩემთან გაბო ცისკარიშვილი და მითხრა: რას შვრები კაცო, კოტე შენთან არ ყოფილაო? არაფერი არ უთქვამსო? — ჩემთან ყაველაშვილი ჩამოდის და მეუბნება, ყველაფერი რიგზეაო — მე ვუთხარი. დაიქცა მთელი ქვეყანაო, ბანდიტებმა აგვიკლესო.

ბანდიტები თავიანთ თავს ტყის ძმებს უწოდებდნენ. ესენი ყველანი კახეთიდან იყვნენ, გარდა ერთისა, ლეჟავასი. ლეჟავას სადღაც კაცი მოუკლავს და ამათ შეუკავშირდა; სამტრედიელი იყო, იმერელი, ძებნაში იყვნენ და რომ ეცხოვრათ, ბანდიტობით ირჩენდნენ თავს. პარტიულებად თვლიდნენ თავიანთ თავს. არადა, არც იციან წესიერად პარტია რა არის. ნამდვილი გამცემლები და ყაჩაღები ბოლშევიკები იყვნენ, თუ გაიგებდნენ, ვინმე გაძარცვესო, მივიდოდნენ, ეტყოდნენ გაგამხელთო და მათაც უნაწილებდნენ, ასე რომ ძირი ამ საქმისა კრიმინალურია. ისე, როგორც 1789 წელს ბასტილია რომ აიღეს, არც ერთი კაცი არ ყოფილა

პოლიტიკური — ყველა ქურდები და ყაჩაღები იყვნენ. გვარებია მათი ცნობილი. ბასტილიის აღება ითვლება როგორც რევოლუციის დასაწყისი, მაგრამ ვინ გაათავისუფლეს კაცო, ვინ და ქურდები და მკვლელები.

თელავის მაზრაში იყო კაგაროვი, სომეხი, „უეზდნი ნაჩალნიკი“, რომელსაც ხუთას მანეთს აძლევდნენ და ისიც იცავდა, ფარავდა მათ, გაბო ცისკარიშვილის მოსვლის მეორე დღეს კოტე მოვიდა და იმანაც მითხრა: ცხოვრება აღარ შეიძლებაო. კი, მაგრამ, ქალაქის თავი ხომ შენ ხარ-მეთქი. ლეგიონი დაიშალაო, მთებში წავიდნენო, ქალაქის კომენდანტი კოტრიკაძე რას აკეთებსთქო. კოტრიკაძეც ამათთან დადისო. მამის მკვლელი რომ გამოვიდა ციხიდანო და ბრუციანია ერთიო, თვალი არ აქვს, ბერდანკას ხმარობს, ქურდი და ყაჩაღია და ისე ჩქარა ისვრის, რომ ხუთ ვაზნიანი შაშხანები აქვთ, ისინი ვერ მოქმედებენ ასე სწრაფად, თვალიც მზად აქვს, ბრუციანიაო. მისი გვარი ახლაც არ ვიცი, კოტემ მითხრა: თელავში მე ვეღარ წავალო.

მე არც ვაცივე, არც ვაცხელე, მთავრობა არ გავაფრთხილე, ავიყვანე ორი ასეული და წავედით მატარებლით თელავში. ამავე დროს მე მოლაპარაკება მაქვს ლეკებთან ზაქათალის ოლქის შემოერთების შესახებ, მგონია ზურგი კარგად მაქვს გამაგრებული და თურმე ესენი გაქცეულები არიან. მე უნდა შევსულიყავი ბელაქანში შეთქმულებით, ხუციშვილები იყვნენ პოლკოვნიკები რუსეთის არმიის და ახლა თავაძის პოლკში ბატალიონის უფროსები არიან ინგილოები, ალექსანდრე ლეკი მყავს აგენტი და მუსიკით ვაპირებ შესვლას, ჯარით, როგორც გითხარით, ზურგი გამაგრებული მგონია.

ვ. რ.: საინტერესო ფაქტია. ე. ი. ლეკები მხარს გიჭერდნენ; აზერბაიჯანს ზურგს აქცევდნენ და საქართველოსთან შემოერთება სურდათ?

შ .მ.: დიახ, ტერიტორია აზერბაიჯანის იყო, რას იზამ, რომ ამბობენ, საქართველოს ჰქონდა ზაქათალის ოლქიო. არც მასეა სწორად, სინამდვილეში, ასე იყო, მე უნდა შევსულიყავი ბელაქანში შეთქმულებით.

ღამით წავედით თელავში. ხოშტარიას, ბატალიონის უფროსად მყავდა, ვუთხარი არ გაამხილო, სად წავედი-მეთქი. თუ მიკითხავენ, უთხარი, რომ მანევრებზე წავიდათქო. მაშინ მატარებელი დიდხანს მიდიოდა და მეორე დღის საღამოს ჩავედით თელავში. თელავში-მეთქი ვამბობ, თორემ მაშინ სადგური ექვსი კილომეტრით იყო დაშორებული, ახლა არ ვიცი, ალბათ თელავშიც მიდის რკინიგზა. მატარებლიდან მარტო მე ჩამოვედი. შევედი სადგურში, უკანა ოთახში ერთი კაცი ზის და ჩაის მიირთმევს. თურმე სადგურის უფროსი, გურული ყოფილა. გამარჯობა შენი-მეთქი მე ვუთხარი, არავინ ჯარისკაცი არ მახლავს. ყველანი მატარებელში დავტოვე, ფორმა არ მაცვია, ტყავებში ვარ ჩაცმული, გაგიმარჯოსო, რა ამბავია, რა ხდება, სროლა რომ ისმის-მეთქი. რა ამბავია და მთავრობა ქეიფობსო. ალბათ იმისთანა მთავრობასო ცეცხლი მოკიდე-

ბიაო. მატარებელი რომ მოვიდა, გარეთ რატომ არ გამოხვედითქო. რად უნდა გამოსვლაო, მე შენ გეტყვი არ დაგეტაკოს სხვა მატარებელიო, არ დადის არც ერთი მატარებელი. ვინ ხარო შემეკითხა. მაღლაკელიძე ვართქო. რა არისო შენიო გუბერნიის კომისარი მაღლაკელიძეო. მე გახლავარ-მეთქი. გაიცინა, ეტყობა დაგილეგია, და მასხრობის ხასიათზე ხარო. გამოვედი გარეთ, დავუძახე ოფიცრებს — შიოს, სხვებს და შევედი ისევ სადგურის უფროსთან. დაგვინახა თუ არა წამოხტა უცებ ფეხზე. ახლა გჯერა, რომ მე ვარ მაღლაკელიძე-თქო. კიო, მაშინ მითხარი, აქ რა ხდებაა-თქო. ყველაფერს გეტყვით, მხოლოდ მე გადამარჩინეთ. როგორთქო? — მე აქ ვერ დავრჩებიო, უნდა წამიყვანოო. აგერ სოფელი კურდღელაური, მწერალი არის აქ სომეხიო, მამასახლისი ქართველი კაციაო და ის მწერალი არ არის პატიოსანი კაციო, განზრახვა არისო, რომ ხვალ დილით კურდღელაურთანო, მარჯვენა მხარეს ხეები არის და იქ მოვა ბრუციანი ორ კაცთან ერთადო, ტყის ძმების ამხანაგიო, ფული უნდა მოიტანოს, შეწერილი ფულიო, რა შეწერილი ფულითქო და მოსახლეობას აქვს შეწერილი ფული ტყის ძმების სასარგებლოდო. ვინ არიან ტყის ძმებითქო. ტყის ძმები არისო ყაველაშვილი, ძიას უძახიან სახელადო. მე ვუთხარი: ძია ყაველაშვილი აღმასკომის თავმჯდომარეათქო. სწორედ ეგ ძია ყაველაშვილი ბრძანდება ყველა ამ ყაჩაღების აღმზრდელ-გამზრდელიო და რაც რომ რევოლუცია მოხდა, ჩვენი ცხოვრება აღარ შეიძლებაო, დავიტანჯეთო. კიდევ რა იცითქო. ფირუზა არისო გვარდიის მეთაურიო, ისიც ყაჩაღიაო. გაბო ცისკარიშვილითქო? გაბო სტუდენტიაო. იმას ვინ რას კითხავსო. აქ ნიკო ჯალაგიძეც არისო, მაგრამ მისი ასეული ქე გაიქცაო.

შევადგინე გეგმა. დავავალე ოფიცრებს, რომ ქალაქი ალყაში მოექციათ და ქალაქიდან არავინ გაეშვათ, ე. ი. მე უნდა დავიჭირო თავაძეც, მე თვითონ, ჩემი დანიშნული კაცი, გუშინ რომ მეგონა, პატიოსანი კაციათქო, უნდა დავიჭირო კოტრიკაძე უსათუოდ, ყაველაშვილი, ლომიძე, ლეჟავა. ეს აღმასკომი კოალიციურია, ყველა პარტია შედის, 5 პარტია...

ვ. რ.: და ესენი მფარველობენ ყაჩაღებს?

შ. მ.: თვითონ ყაჩაღებია ესენი, კაცო, მაგრამ არიან მთავრობა. ყველა პარტიას უნდა ყავდეს თავისი კაცი, ამიტომ ესერებსაც შეუყვანიათ, მენშევიკებსაც, ფედერალისტებსაც და სხვებსაც შეუყვანიათ. ლომიძე ფედერალისტებისაგან არის. სადგურის უფროსმა ყველაფერი მითხრა: ვინ რას აკეთებს, ქმარს როგორ აყენებენ კარებთან და მის ცოლთან როგორ ცხოვრობენ; ბრუციანი როგორ სინჯავს რევოლვერებს ადამიანის თავის ქალაზე, ე. ი. ნამდვილი სადისტებია, ჩვენ გვგონია, რომ ყველაფერი წესრიგშია და ხალხი კი თურმე დატანჯულია, პატიოსან კაცს არ ეცხოვრება.

დილით შიო ინასარიძის მეთაურობით გავაგზავნე ჯგუფი კურდღელაურში, მძარცველები რომ მოვლენ, ისინი დაიჭირონ...

ვ. რ.: საიდან იცოდა ეს ყველაფერი სადგურის უფროსმა?

შ. მ.: მაშასადამე. არც ეს იყო პატიოსანი კაცი, ყაჩაღების მოკავშირე იყო, მაგრამ ახლა უნდა რომ გამოძვრეს და გურიაში გაიპაროს, იმიტომ რომ ნამეტანი შორსაა წასული საქმე, თვითონაც მენშევიკია და ყაჩაღი. ეს მაშინ მე არ ვიცოდი, მერე გავიგე, თავს ისე იჭერდა — წამიყვანეო, მომკლავენო და გასცა ისინი.

როგორც მოგახსენეთ, ისე გავაკეთე, რომ თელავიდან ვერავინ ვერ გავიდეს. ეს დილით ხდება და მე და შიო ინასარიძე ბიჭებთან ერთად წავედით კურდღელაურში. მივედით მამასახლისთან, მამასახლისიც ყაჩაღია თურმე. მაგრამ კომისარია კურდღელაურის. სომეხი ყავს მდივნად, მწერალი, ერთსართულიანი სახლია და შიომ ფანჯარაზე მიუკაკუნა. გაიღო კარები და ნახევრად ნამძინარევი კაცი გამოვიდა, სომეხი, სადა ვართქომე ვუთხარი. კურდღელაურიაო. მამასახლისი სად არისთქო. აქ არისო და გამოვიდა მამასახლისი. ჩაცმულია, ჩოხა აცვია, რევოლვერი კიდია, ასე დილაადრიანი ფეხზეა; იცის ფული რომ უნდა მოიტანონ და იმიტომ, მე ვარო კომისარიო, შეხედა შიოს, ფორმა აცვია, ჯარისკაცებით არიან და გაქცევა დააპირა, მაგრამ შიომ სტაცა ხელი, შევკარით ორივე და შევიყვანეთ სახლში. სახლი სოფლის განაპირასაა, სადაც ყაჩაღებმა ფული უნდა მოიტანონ და ხმაური არ შეიძლება.

გავიდა პატარა ხანი და მობრძანდა ბრუციანი თავისი ყაჩაღებით თელავის მხრიდან, სამნი არიან და როგორც კი მოგვიახლოვდნენ, ავუტეხეთ სროლა და სამივე მოკვდა ამ შეტაკებაში.

სოფელმა გაიღვიძა და მთელი კურდღელაურის მამაკაცები შევკრიბეთ. მე ვუთხარი ხალხნო! მე ამას არ ველოდი, თუ ასეთ გაჭირვებაში იყავით, ახლა მითხარით სიმართლე, აქვე საველე სასამართლოს დავნიშნავ და აქვე დავხვრიტავთ ვინც თქვენ გაწიოკებთ და გაწუხებთო. გამოვიდა ერთი მოხუცი და მიმართა ხალხს — თემო, — ხალხოო კი არა, თემოო, — ვუთხრათო სიმართლე, მე გავწირავ თავსო, ასეთ სიცოცხლეს და ასეთ მთავრობასთან ყოფნას მოვკვდე უკეთესიაო და დაიწყო ტირილი. მე სულ გადავირიე, რისი მთავრობა ხარ, ზიხარ იქ თბილისში და აქ კი ასეთი ამბები ხდება. მე ვუთხარი: დაწყნარდი და პატიოსან სიტყვას გაძლევ, ყველას სასტიკად დავსჯი. ამის უფლება მაქვსო.

აქ არიან, ამ ხალხში სამივენიო, იმ მოკლულებზე უარესები, აქ ხალხში არიანო, უცებ გამოხტა სამი კაცი, ვენახებია მარცხნივ და იქით გაიქცნენ. გამოედევნენ ჯარისკაცები. ხალხი აყვირდა: არ გაუშვათ არ გაუშვათო! როგორი საქმეა, ახლა, დავპირდი მათ დასჯას და ესენი კი გაიქცნენ, შეშინდა ხალხი, მაგრამ შორს ვერ წავიდნენ, დავიჭირეთ, მო-

იყვანეს სამივენი ხალხთან. ნამდვილი ყაჩაღები, სადისტები არიან. იარაღს ადამიანის თავის ქალაზე სინჯავენ, რომელი უფრო გაჭრის, ნაგანი თუ „სმითვესონი“, გაუგონარი ამბავია.

იმ წუთსავე დავნიშნე საველე სასამართლო პოლკოვნიკ კაჭახიძის თავმჯდომარეობით, ეპისკოპოს ალექსანდრე კაჭახიძის ძმა იყო ეს, ირაკლი კაჭახიძე.

ხალხმა რომ ნახა, ყაჩაღები დაჭერილია, დაიწყეს მათი შავბნელი საქმეების მოყოლა. ამათ შეგეჭამესო, მაგრამ ამათ გარდა კიდევ ბევრნი არიან ძია ყაველაშვილის აღზრდილებიო. და დავხვრიტეთ იქვე ეს ყაჩაღები! დავაწყეთ მოკლულები და დახვრეტილები ურემზე და წავედით თელავისაკენ.

შევედით ქალაქში, მაგრამ ფირუზას სასტუმროს წინ დაუდგამს ტყვიამფრქვევი, როგორც მივუახლოვდით, აგვიტეხა სროლა და ორი კაცი მოგვიკლა. ჩვენც ვუპასუხეთ. თურმე ზევით, მეორე სართულზე ძია ყაველაშვილი გამაგრებულა, იქაც ტყვიამფრქვევი აქვთ, მაგრამ დავძლიეთ, ფირუზა გაიპარა და შევედით სასტუმროში. კიბეზე პირველი მე ავდივარ და ორი საფეხური რომ დარჩა, მეტაკა უკანიდან შიო, წამომაქცია უკან და შევარდა ჩემზე წინ ოთახში/ ე. ი. მე რომ მიხსნას და აქ არის ძია ჩოხაში, მაუზერებით, მაგრამ არ უსვრია, შევყევი მე შიოს. ძია იქნებოდა ასე ორმოცი წლის, მეტი არა, ავყარეთ იარაღი და დავაპატიმრეთ ყველანი: ყაველაშვილი, ლეჟავა და სხვები. მაგრამ ძიამ მოახერხა და ფირუზას საშუალებით აცნობა მთავრობას, რომ შემოიჭრა აქ ვიღაც მაღლაკელიძე, რეაქციონერი, მტერი რევოლუციის, დაგვხოცა, გაგვანადგურა და გვიშველეთო. ჟორდანიამ, გეგეჭკორმა და სხვებმა არც აცივეს, არც აცხელეს და საგარეჯოს გვარდიაში არის შაჭრო ჯაფარიძე, აქ რომ დავბრუნდი, ინჟინერი იყო უკვე, ახლა გვარდიელია, საგარეჯოს რაიონის გვარდიას ხელმძღვანელობს და მისთვის მიუნდვიათ რომ შემოვიდეს თელავში საგარეჯოდან და მე უნდა შემიპყრონ. მთავრობამ მე გამომაცხადა სამშობლოს მოღალატედ. რა უნდა ელაპარაკო, კაცო, იმიტომაა, რომ ხანდახან როდესაც ჩავუფიქრდები, რანაირად შეიძლება დამოუკიდებლობა შეინარჩუნო ასეთ პირობებში, როდესაც ყველა ყაჩაღად იქცევა, უკეთესია ისევ ვიღაცა პატრონი ზევიდან გყავდეს, სხვა გზა არ არის. მეტი რომ არაფერი ვთქვათ, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: საგარეჯოდან რაზმი წამოვიდა ჩემს წინააღმდეგ. მე ყველგან გამოვაკვრევინე, სოფლის კანცელარიებში, დუქნებში და სხვაგან, რომ ცხადდება სამხედრო წესები, მე ვარ თელავის მაზრის გენერალ-გუბერნატორი, დავიჭირე პოლკის უფროსი თავაძე, კოტრიკაძე, კომენდანტი ქალაქის, უფროსი ლეიტენანტი იყო, მოვუწოდე მოსახლეობას, რომ ვინც თოფი წაიღო, ოცდაოთხ საათში უკან დააბრუნეთთქო და მოზიდეს ურმებით წაღებული იარაღი.

შაქრო ჯაფარიძის რაზმიც მოვიდა ამასობაში. დაბანაკდა თელავის გარეთ და ულტიმატუმი გამომიგზავნა რომ დაგვნებდითო. მე თავი გენერალ-გუბერნატორად გამოვაცხადე, ის კი ულტიმატუმს მიგზავნის, დაგვნებდიო.

მე დავნიშნე საველე სასამართლო კაჭახიძის თავმჯდომარეობით, ხუციშვილები წევრები და კიდევ ორი წევრი, სულ ხუთნი არიან, დაიწყო გასამართლება და არ გამოუტანეს განაჩენი ძია ყაველაშვილს. რაშია კაცო, საქმე და თურმე ხუციშვილებს, როგორც ინგილოებს ეშინიათ. რომ გამოვა თითქოს ინგილოებმა მოკლეს კახელი კაცი, მეზობელი და არ აწერენ განაჩენს ხელს. ცალკე ხალხი მოითხოვს ყაჩაღების გამზრდელი ძია ყაველაშვილი მოგვაშორეთო, თუ ეს დარჩა ცოცხალი, ჩვენ მოგვკალითო. მოდის და მოდის ხალხი, ქალი, კაცი და მოგვაშორეთ, მოგვაშორეთო, გარეთ ვეღარ გამოვდივარ, იმდენი არიან, არადა, კანონით, თუ რომელიმე წინააღმდეგია დახვრეტა არ შეიძლება და ის იყო, რომ ძია ვერ დავხვრიტეთ.

პირველი შეხვედრა, პირველი გასროლა და ჯაფარიძის რაზმი მთლიანად გადმოვიდა ჩვენს მხარეზე, შაქრო ჯაფარიძესთან ერთად. ესენი რომ გადმოვიდნენ, სამხედრო წესები გამოვაცხადე ყველგან — სიღნაღში, დუშეთში, თიანეთში და უცებ მოვიდა ცნობა: სომხებმა ჩვენი „ბრონევიკი“ მოჰკრეს შულავერის რაიონში. მოვიდა დეპეშა გეგეჭკორის ხელმოწერით, რომ დაუყოვნებლივ დაბრუნდი თბილისშიო. დაუძახეს გენერალ მაზნიაშვილს, და უთხრეს, მაღლაკელიძე მოდისო იმიტომ, რომ მაზნიაშვილს არ უყვარს სოციალისტები და ის მაინც დანიშნეს თბილისის გენერალ-გუბერნატორად, მაგრამ მხოლოდ სამი დღით იყო და მოვედი მე. მაშინათვე მოვიდა ჩემთან მაზნიაშვილი და მითხრა, რომ მე გენერალ-გუბერნატორობას შენს მოსვლამდე დავთანხმდიო და დავნიშნე მაზნიაშვილი ბორჩალოს მაზრაში სომხეთის საწინააღმდეგოდ. გამოვიწვიე სიღნაღის მაზრის მოსახლეობა. ქუდზე კაცი მოვიდა სიღნაღიდან. იქ მე მყავდა მეცხვარე კაცი, დიდი პატრიოტი, ლაფერაშვილი იყო გვარად. იმან მოიყვანა 1200 ცხენოსანი კაცი თოფებით. ხევსურეთში მყავდა ალექსანდრე მზარეული, იმან ხევსურები ჩამომიყვანა. აბასკური ნურიევი მყავდა ეხლანდელ რუსთავის რაიონში, ოცდაჩვიდმეტში დაუხვრეტიათ, ყარაიის თათრები მოიყვანა მთლიანად, ცხენოსნები. ხევსურები ფეხოსნები იყვნენ, შალვა ქარუმიძე იყო მერე მათთან დეპუტატად, შალვა, დამფუძნებელი კრების წევრი ნაციონალ-დემოკრატებიდან, პატრონი იყო ხევსურების ვითომ, თოფები გამომართვა მე და ხევსურები ქისტებს შეასია, გადაუხადეს სამაგიერო, გამორეკეს საქონელი და ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობამ პროტესტი გამომიცხადა ამის გამო. ხევსურების ხევისბერის შვილი მგელუა ჩემს შვილად გამოაცხადეს, ჩემთან ცხოვრობდა თბილისში ერთი კვირა, მერე არ ჭამა ბორშჩი, არ მინდა,

არ მინდაო და წავიდა ისევ ხევსურეთში, გიორგი ერქვა, მაგრამ მგელუას ეძახდნენ.

მერე მოხდა ამისთანა ამბავი, ბატონო, რომა, ჩვენ მარცხს მარცხზე განვიცდით. მაზნიაშვილის რაზმი ვერაფერს ხდება. თურმე, სომხების არმია არის დენიკინის მეოთხე არმია, დენიკენელები არიან. ვითომ ჩვენთან იყვნენ კავშირში, არადა ჩუმად, საიდუმლოდ დენიკინის მეოთხე არმიად ითვლება სომხეთის ჯარი. ლაგოდეხის რაიონში არის ვინმე ივანოვი, ოფიცერი, რომელმაც გამოაცხადა ლოზუნგი „კუკურუზნაია რესპუბლიკა“! მე გამოცხადებული მყავს კანონგარეშე, სადაც ვნახავ უნდა მოვკლა. თურმე ეს ივანოვი არის სომხების მხრიდან, მე რომ ვეძებ და დრო არის გადაღმა პატრონი, ცნობილი დრო, რუსებთან ერთად რომ ხელმძღვანელობს ამას. მაზნიაშვილმა მომაწოდა ცნობა, გვარდიელები გლახები არიან, არ იციან თოფის ხმარებაო, მუშებია უმთავრესად. სომხები კი თბილისზე მოდიან, ე. ი. დენიკინი მოდის თბილისზე, რადგანაც, ჩვენ რომ გვგონია ჩვენი მოკავშირეა, თუმცა სამხედრო კავშირი კი არ გვაქვს მათთან დადებული, საიდუმლოდ კი ითვლება დენიკინის მეოთხე არმიად. ჩვენ სამხედრო კავშირი აზერბაიჯანთან გვაქვს, სომხეთს სულ იმას ვთავაზობთ, შემოდით ჩვენთან სამხედრო კავშირშითქო, თურმე დენიკინთან არიან და რისთვის ჭირდებათ ჩვენთან სამხედრო კავშირი, თანაც იმას გვეუბნებიან თქვენ თათრებს შეუთანხმდითო, ე. ი. იმიზეზებენ.

ხევსურები დავაბანაკე უაზარმებში, ფეხოსნები არიან: ქიზიყელები უველანი ცხენოსნები იყვნენ. აბასკური ნურიევს, თათარს, თავის დროზე რომ მივეცი მე ჩინი უარაიას სოფლის კანცელარიაში და დავნიშნე უარაიას რაიონის კომისრად, ე. ი. ეს თათრული სოფლები, რომელიც აზერბაიჯანმა წაიღო, თბილისის მაზრაში შემოვიტანე. ამ აბასკური ნურიევს გავუგზავნე ბრძანება — „ნემედლენო პრივესტი კა მნე ლუდეი ნეობხოდიმიხ დლია ვედენია ვოინი ს არმენიი“. იმიტომ, რომ გავიგე, საქმე ვერ მიდის კარგად, მაზნიაშვილის საქმე, განსაკუთრებით დაგეთხაჩინის მიმართულებით. სომხები წინ მიდიან და ბოლოს მოვუწოდე აბასკური ნურიევს, როგორც გითხარით. ბორჩალოს კომისარსაც გავუგზავნე, ერთი თათარი მყავდა კიდევ. ასე რომ, ბორჩალოს თათრებს შეუძლიათ შეუერთდნენ უარაიის თათრებს.

გავიხედე ბატონო, დილა არის, მე ჩემს შტაბში ვარ სოლოლაკში და შეიქმნა კივილ-წივილი სომხების: თურქები მოვიდნენ! თურმე აბასკურ ნურიევია. მე რომ შევუთვალე, ჩამოდი სომხებთან საომრად-მეთქი, გახარებია ძალიან, შეუსვამს ცხენზე რაც შეიძლებოდა ბევრი ხალხი და წამოსულა. უკან „ტაჩკები“ მოყვება ცარიელები, სომხებს რომ დახოცავენ, წაიღებენ მაგათ ქონებას და გაძარცვავენ აქაურობას სულ ძველი დროის წესით. ხოდა ის იყო რომა, მოვიდენ ესენი, გამაღვიძა მე ამ წი-

ვილ-კივილმა, ის აივანი ახლაც არის, ხშირად გავივლი ხოლმე, რომ გავიხსენო. დიდი სახლი არის, კურტანოვის სახლი, ლერმონტოვის ქუჩაა, მგონი, ახლა შიგ ორგანიზაციებია მოთავსებული, იმ აივანზე გამოვედი და მომგვარეს მე გაუხედნელი ცხენი, შეითან ბაზრიდან ამოვიდნენ ოთხ-ოთხნი ცხენით და ჩემს აივანთან გაჩერდნენ. ჩემი ცხენი არ ჩერდება, ზედ არავინ ზის, „ნაჩალნიკის“ ცხენია გაუხედნელი. „იაშასუნ ნაჩალნიკ! იაშასუნ ნაჩალნიკ!“ — შეიქმნა ყვირილი და იკეტება მთელი ფანჯრები სომხების, არიქა, ტელეფონი რეკავს ჩემთან ხატისოვის ძმის, ექიმია. თვითონ ხატისოვი სომხეთშია წასული, დაშნაკების მთავრობის თავმჯდომარეა უკვე, აქ რომ ქართველობდა — ის, ხოდა რეკავს ეს ხატისოვის ძმა, აქვე ცხოვრობდა ჩემთან — „სპასიტე! სპასიტეო!“ გავედი გარეთ, შევჯექი ცხენზე და ცხენი ისეთია, ირევა ჭკუაზე, მთელ ქალაქში არ ყოფილა ამისთანა ცხენი და ოთხ-ოთხი წყობით მომყვებიან თათრები, ჩამოვედი ერევნის მოედანზე, მოვდივარ გოლოვინის პროსპექტზე, გაღვიძებია გიგო დიასამიძეს, დიდი პატრიოტი არის, ჩემი ცხენის ქვეშ შემოაგდო ქუდი, ჯარს გაუმარჯოსო! „კვალი“ არის გაზეთი — იმის პატრონი იყო.

მოვდივარ ასე და არც ვიცი, სად თავდება ჯარი, იმიტომ, რომ როდესაც ჩემთან მოვიდნენ, მე უკან არ წავსულვარ, რომ მენახა, შევჯექი ცხენზე და მოვდივარ, სომხებმა რომ დაინახონ, დედას-გიტირებთ-თქო და უკან თურმე აბანოები რომაა, აქამდის მიდის ამ ოთხ-ოთხი ცხენოსნის მწკრივი, უკან კიდევ ცარიელი, „ტაჩკები“ მოყვებათ. მე ეს არ ვიცი.

ვ. რ.: დაახლოებით რამდენი იქნებოდნენ?

შ. მ.: ათას ხუთასზე ნაკლები არ იქნებოდნენ. მე ესენი უნდა გავიყვანო მუხრანის ხიდით ავლაბარში დროებით, რომ გავუგზავნო მაზნიაშვილს და ხიდთან რომ მივედით, უკან რაღაც ჩოჩქოლია, მოვაბრუნე ცხენი, გვერდზე აბასკური ნურიევი მომყვება, „ჩტო ტაკოე აბასკური-თქო“ — ვკითხე, ქართული არ იცოდა. „ნიჩევო“, „ნიჩევო“. აქვე მინდა გითხრათ, რომ მაგათ გადაჭრეს ჩვენი ბედი, თორემ გათავებული იყო ჩვენი საქმე, თბილისში შემოვიდნენ, ხოდა შემოვატრიალე ცხენი და ვეუბნები აბასკურს, „ჩტოტო ნე ტაკ“, მე ვიფიქრე, სომხების დარბევა ხომ არ დაიწყესთქო. შევწუხდი კაცო, ახლა ქართველებიც მოდიან, რას შვებიო, კაცო, თათრები მოიყვანეო? ზოგი ქუდს მიყრის, ზოგი კი — რას შვება შალვაო, რომ მოვედი ლესელიძის ქუჩამდე და ჩავედი აბანომდე ვხედავ სულ „ტაჩკებია“„ უუუ, რამდენი კაცო, ე. ი. მოსულან, რომა საბოლოოდ გაათავონ თბილისის სომხები და რაც მოეწონებათ, წაიღონ. ვუყვირე მაშინ აბასკურის. ეს როგორ შეიძლება-თქო. გააჩერონ ტაჩკებითქო. „ია პადჩინაიუს„ პადჩინაიუსო“ და გასცა ბრძანება, ახლა რომ სამასი არაგველებია, იქ გააჩერეს. მივბრუნდით უკან, ავიყვანეთ ავლაბარში და დავაბანაკეთ ყაზარმებში, დილით რომ ფრონტზე გავუშვა,

მივუჩინე მაგათ მე ამბროსი ხოშტარია, ბატალიონის მეთაური რომ მყავდა, როგორც მაგათი უფროსი. აბასკურიმ თოფის სროლა კი იცის, მაგრამ ხოშტარიას გამოცდილება აქვს და ამიტომ ის წაიყვანდა დილით ფრონტზე.

დაღამდა, ამ დროს ამბროსი მირეკავს, მეგრული აქცენტი ქონდა საწყალს, შალვა, იცი რა ამბავია, კაცოო, დაუყოვნებლივ მოდი ყაზარმებშიო, შენი ჭირიმე, შალვა, მალე მოდიო, რა მოხდათქო? მოდი და ნახავო! თათრებს სძინავსთქო? — ვკითხე, — არ ძინავთო. მე მანქანაც მყავდა, ჩავჯექი და წავედი. მივედი ყაზარმებში და სიჩუმეა. შემეგება აბასკური ნურიევი, ამბროსი არ სჩანს. გავიარე, და თოფები რომაა შეყრილი ერთად ხიშტებით, დაუჭერიათ სამი სომეხი, მოუჭრიათ თავები და იმ „შტიკებზე“ ჩამოუცვიათ, ე. ი. მოუმზადებიათ თავი სომხების დასახოცად და ეს სიმბოლო არის. ეს რომ დავინახე და ვიფიქრე — დედა, ეს ვინ მოვიყვანეთქო, რა უბედურებაათქო. ვიყვირე — „გდე ტელოთქო“. „ტელო ზაკაპალიო ვო დვორე, ნიკტო ნე ნაიდიოტო. ა ჩტო სლუჩილასო, ტოლკო ტრი გალავიო, მი დოლჟნი სტო გალოვი პრინესტიო, ეტო პოდგოტოვკაო, ეტო ნაჩალოო“. ეხლავე მოაძრეთ თავები და სადაც დამარხეთ ტანები, იქ დამარხეთ, თქვე ოხრებოთქო. დილით ვუკარი თავი ყველას მაგათ მაზნიაშვილის განკარგულებაში.

მივიდნენ ესენი სოფელ დაგეთხაჩინში. დაგეთხაჩინშია ბრძოლები უკვე, ე. ი. გლახად არის ჩვენი საქმე, ხოდა ესენი, იქ რომ მივიდნენ, თურქები მოვიდნენ და დრო უყვირის, გაჩერდით, შეჩერდით, მარა აბაა! ვის ესმის, მირბიან მაგრამ რაფერ მირბიან კაცო, ბრძოლა არ ჭირდება. ესენი შეესიენ სომხებს! ჩვენები შეესიენ შულავერში ღვინოებს! გვარდია ზის და სვამს, ბევრი ღვინოებია კასრებით შულავერში და სვამენ ქართველები. ამ თათრებმა გააქციეს ეს სომხები. აი, ეს არის სინამდვილე! ახლა რა მოხდა, მე თბილისში ვარ, შენი ჭირიმე, დამიძახა ჟორდანიამ და მითხრა: თათრები რატომ მოიყვანეო, ინგლისელები პროტესტს აცხადებენო, მათი წარმომადგენელია აქაო და როგორმე უნდა მოახერხოო შენო რომ წახვიდეო მოლაპარაკებაზეო და ბრძოლა უნდა შეწყდესო. იმიტომ რომ ერევანში შევალთ ჩვენ ამ თათრებით, ამას არ უნდა ლაპარაკი: კაცი ვერ დაუდგებათ ამათ წინ. იციან, რომ ამათ ხელში ჩავარდნა სიკვდილია, ტყვედ არავინ არ მოჰყავთ, მაშინათვე მოკლავენ. მე, ვარდენ წულუკიძე, (გენერალი) და ალექსანდრე წულუკიძე, (გენერალი) წავედით როგორც პარლამენტიორები მოსალაპარაკებლად ფრონტზე. შევდექი მე სანაინის ხიდზე და სანაინის რკინის ხიდის გადაღმა სომხები არიან, მაზნიაშვილი აქეთ არის სოფელში, შეწყვეტილია სროლა, თათრებიც გავაჩერეთ ცოტა ხნით. მე, როგორც მოგახსენეთ ჩემო ბატონო, მახლავს გენერლები ვარდენ წულუკიძე და ალექსანდრე წულუკიძე, რომლებიც სამწუხაროდ დახვრიტეს შემდეგ. დახვრიტა, ბატო-

ნო, კამოს ძმამ პეტროსიანცმა და ჩეკამ. საბურთალოზეა ორივე გენერლის ჩონჩხი. საწყლები ძალიან დიდი პატრიოტები იყვნენ, ისინი კატედთა კორპუსიდან იყვნენ ე. ი. ჩვენ წავედით სამნი — დროს რომ მოველაპარაკოთ, ფრონტის ხელმძღვანელს. სანაინის ხიდთან როდესაც მივედით, გენერლებმა მითხრეს, შალვა, ასე არ შეიძლებაო, ცოტა ფრთხილად უნდა მოვიქცეთ, ჩვენაო. მე ვუთხარი, როგორ კაცო, სომეხი მესვრის აქ საქართველოშითქო? არ გამყვნენ მე ბოლომდის, შუა ხიდზე დარჩნენ, მირჩიეს დავუძახოთ მოსალაპარაკებლად პარლამენტიორები თუ ვართ, ზავზე რომ გვინდა ველაპარაკოთ და გადავცეთ, რომ დროსთან მინდა შეხვედრა, მთავრობის დავალებით ვართ გამოგზავნილიო. არ დავუჯერე, დავტოვე შუა ხიდზე ორივენი და წავედი სომხებისკენ. არ მესროლეს, ხიდის ბოლოში იქით სომხები არიან, ქალამნები აცვიათ. ეს სალდათი, რომელიც ხიდის ბოლოშია, გაკვირვებული მიყურებს და რომ მივედი, ბექია ცოტა ამოსავლელი და იქიდან მოსჩანს შენობა, რომელზეც თურქების დროშა ჰკიდია, ე. ი. დრო კი არის აქ, მაგრამ თურქების ზონად ითვლება, კონსულია იქა და მოსჩანს დროშა ნახევარმთვარით, მწვანე. უცებ ამ აღმართში ამოხტა ერთი კაცი ცხენით და რომ დამინახა, — „ვაშე პრევოსხოდიტელსტვო, ია ტოლკო სოლდატ, ია ტოლკო სოლდატო“, ყვირის. ბიჭოს ვინ არის ეს-თქო ვიფიქრე. თურმე მე რომ აქ ივანოვი კანონგარეშე გამოვაცხადე და ვეძებ — ეს ივანოვია რკინიგზა რომ ააფეთქა, ის კი არა, მეორე „კუკურაზნაია რესპუბლიკა“ რომ დაარქვა ჩვენს რესპუბლიკას და ლაგოდეხში მოქმედებდა საქართველოს წინააღმდეგ, დაზვერვის ოფიცერი იყო ოხერი ვიღაცა. მე ის კანონგარეშე გამოვაცხადე, როგორც გითხარით და აგერ არ შემხვდა! რომ დამინახა, იფიქრა დავიღუპეო, ჩამოხტა ცხენიდან და „ია ტოლკო სალდატო“. ვერ გავიგე რა უნდა—„ვი კტო ტაკოი მეთქი“.—„იაჟე ივანოვ კტოროგო ვი ობიავილი ვნეზაკონნა, ია ტოლკო სალდატო, ია ოხოტნო ზდამსაო, ტოლკო ვისლუშაიტე მენია“.—„ჩტო სდეს დელაეტე?“—ია რუკოვაჟუ ზდესო ეტო მაია ბოევაია ლინია“. უფიქრია, აქ როგორ მოვიდაო, აგერ სომხის სალდათი დგას ხიშტით და რაშია საქმეო, იფიქრა, ალბათ, ე. ი. როგორც სჩანს სომხებს უღალატიათ დენიკინისათვის და წასულია საქმეო. „ახ ეტოტ ივანოვთქო“, ფასონი დავიჭირე მე, „ა ზდეს კაკ პაპალთქო“. „ეტოჟე დენიკინსკაია ჩეტვიორტაია არმიაო“. „კაკაია დენიკინსკაია არმიათქო“. სად დენიკინი და სად სომხეთი კაცო. „ეტო პო ტაინომუ პოლოჟენიუ, ტაინომუ საგლაშენიუ, არმიანსკაია არმია, სჩიტაეტსა ჩეტვიორტოი დენიკინსკოი, არმიეი პოლნოსტიუ“. თუ დენიკინს ჩაუვარდი ხელში, ვერ არის ჩემი საქმე კარგად. „გდე ნახოდიტსა დრო-თქო“. „დრო ტაქმო“. „ა. პოჩემუ ზელიონოე ზნამია..?“ „ეტო სფერა ვლიანია ტურციი“. ე. ი. სომხეთი თურქების, ჩვენს საწინააღმდეგოდ სომხები, წადი და გაიგე ახლა ვინაა და რა არის, „უსტროიტე ვსტრეჩუ დროს-

თანთქო“ „ოხოტნოო“ — მითხრა. ამ დროს მეორე ცხენიანი კაცი ამოვიდა და ის გაგზავნა დროს მოხაყვანად, თვითონ ჩემთან დარჩა. მალე მობრუნდა ის სამხედრო და დრომ შემოგითვალათ, ალექსანდროპოლში წამობრძანდით და იქ ვილაპარაკოთო. ე. ი. ტყვედ მივყავარ, რაღა. მერე, უცხოეთში რომ ვხვდებოდი, მაშინ მითხრა, როგორ მოვიდოდიო, შენთან მოვიდოდით იქაო? რა გარანტია მქონდაო.

არ მოვიდა და დავბრუნდი უკან. მოვედი გენერლებთან კაი გადარჩენილი და ჩამოვედით თბილისში. წარვსდექით მთავრობასთან.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ე. ი. არც ერთ ქართულ რაზმს თავი არ უსახელებია?

შ. მ.: დაიჭრა ზოგიერთი, მაგრამ როგორც სამხედრო ერთეულს, თავი არ უსახელებია.

ვ. რ.: მაზნიაშვილი რომ წერს თავის წიგნში აღარ მახსოვს, ერთი მთა არის, ტაქტიკური ადგილი. ერთ ღამეში რამდენჯერმე ავიღეთო?

შ. მ.: ისემც რა ვუთხარი. ეს მაზნიაშვილის დაწერილი არ არის. მაზნიაშვილი არც იკადრებდა მაგისთანა ტყუილის დაწერას. ეს არის ამათი დაწერილი, როდესაც მაზნიაშვილი გადმოიყვანეს თავის მხარეზე პარიზიდან, ახლა უნდათ გამოიყვანონ მაზნიაშვილი როგორც რომა, ვითომ იქ დიდი ბრძოლები იყო. ეს შეთითხნილი ამბებია. ნამდვილი ბრძოლები მისცა მარტო ამ აბაჯურ ნურიევმა, ამ არარეგულარულმა ჯარმა, შიშით, შიშის ნიადაგზედ. პოზიციური ბრძოლები საერთოდ არ ყოფილა. გვარდიელები შეესიენ ღვინოს და სვამდნენ, მერე გვარდიელები ჭირივით სძულდა მაზნიაშვილს. ნამდვილი სამხედრო ერთეულები ძალიან ცოტა იყო, რომლებიც ჭირდებოდათ პატრულებად და მესაზღვრეებად. ასე, რომ საბრძოლო ერთეულები გვარდიაა და გვარდია შაურად არ ღირს — სულ მთვრალები არიან, ანდა თუ პატიოსანი გვარდიელია, ისიც დაიჭრა, მაგალითად გაბო და ვინღა დარჩა. გაბო ჩემი მეგობარი იყო და ვიცი ეს!

ვ. რ.: ჯუღელი რომ წერს...

შ. მ.: ეს არის სულ გამოგონილი ამბავი, თითიდან გამოწოვილი.

ვ. რ.: ე. ი. დღიური აქვს და დღითიდღე...

შ. მ.: ტყუილი, ტყუილი...

ვ. რ.: როგორ იღებს ახალქალაქს...

შ. მ.: ისემც მაგას რა ვუთხარი!

ვ. რ.: ფაქტიურად ხომ მაინც განთავისუფლდა ეს რაიონი?

შ მ.: პირიქით, ინგლისელები წამოვიდნენ, არ გაუშვეს ჩვენები არსად და წაგვართვეს ტერიტორია — „ალავერდსკი რაიონ“ გამოაცხადეს ნეიტრალურად. მთლიანად წაიღეს ეს ტერიტორია და რა დავიკავეთ, დაიკავა კი არა და სულ დავკარგეთ.

სოფელი იყო დაგეთხაჩინი, შულავერი და სანაინი, აი ეს სამი სოფე-

ლია, სადაც იყო ბრძოლები, შეტაკებები. მაგრამ ერთი სანტიმეტრითაც ვერ წავიწიეთ, მანამ, სანამ თათრები არ ჩამოვიდნენ და სანამ სიღნაღელები არ ჩამოვიდნენ, ლაფერაშვილის რაზმი. ეს რაზმი ერთი დღით ადრე მივიდა. მეორე დღეს მივიდა აბასკურ ნურიევის რაზმი. ასე, რომ გამარჯვებაზე თუ ვიტყვით რამეს და¡რამე სიკეთე თუ იყო, გვარდიელებმა კი არა, ლაფერაშვილის რაზმმა და აბასკურ ნურიევის რაზმებმა გააკეთეს! გვარდიელებს არაფერი არ გაუკეთებიათ. გვარდია, რომელმაც თოფი როგორ დაიკავოს, ის არ იცის.. (გვარდია კი არა, მუშები იყვნენ დეპოდან და „ბოჩკებს“ დაესიენ). მაშასადამე, მაზნიაშვილმა ლაფერაშვილის წყალობით და განსაკუთრებით ამ აბასკურ ნურიევის თათრებით, იმ ინგლისელების მოსვლით, ჩარევით და ჩვენი ტერიტორიის ნეიტრალურ ზონად წაღების წყალობით... ხევსურები არ ჩაბმულან ბრძოლაში, ფეხოსნები იყვნენ და შეაგვიანდათ... რადგანაც ესენი ორივენი ცხენოსნები იყვნენ, შეიჭრნენ იოლად და გაიქცნენ სომხები. დატოვეს დაგეხჩირნი, შულავერი და სანაინი, მაგრამ ინგლისელები მოვიდნენ და იგივე ტერიტორია ნეიტრალურ ტერიტორიად გამოაცხადეს, ე. ი. ჩვენი ტერიტორია წაიღეს, ინგლისელებმა ნეიტრალური ზონის გამგედ დანიშნეს არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი მდივანი ვასილევსკი., ადრინდელი გუბერნატორის პირადი მდივანი, რომელიც ახლა ჩემთან იმყოფებოდა სამსახურში, მერე ქე მოკლეს სომხებმა იქა. ცოლი ყავდა ექიმი. სოლოლაკში ცხოვრობდნენ, უნივერსიტეტი ქონდა დამთავრებული, იურისტი იყო. ერთი ბიჭი ყავდა, მიშა, ოთხი წლის ლამაზი ბავშვი, აი თქვენი გულბაათი *, რომ არის, ასეთი. ეს ვასილევსკი ყოვლად პატიოსანი კაცია. ინგლისელებიც თანახმა იყვნენ, ქართველებიც და სომხებიც... მოკლეს საწყალი სომხებმა, დაიღუპა თავი სულ ტყუილ-უბრალოდ.

ომის შემდეგ ვარდენ და ალექსანდრე წულუკიძეები ჩემთან ერთად იყვნენ ციხეში, ერთ ღამეს წაიყვანეს და დახვრიტეს „გრუზჩეკას“ დადგენილებით. მეც გამომიტანეს სიკვდილით დასჯა, პეტროსიანცმა, კამოს ძმამ, მაგრამ კოტე ცინცაძემ, ჩკ-ს თავმჯდომარემ არ მოაწერა ხელი. იმათ დასჯაზე კი მოაწერა. მერე თვითონ კოტემ მოიტეხა კისერი ჩემზედ, რომ არ დამხვრიტა, მაგრამ ბუდუ მდივანი ჩაერია, ქართველები ჩაერიენ და გადააყენეს კოტე ჩემი გულისთვის. ამას ჩვენ მერე შევეხებით.

აბასკურ ნურიევი შემდეგ საბჭოების მხარეს დადგა და 37-ში დახვრიტეს.

სომხებმა რომ ომი დაგვიწყეს, მაშინვე ასზე მეტი სომეხი, დაშნაკების პარტიის მეთაურები რომ იყვნენ, დავაპატიმრე და გადავაგზავნე ქუთაისის საქალაქო ციხეში. როცა ინგლისელებმა ნეიტრალური ზონა გამოაცხადეს, მერე გამოვუშვით.

---

* მხედველობაში ყავს ვ. რცხილაძის ვაჟი გუგა (ნ. ცხოვრებაშვილი, ჩამწერი).

ვ. რ.: მართალია, რომ აქ, თბილისში იყო გენერალი ანდრანიკი?

შ. მ.: არასოდეს არ ყოფილა. მაშინ ცოცხალიც არ იყო.

ვ. რ.: არც დრო?

შ. მ. დრო კი ყოფილა, ჩემი მეგობარი კაცი გახლდათ და პარიზში ხომ სულ ჩემთან იყო, გერმანიაშიც ჩემთან იყო. დაზვერვაში მყავდა. ახლა ფილმს ქმნიან სომხები და ჩემთან მოვიდნენ, რანაირი შესახედაობის იყოო, როგორ შთაბეჭდილებას ტოვებდაო.

ვ. რ.: თქვენთან საიდან მოვიდნენ?

შ. მ.: გაზეთებში ხომ იყო ჩემი ხელის მოწერით, მე ვხვდებოდი დროსთქო, რომ ვწერ ვითომ. გაზეთში წაიკითხეს „ზარია ვასტოკაში...“ სომხების დაჭერაზე მოგახსენებდით. სამი დღე რომ იყო ჩემამდე გუბერნატორად მაზნიაშვილი და მე რომ მოვედი, პირველ რიგში გამოვაცხადე თბილისის და ბორჩალოს მაზრის სომხები მტრად, იმიტომ, რომ ელიან იმათ აქ შემოსვლას. გამოვუშვი პატრულები. ერთ-ერთი პატრულის უფროსია სოსო გომართელი. მოხვდა სოსო მუხრანის ხიდზედ... გიორგი ერაძეზე არ მითქვამს, მუშაა ცხოვრობს ავლაბარში, არის „მინისტრ ტრუდა“, ერთადერთი მუშაა მინისტრი. ლაპარაკი აქვს ავლაბრული-რუსული შერეული ქართულში და ა. შ.

ვ. რ.: რატომ აირჩია ეს კაცი მთავრობამ?

შ. მ.: მინისტრად იმიტომ აირჩია, რომ მენშევიკური მთავრობაა და მუშა არც ერთი არაა, ყველა მინისტრი ინტელიგენტია, აირჩიეს ერთი მუშა ერაძე მინისტრად. აი, მინისტრი — მუშა და ამიტომ თავაშვებულია ერაძე. იცის, მე კი ვარ მუშა, მუშათა პარტიაო და თქვენ ვინ ხართო. ამ კაცს შეეჩეხა სოსო გომართელი თავისი ჯგუფით მუხრანის ხიდზე. თურმე ეს კაცი გიორგი ერაძეა და დააკავეს. მეორე დღეს, გიორგი ერაძემ დასვა ეს საკითხი პარლამენტში, ჩხეიძეა ამ პარლამენტის თავმჯდომარე, ლომთათიძე მოადგილე. შეკითხვაა: იცის თუ არა მთავრობამ, რომ მთავრობის ერთი პასუხისმგებელი პირი გუშინ შეურაცყვეს და თუ იცის, რა ზომები მიიღოო. ჟორდანია ლოჟაში ზის. მე გამოძახებული ვარ და პარტერში ვზივარ. ლომთათიძემ თქვა: შეკითხვის შესახებ მთავრობამ ორი კვირის განმავლობაში უნდა გასცესო პასუხი, ჯერ უნდა შევისწავლოთ საკითხიო. არაა საჭირო, მე თვითონ გავცემ პასუხს ეხლავეო, გამოაცხადა ერაძემ და თქვა: გამოვედიო მე ჩემი ამხანაგებითო, მე ავლაბრელი ვარო — ზოგი სომეხიაო, ზოგი სხვაო. ჩვენი პარტიის წევრები არიანო და მომმართესო, რომ რა უბედურებააო ესო კაცო. ჩვენ ხომ აქაურები ვართ, ქართველები ვართ, სომხური არც კი ვიცითო და გამოვყევი, რომ დავხმარებოდი — არ დაეჭირათო. ესენი იგივე ქართველებია, ჩემი ძმებიაო. მერე ჩვენი პარტიის წევრებიც არიანო. ხიდზე რომ გავდივართ, გომართელი თავისი რაზმით მოდის და ხელები მაღლაო, გვითხრესო, ავწიეთო ხელებიო. რაშია საქმეთქო. სომეხი ხარო? მე ვუ-

პასუხე, თუგინდ სომეხი ვიყო, რა იქნებაო. არა ვარ სომეხითქო. რას იტყუებიო! მომატრიალეს და ერთი პანღური ამომკრესო. მე ვუთხარი, როგორ ბედავთ, მე მთავრობის წევრი ვართქო და ეხლა ორი პანღური ამომკრესო. რას შვებით, მე მინისტრი ვართქო და სამი პანღური ამომკრესო. ერთმა დაუძახა დარბაზიდან, რატომ არ მოგკლესო შენისთანა ოხერიო და ატყდა სიცილი. მერე მე მივეცი განმარტება, რომ პატრუსს ქონდა უფლება მისი დაკავების, რადგანაც მათ შეკითხვაზე, იმის მაგიერ რომ ეპასუხა, ვინ იყო, დაიწყო თუგინდ სომეხი ვიყო, გინდაც ეს ვიყო და ა. შ. გომართელმა იფიქრა, ალბათ ტყუის და დააკავესთქო. პანღურების შესახებ მე არაფერი არ ვიცი-მეთქი. ისემც შენ რა გითხრა, შენა შალვაო და ასე ჩაიარა ამ საკითხმა.

მოხდა ის, რომ შეწყდა სომხების წინააღმდეგ ეს ამბავი და დაისვა საკითხი ჩვენი და სომხების მომავალი ურთიერთობისა. ამას ძალიან დიდი ამბით გამოექომაგა ზორიანცი, დაშნაკცუთიუნის პარტიის ლიდერი საქართველოში და დავითიანცი, ორივენი გაქართველებული სომხები იყვნენ... გითხარით მე, რომ ზორიანცს დამოუკიდებლობის აქტზე ხელი აქვს მოწერილითქო და დააყენა ამან საკითხი პარლამენტში შემდგომში ჩვენი და სომხების ურთიერთობის შესახებ.

ვ. რ.: ჩვენს პარლამენტში?

შ. მ.: კი ჩვენი პარლამენტის წევრები არიან. დაშნაკცუთიუნის პარტიის ფრაქციაა ჩვენს პარლამენტში, ისინი შედიან ჩვენს სამინისტროებში და სხვაგან, ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან, თავის თავს თვლიან ქართველებად. ასევე თვლიან, რომ ყოველ დიდ ქართულ დოკუმენტზე ხელი მოაწერონ, როგორც ერთგულმა ხალხმა. როდესაც ჩვენ გვიცნეს, ზორიანცი გამოვიდა აქ სასახლის წინ და განაცხადა საქართველოში მცხოვრებ სომეხთა სახელით, რომ ისინი ბედნიერი არიან ამ ცნობით და ისინი როგორც მოქალაქენი საქართველოსი შეეწირებიან ამ იდეას, საქართველოს დამოუკიდებლობის შენახვის იდეას, ამ დროს თურმე კომუნისტების პარტიის საიდუმლო აგენტია ეს ზორიანცი. ე. ი. 27 იანვარს ჩვენ გვიცნეს და ზორიანცი გამოვიდა 28—29 იანვარს, ოცდაერთი წლის. მე თვითონ ვესწრებოდი ამ მიტინგს, ასე რომ, ეს ზორიანცი და ეს დავითიანცი ჩვენი მოქალაქეები იყვნენ. ზორიანცი აქ ადრე ფართლეულობის მაღაზიის ნოქარი იყო, მერე ლიდერი გახდა დაშნაკცუთიუნის პარტიისა საქართველოში. მე შვილებს ვუნათლავდი მაგას, ბატონო, ახალციხეში, როდესაც ოფიცერი ვიყავი ნიკოლოზ მეორისა, მაშინ ქალაქის თავი არ იყო, ქალაქის თავი მოვსესოვი იყო იმ დროს.

ვ. რ.: სომხური წესით მოუნათლეთ?

შ. მ.: დიახ სომხური წესით, მართლმადიდებლური და ეჩმიაძინის წესი ერთნაირი არის თითქმის. მოკლედ, მე იმის თქმა მინდა, ზორიანცისა და დავითიანცის შესახებ, რომ დავითიანცი შემდეგ ჩემთან, გერმანი-

აში იყო. ამიტომ მე ვიცი მთელი მაგათი მუშაობა, აქვს ჩემთან ნათქვამი, ამას რატომ აკეთებდნენ. ამაზე სხვა დროს მოგახსენებთ. ე. ი. მე ვიცი დაშნაკცუთიუნის პარტიის მუშაობა არა იმ წყაროებით, რომელიც არის, არამედ უშუალოდ, მე თვითონ დავაარსე ქართველ-სომეხთა ახალგაზრდათა უნიონი პარიზში, გაზეთიც გვქონდა, ჩვენი და აზერბაიჯანელმა სტუდენტებმა პროტესტი განმიცხადეს, ქრისტიანული ბლოკი დაარსეთ მაჰმადიანების წინააღმდეგ, რატომ სომეხ-ქართველთა უნიონი და არა ქართველ-აზერბაიჯანელთა უნიონიო. მთელი ამბავი იყო პარიზში მაგის გარშემო. მე ვიყავი ამ საზოგადოების თავმჯდომარე და ეს ყველაფერი ვიცი პარიზიდანაც და შემდეგ სხვაგანაც, კაიროდანაც, რომ სომხები დაშნაკცუთიუნის პარტიისა გამოცხადებული არიან კაიროს გზით, როგორც ერთგულნი მაჰმადიანებისა და პირველი მტრები ქართველები არიანო. სომხებს და ბერძნებს ავტონომია აქვთ ოსმალეთში, ქართველებს არა. ყოველი ქართველი ავტომატურად არის თურქი. ასეთია მდგომარეობა დღეს. ერთადერთი სერვერბეგი იყო ათაბეგი, გურჯი ხარო და აღარ აირჩიეს პარლამენტში მხოლოდ ამიტომ, რომ გურჯი არის სისხლით, წარმო'შობით.

სომხების საკითხის შესახებ, ბატონო მე მექნება ცალკე ლაპარაკი, მერე ვიტყვი დაშმაკცუთიუნის პარტიის მუშაობაზე უცხოეთში. დღეს, რა პრესა აქვთ მაგათ, სად არის მაგათი ცენტრი — კაიროშია მაგათი ცენტრი, ე. ი. მაჰმადიანების შუაგულში აქვთ ცენტრი დაშნაკელებს, ერთმანეთს რომ ხოცავდნენ, კაცო! აქედან ჩანს — მაგათი მუშაობა მიმართულია მარტო ქართველების წინააღმდეგ.

ვ. რ.: მოდით შევეხოთ ლენინის მიერ საქართველოს ცნობას.

შ. მ.: ჩვენი ცნობა მოხდა 7 მაისს ლენინის მიერ, მას შემდეგ, როდესაც ჩვენმა დელეგაციამ დასავლეთში ვერაფერი გააკეთა და მიუთითეს მათ, რომ სანამ არ გიცნობთ საბჭოები, ჩვენ ვერ გიცნობთო.

1920 წლის 7 მაისს წინ უძღოდა ბოლშევიკების პატიმრობა. ციხეში იყვნენ ისინი ყველანი. მაშინ გენერალ-გუბერნატორი ვიყავი. მიხა ცხაკაია ციხეში გვყავს, შენი ჭირიმე, ფილიპე მახარაძე ციხეში გვყავს, მამია ორახელაშვილი, სერიოჟა ქავთარაძე, ე. ი. ეს ტუზები ყველა ციხეში მყავს. ამ დროს ჩრდილო-კავკასიის მთავრობა დაეცემა და იქ შემოდიან, გროზნოში, კიროვი და ორჯონიკიძე. ეს ხდება 1920 წლის აპრილში. იქიდან მოდიან და მოდიან ლტოლვილები. დენიკინის უკანასკნელი დამარცხებული ცხენოსანი პოლკი, ერდელის ყაბარდოელები მოადგენ დარიალს. დარიალთან შეეხვდით მე, ვალიკო ჯუღელი, ჩხიკვიშვილი, თბილისის ქალაქის თავი რომ იყო აქა, წამომყვა, რომ ენახა, როგორ გამორბიან დენიკინელებიო, პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, სერვერბეგის სიძე რომ იყო, მერე დახვრიტეს, გიორგი ბაქრაძე, პოლკოვნიკი, კახელი კაცი, ომში დაიჭრა, ჩამოსულა კახეთში, აუღია ტიკით ღვინო,

ჩურჩხელები და როგორც შეყვარებული რაინდი, წასულა თავისი შეყვარებული რუსის გოგოს ტატიანას მოსაძებნად ციმბირში. პოლკის უფროსის ქალიშვილი იყო და მამამისს, როგორც იაპონიის ომის მონაწილეს სახლი მისცეს ციმბირში, მაზნიაშვილსაც ჰქონდა სახლი ციმბირში, ნაჩუქარი იაპონიის ომში მონაწილეობისათვის. იქ მიდის გიორგი ბაქრაძე კვირეების მანძილზე. იმიტომ, რომ მატარებლები არაა, ქვეყანა იქცევა, მაგრამ მაინც მიაღწია ადგილამდე და ის ქალი კი გათხოვილი დაუხვდა. ეს გიორგი ბაქრაძეც მე მახლავს. საზღვარზე ქართული ბატალიონი დგას. სიმონ წერეთელი, მერე პარიზში იყო, ყაზბეგის კომენდანტია და მთელი ბატალიონი ყავს. გადავედით საზღვარზე სამი მანქანით, გერმანელების დატოვებული მანქანები გვყავდა. მე, ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი, გიორგი ბაქრაძე, გოგიტა ფალავა. გოგიტა ფალავა ევგენი გეგეჭკორის დისშვილი იყო, მენშევიკი, ყველაზე უმცროსი დეპუტატი პარლამენტში. დახვრიტეს მერე, ოცდაოთხი წლის აჯანყება რომ იყო. სუზდალის ციხიდან მოყავდათ, პარიტეტული კომიტეტის წევრი იყო. უკან მოყავდათ როგორც მძევლები და არმავირში სადგურზე მოკლეს, დაჩეხეს. მე მაშინ პრაღაში გახლდით. იმას მოგახსენებდით, რომ გადავედით საზღვარზე და მივედით ერდელის შტაბში. შტაბში მარტო ერთი კაცი ზის — ერდელი, ადრე არ მენახა, არ ვიცნობდი. წარვუდგინეთ თავი ერთმანეთს და ერდელმა გვთხოვა დახმარება გაგვეწია მისთვის ჯარით. ჩვენ მარტო ერთი ბატალიონი გვყავს ყაზბეგში, უფროსია პოლკოვნიკი სიმონ წერეთელი. ეს ბატალიონი ჩვენ გვჭირდებოდა იქ, ჩემო ბატონო, და მეტი ძალები აქ არ გაგვაჩნდა. დუშეთში ერთი კაცი არ გვყავს, არც მცხეთაში და ვუთხარით, ადგილობრივი ძალებით იმოქმედეთ, უკეთესიათქო, ჩვენ წავალთ ნაზრანში და ინგუშებს მოვუწოდებთ დახმარებისათვის-თქო. ჩვენ ვაწვდიდით მათ იარაღს, ქვემეხებიც კი გვქონდა მიცემული. წავედით ნაზრანში. ერდელი აქ დავტოვეთ. ნაზრანში გადავწყვიტეთ მიტინგი ჩაგვეტარებინა ინგუშებთან, მაგრამ მოვიდა ცნობა, რომ რამდენიმე საათში კომუნისტები შემოვიდოდნენ ვლადიკავკაზში და ჩვენ უნდა გაგვესწრო. ორი მანქანა ჩვენზე ადრე გავუშვით, მე და ბაქრაძე ცოტახნით შევყოვნდით და მერე წავედით, გზაში მანქანა გაფუჭდა, იხელთა დრო ჩვენმა მძღოლმა და გაიქცა, ოსი იყო, ჯავიდან, გვიღალატა. გავბრუნდით უკან ნაზრანში, რომ გადავრჩეთ. სანამ წამოვიდოდით, ნაზრანში გვითხრეს, რომ ჩვენ სტუმრის შენახვის ტრადიცია გვაქვსო. ერთ მოსახვევში უცებ გამოხტა ორი ცხენოსანი კაცი, პირდაპირ ზღაპარია, ჩემო ბატონო და, „კტო ვი, სტოიტეო“. თურმე იციან, ჩვენ ვინც ვართ, მიტინგს რომ ვატარებდით — იქიდან. ინგუშები არიან. ერთი არის ინგუშეთის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, მეორე გაზეთ „ინგუშსკაია ბედნოტას“ რედაქტორი, ნაბდებში ვართ და ჩვენი თოფ-იარაღი არ ჩანს. გიორგის ვუთხარი,

უნდა ვიმოქმედოთ, სხვა გზა არ გვაქვს-მეთქი. „გურჯები ხართ? ქართველები ხართო?“ ბიჭოს! კი, ქართველები ვართთქო. თურმე ვინ არიან ესენი და გიორგი ამილახვარის მეტყველები, ქართული იციან. „ნუ შეშინდებითო, ვისთან მიდიხართ, ჩერნოვთანო?“ და გიორგის ცხენიც კი შესთავაზეს, მაგრამ შორს აღარ იყო და ფეხით წავედით, ჩვენც და ისინიც. მივედით ჩერნოვის ოჯახში. ჩეჩენი იყო, ჩრდილოკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ჩერნოვი. დაგვხვდა მისი სიძე კუზმინსკი. ჩერნოვი გაქცეულა. მივედით ჩერნოვთან და ეს ორი ინგუში გაქრა. ჩვენი ორი მანქანა, წინ რომ გავუშვით, ჩასულა საქართველოში. მარტო გოგიტა ფაღავას უთქვამს, შალვას მიტოვება არ იქნებაო და დარჩენილა ვლადიკავკაზში. გოგიტა იმალება თურმე სხირტლაძეების რესტორანია იქა და იმ რესტორანში. ვლადიკავკაზში უკვე შემოსული არიან კიროვი და ორჯონიკიძე. მეორე დღეს ვხედავთ, რომ ჩალმიანი კაცი ე. ი. მექაში ნამყოფი, შემჯდარა ცხენზე და მასთან ერთად ათას ექვსასი შეიარაღებული ცხენოსანი ინგუში. ელიან, რომ ოსები დაესხმიან მათ თავს. ოსები რუსებს უჭერენ მხარს და ინგუშები მტრად არიან გამოცხადებულნი. მოვიდა ჩემთან პორუჩიკი, ინგუში, თურმე იმ ჩალმიანი კაცის შვილია და გვითხრა „მოი ოტეც კამანდუეტ ინგუშსკოი კონნიცეი. ოტეც ხოჩეტ, შტობი ვი სტალი ეგო ადიუტანტომ“ — ე. ი. ეს გენერალ-გუბერნატორი კაცი ამ ჩალმიანი კაცის ადიუტანტად. „ია იაზიკა ნე ზნაიუ“-თქო „ნიჩეგო, ონ პო რუსსკი ნემნოჟკო პონიმაეტო“. გიორგის ფეხი ტკივა და მასზე არაფერს არ ამბობს. იმ დღესვე დამნიშნეს, ბატონო ჩემო, მე ეს გამოთაყვანებული ჩალმიანი კაცი რომაა, იმის ადიუტანტად. მომცეს ცხენი და კურიოზი ის არის, ჩემო ბატონო, რომ, ამ კაცს აქვს ბეჭედი არაბულ ენაზედ, ქაღალდიც აქვს, დაწერს რაღაცას არაბულად. თურმე წერს, რამდენი ქერი, რამდენი თივა, რამდენი პური უნდა გაიღოს ხალხმა მისი ჯარის გამოსაკვებად. დაწერს ყველაფერს ამას ცხენზე, მეტყვის, მოაბრუნე ცხენიო, მოვაბრუნებ ცხენს, დამადებს ამ ქაღალდს ზურგზე მე, დაარტყამს ამ ბეჭედს ჩემს ზურგზედ და იცინის და იცინის. მე მეწყინა ეს, მაგრამ რა ვქნა, გეწყინოს, რამდენიც გინდა. ასე განაგრძობს ამას ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე, წამოვალთ ოსებისკენ, ვლადიკავკაზისკენ და აგვიტეხენ ოსები სროლას. ასე გრძელდებოდა 12—14 დღე და იმის მაგივრად, რომ გენერალ-გუბერნატორი თბილისში იყოს, აგერ არტყამენ ბეჭედს ზურგზე. 14 დღის. გავლის შემდეგ დავწერე ერთგვარი განცხადება, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, ერთგვარი პაქტი მშვიდობიანობის დაზავებისა ინგუშებსა და ოსებს შორის, რომელიც ასე იწყებოდა: „ოსეტინსკომუ ნაროდუ ოტ ბლაგოროდნოგო ინგუშსკოგო ნაროდა!“ მე რომ ვკითხე რატომ ოსები არ არიან „ბლაგოროდნები“, მათ მიპასუხეს, რომ ოსები როცა კაცს ძარცვავენ, კლავენ მასო და ჩვენ არაო. ინგუშებმა ჩემი სახით გააზავნეს პარლამენტიორები — მე და

ორი ინგუში შევედით ქალაქში, ოსები მოგვყვებიან და მიგვიყვანეს, მიტინგს ატარებენ ბოლშევიკები, მურომცევი იყო რევკომის თავმჯდომარე ვლადიკავკაზისა, იმ მიტინგზე გამოვედი ინგუშების სახელით, რომ ჩვენ ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი გვაქვს და ა. შ. ჩამოვედი ძირს და ჩემი კაცები არ ჩანან, თურმე გაპარულან. რა ვქნა ახლა მე, წავედი სხირტლაძის რესტორანში, რომ გავიგო, რა ამბავია. ვნახე სხირტლაძე და მითხრა: ფაღავა დააპატიმრესო გუშინაო. ერთი სასტუმრო აქვთო ციხედო და იქ ყავთო. მეორე დღეს ფაღავა თვითონ გამოგვეცხადა სხირტლაძის რესტორანში. გამოპარულა, დაცკა ერთი კაცი ჰყოლია მთელ სასტუმრო-ციხეს და უმარჯვია. გადავწყვიტეთ, რომ უნდა მოვნახოთ მაჩაბელი — ჩვენი მენშევიკური მთავრობის კონსული ვახტანგ მაჩაბელი და მოგვეხმარება, ხალხს იცნობს, ვენერიული სენის ექიმად იყო იქ. მივედით კონსულთან. მაჩაბელმა გვითხრა, ორჯონიკიძესთან უნდა მივიდეთ და საშვი ვთხოვოთო. გზებზე სულ პატრულებია კაზაკების. მე, გოგიტა და ვახტანგ მაჩაბელი წავედით, ჩემო ბატონო, სადგურზე. სადგურში არის სამი ვაგონი, ორთქლმავალი არა აქვს. იქ ებრაელი სტუდენტები არიან უნივერსიტეტის ფორმებში, სამი სტუდენტი, თურმე ამ სარდლების ადიუტანტები არიან, ჩესტის აღება არ იციან, ჯარში არ ყოფილან ეტყობათ, მაგრამ ვერ შეხვალ ვაგონში მათ გარეშე. ერთ ვაგონთან ხის კიბეა მიყუდებული. მოახსენეს, რომ კონსულიაო მაჩაბელი და კიროვის და ორჯონიკიძის ნახვა სურსო. აგვიშვეს ამ კიბეზე, შევედით პირველ ვაგონში. მაგიდა დგას და რუკებია, ეითომ ნაპოლეონის დიდი „პოლკოვოდცები“ არიან. აგერ მაგიდაზეა დიდი რუკა, აგერ მიუწებებიათ კიდევ მეორე რუკა, აქეთ-იქით სულ რუკებია, შიგ რომ შევიხარ მეორე ვაგონში დასაძინებელი აქვთ, მესამეში ერთი თეთრი ცხენია. ეს სამივე ვაგონი საქონლის ვაგონია, უბრალო, მაგრამ წინ შტაბია, მაშასადამე, მეორეში თვითონ სძინავთ და მესამეში ცხენი ყავთ. ეს არის შტაბი „იუჟნოგო ფრონტა ვოენოგო სოვეტა“, გოგიტა ფაღავა თურმე იცნობს ორჯონიკიძეს და რომ დაინახა გაიცინა ულვაშებში ორჯონიკიძემ. გოგიტაო, უთხრა ორჯონიკიძემ, მენშევიკ-ბოლშევიკი არ იყვნენ?! და იცნობდნენ ერთმანეთს, რას აკეთებ აქაო, ეს ჩემი საქმეა, ჩემო სერგოო. იცის ორჯონიკიძის პარტიული სახელი თურმე, ისე გრიგოლი ქვია, ე. ი. თავის თავს უფრო მაღლა თვლის და შენი საქმე არ არის, მე აქ რას ვაკეთებო. თქვენ ვინ ბრძანდებითო, ჰკითხა ვახტანგს. „მე საშა გეგეჭკორს რომ ფეხი მოვჭერიო“, თავის დროზე გეგეჭკორი ოპერაციას არავის ანებებდა და მარტო ვახტანგ მაჩაბელს ენდობაო. „ხო ვიცი, ვიცი, მარტო თქვენ გენდოთო, იქნება არ იყო ფეხი მოსაჭრელიო“. „არ შეიძლებოდა, განგრენა ჭონდაო“. „რაზე მობრძანებულხართო“. გოგიტამ უთხრა, დარიალის მიმართულებით კაზაკები არიან და საშვი გვინდაო, რომ საქართველოში წავიდეთო. ორჯონიკიძე მიუბრუნდა კიროვს

და „იზვინიტე, მი პო გრუზინსკი გოვორიმო“. „პოჟალუისტა, გოვორიტე ნა ვაშემ იაზიკეო“ — უთხრა კიროვმა. გაგრძელდა ქართულად საუბარი. ორჯონიკიძე ეუბნება „ვისი იმედით ხართ თქვენო, გოგიტაჯანო, ყიზილბაშების იმედითო? (ე. ი. ბაქოსიო), ეს ბაქო ჩვენიაო. სომხების იმედით ხართო? სომხები ვისიაო, ქე იცი შენ, ჩემო გოგიტაო და ვისიცაა, ისიც გაძევებულია აქედან, ვერ ხედავო? გუშინ არ ბრძანდებოდით თქვენ ერდელთანო? ამ რამოდენიმე დღის წინო? ჩვენ ხომ გვქონდა ცნობები, გროზნოში რომ იყავითო და აქ მიტინგზე რომ გამოხვედითო. ამოგიძუესო ხომ.

ვ. რ.: ე. ი. ორჯონიკიძემ დაამტკიცა ის ფაქტი, რომ სომხები დენიკინის არმიას ეკუთვნოდნენ?

შ. მ.: აშკარად!

ხოდა, ვისი იმედით ხართო, ყიზილბაშების, სომხების თუ სიმონ წერეთლის ბატალიონი რომ არის ყაზბეგში, იმის იმედითო? ის დაგვაკავებს ჩვენო?

ახლა, ვახტანგ მაჩაბელმა მიმართა დიდი მოწიწებით — „ამხანაგო, თქვენი სახელი არ ვიცი, როგორ მოგმართოთ, გრიგოლი თუ სერგოო“, „ორივე ჩემი სახელი არის და რომელიც გნებავთო“ — უპასუხა ორჯონიკიძემ. „ამხანაგო სერგოო, უთხრა, მე ჩემი ცოლ-შვილით მოვდივარ და ხალიჩები მაქვს, ესა მაქვს, ისა მაქვსო, და საშუზე რომ წამიწერდეთო, რომ ნივთების წაღების უფლება აქვსო, კარგი იქნებოდაო. რაც მე, აქ მიმუშავია და შემიძენია წავიღებდი თანო“. „დაგიწერთ როგორ არაო, უსათუოდ დაგიწერთო. თქვენ ახლა წაბრძანდით, მოემზადეთ გასამგზავრებლად, შეკარით ბარგი, უველაფერი და თქვენ მოგართმევენ საშუს სახლშიო“. „ტოვორიშჩ კიროვ, პროპუსკ დოლჟნი დატ იმო. პროპუსტიტ იხ ნადოო“. „პოჟალუისტა, ესლი ვი ნახოდიტ, ნუჟნიმ, დაიტეო, ტოლკო ენას ნეტ პეჩატო“. „დლია ჩეგო პეჩატ, ზაპისკი დადიმო“—ორჯონიკიძემ.

დამავიწყდა მეთქვა, მაჩაბელმა რომ უთხრა, კონსული ვარო, გოგიტას შეეკითხა ორჯონიკიძე „შენ რა როლში ხარო?!“ მე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ვარო, ერდელთანო. ეს კი ატაშეაო, ჩემზე უთხრა. ორჯონიკიძე არ მიცნობს და არ იცის, ვინ ვარ.

წამოვედით ვახტანგის ბინაზედ. დაიწყო ვახტანგის ცოლმა ბარგის შეკვრა. ორი ბავშვი ყავს — გოგო და ბიჭი. ქალი ყავს მოსამსახურე, რუსის ქალი. ამ სამზადისშია და ირეკება ზარი. გააღეს კარები და შემოცვივდნენ შეიარაღებული მალაკნები, რევოლუციონერები... თურმე მაშინათვე, როგორც კი გამოგვისტუმრა ორჯონიკიძემ, ბრძანება გაუცია, დააპატიმრეთო, ამ უსინდისოს. ნამდვილი უსინდისო, გაოხრებული კაცი რომ იქნება. ხოდა, ორსართულიანი სახლია. ბაღი აქვს, ეზო. ესენი ქუჩიდან მოვიდნენ და მე ვუთხარი გოგიტას, გადავხტეთ-მეთქი, მაგრამ

გოგიტა არ გადმომყვა და გადმოვხტი მე, გავიქეცი. გოგიტაც და ვახტანგიც დაიჭირეს. გავიქეცი მე ისევ სხირტლაძესთან. სხირტლაძემ დამმალა სარდაფში. ამის მერე არაფერი აღარ ვიცი გოგიტასა და ვახტანგის შესახებ. ვერც სხირტლაძემ გაიგო ვერაფერი. ერთ ღამეს რევიზიას აკეთებენ. გამოცხადებული აქვთ, რომ ვისაც შუბლზე სპარსეთის ლომი აქვს, იმას არ შეეხებიან. ორჯონიკიძეს გამოუცხადებია. გაკრულია თურმე ქუჩებში. ამიტომ ვისაც რამე ქონება აქვს მიაქვთ „პერსებთან“. „პერსიანები“ სპარსეთის მოქალაქეები არიან. მოუყარეს ასე ქონებას თავი მათთან და ერთ დღეს გაწმინდეს სულ მთლიანად. ქუდი უნდა გქონდეს, სპარსული ქუდი იყო, „კოზიროკიანი“ ქუდი რომაა, ჩვენებური, იმისთანა და იმაზედ ლომი არის გამოსახული. შენ კი არ გაიკეთებ ამ ლომს, მაგრამ ორჯონიკიძეს გამოცხადებული რომ აქვს, სპარსელებს არ ვეხებითო, ამიტომ ყველას მიაქვს ქონება სპარსელებთან, ვინც სპარსელია ანდა სომეხია, მაგრამ სპარსელად გამოაცხადა თავისი თავი.

ამით შეკრიბეს მთელი ქონება, რაც კი იყო და მერე გაასუფთავეს ყველანი. ეს ორ-სამ დღეში გააკეთეს. მერე კი გაიგეს, ტყუილი რომ იყო, მაგრამ რაღა დროს.

ვ. რ.: ე. ი. მოატყუეს?

შ. მ.: მოატყუეს, აბა რა ქნეს, ასეთი პროვოკაციით მოატყუეს.

მოხდა ისე, რომ ერთ დღეს ჩხრეკა მიმდინარეობს და არ დამადგენ თავზე ამ სარდაფში! ორი კაცია შეიარაღებული. მოკვდა საწყალი პატრონი, ხანშიშესული კაცი იყო, სულ კანკალებს, დამხედეს მე და, სასწაული, კაცო, „ააა, ეტო ვიო“, თურმე ესენი, მე, რომ შემხვდნენ, ინგუშები, ქართულად რომ ლაპარაკობდნენ, ესენი არიან, ჩვენ რომ გადაგვარჩინეს. თურმე იციან, მე რომ აქა ვარ, თვალყურს მადევნებენ, მაგრამ არ უნდათ. მე რომ დამიჭირონ. ხომ თქვეს მაშინ, რომ ვართ მეტყველები გიორგი ამილახვარისაო. ესენი ვითომ სპეკულანტებია, ოსურ შალს ყიდდენ აქა და ბოლშევიკების აგენტები კი ყოფილან. თავის დროზე კომისარი მყავდა სოლოლაკში და დაუჭერია ესენი, როგორც სპეკულანტები, წაურთმევია ხანჯალიც, ხმალიც, შალიც და წადით აქედანო, ნუ ჩამოდიხართ აქო. ვიღაცას უთქვამს, გენერალ-გუბერნატორი კაი ბიჭიაო, თქვენ რომ მიხვიდეთ და უთხრათ: ჩრდილოეთ კავკასიელები თქვენი ძმები ვართ, შალი მოვიტანეთო და წაგვართვესო, მოგცემთო. ჯანდაბას შალი, მაგრამ უხანჯლოდ რომ წავიდეთ, მოგვკალით და ეგ არისო! მე აკაკი არჯევანიძეს გამოვუძახე მაშინათვე, დავაბრუნებინე ქამარ-ხანჯალი და გავუშვი. ამათ მითხრეს: გახსოვთ არჯევანიძეო, „ვისოკი ტაკოი“, აკაკი არჯევანიძეზე მითხრეს. „ვოტ მი სეიჩას ატპლატიმო, მი ვას პრაველიომ ტოლკო პო სკალამ. ვსია ლინია ზანიატო კაზაკამიო“. გამომიყვანეს ამ ინგუშებმა იქიდან, შემიყვანეს ერთ სასტუმროში, შემსვეს ცხენზე და, ვითომ პატრულები ვართ, მოვდივართ ბილიკებით, მაგრამ სპირტის ქარხანა იყო გზად და იქ ვიღაცა ოსი დამდგარა და არ ემორჩილება

არც ბოლშევიკებს, არც არავის და ძარცვავს ხალხს, ასეული ყავს. ცხენებს აჭმევს სიმინდს, სიმინდი ბევრია. ვერავინ ვერ აუქცევს გზას და აქედან უნდა წამიყვანონ მე, ამ ბანდიტთან უნდა გამატარონ, პრაპორშჩიკია ყოფილი. ბევრს ჰირდება აქედან გამოპარვა და ეს კი ძარცვავს ყველას, გადასვლაში კი მოგვეხმარება. წამომიყვანეს ბატონო მე და ჩამაბარეს იმას. უთხრეს რომეო „ნადო ეგო პროვესტიო“. ამხედ-დამხედა და რა კარგი ნაბადი გაქვსო. იმ წუთშივე ვაჩუქე. მეტი არაფერი უთხოვია. წამომიყვანეს კლდე-კლდეზე და მოვადექით, ბატონო, დარიალს. დარიალთან სიმონ წერეთელს დაუყენებია ერთი სომეხი, გუშაგი, რომელმაც ქართული არ იცოდა, რომ ვუთხარი გამატარეთ-თქო, ატეხა სროლა. ატეხა და გამოცვივდა იქიდან ხალხი, ქართველები. ბიჭო! ქართველი ვარ, შემიშვით-თქო. ბოლოს დიდი ამბით, დიდი გაჭირვებით მოვიდნენ ახლოს სიმონ წერეთლის ჯარისკაცები. ამან ქართული არ იცისო. ბიჭოს, რაზე დააყენეთ-მეთქი? რატომ და საშიში ადგილია და თუ უნდათ მოკლანო, სომეხიაო. ღამეა უკვე და მოვედით სიმონთან, რა ძალები მოდიანო, მე ვუთხარი, რა ძალები უნდა იყვენ, „ჩესტის“ აღება არ იციან-თქო. „ჩესტს“ აღება რად უნდა, აიღებენ ქვას, მესვრიან თავში და ეგ არისო. დილით გამომისტუმრეს თბილისში. მოვედი აქ, თბილისში მთავრობა შეიკრიბა სასახლეში და მე უნდა გავაკეთო მოხსენება. გოგიტა ფაღავა იქ დარჩა. გავაკეთე მე ისეთი მოხსენება. რომ არაფერს დიდს არ წარმოადგენენ ისინი, მაგრამ ჩვენც რო დიდს არაფერს წარმოვადგენთ, ესეც ფაქტია. ხოდა, ევგენი თავის დისშვილზე შეწუხდა ძალიან. გოგიტას ერთი ძმა დახვრეტილი იყო ბოლშევიკების მიერ, ახლა მეორე გაუშვა და შეწუხდა ძალიან, რა ვქნათო ახლა.

გოგიტა გამოაცხადეს მძევლად. წინადადება მისცეს ორჯონიკიძემ და კიროვმა მთავრობას აქა, თბილისში, რომ ციხეში რაც დაჭერილი ბოლშევიკებია, უნდა გამოუშვან, თორემ გოგიტას დავხვრიტავთო. ევგენი შეშინებულია, გლახათაა საქმე, ერთი დისშვილი დაუხვრიტეს, ახლა მეორე, თავისი გაგზავნილი შეიძლება დახვრიტონ. ამიტომ ამ პირადი საკითხის გამო აბა ჩქარა, როგორმე უნდა მოახერხონ ლენინთან მოლაპარაკება, რადაც არ უნდა დაჯდეს! ამ გოგიტას მიზეზით დაიწყო მოლაპარაკება ლენინთან.

გრიშა ურატაძე მონახეს. გაგზავნეს ლენინთან, დაუყენეს საკითხი, რომ იცნობს ლენინი საქართველოს იურიდიულად იმ პირობით, რომ ციხიდან გამოუშვებთ ყველა ბოლშევიკს და კომუნისტური პარტია ლეგალიზებული იქნება. მოხდა ისე, რომ მართლაც გრიშა ურატაძემ ჩამოიტანა ამბავი, აქტი დაიწერა, ეს თქვენ კარგად იცით. მე თვითონ განკარგულება გავეცი, ციხის კარი გაიღო და გამოვუშვით კომუნისტები და კიროვი გამოგზავნეს ელჩად. რუსეთმა სცნო საქართველო, არა სომხეთი და არა აზერბაიჯანი, მარტო საქართველო, ხაზგასმით, რომა „ატ ნინე ვსე პრავა ი პრივილეგიი იმპერატორსკოი როსიი ვ ოტნოშენიის

გრუზიი ოტმენიაეტსია“. მარტო კიროვი კი არ გამოგზავნა, რაც იქ ქართველი ტუზები იყვნენ, ისინიც გამოუშვა და მისიად ჩათვალა, მენშევიკებმა ვერ გაბედეს წინააღმდეგობის გაწევა. პირველ მრჩევლად გამოგზავნა სერიოჟა ქავთარაძე, ჩვენი მოქალაქე. სასაცილოა, სერიოჟა ქავთარაძე რსფსრ-ის პირველი მრჩეველი საქართველოში, დაახლოებით სამასი კაცი შევიდა მისიაში, ე. ი. მიიღეს იმუნიტეტი დიპლომატიური პასპორტის სახით. მამია ორახელაშვილი, მისი ცოლი, მიხა ცხაკაია, მოდებაძე და სულ ესენი, სტურუა გიორგი, ვანო სტურუა, ამათ სულ ყველამ მიიღო, ბატონო, რუსეთის წარმომადგენლობის სტატუსი, არადა ჩვენი მოქალაქეები არიან, კაცო, სავაჭრო მისიის და სხვა მისიების სახით ქართველი კაცი აღმოჩნდა ხელშეუხებელი. გავაღეთ ჩვენ კარი და გამოვუშვით ყველანი. ე. ი. 1920 წელს მთავრობის ნებართვით და ჩემი განკარგულებით ლეგალიზებული გახდა კომუნისტური პარტია.

ვ. რ.: რა ბედი ეწია ფალავას?

შ. მ.: ფალავას ის ბედი ეწია, რომ შეთანხმების საფუძველზედ გამოუშვეს!

ვ. რ.: ე. ი. ამ პირადმა ამბავმა დიდი როლი ითამაშა?

შ. მ.: უდიდესი როლი ითამაშა, შემდეგში იგი ციხეში იჯდა, მეტეხში, ჩემთან. მერე პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე იყო, მაგრამ სანამ თავმჯდომარე გახდებოდა, ჩემთან ერთად იჯდა ჭუთაისში, ციხეში, მერე გადმოგვიყვანეს აქა, მეტეხში, მეტეხიდან მე რომ გადავერჩინე, გავიდა პარტიიდან, ვითომ ბოლშევიკებს შეურიგდა, შეუთანხმდა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, გადაწყვიტეს ჩემი გატაცება, ავადმყოფობის მიზეზით გადამიყვანეს მეტეხიდან საგუბერნიო ციხეში და იქ ჩააწყვეს საქმე ისე, ვითომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი მანგლისიდან ჩამოვიდოდა ცხენოსანი რაზმით, მოკლავდენ „ნადზირატელს“ საგუბერნიო ციხეში და მე გამიყვანდნენ. მაგრამ იმ დღეს, როცა შეთქმულება იყო, უნდა გავეყვანეთ და მაზნიაშვილი არის ჩემთან ერთად, ჩვენ გადავედით მეტეხიდან, როგორც ავადმყოფები და მაგას მე მოგიყვებით, მეტეხთან რომ მივალთ, მაშინ...

ფალავა მერე გაგზავნეს სუზდალის ციხეში სხვა ქართველებთან ერთად და აჯანყების დროს ის აქ არ ყოფილა, მაგრამ ვინაიდან ის ეკუთვნოდა ამ წრეს, სუზდალის ციხიდან წამოიყვანეს და არმავირში დაჩეხეს, ხმლებით მოკლეს სადგურზე, მე მაშინ პრაღაში ვიყავი, როცა ეს ამბავი მოხდა. ბაქრაძის არაფერი აღარ გამიგია და არ ვიცი მისი ამბავი.

ვ. რ.: ბატონო შალვა, ოსების აჯანყების შესახებ რა იცით?

შ. მ.: ოსების აჯანყების შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, იმიტომ, რომ ვალიკო ჯუღელის ექსპედიციაში არ მიმიღია მონაწილეობა. ვალიკო ჯუღელი არ ყოფილა ხელმძღვანელი, ბიქტორ ჟღენტი იყო. ვალიკო იყო სამხედრო ძალა და წიგნი დაწერა თავის თავზე.

ვ. რ.: აფხაზების აჯანყების შესახებ რა იცით?

შ. მ.: აფხაზები არასდროს არ აჯანყებულან, არასდროს.

ვ. რ.: ლაკობა რომ შემოვიდა?!

შ. მ.: სად შემოვიდა ლაკობა?!

ვ. რ.: სოხუმი აიღოო და რამდენიმე დღით გაასაბჭოვაო აფხაზეთი და მერე ისევ განდევნესო.

შ. მ.: ისემც მაგას რა ვუთხრა. ლაკობა კი არა, ეფრემ ეშბა, რომელიც ჩემთან ერთად სწავლობდა მოსკოვში.

ვ. რ.: რა მოხდა, შეგიძლიათ თქვათ?

შ. მ.: პირველ ხანებში, როცა მაზნიაშვილი მოქმედებდა სოჭთან და გაგრასთან, მაშინ გაიგეს, აფხაზებმა, რომ აფხაზები არიან, რადგან რუსებმა შთააგონეს, თქვენ ქართველებთან საერთო არაფერი არა გაქვთ, თქვენ ხართ ჩვენი ჯიშის ხალხი, ჩრდილოეთ კავკასიელების, ამიტომ რა გაქვთ საერთო ქართველებთანო. რომ ამბობენ, დავიკავეთო სოხუმიო, არაფერი არ დაუკავებიათ, „სავეტ სალდატსკიხ რაბოჩიხ დეპუტატოვ“ იყო, მაგალითად, როგორც ის მუტრუკი არსლანი მივიდა და გაძარცვა ქუთაისში დუქნები, მაგრამ დაიკავეს ქუთაისი, ასეთივე იყო აქაც. შეიჭრებოდნენ სოხუმში ან სადმე და ფეხსაცმელებზე და ჩოხა-ახალუხზე „პოგრომებს“ აწყობდნენ, გაძარცვავდნენ და იძახდნენ კომუნისტები ვართო! სინამდვილეში ბრძოლა იყო ლენინსა და ჩვენს შორის გაგრასთან და სოჭის გარშემო. გაგრა კი შეივნარჩუნეთ. მაზნიაშვილი იყო ამ საქმეში მართლაც აქტიური წევრი და წიგნშიც მართალია. რაც შეეხება აფხაზეთს, აფხაზეთს ავტონომია მივეცით ჩვენ, ე. ი. აფხაზეთს ქონდა „აბხაზსკი ნაროდნი სოვეტ“, თავისი მთავრობა ყავდათ არზაყან ემხვარის, მენშევიკის მეთაურობით. თავადი იყო, სემინარიაში გაზრდილი, ქართველობდა, ამიტომ მენშევიკებმა დანიშნეს, თუმცა აფხაზი იყო ნამდვილი, მერე დაიღუპა, მოკვდა, ემიგრაციაში ჟორდანიას გაყვა.

თბილისის დაკავების წინ, 23 თებერვალს, როცა ოქროყანამდე მიაღწია მეთერთმეტე არმიამ და მე ჩავაბარე თბილისი მთავარსარდალ კვინიტაძეს, ჩემი ფუნქცია ამოიწურა, თელავი დაკავებულია, სიღნაღი დაკავებულია და მე კი ვარ „გენერალ-გუბერნატორ ვოსტოჩნოი გრუზიი“. 25-ში ხომ დროშა აწიეს და 23-ში სარდლობას გადავეცი თბილისი, აი, მაშინ მე დამნიშნეს აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად. აფხაზეთის საბჭო დაიშალა და ჟორდანიას შემოუთვალეს, რომ დედა საქართველომ მიიღოს აფხაზეთი და გენერალ-გუბერნატორად გამოგვიგზავნეთ მაღლაკელიძეო. აქედან წავიდნენ ვალიკო ჯუღელი და აკაკი ჩხენკელი და მათი თანდასწრებით საბჭომ დაადგინა 1921 წლის 23 თებერვალს ჩემი გენერალ-გუბერნატორობა. მე შევკრიბე ჩემი ესკადრო-

ნი და კაზაკები, დენიკინისგან გამოქცეულები, წავიყვანე და ამაზე შემდეგ გვექნება საუბარი

ვ ს.: ე. ი. აფხაზების აჯანყება არ ყოფილა?

შ. მ.: ეშბა იყო ზოგიერთ ადგილებში, მიეიდოდა, ჩაატარებდა აგიტაციას, პროპაგანდას, იტყოდნენ: კომუნისტები ვართო! მეორე შემთხვევაში ლაკობა მიეიდოდა და უკანასკნელი სურათი როგორი იყო, თავის დროზე მოგახსენებთ.

თვითონ აფხაზები მაშინაც უფრო განწყობილი იყვნენ რუსებისადმი, რუსები უნდოდათ. ინტელიგენცია არ ყავდათ, არავინ არ ყავდათ. ერთადერთი ეშბა იყო, ჩვენთან რომ სწავლობდა მოსკოვში და რომ გაბოლშევიკდა მერე. მენშევიკი იყო და გაბოლშევიკა ვიქტორ ნოზაძემ.

ვ. რ.: ნოზაძე ბოლშევიკი იყო?

შ. მ.: სოციალ-დემოკრატი იყო, მენშევიკი გახურებული. რედაქტორი იყო ქუთაისში სოციალ-დემოკრატების გაზეთისა. ისეთი მენშევიკი იყო, რომ ცეცხლიანი მართლაც. მომზადებული, მერე გახდა მონარქო-ფაშისტი. მე მჭონდა ორგანიზაცია მონარქო-ფაშისტური. ერთად ვსწავლობდით მე და ნოზაძე, როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში, ის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მე კი იურიდიულზე. მოწვაფეობის დროსაც მენშევიკი იყო. საუკეთესო მოწაფე, ერთი წლით ადრე დაამთავრა გიმნაზია. ჩემზე ერთი წლით ადრე იყო შესული. მოსკოვში, რადგანაც მე შენიშნული კაცი არ ვიყავი და ქალაქის თავის მდივნად ვმუშაობდი, ოთახი კი პირველ სართულზე მჭონდა, არალეგალური სტუდენტები იკრიბებოდნენ ჩემთან. „სამარსკი გოლოს“ გამოდიოდა, ნახევრად ლეგალური სოციალისტური გაზეთი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდენ ტუზები სოციალ-დემოკრატების, სტუდენტებში იყო ეშბა, ლაკობა მეორეხარისხოვანია მაშინ, თეორეტიკოსი, აფხაზეთის ნამდვილი ხელმძღვანელი ეშბა იყო, იურისტი და მომზადებული ბიჭი, ეფრემ ეშბა. აი, აქ ჩემთან იკრიბებოდნენ და ერთ მშვენიერ¡ დღეს, აი ასეთი შემთხვევა მოხდა, რამაც ეშბა ბოლშევიკად და ჩვენს მტრად აქცია, არადა მთელი თავისი არსებით ქართველებთან იყო. ერთ მშვენიერ საღამოს ჩემთან ისხდნენ, ნადირაძეა კიდევ ერთი, ჩემი სოფლის მღვდლის შვილი, ისიც გაბოლშევიკდა, ისიც ნოზაძემ გააბოლშევიკა იმ დღეს, სხედან ფეხმორთხმული ძირს, მე სკამზე ვზივარ ჩემთვის, ესენი ყველა პარტიული ხალხია, მე კი არცერთ პარტიას არ ვეკუთვნი, ხოდა მოხდა ისე, რომ რაღაც გადაულაპარაკა ნოზაძემ. ნადირაძემ უთხრა, „რას ჩურჩულებთო“. „რა შენი საქმეა. ყველაფერი კი არ უნდა იცოდეო“. „რატომ არ არის ჩემი საქმე. ჩვენში საიდუმლო ხომ არ არისო“. ჩაერია ეშბა, ქართული კარგად არ იცოდა. „ზნაჩიტ სუშჩესტვუეტ დაჟე ტაინა მეჟდუ ნამი, ვიქტორ“ — ნოზაძეს უთხრა. „კანეჩნო, მოჟეტო“. „ალექსანდრ!“ — უთხრა ნადირაძეს — „პაიდიომ“! ადგენ და მიატოვეს

მენშევიკური პარტია ეშბამ და ნადირაძემ და გახდნენ ბოლშევიკები. აი, ამ ნიადაგზე, ნოზაძესთან წაჩხუბების გამო და მერე რა მოხდა, ჩემო ბატონო და, ნადირაძე ჩავარდა, დაიჭირეს, ვიღაც ქალმა გასცა და გამოაგდეს უნივერსიტეტიდან.

ეშბა ჩამოვიდა სოხუმში, რევოლუცია რომ მოხდა. უკვე ბოლშევიკია და შეხვდა ლაკობა. — ლაკობას სჭირდებოდა ინტელიგენტი კაცი, ჭკვიანი კაცი და დაიწყეს ეს პატარა მუშაობა — ეს დავიკავეთ და ის დავიკავეთო. ისე როგორც საშა გეგეჭკორმა იბრძოლა დუშეთში — ახლა ამას წერს კიკოლა, ვიღაც კიკო, ძველი ვეტერანი, რომ წავართვით მცხეთაში მენშევიკებსო ოთხი ქვემეხიო". ექვსი ჯარისკაცი გავაგზავნე, სტრაჟნიკი — ექვსი! ოთხი ქვემეხი წავართვიო, კაცო, დაბეჭდილი იყო შარშან აქ გაზეთში. ეს რას გავს! როდის იყო, რომ საშა გეგეჭკორმა იბრძოლა. სად იბრძოლა?! აბაშის კომიტეტის თავმჯდომარეობა არ მიიღო, იუკადრისა და წავიდა ლეჩხუმში. იქ თავისი რაზმისათვის ოთხმოცი კაცი იპოვნა. ყველაფერი ეს მოხდა კაჩუხოვის სისულელით. კაჩუხოვი ქართველი კათოლიკე იყო. ვანო კაჩუხაშვილი, ქუთაისის კომისარი, მენშევიკი. ამ კაჩუხოვმა გამოაცხადა ლეჩხუმის მაზრა კანონს გარეშე და ბოლშევიკებმა ჩათვალეს, რომ ეს კარგი მიზეზია და ისარგებლეს ამით (ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა ლეჩხუმის მაზრა და კაჩუხაშვილი გუბერნიის კომისრად იყო პირველ დღეებში, როგორც მე აქ, თბილისში). ასე რომ კაჩუხოვმა გამოაცხადა ლეჩხუმის მაზრა კანონგარეშე და ამაზე აშენდა ის, რომ საშა გეგეჭკორი წავიდა ლეჩხუმში, იპოვა იქ ოთხმოცი კაცი, დეზერტირი, გამოიქცა იქიდან და წავიდა დუშეთში. დუშეთში ეს სტრაჟნიკები გავგზავნე.

ვ. რ.: დუშეთის აჯანყება რომ არის, ესაა?

შ. მ.: ეს არის, ექვსი სტრაჟნიკი, რომ გავგზავნე მცხეთიდან და შარშან დაბეჭდეს „ოთხი ქვემეხი წავართვით მენშევიკებს და ერთი ბატალიონი აიყვანესო ტყვედ", არადა ექვსი კაცი გავაგზავნე. საშა გეგეჭკორი დაჭრილი არის იმ სტრაჟნიკების მიერ, მერე გადავიდა ვლადიკავკაზში.

ვ. რ.: ე. ი. დუშეთში გლეხობის ასეთი ფართო გამოსვლა არ ყოფილა?

შ. მ.: ეგ არის სრული მოგონილი ამბავი.

ვ. რ.: ვალიკო ჯუღელი წერს, რომ ყაზბეგში ლეჩხუმელების რაზმი და საშა გეგეჭკორი გამაგრდა, დარიალის ხეობაში, რუსების დანატოვარ ციხეში და რომ ვალიკო ჯუღელმა გამოდევნა ისინი...

შ. მ.: სულ ზღაპარია ეს, სულ ზღაპარი, ასეთი რამ არ მომხდარა!

ვ. რ.: დღიურებში აქვს.

შ. მ.: ტყუილს წერს, კაცო! რას უზამ, ტყუილს წერს, თავის თავი გამოყავს, ვითომ ეს არის დიდი მხედართმთავარი და ბოლშევიკი არ

იყო თვითონ? მერე გახდა მენშევიკი. სერიოჟა ქავთარაძე იყო მენშევიკი, გახდა ბოლშევიკი. ვალიკო ჯუღელი იყო ბოლშევიკი, გახდა მენშევიკი. სერიოჟას ძმა პეტია იყო გახურებული კომუნისტი. საშა გეგეჭკორი რატომაც გაგვექცა, ზემოთ გითხარით, იუკადრისა აბაშის კომიტეტის თავმჯდომარეობა. აზნაური ვარო და გახდა ბოლშევიკი. არასდროს პარტიაში არ ყოფილა — ქალების მოტაცება, კარტის თამაში, კრიმინალურ საქმეებში იყო გარეული, ციხეში ასტრახანში იჯდა და რევოლუციონერები რომ გამოვიდნენ ციხიდან, აეკერა ამათ, მახარაძეს, როგორც რევოლუციონერი და სილიბისტრო ჯიბლაძემ გამომიგზავნა — საიმედო ხალხი არისო, რევოლუციონერები არიან და რაიმე თანამდებობა მიეცითო. მე ვალიკო ფიჩხაია მოვხსენი, მეფის დროს პრისტავი იყო აბაშის რაიონის და ამათ ორივეს მიეცი ხელში დახურული კონვერტები ახალ სენაკის მაზრის კომისართან. იქ რომ ჩავიდნენ, გახსნეს და ნახეს, რომ მახარაძე არის დანიშნული პრისტავის მაგივრად და გეგეჭკორმა იუკადრისა — „მახარაძეს მაუზერიო და მე კი წისქვილში ვიაროო?“ — ასე ეძახდა კომიტეტს.

ასე, რომ არავითარი გამოსვლა დუშეთში არ ყოფილა. რადგანაც სოსო ირემაშვილს მილიცია არ ყავდა, მე გომართელს გამოვართვი ექვსი ცხენოსანი კაცი, გამოუნასკვეს კუდები და ის ექვსი ცხენოსანი იყო მთელი დუშეთის ამბავი, ბატონო. ახლა თუ ეს იწერება, მომავალში რა შეიძლება დაიწეროს, ხომ წარმოგიდგენიათ.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ევროპამ რომ სცნო საქართველო, მათი ელჩების ჩამოსვლაზე რას ბრძანებთ?

შ. მ.: ლენინმა სცნო, ჩემო ბატონო, საქართველო და დაგვინიშნა ჩვენი მოქალაქეები დიპლომატიურ წარმომადგენლებად. ლენინის ცნობის ნიადაგზედ გვიცნო იურიდიულად „დე იურე“ პირველ რიგში გერმანიამ და თურქეთმა, შემდეგ — ინგლისმა, ამერიკიდან მარტო არგენტინამ გვცნო.

ეს მოხდა 1921 წლის 27 იანვარს, ე. ი. რამოდენიმე კვირით ადრე მეთერთმეტე არმიის შემოსვლამდე, ამ დროისთვის თითქოს ყველაფერი კარგად არის. 7 მაისიდან ცხრა თვემ გაიარა.

პარტიის ლეგალიზაციამ თავის მიზანს ვერ მიაღწია, ეგონათ, რომ მენშევიკებს გადააგდებდნენ, ვერ გადააგდეს და ლენინი გამოდგა სწორი, წინასწარ, ყოველი შემთხვევისათვის, ჯარი რომ გაამზადა — თუ იცნობენ იურიდიულად, მაშინ მიიღებს ზომებს, მისი ცნობის ნიადაგზე გვიცნეს ჩვენ და მის ხელში იყო ეს გასაღები.

ორჯონიკიძე არწმუნებდა: პარტიის ლეგალიზაციით გადატრიალებას მოვახდენთო, თორემ ციხეში ვლებითო და სცნო ლენინმა საქართველო. ლენინი გამოდგა ყველაფერში მართალი. ორჯონიკიძე გამოდგა ბრიყვი ისევე, როგორც მენშევიკები იყვნენ ბრიყვები ყველაფერში, ბრიყვები,

არაფერი რომ არ იცოდნენ. ხომ მოგახსენეთ, ევგენი გეგეჭკორი რომ იძახოდა — „ბორჯომს იქით სათათრეთიაო“, კაცო. ამიტომ, ბატონო, ის მოხდა, რომ ცხრა თვე ორჯონიკიძე ცდილობს, პარტია ლეგალიზებულია, მაგრამ ვერაფერი ვერ გააკეთა. არსად არ გავუშვი მე, არ გავაქანე, მაგრამ არც ვიჭერთ. რომ იძახიან, ეს სოფელი აჯანყდა, ის სოფელიო, თოფი არ გავარდნილა არც ერთი. ორჯონიკიძეს მოხსენებებში ლენინთან და სტალინთან კი ერთი ამბავი აქვს, კაცო! „აჯანყებული სოფლები! ორი პოლკი გადმოვიდა!“ სად მჭონდა ორი პოლკი, სულ ცხრა პოლკი იყო მთელ საქართველოში. ეს ორჯონიკიძე სასწაულია პირდაპირ, ასეთ უსინდისო დეპეშებს როგორ გზავნის, კაცო, ატყუებს, მაგრამ ლენინმა არ დაუჯერა და ჯარი გამზადებული ყავდა. ძალიან მომზადებული არმია; პონტონის ხიდებით, რა სახის იარაღი გინდა, ჩემო ბატონო, იმ დროინდელი, სამთო ნაწილები, ცხენოსანი რაზმები, ჟლობას რაზმები, ცნობილი, რომელმაც კოლჩაკი დაამარცხა, „კონნაია არმია ჟლობი“. ბუდიონი კი არ იყო პირველი კაცი, ჟლობა იყო, აქ რომ ჩამოვიდა. ვერ გადავიდა გოდერძის უღელტეხილზე, დიდი თოვლი იდო. ამდენად ჭკვიანი იყო ლენინი. ბათუმი რომ არ დაკარგოდა, ჟლობას მიანდო — ხაშურს როგორც მიაღწევდნენ, ბორჯომის გზით ახალციხეში უნდა გაჭრილიყო, გადასულიყო გოდერძის უღელტეხილზე და პირველი ჩასულიყო ბათუმში, იმიტომ, რომ ხელშეკრულება აქვს ლენინს თურქეთთან საქართველოს გაყოფაზე, — რომელ ტერიტორიასაც დაიკავებს თურქეთი, მისი იქნება და ჟლობას მიანდო, რომ დაასწროს თურქებს, მაგრამ დიდი თოვლობა იყო და ვერ გადავიდა, თურქებმა დაასწრეს და ბათუმი დაიკავეს. ამიტომ დღესაც „სეატოს“ და „სენტოს“ ორგანიზაცია ბათუმს ხმელთაშუა ზღვის პაქტით თურქეთისად თვლის, მაგრამ ბოლშევიკებმა ეს საკითხი გადაიტანეს ისე, რომ მენშევიკები გადმოვიდენო ჩვენს მხარეზეო. ტყუილი! მენშევიკებია, ბათუმი რომ წაგართვესო.

ვ. რ.: მართლა ხომ ქართველმა ჯარმა განდევნა თურქები?

შ. მ.: დიახ, მენშევიკებმა განდევნეს და მართალი არიან თურქები. ჩვენ მენშევიკებმა გაგვდევნა, თქვენმა მტრებმაო და ჩვენ შეთანხმებული ვიყავით: რომელსაც ჩვენ დავიკავებთ, ჩვენ გვრჩებაო და რომელსაც თქვენ დაიკავებთ, ის თქვენ გრჩებათო. პირდაპირ წერია საიდუმლო მოლაპარაკებაში ლენინსა და ათა-თურქს შორის, რომ „ვსე ზემლი ვ რეზულტატე ვაინი, კოტორიე ბუდუტ ზანიატი ლიბო ჩასტიამი ტურეცკიმი, ლიბო ჩასტიამი სოვეტსკიმი, იმ პრინადლეჟატ ეტი სამიე ზემლი“. ამაზე მერე მოგახსენებთ, მე რომ ჟლობას შევხვდი. ჟლობა მოვიდა, მე რომ ბათუმში ჩავედი მერე. ახლა ესენი წერენ, რომ ვითომ ჟლობა ადრე ჩავიდა. ამაზე მივალთ ჩვენ, როდესაც ბრძოლები იქნება შავი ზღვის ნაპირას, ბრძოლებს მე ვაწარმოებდი უკანასკნელად.

ე. ი. ჩამოვიდნენ ევროპის ელჩები 27 იანვარს, პარადები იყო ყველ-

გან. მე წავედი ახალციხეში, პარადის მისაღებად. ახალციხეში პოლკის უფროსი იყო საგინაშვილი, ჩემი მასწავლებელი იყო თბილისში, საგინოვი იყო მაშინ, „გვარდიი კაპიტან საგინოვ“! მე ჩავედი რომ, სიტყვა უნდა ვუთხრა ამ პარადზე მხედრობას, რაშია საქმე, მხედრობამ არ იცის და მე უნდა ვუთხრა, განათლებულ კაცად ვითვლები და რომ გამოვედი პარადზე, ისე დავიბენი, რომ მე ვთქვი ფრაზა —„ჩვენ გვიცვნეს იურიდიულად არა მარტო ჩვენი ლამაზი თვალებისათვის“-მეთქი. რა შუაშია ლამაზი თვალები, თქვენი ჭირიმე, ეხლა რომ გამახსენდება, მრცხვენია, კაცო. ეს ხდება თორმეტ საათზე და საგინაშვილმა. სადილობისას ჯარისკაცების ლობიოს ვჭამთ, მითხრა: ხუთ საათზე პოლკს შევკრიბავ და შეეკითხე რა უჭირთო. ხუთ საათზე მივედი ისევ, რომ შევეკითხო, რა აწუხებთ. გამოვიდა ერთი ჯარისკაცი და მითხრა, რომეო „ვერ დავიჭირეთო, ბატონო, ვერ დავიჭირეთო“. საგინაშვილმა ჰკითხა, „რაო? ბიჭო, რა ვერ დაიჭირეთო? შეშლილი ხარო?“ „ვერ დავიჭირე, ბატონო, და რა ვქნაო“. რას იჭერდი-მეთქი, მე ვკითხე და ლობიო ვერ დავიჭირეო, ე. ი. წყალს გვაძლევთო და შიგ ლობიო ვერ დავიჭირეთო, კაცო. იქ ლამაზი თვალები, აქ ლობიო ვერ დავიჭირეო. საგინაშვილმა მითხრა: მართლაც, კაცო, ორ კაკალ ლობიოს ჩავუყრით წყალში და მართლაც ძნელი დასაჭერიაო. ის გაბერილი ამბები კი არა, ჯარი იბრძოდა ასე და ისეო. ინტიმური საუბარია და იქნება უკეთესი იყოს, რაც არ ხარ და რაც ხარ, ყველაფერი იცოდეს კაცმა. ვიღაც გამოჩნდება და რაიმე საკითხს რომ ტყუილებით დაამცირებს, უსათუოდ ერი დაზარალდება. რაც დასაფასებელია, დაფასებული უნდა იყოს, აი, მაგალითად, ვარდენ წულუკიძე, ბალუ მაყაშვილი, გენერლების მოქმედება — მარტო ეს ღირსება კმარა. ბალუ მაყაშვილი ცნობილი გენერალი იმპერიის, ოცეულზედ მიდის და სად მიდის, ესენი რომ სათათრეთს ეძახიან, იქ, და მერე იმასვე ღუპავენ კაცო. მაშინ ვინ არის წმინდანი? ვინ არის და ბალუ მაყაშვილია. თუ გინდა რეაქციონერი ყოფილიყო წარსულში და არც ჩანს მისი რეაქციონერობა — ის ნამდვილი ვაჟკაცია. რად გვინდა ჩვენ მაგისთანა ტყუილები, ჩემო ბატონო, ეს უნდოდა ორჯონიკიძეს და თავი მოიკლა, აი, ამით გაათავა ბატონო, იმიტომ, რომ უსინდისო მუშაობას აწარმოებდა. მისი დეპეშები არის პირდაპირ სამარცხვინო.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, რას იტყვით შემდეგ საკითხზე — ფოილოს ხიდის ამბებზე და თქვენს როლზე მაშინ?

შ. მ.: ეს იყო 1921 წლის 13 თებერვალს. ტელეფონით დამირეკა სოლოლაკში სოსო წულუკიძემ (მსახიობი რომაა მეგი, იმის მამა და საშა წულუკიძის ძმა მეორე დედიდან). ეს იყო კომენდანტი თბილისის სადგურის. დამირეკა და მითხრა, რომ მეთერთმეტე არმია თხოულობს ბათუმისკენ გაშვებასო და რა ვუყო, გავატარო ფოილოს ხიდზეო? მე ვუთხარი: არავითარ შემთხვევაში არ მისცე ამის უფლება. მეუბნები-

ან, მშვიდობიანი მისიით გვსურსო. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, ზავი გვაქვს დამყარებულიო. ეს ხდება დილით 4 საათზე. მე ვუთხარი, ხუთი-ექვსი საათით შემაგვიანდება პასუხის მოცემა, დავუკავშირდები მთავრობას, მოვახსენებ ამის შესახებ და გაცნობებ, მანამდე თუ რაიმე მოხდა და ძალა იხმარეს, შენც ძალა იხმარეთქო.

ვაცნობე მაშინათვე მთავრობას. დავურეკე ჟორდანიას. ჟორდანიამ აცნობა სილიბისტრო ჯიბლაძეს. სილიბისტრო ჯიბლაძე იყო პოლიტიკური კომისარივით, მის გარეშე არ შეიძლებოდა რაიმე დიდი საკითხის გადაჭრა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ჟორდანიას პარტია ისე არ ენდობოდა, სილიბისტრო კი პარტიის დამაარსებელი იყო, ეგნატე ნინოშვილის ამხანაგი. ე. ი. მოვიდნენ ნოე ჟორდანია, მისი მდივანი გოგილო ცინცაძე, სამხედრო მინისტრი პარმენ ჭიჭინაძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძე, ნოე რამიშვილი — შინაგან საქმეთა მინისტრი. გვარდიის წარმომადგენელი ჯუღელი არ ყოფილა. მოვიდნენ მთავრობის წარმომადგენლები და მე მოვახსენე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ამ დროს კიროვი წაყვანილი ყავდა ლენინს და მის მაგივრად ახალი კაცი შეიმანი იყო გამოგზავნილი ელჩად, ასტრახანელი მეთევზე ვაჭარი, ებრაელი. მოვიდა შეიმანი თავის ერთი თანამშრომლით, იქვე ახლოს, სასახლესთან, სოლოლაკში იყო საელჩო და მალე მოვიდნენ. სანამ შეიმანი მოვიდოდა, შინაურული საუბარი გვქონდა და რომ მოვიდნენ, მე ოფიციალურად მივმართე ჟორდანიას. სილიბისტრო ჯიბლაძე კალოშებში ზის, პალტოც აცვია და შავი ქუდი ახურავს. ჩვენ ყველანი გახდილები ვართ. სილიბისტრო კი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, პარტიის პატრონი, ზის ჩაცმული. ყოველთვის მოდის ამისთანა დიდ საქმეებზედ და ყოველთვის კალოშები აცვია და პალტო და ქუდიც ახურავს, მაჰმადიანია. შეიმანი პატარა ტანის კაცია, ტიპიური ებრაელი.

პიონერთა სასახლეში რომ პატარა აივანი გადმოდის ბაღში — იქ იყო ჟორდანიას ოთახი და იმ ოთახში ვართ ყველანი. მე ძალიან აღელვებული ვარ, სილიბისტრო არ მიყვარს, იმიტომ, რომ შენიშვნებს მიკეთებს. მასაც არ ვუყვარვარ, ვძულვარ. ამ დროს ჟორდანია მომმართავს რუსულად. შეიმანის გასაგონად, თუ რა ხდება ფოილოს ხიდზე. გავაკეთე ოფიციალური განცხადება. ვთქვი, რომ მე-11 არმია ხიდს მოადგა და მე გავეცი განკარგულება, რომ თუ ძალას იხმარენ, ხიდი ააფეთქონ.

შეიმანმა — „მე არაფერი ასეთი ცნობა არა მაქვს, ეს ტყუილიაო“, — რუსულად. სილიბისტრომ ქართულად მომმართა: „ყმაწვილო, ცოტა წყნარად, ცოტა წყნარად, შენ ნამეტანი თავაშვებული ხარო“. ამან მთლად მომიკიდა ცეცხლი. რაზე ვარ, ბატონო, თავაშვებული, მე საქმეზე ვლაპარაკობთქო. ახლა ნოე ჩაერია, ჟორდანია: „მოიცადეთ,

მოიცადეთო. სად არის გოგილოო". შემოვიდა გოგილო, მაღალი კაცია გოგილო ცინცაძე. ჟორდანიას პირადი მდივანი. მისი ბედი შემდგომში არ ვიცი. ციხეში შემოიყვანეს მარტო ერთი დღით და მას მერე არ ვიცი, რა ბედი ეწია, ნოემ უთხრა: „ლენინთან შემაერთეთო". მას მერე. რაც ლენინმა ცნო საქართველო, მუდმივი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. გოგილო გავიდა. მე ყველაფერში მართალი, ვარ, მაგრამ ჯერ მომხრეები არ ჩანან, მარტო ნოე რამიშვილი მიჭერს მხარს. გადმომხედავს ხანდახან და „მოიცადე, მოიცადეო".

ნოე რამიშვილი ყოველთვის მემხრობოდა. რაც არ უნდა გამეკეთებინა — დაარტყი, მაგათი რჯული არ იყოსო, გაათავე მაგ მტრებიო — მეტყოდა ხოლმე. ნოე ჟორდანიას შალი აქვს მოხვეული. ლანჩხუთელი ჟორდანია მღვდლის შვილია, უყვარს მაგას პასკები და ჭამა. გამოიგონებს ხოლმე — როცა რამე დიდი სერიოზული საქმეა გასაკეთებელი — ავად ვარო, შემოიხვევს შალს, რომ არ მოვიდეს. გავაგზავნით კაცს და შალმოხვეული ზის ლოგინში, არაფერიც არ ტკივა.

— შემოვიდა გოგილო და „ამხანაგო ნოე, ვერ შევუერთდი, ხაზია დახიანებულიო. როსტოვს იქით მავთულებია დაწყვეტილი ცუდი ამინდის გამოო". „ვოტ" — მე ვუთხარი — „ისკუსტვენნო უსტროენნო!".

შეიმანმა — „ია პერსონა გრატა, მენია ასკარბლიაიუტ, ია პრავდუ გავარიუ, ია ზნალბი, ესლი ბი ბილო ჩტო ნიბუდ ტაკოე" — დამიწყო კამათი, ეს თქვა, ის თქვა და მოვკიდე კისერში ხელი, ჩემო ბატონო, და მივათრიე კარებთან. შეიმანი ყვირის — „ია პერსონა გრატა"-ო ყველანი დუმან, მარტო სილიბისტრომ თქვა: „ყაჩაღობა ხომ არ არის, რაია აიო" — გურული გამოთქმით, ვითომ დუქანში ხდებოდეს რამე და არა სახელმწიფო ამბავი. ჯარი მოდის კაცო, შენს ტერიტორიაზე და „რაია აიო". მე ყურადღება არ მივაქციე და კარებს გარეთ ორჯონიკიძეა, ოფიცერი. შაქრო ორჯონიკიძე. მერე ჩემთან იყო ემიგრაციაში, იურიდიული ფაკულტეტი დავასრულებინე პრაღაში. მერე იუგოსლავიაში იყო პროკურორი და იქ მოკვდა. მივეცი ხელში ორჯონიკიძეს შეიმანი, ჩაათრიე ძირს ეს ოხერი და ქუთაისის ციხეში გააგზავნეო. ვერაფერი ვერ მითხრეს მე. წაიყვანეს, ბატონო, ესენი ორივენი, შეიმანი და მისი მხლებელი. რიონის სადგურზე თურმე ჰადი აჭამეს. მერე რომ ჩამოვიდნენ, მითხრეს ჰადი ძალით ვაჭამეთ. პავლუშაო ძალით უსმევდა კბილებზე ცივ ჰადსო და მოათავსეს ქუთაისის ციხეში; ეს პავლუშა ტკეცბა იყო კარგი ოფიცერი, კალათბურთელი რომაა, ოთარ ჭორქია, იმისი ბიძა დედიდან. ესენი რომ დავაპატიმრეთ, მაშინათვე დაიწყო დანარჩენების დაპატიმრება და ამის შედეგად მოსკოვში; ჩვენი ელჩი დააპატიმრეს. ამ მხრივ აგრესორები ჩვენ ვიყავით, ასე რომ ვთქვათ, ჩვენ ვიყავით გამომწვევი, მაგრამ დასაწყისი მათი იყო, მოხდა, ბატონო ჩემო, ომი.

ოთხი დღის შემდეგ ორჯონიკიძემ დეპეშაც გააგზავნა. ისიც კი ვერ

გაიგეს მენშევიკებმა, რომ ოსმალეთთან ერთად ვიყავითო, ვერ მიხვდნენო. ჩვენ ოთხ დღეში პონტონის ხიდები აღვადგინეთ და ისინი გაკვირვებული დარჩნენო. მთელი არმია მაგათი იყო. ხიდებით, ნავებით, ყველაფრით და გადმოვიდნენ, აბა რას იზამდნენ. გასაკვირი ის არის, კიდევ ოთხ დღეს რომ არ გადმოვიდნენ. ჩვენ ჯარი არ გვყავდა. სტეფანე ახმეტელი იყო, მოხალისეები შეკრიბა საწყალმა ამ გენერალმა. გენერალი კი იყო, მაგრამ რეგულარული ჯარი არ ყავდა, მოხალისე კახელები შეკრიბა.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ასეთი შეკითხვა მაქვს: თქვენ ბრძანებთ, რომ ამ თავიანთი შეკითხვით და გაფრთხილებით მეთერთმეტე არმია მოულოდნელად არ დასხმია თავს საქართველოს?

შ. მ.: მოულოდნელი თავდასხმა არ ყოფილა. მოულოდნელი ის იყო, რომ მშვიდობიანი გზით მოვდივართო, გვითხრეს და თურმე სხვა მიზანი ჰქონიათ. ეს ჩვენ არ ვიცოდით, მაგრამ მე შევაკავე ეს ამბავი ჩემი ჰოვალეობის გამო. რომ გამეშვა, მერე ხომ მეტყოდნენ, ვინ გაუშვი, რატომ გაუშვიო. სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე რომ გადმოდის უცხო ჯარი, ჯერ მარტო ფორმით არ შეიძლება გადმოსვლა, კანონით.

ვ. რ.: თქვენ უშუალოდ იყავით ხიდის აფეთქების შემსწრე?

შ. მ.: მე პირადად არ ვყოფილვარ. წულუკიძემ ააფეთქა, მხოლოდ ჩემი განკარგულებით. იმათ ასაფეთქებელი მასალა აქვთ, ყოველი შემთხვევისათვის. მე ვუთხარი, რომ თუ კონფლიქტი მოგვიდეს, გაუწიე წინააღმდეგობა და თუ საჭირო იქნება, ხიდი ააფეთქეთ-მეთქი.

ვ. რ.: გენერალი მაზნიაშვილი თავის წიგნში „მოგონებებში“ წერს, რომ ღამით საქართველოს მოულოდნელად თავს დაესხა მეთერთმეტე არმია სომხეთის მხრიდანო.

შ. მ.: სომხეთის მხრიდან არ ყოფილა თავდასხმა.

ვ. რ.: „კავკასიონი“ რომ გამოდის ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით, ხელში ჩამივარდა 65—66 წლის, შეიძლება უფრო ახალი ნომერი, სადაც წერს აკაკი კვიტაიშვილი 21 წლის ომის დაწყებაზე და ამ სტატიაში აღნიშნავს, რომ მეთერთმეტე არმიას ახლდა აგრეთვე გასაბჭოებული სომხეთის ცხენოსანი ჯარი.

შ. მ.: ტყუილი, აბსოლუტური ტყუილია.

ვ. რ.: შეიძლება თქვენ არ გახსოვთ.

შ. მ.: არა, ბატონო, სომხებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, მარტო რუსები იყვნენ. არ იცის მაგი კვიტაიშვილმა.

ვ. რ.: მე უშუალო მონაწილე ვარო ამისო და ხიდის დაცვისო.

შ. მ.: ოოოხ, ხო ხოო! ლანჩხუთში იყო კვიტაიშვილი, იქ სულ არ ყოფილა.

ვ. რ.: და ამასაც დასძენს, რომ ჩვენს სამხრეთ რაიონებში — სადახ-

ლო სადაც არის, ჯერ შემოვიდნენ სომხის მედუქნეები, გახსნეს დუქნები და ჩვენი ნაწილები რომ იდგა იქა, თვრებოდნენ ღვინით. მთელი აქცია იყო ქართველების დათრობა და ამ მთვრალმა ხალხმა რომ გამოიღვიძა, ნახა, რომ არმია უკვე გადმოსული იყოო.

შ. მ.: ეს ბატონო, სენსაცია არის. ამისთანა ამბავი არ ყოფილა. გენერალ-გუბერნატორი ვიყავი მთელი მაგ კუთხისა, ყველგან მყავდა ადმინისტრაცია, სხვას, რომ თავი დავანებოთ და მე უნდა მცოდნოდა ეს ყველაფერი.

ვ. რ.: მეთერთმეტე არმიას თბილისის მისადგომებთან ქონდა ტანკი? და ვითომ თხრილში ჩავარდა...

შ. მ.: კვიტაიშვილი კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ნამეტანი მჩატე და სუღელი, ნამდვილი სულელი ბიჭი იყო. რას მიედ-მოედება, მე თვითონ აქ ვიყავი. კოჯრის გზაზე მოდიოდნენ, მაყაშვილის ქალი დაიღუპა. გენერალ ანდრონიკაშვილის შტაბი იყო კოჯრის გზაზედ, იქ მივდიოდი მანქანით და ეს ქალი ვნახე მოკლული აეროპლანის ბომბის შედეგად. ჩვენ ავიაციას ორი აპარატი ქონდა, მაგრამ ორივე გაფუჭებული, იმათი აეროპლანები თავისუფლად შემოვიდნენ და კოჯრის გზაზე ბომბები ჩამოაგდეს. ტანკები არ ყოფილა, სად იყო მანდ ტანკები?!

მე ჩემი თანამდებობის გამო ომში უშუალო მონაწილეობას არ ვღებულობდი, ასე ვთქვათ, ადმინისტრატორი ვიყავი, წესისათვის და რიგისათვის, სხვა ფუნქციები მქონდა, მაგრამ მიხდებოდა ფრონტზე გასვლა, როგორც რომა, მე ხომ ზურგი ვარ და უნდა ვეხმარებოდე ხალხით, ტრანსპორტით, იარაღით, პურით და სხვა რამით. ამიტომ გავდიოდი ხოლმე წინა ხაზზე, განსაკუთრებით კოჯრის მიმართულებით, პირადად ბრძოლაში მონაწილეობა მივიღე ოქროყანაში, გენო ქარუმიძე იყო ოფიცერი და „შტიკავოი ატაკაზე“ არიან რუსებთან ოქროყანის ზევით. მე გადმოველი ავტომანქანიდან და უშუალო ბრძოლებში მონაწილეობა მივიღე სრულიად შემთხვევით. გენო ქარუმიძის ასეული პირდაპირ „შტიკავოი ატაკაზეა“ გადასული რუსებზე, პოზიციური ომები კი არ იყო, რაღაცა იყო, ოცდაათი კაცი ხიშტებით მიდის ერთმანეთზე. ანდრონიკაშვილის დუქანია ზევით, კოჯრის გზაზე, „თეთრი დუქანი“ და შტაბი იქ აქვთ, გადავხტი მანქანიდან მე და ვხედავ, რომა გენო დაჭრილია, იქვე სეევრიან ლორთქიფანიძე არის, კაპიტანი, ისიც ხიშტით დაჭრილი და უნდა მოვეხმარო, რომ გავიყვანოთ აქედან, ავიყვანეთ ორივე და ჩავსვით ჩემს ავტომობილში. მთლად შევიღებე მათი სისხლით. სად იყო ტანკები, ჩემო ბატონო.

ვ. რ.: თბილისის დაცვა რატომ ვერ მოხერხდა?

შ. მ.: ჯარი არ გვყავდა, სახალხო გვარდია და ჯარი იყო ურთიერთშორის ცუდ განწყობილებაში. ჯარს გვარდიელების შურდა, იმიტომ, რომა გვარდიელებს უკეთესი ტანისამოსი ქონდათ, საშველი უკეთესი

ქონდათ. ზემოთ რომ მოგახსენეთ, „ვერ დავიჭირე ლობიოო". ჯარი ითვლებოდა არასანდო ელემენტად. მენშევიკს ბოლშევიკებისაგან ვერ გაარჩევდით. დაიჭერ მენშევიკს — ბოლშევიკი იცავს, ერთი ოჯახიდან ძმები სხვადასხვა პარტიისანი იყვნენ და არავინ არ ენდობოდა ჯარს.

რაც შეეხება დაცვის საქმეს, დაცვისათვის უნდა იყოს შემუშავებული სამხედრო გეგმა, ადრევე, ჯერ კიდევ სანამ ომი დაიწყება და ამას წლობით ამზადებენ, ყოველი შემთხვევისათვის, თავდაცვისათვისაც და შეტევისათვისაც. კლაუზევიცის თეორიის მიხედვით, სამხედრო ტაქტიკის მიხედვით, შენ განწყობილი უნდა იყო აგრესიისათვის, შეტევისათვის. მეგობარი სახელმწიფოც რომ არის, იმისთვისაც კია დამუშავებული გეგმა, შენთან ერთად რომ იბრძვის, იმის მიმართაც კი უნდა იქნეს შემუშავებული გეგმა, იმიტომ, რომ არ იცი, ომის პროცესში რა მოხდება. ეს შენ არაფერს ხელს არ გიშლის და თბილისი დაუცველი იმიტომ იყო, რომ ჯერ ერთი, მთავარსარდალი არ გვყავდა დანიშნული წინასწარ. სამხედრო მინისტრებად ინიშნებოდა კერძო პირები, ექიმი პარმენ ჭიჭინაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, ახლა მოადგილეს მაშინ ამხანაგი ქვიოდა, არაფერი რომ არ იცის, თოფი რომ არ უსვრია, „აკუშერი", სამხედრო მინისტრია და იმას არ შეიძლება რაიმე პროექტი ჰქონებოდა, ცოდნა არ ქონდა სამხედრო და იმიტომ. კვინიტაძე მთავარსარდლად, ომი რომ დაიწყო, მერე აირჩიეს, შესთავაზეს მას ეს თანამდებობა. კვინიტაძე გარუსებული კაცი იყო, დიდი კაცის შვილი წარსულში. ყველაზე საძულველი კაცი გვარდიისათვის, გარუსებული კაცი, ამიტომ მას არ ქონდა კონტაქტი გვარდიასთან, თბილისის დაცვის საქმე გვარდიის ხელში უფრო იყო, ვიდრე ჯარის ხელში და ჯარს ნდობა არ ქონდა არავითარი. გვარდიამ კი არ იცოდა რაა თავდაცვა, რაა, ბრძოლა. ომში არ ყოფილან უმეტესობა. დაზვერვა არ არსებობდა. აბა შეიძლება ჯარი გყავდეს და დაზვერვა არ იყოს? დაზვერვისათვის თანხა არ არსებობდა. ორად ორი კაცი იყო დაზვერვის უწყებისათვის — ალექსანდრე ბაგრატიონი, პოლკოვნიკი და ვალიკო თევზაძე. ახლა პოლონეთში რომ არის. ე. ი. ჯარი ჩაუცმელია, კვება არა აქვს, დაზვერვა არა აქვს, მთავარსარდალი თხოულობს მომეცით ჯარიო. ჯარი არა გყავს, ფული არა გაქვს, ორი თვითმფრინავი გქონდა და ორივე გაფუჭდა. ამისთანა პირობებში რომელ დაცვაზე შეიძლება ლაპარაკი. კვინიტაძე რომ დათანხმდა, იმიტომ დათანხმდა, რომ იფიქრა, რამეს, ჯარს მომცემენო, კვინიტაძეს გვარდიას ვერ გააგონებდი, ე. ი. მთლად მიგდებული საქმე იყო იმის იმედით, რომ ლენინმა „გვიცნო". ტელეფონით ელაპარაკებიან ერთმანეთს „ტავარიშჩ ნოე", „ტავარიშჩ ლენინ" და ამის იმედით. მერე ყველა პარტია მთავრობასთან ოპოზიციაშია. ადრე კოალიციური მთავრობა იყო და განდევნეს ესენი. შეამცირეს სამინისტროები და დეპარტამენტებად გადააქციეს, გზათა მინისტრი ესერი იყო, ექიმი ლორთქიფა-

ნიძე; ფინანსთა მინისტრი იყო გიორგი ჟურული. ჟურულმა იცოდა თავისი საქმე. პარმენ ჭიჭინაძე არის სამხედრო მინისტრი, „აკუშერი“. ჭიჭინაძეს კვინიტაძეში მტერი ელანდება. იმიტომ, რომ კვინიტაძემ ქართული არ იცის, ე. ი. ყოველად შეუწყნარებელი ბავშვური მართვა-გამგეობაა, ასე იყო სომხეთშიც, მაგრამ სომხებს ინგლისელები ეხმარებიან, ჩემო ბატონო. სანამ გერმანელები იყვნენ, რაღაცა კიდევ შეიძლებოდა და რაც გერმანელები წავიდნენ, მერე დამბლა დაეცა სუყველაფერს.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, არსებობს მოსაზრება, რომ მენშევიკების მიერ თბილისის დათმობა მათი შეგნებული ნაბიჯია, რამდენადაც ეს იყო ფარული პოლიტიკური მეთანხმება ცალკერძ მოსკოვთან, ცალკერძ ინგლისთან.

შ. მ.: არ არის მართალი. ამათ ვინ ენდობოდა, ჩემო ბატონო, კომუნისტებად თვლიდნენ და ინგლისელები ამათ როგორ ენდობოდნენ.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა! ახლა თქვენ გაიხსენეთ ის მომენტი, როდესაც აპირებდით გერმანელებთან ერთად შეთქმულებას.

შ. მ.: თავიდანვე ჩემი აზრი და მუშაობა ის იყო, რომ თუ საქართველო აღსდგებოდა, ჩემს წარმოდგენაში საქართველოს სამეფოს აღდგენა უნდა მომხდარიყო:, გიმნაზიის სკამზედაც რომ ვიჯექი, მაშინაც ამას ვფიქრობდი, ამიტომ მე არც ერთ პარტიაში არ შევდიოდი. ე. ი. ჩემს წარმოდგენაში ეს იყო კონსტიტუციური მონარქია ინგლისის ყაიდაზე. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ვილჰელმის დაარსებულია და იმ იდეის მომხრე ვიყავი, რომ იოახიმი ყოფილიყო მეფე საქართველოსი, ვილჰელმის შვილი, ამიტომ სულ ვცდილობდი გერმანელებთან მჭონოდა ახლო კავშირი. ერთი მათგანი, მაიორი შმიდტი ჩემთან ძალიან ახლოს იყო. გერმანელები როდესაც წავიდნენ, ძეგვის ხიდის აფეთქების შემდეგ, ეს შმიდტი არ წასულა და ჩემთან დარჩა. მე აქ მჭონდა პატარა სახლი, მამაჩემმა შემიძინა, ახლაც არის ის სახლი თბილისში, ახლა შიგ ქურთები ცხოვრობენ, ხუთი ოჯახი, ამ სახლში დავაბინავე შმიდტი, ამავე სახლში ცხოვრობდნენ კიდევ რუსები ქირით და ერთი გერმანელი ფერშალი, გვარად გაან. ძირს პირველ სართულზე, ავსტრიელების ოჯახია — ჩერნიავსკიე. ეს სახლი ქუჩის მხრიდან ერთსართულიანია, ეზოდან კი-ორიანი. აი, ამ სახლში მოეწყო შეთქმულება. მისი მიზანი იყო მონარქიის შექმნა და იოახიმის ტახმა მეფედ. მე გუბერნიის კომისრად დამასახელეს გერმანელების დაწოლით და ამ შმიდტის გზით. თანაშემწეებად მე ავიყვანე ძველი გუბერნატორები, ე. ი. მონარქისტები, ქართველები — ვარლამ ჩიქოვანი და კალანდარაშვილი, განჯისა და ერევნის გუბერნატორები, მონარქისტი იუშკევიჩი, რომელიც ფინანსებს განაგებდა ჩემთან; ამიტომ მე ერთგვარი ეჭვის ქვეშ ვიყავი მაგათგან, მაგრამ ის კი არ იცოდნენ დანამდვილებით, რომ მათი ეჭვები საფუძველმოკლებული არ იყო, სულ იმას ვცდილობდი, რომ აღმსდგარიყო

შონარქია და იოახიმი დამესვა ტახტზედ გერმანელების დახმარებით, ამიტომ ჩვენი არისტოკრატია ალბათ ამჩნევდა ამას და მხარს მიჭერდნენ ყველანაირად. მას შემდეგ, რაც მე გუბერნიის კომისარი გავხდი და გავხდი გერმანელების დახმარებით, ეს იყო გერმანელების მხრიდან ჩუმი დაწოლა, ჩემი შმიდტთან შეთანხმების საფუძველზე. ეს „შმიდტი“ იყო თუ არ იყო შმიდტი, მე არ ვიცი, მაგრამ ჩემთან კი იყო შმიდტი, მაიორი შმიდტი, საქართველოში რომ მოვიდა, მაგრამ არ ეკუთვნოდა არც ერთ ნაწილს, როდესაც გერმანელები წავიდნენ და შემოვიდნენ ინგლისელები, ეს კაცი დარჩა აქ და სანამ თბილისს დავტოვებდით, ჩემთან იყო. მე მას შევრთე რუსის ქალი ცოლად, ლამაზი ქალი, ჩოხა-ახალუხს ატარებდა, ქართული ცოტა ისწავლა. ეს ამბავი ჩაშალა ომში გერმანიის დამარცხებამ და ეს მათი უბედურება ჩვენი უბედურებაც იყო, იმიტომ, რომ ჩვენ დამოუკიდებლობა მაგათი წყალობით მივიღეთ, თორემ თურქები აპირებდნენ შემოსვლას, მოგახსენეთ მე მაგის შესახებ, ნოე რამიშვილმა იხსნა მდგომარეობა, მიმართა გერმანელებს — „გვიშველეთო“ და არ გამოუშვეს თურქები ბათუმიდან ბაქოზედ და გამოცხადდა 18 წლის 26 მაისს ჩვენი დამოუკიდებლობა. ეს გააკეთა ნოე რამიშვილმა და არა ნოე ჟორდანიამ. ყველაფერს ნოე ჟორდანიას აწერდნენ და სულ არაფერ შუაში არაა ნოე ჟორდანია აქ. ჟორდანიას თავშიც არ მოუვიდოდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ნოე რამიშვილი შეიძლება ინტუიციით გრძნობდა ამას და ყველაფერში მხარს მიჭერდა, მაგრამ უკანასკნელ დროს გული აიცრუა ჩემზედ.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, თქვენი აფხაზეთში წასვლა როგორ მოხდა?

შ. მ.: სანამ მაგაზე მოგახსენებთ, დამავიწყდა მეთქვა, რომა რუსებთან ბრძოლებში პირველად ჩაება სტეფანე ახმეტელაშვილის მოხალისეთა რაზმი, თვითონ რომ შეკრიბა კახეთში. სტეფანე ტყვედ ჩავარდა, გენერალი იყო, ძალიან კარგი გენერალი. ეს ამბავი რომ მოხდა, თვითონ ანაგაში ცხოვრობდა. ხელად მოუყარა თავი ძველებური წესით — ჭუდზე კაცს, მაგრამ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა. ფეხით წაიყვანეს და სანამ რუსეთში ჩავიდოდნენ, გზაში მოკვდა. ეს ვიცით ჩვენ და ახლა ამაზე ლაპარაკიც კი აღარ არის. მაშასადამე, პირველი შემტაკებელი ძალა სტეფანე ახმეტელაშვილი იყო. ჩვენ იმდენად არ ველოდით და მიძინებულები ვიყავით, რომ როცა სტეფანემ დაინახა, რუსები მოდისო, თავის თავზე აიღო ინიციატივა და შეებრძოლა.

ახლა, რაც შეეხება მთავარსარდლის დანიშვნას. გენერლები ბევრი გვყავდა. მაზნიაშვილმა ბევრგან ისახელა თავი, მაგრამ აკადემიური განათლება არ ქონდა. შესანიშნავი გენერლები იყვნენ აკადემიიდან ანდრონიკაშვილი, ზაქარიაძე პოლკოვნიკი იყო, ბალუ მაყაშვილი, არჯევანიძე, ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე წულუკიძე, გედევანიშვილები, სამი ძმა—ალექსანდრე, ნიკოლოზი და სოსო. ვისზე უნდა შეჩერდნენ? შეჩერდნენ გენე-

რალ კვინიტაძეზე. ვინ იყო გენერალი კვინიტაძე? ეს იყო 1877 წლის ომში თავგამოჩენილი ივანიკა კვინიტაძის ვაჟი, გორის მაზრიდან, კადეტთა კორპუსში აღზრდილი, ქართულს ვერ ლაპარაკობდა და ქართული შეითვისა პარიზში, ემიგრაციაში. აკადემია ქონდა დამთავრებული, მეფის გენერალი. მაზნიაშვილმა მხარი დაუჭირა, მასში უპირატესობას ხედავდა განათლების მხრივ. მართალია, მაზნიაშვილი კარგი ჯარისკაცი იყო. იაპონიის ომში ისახელა თავი, მრავალჯერ დაიჭრა, მაგრამ კვინიტაძე მაინც მაღლა იდგა აკადემიური განათლებით. კვინიტაძე მონარქისტულად იყო განწყობილი. რა არის მარქსიზმი, სოციალიზმი არ იცოდა და არც აინტერესებდა. ამაყობდა ივანიკა კვინიტაძის შვილობით. ახლა ვინ იყო ივანიკა კვინიტაძე? ივანიკა კვინიტაძე იყო შამილის დამჭერი. „ახალგაზრდა კომუნისტში“ ამ რამოდენიმე ხნის წინ ეწერა ვინ იყო ივანიკა კვინიტაძე. მას მოიხსენიებს ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი ვოტტო. იგი ამბობს, რომ სიკვდილმაც კი ვერ გაბედა დღისით მოეკლაო და ღამით ძილში გარდაიცვალაო. მას აქვს აღწერილი, როდესაც შამილი უნდა შეეპყროთ, კედელთან დადგა ივანიკა, საიდანაც შამილი არ მოელოდა და რამოდენიმე ჯარისკაცი დაისვა ზურგზე კედელზე ასაცოცებლად, ძალიან დიდი ტანის და ღონიერი კაცი იყოო და ასე ავიდნენ და შეიპყრეს შამილი. რადგანაც დიდი განათლება არ ქონდა, პოლკოვნიკობას მიაღწია. ისტორიაში გავრცელებულია აზრი, თითქოს შამილი ორბელიანმა შეიპყრო. სინამდვილეში კი კვინიტაძემ დაატყვევა. იმას მოგახსენებდით, რომ კვინიტაძე დანიშნეს მთავარსარდლად. ამდენად გვარდიისთვის საძულველი კაცი, მონარქისტი, გარუსებული კაცი დანიშნეს. ახლა რა მოხდა, ბატონო და, ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი მარცხისა, ჩემი გაგებით, ის არის, რომ კვინიტაძის დანიშვნა იყო ტრაგედია. სახალხო გვარდია არის მარქსისტული სულისკვეთების. რამიშვილის პოლიტიკა არ მოწონს. მისი გერმანელებისადმი მიმართვა ღალატად ჩათვალეს, ე. ი. გვარდია თავიდანვე ოპოზიციაშია. მუშების და გლეხების ჯარი, ასე ქვიოდა. შტაბი ნახევრად რუსულია, პირდაპირ საბჭოეთის დასაყრდენია. კვინიტაძეც არ ენდობოდა გვარდიას, სძულდა ვალიკო ჯუღელი ჰირიგით და მოითხოვდა დანიშვნისთანავე მომეცით ათიათასიანი ჯარი მაინცო, ისე, სარდლობა როგორ ავიღოო. აი, ასეთი მდგომარეობა შეიქნა, ერთი მხრივ კვინიტაძე გვარდიას თვლის ბოლშევიკებად და არ ენდობა, მეორე მხრივ ჯარი არ არის და ფრონტზე პოზიციური ბრძოლა კი არა, პარტიზანული ბრძოლა რომ დავარქვათ, ამისი უნარიც კი არ ქონდა ჯარს. გვარდია კი პარტიულია. მარქსისტები არიან. ფედერალისტებმა, თუ მენშევიკებს ყავთ თავისი ჯარი, ჩვენც უნდა გვყავდესო. გრიგოლ ლაღიძემ (საწყალი მერე დაუხვრეტიათ) შეადგინა რაზმი და ზეკარის უღელტეხილზე გადავიდნენ. თურქებს რომ შეხვდნენ, გამოიქცნენ უკან და სიმღერაც იყო ასეთი — „ერთი, ორი, სამი, ოთხი, მოხალისენი, წინ გრიგოლი გა-

მორბოდა, უკან ისენიო“. გრიგოლი თვითონ მღეროდა ამას ე. ი. ვალიკო ჯუღელის გვარდიის მაგვარი გრიგოლმაც განიზრახა, მაგრამ მერე თვითონ მღეროდა „ერთი, ორი, სამი“... აი, მიტროფანე ლაღიძის წყლები, რომ არის, იმისი ძმისშვილი იყო. ე. ი. ერთი მხრივ გვარდია და ვალიკო ჯუღელი, კაცი მემარცხენე, გამენშევიკებული, ადრინდელი ბოლშევიკი და მეორე მხრივ — გარუსებული კვინიტაძე, მონარქისტი. ამათი მტრობა და შუღლი აშკარაა: ნდობა არ არის, კოალიციური მთავრობა აღარ არის, მარტო მენშევიკებია. მენშევიკებს ყავთ „სხივის“ სახით მემარცხენე ოპოზიცია, ყოფილი მინისტრებიდან. ინგლისელების მოთხოვნით, ფული არ გაქვთო, არ შეიძლება ამდენი სამინისტროებიო და შეამცირეს, დეპარტამენტებად გადააქციეს. სამი სამინისტრო ერთი კაცის ხელში ჩავარდა — მენშევიკებს აღარ ეყოთ და სხვა პარტიები სულ გააგდეს. ამისთანა პირობებში ჯარი არ ჯარობს, ვიქტორ იმნაიშვილი, მუხრან ხოჭოლავა, ივანე გომართელი — ოპოზიციაა. აქეთ მემარცხენეები არიან, ვეშაპელის ჯგუფი, რომელიც გამოეყო ნაციონალ-დემოკრატებს და ოპოზიციაში არიან გვაზავასთან; ალექსანდრე ასათიანთან. მესამე კოალიციაა ესერები — იოსებ გობეჩიას სახით და ასეთ პირობებში რა უნდა გაგვეკეთებინა. ტანსაცმელი გინდა, საჭმელი, იარაღი გინდა, ყველაფერი გვარდიას უკეთესი ჭონდა, ამიტომ ჯარისკაცები გულდაწყვეტილები იყვნენ. მე იმას ვერ ვიტყვი, რომ გვარდია ბრძოლის ველზე არ გამოდიოდათქო. მაგრამ რა ძალა იყო, ეს სხვა ამბავია. როგორც სამხედრო ძალა, გვარდია გამოუსადეგარი იყო.

ინგლისელები ჩვენი ერთგულნი არ იყვნენ და ეს აშკარად გამოჩნდა სომხებთან შეტაკების დროს. ახლაც არ არიან ჩვენით დიდად დაინტერესებულნი. მოსაზღვრე აზერბაიჯანი გასაბჭოებულია, სიმდიდრის მთავარი წყარო ნავთია, და ჩვენ გვაქვს მარტო მილები, ინგლისელებისათვის კი უკეთესი იყო პირდაპირი კავშირი ჭონდათ საბჭოებთან. მოხდა ეს კატასტროფა, მოუმზადებელი ლაშქარი შეეჩეხა მომზადებულ წითელ არმიას. ის არ იყო დაყოფილი გვარდიად და ჯარად, ეს იყო წითელი არმია, განსაზღვრული იდეის მატარებელი პოლიტიკური არმია, როგორიც ადრე არ ყოფილა. მეფის დროს როგორ შეიძლებოდა პოლიტიკურ პარტიას ყოლოდა არმია. არმია ეკუთვნოდა მთელ ერს. ეს საგანგებო არმიაა, რომელმაც მოიპოვა გამარჯვებები და მოდის; აქ კი ისეთი ნიადაგია, მენშევიზმის სახით იგივე მარქსისტები არიან და ფიქრობენ, რომ მათი მოსვლა მთლად საშიში არაა, თანაც გადაღმა ოსმალეთია და თურმე ეს დიდი რუსეთი და მეორე ისტორიული მტერი ოსმალეთი ხელიხელჩაკიდებულები იბრძვიან ამ საწყალი პატარა საქართველოს წინააღმდეგ. ინგლისი ელჩებს კი გიგზავნის, მაგრამ ისიც იმათ მხარეზეა და რასაკვირველია, ასეთ პირობებში ჩვენ დავმარცხდით რაღაც ექვს კვი-

რაში. ცოტა სასაცილოც არის, სახელმწიფო გაქვს, და სულ რაღაც ექვს კვირაში.

ვ. რ.: ჩეხია უფრო მალე დაეცა, ახლახან, 68 წელს რომ აიღეს.

შ. მ.: ლატიშები მეუბნებოდნენ, ლატვიაში რომ მოვხვდი, რომ ლატვია 24 დღეში დაეცაო, ასეა, ჩემო ბატონო, პირველი პრიზი დამარცხებაში იმათ აიღეს.

ნამდვილი ბრძოლა ტაბახმელასთან მოხდა იმიტომ, რომ ბრძოლაში ჩაებნენ თბილისის სამხედრო სასწავლებლის მომზადებული იუნკერები, უფროსი იყო გენერალი ჩხეიძე, ადრე ჩემი მასწავლებელი, ასეულის მეთაური, გვარდიის კაპიტანი, შესანიშნავი ვაჟკაცი. ამით იმის თქმა მინდა, რომ როდესაც იუნკერების სახით ნამდვილი, რეგულარული, მხედრული თვალსაზრისით მომზადებული ქართული ჯარი შეხვდა, ბატონო, საბჭოების ჯარს და აღზრდილი იყვნენ ჩხეიძისა და კვინიტაძის სულისკვეთებით, — ემსახურება ერს და პოლიტიკაში არ ერევა — მისცეს შესანიშნავი ბრძოლა ტაბახმელასთან. ეს არის ერთადერთი სახელოვანი ბრძოლა, სხვათაშორის, იუნკერთა შორის იყო ახლა აქ აკადემიკოსი ბრძანდება, ნიკო კეცხოველი, დაიჭრა და ვეღარ გაუვა მათ. კარგი ვაჟკაცობა გამოიჩინა ე. ი. ქართველმა იუნკერებმა და მათმა მასწავლებლებმა, მეფის ოფიცრებმა გვასახელეს ჩვენ, ვიმეორებ, რომ ყოფილიყო ნამდვილი პატრიოტული სამხედრო ორგანიზაცია, პარტიების გარეშე მყოფი, როგორც მიღებული იყო წარსულში — რომ ჯარისკაცი არ უნდა ეკუთვნოდეს პარტიას, ჯარისკაცი ეკუთვნის სახელმწიფოს, მის ერს და ფიცს აძლევს ერს, მიწაწყალს თავისას, ის არ შეიძლება პარტიებით იყოს გადახურდავებულ-გადმოხურდავებული, ბატონო, — სხვა იქნებოდა, ასე რომ არ იყო, ამის შედეგია, რაც მოხდა.

ახლა როგორ მოხდა ჩემი თბილისიდან აფხაზეთში წასვლის ამბავი. ეფრემ ეშბას და ლაკობას სურვილი იყო, რომ აფხაზეთი ჩამოაშორონ საქართველოს და გაასაბჭოონ.

ინტერნაციონალისტები კი იყვნენ, მაგრამ ქართველები არ უყვარდათ. ამ დროს აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკაა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში. აქვს საკუთარი პარლამენტა, ყავთ მინისტრები, სათავეში უდგას არზაყან ემხვარი, აფხაზი თავადიშვილი, მაგრამ ქართული სულისკვეთების მატარებელი, თუმცა მენშევიკი. შეიძლება უფრო მეტად ქართული სულის მატარებელი, ვინემ ჩვენი ნამდვილი ქართველები.

აქედან შეთერთმეტე არმია მოდის, იქიდან მეცხრე არმია და ეს ყველაფერი აფხაზებმაც გაიგეს, დადგა საკითხი, რომ როდესაც დაიშლება ეს მთავრობა, ვის უნდა ჩაბარდეს ყველაფერი. მე ყოველთვის კონფლიქტში ვიყავი გვარდიასთან, მე მთელიდენ კვინიტაძის, სამხედრო უწყების მომხრედ და ალმაცერად მიყურებდნენ, თანაც უპარტიო ვარ, მაგრამ სხვა პარტიები მიჭერდნენ მხარს და ამიტომ ვჭირდებოდი მენშევიკებს.

ეს მთავრობა უნდა დაიშალოს, მეცხრე არმია მოდის და იმიტომ. სარდლად დასახელებულია ტიტე ართმელაძე, მაგრამ ძალები არა ყავს და დააყენეს საკითხი, რომ მიმართონ დედა საქართველოს, „უპატრონე ამ შენს მიწაწყალსო“. ამავე დროს მუშაობას აწარმოებს კომუნისტური პარტია ეშბას სახით, საქართველოს რომ ჩამოაცილონ აფხაზეთი.

ორივე მხრივ ცუდი სიტუაციაა და აქედან ჩავიდა ორი კაცი — ვალიკო ჯუღელი და აკაკი ჩხენკელი. სოხუმში სახალხო საბჭომ დაადგინა, რომ მოიწვიონ გენერალ-გუბერნატორად შალვა მაღლაკელიძე. მითუმეტეს, რომ ჩემი ადმინისტრაციული საქმეები გადავეცი კვინიტაძის შტაბს და 23 თებერვალს გავემზადე წასასვლელად აფხაზეთში. ორი ესკადრონი მყავს კაზაკების, ყოფილი დენიკინელები, დაახლოებით 200—250 კაცი ცხენებით. ტრანსპორტი სანდრო ფანიევის ხელშია, ოსია, ვალიკო ჯუღელის მოადგილეა. მე არ მინდა ვთქვა მოღალატეათქო, ეს ისტორიამ გაარკვიოს. ყოველ შემთხვევაში მან მე ხელი შემიშალა იმით, რომ 23 თებერვალს ვერ წავედი აფხაზეთში, ტრანსპორტი არ გვაქვსო, მის ხელში იყო, გვარდიის ხელში და ტრანსპორტი მას ქონდა მინდობილი.

24-ში 12 საათზე ისევ მივედი სადგურზე. ვხედავ ვანო ჭავჭანიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ზის „ფეჩთან“, შეშა არა აქვს გათბობისათვის და ძველისძველ წიგნებს და ჟურნალებს ურთავს „ფეჩს“ და ხელებს ითბობს ამ ძველი დოკუმენტებით, ე. ი. აშკარად ჩანს, რომ აქედან უნდა გაიქცეს, კაი კაცი კი იყო, მაგრამ მშიშარა და შიშის ნიადაგზე მოღალატეც გახდები და ყველაფერი, თუმცა მოღალატე ის არ ყოფილა, უბრალოდ ეშინოდა — არ ჩავვარდე აქო. ეს რომ დავინახე ძალიან შევწუხდი. ეს კაცი ყალყზედ უნდა იდგეს, რუსთაველის პროსპექტზე უნდა იყოს და აგერ კი ზის „ფეჩთან“. მე ვითომ ვერ დავინახე, არ მივესალმე, არც თვითონ მომესალმა, ალბათ დაირცხვინა ასეთ სიტუაციაში რომ ვნახე.

ჩემი მატარებელი გამზადებულია. ნაშუადღევია და დავინახე ნოე ჟორდანიას მზარეული ბესარიონი, მაღალი კაცი, წითელ ჩოხაში, მატარებლის ორთქლმავლისკენ მიდის. ვიფიქრე, ამას აქ რა უნდათქო და ვაგონის ფანჯრიდან მომიკაკუნეს. მოვბრუნდი, ვხედავ, ნოე ჟორდანია. სამი დღეა მზადებაში ვარ წასასვლელად, არაფერი არ ვიცი, თურმე მთავრობა ჩუმად მიდის! ახლა მითხრეს, რომ ვითომ ამ ამბავს ჟორდანია იხსენიებს „მოგონებებში“, დაუბეჭდიათ იქ. ავედი ბატონო მე ვაგონში. „ბატონო ნოე, სად მიბრძანდებითქო“. „მარტო კი არ მივბრძანდები, მთელი ჩემი დიპლომატები მიბრძანდებიან. კვინიტაძემ მითხრა მდგომარეობა ისეთიაო, რომ სტრატეგიული მოსაზრებითო უნდა მოხდეს მთავრობის ევაკუაცია და ხაშური მიმაჩნია შესაფერის ადგილადო!“.

ვ. რ.: ე. ი. ეს ყველაფერი გადააბრალა...

შ. მ.: დიახ, სტრატეგიას გადააბრალა. ამის შესახებ მერე დიდი ბრძოლა იყო პარიზში, ვინ არის დამნაშავეო.

მოხდა ისე, რომ 4 საათზე ავიშალეთ ჩვენ აქედან და გორში ჟორდანია ჩავიდა. საერთო სტრატეგია კი დასახული იყო ხაშურამდის. ჟორდანიამ მომცა სტამბური წესით დაბეჭდილი მოწოდება მოსახლეობისადმი და მითხრა: „ჩემო შალვა, — ასე მომმართა — ჩემო შალვა, — ძალიან გთხოვ ეს ჩემი მოწოდება დარიგდეს ქალაქშიო". გამოვართვი ეს მოწოდება, ახლა შინაარსი მოწოდების კარგად არ მახსოვს, მაგრამ აზრი ასეთი იყო: მიმართავს თბილისის მცხოვრებლებს და მისი მიდამოებისას, რომ სტრატეგიული მოსაზრებანი უკარნახებს ჩვენს სამხედრო უწყებას, ბრძოლის ველი გადაიტანოს მისთვის სასურველ ადგილზე, რათა მოიპოვოს გამარჯვება მტერზე და შესაბამისად მთავრობაც გადადის უკეთეს ადგილზე. მოსახლეობა უნდა იყოს წყნარად, მშვიდად და დადგება დრო, როდესაც უკან დაბრუნდებიან თბილისში.

ეს მოწოდება მე გადავეცი კომენდანტს და ვუთხარი: გაავრცელეთ! დაარიგა, არ დაარიგა, ამის შესახებ არაფერი ვიცი.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, თქვენთვის თუ არის რაიმე ცნობილი, რომ თბილისის დატოვების შემდეგ პოეტები, „ცისფერყანწელები", ქეიფით შეხვდნენ წითელ არმიას?

შ. მ.: ქეიფის რა მოგახსენოთ, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეც და ზოგიერთი ცისფერყანწელი შეეგება წითელ ჯარს პაოლო იაშვილის სიტყვებით, ეს ფაქტია. ეს მოხდა არსებული მთავრობის ერთგვარი სიძულვილის გამოც, რადგანაც ინტელიგენცია არ თანაუგრძნობდა ამ მთავრობას.

იმას მოგახსენებდით, რომ მე გავაგრძელე გზა. სადგურ რიონში ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის მთავრობა დაიშალა. მარშრუტი შეიცვალა და მე ჩავედი ფოთში, იქიდან კი გემით უნდა წავიდე სოხუმში. ფოთში შემხვდა ისიდორე რამიშვილი, იგი გახლდათ მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი ეგნატე ნინოშვილთან ერთად. ამ დროისათვის გაგზავნილი იყო პროპაგანდისტად სოხუმში. წამოსულა იქიდან და ფოთში არის.

ფოთში დავჯექი ერთ პატარა გემზე, „მარიაზე", ჩემი შტაბის 5 კაცის შემადგენლობით. ესკადრონები აქ დავტოვე და ჩავედი სოხუმში. ცარიელია სოხუმი, ვერავინ ვერ ვნახე, არც მილიციაა, არავინ არაა. ერთი კაცი შემხვდა, ადგილობრივი ადვოკატი ყოფილა, ქართველი ფედერალისტი, მისი გვარი აღარ მახსოვს, დიდი სამსახური გამიწია, სად არის ხელისუფლებათქო. არზაყან ემხვარი კაი ხანია წავიდაო და მილიცია კი არ დაიშალაო. აბა ვინ არისთქო? — ოთხი დღეა არავინ არ არისო. ამბობენ „ზელიონაია" არმია მოდისო, აფხაზეთის საბჭოს ვიღაც მაღლაკელიძე დაუნიშნავსო, მაგრამ არც ის ჩანსო და აწი მაინც რას უშველისო. მე

გახლავართ მაღლაკელიძე-თქო, მაგრამ ჯარი არა მყავს, ფოთში დავტოვე ორი ესკადრონი და თუ არმია მოდის, ის ორი ესკადრონი რას უშველისთქო. ერთი წინადადება მაქვსო, როგორც ქართველი კაცი, შეგიგროვებ მილიციასო, ცხენებითო, ეს ქვეყანა არ დაიკარგოსო კაცო. შეაგროვა ამ კაცმა მილიცია, მაშინათვე, სამოცი ცხენოსანი. დავნიშნე მილიციის უფროსად. მოდიან ლტოლვილები და მოდიან. ჩვენ როგორც შეგვიძლია ვიცავთ წესრიგს, მაგრამ რას იზამ. წამოვედით ჩვენც ოჩამჩირემდის. ოჩამჩირეში რომ მივედით, ჩემო ბატონო, და მოვიდა ორი გემი დატვირთული ჯარისკაცებით, გვარდიელებით ხაშურიდან. კვინიტაძეს გამოუგზავნია ჩემს დასახმარებლად. გადმოვიდნენ ნაპირზე და ყველას უდევს ხელი მუცელზე. გეტკივაო. აშლილი გვაქვს მუცელიო, ზღვამ გვაწყინაო. თბილისი აღებულია, მთავრობა ბათუმშია და ამათაც აღარა აქვთ იმედი. მიშა მარღანიაა აფხაზი, ჩემთან ერთად სწავლობდა მოსკოვში ერთ დროს და მოისურვა ჩემი დაპატიმრება.

ამ ადვოკატმა მცველად მომცა გაფხაზებული ზანგი. ბავშვობაში მოსულა, დარჩა აქ და გააფხაზდაო. ჩოხა აცვია, თავზე ყაბალახი აქვს, აფხაზურად ლაპარაკობს. მომცა და არ მოიცილოო, არ გიღალატებსო.

მიშა მარღანია შეეცადა ჩემს შეპყრობას გალში. მე ვუთხარი — ახლოს არ მოხვიდეთქო. ლაპარაკი მინდაო შენთან. ზანგმა მაშინათვე ამოიღო რევოლვერი და აფხაზურად უთხრა რაღაც. თურმე ეუბნება, რომ მე ამ კაცის დამცველი ვარ, სიტყვა მაქვს მიცემული და აქვე გაგათავებო, ხელი არ ახლოო. გადამარჩინა თორემ მიშა მარღანია მიჭერდა.

წამოვედით და ჩამოვედით ზუგდიდში. იქიდან ბათუმში ჩავედი. ზანგი დარჩა აფხაზეთში. აფხაზეთში სულ ორი კვირა ვიყავი 1921 წლის 17 მარტამდე.

ბათუმში შემხვდა მოდებაძე — ბოლშევიკი, ინჟინერი, ჭიათურაში მუშაობდა. აუღია თავის თავზე ხელისუფლება. ინტელიგენტი იყო, პატრიოტი, ჩუმ-ჩუმად გვეხმარებოდა. მომცა ქაღალდი, სადაც ეწერა ქართულად, რომ ეძლევა მოწმობა ამა და ამ კაცს და ევალებათ რკინგზის ხელისუფალთ გაუწიონ ყოველგვარი დახმარება, რომელიც სამსახურის გამო მიეშგზავრება თბილისში.

აღებ ეს ქაღალდი და ვეძებ ახლა ანტისაბჭოურ ელემენტებს. მე თავში მაინც მაქვს ბრძოლა და მოვიდა ერთი კაცი და მეუბნება: თქვენ მაღლაკელიძე არ ბრძანდებითო? იცითო, რომ ბორჯომის ხეობაში კაპიტანი ვაშაკიძე ტყეში გავიდა და პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებსო. მე მოვუყარე თავი ახალგაზრდებს, შეიკრიბა დაახლოებით 50—60 კაცი, ცხენოსანი და წავედით, რომ პარტიზანული ბრძოლები გავმართო. წავალთ აჭარისწყლით ხულოში, რომ იქიდან მივაღწიოთ ბორჯომის ხეობამდე და შევუერთდეთ ვაშაკიძის რაზმს.

წავედით და აჭარისწყალს რომ მივუახლოვდით... დამავიწყდა მეთ-

ქვა, — ქალაქში გამოკრულია ლენინის ბრძანება, რომ ქართველების ჯარი არ ჩაითვალოს არც წითელ არმიად და არც თეთრების არმიად. მივუახლოვდით აჭარისწყალს და ახლა რომ წერენ ქლობა შევიდაო ბათუმში, ტყუილია და დავინახე მოდის არმია ქლობასი. ეს ის ცხენოსანი არმიაა, ლენინმა რომ დაავალა ქლობას: ბორჯომიდან გადი დროზე და ბათუმი დაიკავეო, თურქებმა რომ არ დაასწროს ბათუმის დაკავება. ქლობა იყო უფრო დიდი, ვიდრე ბუდიონი. ქლობა იყო, კოლჩაკი, რომ გაანადგურა, ურალელი კაზაკი, ჩოხას ატარებდა, ადრე ზეინკალი იყო. სიყალბეა სერიოჟა ქავთარაძის რწმუნება, რომ მენშევიკების გენერლები გადაეიდნენ მაგის მხარეზეო, მაზნიაშვილიო, სიყალბეა.

ჩიქოვანი გავგზავნე ამბის გასაგებად, მობრუნდა და ქლობას არმია არისო. ჩიქოვანს ჩოხა ეცვა და ქლობას უკითხია: „ვი ერანგელეეცი?“ ვრანგელი ატარებდა შავ ჩოხას, ცნობილი იყო ეს.

მივედით ახლოს, მივესალმეთ ერთმანეთს. გავიგეთ ერთმანეთის ვინაობა და ქლობა მეუბნება, „მი სვამი ობა პაგიბლი!“ რატომ-თქო — შევეკითხე, „ნი კოგდა ნე პრასტიატ მნე ეტოგოო!“, ე. ი. ბათუმი რომ ვერ დავიკავეო. „გლავნოე, პაპაშა ნე პრასტიტო“. პაპაშაო, ე. ი. ლენინიო. ორივენი ისევ მოვბრძანდით უკან ბათუმში, სასტუმროში. ქლობასაგან გავიგე მე, რომა რუსეთს და თურქეთს დაუნაწილებია თურმე საქართველო. ე. ი. საიდუმლო სამხედრო შეთანხმება ყოფილა რუსეთსა და თურქეთს შორის, ინგლისელების დასტურით. რაღა დაგიმალოთ და ვზივართ მე და ქლობა სასტუმროში, ბევრი არაყი იყო, და ვსვამთ ამ არაყს. ამ დროს მოუვიდა ქლობას ცნობა, რომ ლენინი იწვევს მას დაუყოვნებლივ მოსკოვში. მერე მოხდა ისე, რომ მე და ქლობას მოგვცეს ქაღალდი, სადაც ქართულად ეწერა, რომ ჩვენ მივლინებული ვართ თბილისში. დაახლოებით 5 დღე მოვანდომეთ სადგურ რიონამდე მოსვლას. ქლობასაც ახლავს ადიუტანტი და მეც მახლავს ადიუტანტი — შალვა მაღრაძე. ქლობა ქღალ ჩოხაშია, მისი ადიუტანტი სამხედრო ფორმაშია. რიონის სადგურში მივედით და ქუჩაში სადგურის წინ ბოლშევიკები და მენშევიკები ერთმანეთს ეკამათებიან, შენ დაღუპე საქართველო, არა შენ დაღუპეო. ვდგევართ ჩვენ, არაფერში არ ვერევით, ვუყურებ, როგორ ეჩხუბებიან ერთმანეთს და უეცრად მოდის ვიღაცა ქალი შეიარაღებული, ბანდით და ხელები მაღლაო ჩვენ გვეუბნება, რუსულად, პირველად მიადგნენ მაღრაძეს — ხმალი მოიხსენიო. მაღრაძემ ამოიღო ხმალი, შეარჭო ლიანდაგში, გადატეხა და გადააგდო. ქლობამ ამოიღო და მისცა ხმალი. მისმა ადიუტანტმაც მისცა. მომადგა მე. თურმე მიცნობს მე და ჩემზეა ეს ყველაფერი. ვინაა ეს ქალი და ბოლშევიკი, სადგურ რიონის კომენდანტია, სომხის ქალი, რომელსაც ჩვენ თბილისში ვუპოვეთ ძეგვის ხიდის აფეთქების დროს მავთულები და მე დავიჭირე. გვინდოდა გაგვეგო ივანოვს სად ჭონდა ბუდე თბილისში და ეს ქალი იყო სწორედ რომ

ვნახეთ. ეს ქალი იყო დაკავშირებული, იუსტიციის მინისტრის რეფერენტთან — ირაკლი როსტომოვთან, (ნათესავები იყვნენ), რომელმაც დამასმინა 1962 წელს ქუთაისის პროცესზე * და ჩემზე თქვა: „ნელზი დერჟატ ფაშისტა გენერალი მაღლაკელიძე ვ კაჩესტვე ადვოკატაო“ დ ამისთვისა ვარ მე დათხოვილი ადვოკატობიდან.

მეც მივეცი ხმალი ამ ქალს, თან ის ქაღალდიც მივეცი, მე რომ მაქვს და ჟლობასაც აქვს, მაგრამ რად გინდა, დახედა ამ ქაღალდს, დახია და მომაყარა თვალებში, შულავერის მთავრობის რწმუნებლის ქაღალდი დახია და მომაყარა. ჟლობას ხელში უჭირავს თავისი ქაღალდი, გამოსტაცა მასაც, დახია და ისიც მე მომაყარა, ისეთი ზიზღი ჭონდა საქართველოსადმი. დაგვაპატიმრეს ჩვენ ორივენი. გაგვიყვანეს პატარა მანძილზე და უცებ გაგვიშვეს, მიგვატოვეს, ე. ი. შეურაცხყოფა მომაყენა ამ ქალმა თავისებურად. ქაღალდი შემაყარა სახეში, განგვაიარაღა, მაღრაძემ ხმალი ქე მაინც გადატეხა და მე ჩემი ხელით მივეცი კაცო.

წამოვედით მე და ჟლობა ადიუტანტებით და ჩამოვედით ხაშურში. აქ ერთმანეთს დავცილდით, იმიტომ, რომ სადგურში აფეთქდა „ბრონევიკი“ მატარებელი და დროზე რომ არ ეშველათ, მთელი ხაშური დაინგრეოდა. ამ არეულობაში დავკარგე მე ჟლობა. წამოვედი და მივადექი ყიფიანის ოჯახს. შალვას ნათესავები იყვნენ, შალვაც დავკარვე აფეთქების დროს. ღამით მოხდა ეს აფეთქება. მე მათთან ხშირად გამითენებია ღამე ახალციხედან, როცა მოვდიოდი ხოლმე. მივადექი ამ ოჯახს. გამოვიდა დედა და მითხრა: არ შემოხვიდეო. რაშია საქმეთქო და — ქანქარა ყიფიანი, ახალგაზრდა ქალი, ჩემი ადიუტანტის შალვას ბიძაშვილი, ძალიან კარგი გოგო იყო და მეუბნება დედამისი — დავიღუპეო, ჩემი უბედური ქანქარაო, გვერდში უწევსო მას ვიღაც რუსის ოხერი სალდათიო. საერთოდ წესად ჭონდათ საბჭოებს, რომ ნებას აძლევდნენ თავის ჯარს რაც უნდათ, ის ეკეთებინათ. ასე გააკეთეს ბერლინშიც. „გრაბ ნედელია“ იყო. „გრაბ ნედელია“ მარტო ჭონების ძარცვა კი არ იყო, ქალების გაუპატიურებაც იყო. ლენინის განკარგულება იყო, რომ საქართველოში ეს არ გააკეთონ. მარტო ხაშურში მოხდა ეს, ქალების გაუპატიურება. აღარ შევედი შიგნით და წამოვედი, რომ ახალციხეში ჩავიდე ჩემს ცოლშვილთან. გავედი ქალაქგარეთ და მანქანა დგას. მანქანაში სძინავს „სალდათს“, მანქანაშივე სძინავს ულამაზეს ქალსაც. როსტოვიდან წამოუყვანია, თეთრგვარდიელების ქალია, გენერლის შვილი თუ ცოლი. „ეს სალდათი“ ხაშურის კომენდანტი ყოფილა და ახალციხეში მიდის. ჩამსვეს მანქანაში და წამიყვანეს ბორჯომში. სამი-

* აქ გენ. მაღლაკელიძე გულისხმობს გვიანდელ, 60-იანი წლების ამბებს.

ოდე კილომეტრით რომ მივუახლოვდით ბორჯომს, გააჩერა მანქანა და „საიდიო“. არ გადმომაგდო იქიდან?! წადი „პეშკომ ბურჟუიო“. ხმა არ გამიცია, ან რა ხმა უნდა გაცე, ის შეიარაღებულია — მე იარაღი არა მაქვს. მივედი ფეხით ბორჯომში. იქიდან პური მიჰქონდათ ახალციხეში ჯარისთვის ფურგონებით. ავედი ერთ ფურგონზე. დავწექი პურზე და ჩავედი ასე ახალციხეში. მივადექი რუკინის სახლს. რუკინის სახლი ძალიან საიმედოა, იმ მხრივ, რომ რუკინი, „ლესნიჩი“, მონარქისტი იყო. ქართველები კი არ უყვარდა, მაგრამ არც სძულდა. მის ცოლსაც ვიცნობდი, ოჯახს. რუკინი არ დამხვდა. ცივად შემხვდნენ. მისი ცოლია და ქალიშვილი... რუკინის ცოლი პოლონელია. პოლონელი იყო ჩემი ცოლის დედაც და ახლოს იყვნენ. გაიგეს, რომ აქ ვიმალები და შემოერტყნენ რუკინის სახლს. „ვიდაიტე მაღლაკელიძე!“ ეს გაუკეთებია ზორიანცს, ახალციხის რევკომის თავმჯდომარეს, თავს რომ იკლავდა მიტინგებზე ქართველობისათვის, დაშნაკცუთიუნის პარტიის ლიდერი, ჩვენი კაცი, წარმოგიდგენიათ?! „მი კაკ ოდინ უმრიომ ზა გრუზიუ“.

არ გავაღეთ ურდული. გადავწყვიტე მომეკლა თავი, მეტი გზა არ არის. ჩვენ კარებს არ ვაღებთ. ისინი ვერ ამტვრევენ კარებს და ასე ვიყავით დილამდე. დილით დაიშალა ეს ბრბო და მე ჩუმად გამოვედი, რომ მოვძებნო ზორიანცი, მაგრამ დამიჭირეს და შემიყვანეს ერთ-ერთ ყაზარმაში. ყაზარმაში არის კომენდანტი, მე რომ გადმომაგდო მანქანიდან, მთვრალია გახეთქილი, მომკიდა ხელი და „დრუზია მი სვამიო“. ერთ დღეში გამხდარა ახალციხის კომენდანტი და აქ არის ახლა. დამიწყო ფერება, დამალევინა არაყი. ის ქალი სხვა კაზაკებს მივეციო მე აღარ მინდოდაო, სხვებს ვაჩუქეო.

გამომიშვა. გამომიშვა და წავედი, ზორიანცს ვეძებ. მივედი მასთან. გადამკოცნა — „ნუ ჩტო, შალვა ნიკოლაევიჩ, მენიაიუტსა ვრემენა“, ქართული დაგავიწყდათქო — მე ვუთხარი. კაზაკების გავლენით არისო, ასე მგონია კაზაკს ველაპარაკებიო. პირდაპირ ვუთხარი: უსინდისო ხარ, შხამად იყოს ჩემი ნათლობა შენი ბავშვებისთქო. ორი ბიჭი მოვუნათლე, შენ კაცი არა ხართქო. ხმა არ ამოუღია და მოვშორდი ზორიანცს. გარეთ გამოვედი. გამომეკიდა, მითხრა, რომ აქ შენი ცოლშვილი არისო. მოვკიდე ჩემს ცოლშვილს ხელი და წავედი ხაშურში. იქიდან კოპიტნარის სადგურში, იქიდან ვაცნობე მამაჩემს. მოიყვანა ურემი, მე ცხენი მომიყვანა და ყოფილი გენერალ-გუბერნატორი შევედი ჩემს სოფელში. არ გაუვლია ცოტა ხანს, უკვე ვანის რევკომია, მობრძანდნენ ჩემთან და დამიჭირეს, 1921 წლის 13 მაისს ლორთქიფანიძეც დაიჭირეს. ჩემი მეზობელი იყო. კოტე ცინცაძის, „როგორც გრუზჩეკას“, პირველი ბრძანება, პირველი ორდერი იყო: „ობისკატ და პოდვერგნუტ არესტუ ბივშეგო ზამესტიტელია პრედსედატელია პრავიტელსტვა გრიგორია სოლვესტროვიჩა ლორთქიფანიძე, ბივშეგო ვოენნოგო მინისტრა პარმენა ივანოვიჩა

ჭიჭინაძე ი ბივშეგო გენერალ-გუბერნატორა შალვა ნიკოლაევიჩა მაღლაკელიძე“ ლორთქიფანიძე ჩემს მეზობლად ასე ერთ კილომეტრში ცხოვრობდა და მოიყვანეს ჩემთან ეზოში. დამაპატიმრეს მეც. ჩაგვიყვანეს ვანის რევკომში. კოპიტნარამდე ფეხით გვატარეს და მიგვიყვანეს ქუთაისის ჩეკაში.

ვ. რ.: ვინ იყო შულავერის მთავრობაში?

შ. მ.: შულავერის მთავრობის თავმჯდომარე ფორმალურად იყო ფილიპე მახარაძე. მაგრამ თავის დროზე ვერ მოვიდა. ვლადიკავკაზში გაჩერდა. სომხებიდან ამ მთავრობაში იყო ზორიანცი. ე. ი. მე-11 არმიასთან, შემოსვლისთანავე დაარსდა შულავერში ეს მთავრობა. მაჰმადიანი მოსახლეობიდან იყო ომარ ფაიკი, მოღალატე. მაშასადამე, სომხებიდან იყო მოღალატე ზორიანცი.

მე არ მითქვამს, რომ როდესაც ბათუმში ვიყავი, შემომთავაზეს ემიგრაციაში წასვლა, მაგრამ მე კატეგორიული უარი ვუთხარი. მე დავრჩი. ერთადერთი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ქუთაისის მილიციის უფროსი მაღნარაძე და პრისტავი ფიჩხაია, რომელნიც არ შეუშვეს გემზე, შევაშვებინე. მაგათმა ქუთაისში დაწვეს, კომუნისტები — ივანოვი და მარდალეიშვილი, დაჭერილი რომ ჰყავდათ აქ, თბილისში, წაიყვანეს ქუთაისში, დახვრიტეს და მერე დაწვეს, ცეცხლი მოუკიდეს საღორიის ტყეში. ეს მაღნარაძე და ფიჩხაია, მე რომ უნდა წავეყვანეთ ნავით, ჩავასმევინე იმ ნავში და ავაშვებინე გემზე. მერე ფიჩხაიას ძმა დახვრიტეს ამათმა. ისიც მილიციონერი იყო, ვერ მოასწრო წასვლა. ესენი ორივენი კი მე გავუშვი და გადარჩნენ, მაგრამ ამ ომის დროს რომ შევიდნენ კომუნისტები ჩეხოსლოვაკიაში, თითქოს ორივენი ნახეს იქ და დახვრიტეს.

გემი წავიდა, მე დავრჩი და რა მოხდა მერე ეს ვიცი საზღვარგარეთიდან. წაიღეს თან ქონება. ექვთიმე თაყაიშვილმა წაიღო. ჟორდანიას არ მოუკიდია ხელი. მაგაზე მერე გეტყვით. მივალთ მაქამდე. რა იყო და როგორ იყო.

როდესაც მისულან კონსტანტინოპოლში, ჟორდანიას ახლავს მთავარსარდალი კვინიტაძე, შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე, გენერალი ჩხეიძე, მინისტრები. კონსტანტინოპოლში შემოეგება მათ მარშალ პილსუცკის (პილსუცკი იყო მაშინ პოლონეთის მთავრობის ხელმძღვანელი, ძველი რევოლუციონერი, პოეტი) ელჩი სულთანთან მაგრამედ მეხუთესთან და განუცხადა, რომ თქვენ ბრძანდებით სტუმარი პოლონეთის ელჩის. გთხოვთ უმორჩილესად პილსუცკისაგან მაქვს მე განკარგულება, რომ ქართველობას ვუპატრონო ყოველმხრივ. მხედრები დარჩებიან იმავე ხარისხებში, ვისაც განათლება უნდათ. — მივცემთ განათლებას, სამსახურს მივცემთ, ყველაფერს და წამობრძანდით ჩვენთანო. პირველ რიგ-

ში გენერალ კვინიტაძეს ვთხოვთ წამობრძანდეს ჩვენთანო. ჟორდანიამ უთხრა: დიდი მადლობა გადაეცით პილსუცკისო, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებით პარიზში უნდა წავიდეთო, საქმისათვის ასე სჯობსო და დიდი მადლობა პილსუცკის მიწვევისთვის, პილსუცკი მიხვდება ამასო, გაგვიგებსო. კოწია გვარჯალაძეც აქ არის, ჩვენი ელჩი, საფრანგეთში მიღებული აქვს განათლება. ადრე შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი იყო. ჟორდანიამ უარი თქვა პოლონეთზე იმიტომ, რომ პოლონეთი კონფლიქტში არის რუსეთთან და საშიში ადგილია. საფრანგეთში უფრო თავისუფლად იქნებიან, მითუმეტეს, რომ საფრანგეთის ელჩი შევალიე თავდადებული არის საქართველოსათვის. ასე რომა საფრანგეთში წასვლა ბევრი მოსაზრების გათვალისწინებით იყო.

შტაბის უფროსმა გენერალმა ზაქარიაძემ განაცხადა თანხმობა პოლონეთში წასვლაზე. მას თან გაჰყვნენ სხვა გენერლებიც. გენერალი ბაქრაძე, ცნობილი გენერალი, რომელიც ჩვენთან პოლკის უფროსად იყო, იმიტომ, რომ შტაბის მიხედვით გენერლის თანამდებობა არ იყო და ჩვენთან თანამდებობის მიხედვით იყო ჩინი. ასე რომ გენერლებიც ხდებიან პოლკოვნიკები. ცნობილი გენერალი ბაქრაძე, რომელსაც ჰქონდა ორი წმინდა გიორგის ჯვარი, რაც იშვიათი იყო, ჩვენი პოლკოვნიკი იყო ძველი გენერალი მეფისა. გენერალი ჩხეიძე, ჩემი ყოფილი მასწავლებელი, ცნობილი, მეფის დროის გენერალი ყაზბეგი. წავიდნენ პოლკოვნიკებიც. მეორე ჯგუფი წავიდა საფრანგეთში. ჟორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ასათიანი, სამსონ ფირცხალავა, იოსებ გობეჩია, ვეშაპელი და სხვები. როცა ტერიტორია დატოვეს საქართველოსი, ამით მთავრობა მოისპო და შეიქმნა ქართული ეროვნული ცენტრი, მაგრამ ვინაიდან წარმომადგენელი გვყავდა ჩვენ ევროპაში, ჩხენკელი, იგივე დარჩა ფორმალურად როგორც ელჩი საქართველოსი. სკამი იყო მისი პრეზიდენტთან სამფეროვანი დროშით 24 წლამდის, სანამ არ იცნეს საბჭოთა რუსეთი.

ვ. რ.: შევალიეზე ბრძანეთ, ბატონო შალვა.

შ. მ.: შევალიე ყოველ 26 მაისს გამოდიოდა სიტყვით—საქართველო უნდა აღსდგესო. მე მოტყუებული დავრჩიო და ორდენები დაუბრუნა საფრანგეთის მთავრობას. შევალიე იყო პირველი ელჩი საფრანგეთიდან საქართველოში, რომელმაც ჩათვალა, რომ მოტყუებული დარჩა საქართველოს გაცემისათვის და ამ ნიადაგზედ თავისი ორდენები დაუბრუნა საფრანგეთის მთავრობას, პატარა ერი რომ გავეცით, მე ასეთი ორდენები არ მინდაო, თუ სცანით საქართველო, იარაღითაც უნდა დაეხმაროთო. ერთადერთი კაცი, რაც კი შეეძლო ელჩს, გაეკეთებინა კეთილშობილური, რაინდული დიდ სახელმწიფოს რომ შეფერის პატარა სახელმწიფოსადმი, ასეთ კაცად შეიძლება ჩაითვალოს შევალიე. 1934 წელს წამოვედი მე გერმანიაში და მერე სულ გერმანიაში ვიყავი. ამიტომ მისი შემ-

დგომი ბედი არ ვიცი, 34 წლამდე კი სულ გამოდიოდა. ჩვენ გაგვყიდა, ასე უხეშად რომ იტყვიან ინგლისმა.

ვ. რ.: ჩვენი ელჩი 1933 წლამდე იყო პარიზში?

შ. მ.: არა, ელჩად ჩხენკელი იყო 24 წლამდე. ასათიანი იყო კონსული 33 წლამდე.

ერთ შემთხვევას მოგიყვებით, რომელიც მოხდა კრებაზე, რომელსაც მე დავესწარი. ეს იყო 34—35 წელს. შეძახილები იყო: ვისი ბრალია საქართველოს დაღუპვაო. კვინიტაძე არავითარ შემთხვევაში არ ღებულობდა პასუხისმგებლობას დამარცხების გამო. ის ამტკიცებდა, რომ მე დამამარცხა თვითონ მთავრობამ, მუშაობის საშუალება არ მომცაო.

წამოდგა კვინიტაძე და განაცხადა: მე საბოლოოდ ვამბობ და ვამტკიცებ, რომ ქვეყანა დაღუპა მენშევიკებმაო. მათ არავინ არ იგუეს, აქ კი შექმნეს შეთანხმება, მაგრამ ამას აღარაფერი ფასი არ აქვსო და მე არავითარ შემთხვევაში, როგორც ყოფილი მთავარსარდალი არ ვკისრულობ პასუხისმგებლობასო. გვარდიას ის თქლიდა რაღაცა ბანდად, ხოლო ჯარს არავითარი წილი არ უდევს სამშობლოს დაღუპვაშიო. ამაზე გეგეჭკორმა დაუძახა, რომ სწორედ შენ დაღუპე და შენმა ჯარმაო, რომელიც არაფრად არ ვარგოდაო და სარდლობას კი ბრალს ვდებ უხეირო სარდლობისთვისო. მაშინ კვინიტაძემ განაცხადა, რომ ვიწვევ მაგას დუელშიო. ევგენის არასდროს იარაღი არ დაუკავებია ხელში, მაგრამ უპასუხა, რომ ვღებულობო ბატონოო. დაიშალა კრება და უნდა მომსდარიყო დუელი. კვინიტაძე ეძებს სეკუნდანტებს, დარწმუნებულია დუელში. ევგენი კი იცინოდა ამაზე. მე ისე გავსულელდი მეგრელი კაცო, რომ მაგ ტეტიას თავს მოვაკვლევინებო? გავიდა რამოდენიმე ხანი და კვინიტაძე თხოულობს დუელს. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ყველა შეწუხდა. გამოვიდესო გინდა თოფით, ხმლით, რითაც უნდაო. კაცი არ არისო? თუ კაცი არაა, ლაჩარიაო, გლახაა და მარტო თხაპარიააო, ვინმე ღირსეული გამოვიდესო. ბოლოს ქართული ეროვნული ცენტრი იძულებული იყო ამის შესახებ რამე დადგენილება გამოეტანა და გამოიტანეს დადგენილება, რომ ჩვენ ვართ რევოლუციურ მდგომარეობაში, ვეძებთ დაკარგულ სამშობლოს და სხვის მიწაწყალზე ჩვენი დუელის მოწყობა არ ჭირდება საქართველოსო და ეს საკითხი უნდა გადაიდოსო. როცა გამოუცხადეს ამის შესახებ, ევგენიმ თქვა, უფრო სწორად ჩაილაპარაკა, რომაო კარგია რომ დუელი აუცილებლად შედგესო, მაგრამ ერთი რამ არისო, რომაო, როდესაც ეს დუელი შედგებაო, მაშინ ჩვენ ალბათ უკანა ნაწილით ვისვრითო.

კვინიტაძე მაწონს აკეთებდა. „გემო" დაარქვა სახელად. მანქანა შეიძინა, თვითონ განაგებს და კერძო ბინებში დააქვს. არ ღებულობს დახმარებას არავისგან და ცხოვრების ამითი. ყოველ პარასკევს სტუმრად ვართ

მასთან. თავად ციციშვილის ქალი ჰყავს ცოლად. მოახლე ჰყავს და ცხოვრობს ასე.

პოლონეთში წასულ ოფიცრებს, ქართველ ოფიცრებს, პოლონეთი ახლაც აძლევს პენსიებს ლონდონში. პოლონელებმა ხაზინა გაიტანეს ომის დროს და ის ოფიცრები, რომლებიც პოლონეთის ჯარში იყვნენ, პენსიონერები არიან, ვინც ცოცხალია. უგრეხელიძე მაგალითად, კვიწრიშვილი, ზაქარიაძე, სანამ ცოცხალი იყო, კიკვიძე პოლკოვნიკი, ქუთათელაძე — ორი ძმა. პოლონეთი რომ დამარცხდა, ყველანი ლონდონში წავიდნენ. უგრეხელიძე ახლაც წერს წერილებს თავის ძმას აქ. პენსიონერია და პენსიას იღებს პოლონეთის ხაზინიდან. ასე, რომ პილსუცკის ხაზი დარჩა ბოლომდე და შემთხვევითი არ არის, დღესაც რომ ჩვენები მიდიან ახალ პოლონეთში, განსაკუთრებით კარგად ექცევიან მათ. საქმე იმაშია, რომ პოლონელებს აღიარებული ვყავართ როგორც მოძმე ერი, სლავიანების მოწინააღმდეგე. თითონ სლავიანები არიან, მაგრამ თავის თავს თვლიან სლავიანების ერის ნაღებად. რუსებს კი თვლიან „კაცაპი“, „მუჟიკი“. ე. ი. იგი პოლონეთი სლავების ნაღებია და მისი მეგობარი არის მხოლოდ ქართველები მთელი რუსეთის იმპერიაში, პირველ რიგში.

ვ. რ.: გახსენების სახით არ ჩაგვიწერია, გრიგოლ ვეშაპელმა რომ თქვა კრებაზე, პრუსიაზე.

შ. მ.: ჩვენს პარლამენტში იყო ფრაქციები. უკიდურესი მემარჯვენე ფრაქცია იყო „კლდე“, ჰქონდათ გაზეთი მაგათ და ამაში შევიდა გრიგოლ ვეშაპიძე. დამთავრებული ჰქონდა ისტორიული ფაკულტეტი. ისტორია კარგად იცოდა, მუყაითი კაცი იყო, ცივი, ავი ბუნებით, ვეშაპელი დაირქვა იმისათვის, რომ რუსული ბინძური სიტყვა არ გამოსვლოდათ რუსებს. თუ შეეშლებოდათ ვეშა-პიზე-პიძე, ამიტომ დაირქვა ვეშაპელი.

ვ. რ.: ეს კაცი არ იყო მოღალატე!

შ. მ.: არა, ბატონო.

ერთი ასეთი შემთხვევა იყო, კირილე ნინიძე არის ადვოკატი და დეპუტატიც ბოლშევიკი, ძალიან ცივი, ნამეტანი მარქსისტი და ავი — ნოე რამიშვილის მეტოქე იმიტომ, რომ ერთხელ ნოე რამიშვილის მეუღლისათვის რაღაცა უკადრებია კირილეს, ბახმაროში ყოფილან და ხელი უკრავს ნოეს და ხევში გადაუგდია და სძულდა ნოე. ისევე, როგორც თავის დროზე ისიდორე რამიშვილი გააშრიყებია ეგნატე ნინოშვილის საცოლეს და პარტიამ გაასამართლა ძველად. ასე, რომ მტრული განწყობილება ოჯახურ ნიადაგზე ჰქონდათ. ეს კირილე ნინიძე გამოდის და მთავრობის ოპოზიცია ახსენა ცუდად. ვეშაპელი შეედავა — თქვენ ხართ დამღუპველი ქვეყნისა, სოციალისტებიო და ერთ დღეს განაცხადა ნინიძემ, რომ ის, რაც პრუსია არის გერმანიისათვისო, რასაც ეყრდნობოდა მთელი იმპერიაო, გერმანიის ნიჭი, მისი უნარი, რაც არის ფრიდრიხ დი-

დიდახ ძოყოლებულიო, იგივე არისო საქართველოსთვისო გურიაო. ვეშაპელმა დაუძახა იქიდან, რომ პრუსიაზე რა მოგახსენოთო და „პრუწია" კიაო და ატყდა სიცილი.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ახლა გავიხსენოთ თქვენი დაპატიმრება და ქუთაისში ჩაყვანა.

შ მ.: ქუთაისში მიგვიყვანეს ყოფილი გუბერნატორის სახლში და სარდაფში ჩაგვიყვანეს, სადაც იყო დაახლოებით 40 კაცი პატიმარი, მე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ჟორდანიას მოადგილე და პარმენ ჭიჭინაძე, ჩვენი ყოფილი სამხედრო მინისტრი. საზიზღარი ჰაერია და სული რომ მოეთქვა კაცს, მორიგეობით მიდიოდენ ამ სარდაფის კარებთან. ერთი ძონძიანი კაცი იყო, სასტიკად დაგლახავებული და გრიშა ლორთქიფანიძემ, როგორც გამოცდილმა, ციხეში ბევრჯერ ნამყოფმა, 12 წელი გაუტარებია და იძახოდა, ახია ჩემზე, ახიო, 12 წელი შევწირე რევოლუციასო, — იმან შენიშნა მაშინათვე, ეს კაცი პროვოკატორი იქნებაო, აგენტიო.

დაგვიწყო ლაპარაკი, გენძეხაძეა გვარად, რუსეთში ვიყავიო „ნადზირატელი" და იმიტომ ვარ დაჭერილიო და ორ-სამ დღეში გაირკვა, რომ ეს კაცი არის მართლაც პროვოკატორი. აქედან ჩვენ გადაგვიყვანეს გეგუთის ქუჩაზე საგუბერნიო ციხეში. ეს ციხე ძველად იყო საკატორღო ციხე. კატორღული რეჟიმი კი არ იყო, მაგრამ უფრო მკაცრი რეჟიმი, ვიდრე თბილისის ციხეში და ამიტომ ქვიოდა კატორღული. მიგვიყვანეს სამივე. ამ ჩვენ სამეულს სულ ერთად დაგვატარებენ. ერთი ორდერით ვართ დაპატიმრებული და იმიტომ. მიგვიყვანეს და მეფის დროს რომ ციხეში ეკლესია იყო, გადაუკეთებიათ როგორც კლუბი, ვითომ სულ პატიმრებზე ფიქრობენ, არ აწამებენ და შეგვიყვანეს შიგნით. აქამდე უფალო შეგვიწყალე იყო და მამაო ჩვენო, ახლა სულ სხვაა: რა არის კაპიტალი, მარქსიზმი რა არის და ახლა სულ სხვა ამბავია, დიდი განათლების ამბავია ჩემო ბატონო, ის ძველი ბნელის ამბავი და ახლა სინათლისა, ბედნიერების, სოციალიზმის, კომუნიზმის.

ჯერ საკანში არ შევუყვანივართ, დემონსტრაციულად გვიჩვენებენ, როგორც ყოფილ ხელისუფალთ. ამ ეკლესიაში რომ ვიჯექით, მოხდა ასეთი ამბავი, მოულოდნელად მოვიდნენ ქუთაისის რევკომის წევრები. ერთი ნადირაძე ალექსანდრე თეოფანეს ძე, ჩემი სოფლის მღვდლის ნადირაძის შვილი. ახლა რომ ჩვენი მწერალი არის კოლაუ ნადირაძე, ნათესავები არიან. ე. ი. კოლაუ ნადირაძე ჩვენებურია, მაგრამ ქუთაისში იყო დაბადებული, ალექსანდრეს მოყვა მეძმარიაშვილი, ფარცხნანაყანებიდან. მოვიდნენ ესენი ჩემთან, თურმე დასახმარებლად, რომ გამომიხსნან. ლორთქიფანიძე ერთ-ერთი ლიდერია მენშევიკების, პარმენ ჭიჭინაძე ლიდერია და მაღლაკელიძე სულ არაა პარტიული, თანაც მიცნობენ მე სტუდენტობიდან, კრებებს აწყობდნენ ჩემთანთქო, რომ მოგახსენეთ,

მაგრამ პარტიული ხაზით არაფერი საერთო არ მქონია და მოვიდნენ გამოსახსნელად.

თავის დროზე მოსკოვში ნადირაძე რომ დაიჭირეს, როგორც ბოლშევიკი, ვიღაცა ქალმა გასცა, მივედი მე და ერთი ოქროს თუმნიანი მქონდა და ერთი ვერცხლის ათშაურიანი. სხვა ფული არა მაქვს. ათშაურიანი რომ მივცე, ცოტაა, ორ სადილს ჭამდა კაცი რესტორანში. ოქროს თუმნიანი კი უკვე პატარა მოხელის თვიური ჯამაგირი იყო. ავიღე და თუმნიანი მივეცი. დავრჩი უფულოდ, პარტიული რომ არ ვიყავი და ის თუმანი რომ მივეცი, ახსოვს თურმე და შველა უნდა ჩემი.

მოვიდა ჩემთან მეძმარიაშვილი და მეუბნება: შალვაო, ალექსანდრე ვერ ბედავსო, შენი ასეთ მდგომარეობაში ნახვა უჭირსო. რა გინდათ-მეთქი და დახმარება გვინდაო. არ დამელაპარაკოთქო, მე ვუთხარი, თქვენ რუსების აგენტები ხართთქო. ახლა ალექსანდრე ჩაერია: ჩვენო შენთან ცოტა დარცხვენილი ვართო და იქნებ რამეში გამოგადგეთო. მე ვუთხარი: დარცხვენილები კი არა — ნამდვილი მტრები ხართ საქართველოსითქო და გავახსენე „პატრიარში პრუდებზე“ რომ ნოზაძეზე გაგულისდით და ეშბასთან ერთად გაიქეცით-მეთქი და მენშევიკები იყავით და გაბოლშევიკდით, არც მენშევიკების მწამს და არც ბოლშევიკების-თქო და არც მინდა თქვენთან ლაპარაკითქო. ადექით და წადით აქედანთქო. ადგნენ ორივენი, პატარა ბავშვებივით, რევკომის წევრები არიან, ჭუთაისი მათია, ადგნენ და წავიდნენ.

გაგვიყვანეს საკნებში მას მერე, რაც ეკლესიაში, ამჟამინდელ კლუბში გვიქადაგეს სოციალიზმი და მარქსიზმი... გრიგოლ ლორთქიფანიძეს, კაცო, ვიღაცა ყაზილარმა, რომელმაც რომ რა იცის რა არის მარქსიზმი, მაგრამ უნდა მოუსმინო. გაგვიყვანეს საკანში. ძალიან ცუდი საჭმელი მოგვიტანეს. მაგრამ მე მოვახერხე და მამაჩემს შევატყობინე ერთი ზედამხედველის საშუალებით, რომ თავად მიხაკო ლორთქიფანიძეს აქვს რესტორანი ჭუთაისში და იქნება მამაჩემი როგორმე მივიდეს და კატლეტები გამოგვიგზავნოს. მართლაც მისულა მამაჩემი მიხაკოსთან და უთქვამს: არ დააკლო კატლეტები შენი ჭირიმეო და ჩვენი მდგომარეობა შემსუბუქდა ციხეში მამაჩემის წყალობით. სამი თვეა ასე ვართ და ერთ მშვენიერ დღეს გამოგვიცხადეს, რომ თქვენ გადაგიყვანენ თბილისშიო. წაგვიყვანეს სადგურში ფეხით, ჩაგვსვეს ტუსაღების ვაგონში და წამოგვიყვანეს თბილისში. თბილისში ჩვენი ვაგონი მოხსნეს და მოშორებით გააჩერეს, უცდიან რომ შესაღამოვდება, მაშინ შეგვიყვანონ ქალაქში, რომ არ დაგვინახონ, მიგვიყვანეს „ჩეკას“ შენობაში

კაცი დგას პენსნეთი. ჩვენ ერთი შვიდი, რვა კაცი შემოგვერტყა, სულ სომხებია, შეიძლება ერთი ორი რუსი ერია მათში, თურმე ჩეკას კოლეგიაა. დაგვიწყეს გაჩხრეკა. ერთი სომეხი შეუჩნდა პარმენ ჭიჭინაძეს. პარმენი მაღალი კაცია, ეს სომეხი დაბალი, სქელი, დიდი თავით, ტანს რომ

არ შეეფერება, საზარელი, გლახა, უშნო კაცი. პარმენს მაღალი ქუდი ახურავს, ცილინდრი, შეახტება მას ეს სომეხი, ვითომ უნდა ჩამოუღოს და დახტება, ე. ი. მაიმუნობს. ამ დროს პენსნეიანი კაცი მივიდა ამ. სომეხთან, მოკიდა ქეჩოში ხელი — „სუკინ სინო“ და გააგდო გარეთ. ჩაგვიყვანეს სარდაფში. მე მომათავსეს სასიკვდილო საკანში მარტოკა. მესამე დღეს ჩემთან გადმოიყვანეს გრიშა ლორთქიფანიძე. შემოიყვანეს კიდევ ერთი კაცი. გრიშას ვეკითხები: ის პენსნეიანი კაცი ვინ იყოთქო, ბერია ყოფილაო, თურმე ბერია არის კოლეგიის წევრი, უბრალო გამომძიებელი, ქურდებისა და მკვლელებისათვის. ჩეკას ნამდვილი პატრონი კი არის პეტროსიანცი, ყოფილი დაშნაკი, კამოს ძმა, კოტე ციცაძის ცოლის ძმა, კამოს სიძე იყო ცინცაძე.

ლენინს რომ ფული გაუგზავნეს, ორჯონიკიძემ რომ წაუღო, სტალინს კი არ გაუძარცვავს, კოტე ციცაძემ გაძარცვა. სტალინი კი არ დაეტაკა ფოსტას — ეს დაეტაკა და ახლა სასახელო კაცია.

ვ. ს.: ბერიამ რომ ის კაცი გააგდო, გულწრფელი იყო თუ გაითამაშა?

შ. მ.: როგორც ქართველმა კაცმა, შეურაცხყოფად ჩათვალა იმ კაცის მოქმედება, თანაც მარტო ბერია იყო ქართველი და შეეცოდა, როგორც ქართველ კაცს. მე ვხედავ ამაში ღირსებას, თუ გნებავთ ბერიასი, მერე რას აკეთებდა — ეს სხვა ამბავია, ყოველ შემთხვევაში, იმ წუთში ის იყო კეთილშობილ როლში.

მოკლედ, შემოიყვანეს გრიშა მესამე დღეს ჩემთან და კიდევ ერთი კაცი. ბნელი საკანია. ეს კაცი ტირის და მეუბნება: ეს სარტყელი მოქაჩეო და სარტყელს მაძლევს ხელში. თურმე ეს სარტყელი კისერზე აქვს შემოხვეული. მაშინათვე გრიშამ, როგორც გამოცდილმა კაცმა, შეჰყვირა: პროვოკატორი არისო და ხელი გაუშვიო. ე. ი. უნდათ მიზეზი მონახონ, რომ მე ვახრჩობ კაცს, თორემ ისე რა დავაშავე და მიზეზი უნდათ. არ დამანება და გალახა ეს კაცი ამ სიბნელეში, გრიშამ, რომელიც ხელს არ მოკიდებდა არავის. გალახა ეს პროვოკატორი, თორემ მე ვიღუპებოდი, მოვქაჩავდი სარტყელს, ის დაიწყებდა ყვირილს, „მკლავენო“ და მოთავებული იყო საქმე. რამდენიმე წუთში გაიყვანეს ეს პროვოკატორი.

გაიარა პატარა ხანმა და ჩამოვიდა ძირს დასაკითხად პეტროსიანცი. ზის, სკამი რომ არის, რომ ქანაობს ჭილოფის სკამი, დამკითხა, სულ დედას მაგინებს, წითელარმიელი თავზე გვადგია. სრული სიმართლე უნდა ითქვას, არაფრის გაზვიადება არაა საჭირო. მე ფეხზე ვდგევარ, ის ზის საქანელა სკამზე, ხელში რევოლვერი უჭირავს და ჭართულად მაგინებს დედას ეს კამოს ძმაა„ მერე გავიგე, რომ კამოს ძმაა, კოლეგიის წევრი პოლიტიკურებისათვის. მე არაფერს ვპასუხობ. მერე მეუბნება. „ნასტალა ვრემია პაკონჩიტ სტაბოი. ა პომნიშ შულავერი, არმიანსკოე დელო, კაგდა ტი პრიგნალ ტეხ. ტატარჩუკოვ შტობი ნას რეზაცო“. ყოველდღე ჩამოდიოდა პეტროსიანცი, დაჯდებოდა ამ საქანელა სკამზე და

მაგინებდა დედას. გრიშა წაიყვანეს, მეტეხში გადაუყვანიათ, მე დამტოვეს ამ საკანში. ვიყავი ასე ექვსი თვე, თითქმის დაბრმავებული ვარ, ვერაფერს ვეღარ ვხედავ და სიკვდილი მინდა, აღარაფერი არ მაინტერესებს. ბოლოს წამომიყენა ბრალდება: „ზა აგიტაციუ პროტივ სოვეტსკოი ვლასტი პრიგავარივაეტსა კ ტრიომ მესიაცამ ტიურმი“. გავიდა ეს სამი თვეც. ასეთივე ბრალდება წაუყენებიათ გრიშასთვისაც და პარმენისთვისაც. ამას ქვიოდა „პეტროსიანცის კანონი“. რადგანაც არც ბოლშევიკური კანონი მოქმედებდა, არც მენშევიკური კანონი მოქმედებდა, პეტროსიანცს შეუქმნია თავისი კანონი, უფლება რომ ჰქონდეს, დახვრიტოს კაცი, სასჯელი გამოუგონია სამთვიანი და როცა უნდა, მაშინ დახვრიტავს. გავიდა სამი თვე, მგონია გამიშვებენ და ახალი კანონი გამოუგონია „ზა კონტრრევოლუციონნუიუ დეიატელნოსტ“ — ექვსი თვე, მაგრამ ცხრა თვე მე აღარ ვიყავი აქ, ექვსი თვე ვიყავი და გადამიყვანეს მეტეხში. მეტეხში დამხვდა გოგიტა ფაღავა. ჩვეულებრივ საკანში მოვხვდი, პოლიტიკურების საკანში. პოლიტიკურებმა მაშინათვე მამასახლისად დამასახელეს, რადგანაც ადმინისტრაცია ძველი იყო, მე ყველა მიცნობდა, იმიტომ, რომ მე მეკუთვნოდა, ჩემთან შემოდიოდა რესპუბლიკის ციხეები და პატივს მცემდნენ. ციხეების ინსპექტორად მყავდა ყიფიანი. ციხის უფროსია აბრამიშვილი. აქ ვნახე გრიშა ურატაძე, აქ ზის ისიდორე რამიშვილი, ფოთში რომ შევხვდი. გრიშაც აქ არის, პარმენიც.

ახლა რომ გორგასლის ძეგლია, იქ იდგა ორსართულიანი სახლი ხის. ამ ხის სახლში არიან პოლიტიკურები.

ერთ საკანში ვართ ზაქარია გურული, გოგიტა ფაღავა, კოწია კანდელაკი, კიდევ რამოდენიმე კაცი, გვარდიელები. იქვე, გვერდით ოთახში არიან მინისტრები: პარმენ ჭიჭინაძე, ლომთათიძე... და ამ საკანს ეძახიან მინისტრების საკანს. მე რომ მივედი, წინადადება მომცეს, როგორც თანამდებობის პირს, იმ საკანში მოთავსების. ოთხი, ხუთი კაცია იმ საკანში. ჩვენი 40 კაციანია. მე უარი ვუთხარი იქ შესვლაზე, გოგიტა ფაღავა აქ არის, გოგიტა მე ძალიან მიყვარდა. ისიდორე რამიშვილსაც ჰკუა უხმარია და ისიც აქ არის.

ვ. რ.: რატომ უთხარით უარი იქ შესვლაზე?

შ. მ., იმიტომ, რომ არავის დაეცინა, აი, მინისტრების ოთახშიაო და თანაც ამათთან მირჩევნია.

ჩვენს გადაღმა, მეტეხის ციხის შესასვლელის მეორე მხარეს, სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან. სამზარეულო, წყალი და ყველაფერი ქურდების და ყაჩაღების ხელშია. ჩვენ ბაკები გვაქვს, მორიგეობით უნდა წახვიდე და მოიტანო წყალი ჩაისთვის ყოველ დილას ქურდებისაგან. მინისტრები რომაა, ისინი გაუთავისუფლებიათ წყლის მოტანისაგან. უნდა მოგახსენოთ: არც გრიშა ლორთქიფანიძე წავიდა იმ საკანში.

ფერშალი იყო პოლონელი, ჩვენს ქვემოთ ამბულატორიაა და იქ

ზის პირველ სართულზე. ჩვენი წერილები ამ პოლონელს მიჰონდა და მოჰონდა. ერთადერთი კაცი, რომელიც გარე სამყაროსთან გვაკავშირებს და გვგონია, რომ სანდო კაცია, მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ის არ იყო ერთგული. სხვათა შორის, იმან წაიღო ტექსტი, იმან ჩაიტანა ბათუმში, შემდეგ უცხოეთში, გენუის კონფერენციაზე რომ მივიდა ეს ქაღალდი.

ახალ ხალხს რომ მოიყვანენ, მე უნდა გავანაწილო, როგორც მამასახლისმა, ვინ არის პოლიტიკური და ვინ სისხლის სამართლის დამნაშავე. ვინც პოლიტიკურია, მე წამოვიყვან და ციხეც დამეთანხმება ამაზე, ციხის უფროსი ესწრება ამას, ასე რომ, მე თანამდებობის კაცივითა ვარ.

მოვიდა ცნობა, რომ სადაც პოლონელია, იქ ვიღაც კაცი წევს სარდაფში მიწაზე. მივმართე პოლონელს, მაგრამ არ მიპასუხა და მესამე დღეს ამოიყვანეს მაზნიაშვილი. ე. ი. მაზნიაშვილი ყოლიათ იმ სარდაფში განსაკუთრებულ პირობებში, ჩვენ რომ არ ვიცოდით, ისე მოუყვანიათ და საწყალი, დაჭრილი, განადგურებული კაცი თავის მკლავზე წევს, ცარიელი ძვალი და ტყავია, ლაპარაკიც არ შეუძლია.

ვ. რ.: ბატონო შალვა, ორი სიტყვით აღწერეთ მაზნიაშვილის პიროვნება.

შ. მ.: გავრცელებული იყო ხმები და თვითონ არ ეთანხმებოდა ამას, რომ ის იყო გვარად მაზნიოვ, წარმოშობით რუსი.... პატარა ტანის, შავგვრემანი, ნამდვილი ქართველი კაცი თავისი ლაპარაკით, თუმცა რუსულს ურევდა, რადგანაც კადეტთა კორპუსში სწავლობდა. სამხედრო აკადემია არ დაუმთავრებია, მაგრამ როგორც ვაჟკაცი, როგორც ნამდვილი ჯარისკაცი — კლასიკური ჯარისკაცი იყო იმ გაგებით, ფიცის შემსრულებელი და ნამდვილად ემსახურებოდა იმ რეჟიმს, რაც იმ დროში ღირსებად ითვლებოდა და ახლა არ ვიცი, ახლა ყველაფერი გადახურდავებული და შეცვლილია.

მე არ ვიცოდი, ვინ იყო ქვემოთ, მაგრამ მაინც მოვითხოვე, ვუთხარი ციხის უფროსს, ამოიყვანე, ვიღაცა რომ არის და კვნესისთქო. კვნესა კი არ ისმოდა, ფერშლისგან ვიცოდი და ამოიყვანეს მაზნიაშვილი. თურმე თვეობით აქ გდია, კაცი ცოცხლად დაუსაფლავებიათ. მე პოლიტიკურებს ვეძებ აქ მოსაყვანად და თურმე აქ ლპება კაცი, მაზნიაშვილი, ამხელა დამსახურება რომ აქვს სამშობლოს წინაშე. მისი ასეთი ყოფაც პეტროსიანცის დამსახურებაა.

მაზნიაშვილი რომ მოსულიერდა, ჩვენთან, საერთო საკანში, წავიყვანე ტუსაღების შესარჩევად ჩემთან ერთად, რადგან მეხედრებს ის უფრო კარგად იცნობდა, ვინ არიან და რა არიან. მოიყვანეს გვარად სტროევი, მფრინავი, გვარით რუსი, თორემ ისე კახელი იყო, გაქართველებული, მაიორი, დედა კახელი ყავს და მოიყვანეს ტრანსპორტის ჩეკადან. მე მას არ ვიცნობ და ტუსაღებს ვეკითხები, რომელი პარტიის ხართ, ვინ

ხართ-მეთქი, რომ გავანაწილოთ. მაზნიაშვილმა მაშინათვე იცნო სტროევი და გადავიყვანეთ ჩვენს საკანში, მაგრამ დაჭრილი ყოფილა და ციხის ლაზარეთში გადაიყვანეს.

ერთ მშვენიერ დღეს მოყავთ, თქვენ გახსოვთ ალბათ, მოქანდაკე კოლია კანდელაკი. მაზნიაშვილს ჯარისკაცად ყოლია კანდელაკი გაგრის ფრონტზე და კარგად იცნობს. რაზე დაგიჭირესო — შეეკითხა მაზნიაშვილი და — უბრალო საქმეზე, სიდედრი მოვკალიო.

— ვახ! უბრალო საქმეა სიდედრის მოკვლაო? რას ამბობ ბიჭოო.

თურმე რუსი ჰყავს ცოლი, ერთად ცხოვრობენ კოლია, ცოლი და სიდედრი. ცოტა უცნაური ქალი ყოფილა, სიდედრი ახრჩობდა და თექვსმეტი ჭრილობა მიუყენებია ხანჯლით.

მისი ნიჭი ციხეში აღმოაჩინა კნიაზმა ვალკონსკიმ. ციხიდან როცა წავიდა, მოსკოვის სკოლა დაამთავრა და გახდა ცნობილი მოქანდაკე.

ჩვენ უნდა გადაგვიყვანონ საგუბერნიო ციხეში, ახლაც რომ არის ორთაჭალაში, იქ. უფრო დიდი ციხეა, ექიმებიც ყავთ და მე ვითხოვე იქ გადაყვანა, თანაც მე ხომ სიკვდილით დასჯა შემიცვალეს სამუდამო პატიმრობით და გაქცევაც გვინდა. ჩვენი გადაყვანის წინ კონფლიქტი მოგვდის შოთა რუსთაველის პარტიის ლიდერთან.

სრულიად მოულოდნელად, თბილისში, ვინმე ევგენი დვალმა რაჭველებისგან, მეთონეები რომ იყვნენ, იმათგან, შეადგინა ჯგუფი და დააარსა შოთა რუსთაველის პარტია. ხუმრობითაც კი ამბობდნენ — „ევგენი დვალი, ქვეყნის თვალი“.

მოუყვანიათ ევგენი დვალი და სისხლის სამართლის დამნაშაეებთან შეუყვანიათ. ჩემთვის მოუმართავს თურმე, მაგრამ მე არ გამიგია და გამწყრალა. რატომ ჩაუსვამთ ციხეში; თურმე გამოურთმევია საბჭოთა მთავრობისათვის თესლი რაჭა-ლეჩხუმისათვის. ეს თესლი ვის მისცა, კაცმა არ იცის, ალბათ შეჰამეს, შიმშილობა იყო და ანგარიში რომ მოსთხოვეს, ამისთვის დაუჭერიათ და ქურდებთან მოუთავსებიათ. ქურდებს უხარიათ, ასეთი კაცი, რუსთაველის პარტიის ლიდერი რომ მათთანაა. შემომითვალა, რომეო, თავი აიგდეო შენო, მაღლაკელიძეო, მეო, რუსთაველის პარტიის კაცი, ქურდებში უნდა ვიყოო, მაგრამ ზოგიერთ თქვენგანსო ქურდები გჯობიანო. მალე გაუშვეს ციხიდან. მერე მასზე აღარ ვიცი ჭრაფერი.

ციხის უფროსს ვთხოვე გადაგვიყვანოს ორთაჭალის ციხეში. იქ ლაზარეთია, მეტეხის ციხის ლაზარეთიც იქ არის. პირველი გადაიყვანეს სტროევი. ახლა მაზნიევი უნდა გადავიყვანო. მერე მე გადავალ, მაგრამ მე ავად არა ვარ, არადა, ავადმყოფობის მიზეზით უნდა გადავიდეთ. მეტეხის ციხეში ერთი ბრიყვი ექიმი იყო, გამოთაყვანებული, სამტრედიელი შენგელია, არაფერი არ იცის და ამიტომ ადვილად დაგვიწერს ავად-

მყოფობას, რომ ეტყვი, „გული მტკივაო“, დაწერს — გულით ავადმყოფი არისო, „ჰაჰები მტკივაო“ და ჰაჰებით ავადმყოფი არისო.

ორთაჭალის ციხეში ქირურგიული დარბაზია და იქ უნდა გადავიდეთ. ამ ქირურგიულ დარბაზზე, პატარა ამბავს გეტყვით, ლექსიც კი დაწერა გიორგი ხიმშიაშვილმა, კავალერიის ოფიცერი იყო, თავადიშვილი, დუშეთის მაზრიდან. ეს სხვა ხიმშიაშვილია, ხოლო მაჰმადიანი ხიმშიაშვილი აჭარიდან — სხვა. ამას ცოლად ყავდა სერვერბეგ ათაბეგის და. სამწუხაროდ, ომი რომ დამთავრდა, ბორჩალოს მაზრაში გადასულა თავის ქვისლთან, იქიდან ოსმალეთში წასულა, ალბათ სერვერბეგ ათაბეგის ბედის გაგება უნდოდა, მაგრამ მალე დაბრუნდა და დაუპატიმრებიათ. ჩათვალეს როგორც არასაიმედო კაცი, ოსმალებისადმი სიმპატიით განწყობილი, თუ რაღაც ასეთი და ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელებთან ერთად დახვრიტეს. ხიმშიაშვილმა დაწერა ლექსი: „პეტროსიანცი ჩეკაში, მუდამ დღე არის ძებნაში, ნეტავ სად არის ლამაზი ქირურგიული დარბაზი, მომგვარეთ ჩემი მერანი, უნდა დავსინჯო ყველანი, გენერალ-გუბერნატორი მაღლაკელიძე სად არი“.

ესე იგი, მე განწირულად ვიყავი ჩათვლილი. პეტროსიანცის მსხვერპლი ვარ, როგორც სომხების უდიდესი მტერი. მე სულ არ ვყოფილვარ მტერი მაგათი, ისინი იყვნენ ჩვენი მტრები. მე რა მტერი ვიყავი, ბავშვებს ვუნათლავდი, ღმერთი აღარ არის ქვეყანაზე კაცო?! მაგრამ ასე იყო მიღებული. ე ი.. ქირურგიული დარბაზი იყო ადგილი, სადაც თანდათანობით უნდა მოგვეყარა თავი იმ მოტივით, რომ ექიმი შენგელია მოგვცემდა ცნობას, ვითომ გეტკივა რაღაც. ის დაგვიწერდა ამას და დაგვიწერდა იმ შეგნებით, რომ მართლა მტკივა, თორემ ისე ვერ გაბედავდა, ლაჩარი იყო.

გოგიტა ფაღავას მოსაზრება იყო, რომ ჩვენ გადავალთ სხვა ციხეში და უნდა გავიქცეთ, მაგრამ პირველ რიგში მე უნდა გამაქციონ, როგორც უეჭველად განწირული. ჯერ უნდა გავიგოთ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი მართლა თუ არსებობს. ჯერ მარტო ხმაა მოსული. აჯანყება ხომ 24-ში მოხდა და ჯერ 21 წელია.

გოგიტამ მითხრა: „მე გავალ მენშევიკური პარტიიდან, შენ რომ გადაგარჩინო. საბჭოები გამათავისუფლებენო“. ე. ი. დამფუძნებელი კრების მდივანი გადის პარტიიდან და ურიგდება საბჭოთა ხელისუფლებას, გამოდის, რომ მოღალატეა, მაგრამ სხვანაირად შენი გადარჩენა არ იქნებაო.

ყველასათვის მოულოდნელად, ერთ მშვენიერ დღეს, შეუტანია ცინცაძის სახელზე განცხადება, არავინ რომ არ იცის, მე კი ვიცი, რომ აღარ ცნობს მენშევიკურ პარტიას, სტოვებს ამ პარტიის რიგებს, ურიგდება საბჭოებს და მიაჩნია, რომ მისი მოღვაწეობა ამიერიდან უნდა ემსახურებოდეს არსებულ ხელისუფლებას. ე. ი. ერთ-ერთი თვალსაჩინო მენ-

შევიკი, სამინისტრო კაცი, ევგენი გეგეჭკორის დისშვილი, პატიოსანი პიროვნება, ყოვლად საყვარელი და სიმაპთიური ადამიანი, თავადიშვილი ფალავა ტოვებს მენშევიკურ პარტიას და გადადის მათ მხარეზე. მას ახლა სხვებიც აყვებიან და ამას აკეთებს პირადად ჩემი ხსნისთვის.

გავიდა, ბატონო, ფალავა პარტიიდან, აყაყანდა ბევრი: უსინდისო არის, გაოხრებულია, ეს რა გააკეთაო.

ორთაჭალის საგუბერნიო ციხე ნომერ ორში (მეტეხის იყო საგუბერნიო ციხე ნომერ პირველი) თანდათანობით გადაეედით მაზნიევი, მე, სტროევი, სპირიდონ კედია, ვანიჩკა ლორთქიფანიძე, ზაქარია გურული. გოგიტა გარეთაა. ჩემი ცოლი ჩამოსულა სოფლიდან, გოგიტას ჩაუპია არალეგალურ საქმიანობაში და „პერედაჩებიც“ მომდის უკვე, მეტეხში რომ არ მომსვლია არასოდეს.

მოლაპარაკება გვქონდა, რომ წერილები უნდა ჩაედოთ თხილში. პაპიროსის ქაღალდზე დაწერილი, ბერძნულ თხილში — დიდი თხილია.

რაც შეეხება იარაღს, შემწვარი წიწილის ქვეშ უნდა დაედოთ თეფშზე ბრტყელი ბოთლი კონიაკით, ზედამხედველები ჩანგალს არჭობდნენ წიწილს და ასე ამოწმებდნენ, ორი-სამი შემოგზავნის შემდეგ ბოთლის მაგივრად რევოლვერი უნდა შემოეგზავნათ.

ციხის უფროსია ვინმე ალექსანდრე. შემომიჩნდა ეს ალექსანდრე, ყოფილი ოფიცერი ვარო, ამბობს და არ მინდა ციხის უფროსობა — უნდა გავიქცეო. ცდილობს კარგი პირობები შეგვიქმნას. ცოლთან პირადი კონტაქტები მაქვს ამ ალექსანდრეს დახმარებით და თურმე პროვოკატორია.

მე მომდის წერილები. შემოვიდა რევოლვერებიც, 4 ცალი. ამ წერილების გზით გავიგეთ, რომ ჩვენს ქვეშ არის აბანოები, იქ არის დანელია, სისხლის სამართლის დამნაშავე, სანიტარი, ამ აბანოებს პატრონობს. აბანოს ფანჯარა აქვს და ეზოში გადის, სადაც დადის ზედამხედველი, ოსი, რომელთანაც კავშირი გვაქვს დამყარებული. კედლის გადაღმა უკვე წითელარმიელია. იმ მხრიდან უნდა მოვიდეს ჩოლოყაშვილი რაზმით, ცხენები ეყოლება ჩვენთვის და მანგლისის გზით ბორჯომში გადავალთ, ყველაფერი ეს შემუშავებულია. ციხის უფროსმა იცის ჩვენი გაქცევის შესახებ და რომ წავალთ, ის ტელეფონის ხაზს გადაჭრის. გაქცევის დღეს დიდძალი შეიარაღებული ძალა შემოერტყა ციხეს, შემოვიდნენ შიგნით და ჩაიშალა ჩვენი გაქცევა. თურმე ალექსანდრეს, ციხის უფროსს, შეუტყობინებია, პროვოკატორი ყოფილა. ქაქუცა რაზმით კი მოსულა, გოგიტაც მათთან ერთად ყოფილა.

შემოვიდა ჩეკა. შულმანი იყო ჩეკისტი, ებრაელი, მე დამეძებს — „გდე მაღლაკელიძეო“ და რომ მნახა, გულზე მოეშვა. ჯალათი იყო ნამდვილი, სულ რევოლვერი აქვს ხელში. ანდრონიკაშვილმა დაარტყა

ლურსმანი და მოკლა, დასახვრეტად რომ გაყავდათ 22 წელს. მე მაშინ უკვე მოსკოვში ვიყავი და ეს ამბავი გადმოცემით ვიცი, ე. ი. შულმანი შედის სუსლიკა ანდრონიკაშვილთან, რომ წაიყვანოს დასახვრეტად, სუსლიკა ქაქუცას რაზმელია, მიხვდა, დასახვრეტად რომ უნდა წაეყვანათ, მოგლიჯა ნარის ფიცარი და დაარტყა თავში ეს ლურსმნიანი ფიცარი შულმანს. ანდრონიკაშვილი დახვრიტეს.

ჩვენ დაგვაბრუნეს მეტეხის ციხეში. გავიდა ერთი თუ ორი კვირა და მოიყვანეს დაჭრილები, ქაქუცას რაზმელები, კახეთში დაუჭრიათ შალვა ჯამასპიშვილი, ვაჩნაძეები ორი — შაქრო და დათა.

ცინცაძე გადააყენეს და დანიშნეს კოლია ოკუჯავა. ცინცაძემ არ მოაწერა ხელი პეტროსიანცის მოთხოვნას ჩემი დახვრეტის შესახებ. ერთ დღეს გამომიყვანეს ციხიდან და მიმიყვანეს ჩეკას შენობასთან. აქ არიან ჩეკას ყოფილი უფროსი ცინცაძე და ახლანდელი — კოლია ოკუჯავა. კოტე ცინცაძე ეუბნება ჩემი თანდასწრებით „კოლიაო“, ამას მოუარეო“ — (ჩემზე ეუბნება). „შენი თქმა რად მინდა, ეგ ჩემი გიმნაზიელიაო“, თან გოგიტაც აქ არისო (ერთად დაამთავრეს გიმნაზია, მე ერთი წლით გვიან დავამთავრე). ამიტომ შეთანხმდნენ და მითხრეს, რომ იტალიის კონსული არისო აქო, ვერაზეო და შეიძლება იტალიაში წახვიდეო. ვიზა რომ იშოვნო, ჩვენ ამაში დაგეხმარებითო. გამომიშვეს გარეთ თავდებში. ამასობაში იტალიის საკონსულო დაიხურა. დაიხურა საკონსულო და დამაბრუნეს უკან. გადაწყდა, რომ რუსეთში უნდა წავიდე. ლენინის „უკაზია“: ვინც შეიტანს 10 მანეთს ოქროთი და ვიზა აქვს, შეუძლია წავიდეს უცხოეთში. ამიტომ მე ოფიციალურად გადამასახლეს „ვ რასპარიაჟენიი ჩეკა რსფსრ“, ენუქიძე უშველისო. მართლაც, ენუქიძე მომეხმარა. ჩემი გაცილება დააკისრეს ლევან ღოღობერიძეს. მისი ცოლი ნუცა, ხუციშვილის ქალი, ჩემთან სწავლობდა მოსკოვში. ლევანიც ჩემი ამხანაგი იყო ჭუთაისიდან. ასე რომ, ოფიციალურად კი არ გადამცეს, როგორც ტუსაღი, არამედ გამომიყვანეს მეტეხიდან და ისე გამიშვეს, მაცილებს ლევანი.

მაგრამ სანამ თხრობას გავაგრძელებდე, მინდა ისევ ძველ ამბებს შევეხო.

ვერიშა ლორთქიფანიძე, როგორც მოგახსენეთ, მთავრობის თავმჯდომარის [illegible] აქ რომ დატოვეს, ძალიან განათლებული კაცი იყო. მე მგონია, მენშევიკებს მასზე განათლებული კაცი არც ყოლიათ, მაგრამ იყო ძალიან უბრალო და თავდაჭერილი, თავმდაბალი, ღირსეული, უკრაინაში მასწავლებლობდა. თბილისში გვიან ჩამოვიდა, მალე დანიშნეს განათლების მინისტრად, მერე ჟორდანიას მოადგილედ. ჰოდა, ახლა ის დროა, რომ საქართველოს თავისი ღერბი უნდა ჰქონდეს და შედგა კომისია. კომისიის კრებას მეც ვესწრებოდი. იქ იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი, იოსებ იმედაშვილი, გრიგოლ დიასამიძე, შალვა მესხიშვილი, ირაკლი წერეთელი, ნოე ჟორდანია, სამსონ ფირცხალავა —

დაახლოებით ოცამდე კაცი, ერთი გერმანელი მოქანდაკე იყო კიდევ მოწვეული.

ირაკლი (კაკი) წერეთელმა შემოიტანა წინადადება, რომ მიჯაჭვული ამირანი იყოსო ღერბად. ვიღაცამ, არ მახსოვს ახლა, მტრედის იდეა შემოიტანა — სული წმიდის განხორციელებაო. ჟორდანია კაკის წინადადებას უჭერს მხარს. ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა წინადადება, „თეთრი გიორგის“ თაობაზე და ბოლოს დარჩა „თეთრი გიორგი“.

დროშაზეც იყო ლაპარაკი და გადაწყვიტეს, რომ სამფეროვანი უნდა იყოსო. სისხლის ფერიო, ე. ი. ბრძოლისო. თეთრიო — მშვიდობისა და შავიო. სისხლისფერი წითელი კი არ არის, უფრო შინდის ფერიაო, ბევრი ბრძოლები მოგველის დამოუკიდებლობისათვის და მეტი წილი დროშის შინდისფერი უნდა იყოსო და ალბათ ერთადერთი დროშაა, რომელიც სისხლის ფერს უველაზე ზუსტად გამოხატავს.

მეტეხის ციხეში გრიშა ლორთქიფანიძემ წამოაყენა იდეა „თეთრი გიორგის“ დაარსების შესახებ და იქ იყვნენ იმ დროს დაჭერილი სტუდენტები, სტალინი რომ ჩამოვიდა 22-ში. ერთ-ერთი იყო სალია. ამ სალიამაც მოისმინა გრიშას იდეა, კიდევ ნაკაშიძე იყო, გიორგი, ახლა არგენტინაში არის, ამანაც მოისმინა, როცა ვიზა მიიღეს, რომ გადაასახლეს ეს ბიჭები და მოხვდნენ საზღვარგარეთ, ეს იდეა განახორციელეს, დაარსეს ქართველ პატრიოტთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, მაგრამ ვინაიდან ახალგაზრდები იყვნენ, თავმჯდომარედ აირჩიეს ლეო კერესელიძე, დუშეთში რომ იყო და გაიქცა მერე საზღვარგარეთ. რაც შეეხება სტალინს, პირველად 22-ში ჩამოვიდა აქ და მივიდა დეპოში, მიტინგი გამართა და უველამ დაუწყო ამ დროს ძახილი: შე ლურსმნის ქურდოო!!! ლურსმნის ქურდოო!!! მე მეტეხის ციხეში ვარ. ჩემთან არის სიმონ გოგლიძე, სტალინის ამხანაგი და იმან განმარტა, რომ ლურსმანს იპარავდნენ პარტიის სასარგებლოდ, სტალინთან მიჰქონდათ და ყიდდნენო. ე. ი. სტალინს საქართველოში შეხვდნენ ძახილით: ლურსმნის ქურდიო, კეკეს ბუშიო, ლილოელი გლეხიო. ასეთ მდგომარეობაში იყო და სძულდა საქართველო.

ციხეში შევეკითხეთ ძველ ხალხს, მენშევიკებს, ვინ არის სტალინი-თქო? ჩვენ მარტო ის ვიცოდით, რომ რუსეთში არის „კომისარ პო დელამ ნაციონალნოსტეი“ სტალინი და სულ ეს არის.

ისიდორე რამიშვილმა და სილიბისტრო ჯიბლაძემ თქვეს: როდესაც სემინარიაში სწავლობდა და მეხუთე კლასში გადავიდაო, დაიჭირესო ხუთი სემინარიელი, რომლებიც პირველი მოწაფეები იყვნენ. ჩვენ არალეგალურად ვართ და მოგვივიდა ცნობა, რომ სტალინი ჩაჩუტიაო („ჩაჩუტი“ ნიშნავს ჯაშუშს, შპიონს, გურულად ეძახიან ჩაჩუტს). ვასოა ცაბაძე მეჯვრისხევიდან კიდევ, ჩვენთან ზის, სემინარიაში სწავლობდა სტალინთან, მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის წევრია და იმ და-

ჭერილებიდან ერთ-ერთი ეს ვასო ცაბაძეა. არადა, არც ერთი არაფერ შუაშია, არც უფიქრიათ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმა და დაჭერილები კი არიან. არალეგალური სოციალისტური პარტიის წევრები არიანო. ჩვენ შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ, რომ სტალინი გავასამართლოთ ჩაჩუტობისათვის! გვგონია, არ მოვა და ჩვენც არ გაგვცემსთქო, ასე ვფიქრობთ, ის ხუთი სემინარიელი ხომ დაჭერილები არიან და როგორც კი დაიჭირეს, სემინარიიდან გააგდეს, წესი იყო ასეთი. ვზივართ და მოვიდაო. რა მოხდა, რა ამბავიაო — იკითხა. ბიჭო, კობა, არა გრცხვენია, რა გააკეთე ეს, ჩაჩუტობა დაიწყეო! სილიბისტრო გურულია და სიტყვა შპიონს არ ხმარობს. დიახაც დავიწყეო! სარდაფში ვართ, იქ ხდება ეს ამბავი და შევშინდით — ალბათ ზემოთ ჟანდარმებია და ახლა ისინიც ჩამოვლენ და დავიღუპეთ და ეს არის. მან კი თქვა: ერთი წინადადება მაქვსო. ესენი უნდა გახდნენ პროპაგანდისტებიო, მე იმიტომ გავეცი ისინი, რომ სემინარიაში აღარ დატოვებენ მაგათ, სად ჩემ ფეხებში წავლენ და რევოლუციონერებს გავხდითო და აგერ ზის ჩვენთან ერთ-ერთი მათგანი — ვასო ცაბაძე. გავშრით ჩვენ, ამის ნდობა როგორ იქნება, პროპაგანდისტები რომ იშოვოს, ამხანაგები დაჭერინაო, ე. ი. არაფერს არ ერიდებაო. ასე დაახასიათეს სტალინი.

შიხა ცხაკაიაზე გეტყვით: 1918 წელში დაჭერილი მყავდა მიხა ცხაკაია მეტეხის ციხეში. ყოველდღე მოდიოდნენ მუშები და ყვიროდნენ: გაუშვითო მიხაო! გავეცი ბრძანება, გადმოვიყვანე საავადმყოფოში და დავუყენე მილიციონერი. შალვა კიკნაძეა, პროფესორი, გამგე საავადმყოფოსი და ვინ მომიყვანეო, მოვლენ, მოადგებიან საავადმყოფოს და თავისუფლება მიხა ცხაკაიასო! ავადმყოფები ვერ ისვენებენო, არ ძინავთო.

გავაგზავნე ოფიცერი — მომიყვანე ცხაკაიათქო. მინდა ქუთაისის ციხეში გავაგზავნო, მაგრამ ვერ მოიყვანეს: რომ მისულან, აუტეხია ყვირილი — მკლავენ, მიშველეთო, უნდა დამხვრიტონ და წამოსულა უკან ჩემი ოფიცერი. დავუძახე შიოს. ვუთხარი: ერთი ბებერი კაცი ვერ მოუყვანიათ ამათ, შენ გამოცდილი კაცი ხარ და მომიყვანეთქო. წავიდა, წაიყვანა ათი კაცი — მიხას ყვირილზე რომ ხალხი იკრიბება, „ინტერნაციონალური ბრბო“, ისინი რომ გაფანტონ და სულ წვიოლ-კვიოლით მოიყვანეს. შემოიყვანეს შიგნით და კიდევ ყვირის „მკლავენო“, აქაც შეიყარა ხალხი, ძლივსძლივობით შემოაღწიეს. მე სახეზე არ მიცნობს. ან მეგრულად ლაპარაკობს, ან ცუდი რუსულით, „ია ვიბროშუს იზ აკნაო“. ვინ მიუშვებს ფანჯარასთან. ეს რომ ფანჯრიდან გადახტეს, მთელ თბილისს მოსდებენ — გადმოაგდესო! არ რცხვენია არაფრის, გიჟს გავს და საერთოდაც გიჟი იყო, არანორმალური, ნოე ჟორდანიასთან დამაკავშირეთო. მივეცი ტელეფონზე დარეკვის ნება. დაურეკა ჟორდანიას. „უბივაიუტ“. ჟორდანია რაღაცას ელაპარაკება იქიდან“, „ია ვ ჟანდარმერიი

უ ქანდარმოვო“. დაწუნარდითქო, დამშვიდდითთქო — მე ვეუბნები რუსულად, ქართულად არ ლაპარაკობს და მე მეგრული არ ვიცი. გავედი სხვა ოთახში, დავურეკე ჟორდანიას: ბატონო ნოე, რა ვუყო ამ ცხაკაიასთქო? გაუშვი, სოციალისტი ვარ იძახისო და შენთვისაც არ ვარგა, სულ ჩივიან, აგვაწიოკა მაღლაკელიძემო. როგორ გაუშვა, ფეხსაცმელი არ აცვიათქო, შიომ რომ მოიყვანა, ფეხშიშველი იყო, არაფერით ფეხსაცმელები არ ჩაუცვია, არადა ზამთარია. ჩააცვით რაღაც მაგ უსინდისოსო და გაუშვი მეც. რამდენიმე დღის მერე ხელახლა დავიპრე და ქუთაისის ციხეში გავგზავნე.

მე რომ რუსეთის ჩეკას გადამცეს და მოსკოვში წავედი, ჩვენს წარმომადგენლობაში ვიმყოფები. საქართველოს წარმომადგენელი გასაბჭოების შემდეგ არის მიხა ცხაკაია, მაგრამ არ იცის, აქ რომ ვარ. ქვედა სართულზე მე მძინავს, ენუქიძე მიცავს, მფარველობს. მამულია, საელჩოს ჩეკასთან რომ აკავშირებს, ჩემი ამხანაგია, წარსულში ფედერალისტი, მიხასთვის სანდო პირია, მაგრამ მამულია უმალავს ჩემს ამბავს. ჩვენი წარმომადგენლობის შესავალ კარებს აწერია: „სეგოდნია პრიომა ნეტ“ — მიხამ რომ არავინ მიიღოს, სულ აწერია ეს კარებზე, ამიტომ ცხაკაიას სხვა დიპლომატები ეძახიან „პოლპრედ სეგოდნია პრიომა ნეტ“ და იცინიან. ე. ი. რუსეთს უნდა დაანახვოს საზღვარგარეთს, რომ საქართველოში არაფერი არ შეცვლილა. მხოლოდ რეჟიმი შეიცვალა. ერთი პარტია შეცვალა მეორემ. ხუნდაძე შეცვალა ცხაკაიამ, თორემ საქართველო ისევ თავისუფალია და უთხრეს მიხას, არავინ მიიღოო. კოწია არის ქავთარაძე, მრჩეველი იყო გაბო ხუნდაძის და მრჩეველია მიხასიც. გიორგი ლორთქიფანიძე, ირაკლის შვილი, არის ფედერალისტი, მეორე მრჩეველი, იგივე დარჩა, მესხი არის, მენშევიკების მდივანი, იყო საელჩოსი, იგივე დარჩა, ასე რომ, ეს მიხა ცხაკაია იყო ფრქცია.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ამბროსი ხელაიას ტექსტი როგორ შედგა?

შ. მ.: სიტყვასიტყვით მე ვერ მოგახსენებთ, მაგრამ შინაარსზე გეტყვით. იდეა ეკუთვნოდა გრიშა ლორთქიფანიძეს, ყოველთვის გვქონდა კამათი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დავამტკიცოთ, რომ 1921 წელს საქართველოში არ მომხდარა ხალხის აჯანყება და რომ მოხდა მისი დაპყრობა, ოკუპაცია. მიმართვის მიზანი გახლდათ, კონფერენციაზე, სადაც მომხსენებელი იყო გიორგი გვაზავა, ერთალიგის ორგანიზაციაში, ფრანგულის საუკეთესო მცოდნე, საფრანგეთში გაზრდილ მეგრელ კაცს, გაერკვია საზოგადოებრივობა იმაში რომ საქართველო არის დაპყრობილი.

ტექსტში ამბროსი ხელაია მიმართავდა მსოფლიოს საზოგადოებას, რომ საქართველო არის ორმაგად დაპყრობილი რუსეთის მიერ — ერთხელ 1783 წლის ტრაქტატის დარღვევის ნიადაგზე და მეორედ ახლა. ეს ტექსტი მეტეხის ციხიდან გადავაგზავნეთ სიონში, იტალიელმა კაპიტან-

მა, ქართველი ცოლი რომ ყავდა, ჩაიტანა დანიშნულ ადგილზე. ამბროსი ხელაიამ ამ ტექსტზე მარტო ხელი მოაწერა.

გვაზავამ ტექსტი რომ წაიკითხა, ყველანი შეშფოთებულან, სად არის ეს კაციო და თბილისში არისო. სულ მალე დაიჭირეს კათალიკოსი.

დიახ, ტექსტი შეადგინა გრიშა ლორთქიფანიძემ. ჩვენ ვღებულობდით მონაწილეობას ტექსტის შედგენაში. ფრანგულად ტექსტი თარგმნა, თუ არ ვცდები, კოწია გვარჯალაძემ, ფრანგულის საუკეთესო მცოდნემ, პარიზში ნასწავლი კაცი იყო. კოლია ქარცივაძე ევროპაში სწავლობდა. მთელი რიგი ტუსაღებისა ფრანგულის კარგი მცოდნეები იყვნენ და ზუსტად ვერ გეტყვით, რომელმა თარგმნა ტექსტი ფრანგულად. ქართულად კი გრიშა ლორქიფანიძემ შეადგინა და მეც მაქვს მიღებული მონაწილეობა*.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა! თქვენ უკვე მოსკოვში ბრძანდებით, საელჩოში მიხვედით, შეგიფარათ კალანდაძემ, სასაცილო კაცმა, ფრიად გაუნათლებელმა, თავისი ბიძა რომ შემოაკვდა, „კრასნაია პროფესურაში“ რომ იყო მოვლინებული საქართველოდან და ექვსი კლასიც არ ჭონდა დამთავრებული და ა. შ.

შ. მ.: ნებაზე გადასვლასთან დაკავშირებით საელჩოებს თავისი თავი თვითონ უნდა შეეწახათ, სამეურნეო ანგარიშზე გადავიდნენ, ამიტომ წინანდლიდან ჩამოიტანეს 18 ათასი ვედრო ღვინო, ძველი ღვინოები და ამ ღვინოებს მოყვება მენშევიკების ელჩი რუსეთში გაბო ხუნდაძე, როგორც იურისკონსულტი თბილისიდან. ექვსი კვირა მოუნდა თბილისიდან ღვინის ჩამოტანას. ამ საქმეს უნდა გაუძღვეს ლევან ღოღობერიძე, მაგრამ ლევანი არ არის ჩამოსული. ახლა არქივში ექნებათ, რომ ჩახედოთ, ნახავთ — „ზავედუიუშჩი ვინიმ ოტდელომ მაღლაკელიძე“. მიხა ცხაკაიას ვერიდები, ბედად ვერ მცნობს.

ის საბუთები, მე რომ რუსეთის ჩეკას გადამცეს, არც წარმიდგენია — ის საბუთები განადგურდა. ეს საბუთი საბაბი იყო ჩემი გადარჩენისათვის.

ახლა პირველი კაცი ვარ, მოსკოვში არც ღვინო იყო და არც არაყი — სპირტი აკრძალულია. გაიგეს, ღვინო ჩამოვიდაო და გამოვიდა მთელი რუსები. შეიარაღებული ძალები გამოვიძახეთ მარხილების დასაცავად. ზამთარია და ღვინო მარხილებით მოგვაქვს სადგურიდან. მარხილი რომ შეჯანჯღარდება და ღვინო ამოასხამს, გადმოიქცევა, მე ვარ ამის შემსწრე, ამ ტალახსა და თოელში გადმოქცეულ ღვინოს როგორ სვამენ რუ-

---

* სამწუხაროდ, ამის მერე ირღვევა თხრობის თანამიმდევრობა, რადგან ჩანაწერის მომდევნო კასეტა დაკარგულია, როგორც ეს ვაუწყეთ მკითხველს ჩვენს „შესავალში“. დაკარგულ ჩანაწერში დეტალურად იყო აღწერილი ქართველ პატრიოტთა წამების სცენები, რისი თვითმხილველი და გამგონეც გენ. შ. მაღლაკელიძე გახლდათ. აქვე იყო ზუსტად აღწერილი, თუ როგორ დააღწია ციხეს თავი თვით შ. მაღლაკელიძემ (ვ. რცხილაძე).

სები. საზიზღარი სურათია, როგორც იქნა მივიტანეთ საწყობამდე. ზოგიერთი მარხილი აკლია, გაუძარცვიათ, წაუღიათ. როგორც იქნა, დავაბინავეთ ღვინო, პირველმა ლუნაჩარსკიმ მოითხოვა. ერთი ვედრო ღვინო გავუგზავნეთ. ლუნაჩარსკის მერე მოვიდა ტროცკის წარმომადგენელი. ერთი ვედრო წაიღო ტროცკის წარმომადგენელმა. ასე მიყვა, მიყვა და გამოცხადდა ვიღაც ვასილევი. მე ამ საქმეში გამოცდილი კაცი ვარო. მიმიღეთ სამსახურში და გამოგადგებითო. მივიღეთ ეს ვასილევი, გავხსენით ქართული ღვინის მაღაზია. ჩვენ, ვინც მოსამსახურეები ვართ, თვეში ვღებულობთ 5 ბოთლ ღვინოს ნატურით. ენუქიძემ მოითხოვა ღვინო. გავუგზავნეთ. არ მოეწონა და შემოგვითვალა: არ გრცხვენიათო? მე მიჩვეული ვარ ყიფიანის ღვინოსო, ე. ი. ხვანჭკარასო, ძველად ქვიოდა ყიფიანის ღვინო — „კნიაზა ლუარსაბა ლუარსაბოვიჩა ყიფიანი ვინნი პოგრებ“. ერთ თვეში შემცირდა ეს ღვინო. ყველას მიაქვს. მარტო სტალინის კაცი არ გამოცხადებულა, არ წაუღია სტალინს ღვინო, არც — ლენინს.

შემოვიდა ბუდუ მდივანი. ბუდუ მდივანმა დაიწყო ქეიფი. ქეიფს აწყობს ამ შენობაში, მოიყვანა ბალერინები, აცეკვებს საღამოობით, მაგიდაზე, ე. ი. მთლად თავისუფლად თარეშობს. ენუქიძეც ქეიფობს, ფუფუნებაში ცხოვრობს, ქალები, დროსტარება. „ველიკი კნიაზო“ — ენუქიძეს ეძახიან, კრემლში ზის, არაფერს არ იკლებს და იმიტომ. „გრუზვინო“ გამოვიდა, ვასილიევის წყალობით, „აკციონერნოე ობშესტვო“ დაწესდა, მაგრამ ღვინო ულევი ხომ არ არის და ჩიჯავაძე ასხამს და ასხამს წყალს, ღვინო კი შენახული აქვს ჩვენს საქეიფოდ, რამოდენიმე ქასრი.

ყველა ჩემი მეგობარია, ყველას ღვინო უნდა, ვინ გინდა რომ არ მოდის. მოხდა ამისთანა ამბავი, რომ არბატზედ, ჯღარკავა არის ყალბი ფულის მომჭრელი და დაუჭერიათ. მიუსჯიათ სიკვდილის განაჩენი. რომ გამოუვლიათ არბატთან, შეუხვია ქართველების „სპირტანოსების“ დუქანში, დუქნები ყველა რაიონშია, ძერჟინსკი ებრძოდა სასტიკად, მაგრამ არაფერი გაუვიდა. მოყავთ ჯღარკავა, სამი კაცია თოფებით, შეუხვიეს დუქანში, დაათრო ისინი, გაიღვიძეს დილით — აღარაა ჯღარკავა, და ჯღარკავას მეორედ „ზაოჩნათ“ გამოუტანეს სიკვდილი. საწყალი სამი „სალდათი“ დახვრიტეს.

ერთ დღეს მეუბნება ლევან ღოღობერიძე, უკვე ჩამოსულია, რომ საქეიფოდ მივდივართო. თვითონ ადრე წავიდა. მე მითხრა: შენ ნუცა წამოიყვანეო, ლევანის ცოლი ხუციშვილის ქალი იყო, ცოცხალია ახლა ნუცა, მითხრეს ცოცხალიაო, მაგრამ არ შევხვედრივარ. მივედი და თურმე ჯღარკავაა მასპინძელი, სამი ჯარისკაცი რომ დახვრიტეს მის გულისათვის, ის კაცია. ამას იმიტომ გიყვებით, რომ იცოდეთ, რა ზნეობის ხალხი იყო სათავეში და რა გასაკვირია, რომ დღესაც ასეთი უხეირო

ზნეობის ხალხი გვყავს. არ ვმალავ ამას და ყველას ვეუბნები, მართალი ვარ და არც არაფერს ვკარგავ იმიტომ, რომ ბებერი კაცი ვარ, ხვალზეგ მოვკვდები და ეს უნდა ითქვას, რომ არ დაივიწყოს არავინ, თუ ვინ იყო საქმის სათავეში არა თუ მარტო საქართველოში, საერთოდ რა ხალხის ხელში იყო და დღესაც არაფერი ცვლილებაა ზნეობის მხრივ, არაფრით არ განირჩევიან იმათგან, მაშინ რომ მოვიდნენ სათავეში, გული მტკივა და იმიტომ გელაპარაკებით ამას.

მოვედით მე და ნუცა, ინგილო ქალი იყო, კაცთან, რომელიც გამოცხადებულია „ვნე ზაკონა“. ვინც ნახავს, სადაც ნახავს, უნდა მოკლას — „ვნე ზაკონა“ ამას ნიშნავს.

ახლა მე დავუწერე შევარდნაძეს, რომ „ია პოსტავლენ ვნე ზაკონათქო“, ოცდაერთი წელიწადია „ია ვნე ზაკონათქო“. მე თავად არ შევხვედრივარ შევარდნაძეს, მაგრამ ბერიშვილი რომ არის მისი ინსტრუქტორი, მისი საშუალებით მივწერე, როდესაც შევარდნაძემ მოისურვა ჩემთან ჰქონოდა საქმე.

მივედით მე და ნუცა და იქ არის ენუქიძე, სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი, კაცო, იქ ჩვენთან კი ჩამოდიოდა, მაგრამ აქ თუ ვნახავდი ჯღარკავასთან, არ მეგონა. კაცო. ძერჟინსკი დასახვრეტად დასდევს ამ ჯღარკავას და ენუქიძე მასთან ქეიფობს! მე ისე მივედი იქ, რომ არც ვიცოდი, თუ ჯღარკავას ბინაში მოვდიოდი. ჩამომართვა ხელი ენუქიძემ. ნუცას გარდა სულ მამაკაცებია და ცოტათი შეშფოთდა. მისი ქმარიც აქ არის და რომ არც ყოფილიყო, მე პატივს ვცემ, როგორც დასთან, ისე ვარ. მოსკოვში ქართველ ქალებს, როგორც დას, ისე ვუყურებდი. მშობლები მოგვანდობდნენ და ჩვენ ვპატრონობდით, ტრადიცია იყო ასეთი. ჯვარს თუ დაიწერდი კი, და არშიყობა და ასეთი რამ საძრახისი იყო. სხვა ქვეყანაში ვიმყოფებით, მამების გამოგზავნილია ეს ქალები და „ბიჭებო, თქვენ იცით, ნუ დატოვებთო!“ ჩვენ ამას ვასრულებდით ყველანი ასი პროცენტით.

შევედით შიგნით, ისეთი ბიჭები არიან, სულ დარჩეულები, მეფის დროის პრაპორშიკები, ოფიცრები, ყველა ქართველია. საიდუმლო ბინა ყოფილა, ჯღარკავას შტაბი. ჯღარკავას თვალები ეშმაკს უგავს, განსაკუთრებული შავი თვალები აქვს. შეხედავ, მოსაწონი კაცია, ყაბალახიანი, ჩოხაში, შეიარაღებული, მაგრამ შეგეშინდება, ისეთი თვალები აქვს. დოქით ღვინოებს არიგებს — შემოვა, გავა, შემოვა, გავა. ვინაა ეს კაცი თქო. ჩვენი მასპინძელიაო, ჯღარკავაო. ენუქიძე თამადაა, თქვა სადღეგრძელოები და ერთ მორიგ სადღეგრძელოთი „ნოე ჟორდანიას გაუმარჯოსო!“ — წარმოთქვა. ერთი ახალგაზრდა სტუდენტი წამოდგა და არ მოიწონა ჟორდანიას სადღეგრძელო. ახლა ჯღარკავა ადგა, ჟორდანია არისო პოლიტიკური მოღვაწეო, კეთილშობილი ადამიანიო, დიდი რევოლუციონერი და ჩემს ოჯახში ჟორდანიას წინააღმდეგ ლაპარაკი ამი-

კრძალიაო. თამადამ ასწია თავისი მოწინააღმდეგის სადღეგრძელო და ეს ვინ არის. ეს სტიპენდიანტიო, გუშინწინ მოვიდა წალენჯიხიდანო. ადექი და წადი აქედანო, წადი, დამასმინეო და გააგდო! ჩვენ სახტად დავრჩით, მალე ავდექით და წამოვედით.

მოსკოვში 6—7 თვე ვიყავი. ცოლ-შვილიც ჩამოვიდა. ენუქიძე მეხმარება და მეც ეს მინდა. პეშკოვა იყო ლენინის პირადი რწმუნებული, გორკის პირველი ცოლი და მას აკისრია, რომ გაისტუმროს გავლენიანი მენშევიკები აქედან, რადგანაც თხოულობენ, რომ შეგვიყვანეთ მთავრობაშიო. ოჭროს თუმანი უნდა შეგეტანა, წასვლა თუ გინდოდა საზღვარგარეთ. ოჭრო თუ გაქვს, უნდა ჩააბარო სახელმწიფოს და სად არის ოჭროს თუმანი?! პეშკოვა ეხმარება მენშევიკებს, აქედან რომ წავიდნენ. ჩემი თუმანი ენუქიძემ შეიტანა. მერე მიხვალ მილიციის უფროსთან, იაშაა ვარძელოვი, ქართველი (მერე მოგიყვებით მაგაზე, დენიკინს რომ შევხვდი, მაშინ) და იაშა მოგცემსო პასპორტს. პეშკოვამ წამიყვანა ლატვიის საელჩოში, ფელდმანი იყო. ელჩი. მომცა ფელდმანმა ვიზა და რიგაში რატომ მიდიხარო. მე ვუთხარი: ცოლი გერმანელი მყავს და რიგის გუბერნიაში მამული აქვსთქო, შერბერგშითქო. კათოლიკები იყვნენ ჩამოსახლებული ბავარიიდან. კარგიო, მოგცემთ ვიზასო, პეშკოვა შეეკითხა: ოჯახის წევრებს რა ვუყოვო, ვინ არიან ოჯახის წევრებიო. მე ვუთხარი: ცოლი, ბიჭი და მომვლელითქო. კარგიო, ყველასათვის მოგცემთ ვიზებსო. ავიღე ვიზები. ახლა უნდა მივიღო პასპორტები, რომ მალე გავეცალო აქაურობას. მე ხომ დამიჭირეს ქუჩაში და ენუქიძემ გამომიხსნა, ტელეფონით მოვახერხე დარეკვა, თორემ დამხვრეტდნენ. ყოველდღე ხვრეტდნენ ორმოც-ორმოც კაცს თეთრგვარდიელებს. დამიჭირეს, შინელი მეცვა და თეთრგვარდიელად ჩამთვალეს. შემიყვანეს კომენდატურაში, ერთ კაცს ვერ ნახავ რუსს, სულ ყველა ებრაელი იყო.

მივედი პასპორტის ასაღებად, ვხედავ — იაშაა. გამარჯობა იაშა, შენ ხარ უფროსი ამ საქმისთქო? კიო. ვიზა თუ გაქვსო. ფელდმანის ვიზა მაქვსთქო. კარგი ადამიანია, ბევრს ეხმარებაო. იაშა ქართველი კათოლიკე იყო, უპარტიო, მერე იუსტიციის მინისტრი იყო თქვენთან, მოგახსენებთ მაგას შემდეგ.

მოგცემო პასპორტებსო, მხოლოდ ძიძაზე ვერ მოგცემო. ხო, მართლა, ცოლისდა ვნახეთ აქ და ისიც მიმყავს. ოჯახი გამოქცეულა ნიჟნი-ნოვგოროდიდან, ჩემი ცოლისდა აქ ჩარჩენილა და მოწყალების დად მუშაობს. დაურეკა ენუქიძეს — რა ვქნაო, ერთი თუმნითო ხუთი სულის გაშვება არ შეიძლებაო. შეიძლებაო, ენუქიძემ უთხრა, გაეცი პასპორტი და მე ვარ პასუხისმგებელიო. გამიმზადა იაშამ უცხოეთის პასპორტი. ძიძისთვის არ მომცა პასპორტი და თვითონ ძიძამაც ვერ გადაწყვიტა და დავაბრუნეთ ახალციხეში მამასთან, ახალციხის ციხის უფროსი იყო მამამისი. ჯარში უმსახურია მამამისს ახალციხეში, ლატვიელი იყო და

დარჩენილა მერე. ჩვენ წავედით დემოკრატიულ ლატვიაში. ორი კვირა კარანტინში ვიყავით. აქედან გავგზავნე დეპეშები ჟორდანიასთან პარიზში და გენერალ ზაქარიაძესთან ვარშავაში „ნაჩალნიკუ გენერალნოგო შტაბა პოლსკოი არმიი გენერალუ ზაქარიაძე“ და „პრედსედატელიუ გრუზინსკოგო ცენტრა ვ პარიჟე ჟორდანია“. ორივე ადგილიდან მომივიდა პასუხი. ზაქარიაძის პასუხი იყო, რომ მოვახსენე შენს შესახებ და გიწვევენ გენერალ-გუბერნატორადო. ამ დროისათვის პოლონეთს წართმეული აქვს ბოლშევიკებისგან ლიტვის სატახტო ქალაქი და თავი სიზმარში მგონია, მაგრამ ცოლმა მითხრა, ახლა პოლონეთს აქვს წართმეული, ხვალ ბოლშევიკები წაართმევენ და ასე ხელიდან ხელში გადავა-გადმოვაო. პარიზში წავიდეთო. გავუგზავნე პასუხი ზაქარიაძეს, რომ „ბლაგოდარენ პოლსკომუ პრავიტელსტვუ, ნო ლიშონ ვაზმოჟნოსტი პრიეხატ“. იმიტომ, რომ მე მომივიდა ცნობა პარიზიდან „ესტ ვაზმოჟნოსტ ვ ჩეხოსლოვაკიი, ვ პრაგე“. ჩეხოსლოვაკიაში არის ჩვენი წარმომადგენელი — არც მეტი, არც ნაკლები, ებრაელი აიოლო. ბაქოდან გადმოვიდა აქ, ქართველი ქალი შეირთო, ნინუცა ფალავანდიშვილი, სასტიკი ოპოზიცია იყო, მემარცხენე სოციალისტი, გვარი აუღია აიოლო და ძველი დემოკრატიული საქართველოს კონსულის ფუნქციებს ასრულებს, პასპორტები, ვიზები, სტიპენდიები, ე. ი. იმ ფულიდან, გეტყვით, მაგას, რომელი ფული იყო, შეუძლიათ სტიპენდია დამინიშნონ, ამიტომ ჟორდანიამ შემატყობინა, რომ პარიზში არ არის საშუალება მოწყობისო, მაგრამ პრაღაში სტიპენდიანტები გვყავსო, თანაც მე ახალგაზრდა კაცი ვარ, მეც ხომ ვიყავი სტუდენტი და თანამდებობის კაცი რომ ვიყავი, იმიტომ არ გამიშვეს თავის დროზე, აი, ვიქტორ ნოზაძე და სხვები რომ გაუშვეს. ჟორდანიამ ეს ამბავი ხომ იცოდა, ამიტომ მაცნობა „ადრესავატ პრედსედატელიუ ობშესტვა გრუზინ აიოლუ“.

ჯერ წავედი რიგაში. ვნახეთ ჩვენი მამული. ჩემი ცოლის ძმაა დაჭრილი, რუსეთის მხარეზე უომია, იანის ექვსი ცხენი ყავს, ლუდხანა დაკეტილია, თავისი ლუდხანა, წისქვილი შერჩენილი აქვს, ცოლშვილი ყავს, მაგრამ მამულები ჩამოურთმევიათ ლატვიელებს უსასყიდლოდ. დავაწექით კისერზე ჩვენც.

ვ. რ.: როგორ მოხვდა თქვენი მეუღლე, ბ-ნო შალვა საქართველოში?

შ. მ.: ომის წინ მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში და ფოთში გამოიარა. ამ დროს ორი გერმანული წყალქვეშა ნავი აღმოჩნდა შავ ზღვაში და ფოთს დაარტყეს, ომი დაიწყო. პოლკოვნიკი ვოიჩაკია პოლიციის უფროსი და უნდა ჩემი ცოლის დაპატიმრება, როგორც გერმანელი ქალის. ჩემი მეუღლე გაიქცა და მიაღწია ვოლგამდე. ვოიჩეკმა გასდია, დაეწია გზაში და დააპატიმრა, მაგრამ, მოწონებია და დაჭორწინებულან. ეს ვოიჩეკი იყო ის პიროვნება, რომელიც მე გავაგზავნე ფრონტზე. ექვსი თვის ცოლ-ქმარია, ჩემთან რომ მოვიდა ვოიჩეკი ახალციხეში. ამის-

თანა ხალხს ფრონტზე ვაგზავნიდი, „ბრონი“ ჰქონდათ და იმალებოდნენ. ეს ქალი დარჩენილა ახალციხეში, ერთი პარადის დროს გავიცანი და ჯვარი დავიწერეთ. ჩემი ცოლი მე მომთხოვდა როგორც გაუთხოვარი, იმიტომ, რომ ვოიჩეკი მართლმადიდებელი იყო, ეს ქალი კათოლიკე და ჯვარი დაიწერეს მართლმადიდებლური წესით, ხოლო კათოლიკებისათვის ეს წესი არ ითვლება, ამიტომ მე მომიხდა ჯვრის დაწერა კათოლიკური წესით და ჩემი შვილი გაიოზიც კათოლიკეა.

დავუბრუნდები იმას, რომ ჩვენ ვიმყოფებით ლატვიაში, მაგრამ მამული აღარ გვაქვს. დავტოვე ცოლშვილი აქ და მე წავედი პრაღაში, სტიპენდიებს, ჯამაგირს უხდის ჩეხოსლოვაკიის მთავრობა და რა ფულია ეს — ეს ფულია იმ ცამეტი ვაგონიდან, რომელიც ჩეხებმა, კოლჩაკს რომ უღალატეს თავის დროზე, კოლჩაკი დაიღუპა და კოლჩაკი ხომ მთავრობა იყო, დენიკინი მისი მოადგილე იყო და კოლჩაკს რომ ცამეტი ვაგონი ჰქონდა, ექვსი ვაგონი ჩეხებმა წაიღეს და შვიდი ვაგონი საბჭოებს დაუთმეს. აი, ეს ფული არის და რუსები რომ დააწყნარონ ჩეხებმა ემიგრაციაში, დაუწესეს ჯამაგირი კერენსკის და ყველას.

სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარეა ბაგრატ ილურიძე. რომ, დამინახა — გადაირია სიხარულით და მეუბნება, ღმერთი არ არის, კაცოო, თუ ქართველთა საზოგადოებაა, ებრაელს რა უნდა თავმჯდომარედო, თანაც მის გარდა ე. ი. აიოლოს გარდა კიდევ ოთხი კაცია გამგეობაში და ყველა მენშევიკიო. ჩვენ, სტუდენტთა კავშირის წევრები, სტიპენდიას 500—500 კრონს ვღებულობთო და მაგენი 1500—1500 კრონსო და ჩვენი კაცი დავინიშნოთო, უპარტიო კაციო. ეს არის ოცდასამი წლის ბოლო. კოლია ჭუმბურიძეც აქ არის, ქუთაისის პატრონი, გაზეთის რედაქტორი, პარტიული კაცი, ნოე რამიშვილის ადგილას რომ უნდა ყოფილიყო, კანდიდატად იყო ქუთაისიდან ამ ადგილზე, და სტუდენტთა კავშირშია ესეც. ე. ი. ბევრი მენშევიკიც უკმაყოფილოა

კოლია ჭუმბურიძე მომელაპარაკა და მოიწვიეს საგანგებო კრება. გადარჩევა მოხდა. მენშევიკებმა უღალატეს თავის თავს და ფარული კენჭისყრით გავედით ჩვენ. ერთი მენშევიკი აღარ არის. ჩვენ სიაში არიან ორჯონიკიძე, ტკეციშვილი, დოლიძე, მგალობლიშვილი, ნაკაშიძე და მე, როგორც კონსული. გამგეობის თავმჯდომარედ მე ამირჩიეს და აიოლოს ფუნქციები ჩემთან გადმოვიდა, ე. ი. ფული ჩემს ხელშია და ფულია აქ მთავარი. კოსტუმი მათხოვა კოლია ჭუმბურიძემ, მე შინელი მეცვა და უნდა წავიდე ბენეშთან, როგორც „პრეზიდენტ ობშესტვა გრუზინ ვ ჩეხოსლოვაკიი“. ჩავიცვი კოსტუმი და მივადექი ბენეშს. კარგად მიმიღო, მითხრა: კიევში ვიყავიო ემიგრანტადო ავსტროვენგრიიდანო თავის დროზეო, რუსული კარგად იცის, მასარიკის თანამშრომელი ვარო, მომეფერა ძალიან და თქვენ უნდა მოელაპარაკოთ დოქტორ ზავაზავასო (?), ემიგრანტების საქმეს უძღვებაო, დაუძახა და გააცნო ჩემი

თავი. ხვალ მობრძანდითო ჩემთან — ზავაზავამ მითხრა. მეორე დღეს მივედი და ზავაზავა მეუბნება: აიოლო იყო ჩემთან და განცხადებით შემოვიდაო, რომ მაღლაკელიძე საეჭვო პიროვნებაა, ეს არჩევნები არასწორია და ამ საეჭვო ბოლშევიკებისგან ჩამოსული კაცის კომბინაციააო, ლატვიის პასპორტი აქვსო ქართველსო.

მე ჩემი პასპორტი, ვარძიევს დავუბრუნე და აქ რომ ჩამომიყვანეს 54 წელს, მანახეს ჩემი დაწერილი, რომ გიბრუნებთ პასპორტს, თქვენი მოქალაქე არ ვყოფილვარ, სულ ციხეში ვიჯექი და არ მინდა ეს პასპორტითქო.

მე თუ საეჭვო პიროვნებად მთვლით, დღესვე დავტოვებ ჩეხოსლოვაკიას, მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს ცნობები ჟანდარმერიიდან მოდისთქო — ვუთხარი ზავაზავას და თუ ეს ცნობები ჩემი თანამემამულეებისაგან არის, მაშინ დავრჩები და, დავამტკიცებ, საეჭვო ვინ არის-მეთქი. ნაწყენი წამოვედი ძალიან. მეორე დღეს შემიყვანეს ბენეშთან. ზავაზავამ უთხრა ბენეშს: ის ცნობა, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინეს, რომ ეს კაცი შემოგზავნილია, არ დასტურდებაო. ბაგრატს დავუხსნივარ ამ ეჭვებისაგან, მაგრამ ახლა პარიზი დადგა ყალყზედ. უცნობებიათ პარიზში ნოე რამიშვილისათვის, ნოეს დაუნიშნავს კომისია არც მეტი, არც ნაკლები, კარლო ჩხეიძის უფროსობით, რომ შეისწავლოს, მაღლაკელიძემ როგორ დაანგრია მენშევიკური პარტია. ყოველთვის ჩვენი მტერი იყოო და საბჭოების აგენტი არისო.

ჩამოვიდა კარლო ჩხეიძე და ახლავს თან არც მეტი, არც ნაკლები, ხარიტონ შავიშვილი, ცხრაასხუთში რომ წავიდა ემიგრაციაში და აღარც დაბრუნებულა, ევროპა რომ იცნობს.

დაბინავდნენ სასტუმროში. დამიბარეს, რა ხდებაო. კარლო ჩხეიძე, ხარიტონ შავიშვილი, არზაყან ემხვარი, გამგეობის წევრი იყო ადრინდელი და მე. კოლია ჭუმბურიძეს ნუ უჯერებთ ყველაფერსო და მოხდა ბატონო, რომ მე და არზაყანს შორის წარმოებს მოლაპარაკება. თავმჯდომარე მე კი ვარ, მაგრამ არც ბეჭედი მაქვს, აიოლოს აქვს და არც ფული გადმომცეს. ჩემი თავმჯდომარეობა პირობითი არისთქო. ისე არა ქნათ, რომ უკან ვეღარ წავიდეთ, რამიშვილმა ფული მარტო აქეთ გზაზე მოგვცაო და ე. ი. უკაპეიკოდ არიან. აი, ასეთი წვრილმანებია, კაცო, თუ მაღლაკელიძეს გადასცეს ფული, ისინი ვეღარ მიიღებენ, ესე იგი, სწორად არა ხარ არჩეულიო, არზაყანმა შენს მოსვლამდე გვითხრაო, რომ მეტი ხმები იმიტომ მიიღეს, საშიში ბიჭები არიანო, ე. ი. ავარა, ჩხუბს ატეხს და ა. შ. მე ვუთხარი, თქვენთან ლაპარაკი არ შეიძლება, არჩევნებსაც აღარ სცნობთ, მე 34 ხმა მივიღე, აიოლომ 13 ხმა და მაშინ მე გადავდგები დღესვე, მოიწვიეთ კრება თქვენი თანდასწრებით და ხელახალი არჩევნები ჩატარდეს. მე ჩემს კანდიდატურას არ წამოვაყენებ და ჩეხოსლოვაკიიდან წავალ, მხოლოდ ბატონმა არზაყანმა თქვას, რომ მარ-

თალი არ ვარ. ამ დილით მომივიდა ცნობა, რომ თქვენ შეგიქმნიათ „ობშესტვო გრუზინსკის პოლიტიჩესკიხ ემიგრანტოვ“. შეუტანიათ განცხადება, რომ დაარსდეს პოლიტიკური ემიგრანტების საზოგადოება, ე. ი. ფული ისევ მათ ეძლევათ და დანარჩენი ხალხი რომ არის, ისინი არ არიან პოლიტიკური ემიგრანტები. შეუტანიათ ეს წინადადება და დაუშტკიცებიათ იმ დღესვე. ბატონო შალვაო, შვილებს გეფიცებით, ასე მითხრა, დაგვანებეთ თავიო. მე რომ სულ არ მოველოდი, არზაყანი რომ ამ კილოთი მომმართავდა. ყველა იცნობს, როგორც ყოველად პატიოსან კაცს, თავადს, სულ ბატონო და ბატონოს ხმარობს, საქართველოს ერთგულსა და მოყვარულს, აფხაზეთი თუ შეგრჩა, ითვლება, რომ არზაყანის წყალობით, თავად თვლის თავს ქართველად და იმიტომ ვუთხარი, როგორც თქვენ იტყვით, ისე მოვიქცევითქო და უცებ შავიშვილს ეუბნება, რომ ლაპარაკი ამ ყმაწვილ კაცთან ზედმეტი არისო. მე ვუთხარი, პოლიტიკური ემიგრანტები ჩვენა ვართ, თქვენ ხართ კურდღლები, რომ გამოიქეცით და მიატოვეთ საქართველო! ეს ვთქვი და შემოვარდნენ, თურმე დერეფანში კოლია ქღენტი, ლორია და სხვები ჯოხებით, ტროსტებით —ოთხი კაცი, არზაყანს პალტოს საკიდზე ქოლგა ქონდა, დავასწარი მე ქოლგის აღება და ვეუბნები: დაიკავე ხელში, თავადიშვილო, შეგფერის-მეთქი, აგერ შენი ბანდიტებიც მოვიდნენ თქვე მაიმუნებოთქო! წამოვარდა შავიშვილი, გურული კაცია, რაია აიო, რას შვებით ქართველებოო, სხვის ქვეყანაში მოვიჭერით თავიო და გაიყვანა ოთახიდან, ტროსტებით რომ შემოვარდნენ, ისინი. დავრჩით ისევ ჩვენ. რამხელა პოლიტიკური საქმისთვის ვართ მოწოდებული და რა მაიმუნობას ვაკეთებთ, კაცო, სირცხვილიც კი არის, ეს რომ კაცმა სადმე გაიგოს.

მე აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ დიპლომი ავიღო, ვისწავლო და სულ არ მინდა თავმჯდომარეობა, ფული მე არა მაქვს და დავიშალეთ, როგორც მტრები. არზაყანთან მერე არაფერი ურთიერთობა აღარ მქონია, მერე პოლონეთში გააგზავნეს კონსულის ფუნქციებით და რომ ჩავიდა, იმ დღესვე გარდაიცვალა. მისი შვილი მოვიდა აქ ჩემთან, რამდენიმე წლის წინ, ხომ არ ვეტყოდი, კონფლიქტი გვქონდათქო და ვუთხარი, დიდი მეგობრები ვიყავით და ა. შ.

მე ვინც ხმა მომცა, თანდათან შემომეცალა და იმიტომ, რომ ფულს ისინი აძლევენ. ზოგიერთი მალაეს კიდევაც, რომ იქ მოეწყვნენ და ფულს იღებენ.

ექიმი იყო, გვარი დამავიწყდა, დიდი მენშევიკი იყო, ცოლი ახლდა თან და ჰქონდა საშუალება, ფული და ძვირფასეულობა წამოეღია და გადაწყვიტა, რომ დააარსებდა ქართულ სასადილოს. შემოსავლიდან ფულს მივცემთ იმ პირებს, პრინციპულად რომ არ მიდიან იმათთან. გავხსენით, ბატონო, სასადილო. მე ვსწავლობ პარალელურად. მოსკოვიდან ჩამოვიდა ჩემი საბუთები და რაც ჩაბარებული მქონდა — ჩამითვალეს

ყველაფერი. ჯერ გავხდი კანდიდატი, შემდეგ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. ჩემი დისერტაცია არის „პოხიშჩენია დვიჟომოგო იმუშესტვა პო ულაჟენიუ ნაკაზანია 1845 გოდა, პო უგოლოვნომუ ულაჟენიუ 1903 გოდა ი პო სოვესტკომუ კოდექსუ 1922 გოდა“. კანდიდატი შეიძლება პროკურორი იყოს, ადვოკატს კი აუცილებლად დოქტორობა ჭირდება. მთელი წელიწადი მამზადებდა მე სტრუვე, აკადემიკოსი, გრინი, პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი, ცნობილი იურისტი, რომის სამართლის დიდი მცოდნე.

ერთ დღეს, როდესაც ვმეცადინეობ სადისერტაციო შრომისათვის, მიხოვიცეში, პრაღიდან 40 კილომეტრია და იქ ვცხოვრობდით, ზემოთ ნაძვის ტყეა, ბუჩქებია, 24 წლის აგვისტოა და რომ ვმეცადინეობ, ბუჩქებს შევხედე და დავინახე ჩემი ბავშვობის დროინდელი ნაცნობის ლანდი თავმოჭრილი. ძალიან შევშფოთდი. ბევრჯერ მჭონია სახიფათოდ საქმე, მაგრამ ახლა, უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან შევშინდი. თავი არა აქვს, მაგრამ ეს ფეხები, ეს თითები, ეს ტანი იმ კაცის არის, რომელსაც ბავშვობიდან ვიცნობ, უსაყვარლესი ადამიანი გოგიტა ფალავა — გეგეჭკორის დისშვილი. დავეშვი ძირს, შევედი კაფეში გათავებული კაცი, მიცვალებულის ლანდი არ მშორდება. მოვითხოვე ლუდი და დავჯექი, შეწყდა ეს ჰალუცინაცია და ჩემს ცხოვრებაში აღარ გამეორებულა*.

მე არ ვიცი საქართველოში რომ აჯანყებაა და მეორე დღეს პრესაში დაიწერა — საქართველოში აჯანყებაო! მოვიდა ცნობა, რომ გამოქცეულები მოსულან კონსტანტინოპოლში და მერე პარიზში ჩასულან. პარიზში მოვიდა პირველი აჯანყების მეთაური გიორგი წერეთელი, მენშევიკი. მე არაფერს არ მატყობინებენ, იმიტომ, რომ პარიზს ვძულვარ და ჩემი ხალხიც ძულს, კავშირი არა მაქვს მაგათთან და არც მინდა რაიმე კავშირი მქონდეს. მიუხედავად ამისა, ჟორდანია კარგად მექცეოდა. ნოე რამიშვილი თავიდან სულ მიცავდა, მაგრამ ამ ამბების შემდეგ — აღარ; ერთი კვირით ადრე, სანამ აჯანყება დაიწყებოდა, რაც მე არ ვიცოდი, პარიზიდან ნოე ჟორდანიამ შემატყობინა, წერილი მომივიდა მისგან, რომ სასურველი არისო შენ უკან დაბრუნდები საქართველოში, ინფორმაცია გვაქვსო, რომ შეტისმეტად საჭირო ხარო როგორც სამხედრო პირიო. ე. ი. გამოთხოვილი ვყოფილვართ ემიგრაციიდან. ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, ნოე ხომერიკი პარიტეტული კომიტეტის მიერ. მე ახალი ჩამოსული ვარ და ვიცი ეს პარიტეტული კომიტეტი, ამიტომ კატეგორიულ უარი ვუთხარი. თანაც არ მეუბნება, აჯანყება იწყებაო, უბრალოდ, შენი იქ ყოფნა აუცილებელი არისო და შენთან ერთად მოდიან ის პი-

* მხოლოდ 1975 წლის აგვისტოში განუმეორდა ეს მოლანდება ბ-ნ შალვას, როგორც ამას „შესავალშიც“ აღვნიშნავ, დილის 3 საათზე, მგნიტოფონზე ჩაწერის დროს, ჩემთან. — ვ. რცხილაძე.

რები, რომლებსაც ისინი მოითხოვენო. მე ადრე თავიდან ვაცნობე, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პარიტეტულმა კომიტეტმა იმოქმედოს, იმიტომ, რომ თავიდან ბოლომდის პარიტეტული კომიტეტი ხელის გულზედ უდევს საბჭოთა მთავრობასთქო. საიდან ვიცი მე ეს: როდესაც კოტე ცინცაძე გადააყენეს, დანიშნეს კოლია ოკუჯავა და დადგა საკითხი, რომ მე უცხოეთში უნდა წავიდე, კოლია ოკუჯავა მეხმარება და გამაფრთხილა თავიდანვე ჩეკას შენობაში, რომ არსებობს მოსკოვის ქუჩასთან ოდა სახლი „ბაბი გარადოკი“. გენერალ-გუბერნატორი ვიყავი და სულ არ ვიცოდი, „ბაბი გარადოკი“ თუ ქვიოდა იმ ადგილს. იქო, განაგრძო ოკუჯავამ, ნაგაზია ეზოშიო. გრძელი ეზოაო. ვინმე რომ შემოვა მთავარი ქუჩიდან, ფანჯრიდან გამოიჭყიტინებენო, მახსოვს სიტყვა „გამოიჭყიტინებენო“, თუ ვინ მოდისო. პარიტეტული კომიტეტის წევრები იცნობენ ერთმანეთს და თუ უცნობი დაინახეს, უკანა კარებით გაპარებიანო. ე. ი. ქვეყანამ იცის მათი არსებობა და მითხრა, რომეო, იქნებ რამენაირად ამის შესახებ ჟორდანიას აცნობოო და ასეთ პირობებში გამოსვლები როგორ შეიძლებაო, ხომ დაიღუპა ხალხიო და მე როდესაც ჩეხოსლოვაკიაში ჩავედი, კოლია ჭუმბურიძის გზით, სხვას არ ვენდობოდი, შევეცადე მიმეწვდინა ხმა ჟორდანიასთვის. ასე რომ ჟორდანიამ იცოდა საქმის ვითარება და მე უარი ვუთხარი.

რაც შეეხება აჯანყებას, გიორგი წერეთელი რომ ჩამოვიდა, მოხსენება გააკეთა, თურმე ყველაფერი იცოდენ წინდაწინო. ე. ი. პარიტეტული კომიტეტი დაარსებისთანავე აღმოჩნდა საბჭოთა მთავრობის ხელში. დადგა დრო, რომ აუცილებელია რაიმე გამოსვლა მოეწყოს. ვალიკო ჯუღელს სენ-სირის სკოლა დაამთავრებინეს, სამხედრო სკოლაა პარიზში. ამ სკოლის დამთავრებას მეტი ფასი აქვს, როგორც პოტსდამის სკოლას გერმანიაში, ალექსევსკის სასწავლებელს მოსკოვში. დაამთავრებინეს საგანგებოდ ეს სკოლა ჩუმად, მაგრამ ბოლშევიკებმა თურმე იციან, სხვა კაცი არც ყავდათ, პოლონეთში არიან და ზაქარიაძისათვის რომ გეთქვა, აჯანყებაში წადიო, არც წავიდოდა. კვინიტაძეს ხომ ვერ ეტყვიან. ერთ ათასეულზე მაინც ხომ უნდა იყო დაყრდნობილი. კვინიტაძემ მთავარსარდლობა, რომ იკისრა, იმიტომ იკისრა, რომ ათიათასი ჯარისკაცი მომეცოთო და დაპირდნენ, მაგრამ ვერ მისცეს.

სარდალი ყავთ ვალიკო ჯუღელი. პოლიტიკური მოღვაწე ნოე ხომერიკი — ნოე რამიშვილს არ ჩამოუვარდებოდა, უფრო მეტი კიდევ. პარიტეტული კომიტეტი თხრულობს ამათ. ჰგონიათ, რომ საზოგადოება მომზადებული ყავთ, ყველა პარტიები გაერთიანებული არიან, ოცდაათი თოფი აქვთ და აწყობილია საქმე. ბენია ჩხიკვიშვილი, ცნობილია როგორც გურიის პრეზიდენტი ძველი და მართლა ვაჟკაცური კაცი იყო, აჯანყებისთვის გამოდგებოდა, იარაღსაც იხმარდა, სკოლა არ უნდოდა მაგისთვის, გურიაში უდიდესი სახელი ჰქონდა, კატორღიდან დაბრუნდა,

ხმა ქონდა ჩახლეჩილი, არწივისებური ცხვირი, წვერები, ულვაშები, ვეებერთელა კაცი. ნოე რამიშვილი არ მიდის და თუ ვინმე უნდა წასულიყო, ნოე უნდა წასულიყო, მაგრამ ჭკვიანია და არ მიდის, არადა, მთელი საქმის პატრონი ნოე რამიშვილი იყო აქაც და იქაც.

ჩავიდნენ საქართველოში ჯუღელი, ხომერიკი, ჩხიკვიშვილი ზღვით ბათუმში და პირველი ვალიკო ჯუღელი ჩაუგდიათ ხელში. უნდა გასცე ბრძანება, არსად გაშოსვლა არ იყოსო! ჯუღელი აკეთებს ამას, მაგრამ ჭიათურის გამოსვლა მაინც მოხდა. ჭიათურის გამოსვლას იმით უპასუხეს, რომ ჩაყარეს წერეთლები, აბაშიძეები ვაგონებში და ჩვენი მინისტრი რომ იყო აქა ლომიძე, იუსტიციის მინისტრი, ახლა პენსიაზეა, ახალგაზრდა კაცი იყო შაშინ და მიუყენებია ტყვიამფრქვეველები ვაგონებში, მაგი იყო მეთაური და ვაგონებში შიგნით დახოცეს როგორც საქონელი, კაცო, ამოხოცეს წერეთლები, აბაშიძეები და სხვები თავისი ოჯახებით. მეორე დღეს უნდა დაიწყოს გამოსვლები გურიაში, ბენია ჩხიკვიშვილი კი დაჭერილი ყავთ. სად წაიყვანეს ბენია ჩხიკვიშვილი და მოკლეს — არ გამიგია, ვალიკო ჯუღელი კი დაუჩეხიათ. ახლა მთავარია ნოე ხომერიკი, მას იცნობს ყველა პარტიული კაცი. ის იყო, რომ შემოგვიგზავნიდა კობალაძის მეშვეობით გაზეთ „მერცხალს“, მოწაფეები რომ ვიყავით. ხომერიკი სად დახვრიტეს არ ვიცი, მაგრამ როგორ ჩავარდა, მაგას მოგახსენებთ.

ხომერიკი ცოლიანი კაცი იყო. ციმბირში იასონ ნიკოლაიშვილის და ყავდა ცოლად. იასონი ჩვენი მასწავლებელი იყო გიმნაზიაში, ქართული ენის, სოციალ-დემოკრატი იყო, დაც სოციალ-დემოკრატი იყო. ერთ დემონსტრაციაში მიუღიათ მონაწილეობა და ეს ქალი დაჭრილა. როდესაც ნოე გადაასახლეს ციმბირში, ეს ქალი გაჰყვა მას, იმდენად უყვარდა. ამიტომ დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მინისტრი რომ გახდა ნოე, ზემელზე ახლაც აფთიაქი არის იქ, ახლოს ცხოვრობდნენ. ციმბირში კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ახლა ნოე რომ მინისტრი გახდა, ცოლსა და ქმარს შორის ვეღარ იყო კარგი დამოკიდებულება. დაჭრის შედეგად დაკოჭლდა ეს ქალი და აღარ მოწონს ნოეს. თანაც შეუყვარდა ნოეს სხვა ქალი, ვინმე ჯანაშია. ამბობენ, ახლა გაგრაში არისო. ეს ქალი არ მითხოვდა ნოეს და გახდა მისი მეგობარი. ეს იცოდა ყველამ, ნოე უკვე მინისტრია. ერთ დღეს, როდესაც ნოემ აიღო ჩემოდანი და ტოვებს ოჯახს, ცოლმა თავი მოიკლა და ყველამ იცოდა, რომ ჯანაშიას გულისთვის მოიკლა თავი. ეს ამბავი საბჭოთა მთავრობამაც იცის და როდესაც ნოე მოვა აქ, უსათუოდ შეხვდება ამ ქალს და როდესაც მოვიდა, მას მერე გაქრა ნოე.

გიორგი წერეთელი რომ ჩამოვიდა პარიზში, თქვა, რომ ეს ფილიპე მახარაძემ რა ქნაო, კაცო, რანაირი ჭკვიანი გამოდგაო, აიღო და გააფრთხილაო ვინც საჭირო იყოო და ერთი კაცი არ მოუკლავთო, გურიაშიო და საშა გეგეჭკორმაო, იმის მაგივრად, მოხმარებოდაო, საწყალი ხალხი

გამოვიდაო სენაკშიო, მიაყარეს ტყვიები, დახოცესო და დაღუპა მთელი ეს ხალხიო, ეს მეგრელებიო. მართლაც ასე იყო. ახალ სენაკის და ზუგდიდის ქუჩებში დიდი მსხვერპლი იყო. და ოზურგეთში და საერთოდ გურიაში კაცი არ მომკვდარა.

უნდა მოგახსენოთ, ბატონო, რომ ამ ამბოხების ამბავი არის მეტად სამწუხარო ისტორიულად, რადგანაც სულ ყველაფერი თავიდან ბოლომდე გაკეთებული იყო ხელისუფლების აგენტებისგან და მომავლისათვის საყურადღებოა, რომ შეცდომები არ დაუშვა და შენი გაიტანო, ეს ერთი. ანდა შეიძლება გაიტანო, მაგრამ „შეიძლებაც“ აღარ არის და მაინც ამბოხებ ხალხს, განა შეიძლებოდა ასეთ პირობებში გამოსვლა?! იცოდნენ ეს და მაინც გააკეთეს.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ეს რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოზე და პირადად ქაქუცა ჩოლოყაშვილზე რას იტყოდით?

შ. მ.: ქაქუცა ჩოლოყაშვილი აქ წარმოდგენილი არის, როგორც ერთერთი დიდი მებრძოლი 24 წლის ამბოხებისა. მე ვყოფილვარ ქაქუცას ოჯახში თელავის ახლოს. თელავთან სოფელი არის, რომელიც მაგათ ეკუთვნოდათ და იმ სახლშიდაც, გითხარით, მგონი, უკვე, ვყოფილვარ ცხრაასთვრამეტის დასაწყისში. ჯერ თელავში შევხვდით ერთმანეთს, როდესაც ჩავედი, დამხვდა იქ უფროსი ძმა ქაქუცასი დავითი, ის იყო ჩემი მეგობარი, ოფიცერი იყო და დავითის მიპატიჟებით ჩავედი. ორივე ძმა კარგად ცეკვავდა. ჩემთან არის სოსო გომართელი, ოფიცერი, თბილისის მაზრის კომისრად დავნიშნე. კნეინამ ორი-სამი საღღეგრძელო თქვა და დავითს ვულოცავ თამადობასო. დავითმა, ჩემი თანაშემწე ქაიხოსრო იქნებაო, ქაქუცას ქაიხოსრო ერქვა. მოხდა ისე, ბატონო, რომ სოსო გომართელი შეგვითვრა და წამოწვა ტახტზე. ცეკვის დროს დავითმა მოისურვა, რომ რევოლვერის სროლით იცეკვოს. იარაღი და ხანჯლები შემოსასვლელში გვაქვს დატოვებული. აიღო იარაღი, ცეკვავს, ისვრის და სროლის დროს სადაც თავი უდევს სოსო გომართელს, იქ არ მოხვდა ტყვია — სულ რაღაც ერთ-ორ სანტიმეტრში და მაშინათვე იყვირა ქაქუცამ, დავით, შე ურჯულოო, მოვარდა და გამოგლიჯა რევოლვერი ხელიდან. სასწაულად გადარჩა სოსო სიკვდილს.

ეს ეპიზოდი იმიტომ გავიხსენე, რომ კარგად ვიცნობდი მათ ოჯახს, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო კაცი, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ ქონდა სოციალიზმზე. ის იყო კავალერიის ოფიცერი, შესახედავად კარგი ვაჟკაცი, მაღალი, ხმელი. წარმოდგენა არ ქონდა, რაა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რაა მენშევიკური პარტია, ყველას უყვარდა მისი დარდიმანდობა, მაგრამ დავითი ჯობდა სიდინჯით, მძიმე კაცი იყო, კახელს რომ შეჰფერის, ისეთი. ქაქუცა კი სულ არ გავდა კახელს, მაგრამ

მეტისმეტად საყვარელი კაცი იყო. როგორც მერე გავიგე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საშა გეგეჭკორი გაუცვნია. ქაქუცასათვის სულ ერთია, რომელი რეჟიმი იქნება და ზოგიერთებს ეჭვიც კი დაბადებიათ, ხომ არ დაუახლოვდა საბჭოებსო. ქაქუცას კი სულ სხვა რამ ედო გუნებაში თურმე: ესენი მე ხეირს არ დამაყრიანო და განუზრახავს წასვლა. უპოვნია რამდენიმე კაცი, მათ შორის ელიზბარ ვაჩნაძე, შალვა ნებიერიძე, შაქრო ვაჩნაძე, შალვა ჯამასპიშვილი, ჩიქოვანი, მერე სხვა გვარებსაც გავიხსენებ, შეუქმნია პატარა რაზმი და გასულა.

ვინაიდან თქვენ გინდათ გქონდეთ სწორი ისტორიული მასალა, ამიტომ ნება მიბოძეთ გითხრათ, სიმართლე რაც არის. ეს შეიძლება ამცირებდეს ქართველების ბრძოლის სურათს, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ის, რაც მართლა იყო და თუ მე ვცდები, ეს სხვა საქმეა.

გავიდა ეს ჯგუფი, არავის არ ძარცვავდნენ, არც არაფერი, მაგრამ საბჭოები ავრცელებდნენ ხმებს, რომ ესენი მძარცველები არიან და თანდათანობით იძულებული გახდნენ არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყვნენ. პატარა რაზმი იყო და ამიტომ შემოუღიათ სიტყვა „შეფიცული“. პირველი შეფიცულები არიან შაქრო ვაჩნაძე — იუნკერი, დათა ვაჩნაძე — პრაპორშჩიკი, ნებიერიძე არ არის ოფიცერი, მთავარი შეფიცულია ელიზბარ ვაჩნაძე — პრაპორშჩიკი, მგელია, ქაქუცას მოადგილეა. არ იციან ახლა ეს აქა. საფრანგეთში შევხვედრივარ ელიზბარს და იმიტომ ვიცი მე ეს ამბავი. ახლა რომ მიტინგზე გამოვდიოდე, კაცი იფიქრებს, ეს ბარონი მიუნჰაუზენი არისო, ამას რას ლაპარაკობსო. მე თვითონ მიკვირს ხოლმე, მაინცდამაინც ყველა მე როგორ შემხვდა, კაცო.

ამ შეფიცულების პატარა რაზმმა დაიწყო მოქმედება. სულ იყო ცამეტი. ელიზბარისგან ვიცი და როდესაც ერთად მოქმედებდნენ — ცამეტ კაცს არ აღემატებოდნენ. ამ ცამეტ კაცზეა დღეს ლაპარაკი; ოცდაოთხ წელში, როდესაც აჯანყება მზადდებოდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ლაშქარიც გამოვაო. სხვადასხვა ადგილებში, აქა-იქ სანდო პირები ყავდათ, მაგრამ შეფიცულები ისინი არ ყოფილან. შეფიცულები ეს ცამეტი კაცი იყო. ელიზბარ ვაჩნაძეს ომის დროს ექვსთვიანი კურსები გაუვლია ოფიცრის, პრაპორშჩიკია, ჩემი კარგი მეგობარი იყო.

ე. რ: ქაქუცას ბედი როგორი იყო ემიგრაციაში?

ბ. ბ.: პარიზში როდესაც ჩასულა — დიდი ზეიმით შეხვედრიან, როგორც პარტიზანების ხელმძღვანელს. იყო ასეთი რესტორანი „კორნილოვი“, კერენსკის დროს რომ გადატრიალება უნდოდა მოეხდინა გენერალ კორნილოვს, მის საპატივცემულოდ დაუარსებიათ დიდი რესტორანი „კორნილოვი“ და მივიდა ქაქუცა ამ რესტორანში ჩოხაში და ხმლით. ხმა გავარდნილა, რომ ჩამოვიდა პარტიზანების მეთაური „კნიაზ ჩოლოკაევ“. ქაქუცას ახლავს შალვა ქარუმიძე, პოლიტიკური მოღვაწე, დიდი ავანტიურისტი იყო, გერმანიაში ჰქონდა განათლება მიღებული, ხევსურების-

თვის მეფე კაცია. მისულან რესტორანში და შალვა თურმე გერმანელებთან შეთანხმებულა, რომ გერმანიის გენერალურ შტაბს გადაუწყვეტია, რაკი ინტერვენციამ არ გაჭრა, ყველგან დამარცხდნენ და ამიტომ ეკონომიურად უნდა დავცეთ საბჭოთა სახელმწიფოო და დაბეჭდეს გერმანელებმა საბჭოთა „ჩერვონეცი“, რომელიც ოქროდ ფასობს. მოიწვიეს შალვა ქარუმიძე ბერლინში, იციან, ავანტიურისტი კაცია და მისცეს რამოდენიმე ჩემოდანი „ჩერვონეცები“ გასავრცელებლად. წამოიღო ეს ყალბი ფული პარიზში საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის დასაქცევად. შალვას ქალები და ქეიფი უყვარდა. ქაქუცას ხომ უყვარდა და უყვარდა, მივიდნენ რესტორან „კორნილოვში“. გაშალეს სუფრა, შეთვრა ქაქუცა. აქ არის კიაპი, კომუნისტური ფრაქციის დეპუტატი პარლამენტში, „ნაჩალნიკ პარიჟსკოი პოლიციი“, აქ სადილობს, და ხედავს, რომ ქაქუცა ქეიფობს. ერთ საღამოს მიადგნენ ქაქუცას, მოგეხსენებათ, პოლიციელები სიცილიელები არიან ნაპოლეონის დროიდან მოყოლებული და მიადგნენ ქაქუცას სასტუმროში. ეს სიცილიელები ოხერი ხალხია და შეუმტვრიეს კარები, ქაქუცა არ დანებდა და ცემეს სასტიკად, იმიტომ, რომ წინააღმდეგობა გაუწია. ისე ცემეს, რომ გაუფუჭეს ფილტვები. დაიჭირეს, წაიყვანეს ციხეში, ექვსი თვე ამყოფეს ციხეში.

ემიგრაციაში იყო აკაკი პაპავა, ფედერალისტი, მერე ჩამოსული. ჩამოვიდა გერმანიაში ეს აკაკი პაპავა, რომ მიეღო თავისი ძმის ფული. ჰიათურის მთავარი ინჟინერი იყო აკაკის უფროსი ძმა და გერმანელი ცოლი ყავდა. პირველი მსოფლიო ომის დროს მთელი გერმანული აქციები მას მიანდვეს და ამიტომ დიდი ქონება ჰქონდა, სახლი ბერლინშიც და ჰამბურგშიც ჰქონდა. როდესაც გასაბჭოდა, აკაკი პაპავას მიცეს უფლება გერმანიაში წასვლისა იმ ანგარიშით, რომ დაეპატრონოს უფროსი ძმის ქონებას, რომელიც მოკვდა. ამ აკაკი პაპავამ დაუდგა ძეგლი ქაქუცას — „გადატეხილი მუხა“. ნოზაძის გამოცემები რომ არის — აკაკი პაპავა აძლევდა ფულს.

შალვა ქარუმიძეს რაც შეეხება, მერე გავიგე, რომ წასულა ჟენევაში, იქ დაავადმყოფდა და მოთავსებული იქნა ფსიქიატრიულ კლინიკაში. იმ საავადმყოფოში დაასრულა სიცოცხლე.

ამირეჯიბი იყო მონაწილე ოცდაოთხი წლის გამოსვლების. შალვა ამირეჯიბი იყო ჩვენი ვერიკო ანჯაფარიძის პირველი ქმარი, მაღალი, ხმელი კაცი, პოეტი, ლექსებს წერდა. უყვარდა ქეიფი, დროსტარება. ქუთაისში ჩამოვიდა, თბილისის სამხატვრო გიმნაზია რომ დაამთავრა და იქ შეხვდა ვერიკოს. ვერიკოს მამა იელიანე ანჯაფარიძე ხომ ქუთაისის უფროსი ნოტარიუსი იყო. ამირეჯიბი ოცდაოთხ წელში შიო მღვიმის მონასტერში იმალებოდა. აქედან ოსმალეთში გადავიდა და ჩავიდა პარიზში. მეტისმეტად ნიჭიერი კაცი იყო. მე რომ აქ ჩამოვედი, ლეონიძე, ჩვენი პოეტი რომ არის, სპეციალურად შემხვდა და გამომკითხა დაწვრი-

ლებით მისი ამბავი, მეგობრები ყოფილან. უცნაური კაცი იყო. არც ერთხელ შრომის ბირჟაზე არ ჩაწერილა. მეთერთმეტე საუკუნიდან კანონიც არის, რომა ერთი ფრანკი თუ არ აქვს ფრანგს, პოლიციას შეუძლია დააპატიმროს. „ბულკი" ერთი ფრანკი ღირს და მაშინ რითი ცხოვრობს?! ამიტომ ჩვენ, ყველანი ემიგრანტები ბირჟაზე ჩავეწერებით, აღრიცხვაზე აგვიყვანებენ, ბინასაც გაგვიჩენენ და აღარ არის იმის საშიშროება, რომ რაიმე უწესო საქმეზე წახვიდე და თუ ამის შემდეგაც არ მოეწონები ხელისუფლებას, მაშინ უნდა გაგაძევონ საფრანგეთიდან, უმთავრესად ბელგიაში და რუსები იყვნენ ძალიან ბევრი, გაზეთებში წერდნენ, რომ თხუთმეტჯერ ბელგიაში გადაასახლეს და თხუთმეტჯერ უკან დააბრუნეს ე. ი. გადაგზავნიან ბელგიაში და გადმოგზავნიან უკან! არასასურველ კაცს. შალვა არც ერთხელ არ ჩაწერილა შრომის ბირჟაზე და არსად არ უმუშავია. მერე ჩვენ შევხვდებით შალვა ამირეჯიბს.

ვ. რ.: ვეშაპელი როგორ მოკლეს?

შ. მ.: ვეშაპელი მოკლეს ოცდაექვს წელს. იგი იყო უცხოეთში, როგორც მემარჯვენე პარტიის წარმომადგენელი. ოცდასამ წელს ბუდუ მდივანი ჩამოდის პრაღაში და ეძებს ხალხს, რომლებიც დაბრუნდებიან საქართველოში, ე. ი. ვინც ურიგდება საბჭოთა ხელისუფლებას. თან მოყვება ლევან ღოღობერიძე. მათ დავალებული ჰქონდათ, რომ მოაწყონ იმათი დაბრუნება, რომლებიც უკმაყოფილო არიან ჟორდანიასი, რომ გაყვნენ და რომელ პარტიას ეკუთვნიან, — არა აქვს მნიშვნელობა. ეს საქმე ბოლოს მიანდეს ვეშაპელს. ვეშაპელი ხომ ოპოზიციაში იყო აქაც და იქაც, გადაუწყვეტია უკან დაბრუნება, ბუდუ მდივანს მოუხერხებია საიდუმლო მოლაპარაკება მასთან და მისცა გაზეთ „საქართველოს" გამოცემის საშუალება ქართულად. ეს გაზეთი უკან დამბრუნებელ ქართველთა ორგანო იყო. ჩაითრია ამ საქმეში მენშევიკი კაჩუხაშვილი, ადვოკატი, ჩვენ დროს ქუთაისის გუბერნიის კომისარი. მისი შემდგომი ბედი ასეთია, დაბრუნდა აქ და თავი მოიკლა.

მე სასტიკი წინააღმდეგი წავედი ამ აქციისა, ე. ი. უკან დაბრუნებისა, მაგრამ ზოგიერთი მაინც დაბრუნდა. კაჩუხაშვილს ერთი გოგო ყავდა აქ დატოვებული, მეტი არავინ და მინდა დავბრუნდე, ჩემი შვილი ვნახოო, მოვძებნოო.

მე უკვე თეთრი გიორგის ორგანიზაციასთან ვარ დაკავშირებული. მე მოგახსენეთ, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძემ მეტეხის ციხეში წამოაყენა ეს იდეათქო და სალია და სხვები როდესაც ჩავიდნენ, დააარსეს ეს ორგანიზაციათქო ოცდაორი წლის ბოლოს პარიზში.

ვისაც დაბრუნება ხურს, ვინც იქნება, გადაწყვიტეს, რომ შეიკრიბებიან პარიზში და იქიდან წავლენ საქართველოში. უკვე ყველამ იცის — ვინ მიდის და ვინ — არა. მოდის ჯანჯღავა, მენშევიკი იყო, მოდის თურქია, ბიძინა რამიშვილი, დაიღუპა.

ვ. რ.: ფანჯრიდან გადმოხტა...

შ. მ.: არ ვიცოდი...

ვ. რ.: ჩეკას შენობიდან გადმოხტა, როცა აწამებდნენ.

შ. მ.: არ ვიცოდი ეგ ამბავი.

იმას მოგახსენებდით, რომ შეიკრიბნენ პარიზში, სადაც საერთოდ ხდება გამოსვლები, ცნობილი „ზალაა“, პოლიტიკურ საკითხებზე გამოდიან, სულ ერთია რა მიმართულებისა ხართ, ემიგრანტი იქნები თუ არა.

ვეშაპელის ჯგუფში არის ვინმე მერაბიშვილი, ვეშაპელის ნდობით აღჭურვილი პირი თბილისიდან. მისი და შოვიდა ჩემთან ორმოცდათხუთმეტში, მე რომ აქ ჩამომიყვანეს და გამომკითხა მის შესახებ.

შეიკრიბნენ, უკან დაბრუნება ვისაც სურს, ამ დარბაზში პარიზში, მარტონი არიან და თეთრი გიორგის ორგანიზაციამ, რომლის სათავეში მაშინ იყო ლეო კერესელიძე, მოახდინა თავდასხმა ამ დარბაზში, სადაც არავინ არავის არასდროს არ დასხმია. სიმონიკა ბერეჟიანი იყო, პოეტი და მწერალი, წაიყვანა ბიჭები, შეიჭრა დარბაზში და დააცხრა თავს. აქ არიან საბჭოების საელჩოს წარმომადგენლებიც. საელჩო ისტუმრებს ამათ საქართველოში და ამის შესახებ გაზეთშიც გამოაქვეყნეს ცნობა, რომ საქართველოში უკან დაბრუნებულები შეიკრიბნენ ამა და ამ დღეს ამა და ამ საათზე. შეიჭრნენ თეთრი გიორგის ორგანიზაციის წევრები და დაიწყეს ამათი გარეკვა. გამორეკეს გარეთ. არავინ ამას არ ელოდა, არასდროს, ასეთი რამ არ მომხდარა და შეშინდნენ. სიმონიკა ღონიერი ბიჭი იყო, თაყაიშვილი იყო, დეიდას უშვილებია, ექვთიმე თაყაიშვილის ძალიან ახლობელი იყო და გამორეკეს თხებივით გარეთ. პარიზის პრესა აყაყანდა — ესენი ვინ არიანო. საშუალებას არ გვაძლევენ ჩვენი წესები დაცული იყოსო. ამიტომ მისცეს პასუხისგებაში სიმონიკა ბერეჟიანი. შეიარაღებული თავდასხმისათვის შედგა პროცესი პირველ ინსტანციაში. მე მაშინ პარიზში არ ვიყავი.

პროცესზე ბრალმდებელი არის არც მეტი, არც ნაკლები, ტორეზის ძმა, ცნობილი ადვოკატი. ტორეზი კომუნისტური პარტიის ლიდერია. ეს ძმა ცნობილი ადვოკატია, ებრაელია, სინაგოგაში დადის, თავად ტორეზი არ დადის ან როგორ წავა — კომუნისტია, ფრანგი ვარო. ვისაც ფრანგული პასპორტი აქვს, ეროვნება არ იწერება. ეროვნება და ქვეშევრდომობა ერთი და იგივე მცნებაა. ვისაც ფრანგული პასპორტი აქვს, ჩინელია თუ იაპონელი — ის ფრანგია და პრეზიდენტად შეიძლება აირჩიო. ბრალმდებელი, ვეშაპელის და უკან დამბრუნებლების ინტერესების დამცველიც ამავე დროს, ეკითხება სიმონიკას: ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედო. ვცნობო. ჩაწერეთ ოქმშიო — მოითხოვა ტორეზმა. შეიარაღებული თავდასხმა მოაწყვეთო? დიახო. შეიტანეთ ოქმშიო — ისევ მიმართა მდივანს. თქვენ თუ გქონდათ იარაღიო. დიახო. ჩაიწერეთო. ჩაწერეს. ე. ი. სიმონიკა შეიარაღებული დაესხა თავს ამ მიტინგს. რა იარაღით

იყავი შეიარაღებულიო. რა იარაღითო და ასწია მუჭი მაღლა. მაღალი ღმერთის სულის ჩაბერვით და ჩემი მარჯვენა ხელითო. „მონ დიო!“ იყვირა ტორეზმა, ე. ი. ღმერთო ჩემოო, ამას რას ამბობსო. ამას ეგონა, რომ სიმონიკა იტყვის, რევოლვერით ან ხანჯლით ვიყავი შეიარაღებულიო და სიმონიკამ ჩემი მარჯვენათიო, მის პრაქტიკაში ასეთი რამ არ მომხდარა, რომ ჩააწერინოს შეიარაღებული ვიყავი და მარჯვენათი ვიყავი შეიარაღებულიო. ეს „მონ დიო“ შეიქმნა მერე ყველა ადვოკატისთვის სალამი. მე ვიცნობდი ფრანგ ადვოკატებს. ერთმანეთს „ბონეურ მესიეო“ კი არ ეტყოდნენ — „მონ დიოო“ — ისეთი ჩახლეჩილი ხმით, როგორიც ტორეზს ჰქონდა, ე. ი. როგორც „ჰაილ ჰიტლერი“ იყო, ასევე იყო სიმონიკას გამო ტორეზის მიერ წარმოთქმული „მონ დიო“.

პროცესი დამთავრდა იმით, რომ გაამართლეს სიმონიკა ბერეჟიანი. გამოდის ვეშაპელი, ტაქსში რომ ჩაჯდეს. თან მოყვება მერაბიშვილი. ტაქსში რომ შედგა ფეხი, მერაბიშვილმა ესროლა ზურგში რევოლვერი და მოკლა, მოკლა მისივე კაცმა.

გ. რ.: ვისი აქცია იყო?

— შ. მ.: აზრი ემიგრაციისა იყო, რომ მერაბიშვილი ჩავთვალეთ პროვოკატორად, საბჭოების მიერ დაჭირავებულ კაცად, ე. ი. მერაბიშვილი ვეშაპელთან შევიდა განგებ. საბჭოთა მთავრობისგან ჰქონდა დავალებული ვეშაპელის მოკვლა. მისი უკან დაბრუნება არ იყო სასურველი, იმიტომ, რომ უკიდურესი მემარჯვენე იყო. გამოიყენეს ჟორდანიას წინააღმდეგ. მაგრამ ასეთი კაცის ყოლა მათთვისაც არ იყო სასურველი, გამოიყენეს და მოკლეს. რომ არც მოეკლათ — აქ დაბრუნებული კაცის საქმე გათავებულია. ცოცხალი თუ დარჩება, მადლობა ღმერთს, თუ არა და თავი უნდა მოიკლა. კაჩუხაშვილმა, თევზაიამ, ნიკო ინასარიძემ თავი მოიკლეს. მერაბიშვილი ბელგიაში გადაასახლეს. ვითომ მდიდარი ბელგიელი ქალი შეურთავს, მაგრამ ჩვენ ვეჭვობდით, რომ ეს მოსკოვის ფულია. მერე გადავიდა ჩილეში თავისუფლად. შვილები რომ შეეძინათ, ვიქტორ ნოზაძე აიყვანა ქართული ენის მასწავლებლად, ჩილეში წაიყვანა, ზოგიერთები მაინც პატრიოტად თვლიდნენ. მე კი კატეგორიულად ვამბობდი, რომ პროვოკატორიათქო. მერე ამერიკაში გადავიდა. გაუხსნია დიდი რესტორანი და ეს რესტორანია ბუდე ჩვენი სუხიშვილისა და რამიშვილის. ანზორ კავსაძე ყოფილა, ჩემი ყურით მოვისმინე, რომ ყველაზოდა რუსთაველზე — რა პატივი გვცა, ჩიტის რძე არ აკლდა, რანაირად შეგვხვდა მერაბიშვილიო. ამიტომ მე ვთვლი, რომ მე ვიყავი მართალი. მერაბიშვილი პროვოკატორი იყო. მოკლეს კაცი, რომელიც რომ დაბრუნდებოდა და ნახავდა რა არის და როგორ არის, ამას იტყოდა და რა საჭიროა ასეთი კაცი, რომელიც სულ რუსეთის წინააღმდეგ ილაპარაკებდა.

ასე, რომ ორმოცდახუთ კაცს რომ ვახშამს გაუმართავს, საბჭოეთი-

დან ჩასულებს და, ჩიტის რძე არ აკლდაო და მოკლა კაცი, რომელიც უკან ბრუნდებოდა, საბჭოეთში, თან ჟორდანიას და ემიგრაციას ებრძოდა, როგორც რეაქციას, ახლა ხომ მაინც ნათელია. მისი პროვოკატორობა იქიდანაც ჩანს, რომ როდესაც ომი თავდებოდა, ჩემი ბიძაშვილი ვარლამ მაღლაკელიძე, რომელიც ტყვედ იყო ჩემთან ჩავარდნილი, მასწავლებელია, ახლაც აქ არის თბილისში, ვენის სადგურზე გამოვიარე, მე თავისუფლად ვმოგზაურობდი ყველგან, ვარლამი კი ტყვე არის, და ვხედავ ეკამათება ვიღაცას. მე მერაბიშვილი არ მენახა, არ ვიცნობდი პირადად. თურმე ვენაში მოსულა. ე. ი. ეს კაცი მუშაობს ბოლშევიკებს და საბჭოების წინააღმდეგ ემიგრაციაში მაშინ, როდესაც არც ერთ ორგანიზაციაში არ შედიოდა და ედავება ჩემს ბიძაშვილს. ჩემი ბიძაშვილი იცავს საბჭოების პოზიციას. მერაბიშვილი კი — „თქვენ ასეთები ხართ, თქვენ ისეთები ხართ“, ე. ი. ზედმეტად ილანძღება, დიდ პატრიოტობას იჩენს, მაშინ ვეშაპელის მოკვლა ჩვენგან დავალებით უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ასე არ არის. რამიშვილს მისთვის ეს არ მიუნდვია. ეს ფაქტია. მერაბიშვილი არავის არ ეკარებოდა, მე არ ვიყავი იქ, მაგრამ გაგებული მაქვს ეს.

მე ჩავერიე ლაპარაკში. რა გვარი ბრძანდებით-მეთქი. მერაბიშვილი გახლავართო. არა ხართ პატიოსანი კაცი-თქო. მე არც ჩემი ბიძაშვილი მომწონს, მაგრამ ამაზე მეტი ქომაგი საბჭოთა ხელისუფლების თქვენ ბრძანდებითთქო. ხმა არ ამოუღია და წავიდა. მოწმეა აგერ ჩემი ბიძაშვილი.

ვ. რ.: ე. ი. თავისი სიჩუმით თავისი თავი გაყიდა.

შ. მ.: აშკარად!

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ნოე რამიშვილის მკვლელობის შესახებ გვიამბეთ.

შ. მ.: ნოე რამიშვილი იყო ყველაზე ძლიერი პარტიული მუშაკი. თავის დროზე გერმანიაში სწავლობდა. დამოუკიდებლობის საქმე მან გააკეთა და არა ჟორდანიამ. არ უყვარდა ჟორდანია. ჩემთვის არაერთხელ უთქვამს: მე შინაგან საქმეთა მინისტრიო და მაგი პრეზიდენტიო, თითი არ გაუნძრევიაო, კაცო! როცა სერიოზული საქმე არისო, მოიხვევს შალსო, ეს მტკივა, ის მტკივაო და ნოე რამიშვილთან წადითო, ჩემთან აგზავნისო. რადიკალურად მტრულად განწყობილი მენშევიკი იყო, ბოლშევიზმი რომ სძულდა, როგორც იდეა. თუ რაიმე კეთდებოდა ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ საქართველოში, მისი სულის ჩამდგმელი იყო ნოე რამიშვილი და ხომერიკი, იყო ასეთი ძლიერი, მე რომ მოგახსენეთ.

ოცდაექვს წელს მოკლეს. მე იქ არ ვიყავი, რიგაში ვიყავი, მაგრამ მოგახსენებთ, როგორ მოხდა.

ვინმე კეჭაყმაძე იყო ემიგრანტი, მენშევიკი, ნოესთან ერთად წასული უცხოეთში, ერთ საღამოს წაჩხუბებულან ძალიან, რომ იტყვიან, ერთმა-

ნეთზე გაუწევიათ. ნოე არ იყო გამწევი კაცი, კეჭაყმაძე ყოფილა და ხდება ეს მენშევიკების პარტიულ კრებაზე. მეორე დღეს, თორმეტ საათზე, როდესაც ნოე რამიშვილი მიდიოდა ქუჩაში, პარიზში და მიყვება მენაღარიშვილი, კონსტანტინოპოლში ყავდა წარმომადგენლად, მენშვიკი, გავლენიანი, მაგარი ბიჭი, ერთად მიდიან ქუჩაში და კეჭაყმაძე მისულა უკნიდან და დაახალა რევოლვერი ზურგში. რა იყო ახლა მოკვლის მიზეზი, წალაპარაკება? მაგას ვინ დაიჯერებს, კაცო და მერე რა კაცი მოკლა, ანდა რატომ უნდა მოეკლა? პარიზის პრესაში დაწერეს, რომ მოკლული შინაგან საქმეთა მინისტრი აღმოჩნდაო და წინდებიო დაშტოფილი ჰქონდაო, ე. ი. პატიოსანი კაცი იყოო და მართლაც ასეც იყო. —

კეჭაყმაძე გაასამართლეს. რა მიუსაჯეს, არ ვიცი და არც მაინტერესებს მე ეს, მხოლოდ ფაქტია, რომ კეჭაყმაძე იყო საბჭოების დაქირავებული აგენტი.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ჩხეიძის ბედი როგორი იყო, თავი როგორ მოიკლა?

შ. მ.: პარიზთან ახლოს არის სოფელი ლევილი. აქ არის მარკიზის სასახლე და ჩვენი ემიგრანტული მთავრობა როდესაც ჩავიდა, ბენია ჩხიკვიშვილის სახელზე იყიდეს ეს სასახლე და გახდა ქართველების ცენტრი ლევილი. აქ ცხოვრობდა ჩხეიძეც.

კარლო ჩხეიძემ ფრანგული არ იცოდა, ვერ შეეგუა ემიგრაციას, მეტისმეტად დაღონებული იყო, ასევე, როგორც ნესტორ კალანდაძე. ჩხეიძეს ყავდა ორი ქალიშვილი. რუსის ცოლი ყავდა. ფული არ ჰქონდა. ჩემთან რომ ჩამოვიდა, მარტო გზის ფული მიცეს პრაღამდე და თუ საქმეს ვერ მოაგვარებო, აბა ვნახოთ, როგორ დაბრუნდებიო, გზის ფულს სად იშოვითო. ე. ი. დაჩაგრული კაცი იყო. მიზეზი არა ჩანს, გარდა იმისა, რომ არ უნდოდა ასეთი სიცოცხლე, ჩემს ცხოვრებას ფასი არ აქვსო და ერთ დილას ლოგინში რომ იწვა, მისი ცოლის და ქალიშვილის ნაამბობია, ლოგინში რაღაცას აკეთებსო საბნის ქვეშო...

ვ. რ.: ე. ი. არ მოუკლავთ?

შ. მ.: არა, არ მოუკლავთ. თავი მოიკლა პურის საჭრელი დანით, ხერხის დანით, ე. ი. წამებით, კაცო, ცოლი ამბობდა, რაღაცას აკეთებდაო და ე. ი. ყელს იჭრის თურმე პურის დანით, კაცო.

ვ. რ.: ავალიშვილის წიგნზე რას ბრძანებთ?

შ. მ.: ზურაბ ავალიშვილი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა. მან გამოსცა წიგნი „საქართველოს დამოუკიდებლობა“ რუსულ ენაზე. ეს წიგნი მენშევიკური მთავრობის მუშაობის კრიტიკა არის და ობიექტური კრიტიკა არის, ჩემის აზრით. მაშინ წიგნის თარგმნისთვის ფულს არ იხდიდნენ. ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად საბჭოთა ხელისუფლება დაინტერესდა ამ წიგნით. ერთი ებრაელი იყო, წიგნებს ვყიდულობდი მასთან და ამ ებრაელმა შეატყობინა ზურაბს, რომ საბჭოთა

მთავრობას სურს ამ წიგნის ქართულად თარგმნა. ეტყობა გადაბირება უნდოდათ, თორემ ვინ ვის ეკითხებოდა წიგნის თარგმნის თანხმობას. ზურაბმა უთხრა, რომ საბჭოების ფულს ვერ ავიღებო და ჩემს თანამემამულეებს უნდა შევეკითხოო. კოკი დადიანთან ერთად ვცხოვრობდი მე სახლში, პარიზში, თეთრი გიორგელი იყო. ახალ სენაკის თავად-აზნაურობის ხელმძღვანელი, სიმონ წერეთლის ქალიშვილი ყავდა ცოლად, სხვათა შორის, ამ ბინის ქირას იხდიდა ეგვიპტის მეფის ფარუხის და. ლონდონში უნახავს კოლეჯში ბავშვები — კოკი და ქეთევანი, ძალიან მოეწონა და უკითხავს, ვინ არიანო. ქართველები არიანო, დადიანებიო დღ საფრანგეთში როდესაც გადმოვიდნენ, ამ ხუთოთახიანი ბინის ქირას უხდიდა. მე ბინა არ მქონდა პარიზში და მეც კოკი დადიანის ბინაში ვცხოვრობდი, რაც პარიზში ვიყავი, ხუთი წელიწადი, 34—38 წლებში.

მოვიდა ზურაბი აქ და გვითხრა წიგნის თაობაზე.

ხშირად მოდიოდა ზურაბი ჩვენთან. აქ მოდიოდა აკაკი წერეთლის შვილი ალექსიც, რუსული ბალეტის დირექტორი — „ბალეტ კნიაზა წერეთელი“. მთელ მსოფლიოში დადიოდა.

ფულის, ჰონორარის აღებაზე უარი თქვა ზურაბმა, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის წიგნები იყო გამოსული და შევთანხმდით, რომ ეს წიგნები მოეცათ ჩვენთვის. ჩავეწერეთ ასე ორმოცი კაცი ჯავახიშვილის წიგნებზე, ე. ი. რაც იმ დროისათვის ჯავახიშვილმა გამოსცა ჩვენ უნდა მივიღოთ.

შეატყობინა ებრაელმა — წიგნები მოვიდაო. წავედით მე და ზურაბი. იმაზე ველაპარაკობთ, რომ ამდენ წიგნებს როგორ წამოვიღებთ და გამოიტანა ერთი ცალი წიგნი ამ ებრაელმა და თხუთმეტი ფრანკი ღირსო. ასე დამთავრდა ამ წიგნის ისტორია.

რიგაში დაარსდა საზოგადოება „ობშესტვო პომოშჩი კავკაზცამ“. თავმჯდომარე გავხდი მე. ერთი პერიოდი ჟურნალი „კავკაზიც“ გამოვუშვით. ვინაიდან ლატვია გასაბჭოებული იყო ადრე, ცოტა ხნით, ამიტომ ის ელემენტები დარჩენილი არიან და ბოლოს გათავდა საქმე იმით, რომ ორმოც წელს ლატვია, ლიტვა და ესტონეთი გასაბჭოდა, თოფიც რომ არ გაუსვრიათ ისე. ლატვიის მთავრობის თავმჯდომარე ულმანისი პრეზიდენტი ლატვიის, გლეხთა პარტიის ლიდერი, ამერიკაში იყო აღზრდილი და ეს კაცი წაიყვანეს რუსეთში და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გაუშვეს, კარგად იცით აგრონომიული საქმეო, აი ამისთანა კაცი. ჩემი მთავარი საქმე იყო ანტისაბჭოურ საზოგადოებებთან მუშაობა და მათ შორის „ენტეესთან“. მე ვცხოვრობდი პასკევიჩის ქუჩაზე, ვინმე შვანგირაძის ბინაში, ყავდა ცოლად შვედი ქალი. ბავშვობაში გაუტაციათ, ექვსი წლის რომ ყოფილა შვანგირაძე, ქუთაისის ცირკიდან. იტალიელების ცირკის დირექტორს უშვილებია, დაურქმევია ჯორჯიო. ცირკი დადიოდა

გასტროლებზე და ჩამოსულან ისევ ქუთაისში ათი-თორმეტი წლის შემდეგ. ჯიგიტი გამხდარა, კარგი ჯიგიტი. ერთ-ერთი გამოსვლის დროს დედინაცვალმა იცნო ეს ბიჭი, გამოვარდა არენაზე, კინალამ ცხენმა გადათელა, ექვსი წლის შემდეგ სულ ეძებს, ყველა აბრალებს ბავშვი დაკარგეო და ცირკი რომ ჩამოდის, მაშინვე მიდის სანახავად. იცნო ბიჭი და ყვირის: ჩემო გოგია! ჩემო გოგიაო!! პოლიციელებმა დაიჭირეს, მეფის დროს ხდება ეს ამბავი და გაგიჟდა ქალიო, მაგრამ გენერალი იყო მიქელაძე, თავადი შვანგირაძის მამა მასთან მზარეულად მუშაობდა. მოვიდენ მასთან და უთხრეს. ქალი დაიჭირესო, „ჩემი გოგიაო“ ყვირისო. მიეიდა მიქელაძე და იმანაც იცნო ეს ბიჭი. წაართვეს ეს ბიჭი იტალიელებს. ბიჭმა ქართული არ იცის; მაგრამ, როგორც იქნა, გააგებინა, რომ ისევ ცირკში მინდაო და არმავირში დაწევია თავის ცირკს. ცირკში ჭენების დროს გადმოვარდა ცხენიდან და ერთი თვალი დაუშავდა, ასე რომ ცირკისათვის ჯიგიტად აღარ გამოდგება. აიყვანეს სამეურნეო ნაწილში. შემდეგ თბილისში ჩამოვიდა და „ბაბიგარადოკი“ რომ ვახსენე, იქ შეხვდა რუსის ქალს. მოიყვანა ცოლად ვინმე ფედოსეევა. თბილისიდან წავიდნენ არმავირში და ამ ფედოსეევამ უღალატა, ვიღაც კაზაკთან ერთად გაიპარა. დარჩა ისევ მარტო. ბოლოს რევოლუციის დროს მოხვდა რიგაში. ყველაფერი ეს თავად მომიყვა. შეურთავს შვედი ქალი. ყავს შვილები. ერთი მათგანი დიპლომატს მითხოვდა. ბიჭი ყავს, სტუდენტია, სტიპენდიას მე ვაძლევ, კავკასიური საზოგადოების გამგეობის წევრია. ამ სახლში ვცხოვრობ მე და ამ სახლში ცხოვრობს იაპონიის ატაშე, რომელსაც მდივნად ყავს შვანგირაძის გოგო ნინო, ამიტომ მე ახლოს ვიყავი ამ ატაშესთან. რუსული კარგად იცოდა. საერთოდ იაპონელმა უსათუოდ ის ენა უნდა იცოდეს, სადაც მიდის, მაგრამ ხშირად მალავს, არ ვიცით, ეს მიღებულია.

ერთ მშვენიერ საღამოს მითხრა, ხშირად ვლაპარაკობდით საქართველოზე და მითხრა, სიტყვა-სიტყვით მოგახსენებთ ბატონო, რომა „ახოტა ვამ ვისტავლიაც ნა სვეტ ბოჟიი კაკოეტო პრავიტელსტვო, კატორი ნე იმეეტ ნი ტერიტორიი ნე ნეროდა, მისლიმო ლი პრავიტელსტვო ბეზ ტერიტორიი ი ნასელენია. უდივლიაუს, პოჩემუ ვამ პონადობილოს ოპირატსა ნა მენშევიტსკოე ილი ბოლშევიტსკოე პრავიტელსტვო, კაკ ბუდტო ვი სეგოდნია რადილიხო. ნეტ ნა სვეტე ნე ოდნოი დინასტიი, კატორაია იმელა ბი სტოლკო კარალეი, კულტურნეიშიხ, პროსვეშჩიონნიხ კაკ გრუზინსკაია დინასტია ბაგრატიონოვ. ვამ ნადო ბილო პასტუპიც პოდობნო ვენგრამ. ანი ვასტანავილი კარონუ სვიატოგო სტეფანა, ნეი იმეია კოროლია ს ოდინადცატოგო ვეკა, დევიატ ვეკოვ ნე იმერია კარონუ. ა ვი პატერიალი ნედავნო ვოსემსოტპერვომ გოდუ. ვი დოლუნი ნასტაივატ ნა ტო, ჩტო ბილო ვასტანოვლენო კარონა გრუზინსკიხ ბაგრატიონოვ“.

ოცდათოთხმეტში მე გადავედი პარიზში. ამ დროს იქ ჩამოდის ირაკ-

ლი ბაგრატიონი. ჩამოვიდა დავით შალიკაშვილი, პოლკოვნიკი, საფრანგეთის ჯარში მსახურობდა, უცხო ლეგიონში, თავადიშვილი, ძალიან საინტერესო კაცი, ისიც ჩამოვიდა პარიზში აფრიკიდან, თამარ ბაგრატიონის ბინაზე, სადაც გაჩერდა ირაკლი ბაგრატიონი. ერთ დღეს, მეც ვიყავი მიპატიჟებული და დავით შალიკაშვილი ეუბნება თამარ ბაგრატიონს, რომ ეს ქალი ვინ არისო, შპაკინაო. ამბობენო, აქ ვინმე სალია არისო და მისი საყვარელიაო. მეორე დღეს ვეკითხები გიორგი ნოზაძეს ამის შესახებ. გიორგიმ მითხრა, აქ პარიზში უნივერსიტეტში სწავლობდა ერთი თელაველი ბიჭიო და ახლა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არისო, დას მოუთავსებია საგიჟეთშიო. წავედით მის სახლში, რომ პასუხი მოვთხოვოთო, როგორ ჩასვა დამ თავისი ძმა საგიჟეთშიო. მე ვარო, სალიაო, ჯაყელი და ნიკო ჭავჭავაძეო. შევედით სახლში. ქმარი სახლში არ არის, რუსულად გველაპარაკებაო, ნინო ქვიაო. ქართულად მიემართეთო და — „ნე პანიმაიუო“, მოკლედ, გვითხრა, რომ მეჩხუბებოდა ხოლმეო და ნერვიულ კლინიკაში მოვათავსეო. ჩვენ წამოვედით. სალიას მოწონებია ეს ქალი და დარჩენილა. გამხდარა ეს ქალი სალიას საყვარელი. გაიარა დრომ და ახლა მე ჩავდივარ პარიზში. მე ამირჩიეს „თეთრი გიორგის“ მეთაურად. ლეო კერესელიძეს მაგივრად, როდესაც მეორე „თეთრი გიორგი დაარსდა, გაერთიანებული „თეთრი გიორგის“ მეთაურად. ჩვენ მივდივართ ხოლმე შპაკინასთან. ქმარიც აქ არის და სალიაც რჩება ხოლმე ღამე აქ. ნინო სალიას ცოლი გახდა მერე. სალია განსაკუთრებით ირაკლი ბაგრატიონს პატრონობს, ირაკლი კი ჩვენთან არის. ნინომ გამოაცხადა თავისი თავი ირაკლის დედობილად და ირაკლი ბატონიშვილს მდიდარი ქალი უნდა შევრთოთო. ინდოელი მაჰარაჯა არის, ცოლი ყავს ნახევრად იტალიელი, ნახევრად სომეხი, ულამაზესი ქალი. კონკორდიაზე აქვს სასახლე. ჩალმიანი დარაჯი უდგას, მამაკაცი რომ არ შევიდეს. მაჰარაჯა წელიწადში ერთხელ ჩამოდის ხოლმე და ამ ქალის შერთვა უნდა ირაკლისათვის შპაკინას.

ჩვენ მივდივართ ხოლმე, როგორც გითხარით, შპაკინასთან. შპაკინას ქმარი, სუფრასთან არასოდეს არ ზის, ექიმია, რუსია შპაკინი.

შპაკინი თავის დროზე იყო რუსული სანიტარული მატარებლის უფროსი, ნინო შპაკინა, როგორც დადასტურდა, იმ დროს საკმაო სიმდიდრის მფლობელი იყო, რომლის წყარო ნამდვილად საბჭოების ფული იქნებოდა, სხვანაირად, აბა, რა გზით უნდა გამდიდრებულიყო. ნინოს ეს ქმარი მზარეულად ყავს. ე. ი. მონასავით ყავს, არც მალავს, რომ სალია მისი მეგობარია. ერთ საღამოს შპაკინმა კინოში დამპატიჟა და იქ მითხრა ყველაფერი. სალია ნინოსთან დარჩა. მერე ვნახე სალია და ვუთხარი: ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი, ყველაზე პასუხისმგებელი პირი ხარ სხვებთან შედარებით და ამას რას აკეთებთქო.

დავაყენე საკითხი ორგანიზაციაში. დავიბარე სალია და ვთქვი: ან

უნდა ჩამოშორდეს სალია შპაკინას ან განთავისუფლებულ იქნას ორგანიზაციიდან-თქო. სალია გავუშვით „თეთრი გიორგიდან“.

ამის შემდეგ მე შემომაქვს იდეა, რომ ჩვენ უნდა ავიღოთ მონარქიულ-ფაშისტური იდეოლოგია, როგორც იტალიაში არის. გერმანიაში ფაშიზმი არ უოფილა. გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმი იყო და არავითარი საერთო არ აქვს ფაშიზმთან არც პროგრამით. არც სხვა რამე დავაყენე საკითხი, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ იდეოლოგია ფაშიზმის, ე. ი. კორპორაციულ-პროფესიული პოლიტიკურად და კოოპერატიული ეკონომიკურად — ეს არის ფაშიზმი. „ფაშიო“ — ერთად შეკრულს, კონას ნიშნავს იტალიურად, ე. ი. ყველა პროფესიის კაცს უმაღლეს ორგანოში ყავს მისი პროფესიის წარმომადგენელი. ეს არის კორპორატიული წყობა. მოველაპარაკე შალვა ამირეჯიბს. ჩემი კარგი მეგობარი იყო. ხუმრობით შალვა იყო „გუბერსკი“ თამადა, მე ვიყავი „უეზდნი“ თამადა. ასე იყო სუფრაზე. შესანიშნავი მოლაპარაკე იყო. ათასჯერ ჩემზე უკეთესი და თუ შალვა არ არის სუფრაზე — მაშინ მე ვარ თამადა. ზოგჯერ ხასიათზე არ არის და შენ მოვალე ხარ, „უეზდნი“ თამადა ხარო, ითამადეო. ეს იდეა ჩემი იყო, მონარქო-ფაშიზმის იდეა; იაპონიის ელჩის ნათქვამიც ხომ დამამახსოვრდა და მეც გაჟღენთილი ვიყავი ამ სულით, მონარქიის აღდგენით*.

ჩვენი ორგანიზაცია ჩვენი შრომის ხარჯზეა. ფულს ჩვენ არ ვღებულობთ არავითარ შემთხვევაში. დომბროვსკიმ მიგვიწვია და გვითხრა ვიქტორ ნოზაძის თანდასწრებით, რომაო, რასაც ჩვენ ვაძლევთ კოალიციას მენშევიკებისას, ნაციონალ-დემოკრატებისას, ესერებისას, იმდენს მოგცემთ თქვენო. კატეგორიულად უარი ვუთხარით, სისუფთავეს ვიცავთ და არც ერთი კაპიკი არ მიგვიღია.

აკაკი ჩხენკელსაც მოველაპარაკე, მენშევიკი იყო და ჩუმად მაინც მოგვეხმარეთქო. კარგიო.

ზურაბ ავალიშვილს მოველაპარაკე. ისეთი კაცი იყო არ წამდა არც ერთი პარტია, წამდა მხოლოდ კონიაკი, დიდი განათლებული კაცი იყო. კაფეში დაჯდებოდა, წაიკითხავდა, დაწერდა, გააკეთებდა ამას კონიაკის ქვეშ. იყო დიდი, მძიმე, კახელი კაცი, თავადიშვილი, დედა უავდა ბარონესა კოხი. პეტერბურგში ჰქონდა დამთავრებული იურიდიული ფაკულტეტი, იქ იყო ადვოკატი თავის დროზე, ძალიან გამოჩენილი ადვოკატი, პარტიაში არ შედიოდა, მაგრამ მე მომეხმარა.

შევქმენით ორგანიზაცია და რეგისტრაცია გავუკეთეთ მონარქო-ფა-

---

* ფაშისტური იდეებით გატაცება ხანმოკლე აღმოჩნდა ბ-ნ შ. მაღლაკელიძისათვის. მალე იგი მთლიანად გერმანულ სამხედრო უწყებაში გადაინაცვლებს და არათუ არცერთ პარტიაში არ შედის, არამედ მთელი ომის განმავლობაში ქართულ სამხრეებსაც არ იცილებს. — ვ. რ.

შისტურ დარაზმულობას „ქართლოსი“. ჟურნალიც გამოდიოდა „ქართლოსი“. კაეშირი გქონდა იტალიასთან.

ოცდათერამეტ წელს წამოვედი პარიზიდან გერმანიაში და მონარქოფაშისტურ დარაზმულობას დავცილდი.

ჩვენთან კავშირს ამყარებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციები. პირველი, ვინც ურთიერთობა დაამყარა ჩვენთან, იყვნენ სომხები. მე დავაარსე ორგანიზაცია სომეხ და ქართველთა კავშირი — „უნიონი“. გაზეთი გამოდიოდა. აზერბაიჯანელი მუსავატისტებიც მოვიდნენ.

საშა, ალექსანდრე ერისთავი იყო მეფის ამალის გენერალი, ქართლიდან ცხრაასხუთ წელს წასულა რუსეთში მისი ოჯახი. საშა ერთ-ერთი შვილი იყო. ნახევრად გარუსებული, ცოლიც რუსი ყავდა, შვილი არ ყავდა. დენიკინის არმიაში, იყო. მისი ახლობელი კაცი იყო და ცხოვრობდა პარიზში. მისი ძმა მიტუშაც გენერალი იყო. ცნობილი, ულამაზესი ქალის, მერი შერვაშიძის მეუღლე. ნიკოლოზ მეორემ უთხრა მერი შერვაშიძეს „ვი კნიაგინია, გრეშიტე პერედ პრიროდოი“ — ბუნებასაც არ შეუქმნია ასეთი სილამაზეო.

ალექსანდრე იყო მეფის საარტილერიო პოლკის უფროსი, როდესაც დადგა საბჭოთა ქვეყნის საქმეში ჩარევის საკითხი, არ მახსოვს, ზუსტად, ოცდათოთხმეტი თუ ოცდათხუთმეტი წელია, შეიქმნა ორგანიზაცია „ობშევოისკოვი სოიუზ“. უნდა მოინახოს ხელმძღვანელი, ავტორიტეტი, ვინც გაუძღვება ამ საქმეს. შტაბი უნდა დაარსდეს. გაზეთებში დაიწერა, რომ მყარდება „ობშევოისკოვი სოიუზ“, მისი შტაბი იქნება პარიზში. მე ვიცნობდი ამ წრეებს, რუსის გენერლებს და მითხრეს — იქნებ შენც მიიღო მონაწილეობაო ამ საქმეშიო. გადავწყვიტეთ ვეწვიოთ დენიკინს, ვთხოვოთ, რომ უხელმძღვანელოს ამ დიდ აქციას. ბულონის ტყე თქვენ იცით და იქვე ცხოვრობს. იქ სხვათაშორის არის უცხო ლეგიონის შტაბი. კაცი რომ მოკლა ქუჩაში, მიხვიდე იმ შტაბში, დაირქმევ რა გვარსაც გინდა, პასუხისგებაში არ მიგცემენ, მაგრამ გაგაგზავნიან აფრიკაში,, კოლონიაში, თორმეტი წელი უნდა იმსახურო ძალიან მძიმე პირობებში. ზაზა ამილახვარი, კინწურაშვილი და ვაჩნაძე მსახურობდნენ ამ ლეგიონში.

წავედით ექვსი გენერალი და მეშვიდე მე ვარ, მივადექით ვილას, ორსართულიანი პატარა სახლია. შევედით ჰიშკარში. სახლიდან ახალგაზრდა მღვდელი გამოვიდა ანაფორაში, თურმე დენიკინის სიძეა, ყოფილი ოფიცერია. გზაში შევთანხმდით, რომ მე უნდა მივმართო. ქართველი რომ მიმართავსო, ესიამოვნებაო, ე. ი. დიდი მასშტაბის მოძრაობა იწყებაო და დათანხმდებაო. ქართველებიც კი, რომლებიც მათი მტრები არიან, ისინიც კი თხოვენ, რომ გაუძეხი ამ საქმესო. მე ამისთვის უფრო მივყავდით მასთან. შევედით სახლში, ოთხი ოთახისაგან შედგება, კარგად

მახსოვს. უბრალო, სადა ავეჯი. გამოვიდა პატარა ტანის კაცი „რიჟა“ წვერით. თურმე ეს არის დენიკინი. დაბრძანდითო, ჩვენ არ დავჯექით. თვითონაც არ დაჯდა. ცოლი არ ჩანს. მღვდელიც არ შემოსულა. ქალიშვილიც არ ჩანს. მერე დაუძახა და შემოვიდა ქალიშვილი.

მივმართე მე, როგორც მოლაპარაკებული ვიყავით, თუ რა თხოვნა გვქონდა მასთან, დავჯექით, მეუბნება მე დენიკინი, რომ „პო აქცენტუ მომენტალნო უზნაიუ აზერბაიჯანცა, ესტონცა ი დრუგიხ, ია სრაზუ დაგადალახა, ჩტო ვი გრუზინ, ვი სკაზალი „ტოლკო“, მიაგკი ზნაკ ისჩეზო“. გავიცინეთ ყველამ. ამის შემდეგ გვეუბნება: „ნე ვაშ ლი ზემლიაკ სიდიტ ვ კრემლე, სტალინ. ია ნე პოეტ, ნო ნესკოლკო სტროჩეკ სკაჟუ: „ონ ნე არმიანინ, ონ ნე გრეკ, ონ ვოსტოჩნი, ჩელოვეკ!“ ეტო ვ სტიხახ, ს მენია ბოლშე ნე ტრებუეტსა, ნო ეტოგო მალო. უ ნეგო მალო ხიტროსტი, მალო პოდლოსტი არმიანსკოი, ონ სინტეზ, ონ ოლიცეტვორენიე ვოსტოჩნოგო ფანატიკა. პაკა ონ სიდიტ ვ კრემლე, ია ნე მოგუ პრიმკნუც კ ვაშემუ დვიჟენიუ. პაკა ონ ჟივ ვსიაკაია ბორბა ბესპოლეზნო. ი ია ვამ ეტოგო ნე რეკომენდუიუ. კოგდა ია პოდოშოლ კ ნიჟნემუ ნოვგოროდუ ი ვსე ბეჟალი, ადინ სტალინ ასტალსა ვ კრემლე. ია ეტო ზნაიუ ჩერეზ მოიხ ლაზუტჩიკოვ“.

მადლობა გადავუხადეთ და წამოვედით უკან. ამის შემდეგ იყო, რომ საბჭოებმა მოიტაცეს და მოკლეს გენერალი კუტეპოვი და მერე მოიტაცეს და მოკლეს მილერი, ბალტიელი „ობშევოისკოვოი სოიუზის“ ხელმძღვანელები. ე. ი. მართალი იყო დენიკინი. მილერის მოტაცებას დიდი ამბავი მოყვა. რადგან საბჭოების აგენტი გამოდგა გენერალი, „ობშევოისკოვოი სოიუზის“ ოპერატიული ნაწილის გამგე და მისი ცოლი, მომღერალი, კრივიცკაია. ვითომ გამოექცენ ბოლშევიკებს და სინამდვილეში მათი გამოგზავნილები ყოფილან. გენერალი, გვარი აღარ მახსოვს მისი, გაქრა. კრივიცკაია დააპატიმრეს. გამოტყდა, რომ აგენტები იყვნენ ის და მისი ქმარი. შემდეგ ციხეში მოკვდა კრივიცკაია.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, რა იყო სომეხ-ქართველთა უნიონი?

შ. მ.: გვარი აღარ მახსოვს, სომეხი ექიმი იყო ბავშვების. მისი ორი ვაჟი გერმანიაში სწავლობდა, სტუდენტები იყვნენ, თბილისელი სომხები არიან და ქართველებთან კარგი ურთიერთობა აქვთ. რადგანაც მე დაახლოებული ვიყავი ჯემალიანთან, როგორც აკაკი ჩხენკელი იყო ჩვენთვის, ისე ჯემალიანი იყო დაშნაკებისათვის, ჯემალიანს სიძე ქართველი ყავდა ტუღუში და მე განვიზრახე და ვიქტორიც დამეთანხმა, რომ მოდი, სომხები რომ გულდაწყვეტილები არიან, ვითომ ჩვენ აზერბაიჯანელებთან უფრო კარგი ურთიერთობა გვაქვს ვიდრე სომხებთან, ამიტომ დავაარსოთ ახალგაზრდებისგან ქართველ-სომეხთა უნიონი, მაგრამ რანაირი კავშირი და ფაშისტური! ჩვენ უკვე არენაზე ვართ გამოსული, როგორც მონარქო-ფაშისტური, ამიტომ ის ორგანიზაცია, სომხურ-ქარ-

თული, მისი ფილიალი იყო და მე ვიყავი თავმჯდომარე. სულ რაღაც ორი-სამი გაზეთი გამოვიდა. მერე მე წამოვედი და ამით დამთავრდა.

ოცდაჩვიდმეტი წლის ბოლოს მე გადავედი ბერლინში. დადგა დრო, როდესაც გენერალური შტაბის მიერ შემუშავდა გეგმა, თუ როგორ ჩამოყალიბდეს მომავალი რუსეთი, რამდენ დჭ რანაირ ერთეულად. რუსეთის ტერიტორიიდან უნდა გამოიყოს სამი სახელმწიფო.. ესენია კაზაკია, უკრაინა და კავკასია, ე. ი., რუკაზე იქნება „კაზაკია“, რომელიც არასდროს არ არსებულა, უკრაინა და კავკასია, უკრაინის პატრონად აღიარებულია გეტმანი. კაზაკიას ტერიტორია იქნება ყუბანის, დონის, თერგის და ურალის კაზაკები, ატამანი პოპოვი იქნება პატრონი, რუსეთი რჩება, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი რუსეთში შევა.

საზღვარი უკრაინასა და კაზაკიას შორის უნდა ყოფილიყო დონის მთავრობის დადგენილების მიხედვით. დონის მთავრობა ხომ არსებობდა როსტოვში ცენტრით და მას უკრაინასთან ადრეც ჰქონდა საზღვარი. ამ საზღვრებს გერმანია დააწესებდა. კონფლიქტი რომ არ ყოფილიყო ურთიერთშორის. ყუბანის და თერგის კაზაკობაზე იყო უკმაყოფილება: რატომ უნდა შევიდეს კავკასიაშიო, რადგან მათი წარმომადგენლები, ემიგრანტები ჩემთან იყვნენ კავშირში და ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ უსათუოდ კავკასიასთან უნდა ვიყოთო. ე. ი. მათ არ სურდათ როსტოვის „დანსკოე პრავიტელსტვო“ რომ არსებობდა და შემდეგ გაუქმდა, მათთან კავშირი.

ერთ დღეს შტაბმა გამაფრთხილა მე, რომ უნდა მივიდეთ გეტმანთან. მშვენიერი დილაა ბერლინში, გეტმანს მშვენიერი ძვირფასი ვილა აქვს, მეფურად ცხოვრობს. გერმანელებს არავინ არ სწამთ გეტმანის გარდა. მივადექით მე, როგორც კავკასიის წარმომადგენელი, ადმირალი პოპოვი კაზაკებიდან, ცნობილი გენერალი „ოტ კავალერიი“, ამერიკაში რომ ცხოვრობს და ატამანი არის ყველა კაზაკების, უცხოეთში ვინც არის, სულ ერთია რომელ სახელმწიფოში, თუ გინდა აფრიკაში იყოს, აფრიკაშიც არიან კაზაკები და ორი გერმანელი. რუკები თან გვაქვს, სადაც აღნიშნულია რუსეთიდან რა სახელმწიფოები შეიქმნება და დღეს გადაწყდება ეს საკითხი გეტმანთან ერთად.

შევედით შიგნით, ცივილურ ტანისამოსში ვართ. შევედით და ვხედავთ კარებში მარცხნივ და მარჯვნივ სხედან ორი კაცი და ბატის ფრთის კალმები აქვთ ყურებზე დადებული. სასწაულია პირდაპირ. დიდი შესანიშნავი დარბაზია. ჩვენ რომ შევედით, ეს ორი კაცი, ბატის ფრთები რომ აქვთ ყურებზე დადებული, წამოდგა. ფართო შარვლები აცვიათ, წითელი, გოგოლის ძველი ტიპები, უკრაინული ნაციონალური ტანისამოსი აცვიათ. მარცხნივ, დარბაზში კედელზე ნიკოლოზის დიდი სურათია. გვერდზე თეთრ ჩოხა-ახალუხში გეტმანია. ერთ სიგრძეზე, დარბაზში ამფითეატრივით რაღაცაა და შესანიშნავი სავარძელი დგას — „ტრონი“,

ჩვენ რომ შევედით, გეტმანი ამ სავარძელში იჯდა, თეთრ ჩოხაში. ჩამოვიდა ძირს და სალამი მოგვცა თავის დაკვრით. ჩვენც მივესალმეთ. ეს ორი გერმანელი გენერალი შტაბიდან ჩვენს უკან მოდიან ჩვენი რუკებით. აქ ჩვეულებრივი სკამებია, დაბრძანდითო და დავჯექით ამ სკამებზე. გერმანელებმა რუკები გაშალეს, არ ჯდებიან და წაიკითხეს რუსულად, რისთვისაც ვართ მოსული, რომ არსდება სახელმწიფოები, უნდა იყოს ხელშეწყობა, რომ გერმანია მზად არის ხელი შეუწყოს ამ საქმეს და ა. შ. ჩვენ ხელი უნდა მოვაწეროთ ამ დოკუმენტს, აქტს და ეს იქნება ჩვენი მომავალი პროგრამა.

სიტუაციაა ისეთი, რომ გეტმანმა და პოპოვმა ერთდროულად წაიწიეს ხელისმოსაწერად და შეჩერდნენ, ელიან, რომ რომელიმე წინადადებას მიცემს, პირველად თქვენ მოაწერეთო ხელიო, არადა ორივე დუმს. მე მივმართე გეტმანს: „ვაშა სვეტლოსტ! რაზუმეეტსა ვი დოლუნი პერვიმ პოდპისატ“, მდგომარეობა გამოვიხსენი, თანაც მეფის ამალის გენერალია, აგერ სურათში გადაღებულია, ნიკოლოზი პოლკოვნიკის ფორმაში და გეტმანი გენერლის, თუმცა პოპოვიც გენერალია და მოაწერა ხელი გეტმანმა, მოაწერა ხელი პოპოვმა და მოაწერა ხელი მაღლაკელიძემ. მოვაწერეთ ხელი და ამ დროს შემოვარდა ვიღაც ახალგაზრდა კაცი, ხელი აქვს მაღლა აწეული და „ჰაილ გიტლერო!“ ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ, ყვირის კაცი. თურმე გეტმანის ძმისშვილია. თვითონ ვაჟი არ ყოლია, აუყვანია ეს ბიჭი და მისი მემკვიდრეა, მაგრამ ავადმყოფია, შეშლილია, გეტმანი დაიბნა. მივიდა მასთან, „დეტოჩკა, დეტოჩკაო“, და კოცნის შუბლზე — „უსპაკოისა, უსპაკოისაო“ და გაიყვანა.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, კავკასია ვისი ჰეგემონიით უნდა ყოფილიყო? ან ქართველობის, ან სომხების, ან...

შ. მ.: აქ კავკასია გეოგრაფიულად, სტრატეგიულად იყო წარმოდგენილი. კავკასია მთლიანია. ძველი „სანამესტნიკო“ როგორც იყო, ყუბანი და თერგი შედიოდა, ამიტომ იყო სადავო. ყუბანი და თერგი შედიოდა ვორონცოვ-დაშკოვის, ნამისტნიკის გამგეობაში. მერე ევგენი გეგეჭკორთან ჰქონდათ ყუბანის და თერგის კაზაკობას მოლაპარაკება — საქართველოსთან ვიქნებითო. მაგრამ არ გატარდა მაშინ ეს.

დიახ, დიდი ბრძოლა იყო ბატონო ჰიტლერსა და სამხედრო პირებს შორის იმის შესახებ, რომ დანცინგი პირველი ომის შედეგად დარჩა პოლონეთს და ყოველი გერმანელისათვის შეურაცხმყოფელი იყო ეს, რადგან აღმოსავლეთ პრუსიიდან პოლონეთის ტერიტორიაზე უნდა გაევლო. მე თავად მინახავს, როდესაც გლეხები მოდიოდნენ, უცბად უნდა დამჯდარიყვნენ ვაგონებში, იქ ხვდებოდა მათ ჟანდარმერია, ჩხრეკდნენ და მერე გადავიდოდნენ გერმანიაში. აი ამ პატარა საქმისათვის მოხდა ომი გერმანიასა და პოლონეთს შორის. პატარა იმიტომ, რომ პილსუცკი

დიდი მოყვარული იყო გერმანიისა და ძალიან სძულდა რუსეთი, მაგრამ ამ დროისთვის ცოცხალი აღარ იყო, თორემ ომი არ მოხდებოდა.

სამხედრო უწყება, გენერალური შტაბი ფიქრობდა, რომ ჰიტლერი ომს არ წამოიწყებდა, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ სამხედრო უწყებამ ვერ დასძლია ჰიტლერი, რადგანაც ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკიის დაკავება მიიწერა, თქვენ გერმანული იცით, „მუტაინეს მანეს — დობლესტ ოდნოგო მუჟა“ რომ იტყვიან, იმას, ე. ი. განგება ადამიანს რომ მიანიჭებს ისეთ ბედს, რომ სროლაც კი არ დაჭირდა და ჩეხოსლოვაკიის ჯარი დანებდა გერმანიის ერთ ოცეულს. ამიტომ მიაჩნდა, რომ ეს განგებამ მოუწოდა მას იოლად ჩაატაროს დიდი ოპერაციები და ამისათვისაა გაჩენილი და დანცინგი რაღა უნდა იყოს. ამ დროს მომხდა პოლონეთში ჩასვლა, ოცდაცხრამეტის 15 ივნისს, მე სამხედრო მრჩეველი ვარ ოკვ-ში და იმიტომ ვიცი ეს საქმე*. გენერალი ზაქარიაძე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კაცია, პოლონეთის გენერალურ შტაბში უჭირავს მაღალი თანამდებობა. მე მასთან მეგობრობა მქონდა. ვეწვიე მას, მაგრამ ზაქარიაძე საქმის კურსში არ იყო გერმანია-პოლონეთის ურთიერთობის შესახებ. დავბრუნდი უკან. ჩემთან მუშაობდა ვინმე მაიორი ბაუნი გენერალური შტაბის დავალებით და თუ გესტაპოსთან არ ჰქონდა კავშირი, კანარისთან უსათუოდ ჰქონდა.

კანარისი ითვლებოდა დიდ პიროვნებად არა მარტო გერმანიის დაზვერვისათვის, არამედ მსოფლიოსათვის, წარმოშობით ბერძენი, მისი მამა ყოფილა მეკობრე. შემდეგ გერმანელი ქალი შეურთავს და პრუსიელი გახდა.

როდესაც დავბრუნდი, ბაუნმა გამომკითხა, როგორ და რაო. რუსული კარგად იცის. მამამისს ხარკოვში ჰქონია ადრე ქარხანა. უკრაინულიც იცის. ადრე მეზღვაური ყოფილა. და ამიტომ აქვს ადმირალ კანარისთან ახლო კავშირი. დაზვერვაზე ლაპარაკი არ უყვარს, მაგრამ მე ვხედავ, რომ კანარისი ამ კაცის გზით ცდილობს პოლონეთის საქმეებში გარკვევას. მე, როგორც იყო, ისე ვუთხარი, რომ ზაქარიაძე და ქართველები არ არიან საქმის კურსში-თქო. არაფერიაო, ჩვენ ხომ ვიცით, რაც ხდება პოლონეთშიო და მართლაც იცოდნენ ათასჯერ მეტი.

ჩემთვის პოლონეთში არავის არ დაუვალებია, ჩემი ინიციატივით წავედი. რომ დაევალებიათ, მაშინ მოხსენება უნდა გამეკეთებინა. ასე რომ ზოგადად ვთქვი, არ შემინიშნავს, ომის ხასიათზე იყოს ვინმეთქო.

მე ვიცოდი, ვხვდებოდი, რომ კანარისის კაცია ბაუნი, ასე რომ, ძალიან ფრთხილად ვიყავი, რადგან შეიძლება კანარისთან გესტაპოსაც ყავ-

---

* სამწუხაროდ მაგნიტოფონის ფირის დეფექტის გამო, აღარ ისმინება ის ადგილი, სადაც შ. მაღლაკელიძე აღწერს იმ გარემოებას, თუ როგორ აიყვანეს იგი გერმანულ შტაბში სამხედრო მრჩეველად. ვ. რ.

დეს თავისი ხალხი და არ მინდა მოვხვდე გესტაპოს კლანჭებში, არ მინდა, რომ სახელი გამიტყდეს, ვინაიდან არ მიყვარს დაზვერვა. ჩემი საქმე — სამხედრო ტაქტიკა, ბრძოლაა.

მდგომარეობა თანდათან რთულდება და ბაუნმა უკვე პირდაპირ მითხრა, რომ ზაქარიაძესთან ხომ არ ჩახვიდოდიო და ამ საქმესთან დაკავშირებით შემახვედრა გერინგს კაფეში. ადრე მე გერინგს არ შევხვედრივარ. ჩვეულებრივ კაფეში შევხვდით. მომეწონა ძალიან გერინგი თავისი ქცევით. ხალისიანი კაცი იყო.

გერინგის მამა გახლდათ პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი, ნამდვილი პრუსიელი, ძალიან მდიდარი კაცი. „ფონ“-ი არ იყო.

გერინგი პირველი მსოფლიო ომის დროს მსახურობდა ბარონ ლიდხოფენის, ბალტიელი დიდი ვაჟკაცის ესკადრილიაში. ამ ესკადრილიის რამდენიმე აპარატი წითლად იყო შეღებილი და ლონდონში მიფრინავდნენ ხოლმე. დანარჩენი თვითმფრინავები ჩვეულებრივი წესით იყო შეღებილი. ამ წითელ აპარატებს არავინ არ ესვრის ლონდონამდე, რადგან მეფე გიორგი მეხუთემ მოისურვა, რომ დუელი მოაწყოს თავის და გერმანელ მფრინავებს შორის და თვალყური ადევნოს თავის სასახლიდან, ამიტომ, ეს თვითმფრინავები გაიელიან, სხვებს კი ესვრიან. მოფრინდებიან ლონდონში. იმავე რაოდენობის თვითმფრინავები აფრინდებიან ლონდონში და დუელი ხდება ჰაერში.

ბარონ ლიდხოფენი ჩამოაგდეს ლონდონში ინგლისელებმა მეფის წინ. გერინგი ახალგაზრდა, ოცი წლის ბიჭია, მფრინავია, ბარონის თანაშემწეა. ყველა დუელში მონაწილეობს. რადგან ლიდხოფენი ჩამოაგდეს ლონდონში, გიორგი მეხუთემ გასცა ბრძანება, რომ ბარონი დაასაფლაონ ლონდონში სამხედრო წესებით.

გერინგი ხელახლად გაფრინდა ესკადრილიით ლონდონში და მოითხოვა რადიოთი, მაშინ უკვე იყო ამის საშუალება, რომ გაცლილიყვნენ საფლავს საპატიო ოცეული და ჩამოაგდო ორი ყუმბარა საფლავზე ისე, რომ არ აფეთქებულა, ასე სცა სამხედრო პატივი ბარონ ლიდხოფენს, ე. ი. არ დაანება სამხედრო პატივი ინგლისელებს და თვითონ სცა ეს პატივი.

ლიდი პიროვნება იყო გერინგი, უაღრესად განათლებული და ჰიტლერიც ძალიან უწევდა ანგარიშს. ჰიტლერის ორგანიზაციაში შევიდა ამისთანა კაცი. მინისტრ-პრეზიდენტის შვილი. ეფრეიტორს დაუარსებია ნაციონალ-სოციალისტური, მუშათა პარტია, კაცო, და ამაში შევიდა. შევიდა იმიტომ, რომ პრუსიის მილიტარიზმს აბრალებდნენ დაღუპა ქვეყანაო და ჯარისკაცები ტყუილად შეწირაო, მაგრამ ჯარისკაცი არ დამარცხებულაო ლოზუნგი ჰქონდა ჰიტლერს ასეთი და გერინგიც შედის მის ორგანიზაციაში, რადგანაც ლოზუნგი არის, რომ ჯარისკაცი არ დამარცხებულა. შედის, მუშათა პარტიის წევრი ხდება მისი დაარსებიდან. „ჰაილ

ჰიტლერი“ რომ არის, ესეც გერინგის გამოგონებულია. პირადად გამარჯობის მაგივრად ეს ეუთხრათო ერთმანეთს „ჰაილ ჰიტლერ“, ე. ი. გამარჯობა იმ ჯარისკაცს, რომელიც არ დამარცხებულა და არა გენერლებს, რომლებმაც დაღუპეს გერმანიაო. ე. ი. გაუმარჯოს დაუმარცხებელ გერმანელ ჯარისკაცს! ამიტომ თვითონ ჰიტლერიც სალამის მაგივრად იტყოდა „ჰაილ-ჰიტლერ“. ბაუნმა მითხრა, გერინგს უნდა შეხვდეო. ივლისის თვეა 39 წლის, მაშინ შევხვდი კანარისსაც პირველად. შტაბში ვართ გერინგი, კანარისი, ბაუნი და მე. სხვა არავინ.

აქ ხდება ჩემი გაგზავნა პოლონეთში მათი პირდაპირი დავალებით. პირველად წავედი ჩემი ინიციატივით და ახლა მათი დავალებით უნდა წავიდე.

კანარისმა თქვა, საქმე იღუპებაო, ფიურერს ომი უნდაო, თუ დანცინგს არ დაუბრუნებს პოლონეთიო. მაიორმა ბაუნმა თქვა, პოლონეთში არისო მთელი რიგი პასუხისმგებელი ქართველი მხედრებიო და ჩემზე ეუბნება. მისი მეგობრები არიანო და მისი მეშვეობით შეიძლება ჩვენი საიდუმლოს გაცემაო, როგორმე მსოფლიო ომი რომ ჩავშალოთო. გერმანია და საბჭოთა კავშირი რომ პოლონეთის წინააღმდეგ ერთად იქნებოდნენ, ეს მე არ ვიცოდი და არც თქმულა იქა. ეს მე გავიგე 3 ოქტომბერს, პოლონეთი რომ უკვე დაპყრობილი იყო და ამაზე მერე მექნება ლაპარაკი, თექვსმეტ აგვისტოს მე ხელახლა ჩავედი პოლონეთში, ჩემი ამოცანაა ზაქარიაძემ გაიგოს, რომ ჰიტლერს ომი აქვს გადაწყვეტილი, თუ დანცინგს არ მიიღებს. იმის გამო რომ ეს ომი უნდა მოხდეს „ელვისებური“ — „ბლიცკრიგი“, ამიტომ ინგლისი და საფრანგეთი ვერ მოასრებს ომში ჩარევას, რადგან ომს ვერ გამოაცხადებენ პარლამენტის გარეშე. ამას კი ორი-სამი კვირა სჭირდება და თურმე ჰიტლერი საბჭოებთან შეთანხმებულია.

ვარშავაში არის ვინმე ყიფიანი, რომელიც რესპუბლიკის ციხეების ინსპექტორი იყო, მე როდესაც გენერალ-გუბერნატორი ვიყავი და მემორჩილებოდა თბილისში. ეს ყიფიანი არის ახლა სამხედრო პროკურორი ვარშავაში. მე ვერიდებოდი მასთან შეხვედრას,, რადგან ვიცი, რომ დაზვერვის კაცია, მაგრამ პროკურორად არის.

თექვსმეტ აგვისტოსვე, როგორც ჩავედი ვარშავაში, სასტუმრო „ევროპაში“, როცა დაიკეტა სასტუმროს რესტორანი ღამის 12 საათზე, ზაქარიაძემ შემიყვანა შიგნით. მე ზაქარიაძეს უნდა ვუთხრა, რომ ომი გადაწყვეტილია და ფრთხილად იყავით. პოლონეთს არ ეგონა, თუ ომი იქნებოდა, უკან უკან ინგლისი და საფრანგეთი. ისინი ეუბნებიან, არავითარ შემთხვევაში არ მიცე დანცინგი, ეს ერთალიგის გადაწყვეტილებაა და ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლებაო და იმათ არ მიაცემინეს დანცინგი, თორემ პოლონეთს შეიძლება მიეცა და ომიც არ იქნებოდა.

ამგვარად, ჩემი დავალებაა, ამ ქართველ მხედრებთან „გავთქვა“

გერმანიის საიდუმლო, რომ ომი ნამდვილად იქნება, იქნება „ბლიცკრიგი“ და მათ აუწყონ ამის შესახებ პოლონეთის მთავრობას, მითუმეტეს, რესტორანში ის ყიფიანიც იმყოფება, პროკურორი, მაგრამ სინამდვილეში პოლონეთის დაზვერვის კაცი და იქნებ ჩაიშალოს ეს ომი, რომელიც უთუოდ „მსოფლიო ომი“ გახდება (ეს კანარისის და გერინგის აზრი იყო). ამისათვის უმჯობესი იქნებოდა პოლონეთს დაეთმო „დანცინგის კორიდორი“. რესტორანში სხვა ქართველი მხედრებიც არიან, 15 კაცი, ყველა ესენი თავის დროზე რიგაში მეწვეოდნენ ხოლმე ვარშავიდან, იქ რომ თავმჯდომარე გახლდით. ყველა მათგანი შესანიშნავი სამხედროა, განსაკუთრებით ზაქარიაძე, მაგრამ პოლიტიკაში ნაკლებად ერკვევიან. იქ იყვნენ: სიამაშვილი, ფავლენიშვილი, ვაჩნაძე და სხვები. ბაქრაძე და ჩხეიძე არ ყოფილან. მიდგა თამადის არჩევაზე საქმე და მე სანდრო ზაქარიაძე დავასახელე. არაო, განაცხადა. მე ოკრიბელი კაცი ვარ, დემოკრატიო, იხუმრა და ყველამ ვითამადოთო! ასე არ გამოვაო და ფავლენიშვილი დადგა თამადად. დიდებული ქეიფი გაიმართა, კახური მრავალჟამიერით — უმრავლესობა კახელები იყვნენ. მე ვცდილობ ღვინო არ დავლიო, ფხიზლად ვიყო, რადგან დიდი მისია მაკისრია და არც დავთვერი, ალბათ ნერვიულობის გამო. მარცხნივ ყიფიანი მიზის და არ სვამს. ოფიციანტებად გადაცმული პოლონელი ჯარისკაცებია, მათთვის სანდონი. მოკლედ გავაცანი მათ გერინგ-კანარისის დავალება, ე. ი. „გავამხილე“ გერმანიის სამხედრო საიდუმლო, რომ ომი აუცილებლივ მოხდება დანცინგის გამო, იქნება „ბლიცკრიგი“ და ამიტომ ინგლის-საფრანგეთის იმედი ნუ ექნებათ. ომი იქნება სექტემბრის დასაწყისში, რასაც ჯერ საზღვარზე წინ გაუსწრებს რაიმე პროვოკაცია. გერმანიას, აგენტურის მეშვეობით (სხვათა შორის, აგენტები პოლონეთში უმთავრესად ებრაელები ყავდათ) დადგენილი აქვს პოლონეთის აეროდრომის მდგომარეობა და ა. შ. ე. ი. მე მათ მოვუწოდე, რომ პოლონეთისათვის ეს ომი გამანადგურებელი იქნება და როგორმე იმოქმედონ პოლონეთის მთავრობაზე. ეს ჩვენი შეხვედრა ხდება 1939 წლის 16 აგვისტოს.

თქმით კი ყველაფერი ვთქვი, მაგრამ ეტყობოდა, რომ არ მიჯერებდნენ: ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის შიშით გერმანია ომს ვერ გაბედავსო!

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქართველი სამხედროები პოლონეთში დიდ პატივში ყავდათ. თითქმის ყველა ქართველს სამხედრო აკადემია დაამთავრებინეს — კავალერისტებს, ინფანტერიას, თვით ინტენდანტებსაც კი! ამავე დროს, ქართველები პოლონელებისაგან განსხვავებით უგამოცდოდ ირიცხებოდნენ აკადემიაში. ასეთი იყო პილსუდსკის ნება. ომის შემთხვევაში, ე. ი. თუ პოლონეთი ომში იქნებოდა ჩაბმული, ქართველებს არ ევალებოდათ მასში მონაწილეობის მიღება, თუ, რასაკვირველია, ისინი მოხალისეებად არ წავიდოდნენ ომში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს ომი საქართველოს ინტერესებს არ დაემთხვეოდა, მაშინ ზედ-

მეტი იყო მათი მონაწილეობა ამ ომში. ვარშავაში არსებობდა ქართული საზოგადოება — იგივე ჩვენი გენერალური საკონსულო. იგი მდებარეობდა სენატორის ქუჩაზე და ქართული სამფეროვანი დროშა იყო იქ გადმოკიდებული. ამ ჩვენს საკონსულოში აუცილებლად ქართულად უნდა გელაპარაკათ, ამას თვით პილსუდსკი უწყობდა ხელს. ესენი უშვებდნენ ჟურნალ „მხედარს“, რომლის რედაქტორი იყო უგრეხელიძე, კავალერისტი, მერე, პოლონეთის დამარცხების შემდეგ, ლონდონში გადაბარგდა. საზოგადოების თავმჯდომარეებად სხვადასხვა დროს იყვნენ ყურულაშვილი, არზაყან ემხვარი, ხოლო შემდეგ მაიორი კოტე იმნაძე, რომელმაც 1924 წლის აჯანყების მერე გამოაღწია საქართველოდან. უნდა ითქვას, რომ არც ერთ ქართველს არ უღალატნია პოლონეთისათვის და საერთოდ იმ ქვეყნებისათვის, (ვთქვათ, გერმანია, საფრანგეთი) — რომელთაც თავიდან შეიკედლეს ჩვენი ემიგრანტი მხედრები.

20 აგვისტოს დავტოვე პოლონეთი. გამაცილა სანდრო ზაქარიაძემ. არაყი დალია გაცილების წინ, ერთი სამჯერ გადაკრა. შემდეგ მითხრა: „შენიანებს“ უთხარიო, რომ ომის შემთხვევაში ტემპელჰოფის აეროდრომზე დაგიდებთო ზავს, ე. ი. იმ აეროდრომზე, სადაც გერმანიამ პირველი ომის დროს თავი დამარცხებულად სცნო. ე. ი. ზაქარიაძეს გადაუცია პოლონელებისათვის ჩვენი საუბარი და ისინი ასეთ აზრზე იყვნენ! მათ ვერაფრით ვერ წარმოედგინათ, რომ გერმანია ომს გაბედავდა ერთად ლიგის შიშით.

გერმანიაში აეროდრომზე დამხვდნენ გერინგი და ბაუნი. მოვახსენე მათ ყველაფერი. ერთი კვირის მერე კვლავ გამაგზავნეს ვარშავაში. 1 სექტემბერს დაიწყო ომი. მე ჩავრჩი ვარშავაში. ზაქარიაძეს ვუთხარი: მე ჩემი ვალი შევასრულე და შენ შენი, მაგრამ არაფერი გამოგვეიდა, ომი მოხდა-მეთქი.

ომის მსვლელობა კარგადაა ცნობილი და ამაზე აღარ შევჩერდები. პოლონეთის მთავრობა ლონდონში გაიქცა. უამრავი ხალხი აწყდება ვარშავაში საელჩოებს, რომ დატოვონ პოლონეთი. მე ჩვენს ქართულ საკონსულოში ვარ. თუმცა გერმანული შტაბის „მილიტერბერატერი“ ვარ, სამხედრო მრჩეველი, ოკვ-ს წევრი*, მაგრამ პოლონელებს ჩემთვის ხელი არ უხლიათ, რადგან იცოდნენ, რომ სასიკეთო მისიით ვიყავი ჩამოსული და საერთოდ ქართველებს ენდობოდნენ. ამასობაში შემოვიდნენ გერმანელები და მე უკვე მათთან ვარ. დავყვები მაიორ ბაუნს და ქართული საზოგადოების თავმჯდომარეს კოტე იმნაძეს. 3 ოქტომბერს ვარ ლოძში. ომი თითქმის დამთავრებულია. ვიმყოფები ოფიცერთა საკრებულოში, სადაც კანარისმა შეკრიბა მთელი მსოფლიო და გერმანელი სამ-

---

* ოკვ — უმაღლესი მთავარსარდლობა გერმანიის შეიარაღებულ ძალთა. ოკხ-სახმელეთო ჯარების სარდლობა. ვ. რ.

ზედრო ატაშეები და უმაღლესი ოფიცრობა, აინტერესებს, როგორი გამოხმაურება აქვს ამ ომს მსოფლიოში. მათი მოსმენის შემდეგ კანარისმა ხმამაღლა და დემონსტრატიულად განაცხადა: „კრიგ ისტ ფერლორენ“ — ომი წაგებულიაო! ამაზე წამოხტა ერთი პოლკოვნიკი და „როგორ თუ წაგებულიაო, პოლონეთი დავამარცხეთო, ამის შესახებ ფიურერს მოვახსენებო“. მე თვითონ მოვახსენებ ფიურერსო, თქვა კანარისმა. არავინ ფეხი არ მოიცვალოს აქედანო. მართლაც, ყველანი იქ დავრჩით. კანარისი გავიდა. ველოდეთ დილის 7 საათამდე. დილას მოვიდა და თქვა: ახლა გახლდით ფიურერთან, იგივე გავუმეორე, მან ხმა არ ამოიღო და ზურგი შემაქციაო. გარკვეული პაუზის მერე ნება ვითხოვე იქაურობის დატოვებისა და მან ნება მომცაო.

ახლა ბატონო, სანამ სხვა რამეზე გადავალ, მინდა გრიგოლ ფერაძე გავიხსენო ვარშავის ამბებთან დაკავშირებით. ფერაძე ვიქტორ ნოზაძესთან ერთად 1919 წელს დასავლეთში იყო მივლინებული სასწავლებლად ბონის უნივერსიტეტში. იგი შემდეგ ვიქტორ ნოზაძემ გამაცნო პარიზში. სათნო და საყვარელი კაცი, კახელი, სავარეჯოელი, ფილოსოფოსი, სასულიერო პირი — შემდეგ გახდა ბერი, უკრაინული ეკლესიის იერომონახი, თავის დროზე ლატვიის მართლმადიდებლური ეპისკოპოსის ხარისხი არ მიიღო — ხმა არ მივარგაო, აი, ასეთი თავმდაბალი კაცი იყო. პარიზში, ჩვენს ჟურნალებში ბეჭდავდა როგორც ანაკრეონტული ხასიათის ლექსებს — ღვინო, სიყვარული და ფილოსოფიური განწყობილების ლექსებს, ასევე — ლექსებს წმინდა წერილის თემებზე. იგი ჩვენი მღვდელი იყო პარიზში. ლონდონის ბიბლიური საზოგადოების დავალებით იგი იყო ათონის მონასტერში, საიდანაც, სხვათაშორის, მან ჩამოიტანა უძველესი ქართული გარდამოხსნა. ერთხელ, პარიზში, მე და ვიქტორ ნოზაძეს გვეუბნება, რომ ამ გარდამოხსნის შესყიდვა სდომებია სპარსეთის რიზა ხანს, დღევანდელი შაჰის მამას, მაგრამ უარი ვუთხარიო. რატომო, უთხრა ვიქტორ ნოზაძემ ნახევარხუმრობით. შე დალოცვილო, იქნებ დაგეკარგოსო და შაჰს ექნებაო იგი თავის მუზეუმშიო. ისე, არც ვიქტორ ნოზაძე იყო ამის გამყიდველი, უპატიოსნესი კაცი იყო თვითონ და ისე, ნახევარხუმრობით უთხრა. ამის პასუხად გრიგოლმა ამოიღო უკვე დაწერილი ბარათი რიზა ხანისადმი, სადაც იგი მას სწერდა, რომ ამ უძველესი ქართული გარდამოხსნის ადგილი არის მხოლოდ საქართველოს მუზეუმშიო. ჩვენ გაგვეხარდა რასაკვირველია ეს. შემდეგ გრიგოლ ფერაძე ვარშავაში იყო. ერთი პატარა ოთახი ჰქონდა და ამ გარდამოხსნას თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა, არ იშორებდა, ზედ იწვა ხოლმე. კოტე იმნაძემ მითხრა, ვარშავის დაბომბვის დროსო, არტილერიის კონონადაშიო, გავიდოდა გრიგოლ ფერაძე საშიშ ადგილებზე და დაჭრილებს უვლიდა და მკვდრებს მარხავდაო. ისეთი დაბომბვის დროს მიდიოდა, რომ ჩვენ გვეშინოდა ხოლმეო. და აი ეს კაცი გესტაპომ დააპატიმრა. მე და

ჩემი ვაჟი უკვე ფრონტზე ვართ, თუ არ ვცდები, 1941 წელია, და როდესაც მცირე ხნით ვარშავაში დავბრუნდით, გავიგეთ რომ იგი გესტაპოს წაუყვანია, დაულუქავთ მისი პატარა ოთახი და აღარც ფერაძეა და აღარც ქართული გარდამოხსნა. როგორც იქ ჩვენმა ქართველებმა ამბავი დაგვახვედრეს, ფერაძის დაჭერაში თავი „უსახელებია“ მიშა ალშიბაიას, რომელიც გესტაპოს რწმუნებული იყო ვარშავაში, მათი „ფერტრაუენსმან“. დიახ, მამა-შვილი ალშიბაიები იქ იყვნენ მაშინ, მერე, ომის დამთავრების შემდეგ ამერიკაში გადაბარგდნენ გაბლიანთან, ჩხატარაიშვილთან და სხვებთან ერთად.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ბერლინში ვინ იყო ქართველებიდან ასეთი „სანდო პირი“ — „ფერტრაუენსმან“?

შ. მ.: ვინა, ბატონო, და, ლადო ახმეტელი, ჩვენი ყოფილი ელჩი გერმანიაში. ხოდა, იმას მოგახსენებდით, რომა უპოვნიათ ამ საწყალი ფერაძესათვის ხუთი დოლარი, რომლის გადახურდავება ვერ მოუსწრია და ვითომც ეს იყო რაღაც საბუთი მისი „საბჭოთა მზვერავობისა“. 1953 წელს, როდესაც მე პაკისტანიდან მიუნხენში დავბრუნდი, მეწვია ვინმე დალინი, რუსი ებრაელი, ამერიკიდან. იგი იყო რუსული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იქ და მეუბნება, რომ „სოციალისტიჩესკი ვესტნიკში“ ვწერ გამოკვლევასო მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა მზვერავებზეო და ერთ-ერთი გამოჩენილი „შეუმჩნეველი აგენტი“ გრიგოლ ფერაძეაო, ასე გავიგე მე იქო (ამერიკაში, ალბათ ალშიბაიადან) და თქვენგან მისი უფრო მეტი დახასიათება და წყაროები მინდაო.

მე ვუთხარი: ეს არის უდიდესი ცილისწამება წმინდა, უპატიოსნეს კაცზე და თუ თქვენ ამას დაწერთ, მაშინ მე გიპასუხებთ და ყველაფერს გამოვააშკარავებ მეთქი. თუ მე მოვკვდი, ამას ჩემი შვილი დაწერს მეთქი. შეწუხდა ძალიან და რამდენადაც ვიცი, მერე არაფერი დაუწერია. აი, ასეთ ტყუილზე როგორ შეიძლება რამე დაწერო და კაცი სამუდამოდ მოსპო. ახლა აქ ვიღაც ნემიროვაა და დაუწერია წიგნი „სიცოცხლე ბეწვზე კიდია“, სადაც გამოყვანილია ვინმე ნიჟარაძე, საბჭოთა აგენტი გერმანიაში ომის დროს და ვითომც მაღლაკელიძემო, ნიჟარაძეს, როგორც ყოფილ თავადს, რეკომენდაცია გაუწია კანარისთანო და ვითომ ეს ნიჟარაძე მერე ყველას ასულელებს და ბრუნდება საქართველოში. ამაზე უნდა ვთქვა, რომ ეს მტკნარი სიცრუეა, არავითარ ნიჟარაძეს მე არ ვიცნობდი იქ და არც კანარისთან მიმიყვანია. კანარისთან მოხვედრა ასე სახუმარო საქმე კი არ იყო! ეს ნიჟარაძე ვითომ ახლა ერევნის მოედანზე ტილოების მაღაზიაა და იქ გამგედ არისო. შემდეგ ნემიროვა ჟორდანიას ახსენებს გერმანელებთან კავშირში — ესეც სიცრუეა, მას არაფერი აკავშირებდა გერმანელებთან.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, დავუბრუნდეთ პოლონეთის ამბებს.

შ. მ.: დიახ, მოხდა, ჩემო ბატონო, საქმე ისე, რომ პოლონეთის მთავრობა გაიქცა, თან გაიტაცა ხაზინა, რამაც მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ჯარი არ არის, არაფერი არ არის, ვარშავა ჩააბარეს გერმანელებს და მხოლოდ სახალხო მილიცია შექმნეს, რომელსაც ერთი მაიორი ხელმძღვანელობდა.

ვარ მე ისევ გერმანულ შტაბში ბაუნთან ერთად. ჩემი ვალია, რომ გავცე საბუთები ყველა ქართველზე და კავკასიელზე, რომელნიც სანდო არიან გერმანული მხედრობისათვის. უნდა მოგახსენოთ, რომ თითქმის ყველა ქართველზე გავეცი ასეთი მოწმობები, რითაც მათ კარგად ისარგებლეს და ლონდონში გააღწიეს. იყვნენ კიკვიძე, კონიაშვილი (აჭაური პროფესორის ძმა) და სხვები, რომელნიც ლონდონში გადაბარგდნენ. არცერთ მათგანს პოლონეთისათვის არ უღალატნია და ინგლისში წავიდნენ. ყველას დავეხმარე, ყველას. არცერთი მათგანი ტყვედ არ ვაქციე.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ნუთუ არცერთ ამ ქართველ მხედარს თავში აზრად არ მოსვლია, რომ გერმანელთა მხრიდან რუსეთზე თავდასხმის დროს შანსი ჩნდებოდა საქართველოს განთავისუფლებისა. არცერთი მათგანი არ გადმოსულა გერმანელების მხარეს?

შ. მ.: არა, ჩემო ბატონო, ეს არ მომხდარა, მხოლოდ ზოგიერთებმა ქნეს ეს. ერთი ინჟია იყო, რომელიც გადმოვიდა გერმანელების მხარეს და ჩემთან ლეგიონში იყო. ამაზე მერე მოგახსენებთ. ვერ დავეხმარე მხოლოდ პოლკოვნიკ დათა ვაჩნაძეს, ვარშავის დაცვის გმირს, რომელმაც პოლონელებისაგან უმაღლესი ჯილდო მიიღო, რომელიც ჯერ კიდევ ნაპოლეონს დაუარსებია და მერე პილსუდსკიმ აღადგინა. ის მერე რაღაც კუჭის ანთებით გარდაიცვალა. ასევე — თევზაძეს. ახლა, მითხრეს, თევზაძე ლოძში ბანკის დირექტორი ყოფილაო, აქ ჩამოსულაო. ქართველთაგან დაიკარგნენ კაპიტნები — ალავიძე და ხუნდაძე, რომლებიც რუსებმა ჩაიგდეს ტყვედ და შემდეგ კატინის ტყეში დახვრიტეს. ასე რომ, „კატინის ტრაგედია“ მოსკოვის გაკეთებულია, ეს მითხრა მე გერმანიაში ერთმა ირანელმა პროფესორმა, რომელიც საერთაშორისო კომისიაში იყო ომის დროს კატინის დამნაშავეთა დასადგენად.

რაც შეეხება ზაქარიაძეს, აქ სხვანაირად მოხდა. ვახტანგ აბაშიძემ მითხრა ვარშავაში, რომ ზაქარიაძემ თავი მოუყარა პოლონეთის შტაბის დოკუმენტებს, მათ გადასარჩენადო და რუმინეთის საზღვრისაკენ წავიდაო. გავემართეთ იქით მე და მაიორი ბაუნი და მართლაც, რუმინეთის საზღვრამდე 2—3 კილომეტრის დაშორებით, დილას, თავზე წამოვადექით სანდრო ზაქარიაძეს. იგი იჯდა „ტაჩკაზე“, ორი პოლონელი ჯარისკაცის თანხლებით და თვლემს, გადაუკიდია მხარზე ხმალი, რად უნდა, ჩემო ბატონო, ხმალი ახლა... ხა, ხა, ხა... და თვლემს და წამოვადექით თავზე. საწყალს ვერ გადაუწყვეტია, გადავიდეს საზღვარზე თუ არა. შევძახე: ბატონო სანდრო, ბატონო გენერალო!

— ვუი, შალვა, შენა ხარ? — მიპასუხა.

— სად მიბრძანდები-მეთქი.

სად და ჯოჯოხეთშიო, აქ დოკუმენტები მაქვსო. ახლა ჩვენ ქართულად ველაპარაკობთ და ბაუნს არ ესმის. ბაუნმა იცოდა რუსულიც, უკრაინულიც და უცებ მეუბნება ეს ბაუნი, რომა, მოდი და გამოვაცხადოთ ეს ზაქარიაძე პოლონეთის დამცველ უკანასკნელ ჯარისკაცად, სიმართლეც იქნებაო და ქართველებისათვის დიდი ღირსებააო. ასეთი რამ მე თავში არ მომსვლია და ამ გერმანელის წყალობით ქართულ მხედრულ ღირსებას ხაზი გაესვა.

მოკლედ ვუთხარი ეს ყოველივე ზაქარიაძეს და ვკავამატე: ბ-ნო გენერალო, გიყვან ტყვედ და გაცხადებ რაინდად!

დავბრუნდით ვარშავაში. ბაუნმა წაიყვანა ზაქარიაძე ისევ გენერალურ შტაბში, მთელი პატივით. 2—3 დღის მერე შევიკრიბეთ ისევ ვარშავის სასტუმრო „ევროპაში“, რესტორანში. 12 გერმანელი გენერალია თეთრ კიტელებში, საპარადოდ გამოწყობილი. მე — ჩოხაში. ამ გენერლებში ერთი გენერალია, გვარად ხორაჩეკი. წარმოშობით ჩეხი თუ პოლონელი. სადღესასწაულო განწყობაა და ველოდებით ზაქარიაძეს, პოლონეთის დამცველ უკანასკნელ ჯარისკაცს. გავედი კიბეებთან და ვხედავ: მოყავს ბაუნს ზაქარიაძე ცივილურ ტანისამოსში და წელში მოღუნული. ბიჭოს, რა დაგემართა-მეთქი? — რა და ჯანდაბა — წელკავი მჭირსო. შევედით დარბაზში და გაიჭიმნენ ეს გენერლები, ქუსლების დარტყმით ესალმებოდნენ ზაქარიაძეს. წინ გამოვიდა გენერალი ხორაჩეკი და პოლონურ ენაზე მიმართა ზაქარიაძეს: პან გენერალ! თქვენა ხართ ჯარისკაცი, რაინდი, თქვენ დაგიკარგავთ სამშობლო და ვაშა თქვენ, რომ დარჩენილხართ ერთგული პოლონეთისა და მისი უკანასკნელი დამცველი! ამით დამთავრდა ზაქარიაძისათვის ომი. საწყალი, შემდეგ პარიზში გარდაიცვალა, მუშაობდა ვალიკო ჩუბინიძის მაღაზიაში ხაზინადრად, მისი სიკვდილის მერე ეს ადგილი მისმა შვილმა დაიკავა.

ახლა, ომი უკვე დამთავრებულია და ვარ ვარშავაში. ვარშავაში ერთი უბანია, „მოსკოვის“ უბანს უწოდებენ და ხიდს გაღმაა. იმ უბანში უმეტესად რუსები და ებრაელები ცხოვრობდნენ. ერთ მშვენიერ დილას, რიცხვი არ მახსოვს, სასწრაფოდ მიბარებენ შტაბში და მთხოვენ, როგორც რუსულის მცოდნეს, მივყვე გერმანელ ოფიცრებს იმ ხიდთან — თურმე რუსული არმია შემოვიდა იქ და ხიდთან დგას. მივედით იქ და ვხედავთ ახალგაზრდა რუსი მაიორი რუკით ხელში და ორი ჯარისკაცის თანხლებით შუა ხიდზე დგანან და ჩვენ გველოდებიან. მე ცივილური ტანისამოსი მაცვია და რუსს გერმანელი ვგონივარ—გუტენ ტაგ!—მომესალმა. პატარა ხანში შევატყვე, რომ გერმანული არ იცის კარგად და ისედაც ღელავს, ამიტომ რუსულად მივმართე. გამოირკვა, რომ ესენი შემოსულან „პო დოგოვორუ“, რომ სტალინსა და ჰიტლერს შორის მო-

ლაპარაკება ყოფილა პოლონეთის გაყოფაზე და ახლა მეკითხება, რომ ჩვენ, ე. ი. რუსული არმია სად გავჩერდეთო, ვარშავის ეს ნაწილი ჩვენიაო, და სხვა. მართალი გითხრათ, ეს ჩემთვის მოულოდნელი რამ იყო. თითქოს კანარისთან დაახლოებული ვარ, მისი სანდო კაცი მაიორი ბაუნი სულ ჩემთან არის, მაგრამ ამდაგვარი რამ ჩემთვის არ უთქვამთ. მე ვუთხარი, რომ ამის შესახებ უნდა ვაცნობოთ ვარშავის სამხედრო კომენდანტს, თუ არ ვცდები, კიზინგერს. მართლაც იქ წავიდნენ გერმანელი ოფიცრები, ერთ საათში დაბრუნდნენ და განაცხადეს: ერთი საათი კიდევ უნდა გვაცადოთო. ვიცდით მე და ეს რუსის მაიორი ამ ხიდზე და მართლაც, დაბრუნდნენ გერმანელი ოფიცრები და თქვეს: ფიურერის ბრძანებაა, რომ რუსებმა უკან უნდა დაიხიონო!

ამ დროს მთელ ვარშავაში სადღესასწაულო განწყობაა გერმანულ ჯარებში, მღერიან ლილი მარლენის სიმღერებს, მღერიან ჰოლივუდის ფილმებიდან და ერთი სიტყვით საბრძოლო სულისკვეთება მაღალ დონეზეა. ამიტომ ჰიტლერმა იცის ეს და გერმანელების შეტევა რუსებზე ადვილად განხორციელდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იცოდა სტალინმაც და ამიტომ რუსის ჯარმა უყოყმანოდ დაიწყო უკან დახევა. ეს დიდი სიბრძნე იყო სტალინის მხრიდან, რადგან არ მეგულება ჯარი, რომელიც ასე თავლაფდასხმული დაიხევდა იქ უკან.

ესე იგი, დაიწყო ამ ჯარმა ზედ ამ ხიდიდან უკან დახევა. ჩვენ მივყვებით მათ ფეხდაფეხ (მე ცხენით) და, ერთი სიტყვით, სულ დატოვეს პოლონეთი და მივადექით სასაზღვრო ტყეს, რომლის განაპირას რაღაცა „ბუდკა" იდგა. შევედით შიგ და რუსის გენერლებია. ახლა რომ მკითხოთ, გეოგრაფიულად არ ვიცი სად იყო ეს. იმ „ბუდკაში" ხელი მოვაწერეთ ამ ახალ სასაზღვრო ხელშეკრულებას — მე ლატვიურად იზოლის გვარით (იზოლ ლატვიურად მუხას ნიშნავს). ვითომც ლატვიელი ვარ.

ამის მერე ვბრუნდები ბერლინში. ვარ ბერლინში და ბაუნი მაფრთხილებს, რომ წავიდე იტალიაში. საქმე ის არის, რომ დაიწყო რაღაც პოლიტიკური ინტრიგები ჩემს წინააღმდეგ. ეს რომ აგიხსნათ, საჭიროა ითქვას, რომ ბაუნი, როგორც კანარისის კაცი, დაპირისპირებულია როზენბერგის უწყებასთან. როზენბერგი, ესტონელი გერმანელი, იმ დროს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის საგარეო საქმეთა გამგებელი იყო, ხოლო 1941 წლიდან — დაპყრობილი აღმოსავლეთ ტერიტორიების მმართველი. რაც შეეხება ბაუნს და ასევე კანარისს, ისინი ჰიტლერს ვერ იტანდნენ და ბაუნი პირდაპირ ლანძღავდა ჰიტლერს ჩემთან. მოხდა, ბატონო, საქმე ისე, რომ ამ როზენბერგის უწყებაში არიან გარკვეული ქართველები — ალშიბაია, გიორგი მაღალაშვილი (უმდიდრესი გერმანელი ქალი შეირთო და დიდი კავშირები ჰქონდა ოფიციალურ წრეებში ომის მერეც) და სხვები. თავის დროზე საწყალ მიხაკო წერეთელთანაც

გავწყვიტე კავშირი, ხოლო მენშევიკები ჩემდამი მტრულად იყვნენ განწყობილნი. საქმე ისაა, რომ ყველა ესენი მოითხოვდნენ ჩემგან, ანგარიში ჩამებარებინა მათთვის, თუ რა ხდებოდა გერმანულ სამხედრო უწყებაში, სადაც მე „მილიტერბერატერი“ — „სამხედრო წრჩეველი“ ვიყავი. ცხადია, ეს მე არ შემეძლო გამეკეთებინა. რაც შეეხება მენშევიკებს, მათთან ანტიპათია სულ მქონდა, ისე, რომ თავის დროზე გერმანელების დახმარებით მათი გარეკვაც მინდოდა და საქართველოში მონარქიის რესტავრაცია. — ვილჰელმ II-ის შვილის იოახიმის გამეფება საქართველოში გვქონდა განზრახული და მისთვის ულამაზესი მაჩაბლის ქალის მითხოვება. მაგრამ ყველაფერი ეს ჩაშალა გერმანიის დამარცხებამ პირველ ომში, იცით თქვენ ეს, მე უკვე ვილაპარაკე ამის შესახებ. რაც შეეხება მაჩაბლის ქალს, ის შემდეგ იტალიის ელჩს გაჰყვა ცოლად. ასე, რომ მმტრობდნენ მე მენშევიკები. ერთადერთი, ვინც ცდილობდა ჩემთან ყოველნაირად კავშირის დამყარებას — ნოე ჟორდანია იყო. მეც ვენდობოდი მას. ვთქვათ, განსხვავებით ევგენი გეგეჭკორისაგან, რომელსაც ისე პატივს კი ვცემდი, იგი ხშირად გამომივლიდა ხოლმე ფინეთიდან რიგაში, მაგრამ არ ვენდობოდი. ნოე ჟორდანიას სპეციალური კოდიც ჰქონდა ჩემთან, თუმცა კი არასოდეს გამომიყენებია ის. თავის დროზე სამსონ ფირცხალავამ სკამი ესროლა, კაცო, ნოეს, რატომ გიჭირავს მაღლაკელიძესთან საქმეო! საქმე ისაა, რომ პარიზში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, პოლონელების შთაგონებითა და პოლონელების ფულით, არსებობდა „ქართული ეროვნული ცენტრი“, სადაც შედიოდნენ ნაციონალ-დემოკრატები (ექვთიმე თაყაიშვილი, ახალგაზრდა ცომაია, ალექსანდრე ასათიანი და სხვები), ფედერალისტები, ესერები, „უკიდურესები“ (აქ იყო რეზო გაბაშვილი — ეკატერინე გაბაშვილის შვილი). ყველა ესენი პოლონელებისაგან ღებულობდნენ ხელფასს 800 ფრანკს. ამ „ცენტრის“ თავმჯდომარე იყო ნოე ჟორდანია. აი, ამ „ცენტრში“ არ შედიოდა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაცია, მე და ვიქტორ ნოზაძე. მე უკვე გითხარით, რომ პოლონელების მხრიდან პარიზში დომბროვსკიმ ჩვენც შემოგვთავაზა ფული, მაგრამ უარი ვუთხარით. არ შედიოდნენ ისეთი ენერგიული პიროვნებები ამ „ცენტრში“, როგორიც იყვნენ სპირიდონ კედია, გიორგი ჟურული და სხვები, ხოლო პოლონელები ამ „ცენტრისაგან“ რაიმე საქმეს, აქტივობას ითხოვდნენ, როგორც 1924 წელს. ვთქვათ, ექვთიმე თაყაიშვილი კი არის ამ „ცენტრში“, მაგრამ ის მეცნიერი კაცია და ზის ლევილში. სხვაა სპირიდონ კედია, გიორგი ჟურული. ამ უკანასკნელთან ნოე ჟორდანიამ მთხოვა, რომ მივსულიყავი და გადამეცა მისი წინადადება „ქართულ ეროვნულ ცენტრში“ შესვლის შესახებ, მაგრამ ჟურულმა იუკადრისა — არ მინდა პოლონურ ფულზე შექმნილ ორგანიზაციაში ყოფნაო. მაგრამ ეს ამბავი თავიდან ასე მოხდა: დამიბარა სოემ თავისთან, ორსართულიანი სახლი ჰქონდა, პირველ სართულზე

ცოლ-შვილი, მეორეზე — თვითონ. სხვათა შორის, ცოლი რუსი ყავდა, ქართველების მოძულე და ქართველებსაც ეზიზღებოდათ ის. მითხრა ნოემ: შენ გერმანელების შტაბში ხარ, სულ ჩვენ გვეპრძოდი, მაგრამ მე შენ არაფრით შემიზღუდიხარ, ვამბობდი, ახალგაზრდა კაცია — საქართველოს გამოადგებაო. დღეს „თეთრი გიორგის“ ორგანიზაცია, ვიქტორ ნოზაძე ახლოს არ გვეკარება და ის მაინც გამიკეთე, რომ სპირიდონ კედია და გიორგი ჟურული მოვიდნენ ჩემთანო. ჟურულთან ჩემი ყოფნის შესახებ უკვე მოგახსენეთ, ხოლო სპირიდონ კედიასთვის ნოემ იმ საუბრის დროს გადმომცა მისი ხელნაწერი „ანტისაბჭოური ბრძოლის პროგრამა“, რომ ამით გადმოებირებინა კედია მასთან. მართლაც, მივედი მე კედიასთან. მისი ცოლი, ძალზე ლამაზი ჩიჯავაძის ქალი, და მისი ქალიშვილი იქ არ იყვნენ. სპირიდონ კედიას მაშინ ინახავდა გიორგი მაჩაბელი, ფრანგული პარფიუმერიის ფირმა „პრინც მაჩაბელის“ დამაარსებელი. მომისმინა მე კედიამ, გადავეცი ნოეს დანაბარები, ხოლო ეს „პროგრამა“ მან ჩადო თავის „ნესგორაემი შკაფში“, სადაც ამ ფირმის სადუმლო რეცეპტი ეწყო. მერე გამოხდა პატარა ხანი და მოდის ჩემთან ღამით ქარცივაძე. ქარცივაძე ფაჩულიასთან ერთად მენშევიკების დროს საქართველოში დაზვერვის კაცი იყო. ახლა ნოესთანაა, მისი სანდო პირია და მასთან მზარეულად მსახურობს. მოდის ჩემთან, ბატონო, ეს ქარცივაძე ღამით და მეუბნება, რომ უნდა წავიდეთ ნოესთანო, ცუდი ამბავი მოხდაო. ძლივს მივუსწარით ბოლო მეტროს. გზაში მიამბო, ქარცივაძემ, რომ ნოე შენ ძალიან გენდობაო, მაგრამ ის „ანტისაბჭოური ბრძოლის პროგრამა“ ფრანგულ ჟანდარმერიას ჩავარდნიაო ხელში, მასთან იყო ჟანდარმერიიდან ინსპექტორი და უთქვამს ნოესთვის: თქვენ ხომ იცით, რომ ჩვენს ტერიტორიაზე თქვენ გეკრძალებათ რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიმართ მტრული აქციების წარმოებაო და ეს რა არისო, მთელი საბრძოლო პროგრამაო?!

ვ. რ.: ე. ი. ის ქართული ხელნაწერი ჟანდარმერიას ვიღაცამ ფრანგულად უთარგმნა?

შ. მ.: დიახ ბატონო, და მე ერთი სიკვდილი გავათავე — ვაითუ ეს ამბავი მე დამბრალდეს-მეთქი. როგორი საქმეა — ქარცივაძე მეუბნება, რომ ნოე შენ უფრო გენდობა, ვიდრე გეგეჭკორს, მენაღარაშვილს და ახლა ასეთი საქმე! მოკლედ, მივედით ნოესთან. იქ, მის ბუხრიან ოთახში ნოე მეკითხება: შალვა, როგორ გადაეცი შენ სპირიდონს ის პროგრამა? მე მოვუყევი დაწვრილებით. ნოემ მითხრა: დაწუნარდი, შალვა, ნუ ღელავ. მე ის პროგრამა სამ ეგზემპლარად დავამზადე. ერთი ჩემთანაა, ხოლო ერთ პროგრამაში სიტყვა „და“ განგებ გამოვტოვე. სწორედ ეს ვარიანტი, რომელიც თქვენთვის არ მომიცია, არამედ ჩემს მარჯვენა ხელს მივეცი, სწორედ ეს ჩაუვარდა ხელში ჟანდარმერიას და თქვენ არაფერ შუაში არა ხართო.

ვ. რ.: ვინ იგულისხმა ნოე ჟორდანიამ ამ „მარჯვენა ხელში?“

შ. მ.: არ ვიცი, არ უთქვამს. პირადად მე ეჭვი მაქვს ევგენი გეგეჭკორზე, მაგრამ სულზე ცოდვას ვერ დავიდებ — შეიძლება ევგენის ის კიდევ ვიღაცამ მოპარა. ასეა თუ ისე — არ ვიცი მე ეს. — დიახ, ჩემო ბატონო, როგორც ვთქვი, ბაუნმა გამაფრთხილა, რომ წავიდე იტალიაში. როზენბერგთან და გესტაპოსთან მყოფი ქართველები მირევენ: რა უნდა მაღლაკელიძეს გერმანულ სამხედრო შტაბში. არასანდო კაციაო, ქართველი ემიგრაცია მასზე თავღებობას არ კისრულობსო. მითხრა უეცლაფერი მე ეს ბაუნმა და მირჩია იტალიაში წასვლა. იტალიაში წავედი გერმანულ სამხედრო ატაშეს, პოლკოვნიკ მაკენზენის გამგებლობაში. ეს მაკენზენი, შვილი ცნობილი სარდლის, ავსტრო-უნგრეთის გენერლისა, საქართველოში იყო 1918 წელს ბავარიის დივიზიაში, ლეიტენანტი. ახლა სამხედრო ატაშეა რომში. ჩამოვედი აქ, მაკენზენმა პირველ ყოვლისა, დამინიშნა გერმანელი ქალი მდივნად და ამავე დროს მისი მეშვეობით უნდა დამეხვეწა გერმანული ენა. შეიძლება ამ ქალს ჩემზე თვალთვალიც ევალებოდა. დამინიშნეს კარგი ხელფასიც. ვხვდები ინსაბატოს და მასთან ერთად ვეწევი ანტისაბჭოურ საქმიანობას. ინსაბატო ჯერ კიდევ ალექსანდრე III-ის დროს იყო იტალიის კონსული ტფილისში. შესანიშნავი მცოდნე ჩვენი ადათ-წესებისა: სიმღერა გინდა, ლხინი თუ კინტოები. ამ ინსაბატოსთან ერთად ვთანამშრომლობდი ჟურნალ „კავკაზში“, რომელიც პარიზში გამოდიოდა მრავალ ენაზე, მათ შორის თურქულადაც და საერთოდ ეს უფრო თურქების ხელშეწყობით ხდებოდა. მისი რედაქტორი იყო კანტემირი, ოსი. რომში შევხვდი აგრეთვე გილო აფხაზს, პორუჩიკს, რომელიც მენშევიკების დროს საქართველოდან აქ დიპლომატიურ მისიას ჩამოყვა და უკან აღარ დაბრუნებულა. მას მიეღო იტალიის ქვეშევრდომობა, გამხდარა ფაშისტი, შეურთავს იტალიელი ქალი — ისიც ფაშისტი. შემდეგ ვხვდებოდი მიქელ თარხნიშვილს, პაპმა ბონის უნივერსიტეტი დაამთავრებინა, ბერი იყო, ბენედიქტინელთა ორდენიდან, პატარა, ჩია კაცი, მაგრამ საქართველოს დიდი პატრიოტი. აქ რომ ჩამომიყვანეს, თბილისში, მესტუმრა მისი ძმა — თურმე კასპელები ყოფილან. რომში შევხვდი იმ დროს აგრეთვე რაფო ივანიცკის ინგილოს. ის საქართველოში ცნობილი იყო თავისი წერილებით და ხელს აწერდა ხოლმე „რაფო ინგილო“, ინგილო იყო და იმიტომ, ხოლო გვარი „ივანიცკი“ ყოფილა იმ რუსი მღვდლის გვარი, რომელსაც რაფო მოუნათლავს და ამასაც მისი გვარი აუღია. რაფო ადვოკატი იყო, მაგრამ სემინარიაც ჰქონდა დამთავრებული. მეტეხიდან განთავისუფლებულ პოლიტპატიმართა ერთ ჯგუფს — ნოე ცინცაძეს, სალიას და სხვებს ვიზები რომ მისცეს და დასავლეთში გაუშვეს, რაფოც თან გამოჰყოლია ამათ. რომში ერთადერთი მართლმადიდებლური ეკლესია იყო (საერთოდ რომში არაკათოლიკური ეკლესია არ დაიშვება) რუსულ საელჩოსთან, რომელიც თა-

ვის დროზე იტალიის მეფის საგანგებო დეკრეტით დაარსებულა. რუსეთის რევოლუციის მერე ეს ეკლესია აღარ გაუქმებულა რომში. აი, ამ ეკლესიაში გალობდა რაფო ინგილო. მან და გილო აფხაზმა მომიყვანეს ამ ეკლესიაში. აქ მთელი რუსული ემიგრაცია იკრიბებოდა, ყოფილი გენერლები და არისტოკრატია. წირვის შემდეგ რაფომ დამტოვა და რუს მღვდელს გააცნო ჩემი თავი „ტფილისის გენერალ-გუბერნატორად". მღვდელს ეგონა, მეფის დროინდელი გუბერნატორი ვიყავი და ესიამოვნა. მაგრამ „დემოკრატიული საქართველოს" გუბერნატორობა რომ გაიგო აღარ ეჭაშნიკა, მაგრამ არც შეიმჩნია. ახლა მღვდელმა შემომჩივლა რაფოზე — ეს დალოცვილი ჩვენთან გალობსო და სულ რუსებს აგინებსო, მაგრამ მე გიგა ნათაძის ხათრითო (ჩვენი ცნობილი პროფესორი — გრიგოლ ნათაძე) რომელიც ჩემი დიდი მეგობარი იყო ხარკოვის უნივერსიტეტიდანო, ამას არ ვიმჩნევო.

რამდენჯერმე დავპატიჟე ჩემთან ეს მღვდელი, რაფო და გილო აფხაზი.

ახლა მოხდა, ჩემო ბატონო საქმე ისე, რომ, ჩამოსული არის რომში ირაკლი ბაგრატიონი. ჩამოსულია როგორც წარმომადგენელი ცნობილი ფრანგული ფირმებისა — „რენოსი" თუ „ციტროენის", მათი „რეპრეზენტატია", აქ რომში იმყოფება აგრეთვე „ველიკი კნიაზი" ანდრეი ანდრეიჩ რომანოვი. ეს რომანოვი, დიდი არისტოკრატი კაცი, თავს ევლება და ცოლად უნდა მოიყვანოს იტალიელი გრაფინია — მარია ტერეზია პასკვინი, დიდი სიმდიდრის პატრონი და ლამაზი ქალი. გრაფინია ერთხელ უკვე გათხოვილი ყოფილა, მაგრამ ეს გრაფინია — პაპის გრაფინიაა. რას ნიშნავს ახლა ეს: სამეფო გრაფინიასაგან განსხვავებით, ეს უფრო დაბალი რანგის გრაფინიაა. ასე, რომ მეფესთან ვიქტორ — ემანუელთან მიღებებზე იგი ვერც ხვდება და, აი თუკი რომანოვი მას ითხოვს, იგი იქნება დაშვებული მეფის კარზე. მთელი ეს მშიერი რუსის გენერლები ამის იმედად არიან, რომ მოიყვანს „ველიკი კნიაზი" ამ მდიდარ ქალს და მათაც ეშველებათ. ამ დროს გააცნო ანდრეი ანდრეიჩმა გრაფინიას ირაკლი ბაგრატიონი. გააცნო იგი როგორც „ბატონიშვილი", „პრინცი" და შეუყვარდა გრაფინიას ირაკლი ბაგრატიონი. რაღა ბევრი გავაგრძელო — წაართვა ირაკლიმ ეს გრაფინია რომანოვს. გადაწყდა მათი ჯვრისწერა. დაუწყო ამ გრაფინიას ქართულის სწავლება რაფო ივანიცკიმ. ჯვრისწერა მოხდა ამ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. მეჯვარეები ვართ სამნი, ე. ი. მე ფრაკში გამოწყობილი, ქალაქ ტრიპოლის (მაშინ იტალიის მფლობელობაში იყო) გენერალ-გუბერნატორი და... ანდრეი ანდრეიჩ რომანოვი! მორიგეობით გვეჭირა ჯვრისწერის დროს მათ თავზე გვირგვინი. ფილმიც კი გადაგვიღეს მაშინ. დაიბეჭდა გაზეთებში: „სონ ალტეს როიალ"-ში. „ეგო კოროლევსკოე ვისოჩესტვო" ირაკლი ბაგრატიონი ჯვარს იწერს გრაფინია პასკვინიზე, რო-

მელიც ამით ხდება სადინასტიო გრაფინია და დაშვებული იქნება ვიქტორ-ემანუელთან მიღებაზე. გაზეთებმა ისიც დაბეჭდეს, თუ ვინ იყვნენ მათი მეჯვარეები. მხოლოდ პაპის გაზეთმა გააკრიტიკა გრაფინია: არ ყოფილა შემთხვევაო, რომ კათოლიკე გრაფინია მართლმადიდებელს გაყოლოდესო და გაკიცხეს ამიტომ მისი ოჯახი. ირაკლის კი რა უჭირდა, ჩემო ბატონო, — აქ, დუშეთში ერთი მშადიჯვარი იყო მაგის მამული და ახლა კი უცებ მდიდარი გახდა, სასახლეები სიცილიაში და აიშვა თავი! ომის დროს გერმანიაში მესტუმრნენ: ირაკლი და მისი მეუღლე და არმიასთან ერთად თან გამომყვნენ ჩერნიგოვამდე — ჩვენ, ჩვენი ჭკუით, საქართველოში ვბრუნდებოდით, მე თვითონ ვარწმუნებდი ამაში ირაკლის. ქართველებში ხმა გავარდა: ირაკლი ბაგრატიონის გამეფება უნდაო მაღლაკელიძეს საქართველოში! მაგრამ ეს ასე არ იყო. თვითონ ირაკლის ომის მერე საქართველოს ელჩობა უნდოდა დასავლეთში.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, კიდევ ვის ხვდებოდით რომში?

შ. მ.: დიახ, ინსაბატომ შემდეგ რომში გამაცნო ცნობილი იტალიელი პოეტი დე ნიკოლა. მერე გამაცნო კნიაზ ტოკარ ტოკარევიჩი, პოლონელი თავადი, წარმოშობით უკრაინელი, დიდი მტერი საბჭოებისა, საწყალი, დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. მაგრამ, სანამ თხრობას გავაგრძელებდე, მინდა კიდევ ერთი რამ გავიხსენო. აქ, რომში, კეთილშობილ ქალთა პანსიონში სწავლობდა ჩემი მომავალი მეორე მეუღლე — მარიამ ცოტაძე, ჩემი თამრიკოს დედა. იგი ჯერ კიდევ ჩემი პოლონეთში ყოფნისას, ჩემი მდივანი იყო, პოლონურს მასწავლიდა როგორც მე, ისე ჩემს ვაჟს გაიოზს. მას დედა პოლონელი ყავდა. ხოლო მამა, იოსებ ცოტაძე, კოლჩაკის გენერალი იყო, სამხედრო ინჟინერი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში ტიფით გარდაიცვალა. მისი ოჯახობა დაბრუნდა პოლონეთში, მამული, მიწები პოლონეთის უკრაინულ ნაწილში აღმოაჩნდა, რაც მერე დაკარგეს. ფაქტიურად მარიამი საქართველოში არ ყოფილა და ქართულს პოლონეთში სწავლობდა. მან თარგმნა საქართველოს ისტორია ფრანგულიდან პოლონურად. აი, ახლა, ეს მარიამი აქ არის, რომში, პანსიონში სწავლობს და ერთ დღეს, პანსიონის წინამძღოლმა გრაფინიამ გადაწყვიტა, რომ პანსიონის ქალიშვილები პაპს წარუდგინოს. მაშინ რომის პაპი იყო პიუს XII. გაემართნენ წყებად ეს ქალიშვილები ვატიკანისაკენ, ყველა მათგანს გაწკეპილი მაღალი საყელოები აქვთ და თავსაფრები, ურომლისოდაც პაპს ვერ ეჩვენებიან. გავყევი ამათ მეც. მაინტერესებს. მართლაც, ვატიკანის ეზოში, უამრავ ხალხში, ჩამოიყვანეს პაპი ტახტრევანით. პანსიონის ქალიშვილებმა დაიჩოქეს. ეს ქალიშვილები სხვადასხვა ეროვნების არიან — ზოგი ბულგარელი, ზოგი ჩინელი. მარიამი რიგით მეექვსეა თუ მეშვიდე დაჩოქილებში. პაპი ყველასთან ჩერდება და მათ სადაურობას ეკითხება. შეჩერდა მარიამთან. იტალიურად შეეკითხა: საიდან ხარო. რომ გაიგო საქართველოდან, წამოიძახა:

ახ ჯორჯიანო, ჯორჯიანო. თქვენ კათოლიკე ხართო? — დიახ, მე ქართველი კათოლიკეები მეგულება ოსმალეთში, თქვა პაპმა, დაახლოებით ოცდაათი ათასიაო. — არაო, უთხრა მარიამმა, სამასი ათასიო! რა იცოდა მან, საქართველოში ნამყოფი არც კი იყო. ამაზე გაეღიმა პაპს. მე მერე ვეხუმრებოდი და ვაბრაზებდი ამის გამო ჩემს მეუღლეს. ისე, პაპი სხვებთან თითქმის არც გაჩერებულა; მხოლოდ მარიამთან გაჩერდა დიდხანს.

მეორე შეხვედრა მქონდა პაპთან უკვე ინსაბატოს დახმარებით. მან მოახერხა ეს და მიმყვა კიდევაც მასთან. აუდიენცია სულ 5—6 წუთი გაგრძელდა. მეტი არც შეიძლებოდა. ინსაბატომ წარმადგინა, როგორც ტფილისის გენერალ-გუბერნატორი. ისე, ჩემო ბატონო, რა ბედენაა ეს გენერალ-გუბერნატორი ან რისი მაქნისი იყო. ჯერ კიდევ საქართველოში მენშევიკები ამაზე ყაყანებდნენ, როგორ შეიძლებაო გენერალ-გუბერნატორობაო, მეფის დრო ხომ არ არისო?! ჰოდა, ჩემო ბატონო, ემიგრაციაში სულ ფუყე იყო ეს გენერალ-გუბერნატორობა, მაგრამ ისე, წარდგენისას ჟღერდა. მოკლედ, პაპთან ამ შეხვედრისას გავიგე, რომ მან ქართული იცოდა. საუბარი გერმანულად მიმდინარეობდა. მაგრამ მერე გაირკვა, რომ იგი ქართულს სწავლობდა. მან ქართულად წარმოთქვა ერთი ფრაზა: მე ქართული ვიცი! როგორც ვთქვი, ეს შეხვედრა მალე დამთავრდა.

ამის მერე ერთი საინტერესო შეხვედრა მქონდა თვითონ იტალიის მეფესთან ვიქტორ ემანუელთან. საერთოდ რომში და დასავლეთში ასეთი წესი იყო მაშინ, რომ თუ კარგ სასტუმროში ცნობილი პიროვნება გაჩერდებოდა, ამას გაზეთში ბეჭდავდნენ სასტუმროს რეკლამის გამო. ასევე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. მაგრამ ამის მერე სავალდებულოა ყველა კეთილშობილი კაცისათვის, რომ მეფესთან გამოცხადდეს სადარბაზოდ. რას ნიშნავს ახლა ეს: თქვენ მიხვალთ სასახლეში და გატარდებით სპეციალურ „სადარბაზო“ წიგნში. მერე ამ სიას თვითონ მეფეს მოახსენებენ და მისი სურვილის მიხედვით ირჩევენ სადარბაზოდ პიროვნებას. ასე ჩავეწერე მე ამ წიგნში და ვერც წარმოვიდგენდი, თუ მეფე დაინტერესდებოდა ჩემით. ამ ჩანაწერიდან მეორე დღეს, დილის 12 საათია, ვისვენებ ჩემი სასტუმროს (ექვსსართულიანი სასტუმრო იყო, „ინჰოფი“, მეპატრონის სახელს ატარებდა) სახურავზე, სადაც უამრავი ქოთნებში ჩარგული ყვავილებით ნამდვილი ბაღი იყო შექმნილი და ცოცხალი კუ დაბობღავდა. დიახ, ვისვენებ აქ და უეცრად ამორბის თვითონ მეპატრონე და „გთხოვენო“, მეუბნება ჩაველი ძირს და რას ვხედავ: მეფეს თავისი ვენზელებიანი კარეტა გამოუგზავნია და ამ კარეტით მეახლა ებერტი, იურისტი და მონარქისტული პარტიის ლიდერი, რომელმაც გადმომცა მეფის თხოვნა, ხვალ, საღამოს მეფე გელით და მიგიღებთო. მართლაც, მეორე დღეს, საღამოს, საგანგებო ფრაკით გავეშურე სადარბაზოდ. შევედი მეფესთან კაბინეტში და ნაცვლად იმისა,

რომ იგი დამენახა დიდ საწერ მაგიდასთან მჯდომი, ვნახე კუთხეში, იქვე სკამზე იჯდა. ჩემი შესვლისას წამოდგა. ცოტა სახტად დავრჩი: პატარა ტანის კაცი იყო, მელოტი, ზევით აწკეპილი თეთრი ულვაშებით, სამოქალაქო ტანსაცმელში, მოგრეხილი ფეხებით; დაბრძანდითო — მითხრა გერმანულად. როგორც მე მივხვდი, მისი კუთხეში ჯდომა და ასეთი მომართვა განგებ იყო. რადგან მე თავი თავისუფლად მეგრძნო. — თქვენ ქართველი ხართო, არა? — დიახ, იავოლ — ვუპასუხე. საქართველოს მე ვიცნობო, თქვა. როდესაც მე ტახტის მემკვიდრე ვიყავი, ასეთივე მემკვიდრე იყო მაშინ რუსეთში ნიკოლოზ II და მან დამპატიჟა თავისთანო. პირველად ჩავედით ბათუმში და რუს სამხედროებთან ერთად იქ შეგვეგება ქართველი თავადაზნაურობა, შესანიშნავი შესახედაობის ხალხი იყოო. შემდეგ მაჩვენეს სურამში დიდი მთავრის მიხეილის სამაგალითო სამხედრო სასწავლებელი და იუნკერების პარადიო. იქაც გვახლდა ქართველი თავადაზნაურობა, მერე მიმიყვანეს სურამის ციხის ნანგრევებთან. იცოდნენ, რომ მე ნუმიზმატი ვიყავიო. უნდა გითხრათო, რომ ჩემს ნუმიზმატურ კოლექციაში ინახება ერთი ქართული ოქროს ფული წარწერით „მეფე დავითი სომეხთა და ქართველთაო“. ახლა ამ სურამის ციხესთან ვნახე ეს სამხედროები და თავადები ჯოხებით და მითხრესო, რომ ამ ჯოხს რომ დავუკაკუნებთ ამ ნანგრევებს, ზოგჯერ „თეთრა“ (ე. ი. ქართული თეთრი) ცვივაო. მართლაც, სხვებმა სადაც მიაკაკუნეს და მოჩხრიკეს — არაფერი ჩამოვარდაო. ახლა მე მომაჩხრეკინეს და ნახე, მართლაც ჩამოვარდა „თეთრა“! ეჰ, მე იტალიელს ქართველები რას მომატყუებდნენ, მაგრამ მეც შევიფერე ეს, ვითომც მართლა „აღმოვაჩინე“ ეს ფული და ამით იმათ მე მაამეს, ხოლო მე კიდევ მათო.

ცერემონმაისტერიდან ვიცოდი, რომ აუდიენცია სულ 15 წუთს უნდა გაგრძელებულიყო. ზუსტად მე-14 წუთზე წამოვდექი და ბოდიში მოვიხადე, არაო. დაბრძანდითო — მითხრა ვიქტორ-ემანუელმა. მან ხელი დააჭირა ღილაკს და შემოსულ მხლებელს უთხრა — იმპერატრიცას სთხოვეთო (მუსოლინიმ, მოგეხსენებათ, იტალიის სამეფო იმპერიად აქცია). მართლაც შემოვიდა მშვენიერი შესახედაობის შავებში ჩაცმული ქალი, თმები შუაზე ჰქონდა გაყოფილი და თეთრი ერია. მე უდიდესი თავდახრით ხელზე ვეამბორე. მეფემ წარმადგინა მასთან, როგორც საქართველოს ყოფილი გენერალ-გუბერნატორი. ახლა მეცინება ამაზე, მე — დიხაშხოელი გლეხი... ჰა, ჰა... რა ყრია, ბატონო, ამ ყოფილ გუბერნატორობაში?! დიახ, შემდეგ მოგვართვეს თურქული ყავა, ვსვამთ ამ ყავას, მე მაინც დაძაბული ვარ, და მეფე ძალზე ჩვეულებრივად, თითქმის იტალიური ფამილარობით, ნახევარხუმრობით მეკითხება: თქვენ ჩემი ვაჟი უმბერტო ნანახი გყავთ? — მხოლოდ კინოფილმებში, ქრონიკებში მეთქი. ხომ კარგი ვაჟკაციაო და მე ნაკლებ მგავსო, ეს ყველაფერი

ჩემი დედოფლის — იმპერატრიცას დამსახურებაა, რომელიც ჩერნოგორიის (ცეტინლის) პრინცესა არისო, და თქვენი რძალიაო (იგულისხმება ის, რომ პრინცესას და ცოლად ყავდა თავის დროზე კავკასიის ნამესტნიკს). მე შემეძლო, ამბობს ვიქტორ-ემანუელი ნახევარხუმრობით, რომ უფრო დიდი სამეფო დინასტიებიდან მომეყვანა ცოლიო, მაგრამ ეს პრინცესა ვარჩიე, პატარა ქვეყნისა, მისი მშვენიერების გამო, რადგან ჩვენ, ჩემი დინასტია, სავოიის პრინცები, მისი სიძველისა გამო გადავგვარდითო. დიდი წარსულის მქონე ერები ბერდებაო. აი, მაგალითად, სპარსელები რანი იყვნენ და ახლა რა არიანო. ასეა არისტოკრატიულ გვარებშიც, ბერდებიან და დეგენერაციას განიცდიანო. ჩემი ტანმორჩილების გამო იტალიურ არმიაში ჯარისკაცის სიმაღლის სტანდარტი რამდენიმე სანტიმეტრით დაბლა იქნა მიღებულიო. ხოლო ამ დედოფლის წყალობით ჩემი ჯგვარი გამოკეთდა, რის მაგალითიც უმბერტოს წარმოსადეგობააო. ამ სტილში გაგრძელდა ეს საუბარი, პოლიტიკაზე არ გვისაუბრია. მეფემ ალბათ იფიქრა, რა ვიცი, ვინ არის ეს კაცი, იქნებ ფაშისტია, მუსოლინის კაციაო. დასასრულ მან მითხრა: მე ვიცი საქართველოს ისტორია, მისი ბედი მწარე იყო, მაგრამ კვლავ და კვლავ გადარჩებოდა იგი ხოლმეო და ახლაც ასე იქნებაო. ემიგრანტის ხვედრი სხვის ქვეყანაში მწარეაო, მაგრამ პესიმიზმს ნუ მიეცემიო. შემდეგ მან კარებამდე გამომაცილა და დამშვიდობებისას ხელი ჩამომართვა.

შემდეგი საინტერესო შეხვედრა რომში მახსოვს — ის ლხინი-ქეიფი, რომელიც ინსაბატოს თაოსნობით იტალიელ ლიტერატორებში გავატარე. როგორც მოგახსენეთ, ინსაბატომ გამაცნო ცნობილი იტალიელი პოეტი დე ნიკოლა და აგრეთვე სხვები, გვარები ახლა აღარ მახსოვს, ამ დროს რომში არის შალვა ბერიძე. „თეთრი გიორგის“ წევრი, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნის იტალიურად. მასზე ინსაბატომ მითხრა, კი, კარგი კაციაო, მაგრამ ნამეტანი ცივიაო, ჩვენს ლიტერატორებს არ მოეწონათ. ამიტომ ახლა შენ წარგადგენ მათთან და ერთი უნდა ვიქეიფოთო თბილისურად. მე მეტეხის ქვეშ თავის დროზე ტივებზე მიქეიფია კინტოებთან ერთადო და ახლა ერთი ამათ უნდა ვასწავლო, რა არის ქართული ლხინიო. მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს სამი მანქანით წავედით ქალაქგარეთ და მინდორში, სადაც ღვინის კასრები ეწყო, ღატაკად ჩაცმულ შავ დარაჯთან ერთად ამ კასრებზე ვიქეიფეთ, ინსაბატო თამადობდა, მე გვერდით მომისვა, თუ რამე შემეშალა — გამისწორეო და ასე გავატარეთ დრო. ეს იტალიელები სულგანაბული უსმენდნენ. იყო საქართველოს ქება-დიდება. იტალიელებს ჩინებული ღვინოები აქვთ.

1941 წლის მარტის დასაწყისია და დამიბარეს საელჩოში — გერმანიაში უნდა დაბრუნდეთო. მართლაც დავბრუნდი ბერლინში მაიორ ბაუნთან. ბაუნმა მითხრა: დიდი უბედურებაა მოსალოდნელი, საბჭოთა რუსეთთან ომი არ აგვცდებაო. ჩვენმა უწყებამ ბევრი ცნობა დავაგროვეთ

საბჭოთა კავშირზეო, აზერბაიჯანში ორი მინისტრი — მიწათმოქმედებისა და შინაგან საქმეთა — ჩვენი ხალხიაო, სტალინი ეშმაკობს — საზღვარზე სულ „ნაცმენები“ ყავს ჯარისკაცებად შუა აზიიდან, რომლებიც დაბალი ბრძოლისუნარიანები არიან და ამით უნდა დაარწმუნოს გერმანელები, რომ საბჭოთა რუსეთი ომს არ აპირებს. როგორც შევიტყვე ბაუნისაგან, მე ისევ „მილიტერბერატერად“ — „სამხედრო მრჩევლად“ ვუნდივარ, არადა მე უკვე ბრძოლის ველზე მინდა, მსურს თავი ვისახელო და ისე დავბრუნდე საქართველოში. მე მქონდა პასპორტი „შტაატენლოზ“, ე. ი. არც ერთი სახელმწიფოს ქვეშევრდომი არა ვარ, ვეკუთვნი მხოლოდ საქართველოს და პასპორტშიც ეროვნება მეწერა — „გეორგიენ“ — „ქართველი“. გერმანელ ჯარში ვარ „ობერსტი“ — „პოლკოვნიკის“ ჩინში, სხვათაშორის, საქართველოში, როგორც კი გენერალ-გუბერნატორი გავხდი, არმიის ჩინის მიხედვით პოლკოვნიკი ვიყავი, ე. ი. პოდპორუჩიკობიდან უცებ მომცეს პოლკოვნიკობა. მაგრამ ხდებოდა პირიქითაც — იმ დროს, მაგალითად, გენერალი ბაქრაძე, გიორგის ჯვრის კავალერი, პოლკოვნიკად დავაქვეითეთ, რადგან პოლკის მეტი ვერ მივეცით, არ გვყავდა ამდენი ჯარისკაცი. დიახ, გერმანულ ჯარში ვარ „ობერსტი“ — პოლკოვნიკი და ჩვენს, მეფისდროინდელსა და მეშვიდეკების-დროინდელ პაგონებს — სამხრეებს ვატარებ და არა გერმანულს.

ახლა ბაუნი მეუბნება, რომ ომი რუსეთთან გარდაუვალიაო. მაჩვენა წიგნები და რას ვხედავ: გერმანელებს აღურიცხავთ მთელი სსრკ-ის მასშტაბით რაიკომის მდივნები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, იციან უმეტეს შემთხვევებში მათი წარსული, ჩვევები და სხვა, რომ გადმოიბირონ. იციან საქართველოს კათოლიკოსი ვინ არის, იციან ჩვენი აკადემიის პრეზიდენტი მუსხელიშვილი და სხვ.

1941 წლის 21 ივნისის დილის ხუთის ნახევარზე, ე. ი. 22 ივნისს ჩვენ გადავლახეთ საბჭოების საზღვარი ბელორუსიასთან მინსკის მიმართულებით. იმ ღამეს პირველი საზღვრისკენ დაიძრა გერმანელთა ველოსიპედისტთა რაზმები, ე. ი. ველოსიპედებით, ხმაური რომ არ გამოიწვიონ, მართლაც მალე გაიშალნენ და ატყდა სროლა, ჩვენ, შტაბი, მივყვებით მათ. ისე კი, შემეცოდნენ ეს ველოსიპედისტები — ზაფხულია თუ ზამთარი, ერთი „კურტკა“ აცვიათ. დამავიწყდა მეთქვა: მე კავშირი მაქვს შულენბურგთან, ფონ დერ შულენბურგთან, რომელიც 1918-ში საქართველოში იყო, შემდეგ იყო გერმანიის ელჩი მოსკოვში, ვიცნობ აგრეთვე გენ. კესტრინგს, ასე რომ ბაუნი, რომელიც კანარისის კაცია, და მე კანარისს იშვიათად ვხედავ — ასე ადვილი კი არ იყო მასთან შეხვედრა. დიახ, ეს ბაუნი ჩემი ნაცნობობის წყალობით, პირიქით, ჩემი მეშვეობით ცდილობდა თურმე კარიერის გაკეთებას. ომის მერე, როცა მე პაკისტანში ვიყავი, ჩემი შვილისაგან გავიგე, რომ ეს ბაუნი ყელის კიბოთი გარდაცვლილა.

დიახ, მივყვებით ამ ჯარს, მე და ჩემი ვაჟი გაიოზი ვართ შტაბის დაცვის ასეულში, მივყვებით ცხენებით, ბაუნი მანქანით. ჩემთან ერთადაა ფიჩხაია. მეგრელი კაცი, გაიოზის აღმზრდელივით იყო, ყოფილი პრისტავი, ჩეხიაში იურიდიული დავამთავრებინე და იქ პროკურორობდა. წინააღმდეგობა თითქმის არ არის. ეს „ნაცმენი“ ჯარისკაცები, რომელთაც ხშირად თოფიც არ ჰქონდათ, პურის ყანებში იმალებოდნენ. სწორედ პირველი ტყვე გაიოზს ჩაუვარდა ხელში — პურის ყანიდან გამოიყვანა ერთი საცოდავი უზბეკი, დაგვეხვივნენ გერმანელები — მსახურებად მოგვეციო, — ყველას უნდა ტყვე. მაგრამ მალე დაიწყო ტყვეთა მასიური აყვანა, ასე რომ კვების კრიზისი დადგა — პურს დაპყრობილი პოლონეთიდან ვღებულობდით და ამის იმედზე როგორ უნდა იყო. ვინაიდან ტყვეთა დაცვის კონვენციაზე რუსეთს ხელი არ ჰქონდა მოწერილი — გერმანელებიც ნაკლებ უფრთხილდებოდნენ ტყვეებს. პირველი წინააღმდეგობა გაგვიწიეს ე. წ. „ფინსკიე ბოლოტასთან“. აქ, ამ ჭაობებში მაგრად შეილახა გერმანული ბატალიონი, მაგრამ განადგურდა საბჭოთა 110-ე პოლკი. ღამე გადმოვიდა ჩვენს მხარეს რუსი ჯარისკაცი და გვითხრა: მე ვიცი, სადაც დამარხეს რუსებმა 110-ე პოლკის დროშაო. გავაყოლე მას 4 ჯარისკაცი გაიოზთან ერთად. და მართლაც მოიტანეს ეს დროშა, რაც იმის გარანტია იყო, რომ ეს პოლკი დაიშალა და აღარ არსებობდა. მაგრამ გერმანული ბატალიონი ასე შელახული რომ ამოვიდა ამ ჭაობებიდან, ამაზე ბაუნმა მითხრა რუსულად: ეს გაიძვერა ჰიტლერი რას გვიშვებს. გერმანიას რუსეთისათვის ჯარი არ ეყოფა, სასტიკი ბუნებრივი პირობებია და ამას ალბათ „პარტიზანშჩინაც“ მოყვებაო და ჩვენ დავმარცხდებითო. ასეთი იყო საერთოდ კანარისის უწყების აზრი. ავიღეთ რაღაც სოფელი და ამ სოფლის საბჭოს შენობიდან ვაგნერმა — ეს იყო რუსეთში ტყვედნამყოფი გერმანელი, ცოლი იქიდან ჩამოიყვანა — კაზაჩკა, დიახ, ამ ვაგნერმა ამ შენობიდან წაიღო და მიითვისა საბჭოთა ვერცხლის ფული. მალე გაიგეს ეს გერმანელებმა — ვაგნერი ლოთობდა ხოლმე და უკან გამოუძახეს. აქ კი მას მანქანა დააჯახეს და მოკლეს, ესე იგი აღარ ენდვნენ. დიახ, ასე მივდივართ წინ და მალე აღმოვჩნდით სოფელ პეჩთან, რომელიც მინსკთან ახლოს მდებარეობს, აქ, ტყეში, საბჭოებს ხუთსართულიანი სახლები აუგიათ თავიანთი საგანგებო ჯარებისათვის. ირგვლივ, დასახლებებში ყველა შემოწმებული კომუნისტი და მათი ოჯახები სახლობდა. ერთი დარტყმით გავრეკეთ ესენი. დიახ, მოვდივართ ასე შარაგზებით, ე. ი. ომი ხდება „ელვისებურად“, ვიჭრებით „კლინით“, მაგრამ ამას თავისი დიდი მინუსიც თან ახლავს, რადგან ამ შარაგზებს შორის ტერიტორია გაუჩხრეკავია და არ არის ათვისებული ჯარის უკმარობის გამო, ასე რომ დღისით ვხედავთ ხალხი მიწას ხნავს, მაგრამ ღამე იგივე ხალხი ჩვენ გვესვრის და ღამე საბიფათოა სიარული, თუმცა გერმანელები არაფერს ერიდებიან. ასე ჩა-

ვედით ჩერნიგოვამდე. იქ სურსათი დაგვაკლდა და ვინმე კაპიტანი გრამოტა (წარმოშობით ბელორუსი თუ უკრაინელი, რუსული იცოდა) და ჩემი ვაჟი, გაიოზი გავგზავნე ზურგში ჯარისკაცებთან ერთად მდგომარეობის გასაგებად. მალე დაბრუნდა გრამოტა და ყვირის რუსულად: ტრუპი! ტრუპი! თურმე ჩაუვლიათ ერთი ადგილისათვის, სადაც გერმანელთა გვამები ეყარა და რომ შეჩერდნენ, რუსებმა ამათაც ჩაუხსნეს ცეცხლი. ეს გრამოტა გამოიქცა და გაიოზი მოკლული ჰგონია. წამოიჭრა ფიჩხაია და მე არ გამიშვა, თვითონ წავიდა იქ ცხენიანი „ტაჩკით“. რომ მისულა, დაუწყია გაიოზის ძებნა ამ გვამებში და უპოვნია იგი ერთი ხის ძირას... ჩაძინებული! ადექი ბიჭო, გაიღვიძეო — თურმე ამ ბრძოლაში დაღლილა და ჩაუძინია.

მალე მოვიდა ბრძანება საგანგებოდ გაიოზზე და ჩემი ვაჟი გადაიყვანეს გუდერიანის ჯარში მოსკოვის მიმართულებით. ჩვენ კი მოვდივართ, თითქმის კიევამდე, მტერი არ არის. მალე მოვიდა ჩემზეც ბრძანება და ამას მოჰყვა გენერალი კესტრინგიც მანქანით, რომ გამოძახებული ვართ შტაბში სოფელ პეჩში მინსკთან. მე კესტრინგის თანხმობით თან წამოვიყვანე ვალიკო ფიჩხაია. მართლაც, მივედით იმ ტყეში, სადაც ჩეკისტების დანატოვარი ხუთსართულიანი სახლებია და სანამ იქ შევიდოდით, ვხედავ დიდ ბოძზე გერმანულად აბრაა გაკეთებული — „შტაბ ევა“! იქ, ერთ-ერთ შენობასთან დაგვხვდა რვა ავსტრო-გერმანელი (ლაპარაკზე ეტყობოდათ) და ერთი ლეიტენანტი, რომელსაც ადრე ტფილისში უცხოვრია და ქართული იცოდა. კიბეებზე რომ ავედით, კესტრინგმა უთხრა გერმანელ ჯარისკაცებს — მაღლაკელიძეს და მის მხლებელს რევოლვერები ჩამოართვით და გაწმინდეთო. მალე თვითონ გაუჩინარდა, ჩვენ ვართ მესამე სართულზე და ქვემოთ ეს ჯარისკაცები და ლეიტენანტია, რომ მოვიკითხე უკან იარაღი — უარი მივიღე. ბევრი რომ არ გავაგრძელო, თურმე ჩვენ „შინა პატიმრობაში“ ვიმყოფებით. საქმე ისაა, რომ თურმე კანარისი ჰიტლერს ძალზე შეუზღუდავს და მისთვის მხოლოდ სამხედრო დაზვერვა დაუტოვებია, საერთაშორისო ჩამოუცილებია, აქედან გამოსული უნდობლობა გამოცხადდა კანარისის მთელ ხალხზე. და ახლა „შეგვისწავლიან“ ჩვენ, ე. ი. რას წარმოვადგენთ.

ვართ ახლა ამ სახლში მე და ფიჩხაია და დაგვინიშნეს საშმლის მხოლოდ ერთი ულუფა. ეს იმიტომ, რომ ტყეედ მარტო მე ვარ აყვანილი და ფიჩხაია სიაში არ ყავთ. ვიყოფთ ამ ულუფას შუაზე და დაიწყო მოთქმა მეგრულად ფიჩხაიამ — ახლა მე ტყვეობაღა მაკლდაო, ძმა ბოლშევიკებმა დამიხვრიტესო, ცოლი გამითხოვდაო (მართლაც, კონსტანტინოპოლში რომ იყო, იქ მიიღო ცნობა საქართველოდან, რომ მისი ცოლი ვიღაც ჩეკისტს წაუყვანია) და მოიშალა კაცი. მე ვუთხარი, შენ შიმშილობა გამოაცხადე და მე პატაკს დავწერ, რომ შენ არაფერ შუაში ხარ მეთქი. მართლაც ასე მოხდა და მალე ფიჩხაია გაათავისუფლეს. სანამ

დავყავდით ხოლმე აბანოში, რომელსაც ერთი ტყვე ემსახურებოდა და ეს ქართველი აღმოჩნდა, გიგაური ყაზბეგიდან, ეს გიგაური მოგვცემდა ხოლმე ტყეში დაკრეფილ სოკოებს და ესეც გვშველოდა. ასე ვიყავით იქ. მალე ეს გერმანელი ლეიტენანტი გამომელაპარაკა სუფთა ქართულით: „მე ტფილისის მე-3 გიმნაზია მაქვს დამთავრებული. ძალიან ფრთხილად იყავით, კანარისს ვერა აქვს საქმე კარგადო“. არადა, მე გაზეთებს არ ვღებულობ და ამ ლეიტენანტიდან ვიგებ ყველაფერს. ასე გავიდა კიდევ დაახლოებით ორი კვირა და უცებ ჩამოვიდა ისევ გენერალი კესტრინგი, ჩამსვა მანქანაში და გავუყევით ვარშავისაკენ. იქ, ვარშავამდე დაახლოებით 40 კილომეტრში რაღაც დაბა იყო. შევედით იქ. ღამეა. მივადექით ყაზარმებს. შევხედე — დარაჯებად გამოყოფილი არიან ჩრდილო კავკასიელები და უცებ, ყაზარმის მეორე სართულიდან ქართული მრავალჟამიერი მესმის, ბიჭოს, რა არის ეს?! კესტრინგს სიცილი აუტყდა და მეუბნება რუსულად: ეს თქვენი ქართველებია, ტყვეები და როგორც ხედავთ თავს ცუდად არ გრძნობენ — დარაჯებად ეს კავკასიელები დაუყენებიათ და თვითონ ქეიფობენ! ავედით ზევით, გაზის ფარნები ანთია. ჩვენ რომ შევედით ისინი წამოიშალნენ. თურმე არყებს სვამენ და გაზეთზე რაღაც მისაყოლებელი უდევთ. ჩვენი შესვლის დროს ამათგან ერთი კაცი გადახტა და ნარების ქვეშ შეძვრა. დავადექი თავზე: სად მიძვრები, ბიჭო, გამოდი ეხლავე! ნარებიდან გამოძვრა საშუალო ტანის კაცი და გაიჩიმა. მივმართე მას ქართულად, კესტრინგს რომ არ გაეგო: ვინ ხარ? — მე, ბატონო, ვახტანგ აბაშიძე ვარ, ტფილისში ბალეტმაისტერი ვიყავი, გერმანელი გენერალი რომ დავინახე, შემეშინდა და ნარებში შევძვერიო (ეს ვახტანგ აბაშიძე ვგონებ დღესაც ცოცხალია პარიზში).

— ბიჭებო! — მივმართე ახლა მე ამათ ისევ ქართულად, — ხალხი შიმშილით იხოცება და თქვენ რა გექეიფებათ-მეთქი.

მოკლედ, სიტყვა რომ აღარ გავაგრძელო, გენერალმა კესტრინგმა (ეს ცნობილი პრუსიელი გენერალია, რუსული იცის, მოსკოვში, სტალინთან გერმანიის სამხედრო ატაშე იყო) გამაცნო საქმის ვითარება, რომ მთელი კავკასიის ხალხებისაგან — ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები და ჩრდილო კავკასიელებისაგან, — ჩერქეზები, ადიღელები, ჩეჩნები, ინგუშები, ოსები, კუმიკები, ყარაყალპაყები და სხვ. დგება ე. წ. „თურქული ბატალიონები — ტურკბატალიონები“ და სტრატეგიული ჩანაფიქრი ის არის, რომ თურქეთი მოიზიდონ ამ ომში, უჩვენონ, რომ აი, მათ უკვე შექმნეს „თურქული“ ჯარები. ამის პარალელურად შეუქმნიათ „თათართა ბატალიონები“ — ყაზანელი თათრებისა და შუა აზიის ხალხებისგან, ნამდვილი „ოქროს ურდო“. ახლა გენერალმა კესტრინგმა დამასახელა, რომ შენ უნდა იყო ამ კავკასიელთა ბატალიონების — „ტურკბატალიონების“ „პატრონიო“. ასეთადაც ვიწოდებოდი მერე. თუმცა „ობერს-

ტი“ ვიყავი. „ჰერ ობერსტრ“-საც მომმართავდნენ და იმ ხანებში სამოქალაქო ტანისამოსიც მეცვა (პლაშჩი, მაგრამ ჩექმებში ვიყავი), მაგრამ, როგორც ვთქვი, ვიყავი მათი „პატრონი“. საერთოდ ბატალიონში ათასი კაცია, მაგრამ გერმანული ბატალიონები ოთხ ასეულს შეადგენდნენ. რაც შეეხება ამ ჩვენს „ტურკბატალიონებს“, ისინი ამ რიცხვსაც ვერ აღწევდნენ თავდაპირველად. ამიტომ კესტრინგი მეუბნება, რომ შეაერთე ქართველი და ჩრდილო კავკასიელები ერთ ბატალიონადო. ამაზე ვუპასუხე: ჯერ ერთი, ეს „ტურკბატალიონი“ სრული გაუგებრობაა თუნდაც იმიტომ, რომ მარტო სომხები რომ ავიღოთ, როგორ უნდა იყვნენ ისინი „თურქულ“ ჯარში გასაგები მიზეზის გამო-მეთქი და მეორეც, ქართველები ქრისტიანებია, ჩრდილო კავკასიელები — მაჰმადიანები და არც ამათი გაერთიანება წარმომიდგენია მეთქი. ყველაზე კარგი იქნება დავაარსოთ ეროვნული ლეგიონები — ბატალიონის რიცხვს მაინც ვერ აკმაყოფილებენ მეთქი ესენი. ამაზე კესტრინგმა მიპასუხა, რომ ამას შულენბურგთან ერთად გადავწყვეტთო (შულენბურგი, ბავარიის დივიზიის შემადგენლობაში საქართველოში ნამყოფი 1918 წელს, ჩემთან დაახლოებული, შემდეგ გერმანიის ელჩი მოსკოვში და ახლა არის „კავკაზიშე რეფერატ“ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში). ჯერჯერობითო, მითხრა კესტრინგმა, გააერთიანე ქართველები და ჩრდილო კავკასიელებიო. ჩრდილო კავკასიელები, ვერ შეძლებენ მარტო ყოფნასო. მართლაც ასე ვქენი. ქართული ბატალიონის ნომერი იყო 18. თანდათან დაიწყო ბატალიონებმა შევსება. მოდიან თავისი ნებით ქართველები, იცვამენ გერმანულ ფორმას. ასე მოვიდა ჩვენთან, მახსოვს, მომღერალი საშურა კავსაძე და სხვები. დამავიწყდა მეთქვა, რომ როდესაც ბელორუსიაში ავიღეთ ქალაქი ბობრუისკი, იქ, ტყვეთაგან გამოვყავი ქართველები და შევადგინე ერთი სამუშაო ასეული — ვიფიქრე და სწორადაც, რომ ამით გადავარჩენ-მეთქი ამათ. ახლა მოვიხმე მე ეს ასეული და ქართულ ბატალიონში გავაერთიანე. ერთი კი მაფიქრებდა მაინც ეს „თურქული“ სახელი — ამ ხალხმა ერთხელ ფიცს უღალატა და ახლა კიდევ „თურქ“ — რა გამოვა მეთქი?! მაგრამ ეს იყო შულენბურგის ჩანაფიქრი, — ჯერ კიდევ I მსოფლიო ომიდან თურქეთში რომ შეიქმნა ქართული ლეგიონი — გიორგი მაჩაბელი იყო მაშინ მათთან და შულენბურგმაც იცოდა ეს. ესე იგი, გავაერთიანე ესენი, მაგრამ ოსებმა არ ისურვეს ჩრდილო კავკასიელებთან ერთად ყოფნა. ყველაზე ავები ეს ოსები იყვნენ და მათ ცალკე ასეული დავუარსე. ამრიგად ვატარებთ სამხედრო ვარჯიშებს. ამასობაში მე ჩავდივარ ვარშავაში, ოჯახი მოვინახულე ბერლინში, თუმცა ჩემი ვაჟი გაიოზი. როგორც ვთქვი, გუდერიანის არმიაშია. იქვე, ჩვენს ყაზარმებთან ახლო ცხოვრობდა ყურულაშვილი საჩხერიდან, ცოლი პოლონელი ყავდა, ქალიშვილიც (ძმა მოუკლეს ამ ყურულაშვილს). მახსოვს, დამპატიჟა სახლში, ქალიშვილმა როიალზე დაუკრა.

დიახ, ვართ ასე და ერთ დილას მაღვიძებენ საგანგაშოდ და მეუბნებიან, რომ სომხურ ბატალიონში (ჩვენ ერთი ღობე გვყოფდა) სომეხ ოფიცრებს ხვრეტენო! გადავედით სასწრაფოდ იქით და რას ვხედავ: დგას დაახლოებით 14 სომეხი საცვლების ამარა საბოებში, მათ მიერვე გათხრილ დიდ საფლავთან, მათ წინ დგას გერმანელთა ოცეული, კაპიტნის წინამძღოლობით, ერთი სიტყვით, უნდა დახვრიტონ! მივედი სასწრაფოდ ამ კაპიტანთან და ვეუბნები: პრუსიელი ხართ?

— მე ვარ ბერლინელი, მაგრამ თავის დროზე ტყვედ ვიყავი რუსეთში, რაც შეეხება ამ სომხებს, მათ ღალატი და გაქცევა უნდოდათ.

ამ დროს შევნიშნე ერთი სომეხი შინელში, უპაგონებოდ, იქვე ტრიალებს და თურმე ამას გაუცია ესენი. თვითონ დასახვრეტები ჩვენსკენ ზურგით დგანან, მათ შორის ერთი მაღალი სომეხი გამოირჩევა.

ახლა ვეუბნები ისევ ამ გერმანელ ოფიცერს: (არადა არყის სუნი სდის) კარგი, მაგრამ ჯერ კიდევ ფრიდრიხ დიდის დებულებაა, რომ ტყვეს, უიარაღოს, ნება აქვს, რომ აჯანყდეს და გაიქცეს.

— ოო, ეს მართალია!

— თუ ეს მართალია, მაშინ რატომ ხვრეტთ?

— ნაბრძანები მაქვს.

— ვინ გიბრძანათ კონკრეტულად? გენერალი კესტრინგი აქ არ არის და მე ვარ მისი შემცვლელი, მე ვარ „პატრონი“ ამ ბატალიონების, გიბრძანებთ, რომ მოხსნათ ოცეული და წახვიდეთ!

უსიტყვოდ დამემორჩილა. შემდეგ მივედი იმ მაღალ სომეხთან. „ოტკუდა ვი?“ — შევეკითხე რუსულად. „იზ ცხინვალი, გორიისკოგო უეზდა“. ბიჭოს, ქართული იცი მეთქი? — როგორ არ ვიცი, მე სომხური არ ვიცი, თორემ ქართული ვიცი. მე ვარო ელიზბარ ოგანოვი და რაკი ერთხელ ნაციონალობაზე „სომეხი“ ვთქვი, მერე შემრცხვა უკან დახევა და იმიტომ აღმოვჩნდი სომხურ ბატალიონში. მე ვიყავი უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტი, პოლკის უფროსი და ახლა მართლა გვინდოდა გაქცევა, მაგრამ იმ ოხერმა დაგვასმინაო. მოვკიდე ხელი ამ ოგანოვს და გადმოვიყვანე ღობეს აქეთ ქართულ ბატალიონში. რაც შეეხება დანარჩენ სომხებს — იმათ ავარიდე დახვრეტა და დავაბრუნე ისევ ტყვეთა ბანაკში. სხვათა შორის, აქ რომ ჩამომიყვანეს თბილისში, შემხვდა მე ეს ოგანოვი და სახე ამარიდა, მეორე მხარეს გადავიდა. არ ვამტყუნებ — შეეშინდა ალბათ.

გავიდა ხანი და დავიწყე ამ ბატალიონების პირდაპირ ეროვნულ ლეგიონებად გადაკეთება. ე. ი. მოიხსნა „თურქული“ სახელი. შტაბის უფროსად დავაყენე გაგერმანებული ფრანგი კაპიტანი უსეინი, ყოფილი მფრინავი, რომელიც დაჭრეს და ამიტომ, ჭრილობის მოსაშუშებლად ამ მოსამზადებელ ბატალიონებში გამოუშვეს. რასაკვირველია, ყველაფერი შეთანხმებული მქონდა და ფონ შულენბურგთან (რომელსაც ძალზე გა-

უხარდა ჩემი ნახვა. ბერლინიდან ჩამოგვაკითხავდა ხოლმე) და გენერალ კესტრინგთან, მას შემდეგ, რაც ფონ პაპენმა, გერმანიის ელჩმა ანკარაში, ვერაფერი გააწყო და თურქეთი ვერ მოიზიდა ჩვენსკენ. ყველა ლეგიონს დაერქვა ნაციონალური სახელი, ხოლო ჩრდილო კავკასიელებს — „ჩრდილოკავკასიური ლეგიონი“. შემდეგში ყველა ამათ თავიანთ ენაზე გაზეთებიც დავუარსეთ, ხოლო ჩრდილოკავკასიელებს — რუსულ ენაზე. ქართული ლეგიონის გაზეთს „საქართველოს“ ჩემი ვაჟი რედაქტორობდა. იგი მოსკოვთან გერმანული ჯარების შეჩერების შემდეგ, გუდერიანის ჯარიდან ისევ ჩემთან დააბრუნეს და მე მეხმარებოდა ყველაფერში. ძირითადად გაიოზი მაინც ბერლინში იყო ხოლმე და იქ სცემდა გაზეთს, მერე ჩამოგვაკითხავდა ამ პოლონურ დაბაში, ჩვენს განლაგებაში. სხვათა შორის ლეგიონერთა ფორმა მან შეიმუშავა. ჩვენს ხალხს მკლავზე „გეორგიენ“ ეწერათ და გერმანელთაგან განსხვავებული სამხრეები ჰქონდათ. ასევე დაეხმარა გაიოზი ვლასოველებს ფორმის შექმნაში. ლატვიური იცოდა გაიოზმა და იმათაც ეხმარებოდა. მაინც გაგერმანებული იყო ჩემი ვაჟი, რადგან ერთხელაც ვერ მოუწია საქართველოში ყოფნა.

დიახ, იწყო ამ ჩვენმა ლეგიონებმა ზრდა რიცხობრივად. ქართული ლეგიონი უკვე ათას კაცს აჭარბებდა. ამიტომ დავიწყე თვითონ ამ ლეგიონის ბატალიონებად დაყოფა. პირველ ბატალიონს ეწოდა ჩემი სახელი და დროშაზე (ბატალიონის დროშაზე, თორემ ისე ჩვენი სამფეროვანი დროშა იყო საერთო) ამოქარგული იყო ჩემი ინიციალები — შ. მ. რასაკვირველია, ყველა ამ ლეგიონების „პატრონი“ ისევ მე ვარ. მივიღეთ საგანგებო იარაღიც. ახლა, ამ ლეგიონებში ოცეულების მეთაურები გერმანელებია, ხოლო მოადგილეებად ყავთ შესაბამისი ეროვნების მეთაურები, ამიტომ მინდა, რომ მთლად გავაქართველო ჩვენი ლეგიონი და დავუშვი I ბატალიონში ყოფილი საბჭოთა ოფიცრები, თუმცა შულენბურგიდან და კესტრინგიდან საგანგებოდ ვიყავი გაფრთხილებული, რომ არ მიმეღო არც „პოლიტიკურები“ და არც ოფიცრები. ახლა მინდა ზოგიერთი მათგანი გამოვყო. პირველ რიგში ესენი იყვნენ კაპიტნები ვასაძე და გრიგოლაშვილი, რომლებიც მენშევიკების დროს გენ. ჩხეიძესთან უნტეროფიცრები იყვნენ. შემდეგ იყვნენ მაიორი კაცხია, კაპიტანი ბარამიძე, კავალერიის პოლკოვნიკი მიხაილოვსკი (გაქართველებული, შემდეგ აქ, თბილისში შემხვდა) და სოსო (სვიმონ) ლომთათიძე, გურული კაცი, მაიორი, კავალერისტი, თურქესტანში პოლკს ხელმძღვანელობდა. ამ უკანასკნელს ჩავაბარე მეტყვიამფრქვეველთა ასეული და ამაზე იკლავდა თავს — ცოტა მჩატე კაცი იყო — როგორო, თურქესტანში პოლკს ვხელმძღვანელობდიო და აქ ეს ასეულიო? ეს პაგონები უნდა ქონდეს და მეტი არაო? ომის მერე არგენტინაში მოხვდა. დიახ, გვყავს გატონო ეს ბატალიონები, მაგრამ ამ დალოცვილებმა არც რუსული იციან და არც გერმანული და არც ქართული „კამანდა“ ესმით. ამ დროს

ჩამოვიდნენ შულენბურგი და კესტრინგი. შულენბურგი მეკითხება: რომელი ლეგიონი არის ყველაზე კარგად მომზადებული, რომელს გვიჩვენებ? მე ვუპასუხე: ქართული! გამოვიყვანე ახლა ესენი და დავყავი I ბატალიონი ორ ნაწილად — ერთს ხელმძღვანელობს სოსო ლომთათიძე, მეორეს — ვასაძე და გრიგოლაშვილი. მივეცი ბატალიონს სამხედრო ხასიათის პატარა ტაქტიკური ამოცანა.

— გარკვეულ ბუჩქებს რომელი ნაწილი აიღებს. გასცა სოსომ ბრძანება რუსულად (რუსული ბრძანებები იცის მან): ვ პ ე რ ე ბ ე ჟ კ უ! ვერ გაიგეს ამ საწყლებმა და დაწვნენ. გადახედეს ერთმანეთს კესტრინგმა და შულენბურგმა. ახლა ქართულად ძლივს აყარა ესენი ლომთათიძემ. გაიცინა შულენბურგმა. როგორც იქნა დამთავრდა ეს სამხედრო ვარჯიში და აჯობა სოსო ლომთათიძემ სხვებს იმ ბუჩქების აღებაში. მოვიდა ახლა ლომთათიძე ჩემთან, გამეჭიმა და მეუბნება ქართულად: გამარჯვება ჩემი არის! კი, ბატონო-თქო და მივულოცე მე მას. ახლა შულენბურგი ეკითხება სოსოს რუსულად: რომელი ნაწილიდან ხართ? — თურქესტანის. საქართველოს რომელი კუთხიდან? — ოზურგეთიდან. — „აი, გურიეც, და? ა კაკ ვი პონიმაეტე პოლიტიკუ“? — ეკითხება შულენბურგი. „ია ნე პოლიტრუკ, ია ტოლკო ვოინ, ია ოფიცერ ტაქტიკი“ — უპასუხა სოსომ. „ვოტ ვი ვზიალი კუსტი, ა კაკ ვი დუმაეტე, კტო პობედიტ“? ამაზე სოსომ უთხრა: „მი ნე ტაკიე კუსტი ბრალი! — ა კაკიე? — ნემეცკიე! სტალინსკიე სოლდატი ნე პობედიმი“!

ბიჭოს! ახლა ამაზე შულენბურგი კიდევ ეკითხება: „ა პოჩემო ნადელი ეტოტ მუნდირ?

— ა პატამუ, ჩტო უ ნას „პატრონ“ მაგლაკელიძე ი ნას გოტოვიატ დლია გრუზიი, ბუდემ ბრატ გრუზიუ“!

ახლა მოვშორდით ამათ მე, კესტრინგი და შულენბურგი. და კესტრინგი ამბობს: ჩვენ ხომ სამხედროები ვართ და ამათ სამხედრო ბრძანებებიც არ ესმით. რა უნდა გავაკეთოთ მათი შემწეობით? ვერაფერი! ესენი მხოლოდ საზარბაზნე ხორცად თუ გამოდგებიან. ხომ არ შევქმნათ მათგან სამუშაო ბატალიონები?! შულენბურგიც ამბობს: აი ხომ ხედავთ, ლომთათიძემ როგორ მიპასუხაო, ამათგან ელი შენ რამესო?!

ახლა მე ვუპასუხე ამათ: ჩვენს მიზანს ის არ შეადგენდა, ამ ლეგიონებით მთელი ომის ბედი გადაგვეწყვიტა. თქვენ ჩემზე კარგად იცით და მეც, როგორც „მილიტერბერატერი“ დავსწრებივარ შტაბის სხდომებს ბერლინში და ვიცი, რომ გერმანული არმია არ შეჩერდება და ინდოეთში შეაღწევს. აქ კი საქართველო კარგი პლაცდარმი იქნება. ამიტომ ამ ლეგიონების პირველი დანიშნულება არის, საქართველოში შევაღწიოთ და იქ დავმკვიდრდეთ. დამეხმარეთ ამ საერთო მიზნის მიღწევაში, მითუმეტეს თქვენ თვითონ მითხარით, რომ გინდათ შექმნათ „დიდი საქართველო“, როგორც იურიდიულად ცნობილი სახელმწიფო სხვათა

მიერ და თვით ლენინის რუსეთის მიერ, განსხვავებით ჩვენი კავკასიელი მეზობლებისაგან, რომელთაც ასეთი „ცნობა“ არ ღირსებიათ. ამიტომ ნება მომეცით, I ბატალიონი ვაქციო „საკომენდატო ბატალიონად“ საქართველოსთვის, მივიღო მასში ოფიცრები და შევქმნა მათგან „ხუთეულები“, რომლებიც საქართველოს დაკავებისას რეალურ ხელისუფლებას განახორციელებენ.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ დამთანხმდნენ ამაზე. ახლა დავიბარე მე ეს ჩვენი ოფიცრები, დავავალე მათ შეადგინონ სანდო „ხუთეულები“ და უკვე აქედან გავანაწილე ისინი მთელ საქართველოში: ვთქვათ, კაცხია — ზუგდიდში, ბარამიძე — ბათუმში, სოსო ლომთათიძე — ოზურგეთში, აბრამიძე, ჩემი დეიდაშვილი, ვანისა და სამტრედიის რაიონებში, იქამდის ხევსური მყავდა, ნახშირაშვილი, ფელდფებელი და ის, ცხადია, ხევსურეთში. ესენი იყვნენ ამ ხუთეულების მეთაურები. ის ელიზბარ ოგანოვი დარჩა შტაბში, ბრძოლის ველზე არც წამომიყვანია — ხალხს ამზადებდა. ამრიგად, I ბატალიონმა უნდა მოამზადოს დანარჩენები და მთელი საქართველო ამ ხუთეულებით უნდა დაიფაროს. ამასობაში ვუტარებ მე მათ „პოლიტგაკვეთილებს“ — საქართველოს ისტორიას ვუკითხავ და როგორ უნდა მოვაწყოთ საქართველო, როდესაც გავიმარჯვებთ.

ახლა, ჩემო ბატონო, დამიწყო მე ისევ ჩვენი ემიგრაციის ნაწილმა ბრძოლა. ესაა მაღალაშვილის ხალხი, როზენბერგის ირგვლივ შემოკრებილი, მათ შორის მიხაკო წერეთელიც. დაიწყეს ამ ჩემი ლეგიონების გადაბირება და თავიანთი გაზეთიც გამოუშვეს.

ვ. რ.: კიდევ ერთხელ განმარტეთ, თუ რატომ გებრძოდათ ქართველ ემიგრანტთა ეს ნაწილი.

შ. მ.: იმიტომ, რომ მე და ჩემი შვილი (ორი მ — მაღლაკელიძე, როგორც ჩვენ გვეძახდნენ) არ ვაბარებდით მათ ანგარიშებს და პრინციპში ეს არც შეგვეძლო. მათ კი, როზენბერგის იმედით, უკვე განაწილებული ჰქონდათ საქართველოში პოსტები. ვთქვათ, ვინ იქნება ჩაის ფაბრიკის დირექტორი და ასე შემდეგ. ასე, რომ ჩვენში ისინი ძლიერ მეტოქეს ხედავდნენ მომავლის საქართველოში და მათი გეგმების ჩამშლელს. მაგრამ სასაცილო იყო ეს, მითუმეტეს ჩემი შვილისთვის, რომელიც გაგერმანებული იყო და არც იცოდა — რის ოზურგეთი, რა ოზურგეთი, რის ჩაის ფაბრიკა... ხა, ხა!

დიახ, ჩემო ბატონო, ახლა დადგა დრო, ლეგიონებმა ფიცი უნდა მიიღონ. ყველა სხვა ეროვნული ლეგიონებისაგან განსხვავებით, ქართულ ლეგიონს გამორჩეული ფიცის ტექსტი ჰქონდა. რადგანაც როგორც გითხარით, ჩვენ ძალზე ხელს გვიწყობდა ის გარემოება, რომ იურიდიულად აღიარებული ვიყავით სხვა სახელმწიფოთა მიერ. და აგრეთვე ის

გარემოება, რომ იმ დროს ერთალიგამაც დაადგინა, საქართველო ოკუპირებული იყო და არა გასაბჭოებული. ამგვარად, თვით თერგისა და ყუბანის კაზაკები ჩვენ გვეკედლებოდნენ და არა როსტოვის კაზაკებს. სხვები, ჩვენი მეზობლები — სომხები, აზერბაიჯანელები და კავკასიელები — არ უცვნიათ იურიდიულად თავის დროზე. ამიტომ ისინი ფიცს უშუალოდ ადოლფ ჰიტლერს აძლევდნენ, ე. ი. თავიანთი ფიცის ტექსტში ისინი უშუალოდ ჰიტლერის სახელზე აძლევდნენ ფიცს და ჩვენ კი-არა. მე ყველა ამ ლეგიონის „პატრონი“ ვიყავი. მაგრამ ჩვენ, ქართველები ფიცს ვაძლევდით რუსი ოკუპანტებისაგან „განთავისუფლებულ ქართულ მიწას“! ასე მთავრდებოდა ჩვენი ფიცის ტექსტი. სხვათა შორის, ამან შემიწყო მე ხელი იმაში, რომ როდესაც აქ ჩამომიყვანეს და გავიგე, ჩვენს ლეგიონერებს 25—25 წელი აქვთ მისჯილი და საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებიან, მე მივწერე მაშინ ხრუშჩოვს (სხვათა შორის მერე ამას ვიტყვი, რომ მე ხრუშჩოვი ძალიან დამეხმარა და ფაქტიურად გადამარჩინა), რომ აბა ნახეთ მაშინდელი დოკუმენტები თუ ქართველები ჰიტლერს აძლევდნენ ფიცს-მეთქი!

დიახ, ქართველებისათვის ეს ფიცის ტექსტი შეადგინეს შულენბურგმა, კესტრინგმა და მე. შულენბურგმა დაწერა ეს გერმანულად. მერე თქვა: აუცილებელია მისი შეთანხმება თვითონ ჰიტლერთანო. აი, აქ მომეცა შესაძლებლობა პირველად და უკანასკნელად პირდაპირ შევხვედროდი ჰიტლერს. ესე იგი ჩვენ სამი — შულენბურგი, კესტრინგი და მე გავემართეთ პრუსიაში ჰიტლერის შტაბში. იგი იმყოფებოდა ტყეში და განლაგებული იყო სამ ვაგონში. მხოლოდ მერე გავიგე, რომ ეს ტყე მდებარეობდა პრუსიის პატარა ქალაქ... თან*, რამდენიმე პოსტი გავიარეთ. პაროლს შულენბურგი ამბობდა. წარვდექით ჰიტლერის წინაშე. მათთან ერთად მეც მივესალმე ჰიტლერს ხელის ზევით აწევით — „ჰაილ!“ უნდა მოგახსენოთ, რომ ჰიტლერს ჩვენთან ხატავენ და უჩვენებენ როგორც შავთმიანსა და შავულვაშას. არადა, ჰიტლერი აბსოლუტურად ქერა იყო, ქერა თმა ჰქონდა მარჯვნით ჩამოშვებული, პატარა, გაკრეჭილი ქერა ულვაშები და თეთრი კაცი! დაბრძანდითო, გვითხრა. შულენბურგმა პორტფელიდან ჩვენი ფიცის ტექსტი ამოიღო. ყურადღებით წაიკითხა ჰიტლერმა. ლაპარაკში შულენბურგს „გრაფით“ მიმართავდა, მაგრამ რაღაც ინდიფერენტობა კი იგრძნობოდა მისგან. ალბათ ის ახსოვდა, რომ შულენბურგიც და კესტრინგიც რუსეთთან ომის წინააღმდეგი იყვნენ. ბოლოს ხელი მოაწერა ამ ფიცის ტექსტს — „რახან თქვენ თვლით ასე, მეც თანახმა ვარო“. 1942 წლის 26 მაისს პოლონეთში, ქალაქ ვესელას მიდამოებში, ჩავამწკრივეთ ბატალიონები. აღვმართე ჩვენი სამფეროვანი დროშა და ფიცი მივაღებინეთ მათ „რუსეთისაგან განთავი-

* ქალაქის დასახელება ფირზე აღარ ისმის (ჩამწერი).

სუფლებულ ქართულ მიწაზე". ცერემონიას ესწრებოდნენ შულენბურგი და კესტრინგი.

ამ ფიცის მერე მაღალაშვილის ხალხი, როზენბურგთან რომ არიან, სულ დაიბოლმნენ ჩემზე. უნდა ვთქვა, მანამდე დადიოდნენ ჩვენთან ალშიბაიას ქალიშვილები — გენერალი ჰაიგენდორფი გვპატიჟებდა და მიჰქონდ-მოჰქონდათ ენები; ასე, რომ მასმენდნენ მე როზენბერგის უწყებაში — ჰაი, საეჭვო კაციაო, ჰაი, საბჭოებისა არისო და ამან გადაწყვიტა ჩვენი, კერძოდ I ბატალიონის ფრონტზე გაგზავნა და ამის დაჩქარება. თეითონ მათ უწყებასთან შექმნილი იყო სამთო-სადაზვერვო ბატალიონი „ბერგმანი", რომელიც სადივერსანტო და საჯაშუშო მიზნებს ისახავდა. ესე იგი, ქართველ ემიგრანტებს, რომლებსაც მე არ ვღებულობდი ჩემთან, ეს „ბერგმანი" ღებულობდა. ამ ემიგრანტებს იმიტომ არ ვღებულობდი, რომ ესენი დიდი პრეტენზიებით იყვნენ, ყველაფრის გაგება უნდოდათ და მე კი მჭონდა ჩემი საიდუმლო შულენბურგთან შეთანხმებული. ან რატომ ვეტყოდი მათ, ჩემს შვილს, გაიოზს არ ვეუბნებოდი ყველაფერს, — მისთვის ჩემი სიტყვა ისედაც კანონი იყო. ამ „ბერგმანის" უფროსი ობერლენდერი იყო, მოადგილე კესტერი და რამდენიმე ასეული ქართველი შედიოდა აქ. მაგრამ „ბერგმანის" რიცხვი იზრდებოდა ან მცირდებოდა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენ კაცს გადასვამდნენ საქართველოში. ამ ბერგმანის ერთი ასეულის მეთაური იყო მიშა დადიანი (კოკის შვილი), ყოფილი ოფიცერი პოლონეთისა, „თეთრი გიორგის" წევრი, ივანე გომართელის ქალიშვილი ყავდა ცოლად. მეორე ასეულს ხელმძღვანელობდა ჭავჭავაძე, ესეც პოლონეთის ოფიცერი. ახლა მე წინააღმდეგი ვიყავი საქართველოში ყოველგვარი დესანტის გადასხმისა-რა ძალა გვქონდა ჩვენ? რატომ უნდა დაღუპულიყვნენ ქართველები? ჯერ გერმანელებს უნდა აეღოთ საქართველო. აი, ერთი მაგალითი: ჩემი ბიძაშვილი სამეგრელოდან, ისიც შალვა მაღლაკელიძე, სარდიონის შვილი, ეს სარდიონი ჩასიძებული იყო სამეგრელოში, დიახ, 1919 წელს მე გავუშვი ეს შალვა სტიპენდიით საფრანგეთში, სადაც ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა. ომის დროს რომ გაიგო საწყალმა, რომ მე საქართველოს მისადგომებთან ვარ, წამოსულა მოხალისედ ფრონტზე და ჩაუვარდა ამ ბერგმანელებს ხელში. გადაიყვანეს იგი რუმინეთში და იქიდან დესანტად ჩამოსვეს ვანის რაიონში და დაიჭირა, ბატონო, ბერიამ და ის დახვრიტა. მერე ზოგიერთს მე ავერიე თავის დროზე მასში. ამიტომ მე ყოველთვის ვაფრთხილებდი ჩვენებს, რომ არ აყვეთ „ბერგმანის" აგიტატორებს-მეთქი. არადა, მახსოვს, ტაგანროგამდის რომ მოვედით, მაშინ, აი, თქვენ კვიტაიშვილი რომ ახსენეთ (ემიგრანტების — მენშევიკების კაცი იყო ეგ), დიახ, ის და გივი გაბლიანი (ყოფილი ექიმი) შემოიჭრნენ ჩვენთან და აგიტაციას ეწეოდნენ ლეგიონერებში — არ ენდოთ მაღლაკელიძესო, გადმოდით „ბერგმან-

შიო“. არადა, ეს გაბლიანი, ვიცნობდი მამამისს — ეგნატე გაბლიანს, ტყვედ ჩავარდა 1942 წელს, მერე ჩემთან მოიყვანეს პოლონეთში და შევიფარე, მერე გადაიბირეს ემიგრანტებმა „ბერგმანში“, შემდეგ ალშიბაიას სიძე გახდა და ახლა ამერიკაში ბრძანდება. მერე გავიგე, რომ ამ „ბერგმანში“ წიკლაური დახვრიტეს, როგორც საბჭოთა აგენტი. ეს მერე ვიქტორ ნოზაძემ მიამბო ომის შემდეგ, თვითონ თარჯიმნად მუშაობდა „ბერგმანში“, აღიარაო წიკლაურმა, რომ საბჭოებზე მუშაობდაო. ეს ოხერი, როდესაც საქართველოს საზღვარზე ვიდექი, ძალზე ადვილი იყო ჩემი შეჭრა იქ, თან საქართველოდან გადმოდიოდნენ ჩემთან და მარწმუნებდნენ ამაში, მაგრამ მე სტალინგრადის ბრძოლის დამთავრებას ველოდი, რომ მისით მეხელმძღვანელა და საქართველოსთვის ზედმეტი სისხლი ამერიდებინა და ესენი კი — პირიქით! ერთი სიტყვით, დავიძარით ამ — I ბატალიონით სამხრეთისაკენ. ეს არის 1942 წლის აგვისტო. მივყვებით გერმანულ ასიათასიან არმიას. თუ არ გაჭირდა, ჩვენ ბრძოლაში არ ვებმებით და იცის ეს გერმანულმა სარდლობამ. ჩვენ საგანგებო დავალება გვაქვს, საკომენდანტო ბატალიონია. ასე ჩავედით ტაგანროგამდის. ტაგანროგის მერე ლიანდაგები აყრილი დაგვხვდა და ჩამოვედით ვაგონებიდან. მოვდივართ ფეხით. მე მყავს კარგი ცხენი, ხან მანქანით მოგვყავს, სულ ეალერსებიან, შაქარს აჭმევენ. შარო დავარქვი, ე. ი. შალვა და მარო. ჩემი მეუღლის სახელის შეერთებით. ამასობაში შემოგვიერთდნენ ლატვია-ლიტვა-ესტონელთა ასეულები, აზერბაიჯანელები. მაგრამ ტაგანროგში მოგვისწრო ბრძანებამ, სასწრაფოდ უკან იწვევენ ვასაძესა და გრიგოლაშვილსო. მეწყინა მე ეს. ორივე ასეულების მეთაურებად მყავდნენ. 1943 წელს ისევ გერმანიაში რომ დაებრუნდით, მოვთხოვე სარდლობას მათი თავი. გაიოზმა მითხრა, აქ შტაბში არ გამოჩენილანო. თურმე ნუ იტყვი, და, ესენი ლაგერში ჩაუყრიათ და ჩემი მოთხოვნის მერე, ერთი კვირა აჭამეს ამათ კარგად და მერე წამომიყენეს წინ — დაგლახაკებულნი. ეს უქნია ამ ჩვენს ემიგრანტებს, როზენბერგის ხალხს, რადგან ესენი კომუნისტები იყვნენ, მაგრამ მე კი ვენდობოდი.

დიახ, მოვდივართ ახლა ნალჩიკის მიმართულებით. აქ მდინარე ბაქსანია — ჩვენი მტკვრის ოდენა, სწრაფი ძალზედ. ესე იგი, ჩემი ბატალიონი დამოუკიდებელი სამხედრო ერთეულია, საარტილერიო ნაწილიც მაქვს — ერთი ბატარეა, რომელიც ჩავაბარე ტყვედნამყოფ ლეიტენანტ მურვანიძეს. ბაქსანის ამ მხარეს ბაღებია და გერმანელებთან ერთად ჩვენც აქ გავიშალეთ. მთვარიანი ღამეა და მესმის ბაქსანის გადაღმა ქართული შეძახილები: აქეთ გადმოდი, აქეთ! ჩემმა ორდინარეცმა გილომაც ყური ცქვიტა. თურმე ჩვენს გაღმა ქართული დივიზიაა — № 392, გენერალ ყურაშვილის მეთაურობით.

გათენდა. დილაადრიან გავედი. ბაქსანთან რაჭველებია გადმოსახლებული და ურმები აქვთ. ვხედავ ერთი წარ-ურემი აქვე დგას. ორთვლიანი, ჩვენებური. კარგა ხანია არ მინახავს ეს და მივედი, ვეფერები ხარს. ამ დროს შეიქმნა ჩოჩქოლი და მოყავთ გერმანელებს ერთი შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი და მომიყვანეს მე — ეს იმათი მზვერავია და ჩვენ შეგიპყარით, მდინარე გადმოცურაო! დავკითხე ჯერ რუსულად და გავიგე, რომ ქართველია. მაშინ მივმართე ყველა იქ მყოფს. რომ დაეხსიათ რამდენიმე ნაბიჯით ჩვენგან, მალე გავარკვიე, რომ ეს ჩვენი „სტუმარი“ სადაზვერვოდ გადმოსულა იმ ქართული დივიზიიდან და მათ იციან, რომ ჩვენ, ე. ი. მე ბატალიონით აქ ვართ. ამ გადმოსულმა თავისი თავი დაასახელა როგორც შოთა ქურციკიძე, მასწავლებელი სოფელ ეწერიდან (სამტრედიის რაიონი), ცოტა გერმანული ვიცი. რასაკვირველია, მოგონილი გვარი და სახელი ჰქონდა და მე ვუთხარი: არ მაინტერესებს შენი ვინაობა, შენ ის მითხარი — რა დივიზიაა ჩვენს გადაღმა? სიცოცხლე მაჩუქე და ყველაფერს გეტყვიო. მართლაც, რაც იცოდა — პოლკები, მათი მეთაურები, მითხრა ეს ყველაფერი. მერე აქ გავიგე, თბილისში რომ ჩამომიყვანეს, რომ ჩვენი მწერლები ირაკლი აბაშიძე და სხვები მაგ დივიზიაში იყვნენ ლექსებს კითხულობდნენ და აგიტაციას ეწეოდნენ.

გავიდა პატარა ხანი და გერმანელთა რეკომენდაციით გამოცხადდა ჩემთან ხუთი ქართველი (მე რომ გითხარით, თანდათანობით გვიერთდებოდნენ-მეთქი). ერთის გვარი დამამახსოვრდა — ჭაჭიაშვილი — ჩავრიცხე ესენი ყველა ჩემთან.

მაგრამ იმ დღეებში მოხდა ერთი ასეთი ამბავი, რომ მე გერმანელებს გადავეცი ჩვენგან ერთი სამუშაო ასეული. აი, უეცრად გახდა ცნობილი, რომ ამ ასეულიდან 32 კაცი მტრის მხარეზე გადავიდა. ვითომ ყუთებით ყურძენი მიჰქონდათ, ეს იხმარეს საფრად და მერე ბაქსანის იქით აღმოჩნდნენ. მაგრამ ეს შეთქმულება უკვე გაცემული იყო და იმ ხალხიდან გერმანელებმა რამდენიმე უკვე დახვრიტეს. მათ შორის, მახსოვს ვინმე წულუკიძე და სხვები. ესე იგი, ვინც გააღწია — გააღწია და ესენი კი დახვრიტეს. მაგრამ ამ შეთქმულების თავკაცი აღმოჩნდა ის ლეიტენანტი მურვანიძე, მე რომ ჩვენი ბატარეის უფროსად დავნიშნე. ესეც დაჭერილი ყავთ. დამიბარეს შტაბში და გენერალი (მისი გვარი არ მახსოვს) შეუბნება --- ეს რა არისო? რას ვიტყოდი — ამ ფაქტით მთელ ბატალიონს ჩრდილი დაგვადგა, მაგრამ მაინც დიდი ნდობა მქონდა მე მათთან. ესე იგი, ვარ არმიის შტაბში — ღრმად მიწაშია მოთავსებული ეს. ღრმადაა გაჭრილი მიწა და გრძელი ხის კიბეები ჩადის იქ. ეყოყვანეს აქ მურვანიძე, ხმას არ იღებს. თავდახრილია. არადა, პირზე ადგება ჩვენივე ბატალიონის ასეულის მეთაური — უსწავლია იმდენი გერმანული, რომ

აგებინებს ამათ, მურვანიძეო, ამბობს ეს ასეულის მეთაური, დიდიხანია რაც შეთქმულებისაკენ მიბიძგებდაო*.

აქ ვეღარ მოვითმინე და შევძახე ამას ქართულად: ბიჭო, რას შვრები, შე უღმერთო, რას ადებ ამას ხელსთქო. ამაზე იმან მიპასუხა — ეს ჩემი საქმეაო. ახლა ამის მეტი ვეღარ ვუთხარი, რადგან უკვე ეშვი ჩემზე გაჩნდებოდა. ეს მურვანიძე კი ხმას არ იღებს. ახლა გენერალმა მიმართა. თუ თქვენ საბჭოთა პატრიოტი ხართ, რატომ მიიღეთ ფიცი საქართველოს დროშაზე პოლონეთში? ხმას არ იღებს. ახლა მე მივმართე: ბიჭო, ამოიღე ხმა, თქვი, რაც იყო, ეს უკეთესია. ბოლოს და ბოლოს შენს გამო ხალხი დაიხვრიტა-მეთქი. მაინც ხმა არ ამოიღო. გენერალმა ბრძანა — გაიყვანეთო. ახლა მე ჩავერიე: ჩვენ გადმოგვეცით და ჩვენ დავსჯითმეთქი. არაო, ეს მე სამხედრო საველე სასამართლომ გადმომცა და მათ უნდა დავუბრუნოო. ჩვენ თქვენ პატივს გცემთ და ამიტომ გიხმეთ შტაბში, რომ თქვენი თვალით გენახათ თქვენი კაცის დაკითხვაო.

მართლაც ჩვენი პატივისცემის გამო გერმანელი თანხლების ჯარისკაცები აქ არ ჩამოუყვანიათ — მაღლა, კიბის თავთან დგანან. ამ მურვანიძეს კი ფორმა აცვია და რევოლვერიც ჰკიდია. კიბეებზე რომ ავდივართ, მურვანიძეს ვეუბნები: მოიკალი თავი! ვერ ქნა. ავედით ზემოთ და გავუმეორე: ე, ბიჭო, მოიკალი თავი! ვერა და ვერ ქნა — „მაცალე, მაცალეო“ და წაიყვანეს, ჩემო ბატონო, და დახვრიტეს.

დავიბოღმე მე, არადა ვიცი ის მინდორი, სადაც დახვრიტეს. მეორე დღეს, ცხენით გავედი ამ მინდორზე, გერმანელები კი მიყურებდნენ, დავკრიფე მინდვრის ყვავილები და მივედი სვეტთან. ამ ხის სვეტზე მიუბიათ და დაუხვრეტიათ და სისხლი კი არის შეშხეფებული ამ სვეტზე და იქვე ახალნაყარი მიწაა, ე. ი. აქვე დაუსაფლავებიათ. დავაწყვე ეს ყვავილები საფლავზე. შემდეგ ამის გამო მითხრეს შტაბში გერმანელებმა: „ზი ზინდ აინ რიტერ“! ე. ი. რაინდი ხარო — მოეწონათ ეს ჩემი საქციელი.

ახლა მიიღო შტაბმა დადგენილება, რომ დაიზვეროს ჩვენს გაღმა მყოფი დივიზია. ავიაციით დაზვერვა უშედეგო აღმოჩნდა — ცუდი ხედვა იყო და დაბლა რომ ვეშვებოდით, გვესროდნენო. ამიტომ გადაწყვიტა სარდლობამ, რომ პირდაპირ დაგვერტყა და მდინარეზე გაგვემართა პონტონის ხიდი. მაგრამ ამისათვის საჭიროა დამკვრელი ერთი ასეული მაინც, რომელიც გადაცურავს მდინარეს. გამაგრდება მეორე ნაპირზე მთელი დღის განმავლობაში და მისცემს არმიას შესაძლებლობას გადასვლისას. მაგრამ ამაზე წასვლა ნაღდი სიკვდილია — მოწინააღმდეგის მთელი ცეცხლი ამ ასეულს დაატყდება. დაისვა შტაბში კითხვა — ვინ გადა-

---

* ამ შეთქმულების „საბჭოური“ ვერსია, იხ. გაზ. „კომუნისტში“. 4 აგვისტო 1987 (ვ. რ.).

ვა, ვინ არის მოხალისე. მე გავჩუმდი — რაღაც ათასი კაცი მყავს და თანაც არ მევალება მე ეს. წამოდგა ერთი ლეიტენანტი იმათ რიგიდან, ვინც დიდი ხანი არიან არმიაში, ე. ი. პროფესიონალები არიან და თქვა, რომ არათუ მოხალისედ, არამედ არავის მივცემთ სხვას უფლებას, რომ ჩვენ დაგვასწრონ იქ გადასვლაო!

დილაადრიანია და გამზადდა ეს ასეული. ჩავუარე მათ და რას ვხედავ — ის ხუთი ქართველი, ბოლოს რომ ჩაირიცხა ჩემთან, აი ჭაჭიაშვილი რომ ვახსენე, აქ მოსულან ამათთან მოხალისედ. მოეწონათ ეს საქციელი გერმანელებს და ამან რაღაცით გაანეიტრალა ის ღალატი. მართლაც, გადავიდნენ. ნამდვილი საგმირო საქმე ჩაიდინეს. გადავიდნენ და გამაგრდნენ და ჩვენ შესაძლებლობა მოგვცეს გადასვლისა. იმ ასეულის 120 კაციდან ერთი ათეული თუ გადარჩა. იმ ხუთი ქართველიდან 4 დაიღუპა, მათ შორის ჭაჭიაშვილი. ახლა აქ რომ ჩამომიყვანეს, თურმე ამ ჭაჭიაშვილის ბიჭი მეძებს, მაგრამ რა უნდა ვუთხრა, საცოდაობაა პირდაპირ.

ასე შემოვედი ოსეთში, გზაზე უმნიშვნელო წინააღმდეგობას ვაწყდებოდით. შემოვედით ურუხის ხეობაში. აქ ოსური სოფლებია — ქვედა, შუა და ზედა ურუხი. აი ეს ზედა ურუხი უკვე რაჭის საზღვარზეა. შუა ურუხში გავმართე მე ჩემი შტაბი. იქ ერთი ოსური ოდა სახლია, ქუჩაზე გამოდის, არავითარი ღობე არ არტყია, მაგრამ წინა ნაწილი ღია აქვს ამ სახლს — ზაფხულობით აქ ეძინათ ოსებს. მე ოთახში მძინავს.

აქ ირგვლივ ცოტაა გერმანელები, ძირითადად რუმინული დივიზიებია განლაგებული. აქვეა ეს ლატვიელებიც. თვითონ ჩემთან, ბატალიონში, ერთი ასეული გერმანელებია. მაგრამ საძაგლად იქცეოდნენ ეს რუმინელები. მთელი ღამე ისროდნენ და პირუტყვზე ნადირობდნენ. პირდაპირ ჭურდები იყვნენ. ამ ღამის სროლის გამო მე მათ ვუჩივლე კიდევაც. რუმინელების პოზიციას აგრძელებს სოსო ლომთათიძის მეტყვიამფრქვეველთა ასეული. აი, ამ ასეულს უხდებოდა ნამდვილი ბრძოლების მიღება. პირდაპირ აცვენილი გურული იყო ეს ლომთათიძე. ბრძოლის დროს სანგარიდან ამოხტებოდა ხოლმე. ორჯერ დაიჭრა. გავაგზავნე ყირიმში სამკურნალოდ — მაინც დაბრუნდა. რა გინდა, ბიჭო, იმკურნალე — არადა, მაინც ჩამოვიდა. ომის მერე არგენტინიდან დაბრუნდა საქართველოში და აქ მოკვდა.

ახლა ამ ბატალიონში ერთი მელია მყავს ფელდფებელად, კარგი ვაჟკაცი, სტუდენტი იყო და ტყვედ ჩავარდა, ახლა ჩემთანაა. მე რომ მოწაფე ვიყავი ქუთაისში მის ბაბუას ვიცნობდი — შენ რომ გინდა მელიაო, ის მე შემომელიაო — ასე ამბობდნენ ბაბუამისზე. მამამისი, საწყალი, ტაბახმელას ბრძოლაში დაიღუპა 1921 წელს. ახლა შესმის ამ მელიას ხმა — თურმე მას და რამდენიმე ჩემს ჯარისკაცს სამი ნაბდიანი ცხი დაუჭერიათ. საეჭვოდ მოეჩვენათ და შემოიყვანეს ჩემს ეზოში. დიდი,

მხრებთან ამაღლებული ნაბდები აქვთ — თოფი რომ გადაიკიდონ, „კავ-კავის“ ნაბადი, გამოვედი მე. დავკითხე რუსულად.

— კტო ვი ტაკიე?

— ოსეტინი იზ ჯავკოსკოგო უშჩელია. — მიპასუხეს.

— აქ რა გინდათ-მეთქი?

— ქორწილზე ჩამოვედითო.

— ვის ქორწილზე?

— არა, ქორწილი არ შედგაო, მიცვალებული იყო სოფელშიო.

— ვინ მოკვდა მეთქი? — არ ვეშვები. ამ დროს ერთ-ერთ მათგანს ყელთან პეტლიცა უჩანს — ესე იგი სამხედროებია, როგორც მერე გაირკვა — კაპიტნები. არ მოვეშვი და ვეღარაფერი მიპასუხეს. ჩაჭინდრეს თავი. არადა აქ ოსეთია, დატენილია ყველგან საბჭოების აგენტებით. ასე რომ არიან თავჩაჭინდრულნი, ერთ-ერთმა მათგანმა ამოილაპარაკა: ჩვენ უბედური ქართველები ვართო. ააა, ქართველები ხართ?! (არადა სახით ქართველები და ოსები გვანან ერთმანეთს), გადაიწიეთ ნაბდები-მეთქი! გადაიწიეს და რევოლვერებთან ერთად ბომბები უკიდიათ. განაიარაღეთ-მეთქი და იქვე განაიარაღეს. ახლა მე ვეუბნები: აქვე დაგხვრიტავთ, თუ სიმართლეს არ იტყვით! შევიდეთ ოთახშიო. შევედით, მოკლედ, გამოირკვა, რომ ტერორისტები არიან საგანგებო დავალებით — ნაბრძანები ჰქონდათ ჩემი მოკვლა, ფანჯრიდან უნდა შემოეყარათ ბომბები. ასე ლაჩრულად უნდა მოგეკალით-მეთქი? ხმას არ იღებენ. მე თქვენ გაჩუქებთ სიცოცხლეს და თავისუფლებას, როგორც ქართველებს-მეთქი? ხმას არ იღებენ. მე თქვენ გაჩუქებთ სიცოცხლეს და თავისუფლებას, როგორც ქართველებს-მეთქი. მე უკან გადაგგზავნით ლომთათიძის ასეულის ხაზიდან და თქვენ იქ უთხარით, რომ ამ ასეულის ცეცხლი ვერ გავარღვიეთ და საერთოდ ვერ გადავედით იქით-თქო. მართლაც ასე მოიქცნენ.

ამ სამი წლის წინ აქ შემხვდა ერთ-ერთი მათგანი, მოვიდა ჩემთან, ბატონო შალვა, მე ვარო ერთ-ერთიო, თქვენ რომ გადამარჩინეთ... ღმერთმა ხელი მოგამართოს-მეთქი.

დიახ, კიდევ ერთი ტერორისტი გილლმ შეიპყრო, ჩემმა ორდინარეცმა, ისიც გავუშვით. უნდა ითქვას, რომ სანამ აქ, ოსეთში ვიდექით, ეს მხდებოდა 1943 წლის 3 იანვრამდე, ჩემთან ბევრი ქართველი გადმოვიდა საქართველოდან და მარწმუნებდნენ — გადმოდი საქართველოში, არიქა, გეშველე, უელში ამოვიდა მაგათი რეჟიმიო. ცხადია, ბევრი მოგზავნილიც იქნებოდა, მაგრამ მე ყველას უკანვე ვუშვებდი — ველოდებოდი, რით დამთავრდებოდა სტალინგრადის ოპერაცია. ეს რუმინული დივიზი-

ები იქ გაიწვიეს, თორემ საქართველოში შემოსვლა ჩემთვის მაშინ ადვილი იყო. ახლა ასე ვუშვებდი და ვანთავისუფლებდი ყველას, ალბათ იფიქრა ჩვენი საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა, რომ ალბათ ეს მაღლაკელიძე საბჭოების აგენტიაო, თქვენი ჭირიმე, აგერ, ახლა, თბილისის ქუჩებში დასეირნობსო და მეც, ფერაძესავით, დიდი „შეუმჩნეველი აგენტიაო“, ჩემო ბატონო*...

ხა, ხა... ახლა, აქ, თბილისში რომ ვარ, ეს ბოლო დროა არ ეხვდები, თორემ ხშირად შევხვედრივარ გენერლებს ყურაშვილს, ჯანჯღავას... ერთხელ ღამე მანქანა გამომიგზავნა ყურაშვილმა, თურმე ყვანიასთან ქეიფობს და მოყვა ამ მანქანას ყვანია და მეუბნება, რომ ამიერკავკასიის შტაბის სამი გენერალიაო ჩემთან და ყურაშვილს უნდა რომ შენი თავი მათ უჩვენოსო. წავყევი, შევედით — ვხედავ, ყურაშვილი თამადობს. ნასვამია და რომ შევედით უცებ დაიძახა ყურაშვილმა: „ესტატ, ვოტ ვამ გიტლეროვსკი გენერალ, ია ობეშჩალ ეგო პოკატაზ“! წამოდგნენ, მე ვეუთხარი: „ია ვამ სკაჟუ პრავდუ — ნე იზ ობლასტი ლეგენდ ის სკაზოკ“ მე თქვენ არ გებრძოდით — ჩვენს ბატალიონებს სხვა დანიშნულება ჰქონდათ-მეთქი. მაგრამ ისე თქვენი მტერი ვარ-მეთქი. წავიდა სმა ღა მერე ველაპარაკეთ ერთმანეთს. ხა, ხა...

დიახ, ვართ, ბატონო, ამ ურუხის ხეობაში და ერთ დილას ატყდა სროლა. გამოვედი და რას ვხედავ — აზერბაიჯანულ ბატალიონს მოუხს-

---

* შ. მაღლაკელიძის „მოგონებანის“ პუბლიკაციასთან დაკავშირებით ჩვენ გამოგვეხმაურა გერმანელთა ტყვეობაში და ომის მერე რუსულ „ლაგერებში“ ტანჯვა-წამება გამოვლილი ყოფილი ლეგიონერი, ბ-ნი ნიკოლოზ ჭარაქაძე (დაიბ. 1922), რომელმაც კერძოდ მერვანიძის ეპიზოდთან დაკავშირებით აღნიშნა, ამ ეპიზოდის მერე ბატონმა შალვა მაღლაკელიძემ თითქმის ყველა ქართველი გადაგვარჩინაო. საქმე ის არის, რომ როდესაც I ქართული ბატალიონი ტაგანროგიდან ფეხით მოიწევდა კავკასიონამდე, გზადაგზა ლეგიონერები არ ერიდებოდნენ მოსახლეობის ბოსტნიდან ვთქვათ საზამთროს თუ სხვა რამის ჭურდობას, რასაც გერმანელები სასტიკად კრძალავდნენ და ამის გამო დამწაშავე ქართველებს ხშირ აბამდნენ. შ. მაღლაკელიძე კი ეუბნებოდა გერმანელებს. ქართველები თავმოყვარე ხალხია და ამას ნუ შეებითო. და აი, შემდეგ, მერვანიძის ეპიზოდთან დაკავშირებთ, ეს მომენტი გაახსენა შ. მაღლაკელიძემ გერმანელებს ქართველების გასამართლებლად. რაც შეეხება შ. მაღლაკელიძის „საბჭოთა აგენტობას“. ამას ბ-მა ნ. ჭირაქაძემ და სხვა გადარჩენილმა ლეგიონერებმა აბსოლუტური აბსურდი უწოდეს და უღიმოთ ბრალდება. სხვას რომ თავი დავანებოთო, აღნიშნა ნ. ჭირაქაძემ, გამომძიებელს ჩემი საქმის დამძიმება უნდოდა სწორედ იმით, რომ შენ ახლო იყავი შ. მაღლაკელიძესთანო. ნ. ჭირაქაძისავე აზრით, შ. მაღლაკელიძის მოტაცება და მისი არ დაჭერა ემსახურებოდა ერთ მიზანს — ჩვენი ემიგრანტების აქ ჩამოტყუებას. სხვათა შორის, იმავე ნ. ჭირაქაძემ აღნიშნა, რომ 1942 წელს ბევრმა ქართველმა ლეგიონერმა (ფაქტიურად, ახალგაზრდა ბიჭებმა) არც კი ვიცოდით, თუ 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იყოო. ეს გავიგეთ ფიცის დადების მერე, როდესაც 1942 წლის 26 მაისს ეს ამბავი გვამცნეს და სადღესასწაულო ლუდი დაგვირიგესო (ვ. რ.).

ნია ფრონტი — წინა ხაზზე იყვნენ და გამორბიან. თავიანთ მოლას მოაცილებს ყველა — ვითომც ყველას მისი გადარჩენა უნდა, ზოგი ქალაქში გაიფანტა, ზოგი ხევში იმალება. თურმე ამ დილას თავს დაესხნენ საბჭოები — მძინარეებს ოსებმა სულ ყელები დასჭრეს და ახლა გარბიან. გავიხედე და უკვე ამ ურუხის შარაზე მოაბიჯებს საბჭოთა ჯარი, წინ ფეხით ნაბდიანი ოსები მოუძღვებიან. სასწრაფოდ მომგვარეს ცხენი, შევჯექი, ამოვიღე ხმალი და ჩამწკრივებული გერმანული ასეული ფეხით მომყვება. პირდაპირ, ხელჩართულად უნდა დავარტყათ. ამ შარაგზის მარცხნივ სასაფლაოა და როდესაც მას გავუსწორდით — გვესროლეს. მოხვდა ჩემს ცხენს და ჩაიკეცა. ვხედავ აღვირში ხელი შეაშველა მას ბურუმხა ხეხიაშვილმა, ბათუმელმა შოფერმა, ებრაელმა, რომელიც რამდენჯერმე გათქვეს და იმის მერე აღარ მშორდებოდა. ესროლეს და ახლა ხეხიაშვილს მოხვდა, იქვე დალია სული საწყალმა და შერჩა აღვირს მისი გაცივებული ხელი. ახლა ჩვენ დავარტყით და შეტევაზე გადავედით. დასცხო მათ ლომთათიძის ასეულმაც და მალე გადავრეკეთ უკან. ახლა უნდა გითხრათ, რომ ამ ურუხის ხეობაში გვქონდა ერთი, როგორც შტაბში გამაფრთხილეს, „საიდუმლო იარაღი“, რომელიც წარმოადგენდა ექვს პატარა ქვემეხს, ერთად შეკრულს; ტაჩკაზე გვედო და მას საგანგებოდ ორი გერმანელი სპეციალისტი ემსახურებოდა. ამ იარაღს ერქვა „ნებელვერფერ“-ი ანუ ნისლმფრქვევი. ეს „ნებელვერფერი“ ისროდა ყუმბარას, რომელიც ღამე ცეცხლივით ანათებდა და სადაც ჩავარდებოდა, კი არ სკდებოდა, არამედ ჩაიფერფლებოდა. რასაკვირველია, იგი რუსულ „კატიუშას“ ვერ შეედრებოდა, მაგრამ ამ „ნებელვერფერის“ ყუმბარა გაზს გამოსცემდა, ე. ი. გაზის იარაღი იყო, რომელიც დავარდნის ადგილიდან ერთი კვადრატული კილომეტრის მანძილზე ყველაფერს სპობდა — ჩიტი რომ ჩიტია, იმასაც ჩამოაგდებდა ძირს. მოხდა, ჩემო ბატონო, საქმე ისე, რომ აი, გაღმა ოსურმა სოფელმა ძალზე შეგვაწუხა — სულ იქიდან გვიშენდნენ ტყვიებს და ესროლეს გერმანელებმა იმ სოფელს ეს „ნებელვერფერი“. მალე მოგვახსენეს, რომ ძალზე დაშავდა იქაურობა — თითქმის სულ ამოწყვეტილან.

ამასობაში გავიგე, რომ პოლონეთიდან წამოუყვანიათ II ქართული ბატალიონი, უჩემოდ, რომელსაც უკვე ბრძოლებში იყენებენ. კერძოდ, ეს ბატალიონი იბრძოდა ტუაფსე-სოხუმის მიმართულებით. მას ხელმძღვანელობდა ტყვედნამყოფი ყოფილი საბჭოთა კაპიტანი ჭიჭინაძე. ახლა ბევრს ლაპარაკობენ რომ ჭიჭინაძე საბჭოების მხარეზე გადმოვიდაო, შეთქმულება მზადდებოდა იქ და სხვა. უნდა მოგახსენოთ, რომ რაც მე ვიცი — ამ ხმებს არ ამართლებს. ჭიჭინაძე უერთგულესი კაცი იყო გერმანელებისათვის. ყველაფერი პაგონების გამო დაიწყო, როგორც მოგახსენეთ, ჩვენს ლეგიონერებს განსაკუთრებული ფორმა ეცვათ, მკლავზე „გეორგიინ“ ეწერათ და სამხრეებიც თავისნაირი ჰქონდათ. ამ სამხრეებ-

ზე იმ დროს პირდაპირ ცეცხლი მომიკიდა სოსო ლომთათიძემ — აი, მაიორი ვიყავიო, ახლა ლეიტენანტობა მომცესო და პაგონები მაინც მომეცითო, ნამდვილი გერმანელი ლეიტენანტის, გერმანელები ისე ჩესტს არ მიღებენო. უნდა გითხრათ, რომ იყო სიმართლე ამ განცხადებაში. ვთქვათ, ამერიკელისათვის ისაა მთავარი, რომ ფორმა იყოს სუფთა და დაუთოებული, გერმანელისათვის კი — პაგონებია ყველაფერი. მივმართე შტაბს სოსო ლომთათიძის გამო, მართლაც, ნება დართეს ამ პაგონებისა, მაგრამ მისცეს ვიწრო პაგონები, ისეთები, რომლებსაც გერმანელი ჩინოვნიკები ატარებდნენ და არა სამხედრონი. ჩემს თვალწინ პირდაპირ იტირა ამაზე ლომთათიძემ. ასევე, დაემართა ჭიჭინაძეს, როდესაც მან რაღაც პატარა ბრძოლაში თავი ისახელა აიღო და დაიკერა ფართო გერმანული ლეიტენანტის პაგონები. ამაზე მას მისცა შენიშვნა გერმანელმა ფელდფებელმა. ჭიჭინაძეს უთქვამს — ესენი ხალხი არ ყოფილაო და რამდენიმე ერთგულთან ერთად საბჭოების მხარეზე გადავიდა. მაგრამ იმათ კარგად იცოდნენ თუ ვინ იყო ჭიჭინაძე და დახვრიტეს.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, როგორი იყო თქვენი გეგმები იმ შემთხვევაში, თუ წარმატებით დაგვირგვინდებოდა გერმანელების მიერ საქართველოს ალება?

შ. მ.: ამაზე უნდა განვაცხადო შემდეგი: მე ვიყავი სამხედრო უწყების კაცი და ასეთი გეგმა — ჩემი მხრიდან — შეთავაზებული მქონდა შულენბურგისათვის და სამხედრო შტაბისათვის. ცხადია ეს გეგმა დამუშავებული იყო უჰიტლეროდ და თუ ყველაფერი წარმატებით და ლოგიკურად განვითარდებოდა — ჰიტლერი ძალაუნებურად მომხრე გახდებოდა ასეთი გეგმისა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამას პირველად თქვენ გეუბნებით, მინდა ჩაიწეროს ეს, რადგან იგი არათუ ჩვენი ემიგრაციისათვის — შვილისთვისაც არ მითქვამს, არადა გაიოზი ახლა ჟურნალისტობს და ვეღარ ვეღირსე მის ნახვას, რომ ეს ყველაფერი მეთქვა ამ სიბერეში მისთვის.

რაც შეეხება შულენბურგს და სამხედრო უწყებას — მათგან სრული გაგება მქონდა და დასტური ამ გეგმაზე. არ დაგავიწყდეთ, რომ ახლა, 1942 წელს საქართველოს მისადგომებთან ის გერმანული ჯარი იდგა, რომელშიც ბევრი ერია ოფიცრები (ან ოფიცრები მერე გახდნენ) იმ ბავარიული დივიზიიდან რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1918 წელს. ბევრ მათგანს მაშინვე დაურიგდათ სამახსოვროდ ე. წ. „თამარის ორდენი“ ჩვენი მთავრობისაგან, მაგრამ ბევრს ახლაც სურდა. ამიტომ მე და მიხაკო წერეთელმა (მიხაკო ჩემი მოადგილე იყო „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციაში გერმანიის მხრივ, ოხუნჯობდა კიდეც — ხელს გულზე დაიდებდა და თავს დაბლა მიხრიდა, ასე მესალმებოდა) 1941 წელს ჩემი ხარჯებით ჩამოვასხმევინეთ ეს ორდენი და თითოეული ორდენის საბუთს მე და მიხაკო ვაწერდით ხელს. ახლა ბევრ მსურველს მივეცი აქ ეს ორდენი და მოვინადირე მათი გული. გენერალი მაკენზენისათვის,

ცნობილი სარდლის შვილისათვის, რომელიც 1918 წელს ბავარიულ დივიზიაში ლეიტენანტი იყო საქართველოში ყოფნისას და ახლა შტაბს ხელმძღვანელობდა — მიხაკოს მიუცია ეს ორდენი, ამით იმის თქმა მინდა, რომ გერმანული სამხედრო შტაბი ძალზე სიმპათიურად იყო განწყობილი საქართველოსა და პირადად ჩემდამი. ამიტომ ჩვენ არ ვბომბავდით საქართველოს — ვთქვათ, ვიცოდით, რომ კოპიტნარში სამხედრო ობიექტი იყო, მაგრამ ჩვენ არ დაგვიბომბავს. რა უნდოდა კოპიტნარის დაბომბვას? არაფერი. ახლა რაც შეეხება გეგმებს, ვინაიდან საქართველო იურიდიულად აღიარებული იყო სახელმწიფოების მიერ და თვით რუსეთისგან, იგი უნდა აღდგენილიყო როგორც სახელმწიფოებრივი ერთეული, სომხეთი და აზერბაიჯანი თავდაპირველად მასში შევიდოდნენ როგორც ავტონომიური ერთეულები. მაშასადამე, საქართველოს ამ იურიდიული აღიარების გამო უპირატესობა ჰქონდა სხვებთან შედარებით; ის კი არადა, როგორც ვთქვი, ჩვენ კაზაკებიც კი გეტმასნებოდნენ და თავის დროზე მათმა ატამანმა გენერალმა პოპოვმა სპეციალური მანდატითაც აღმჭურვა კაზაკებისათვის, სხვათა შორის, საინტერესოა, რომ მე შევხვედრივარ კაზაკებს. ლომიძის გვარით, რასაკვირველია, მათი წინაპარი ქართველი ყოფილა და გაკაზაკებულა. დღესაც ყურში მესმის მათი დამახინჯებულად ნამღერი: „ავტანდილ გადინადირა“... დიახ, ახლა რაც შეეხება გეგმებს. მამისონის უღელტეხილიდან უნდა გადმოვსულიყავი საქართველოში. პირველ რიგში მოვუსმობდი საქართველოს კათოლიკოსს კალისტრატეს და აკადემიის პრეზიდენტ მუსხელიშვილს. ჩვენ სამნი, ე. ი. სამღვდელოება, მეცნიერთა წარმომადგენელი და სამხედრო გამოვიდოდით რადიოთი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას გამოვაცხადებდით. ჩემს მიერ შექმნილი „ხუთეულები“ ადგილებზე განაგებდნენ. სხვათა შორის, ჯერ კიდევ ჟორდანია მითვლიდა იქ, რომ ოღონდ შენ შედი საქართველოში და თავი თუ გინდა ახმეტ ზოგუსავით მეფედ გამოაცხადეო. ეს ახმეტ ზოგუ ჩემსავით უბრალო პოლკოვნიკი იყო და 1928 წელს ალბანეთის მეფე გახდა. ხა, ხა... რაც შეეხება კალისტრატეს, იმას დიდი სახელი ჰქონდა. ცნობილია, რომ სტალინმა კალისტრატეს აკურთხებინა სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი; ე. ი. მე, ქართველი, რუსეთის სახელმწიფოს განვაგებო და მეორე ქართველი — რუსეთის ეკლესიასო. მე თვითონ მაქვს ფოტოები ნანახი გერმანულ გაზეთებში, კალისტრატე რომ ადგამს გვირგვინს ალექსის, დიახ, ე. ი. საქართველო მოკავშირე გახდებოდა გერმანიისა, შეიქმნებოდა შტაბები ტაბახმელასთან და ყაზბეგში, შესაბამისად, ორი ქართული დივიზია ჩამოყალიბდებოდა და მე ამ დივიზიებით გავყვებოდი გერმანელებს ინდოეთში. ასეთი იყო გეგმები, ჩემო ბატონო, და ჩაშალა ეს ამბავი სტალინგრადის ოპერაციამ. როდესაც მოიხსნა ჩვენი ფრონტიდან გერმანული და რუმინული დივიზიები სტალინგრადის დასახმარებლად

და მე ურუხში თითქმის მარტო დავრჩი, მაშინაც კი გადმოვიდნენ ჩემთან საქართველოდან და „გადმოდი საქართველოში, გვიშველეო“, მაგრამ ესენი ალბათ ნამდვილად მოგზავნილები იყვნენ, რომ მე მცირე ძალებით საქართველოში დავეჭირე.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ეწეოდა თუ არა გერმანული არმია დაპყრობილ ტერიტორიებზე ძალადობას, ქალთა შეურაცხყოფას?

შ. მ.: მკაცრად ისჯებოდა მაგნაირი საქციელი თუნდაც იმიტომ, რომ გერმანელ ჯარისკაცს ეკრძალებოდა სქესობრივი კავშირის დამყარება მოსალოდნელი ავადმყოფობის გამო. გერმანელსა და ჩვენს ლეგიონერებსაც საგანგებოდ ურიგდებოდათ პრეზერვატივები და პოლონეთში ყოფნისას თვეში ერთხელ საროსკიპოებში უშვებდნენ. რაც შეეხება ახალ დაპყრობილ ადგილებს, იქ მოსახლეობას ეკრძალებოდა კარებების დაკეტვა — ღია კარები უნდა ყოფილიყო, რომ პატრულს რაიმე დანაშაულის სმა გაეგო. ისე, რუსეთში გავრცელებული იყო „ორი ბალიშის“ სისტემა, ე. ი. გერმანული ჯარი რომ შევიდოდა სოფელში თუ ქალაქში, „ხოზიაიკები“ ღამე წვებოდნენ გერმანელებთან და „მეორე ბალიშს“ დებდნენ ლოგინზე. მახსოვს, გომელი რომ ავიღეთ, გაიოზიც ჩემთან იყო. მაღალი რანგის ოფიცერისათვის გერმანელები თავიდანვე აარჩევდნენ სახლს და ცარცით შემოხაზავდნენ. შევედით ასეთ ცარცით შემოხაზულ სახლში. დიასასლისს ჰყავდა ქალიშვილი, რომელიც კიევის კონსერვატორიაში სწავლობდა. საღამოს დაგვიკრა როიალზე. გაიოზმაც ხმა ააყოლა, მაგრამ დაწოლის დრო რომ დადგა — ვხედავ, ჩემს საწოლზე ორი ბალიში დევს ერთმანეთის გვერდით. თურმე, ნუ იტყვით და, ამ ქალიშვილს მე მოვწონებივარ — რა არის მეთქი ეს? „მამოჩკა სკაზალა, ჩტო ია დოლუნა სპაც ზდეს“. ახლავე მოაშორე მეთქი, ეგღა მაკლია, თან ჩემი ვაჟი მახლავს... ეს რომ ვუთხარი, ატეხა ტირილი: „პაჩემუ ვი რუსკიხ ტაკ ნენავიდიტე“! მოკლედ ძლივს გამოვაღწიეთ იქაურობას.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ბედი აქ რომ იდექით, საქართველოს საზღვარზე?

შ. მ.: 1942 წლის დეკემბრისათვის სტალინგრადის საქმე ცუდად იყო, მასობრივად დეზერტირობდნენ რუმინელები. მოსახლეობაში თოფებს პურზე ცვლიდნენ, პირდაპირ გაიხრწნენ. უცებ დატოვა ჩვენი ფრონტი ორმა გერმანულმა დივიზიამ სტალინგრადის დასახმარებლად. მათ რუმინელებიც მიყვნენ — მათი მსვლელობა მე მინახავს: „ტაჩკებით“, ურმებით. ზედ ძაღლი ყავდათ ჩაბმული. ეს წასვლა ისე სწრაფად მოხდა, რომ მე არაფერი გამიგია. ამრიგად, მე ჩემს ხალხთან ერთად დავრჩი მოჭრილი; ვინ არიან ახლა ჩემთან: I ქართული ბატალიონი, ლიტვა-ლატვია-ესტონური და პოლონელთა ასეულები, აზერბაიჯანელები და ერთი „ვზვოდიც“ არ იქნებოდა, დაახლოებით 20 კაცამდე, ჩემი ერთგული

გერმანელები, სულ დაახლოებით 2000 კაცი, გვყავს ცხენები და გვაქვს ქვემეხებიც.

ვ. რ.: სომხური ბატალიონი სად იყო ამ დროს, ან ოსური ასეული?

შ. მ.: სომხებს, ბატონო, დასავლეთისაკენ ჰქონდათ მიდრეკილება და ყოველნაირად აიცილეს თავიდან აქეთ წამოსვლა, ხოლო ოსური ასეული, როგორც ვიცი ჩრდილო იტალიაში წაიყვანეს. დიახ, 1943 წლის 3 იანვარია. ჩავამწკრივე ჩემი ბატალიონი და გამოვუცხადე: ჩვენ აღმოვჩნდით კუბოში — ჩვენი დანებება არ შეიძლება, დაგვსვრეტენ. ამიტომ უმჯობესია, ბრძოლის ველზე მოვკვდეთ. ან გზა გავიკაფოთ აზოვის ზღვისაკენ, რომ მერე ყირიმში გადავიდეთ! ყირიმი მაშინ გერმანელების ხელში იყო. დავიძარით სრული სამხედრო წესით — მივყვებით მდინარეს ორივე მხარეს. ადვილად მივაღწიეთ ნალჩიკს., გავიარეთ ნოვოგიორგიევსკი, პიატიგორსკი, კანტიკუნტად გვესვრიან, მაგრამ მეტს ვერ ბედავენ — ატყობენ, რომ თავგადადებული ნაწილია. ისე, გვიხდება უკან დაბრუნებაც, ზოგჯერ მრავალი კილომეტრითაც — ეს იმ დროს, როდესაც მზვერავები მატყობინებენ, წინ მტრის დიდი ძალებიაო. გზად აგვეკიდა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც დასავლეთში უნდა გაქცევა. დამავიწყდა მეთქვა — აქეთ რომ მოვდიოდით, საქართველოში, პიატიგორსკში შემემთხვა ასეთი ამბავი: ჩვენი შესვლა იყო იქ და — შემატყობინეს, გერმანელთა სამხედრო-საველე სასამართლო კინოთეატრის შენობაში ასამართლებს ტყვე საბჭოთა ოფიცრებს, რომლებიც ქართველები არიანო. მაშინვე გავეშურე იქით. შევედი და მესმის: „ფერურტაილტ ცუმ ტოდე“! ე. ი. სიკვდილით დაისაჯოს. ამ თეატრის სცენაზე ზის სამი გერმანელი პოლკოვნიკი და ასამართლებენ 9 ოფიცერს, ცხრავე ქართველს! რომ გამოაცხადეს განაჩენი — ერთი ქართველი წაიქცა, ეტყობა კი იცოდა იმდენი გერმანული. მე მივედი, მეორე აყენებს ფეხზე. წაქცეულის გვარი აღმოჩნდა გაჩეჩილაძე, შავთმიანი ბიჭი იყო. ახლა მე შემრცხვა — რაღა მაინცდამაინც ამ ქართველებს ასამართლებენ. ამასობაში, ის პოლკოვნიკი, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეობდა, უეცრად წამოდგა და მოვიდა ჩემთან.

— „ენტშულდიგენ ზი ბიტტე“! — ბოდიში მომიხადა. თურმე ეს არის ლატვიელი გერმანელი, რომელსაც მე რიგიდან ვახსოვარ. ახლა მე მივმართავ მას ლატვიურად: მე „მილიტერბერატერი“ ვარ ოკვ-ს წევრი და გადმომეცით ეს პატიმრები თავიანთი საქმეებიანად-მეთქი. ესენი მზვერავებად იყვნენ აქ შემოგზავნილიო, მიპასუხა, მაგრამ საბოლოოდ დამთანხმდა. დააბრუნეს ისინი ციხეში, კარგად ეპყრობოდნენ, ე. ი. ისინი უკვე მე დამაწერეს. მე მათთვის აქამდე ვერ მოვიცალე და ახლა ვხედავ — დამხვდნენ ამ პიატიგორსკში გარეთ გამოშვებულნი, შენი ჭირიმეო — ასე მომმართეს, ჩვენც შენთან ერთად წამოვალთ, თორემ საბჭო-

ელები დაგვხვრეტენო. რა გინდათ, ბიჭო, ცნობას მოგცემთ, რომ ციხეში იჯექით-მეთქი. არაო, არ გვინდაო და წამომყვნენ.

დიდად დაღლილები მივადექით როსტოვს. ქალაქი ცეცხლის ალშია გახვეული. გერმანელებს უკან დახევის დროს დაუწვიათ. აქ მე გამოვაცხადე, რომ შევარჩიოთ ქალაქში დაუმწვარი სახლები და დავისვენოთ-მეთქი. მერე მიემართე ყველა არაქართველს, რუსულად: თქვენ თუ არ გამომყვებით, ნებას გაძლევთ თავს უშველოთ, როგორც შეგიძლიათ! მართლაც, დაგვტოვეს ამ ხალხმა. — რუსული იციან, თავს გაასაღებენ ტყვეობიდან გამოქცეულად, აქ უკვე გერმანელები აღარ არიან და წადი და იკვლიე შენ — ასე გადაირჩინეს თავი. ის 9 ქართველიც აქ დამეკარგა. მხოლოდ ქართული ბატალიონით შევედი როსტოვში.

პატარა ხნის მერე შემატყობინეს, რომ ალყაშემორტყმულნი ვართ, აი, აქ პირველად ვიბრძოლეთ სამკვდრო-სასიცოცხლოდ. ბრძოლით გავიკაფეთ გზა, თუმცა 21 ქართველი დავკარგე მოკლულის სახით. მტერი კი ძალზე დავაზიანეთ. გავედით აზოვის ზღვასთან. პარტიზანები ველარ ბედავენ ჩვენთან მოკარებას. ზღვა გაყინულია. ჩვენ გავუშვით ცხენები და მოვსპეთ ქვემეხები. გერმანელებმა შეგვნიშნეს — ჩვენთან დაჯდა სამოქალაქო სამადგილიანი თვითმფრინავი. ამ წუთიდან იწყეს ჩვენთან მოფრენა მათმა თვითმფრინავებმა და ჩვენი ხალხის გადასხმა ყირიმში. მაგრამ რა თვითმფრინავებია ეს? 2—3 ადგილიანი, სამოქალაქო. ცაში კიდევ საბჭოთა მფრინავები ესხმიან თავს. ამიტომ შემდეგ როცა მოფრინდებოდნენ, ქვემოდან ბარაჟა — ნავი ებათ, რომ მეტი ხალხი გადაეყვანათ. ხა, ხა, ასეთი რამ პირველად ვნახე. ჩასხდებოდნენ ამ ნავებში ბიჭები — 3—4 კაცი და მიფრინავდნენ. ერთი კარგი მებრძოლი მყავდა, ქახელი, თვითონ თავის გვარს არ ამბობდა — „ქახელი“ დამიძახეთო, აი, ეს საწყალი მოწყდა თვითმფრინავს, იმ ბარჟიანად და დაიღუპა აზოვის ზღვაში. მე ყველა ლეგიონერს ვაფრთხილებდი, ყირიმში რომ არ დავქსაქსულიყავით, უნდა შევკრებილიყავით ქალაქ ჯანყოიში. ჯანყოი, ჯანყოი! — ვეუბნები მათ. სულ ველა გავუშვი, დავრჩი მარტოდ-მარტო ამ გაყინულ ზღვასთან. ჯიბეში რუსული ნაგანი მიდევს — გადავწყვიტე, თუ თვითმფრინავი არ მოვიდოდა ჩემს წასაყვანად, თავი მომეკლა. დავწვი ამასობაში ჩემი თბილი შუბა. თან ამ ნაგანს ვამოწმებ. ჰმ, ჰმ, რომ არ მიმტყუნოს, კაცს თუ თავის მოკვლა უნდა, ბატონო ვიქტორ, სხვაგან არ უნდა ისროლოს, პირის გარდა. სხვაგან შეიძლება აცდეს ვერ მოხვდეს ტყვია კარგად. პირში კი — აი შეიდებ ლულას ზემოთ და გათავდა... ამასობაში გამოჩნდა თვითმფრინავი. დაჯდა — პატარა, ორადგილიანია, რომ უნდა ავიდე, უცებ ვხედავ — ერთი ქართველი დარჩენილა, ეტყობა საჭიროების საქმეზე გასულა იქით და ახლა მორბის: მიშველეთ, მიშველეთო! სხვა რა გზა იყო — შევეტენეთ ამ თვითმფრინავში და გადავფრინდით.

- ჯანყოიში დაკითხვა მომიწყო ორმა გერმანელმა გენერალმა — თურმე „ბერგმანელებს“ დავუსმენივარ. რატომ დარჩითო, სად დარჩითო, როგორ გადარჩითო, რატომ მარტო ქართველები დარჩაო. მე ვუპასუხე, რომ ბოდიშის მოსახდელი სწორედ იმათ აქვთ, ვინც მე ურუხის ხეობაში ჩამტოვა-მეთქი და ისე, დაუკავშირდით გენერალ კესტრინგს, რომელიც მოგახსენებთ, თუ მე რას წარმოვადგენთქო.

მართლაც, ორი საათის განმავლობაში დაუკავშირდნენ კესტრინგს. იმას გახარებია, რომ მე ცოცხალი გადავრჩენილვარ — თურმე იქ ჩათვალეს, რომ მაღლაკელიძე თავისი ბატალიონით დაიღუპა. ასე რომ მოვიდა ეს ორი გერმანელი გენერალი და დიდი ბოდიში მომიხადეს.

დავბრუნდი პოლონეთში, ლეგიონში ჩვენი — I ბატალიონი უკვე „ფრონტზე ნამყოფია“ და ავტორიტეტით სარგებლობს. შეგვეგებნენ გერმანელები — გვილოცავენ გადარჩენას.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, სანამ შემდეგ ამბებზე გადახვალთ, ხომ არ გვეტყოდით, მართალია თუ არა, რომ ფონ პაულიუს ინგუშებმა თეთრი ცხენი გაუგზავნესო 1942 წელს?

შ. მ.: არა ბატონო, არა. იმ ხნის განმავლობაში რაც მე ურუხის ხეობაში ვიდექი, ასეთი რამ არა მსმენია, ყოველ შემთხვევაში, ჩემს ხაზზე ეს არ მომხდარა. ეს უფრო ლეგენდას განეკუთვნება. მაგრამ ინგუშებმა მე კი მაჩუქეს ცხენი იმ მოკლული ცხენის სანაცვლოდ. ერთხელ მოვიდნენ ჩვენთან ჩალმიანი ინგუშები, ე. ი. პატივცემული ხალხი და დაგვპატიჟეს. სამნი წავედით — მე და ორი გერმანელი გენერალი. შევედით მათ ფაცხაში. ცხვრის დუმას წვავენ შამფურზე. თქვენგან ყველაზე უფროსსო ეკუთვნის პირველობაო, რომ შამფურიდან ეს დუმა აიღოსო — ასეთია ჩვენი მეგობრობის წესიო — გვითხრეს ამ ჩალმიანებმა. მე შევთავაზე ჩემს გვერდით მჯდომ პრუსიელ გენერალს ეს საქმე, მაგრამ უარი მითხრა, ან, როგორ დამთანხმდებოდა ჩემო ბატონო, მონოკლი ჰქონდა თვალში გარჭობილი და ხომ ჩამოუვარდებოდა ამ ცხელი დუმის აღებისას! ხა!.., ამიტომ ავიღე მე ორი თითით ეს დუმა, თუმცა კი ძალიან ცხელი იყო. ინგუშებმა გვითხრეს: როგორც ხედავთ, ჩვენ არც ჩანგალები გვაქვს და არც სხვა რამეო, მაგრამ თქვენ რომ დამკვიდრდებით — ყველაფერი გვექნებაო. გაეცინათ ამაზე გენერლებს — ესენი ყოფილან ნამდვილი დიპლომატებიო.

დიახ, ახლა რაც შეეხება ლეგიონის ამბებს, დავბრუნდით მაშ ჩვენ პოლონეთში, ჩვენს ბანაკში, აქ არის, როგორც გითხარით, „ტატარსკი ბატალიონები“, რომლებიც გარბიან, დეზერტირობენ, ამიტომ სარდლობამ ამ ჩვენს I ბატალიონს ნდობა გამოუცხადა და დანიშნა მათ დარაჯებად, ე. ი. ნამდვილი საკომენდანტო ბატალიონი გახდა ამით ამ ბატალიონმა სხვებში გარკვეული სიძულვილი გამოიწვია. ეთქვათ, თუ უაზანელი თათარი ღობეს გარეთ გავიდოდა, ესენი დაიჭერდნენ და გალახა-

ვდნენ. ამავე დროს, რომ ჩამოვედით, ეხედავ, ამ ჩვენი ბარაკების ირგვლივ რაღაცა „ბუდკებია“. თურმე ნუ იტყვით და ამ „ბუდკებში“ საროსკიპოებია. მოყავთ პოლონელი ქალები, დროს ატარებენ. ჩვენი ყაზარმების გვერდით კი ფრანგული ბატალიონებია — ვიშის მთავრობის ფრანგული ნაწილები. მე ვუთხარი ჩვენს ლეგიონერებს: ბიჭებო, თქვენ დედები გყავთ, დები. პოლონეთი დაპყრობილი ქვეყანაა და ჩვენ ქართველებს, არ გვეკადრება ასეთი რამ. მოდი, მასახელეთ და უარი თქვით საროსკიპო „ბუდკებზე“. მართლაც დამიჯერეს და განუცხადეს ეს გენერალ აიზენდორფს, გერმანული შტაბის მეთვალყურეს ჩვენს ლეგიონზე. ჩვენი ბანაკის ტერიტორია გაწმენდილი იქნა ამ საროსკიპოებისგან. ე. ი. ჩვენ, „ფრონტოვიკებმა“, აქ უკვე მორალი შემოვიტანეთ.

ამასობაში, ჩემი სურათი დახატა მხატვარმა ილო ტატიშვილმა, რომელიც ტყვედნამყოფი იყო და გაიოზთან მეგობრობდა. გაიოზმა წაიყვანა ის ბერლინში თავის რედაქციაში. ეს სურათი გაავრცელეს მერე და ასე ხვდებოდა იგი ტყვეთა ბანაკებში, თორემ ისე მე პირადად ტყვეთა ბანაკში არ ვყოფილვარ და არც აგიტაცია გამიწევია — დაუშვებლად მიმაჩნდა ეს. ამ სურათის წყალობითაა, რომ ახლა ბევრი ტყვედნამყოფი მცნობს. ამასობაში მომდის მე, ჩემო ბატონო, მთელი ოცეულები, ქართველები გერმანულ ფორმაში. თურმე უკვე უკრაინაში პოლკოვნიკი მაიერი აკომპლექტებს ქართულ ლეგიონებს და ის მიგზავნის მე ამ ხალხს. 1943 წლისათვის ქართველების რიცხვმა გერმანულ ფორმაში 35000 კაცი შეადგინა. ამ დროისათვის გაიოზმა გამოიმუშავა ბატალიონთა დასახელებანი, ჩამოიტანა ბერლინიდან დროშები და საზეიმო ვითარებაში,— ცერემონიალზე გამწკრივებული იყო კავკასიის ყველა ერის ჯარის ნაწილები, ხოლო გერმანელთა მხრიდან ამას ესწრებოდნენ ფონ დერ შულენბურგი, გენერალი კესტრინგი, გენერალი ჰაიგენდორფი — გადავეცით ეს დროშები ბატალიონებს. როგორც ვთქვი — I ბატალიონი ბრძოლაში ნამყოფი, ჩემს სახელს ატარებდა, მეორე ბატალიონი — „გიორგი საკაძის“, — მესამე ბატალიონი — „დავით აღმაშენებელის“, მეოთხე ბატალიონი — „თამარ მეფის“, მეხუთე ბატალიონი — „მეფე ერეკლე მეორის“, მეექვსე ბატალიონი — „შოთა რუსთაველის“, მეშვიდე ბატალიონი — „ილია ჭავჭავაძის“.

ამასობაში „ბერგმანიც“ არ ისვენებს. ერთხელ, ბერლინიდან რომ ჩამოვედი, ვხედავ, დაუყენებია ჩვენი ლეგიონის 35 ბიჭი კესტერს, ობერლენდერის მოადგილეს და აგიტაციას უწევს „ბერგმანში“ გადასვლისათვის. მივედი მათთან და დატოვეთ ტერიტორია-მეთქი! დამემორჩილა. მერე მივმართე ამ ბიჭებს — რას გეუბნებოდათ-მეთქი. რასო და, გადმოდით ჩვენთანო. სულ მალე საქართველოში დაგსვამთო, მერე, აზრზე ხართ-მეთქი. ეს რას ნიშნავს? თავები აქვთ ჩაქინდრული და ერთმა ჩაილაპარაკა: საქართველოში მოვხვდე და მერე მე ვიცი, ე. ი. გერმანე-

ლებს მოვატყუებო. აა, ვაი თქვენს პატრონს-თქო, ვინ დაგიჯერებს ბიჭო, შენ მერე საქართველოში, რომ გერმანელების მოტყუებისათვის ჩამოგსვეს-მეთქი?! დაგხვრეტენ, თქვე საწყლებო, არ ჯობია აქ იყოთ, ჭამოთ, სვათ და ომის ვითარებას დაელოდოთ-მეთქი.

ახლა არის ჩვენთან პოლკოვნიკი ფრიდონ წულუკიძე, 1921 წლიდან ემიგრანტი, კავალერისტი, გენერალ მაზნიაშვილთან ერთად თავი რომ ისახელა ბათუმიდან თურქების გარეკვაში*. მე რომ გენერალ-გუბერნატორი ვიყავი, იგი მაშინ ართვინის კომისრად დავნიშნე. შემდეგ, ემიგრაციაში, ჩემზე ადრე იყო „თეთრი გიორგის" ორგანიზაციის წევრი. პარიზში შოფრობდა. შემდეგ, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, რამდენიმე „თეთრ გიორგელთან" ერთად, მოხალისედ წავიდა გენერალ ფრანკოსთან. იქიდან დაბრუნდნენ ესპანური ბერეტებით — ფრანკოს ესკადრონის შექმნა. არ გინდა-მეთქი რაღა ფასი აქვს ახლა ცხენოსნებს-მეთქი, და არაო, საჭიროაო, როგორც სჩანს, უფრო საკომენდანტო ესკადრონის შექმნა უნდოდა. ახლა სად იშოვოს ეს ცხენები? პოლონეთში და იქით დიდი ცხენებია, მიწას ხნავენ მათი დახმარებით. ჯარს კიდევ სჭირდება ნამდვილი, „ზავოდის" ცხენები. ფრიდონთან ერთად არის მამალაძე, ისიც კავალერისტი, იშვიათად უკრავდა „გარმოშკაზე", ე. ი. მოქეიფენი არიან, მათთან არის კიდევ დანელია. აქეთ ეცა ფრიდონი, იქით ეცა და ბოლოს როზენბერგის უწყების დახმარებით, გიორგი მაღალაშვილმა შეუწყო ხელი (ისე, ფრიდონი საესებით აპოლიტიკური კაცი იყო), წავიდა უნგრეთში და იქიდან ჩამოიყვანა ცხენები, ჩამოაყალიბა ეს ესკადრონი, ბევრი მეგრელი იყო იქ. ერთ დღეს მეუბნება: წამოდი, დაათვალიერე ჩვენი ესკადრონიო. წავყევი. მივედით — არიან ჩამწკრივებულნი. ახლა მიესალმა ფრიდონი — გამარჯობათ ვაჟკაცებო! ხმას არ იღებენ. — გამარჯობათ რაინდებო! ხმას არ იღებენ.

— ბიჭოს, რაშია საქმე?! მერე უცებ დაიძახა: გამარჯობათ მძ... ბო! ამაზე უცებ გასცეს ხმა: გაუმარჯოს გაუმარჯოს!! ასე დაურიგებია ისინი ფრიდონს.

---

* ბ-ნ მიტო გოგუას, თვითმხილველის მონათხრობიდან: ბათუმში, 1921 წლის მარტის ბოლოს, მე, მაშინ მოწაფე შევესწარი ერთ მომენტს. მე ვიმყოფებოდი თურქულ უაზარმასთან, როდესაც ატყდა სროლა. თურქმა ჯარისკაცებმა ; უაზარმის შესასვლელში დაიწყეს შლაგბაუმის დაშვება. ამ დროს უეცრად გაჩნდა ცხენოსანი, რომელმაც საოცარი სისწრაფით ცხენი მიაგდო ამ შლაგბუმთან, თვითონ ცხენს გვერდით მოეკცა და ასე გავიდა შლაგბაუმის მეორე მხარეს. ამოღებული ხმლით დაერია იგი თურქებს, რამდენიმე მათგანი ძირს დასცა და დანარჩენები გაიქცნენ. მან კი შლაგბაუმი ასწია და შიგნით ქართველები შეცვივდნენ. როგორც მერე გავიგე, ეს ცხენოსანი ყოფილა ფრიდონ წულუკიძე. (ვ. რ.).

ხა, ხა, ხა! ახლა ამაზე თან ბრაზი მომერია, თან სიცილს ძლივს ვიკავებ და ვეუბნები ფრიდონს: ბიჭო, ახლა, მასხრობის დრო არის მეთქი?! რას მასხრობ მეთქი კაცო?!

— ამათი იმედით, ამ საცოდავებისო, მართლა სამასხროდ გვაქვს საქმეო, — მიპასუხა ფრიდონმა.

ახლა, ბატონო, ამ ფრიდონთან, დაკავშირებით ერთი რამ გამახსენდა კიდევ. ხა, ხა! ესე იგი, ვართ პარიზში, ომამდე. იქ ერთი ყოფილი პროპორშჩიკი იყო, მიტო ჯორჯაძე. შოფრობდა. დააარსა ბატონო, ამ მიტო ჯორჯაძემ რუსების წაბაძვით ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოება, მოწმობებს იძლეოდნენ. ამ ჯორჯაძის მოადგილე იყო ფრიდონ წულუკიძე. მიმიწვიეს და მეც შემიყვანეს იქ. ამაზე კოკი დადიანი შემომწყრა: შენ პირადი აზნაური იყავი და არა შთამომავლობითი (ნიკოლოზის დროს ოფიცრებს, თუ ისინი არ იყვნენ აზნაურები, „პირად აზნაურობას“ აძლევდნენ), მე ვუთხარი: მიტო ჯორჯაძემ დამიძახა აქ, როდესაც ლხინობდნენ, თორემ აზნაურობის გამო არ მივსულვარ მასთან-მეთქი. ახლა არის აქ ემიგრანტი კოკაია, კარგი ბიჭია, ერთი ფრანგის მამულს, ვენახს ამუშავებდა. ამ ფრანგს ჰყოლია ქალიშვილი და შეყვარებიათ ამათ ერთმანეთი. მაგრამ მამამისს ქალი არ მიუცია — ვინ ხარ შენ, რას წარმოადგენო. კოკაიას უთქვამს მე კავკასიაში ემამულე ვიყავი და კეთილშობილი შთამომავლობისა ვარო. ახლა მომადგა ის კოკაია და მეუბნება: ბატონო შალვა, თქვენი ჰირიმე, დამეხმარეთ რომ ქართველ თავადაზნაურთა საკრებულომ ცნობა მომცეს, რომ ვარ აზნაური — ჩემს გვარს „დე“ მიუმატონო — „დე კოკაია“, თორემ ფრანგი არ მაძლევსო თავის ქალიშვილს. ჯორჯაძესთან ვერ მივალო. ის ერთი ჯმუხი კახელი კაციაო და ფრიდონ წულუკიძესთან გამიკეთე საქმეო. გავუშვი მართლაც ფრიდონთან. ფრიდონს აუხედ-დაუხედავს ამისთვის და უთქვამს: წადი, შე ვირიშვილო და ხუთასი ფრანკი მოიტანეო! ხა, ხა! მართლაც წასულა კოკაია და მიურთმევია ფრიდონისათვის ქრთამად ხუთასი ფრანკი. ასე გახდა კოკაია „დე კოკაია“ და მისცეს ქალი.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ლეგიონერებში თუ იყვნენ ქართველი ებრაელები და როგორ ექცეოდნენ მათ?

შ. მ.: ერთ ებრაელზე მე უკვე მოგახსენეთ, ურუხთან რომ დაიღუპა. ისე კი, უნდა ითქვას, რომ გერმანელი სამხედრო უწყება სრულიად არ იყო დაინტერესებული ებრაელთა დევნაში. ე. ი. სამხედროები მაქსიმალურად არ იმჩნევდნენ ებრაელთა ყოფნას, თუ, რასაკვირველია, მათ ძალად ვინმე არ დაასმენდა და ასე ვთქვათ, პირში არ ჩათხრიდნენ. მე მახსოვს, ერთხელ ბერლინიდან ვბრუნდებოდით მე და გაიოზი ჩვენი ლეგიონისაკენ და გზად ასევე მანქანით, შეგვხვდა უსეინი, მე რომ მოგახსენეთ, გერმანელი კაპიტანი, ჩემი შტაბის უფროსი. მას მანქანაში უჯდა ბორუხა სიმაშვილი და ლეგიონიდან ისევ ტყვეთა ბანაკში მიყავდა. ეს

სიმაშვილისათვის სიკვდილის ტოლფასი იყო, რაში არის მეთქი საქმე — ვკითხე უსეინს. რა ვქნაო, დაასმინეს და იძულებული ვარ ისევ ტყვეთა ბანაკში დავაბრუნოო. ისე, სიმაშვილისათვის კი რამდენჯერმე მქონდა ნათქვამი, რომ „სიმაშვილს“ ნუ იძახი, სიამაშვილი თქვი-მეთქი. ახლა ამ უსეინს ვუთხარი, რომ გადმომეცი სიმაშვილი ჩემს პასუხისმგებლობაზე-მეთქი და უსიტყვოდ გადმომცა. ასეთი კეთილშობილება გამოიჩინა ამ გერმანელმა.

მერე მახსოვს კიდევ ვინმე ქურციკიძე, ბიძა ჰყოლია პარიზში და იმის იმედით გადმოსულა ჩვენსკენ. თვითონ ფელდფებელი იყო და მასთან ერთად იყო გადმოსული, ე. ი. ტყვედ ნამყოფი, ვინმე პოლკოვნიკი. ბარამიძემ მითხრა ეს პოლკოვნიკი არ არისო. მართლაც დავკითხე და გამოტყდა, რომ უბრალო ინტენდანტი იყო და, რაც მთავარია, ბაქოელი ებრაელი. ატირდა საწყალი. ეგონა დავხვრეტდი. მე ვუთხარი: ინტენდანტი იყავი და ჩვენთანაც ინტენდანტად დარჩები-მეთქი. მესამე შემთხვევა მთლად კურიოზული იყო. გესტაპოში ექიმად შეუღწევია მოშიაშვილს, რომელიც ელბაქიძის გვარს ატარებდა. გესტაპომ გამოგვიგზავნა ის ჩვენ ექიმად. ესეც გამომიტყდა მე და ესეც დავტოვე ჩვენთან. შემდეგ, ჩემს არ ყოფნაში გაქცეულა საწყალი გიგატაშვილის შიშით — დამასმენსო. ამ გიგიტაშვილზე, მერე მოგახსენებთ. დიახ, ე. ი. თუ საგანგებოდ არ დაასმენდნენ ებრაელს, ისე სამხედროები ამას არ დასდევდნენ. მაგრამ რად გინდა რა, ქართველი ქართველს არ ასმენდა?! 1943 წელს ჩემი ვაჟი გაიოზი დაასმინეს გესტაპოში საბჭოელებს ეხმარებაო, მამაშვილი მაღლაკელიძეები ლეგიონერებს ეუბნებიანო, რომ თქვენ მარტო რუსეთის წინააღმდეგ უნდა იბრძოლოთო და არა ვთქვათ ინგლისისაო. ახლა ვინ დაასმინა გაიოზი? ვინა და მიშა კედიამ, პარიზში გესტაპოს „ფერტრაუენსმანი“ (სანდო პირი) იყო. მამამისი-მეთქი, საქართველოში პრისტავი იყო. ამ მიშა კედიას კავშირი ჰქონდა პოლონეთში მყოფ კვალიაშვილთან, პოლონეთის არმიის ოფიცერთან, რომელიც შემდეგ გესტაპოს „ფერტრაუენსმანი“ გახდა პოლონეთში. ახლა გავიგე, რომ ეს კვალიაშვილი ისევ პოლონეთშია* და ქალაქ პოზნანში სამხედრო მუზეუმის დირექტორია. ჩავედი საგანგებოდ გაიოზის საქმის გამო ბერლინში და იქიდან დავურეკე პარიზში მიშა კედიას. მე ვუთხარი: შენ ორი შვილი გყავს — ბიჭი და გოგო, ორივეს დაგიხოცავ, თუ გაიოზის საქმეს ახლავე არ გამოასწორებმეთქი! ჩამოქანდა ბერლინში მიშა კედია, ტირის, მეუბნება — მაპატიე, შენ ხომ თვითონ ღიად ლაპარაკობ, რომ მარტო რუსებს ვებრძოლოთო, ახლა მაპატიეო. მართლაც, ხელად გამოასწორა საქმე მიშა კედიამ.

---

* იგულისხმება ომის შემდგომი დროინდელი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, ვ. რ.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა დამიხასიათეთ როზენბერგის ირგვლივ მყოფი ქართველები და უფრო ზუსტად და მათი პრეტენზიები თქვენს მიმართ.

შ. მ.: რაც შეეხება პრეტენზიებს იგი ბევრ ემიგრანტს გააჩნია ჩემს მიმართ. საქმე ის გახლავთ, რომ პირველი მსოფლიო ომის მერე მე გერმანელებთან თანამშრომლობა განვაახლე 1934 წელს. პარიზიდან ხშირად ჩავდიოდი ბერლინში. აქ, „არდონის“ სასტუმროში შევხვედრივარ შულენბურგს (მოსკოვიდან ჩამოდიოდა) — მაგრამ, ცხადია ამას ქართველ ემიგრანტებს ვერ ვეტყოდი. თვითონ ბერლინში ვხვდებოდი მეზაკო წერეთელს, გრიგოლ რობაქიძეს, ტიტე მარგველაშვილს დიდ პატივს ვცემდი ჩვენს ყოფილ ელჩს ლადო ახმეტელს, მაგრამ ამათაც ვერ ვეტყოდი ჩემი საქმიანობის შესახებ. როგორც გითხარით, მე ჩემი ძველი პოლიტიკური ხაზი მქონდა. მაგრამ როდესაც ომი დაიწყო, მათ დაინახეს ჩემი როლი გერმანელებთან. ახლა ესენიც დატრიალდნენ. აქ პირველ როლს თამაშობდა გიორგი მაღალაშვილი, ლამაზი კაცი იყო. მამამისი ბაქოდან თბილისში გადმოვიდა და 1919 წელს თავისი ვაჟი თაეისივე ხარჯით გერმანიაში გამოუშვა სამედიცინო ფაკულტეტზე. მაგრამ მაღალაშვილს არ უმუშავია — შეირთო მდიდარი ქალი, მერე ამას დაშორდა და უფრო მდიდარი ქალი შეირთო გახდა დიდი მემამულე ბავარიაში, ჰქონდა ცხენების „ზავოდი“. მასთან მე ნამყოფი ვარ სტუმრად. მერე დაუმეგობრდა როზენბერგს, რომელთანაც „კავკასიის განყოფილებას“ განაგებდა. ჩემი შვილის მიმართ ცუდად იყო განწყობილი და რახან გაიოზი გაზ. „საქართველოს“ უშვებდა — მაღალაშვილი გაზეთ „ქართველ ერს“ სცემდა. სხვათა შორის ომის მერე შევხვდი მას სადგურზე. ხელი ჩამოვართვით და გადავეხვიეთ ერთმანეთს. მაგრამ გაიოზმა, ისიც თან მახლდა, მაღალაშვილს ხელი არ ჩამოართვა და განზე დადგა. ნახეო, მითხრა მაღალაშვილმა, რა არის გაიოზიო, შენ გადამეხვიეო და ის კი ზედ არ მიყურებსო. რა მოხდა, თქვენს წინააღმდეგ კი ვიყავი, მაგრამ ახლა გათავდა ყველაფერიო. მე ვუთხარი გაიოზს: დაივიწყე, ეს ხომ პოლიტიკა იყო-მეთქი. არაო, თქვა გაიოზმა, არ არის ეგ კარგი კაციო. დიახ, ე. ი. მე ამათ — ჩვენს ემიგრანტებს ვერ ვეუბნებოდი ვერაფერს, რადგან თვითონ სამხედრო უწყებას მიაჩნდა, რომ როზენბერგის გარშემო ვინც არის, არ დაიშორო საქმე მათთანო. ესენი კი ჯავრობდნენ — რატომ არ გვიკარებს სიახლოვეს მაღლაკელიძეო.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ახლა ალშიბაიაზე ბრძანეთ!

შ. მ.: გრიშა ალშიბაია, შავი წვერით მოგეწონებოდათ, რომ გენახათ. იგი ჩვენი ელჩი იყო აზერბაიჯანში, ბერლინში ჰქონდა განათლება მიღებული — ექიმი იყო. ევგენი გეგეჭკორს მეგობრობდა. მან ძველად ჩვენს სოფელში შეიძინა მამულები, მე მაშინ მოწაფე ვიყავი. მისი ძმაც ჩასიძებული იყო ჩვენთან — ლორთქიფანიძეების მოურავი იყო. იმ გრიშამ ჩამოიყვანა ჩვენთან შვილი მეგრელი — ვითომც მის მამულებს იცავდ-

ნენ მაგრამ მე მინდა ვიყო ობიექტური. საქმე ისაა, რომ გრიშა მამაჩემს ედავებოდა მამულებს — მიწაზე ჰქონდათ დავა. საქმე სასამართლომდე მივიდა და მამაჩემმა მოუგო მას ეს პროცესი. ამის გამო გრიშა ალშიბაია თავის ვექილს ხელითაც კი შეეხო. მერე ქე ჩამოგვართვეს ეს მიწები... დიახ, წავიდა ალშიბაია ემიგრაციაში და ვარშავაში ექიმობდა. ჰყავდა ერთი ვაჟი — მიშა და სამი ქალიშვილი. როცა ვარშავა დავიკავეთ, მე ვესტუმრებოდი მათ ხოლმე. რასაკვირველია, ძველი ისტორია არ გაგვიხსენებია, მით უმეტეს, რომ მე მაშინ ბავშვი ვიყავი და ეს ისტორია არც ჩემი გაიოზისათვის მითქვამს, ახლა გრიშა ალშიბაია ამ თავისი გერმანულის ცოდნით დაუახლოვდა გერმანელებს და მალე გახდა მათი გესტაპოს „ფერტრაუენსმანი“ — სანდო პირი — პოლონეთის ტერიტორიაზე. ამავე დროს იგი უწინაც უპირისპირდებოდა ქართული საზოგადოების თავმჯდომარეებს პოლონეთში — ყურულაშვილს, კოტე იმნაძეს, ე. ი. მას თავმჯდომარეობა უნდოდა — მაშინ მას უფრო დააფასებდნენ პოლონელები და მერე გერმანელები. ამ მიზნით, ალბათ, იგი გრიგოლ ფერაძესაც გადაემტერა, რადგან ფერაძეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და შესაძლო იყო აერჩიათ იგი საზოგადოების თავმჯდომარედ. გრიშა ალშიბაიას ქალიშვილებმა შემომთავაზეს მე, რომ ლეგიონში მოვალთო „სათნოების დებადო“, მაგრამ მე დავუშალე. დაახლოებული იყო ალშიბაიების ოჯახთან, როგორც ვთქვი, გენერალი აიხენდორფიც. ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან ლეგიონში მოიყვანეს გივი გაბლიანი ტყვეთა ბანაკიდან, კარგი შესახედაობის ვაჟკაცი. იგი იყო „ზაურიად ვრაჩი“ ე. ი. „დაუმთავრებელი ექიმი“. ასეთი 9—10 კაცი გვყავდა ლეგიონში. თუმცა მყავდა ნამდვილი ექიმიც — პავლე მაღლაკელიძე, გაბლიანს თან მოყვა ექიმი მიქავა და ფარმაცევტი ლაფერაშვილი, ქიზიყელი. მე ეს გვარი ძალიან მიყვარს იმ ლაფერაშვილის ხათრით, ქუდზე კაცი რომ გამოიყვანა იმ დროს, გითხარით მე ეს თქვენ. რაც შეეხება გაბლიანს, ის თან ეგნატეს შვილი იყო, პატივს ვცემდი. ამიტომ ძალზე კარგად მივიღე ისინი. გაბლიანი მე მივამაგრე გერმანელ თარჯიმანს — კუჩემბახს. მე შევთავაზე გაბლიანს, რომ მოგაწყობ-მეთქი სამედიცინო ფაკულტეტზე. მაგრამ გაბლიანი გაეცნო ალშიბაიებს და თანდათანობით გადავიდა იმათ წრეში. ომის მერე გივი გაბლიანმა მოიყვანა ალშიბაიას უფროსი ქალიშვილი ქეთო, ძალზე კარგი ქალი და გამეხარდა მე ეს. ალშიბაიას მეორე ქალიშვილი პოლონელს გაყვა. ხოლო მესამე — ჩხატარაიშვილს, ექიმს. როგორც ვთქვი, გაბლიანი ჩემს წინააღმდეგ ეწეოდა აგიტაციას ლეგიონში „ბერგმანის“ სასარგებლოდ. მან და აკაკი კვიტაიშვილმა გააკეთეს ეს. აკაკი კვიტაიშვილი კარგი ჯარისკაცი კი იყო, მაგრამ მე გამინაწყენდა, რომ არ დავიახლოვე მე იგი თავის დროზე. რაც შეეხება მიშა ალშიბაიას, ისიც გესტაპოსთან თანამშრომლობდა. მანაც ქართველი ქალი მოიყვანა ცოლად. ომის მერე მიშა ალშიბაია ამერიკელებს მიემხრო და გაყიდა ყვე-

ლა ისინი, ვინც „გესტაპოში“ იყვნენ — ასეთი იყო ემიგრაციის აზრი, ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ ის ფაქტი, რომ ალშიბაიების მთელი ოჯახი სიძეებიანად ამერიკაში წავიდა, რაღაცაზე მეტყველებს,

საერთოდ ამ გესტაპოსთან თანამშრომლობის მხრივ, სხვა ქართველებმაც დაიდეს კისერზე ცოდვა. მართალია, პოლონელები ემადლიერებოდნენ ქართველ ოფიცრებს, მაგრამ ომის მერე მათ დააყენეს საკითხი, რომ ერთი ქართული ჯგუფი ხვრეტდა პოლონელებსო. ეს ჯგუფი იყო ოდიშარიას ჯგუფი. ადრე ვიცნობდი მე მას, ემიგრანტი, ნაციონალ-დემოკრატი იყო, მაგრამ ომის დროს არ შემხვედრია. მერე ეს ოდიშარია საერთოდ გაქრა, მაგრამ ეს ჩირქი კი დარჩა ქართველებზე.

მახსოვს კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა. ვარშავა აღებული გვაქვს და მოვდივართ პილსუდსკის მოედანზე მე და ბაუნი. უცებ შევნიშნე გაჩერებული ავტომანქანა და შიგ რამდენიმე კაცი. რომ მიეუახლოვდით, ერთი მათგანი უცებ შევიცანი — ლელო ჩიქოვანი, პატარა შავგვრემანი კაცი იყო, ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცული“. საჭესთან გერმანელი ჯარისკაცი იჯდა. მე ბაუნს რამოდენიმე ნაბიჯით კი გავუსწარი და მანქანასთან მივედი — ვიფიქრე, ალბათ დაჭერილებია და ბაუნს გავანთავისუფლებინებ-მეთქი. მანქანაში ლელოს გარდა იჯდა მენაღარიშვილი, სტუდენტი იყო ვარშავაში და კეჭაყმაძე. ჩიქოვანმა მოსალმების მერე მითხრა: კეჭაყმაძე კომუნისტების აგენტია და დავიჭირეთო! ბიჭებო, დარწმუნებული ხართ ამაში — მეთქი? რას შვრებით, არ გრცხვენიათ, კიდეც რომ იყოს, რისი გაკეთება შეეძლო-მეთქი. მე უკეთ ვიცი ესო, ბატონო შალვაო, გთხოვთ, ნუ ჩაგვერევითო, მითხრა ჩიქოვანმა. ახლა რაღა უნდა მექნა — კომუნისტებს ვიჭერო და არაფერი აღარ ვუთხარი ბაუნს. ამ კეჭაყმაძის დაჭერას მერე მოყვა სიხარულიძის, ბლავადსკის (თბილისში იყო დაბადებული, კაპიტანი) და ათაბეგოვის (ყოფილი გვარდიელი იყო, ქართველი კათოლიკე) აყვანა. შემდეგ ათაბეგოვის ქალიშვილმა მითხრა, რომ მამაჩემი ვითომ მიშა კედიამ დამალაო და ალშიბაიებთან, რომ მივიდნენ გერმანელები, მიშამ გასცა მამაჩემი — მეოთხე ოთახში იმალებოდა და იქიდან გამოიყვანესო. ასევე დაიჭირეს ბერიშვილი და ახლა აქ მისი ძმაა, მაცივრებში მუშაობს და შემხვდა ის, შალვა ჰქვია და მითხრა, რომ ნამდვილი ცნობა მაქვს — ალშიბაიებმა დააჭერინეს ჩემი ძმაო.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა მართლა საბჭოთა აგენტები იყვნენ ჩამოთვლილი პირები?

შ. მ.: თუნდაც ყოფილიყვნენ, რას წარმოადგენდნენ — არც ერთი მათგანი შტაბში არ ყოფილა. იქ ზაქარიაძე და ყიფიანი დაზვერვის კაცები იყვნენ და ამას რას დასტყუებდნენ ესენი. გარდა ამისა, ჰიტლერსა და სტალინს შორის შეთანხმება იყო — რაღა მნიშვნელობა ჰქონდა ამას 1939 წელს? არა, ესენი პირად მტრობას გადააყოლეს. მენაღარიშვილი

შემდეგ მოვიდა ჩემთან ლეგიონში — ფელდფებელად მაინც დამნიშნეო. მე ვუთხარი: სად იყავი ამდენი ხანი, სად არის ლელო ჩიქოვანი? მიპასუხა, რომ ჩიქოვანი არ იყო პატიოსანი კაციო. მე ვუთხარი: რად გაერიეთ ამ ბინძურ საქმეში? წადი მეთქი და არ მივიღე.

ასეა, ბატონო ვიქტორ, ჯერ ამ ომიდან 30 წელი გავიდა და ბევრი რამ კიდევ დასადგენია, გასარკვევი. ის ლელო ჩიქოვანი ქართლელი ჩიქოვანი იყო, მოგეხსენებათ ჩიქოვანები არიან რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში...*

---

* მკითხველისათვის ინტერეს მოკლებული არ უნდა იყოს, მამა-შვილის შალვა და გაიოზ მაღლაკელიძეების დახასიათება ცნობილი ქართველი ემიგრანტის, ფილოსოფიის დოქტორ ილია კუპუხიძის მიერ, რომელიც გერმანიაში მოხვდა მეორე მსოფლიო ომის დროს და ერთ ხანს ქართული ლეგიონის წევრიც იყო. მისი „მოგონებების წიგნი“ გამოვიდა მიუნხენში 1985 წელს. საიდანაც ამოღებულია ქვემოთ მოყვანილი ციტატები (ვ. რ.).

„გაიოზ მაღლაკელიძე მეტად ენერგიული ახალგაზრდა პიროვნება იყო. განათლებული, თანაბრად ფლობდა გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ, რუსულ, ქართულ ენას, შგონი ინგლისურსაც. გაიოზი ევროპულად იყო აღზრდილი. იგი ძალიან ზრუნავდა რედაქციის თანამშრომლებზე. მან ყველა ჩვენი რედაქციის თანამშრომლები მოგვაწყო ბერლინის უნივერსიტეტთან არსებულ უცხოელთათვის გერმანულ ინსტიტუტში... გაიოზ მაღლაკელიძემ თავისი ინიციატივით ზემო ბავარიის მთიან გარემოში მდებარე თვალწარმტაც სოფელ რუპოლდინგში დააარსა ომში დასახიჩრებული და სუსტი ჯანმრთელობის მქონე ქართველი ლეგიონერებისათვის „მშობლიური კერა“ იგი ზრუნავდა მათთვის ყოველგვარი საშუალებით... ერთხელ ბერლინში, ეს იყო 26 მაისს, არ მახსოვს, რომელ წელს, გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორის გაიოზ მაღლაკელიძის თაოსნობით „შუმანი“ — დარბაზში შესდგა დიდი საზეიმო შეკრება. რაც მიძღვნილი იყო 26 მაისის — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აღსანიშნავად. დარბაზი მორთული იყო გერმანული და ქართული ეროვნული დროშებით. შეკრებაზე მოვიდნენ გერმანელი ოფიცრები, ჯარისკაცები, ბერლინში არსებული ეროვნული კომიტეტის მთელი შემადგენლობა პროფესორ მიხეილ წერეთლის მეთაურობით. აქ იყო აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია. აქ იყო პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ჟურნალისტი და მწერალი დავით ჯანაძე, ალექსანდრე ასათიანი. რა თქმა უნდა, აქ იყო ზონდერფიურერი ბატონი ლუდერსენი, რომელიც ხელმძღვანელობდა ყველა ეროვნულ რედაქციებს.

რუპოლდინგში (ომის შემდეგ-ვ. რ.) ,ვენის გარდა ცხოვრობდნენ ,გენერალი შალვა მაღლაკელიძე თავისი მეუღლით, მისი ვაჟი გაიოზი თავისი მეუღლით. აქ იყო აგრეთვე გრიგოლ ჩომახიძე. რუპოლდინგში ცხოვრობდნენ აგრეთვე დედა-შვილი გვარად ჩერქეზიშვილები... ერთხელ მოულოდნელად მივიღე ბარათი ვიქტორ ნოზაძისაგან, რომელიც იულიუს კეისრის ლაკონურ სტილზე სწერდა: „გამეხარდა, რომ დარჩი და არ წახვედი საბჭოეთში. მეწყინა, რომ ჯერ არ დაგიწყია აქ ცხოვრება და უკვე შესდგომიხარ მაღლაკელიძეების გინებასო“. რა თქმა უნდა, ეს იყო მოჭორილი ამბავი. პირიქით, მე მათთან ძალიან კარგ ურთიერთობაში ვიყავი, როგორც ბერლინში, ისე აქაც. ავდექი და ეს ბარათი წავაკითხე ბატონ შალვა მაღლაკელიძეს. არ მეშინოდა, რადგან მართალი ვიყავი. შალვამ გაიცინა და მითხრა: „არაფერია, ყმაწვილო, ამაზე არ ღირს თავის

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, დავუბრუნდეთ ლეგიონის ამბებს.

შ. მ.: დიახ, ჩემო ბატონო. ახლა, როგორც ვთქვი, ამ ჩვენი ლეგიონის ტერიტორიაზე გახსნეს კლუბი, აქვე იყო ბიბლიოთეკა, მოიყვანეს სათნოების დები და სხვ. ვზივართ ახლა ამ კლუბში მე და ორი გერმანელი გენერალი მაგიდასთან. ამ დროს შემოვარდა კლუბში გერმანელი ლეიტენანტი; მოვიდა ჩვენს მაგიდასთან და აღელვებული იძახის, რომ მე-2 ბატალიონი არ მემორჩილება, ჩაიკეტნენ ყაზარმებში, ბარიკადები აღმართეს და ბრძანებას არ ასრულებენ — საფრანგეთში არ მიდიანო. ელდანაკრავივით წამოვევარდი მე და გიჟივით შევყვირე ამ ლეიტენანტს — თქვენ ტყუით, ეს პროვოკაციაა! ამ გერმანელმა მორიგე ლეიტენანტმა მიპასუხა, რომ მე თქვენ დიდ პატივს გცემთო, მაგრამ ეს სიმართლეაო. მართალი გითხრათ, მე იმან გამამწარა, რომ ვერ წარმომედგინა, თუ უჩემოდ უბრძანებდნენ ამ ბატალიონებს და ისიც სადა, კაცო, მე რომ ვეუბნებოდი, მარტო რუსეთს უნდა გაბრძოლოთო, ახლა საფრანგეთში უკრავენ თავს. აქ მე ჩავიდინე ერთი უტაქტო საქციელი, რასაც დღესაც ვნანობ. მე ვუთხარი ამ ლეიტენანტს, რომ შენი წოდების გამო მე შენ დუელში არ გიწვევ, მაგრამ ვიწვევ აქ მყოფ გენერლებს-მეთქი. ამის თქმაზე წამოდგნენ ეს გენერლები და ცივად დატოვეს იქაურობა. ამაზე ცუდ გავგიჟდი და გარეთ გამოვვარდი. თითქმის სირბილით გავეშურე იმ ყაზარმებისკენ. გზაზე გაიოზი შემხვდა ვიღაც ოფიცერთან ერთად და შემძახა: რა ამბავია, მამაო! მე კი მას ხელი ვკარი და კინაღამ იქვე თხრილში გადავაგდე, მამა, გაგიჟდიო? — მომდევს გაიოზი. წადი-მეთქი

---

ტეხაო. რადგან სიტყვამ მოიტანა, მინდა ვთქვა, რომ შალვა მაღლაკელიძე იყო დაუდეგარი ხასიათისა და მებრძოლი ბუნების ადამიანი, როგორც გამოვიდა, შალვა ყოფილა ახალგაზრდა ოფიცერი და საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ეკავა, თურმე, ტფილისის და ახალციხის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა. მაშინ მესხეთში აწეწილ-დაწეწილი ყოფილა საქმე და ამ ახალგაზრდა კაცს დიდი ნიჭი და ორგანიზატორობა გამოუჩენია, მან თავისი ნიჭითა და ორგანიზატორობით ახალციხე და მისი მაზრა შეუნარჩუნა საქართველოს... ატყდა მეორე საშინელი ომი და იგი გახდა ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ქართული ლეგიონისა და იყო მისი „პატრონი“. მაშინ მას ჰქონდა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, ხოლო სამოქალაქო ცხოვრებაში იყო იურიდიული მეცნიერებათა დოქტორი. შალვა მაღლაკელიძემ იცოდა ადამიანისთვის დახმარების გაწევა და ერთ დღეს მისგან ფოსტით მივიღე ორასი მარკა დახმარების სახით. მასთან საუბარი სიხალისე იყო და იცოდა ძალიან კარგი ხუმრობა, მაშინ, როგორც ეს დასაწყისში აღვნიშნე, გზა არ იყო გახსნილი და ჩაკეტილივით ვცხოვრობდით რუპოლდინგში, არ ვიცოდით რა გვექნა, სად წავსულიყავით და ჩერქეზიშვილის ახალგაზრდა მანდილოსანმა უთხრა თურმე; „გენერალო! გაგვიძეხი წინ, სადმე წავიდეთო!“ ამის თქმაზე ბატონ შალვას გაუცინებია თურმე და ეთქვა — „გენერალი კი არა, თხლე ვარო“! როგორც ვთქვი, შალვა მაღლაკელიძე დაუდეგარი ბუნების ადამიანი იყო. უყვარდა ფათერაკები...

სად იყო და სად არა, რუპოლდინში ვიქტორ ნოზაძე გამოჩნდა. მან ბინა დაიდო იმ სახლში, სადაც შალვა მღლაკელიძე ცხოვრობდა. შალვა და ვიქტორი თავიდანვე დიდი მეგობრები ყოფილან და მეგობრებად დარჩნენ...“.

შენ და შენი გერმანელები, თან ვაგინებ. მიველი ამ ყაზარმებთან, ჩახერგილები არიან შიგნიდან. მათ მეთაურობს ლოლაძე, ყოფილი მფრინავი, ახლა ასეულის მეთაური, შემდგომში „ტექსელის“ გმირი. ლოლაძე ყვირის — მოვიდეს „პატრონიო“! აქ ვარ-მეთქი და გასწიეს ბარიკადები. ლოლაძე მუშაობდა: ბატონო შალვა, თქვენ გვამზადებდით რუსეთის წინააღმდეგ და ახლა ამათ სად მივყავართ? მე ვუთხარი: თქვენ ხელსაც ვერავინ შეგახებთ უჩემოდ. შემდეგ მომგვარეს ცხენი და ამ ცხენზე მჯდომმა გამოვიყვანე ეს ბატალიონი ტყის პირას, ჩავამწკრივე და მივმართე: ბიჭებო, ბრძანება არის ბრძანება და მით უმეტეს, ეს თქვენს საზიანოდ არ კეთდება. გამოვიდნენ მწკრივიდან გერმანელები! გამოვიდნენ, მათ ნაცვლად, განვაგრძე, ასმეთაურებად მხოლოდ ქართველებს ვნიშნავ! გერმანელები იქნებიან საინდენტანტო სამსახურში. მართლაც ასე მოხდა და გავუშვი ეს ბატალიონი დასავლეთისაკენ. შემდეგ იგი კუნძულ ტექსელზე აღმოჩნდა, ხოლო ჩემი სახელობის — I ბატალიონმა საფრანგეთში, ქალაქ შერბურთან ამერიკელებს ბრძოლა გაუმართა, მაგრამ ამაზე შემდეგ. ეს ხდება 1943 წლის ნოემბერში.

ამ I ბატალიონის უფროსი, ჩემგან ნახსენები სოსო ლომთათიძე ამ ორიოდ წლის წინ დაბრუნდა საქართველოში არგენტინიდან. გურიაში უნდოდა დასახლება, მაგრამ იქ ამის ნება არ მისცეს და შორაპანში (ვითომ იქ რაღა იყო) წავიდა დასთან, რომელიც მასწავლებლობდა. დამ განიზრახა მისი დაქორწინება და „მმაჩში“ რომ მიდიოდნენ, საწყალს გული გაუსკდა და გარდაიცვალა.

დიახ, ახლა არის ამ ლეგიონში გენერალი ჰაიგენდორფი, ფრონტიდან რომ დავბრუნდი, იგი ლეგიონში გერმანული შტაბის რწმუნებულად დამხვდა. თავისთავად, ჩვენს შორის გარკვეულმა მეტოქეობამ იჩინა თავი, მით უმეტეს რომ ალშიბაიები სულ მაძაგებდნენ მასთან. ერთხელ მოხდა ისეთი ინციდენტი, რომა ჩვენმა ლეგიონერებმა მე შემომჩივლეს: ხორცის ულუფას გაცილებით ნაკლებს გვაძლევენო, ვიდრე გერმანელებს. ვუთხარი მე ეს ჰაიგენდორფს. მან მიპასუხა, რომ ქართველებს უფრო წვნიანი საჭმელი მოსწონთ, როგორც ჩეხებსო. მე ვუთხარი, სისულელეა, ეს, ჩეხეთში ვიყავი, მაგრამ ხორცს იქაც კარგად ჭამენ, მით უმეტეს ქართველები-მეთქი. ახლა ჰაიგენდორფმა მითხრა, რომ თქვენ უპირატესობას ქართველებს ანიჭებთო და ეს დაუშვებელიაო. ჩვენ თვითონ გვიჭირს და აქ იმიტომ ვდგევართ, რომ პოლონელებს კარტოფილს ვართმევთ, თორემ მე მოვითხოვდი ლეგიონების გერმანიაში გადაყვანასო. მეორე ინციდენტი იყო ტყვიამფრქვევის დაკარგვასთან დაკავშირებით. ჰაიგენდორფმა გაქცეულ ქართველს დაადო ხელი, მაგრამ იმ დროს გაქცეული იყო ერთი „ფოლკსდოიჩე“ (ე. ი. გაპოლონებული გერმანელი, „რაიხდოიჩესაგან“, ე. ი. ნამდვილი გერმანელისაგან განსხვავებით) და მე ვუთხარი, ჰაიგენდორფს, რაღა მაინცდამაინც ქართველის გატაცებული იქნება ის

ტყვიამფრქვევი, იქნებ თქვენმა „ფოლკსდოიჩემ“ მოიტაცა-მეთქი? არაო, მითხრა, ეს მე თვითონ თქვენიანებიდან ვიცი და ისიც ვიცი, რომ როდესაც ჩვენი ჟანდარმები ტყეში გაქცეულ ქართველს დაიჭერენ, თქვენ მათ ხელს აფარებთო, ჰკითხეთ თქვენს გიგიტაშვილსო. ეს მითხრა და წავიდა.

ახლა იყო ჩვენთან ერთი გიგიტაშვილი, ფრონტზე არ წამიყვანია, მეგონა, ჩემი ერთგული იყო, თურმე ამათი აგენტი გამხდარა, უსწავლია გერმანული და აწვდის ჰაიგენდორფს ყოველგვარ საზიზღრობებს: მაღლაკელიძე ქართველებს ეუბნება, მოითხოვეთ ხორციო, პრეზერვატივები გაყიდეთო, გაქცეულებს შველისო. მომიყვანეთ-მეთქი ახლა ეს გიგიტაშვილი. ბარაკებში ვართ, პირველი სართულია. ბიჭო, გიგიტაშვილო, შენ ეუბნები ჰაიგენდორფს, რომ მე ხელს ვუწყობ ლეგიონიდან გაქცევას? არაფერი ვიციო — ძალზე უხეშად მიპასუხა. ჯერ მაგიდა დავაჯახე და მერე სახეში გავარტყი. ჰაუ, ამოუშვა ყვირილი; ჰილფე, ჰილფე ე. ი. მიშველეთ, მიშველეთო! და გადახტა ფანჯრიდან და მოკურცხლა.

ახლა ამაზე დააყენა საკითხი გენერალმა ჰაიგენდორფმა, რომ მე გავესამართლებინე სამხედრო საველე სასამართლოს გერმანული მუნდირის შეურაცხყოფისათვის.. ესე იგი გერმანულ არმიაში უფროსს ნება აქვს ხელქვეითს უყვიროს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ხელით არ უნდა შეეხოს. მართლაც გაიმართა ეს სასამართლო სამი გენერლის დასწრებით. ამას ჩემი შვილი გაიოზიც ესწრებოდა. განაჩენი ძალზე რბილი იყო — ჰაიგენდორფმა გამომიცხადა, რომ თქვენ გადაღლილი ხართ და ექვსი თვით დაისვენეთ სადმე, იტალიაში წაბრძანდითო. მე ბერლინი ავირჩიე, ერთი კვირის შემდეგ გამომიცხადეს, რომ თქვენ და თქვენი შვილი ინიშნებით ბალტიის შტაბშიო.

საინტერესოა, რომ ომის მერე ეს გენერალი ჰაიგენდორფი ხელში ჩაუვარდა ამერიკელებს. მას დაკითხავდნენ ამერიკელი ებრაელები. მის საქმესთან დაკავშირებით დაჰკითხეს გაიოზიც. გაიოზმა იგი შეაქო — ჰაიგენდორფი ნამდვილი სამხედრო იყო და გესტაპოსთან შეხება არა ჰქონიაო. თქვენ წარმოიდგინეთ, გაიოზის ჩვენების საფუძველზე ჰაიგენდორფი გაათავისუფლეს, ხოლო ალშიბაიები კი მას არ დაეხმარნენ. ახლა ვარ ბერლინში და მოვიდა ჰაიგენდორფი ჩვენთან. გაიოზი არ არის. შემოაღო კარები ჰაიგენდორფმა და სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია, ძლივს ვიცანი, წელშია მოხრილი ციხის მერე. მე შევძახე: გრატულიერე! გილოცავ გადარჩენას, შურისძიების წყურვილით აღვსილი ებრაელებისაგანმეთქი! თქვენც ხომ იცითო, მიპასუხა რომ მე ეროვნებებს ერთმანეთისაგან არ ვანსხვავებდიო, მაგრამ ახლა მოვედი, რომ შოგილოცოთ: თქვენი ვაჟი გაიოზი ნამდვილი რაინდიაო!

1944 წელს, ჩემი 50 წლისთავზე წერილობით მივიღე უწყება და მომანიჭეს გენერლის წოდება — გენერალ-მაიორობა. მე ეს არ მითხოვია —

— ამას არ ვიკადრებდი. თუმცა მე კვინიტაძემ აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად რომ დამნიშნა, ამიყვანა გენერლის ხარისხში — იქნება ეს იმდროინდელ საბუთებში. მაგრამ მე ახალგაზრდა კაცი ვიყავი და მერიდებოდა, ისევ ვპოლკოვნიკობდი. ახლა უნდა ითქვას, რომ გერმანულ გენერალიტეტში უცხო კაცი ვერ მოხვდება — ეს განსაკუთრებული კასტაა. გენერალს გადაეცემა ხოლმე ალამი, ქუჩას არქმევენ მის სახელს და უბრალოდ საზოგადო ტრანსპორტშიც ვერ შევა გენერლის ფორმით. ასე, რომ მე თუ მომანიჭეს გენერლის ხარისხი, ეს გამონაკლისი იყო, რადგან 1934 წლიდან მათთან ერთგულად ვმსახურობდი.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, მე მგონი ახლა იწყება თქვენი ურთიერთობა ვლასოველებთან.

შ. მ.: არა, ვლასოველებთან ურთიერთობა გაცილებით ადრე დაიწყო, მაგრამ იგი გაგრძელდა ომის დასასრულამდე. ჯერ კიდევ როდესაც შტაბში ვიყავი „მილიტერბერატერად“ და გენერალის წოდება არ მქონდა მონიჭებული. შემხვდა მე ყოფილი დენიკინელი პოლკოვნიკი კონსტანტინე კრომიადი, წარმოშობით ბერძენი, გარუსებული, მაგრამ ქართველების დიდად მოყვარე. უნდა ითქვას, რომ მენშევიკების დროინდელ საქართველოში, ქართველების მიმართ ერთგულებით, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათაგან გამოირჩეოდნენ ბერძნები, აფხაზეთში მცხოვრები ესტონელები და გერმანელები. დიახ, შემხვდა ახლა მე ეს კრომიადი, თბილისში დაბადებული, და მეუბნება, რომ მეც „მილიტერბერატერი“ ვარ შტაბში რუსული ხაზითო*. ჩვენთან არისო ტყვედ ჩავარდნილი გენერალი ვლასოვი, მისი შტაბის წევრები ტრუხინი, არხანგელსკი, მიროშნიჩენკო და ვადგენთ რუსეთის განმათავისუფლებელ არმიასო. შენ შენი სიტყვით დაგვეხმარე კანარისთანო, გაგვიწიე რეკომენდაციაო. გავაკეთე მე ეს ბაუნის მეშვეობით. ახლა კრომიადი მეუბნება, რომ შექმენით კომიტეტი კონრ („კომიტეტ ოსვობოჟდენია ნაროდოვ როსსიი“) და შემოდი ჩვენთანო. მე ვუთხარი, თქვენ არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველო იურიდიულად ნაცნობია და ჩვენ თავისუფლება გვინდა-მეთქი. აუცილებლადო, მიპასუხა, ვლასოვმა უნდა შეცვალოს სტალინი და ყველაფერს ვითვალისწინებთო. მართლაც, კარლსბადში, სასტუმრო „ნიცაში“, შედგა ვლასოველთა დიდი თავყრილობა, რომელსაც მეც ვესწრებოდი. გამოვიდა თვითონ გენერალი ვლასოვი და წაიკითხა მანიფესტი, რომლის ძალითაც რუსეთში შემავალ ყველა ერს ენიჭებოდა თვითგამორკვევის უფლება, დაშვებულ იქნებოდა კერძო საკუთრება, იქნებოდა სიტყვისა და პრესის თავისუფლება, რუსეთს ეყოლებოდა პრეზიდენტი — ვლასოვი. ამის მერე განაცხადა ვლასოვმა, რომ

---

* ომის დამთავრების შემდეგ პოლკ. კრომიადი რადიო „თავისუფლებაში“ მოღვაწეობდა. იხ. ი. კუჭუხიძე, მოგონებების წიგნი, მიუნხენი, 1986, გვ. 292 (ვ. რ.).

აქ გვესწრებაო გენერალი მაღლაკელიძე (არადა, არ ვიყავი მაშინ გენერალი), რომელიც იქნება თავმჯდომარე კონრ-თან შექმნილ „კავკაზსკი კომიტეტისო“. დიახ, შემდეგ ძალზე დავუახლოვდი მე ვლასოვს. ვლასოვი იყო მაღალი, ტანადი, შავთმიანი, კარგი ხმა ჰქონდა. ყოფილი სემინარისტი, კარგად იყო მომზადებული, მოხალისედ წასულა წითელ არმიაში და ჯარისკაციდან გენერლამდე ამაღლებულა. თავის დროზე აფასებდა მას სტალინი, ხოლო თვითონ სტალინს აღმერთებდა. მის მაგიდაზე მუდამ გადაშლილი იყო პატარა წიგნი, სადაც სტალინის მიერ დახასიათებულნი იყვნენ რუსი გენერლები. ის ადგილი, სადაც სტალინი ვლასოვს ახასიათებდა, წითელი ფანქრით ჰქონდა ხაზგასმული და მისი სიტყვებით ამაყობდა. არასოდეს თავის ტყვედ ჩავარდნას სტალინს არ აბრალებდა, არამედ გერმანელთა უკეთ მომზადებას, თავად გერმანული ფორმა არასდროს არ ჩაუცვამს — ძველი ფრენჩისა და შინელის ამარა იყო. ოღონდ „პეტლიცებ“ დაძრობილი. თარჯიმნად ყავდა გაგერმანელებული ესტონელი პასტორი, ჩემთან დედას შეაგინებდა ხოლმე ვლასოვი მას ყურს მიგდებსო. თვითონ ვლასოვი მე-13 შვილი ყოფილა და „სნოხაჩი“. რა არის მეთქი „სნოხაჩი“ და ბაბუის შვილიაო, ე. ი. მე ბაბუაჩემმა გამაკეთა დედაჩემთანო და არა მამამო. სნოხაჩობა გავრცელებული რამ არის რუსებში (და არა უკრაინელებში), ე. ი. მცირეწლოვან ვაჟს მოუყვანენ 16—18 წლის ცოლს — ეს ხდება ძირითადად „მუშახელის“ შეძენის გამო. სანამ ვაჟი გაიზრდება, მამა ცხოვრობს მასთან და შემდეგ ვაჟი, როცა წამოიზრდება. ალბათ ეს იცოდა ჰიტლერმა, რომელიც მაშინ ყველა თავის გამოსვლას ასე ამთავრებდა: ძირს რუსები, ყველაზე ჩამორჩენილი ერი, „ვეგ დამიტ“! ასე, რომ მე ანდრეი მქვია და მამაჩემსაც ანდრეი ერქვაო, მითხრა ვლასოვმა. შემდგომში შტაბის დავალებით ვლასოვს ცოლად შევრთეთ გერმანელი პოლკოვნიკის — ექიმის ქვრივი. 1945 წლის 30 აპრილს უცნაური დავალება მომცეს, როდესაც ყველაფერი აირია. ამ დროს ჩავედი ჩეხიაში, სადაც ვლასოვის I დივიზია იყო, ერთადერთი შეიარაღებული დივიზია. სხვათა შორის, ამ დივიზიის შეიარაღებისათვის ფულს შვეიცარიიდან ჩემს სახელზე რიცხავდნენ. ახლა მოვედი აქ და ვხედავ ვლასოვი შინელშია, ტრუხინი კიდევ ცივილურ, სამოქალაქო ტანსაცმელში. ამის გამო შეაგინა ვლასოვმა ტრუხინს — „ახ, ტი ტრუხა, ტრუხაო, ტრუხინმა კი უპასუხა: „ა ჩტო, ნამ დოვერიალი დო სიხ პორ?“ ამ დროს ჩეხიაში შემოჭრილია საბჭოთა, უკრაინის ფრონტის არმია. მოვარდა ჩვენთან სახაროვი, ამ დივიზიის მეთაური, დენიკინელი, გენერლის შვილი, რომელსაც ბოლშევიკებმა მამა დაუხვრიტეს. კანკალებს და გვეხვეწება პირდაპირ: „რაზრეშიტე უდარიც პო ნიმ, დაიტე მნე ოტომსტიც ზა სვოეგო ოტცა“! მე ვუთხარი ვლასოვს, რას ეტყვი მეთქი. „რეშაიტე სამი“ — მიპასუხა. მართლაც გაილაშქრა მერე სახაროვმა, მაგრამ მთელი დივიზია საბჭოელების მხარეზე გადავი-

და. ძლივს გამოასწრო უკან თვითონ სახაროვმა და ჩვენმა ქართველებმა, ვინც ვლასოვთან იყვნენ: ექიმმა ვეფხვაძემ, ასათიანმა — გრამიტონის შვილმა, ბაღათურიამ. საბჭოელებმა კი ყველა, ვისაც მკლავზე როა (როსსიისკაია ოსვობოდიტელნაია არმია) ეწერა — დახვრიტეს. მაგრამ ამ დროს მე უკვე პატარა ქალაქ ვანგენში ვიმყოფები და მაბარია ინვალიდთა დივიზია — ზოგს თვალი აკლია, ზოგს ხელი — აღარ უყვდათ გერმანელებს ჯარი. პატარა ხნით კიტა ჩხენკელი იყო გადმოსული ჩემთან და ისევ უკან დაბრუნდა შვეიცარიაში. არადა ქალაქზე მომდგარი არიან ფრანგული ჯარები. ქალაქის თავმა მათთან დელეგაცია მიავლინა — დაგნებდებით, თუ ქალაქში ფრანგების ნაცვლად მაროკოელები შემოვლენო (ფრანგები გერმანელებს სასტიკად ექცეოდნენ). შეთანხმდნენ და მართლაც შემოვიდნენ მაროკოელები თავიანთი მოლებით, მაგრამ ჩემდა ბედად, ახლა ამათ მოუძღვებოდა დათა ვაჩნაძე.

უნდა მოგახსენოთ, რომ დათა ვაჩნაძე სამი იყო — ერთი — პოლიტიკური მოღვაწე, მეორე — პოლონურ ჯარში, ვარშავის დაცვის გმირი, ხოლო მესამე — ფრანგულ უცხო ლეგიონში, ისეთივე, როგორც ბაზურკა ამილახვარი. აი, ეს მესამე შემოვიდა ახლა აქ და პირდაპირ ცხენი მოაგდო ჩვენს შტაბთან. „საპატიო ტყვედ“ გიყვანო, აჰა შენ საშვიო, ხოლო მე პარიზში მინდა წავიდე, ავქოთდი ამ ამყრალებულ მაროკოელებთანო. მართლაც, ამ საშვის წყალობით, ერთი გერმანელი ჯარისკაცის თანხლებით, სასწრაფოდ გავწიე მე რუპოლდინგში, სადაც გაიოზი მეგულებოდა. იქ დამხვდა გაიოზი თავის ცოლით. მერე ჩამოვიდა ვიქტორ ნოზაძე. ვიქტორს, ჩემო ბატონო, პაპიროსის წევა უყვარდა და დარგო რუპოლდინგში თამბაქო. არადა, დაძრწიან აქ გამათხოვრებული პოლონელები და ერთ მშვენიერ დღეს ნახა თავისი პლანტაცია განადგურებული ვიქტორმა. ხა, ხა, ატეხა ერთი ყვირილი — თურმე ძირიანად ამოუთხრიათ პოლონელებს ეს თამბაქო, აქ დაიწყო მუშაობა ვიქტორმა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, რას იტყვით „სააკაძის ბატალიონზე“, რომელიც ტექსელზე მოხვდა?

შ. მ.: როდესაც მე პაკისტანიდან გერმანიაში დავბრუნდი, გაიოზმა დამახვედრა ჰოლანდიიდან მიღებული წიგნი ტექსელის შესახებ. წიგნის გამომცემელნი გაიოზს სთხოვდნენ, ამ დროს გაიოზი უკვე ცნობილი ჟურნალისტია, კომენტარს იქ მოითხრობილ ამბებზე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სიყალბე იყო ნათქვამი. თითქმის არც ერთი ტექსელელი არ გადარჩენილა — ეს უნდა იცოდეთ, ჩემო ბატონო. აქ რომ ჩამომიყვანეს, გავიგე, რომ ზოგი ვითომ „ტექსელელი“ ტრაბახობს — იმ კუნძულიდან ნავით ინგლისში გავაღწიეთო. სიცრუეა ეს! ბევრმა მათგანმა, ზღვა რა არის — არ იცოდა, რომ არაფერი ვთქვათ იმ დანაღმულ ზღვაში გაღწევაზე. საქმე ასეა, მე ამ ბატალიონს ასისთავებად სულ ქართველები და-

ვუნიშნე. მათთან დარჩა ორი ათეული — ინტენდანტის სამსახურის გერმანელები. ეს ბატალიონი კარგად მოვლილი და შეიარაღებული იყო. მათ თავიანთი „ფუტბოლის“ გუნდებიც ჰყავდათ და იქ თამაშობდნენ. ყველაფერის მიზეზი გახდა ჰოლანდიის კომპარტიის კომიტეტი და ამ კომიტეტის მესვეური ჰოლანდიელი ებრაელი ქალი ანა კლაინი. მთელი ომის მანძილზე ჰოლანდიელებს ერთი თოფიც არ გაუსვრიათ და ახლა, რუსების წინაშე თავი რომ ემართლებინათ და მათგან იმ ფულადი სახსრების აღება რომ გაემართლებინათ — შეუჩნდნენ ამ ქართველებს. ეს ანა კლაინი მათში რუსულ პროკლამაციებს ავრცელებდა. როგორ, ამ უნამუსოებმა არ იცოდნენ, რა ძალები ჰყავდათ იქ გერმანელებს?! იცოდნენ, მაგრამ ქართველების რა ენაღვლებოდათ, რა. ჰოდა, მოხდა, ჩემო ბატონო, საქმე ისე, რომა ყელი დაჭრეს ამ მძინარე გერმანელებს „ტექსელელებმა“, ხალხს, რომელიც მათ ჰკვებავდა. ჩემთვის და საერთოდ ჩვენთვის ეს სამარცხვინო ფაქტია. არ ზის ჩვენში, ქართველებში, ასეთი უმადურობა. 1918 წელს, რომ მოგიყევით, დამარცხებული გერმანელთა ჯარი დიდი ზარ-ზეიმით გააცილა საქართველომ, ხოლო ეს ტექსელელთა ამბავი, პირდაპირ შავი ლაქაა. დამარცხებულ მოკავშირისადმი შეიძლება გაცივდე, ინდიფერენტული გახდე, მაგრამ ყელის დაჭრა?! ახლა აქ, მწერალთა კავშირის იურისკონსულტი რომ ვიყავი, მითხრეს მწერლებმა, რომ ანა კლაინი ჩამოსულა აქ, ქართველების „დედაო“. მე ვუთხარი: მოაშორეთ ეს აქედან, „დედა“ კი არა, ჯოჯოხეთის დედაა მეთქი მე. დიდი ზარ-ზეიმით მიუღიათ, ჩემო ბატონო. ახლა აქ, ჩემთან, მესტუმრა რეზო თაბუკაშვილი. (ვიცნობდი მამამისს, ფედერალისტი იყო) და რეჟისორი მანაგაძე. უნდოდათ ტექსელზე ფილმის გაკეთება. ვუთხარი მე მათ ამის შესახებ ყველაფერი და ისიც დავძინე, რომ ვინც დღეს ამტკიცებს აქ, ჩვენთან, რომ „ტექსელელი“ ვარო, წმინდაწყლის ბლეფია, რადგან მათგან არავინ გადარჩენილა მეთქი. ხოლო ისინი, ვინც ამას ამტკიცებენ, არიან სხვადასხვა ჯურის დეზერტირები, რომლებიც იმ დროს ბევრი აღმოჩნდნენ საფრანგეთში. მე მეგონა, რომ ამის შემდეგ ესენი აღარ გააკეთებდნენ ფილმს და მაინც არ გადაუღიათ?! ვნახე მერე ეგ ფილმი და მსგავსი სიცრუე არ მინახავს. გვიჩვენებენ ვიღაც წვეროსნებს და ვითომ ლეგიონია თუ ტყვეთა ბანაკი — ვერ გაიგებ. ახლა დავდიოდი მე აქ საჯარო ბიბლიოთეკაში — ისე, რაც მე მაინტერესებდა, ყველაფერი გაუქრიათ. ძალზე მთხოვა, პირდაპირ ჩამაცივდა იქ ბიბლიოთეკარი ქალი, რომ დღეს შედგებაო „გამარჯვების 30 წლისთავთან“ დაკავშირებით შეხვედრა გენერალ ჯანჯღავასთან, ასევე ვიღაც სომეხთან, სამხედროსთან და „ტექსელელ გმირ“ არტემიძესთანო. დავესწარი. გამოვიდა ჯანჯღავა და ილაპარაკა, როგორც მხედარს შეშვენის, ძალზე თავმდაბლად. ასევე სომეხმაც: ახლა გამოაცხადეს: არტემიძე, არტემიძე! და გაპარულა ეს არტემიძე. დიახ, კიდევ ერთი ეპიზოდი: ერთი ყმაწვი-

ლია აქ — ბოჩიკაშვილი და შემახვედრა მან მაღაზიაში „ტექსელელს“ — გადაგვჭამა თავი ტრაბახითო. ვუთხარი მე ახლა იმას: ტექსელიდან შენ გადახვედი ინგლისში? დააქნია თავი. შენ მიცნობ მეთქი მე? პოლონეთში, ტყეში რომ გამოგიყვანეთ — იცი მეთქი შენ ეს? არაო, თავს აქნევს. აბა როგორ მოხვდი ტექსელზე მეთქი? ეს ჩემი საქმეაო. აა, ჩემი საქმეაო, გადი, ნოშორდი მეთქი შენ და ხელი ვკარი და გაიძურწა.

დიახ, ჩემო ბატონო, სხვა საქმე იყო I ბატალიონი, მან, შერბურში ამერიკულ დესანტს სასტიკი ბრძოლა გაუმართა.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, გრიგოლ რობაქიძეზე რას გვეტყოდით, მას მერე, რაც იგი გერმანიაში დარჩა?

შ. მ.: უნდა მოგახსენოთ, რომ გრიგოლ რობაქიძე არც ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას არ ეკუთვნოდა. უფრო დაახლოებული იყო მიხაკო წერეთელთან და აკაკი პაპავასთან. არავითარი ფაშისტი ან ნაციონალ-სოციალისტი იგი არ ყოფილა. ის მონოგრაფიები, რომელიც მან მუსოლინისა და ჰიტლერს უძღვნა — წმინდა მწერლური ხედვით არის დაწერილი. ახლა აქ მწერალთა კავშირის ყრილობაზე, მეც მიმიყვანეს მწერლებმა — ირჩეოდა საკითხი: აღვადგინოთ თუ არა გრიგოლ რობაქიძეო და მოგეხსნებათ, ჯერ ლიტერატურულმა გაზეთმა დასწამა მას ფაშისტობა და მერე ამ ყრილობაზე მე სიტყვა არ მათქმევინეს*. შემდეგ ჩვენმა მწერლებმა აქ ჩამოსულ ტიხონოვს შემახვედრეს და იმასაც ვუთხარი — არავითარი ფაშისტი რობაქიძე არ ყოფილა მეთქი. ამაზე ტიხონოვმა მიპასუხა: კარგი, მაგრამ თქვენ წაკითხული გაქვთ თუ არა „დი გე-მორდეტე ზეელე?“ ამაზე უკვე მას აღარაფერი ვუპასუხე, რადგან ამ რომანში — „ჩაკლულ სულში“, რობაქიძე ასამართლებს ბოლშევიზმსა და სტალინს.

ერთხელ, მახსოვს, ბერლინში, კაფეში ვსხედვართ მე, მიხაკო წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, ტიტე მარგველაშვილი და მოგვიანებით შემოვიდა ალექსანდრე ნიკურაძე. ეს ნიკურაძე და მისი ძმა ივანე ცნობილი მეცნიერები დადგნენ გერმანიაში. თუ როგორ გავაგზავნეთ ისინი სასწავლებლად გერმანიაში 1919 წელს, ამას მერე მოგიყვებით. დიახ, ცნობილი მეცნიერები იყვნენ ესენი — ივანე ნიკურაძე ბერლინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქიმიის კათედრას განაგებდა, ხოლო სანდრო — ფიზიკისას. გარდა ამისა, სანდრო ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომებს წერდა: SANDERS-ის ფსევდონიმით. ხუთი ტომი გამოაქვეყნა მან სათაურით, თუ არ ვცდები, „კონტინენტალური ევროპა“, სადაც ის აზრი გაატარა, რომ გერმანელთა — ტევტონთა გავლენის სფერო ყი-

---

* მეც ვესწრებოდი მაშინ ამ ყრილობას მთავრობის სასახლის დარბაზში და მახსოვს, პარტერიდან როგორ წამოდგა ბ-ნი შალვა მაღლაკელიძე რეპლიკით: არ ყოფილა რობაქიძე ფაშისტიო! (ვ. რ).

რიმს აღწევდა და არავითარ შემთხვევაში საქართველოსო. ახლა ვსხედვართ ამ კაფეში და შემოვიდა სანდრო, პატარა ტანის კაცი იყო, ლურჯი სათვალეებით. მიხაკომ თქვა: ახ, არ მინდა ეს კაცი პოლიტიკაში რომ ერევაო. ამაზე გრიგოლმა უთხრა: ჩემო მიხეილ, ქართველი კაცი მსოფლიო პრობლემებს ადვილად გადახარშავს! ასე არ არის ტიტუს? (ტიტე მარგველაშვილს „ტიტუსს“ ეძახდა). ახლა თვითონ სანდროს უთხრა მიხაკომ: რად გინდა ეს პოლიტიკა ამან დამღუპა მეო, ხან ანარქისტი ვიყავი და ხან ჯანდაბაო.

დიახ, ჩემო ბატონო, ახლა ამ ნიკურაძეების გერმანიაში გაშვების შესახებ. როდესაც მე ტფილისის გენერალ-გუბერნატორი ვიყავი, მე შევდიოდი საზღვარგარეთ სტუდენტთა მიმვლინებელ კომისიაში. თავმჯდომარე ჟორდანია იყო, მაგრამ საქმეს ნიკო ნიკოლაძე წარმართავდა. ისე გამოვიდა, რომ ძირითადად სულ დასავლეთ საქართველოდან ვუშვებდით სტუდენტებს. ახლა მე ვთქვი: ქართლ-კახეთის ხალხი ისედაც გვიჩივის, რომ მთელი ადმინისტრაციული თანამდებობა სულ გურულებს და იმერლებს უკავიათო და ახლა ამას ნუ ვიზამთ, სტუდენტებად პროპორციულად აღმოსავლეთ საქართველოს ხალხიც გავუშვათ ევროპაში მეთქი. მით უმეტეს, რომ მათგან, ვინც კაცად გამოდის, ყველა ნაღდი და სერიოზული მეცნიერი ხდებათქო. აი, ასეთი ვითარება იყო და დაგვადგა თავზე ნიკურაძეების მამა სამტრედიიდან მე და ნიკო ნიკოლაძეს, როგორც იქაურ ხალხს. მე, ბატონოო, უბრალო კაცი არ გეგონოთო, სამტრედიაში ორთქმავლის წამყვანი ვარო, თეთრი „პერჩატკებითო“ და „პომოშნიკი“ მყავსო, ე. ი. „პამოშნიკი“. მე მყავს ორი ვაჟიო, და გთხოვთ ორივე გაუშვათ სასწავლებლადო.

გაეცინა ამაზე ნიკოს და უთხრა: ორი რა ამბავიაო! ჩვენ სტიპენდიები არ გვყოფნის და თანაც აყაყანდება აღმოსავლეთ საქართველოო!

ბატონოო, უთხრა ნიკურაძემ, ორივე ჩემი ვაჟი ჩია ტანისაა და ცივ მჭადზე გაზრდილიო. გაუშვით ესენი ერთ სტიპენდიაზე და ერთ „პორციაზე“ იცხოვრებენო.

ერთ „პორციაზე“ როგორ იქნებიანო, უთხრა ნიკომ, გერმანელები მეორესაც დაუსხამენ საჭმელსო.

აბა თქვენ ყოფილხართ ბატონები და ჩვენ მონებიო, გაცხარდა ნიკურაძე, მაშინ არც ერთს არ გავუშვებო, ამათ ერთმანეთის გარეშე არ შეუძლიათო და დარჩნენ უსწავლელნიო!

აი, საბოლოოდ, ასეთ ვითარებაში გავუშვით ნიკურაძეები გერმანიაში და არც შევმცდარვართ — გვასახელეს მათ იქ. რაც შეეხება ჩვენი მთავრობის სტიპენდიას — 6 თვის მერე მოეხსნათ მათ ის (თვითონ მთავრობა გაიქცა ემიგრაციაში და რას იზამ). ამ სანდრო ნიკურაძეს გიტარა ჰქონდა საქართველოდან წამოღებული და ჩვენებურ სიმღერებს მღეროდა...

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ახლა დავუბრუნდეთ იმას, თქვენ რომ რუპოლდინგში ხართ. როგორ წარიმართა მერე თქვენი ბედი?

შ. მ.: დიახ, ჩემო ბატონო, ვართ ამ რუპოლდინგში — მშვენიერი კურორტია, ჩვენს ბაკურიანს წააგავს. აქ იყვნენ ქართველები — ზოგი ემიგრანტი, ზოგიც ტყვე. ვიქტორ ნოზაძეზე მოგახსენებთ და კიდევ იყვნენ ჭანტურია, კუჭუხიძე... აქ გაიოზმა დააარსა დასასვენებელი სახლი ქართველი ლეგიონერებისათვის. ამ სახლს განაგებდა ჩემი რძალი. მაგრამ მაინც მოუსვენრადა ვარ, რადგან ამ დროს იწყეს სიარული მანქანებმა, რომელზედაც ხმის გამაძლიერებელი იყო დაყენებული და ჩართავდნენ ფირფიტებს, რომელიც მოუწოდებდა საბჭოთა ტყვეებს შინ დაბრუნებისაკენ, არავითარი ხიფათი არ გელით სამშობლოშიო. ამიტომ მაინც დაძაბულად ვიყავი, რადგან ათასნაირი აგენტები დაძრწიან და უცებ არ დამატყვევონ მეთქი — მერე მაინც არ ამცდა, ეს მე... დიახ, აქ არის კიდევ ვლასოვის ცოლი, რომ ვახსენე, კარგი შესახედაობის გერმანელი ქალი, უშვილო, დაახლოებით 42—43 წლის, განათლებული, არტისტული განწყობილების. რუპოლდინგში რამდენიმე ცხენი იყო ჩარჩენილი და ამ ქალმა შემოგვთავაზა მე და გაიოზს დღეში ორი საათით ცხენებით სეირნობა. ვსეირნობდით კიდეც და იქ გავიგეთ ვლასოვისა და სხვა გენერლების ჩამოხრჩობის ამბავი. ამასობაში, ქალაქ ტრაუნშტაინში, ამ რაიონის ცენტრში, მე წარვუდექი ამერიკელ გენერალს, რომელიც გუბერნატორის როლს ასრულებდა, რეგისტრაციაში გასატარებლად — ყველა ოფიცერი ვალდებული იყო, რომ გაევლო რეგისტრაცია, გაიოზი უკვე რეგისტრირებული იყო და ღებულობდა თავის საარსებო „პაიოკს“. მე გენერალს ვუთხარი, რომ გადმოსული ვარ ფრანგული ზონიდან და ახლა მასთან ვტარდები რეგისტრაციაში. ამ გენერალს ადიუტანტი ლატვიელი ყავდა და ძალზე გაეხარდა, რომ ლატვიური ვიცოდი. ძალზე კარგად შემხვდნენ და მეც კარგად ვიყავი რუპოლდინგში. ასე გაგრძელდა 1945 წლის ნოემბრამდე. დადგა ნოემბერი და მოვიდა თოვლი. გამოვედი სასეირნოდ. ჩექმები და შინელი მაცვია. იქ ერთი კარგი მდინარე იყო და მივედი ამ მდინარესთან. უეცრად ხიდთან გაჩერდა მანქანა და გადმოვიდა ეს ლატვიელი, ადიუტანტი. გენერალი გთხოვთ, რომ მასთან წამობრძანდეთო, ჩავჯექი უსიტყვოდ მანქანაში. არც გაიოზს და არც ვიქტორ ნოზაძეს არაფერი გაუგიათ ჩემი წასვლის შესახებ. მივედით ტრაუნშტაინში. ახლა კი ცივად შემხვდა ეს ამერიკელი გენერალი. არც ადგა, არც ხელი ჩამომართვა და ამერიკული უზრდელობა რომაა — ფეხები შემოდო სკამზე. თქვენო, მითხრა, ეკუთვნით იმ 13 გენერალს, რომელიც მოითხოვა სტალინმა გადასაცემადო. თურმე, მიუღიათ ამათ საბჭოთა სარდლობის მოთხოვნა, რომ ძველი გენერლები — კრასნოვი, მისი ძმისშვილი, შკურო და სხვანი, მათ შორის მეც — უნდა გადაგვცენ. ამიტომ იყო, რომ, სანამ ამ ამერიკელ გენერალთან შემიყვანდნენ, გამოცვივდნენ

ოთახებიდან მთელი მისი მოხელეები და მიყურებდნენ. მე ვერ მივხვდი — თურმე, დასახვრეტ კაცს, დიდ „ნაცისტს“ მიყურებენ! დიახ, ახალი გენერლები, ე. ი. ყოფილი საბჭოთა — ვლასოვი, ტრუხინი, არხანგელსკი, მირონშნიჩენკო და სხვები ხომ ჩამოახრჩვეს, ახლა — ძველ, „არასაბჭოთა“ გენერლებს ითხოვენ! მე ვუთხარი ამერიკელს: მე არასოდეს ვმოქმედებდი არც ამერიკელების, არც ფრანგების და არც ინგლისელების წინააღმდეგ მეთქი. მერე რაო, ჩვენ მოკავშირენი ვართ და ზეგ მათ გადაგცემთო, ახლა კი დაპატიმრებული ხართო. მიმიყვანეს ტრაუნშტაინის რაღაც სამუზეუმო შენობაში, წყალი ჩამოდის, საკანში არც ლოგინია, არც სკამი. მაღალი კედლებია. სასტიკი სიცივე. მომცეს ერთი ჭიქა წყალი და 100 გრამი პური. არავითარი სეირნობა, იქვე „პარაშა“ დგას. ესე იგი, ისეთ პირობებში ჩამაყენეს, როგორც „გესტაპოს“ კაცი. გვერდითა საკნებიდან ყვირილი ისმის — ეს უკვე ნამდვილ გესტაპოელებს აწამებენ ამერიკელი ებრაელები. მინდა თავი მოვიკლა და არც ლურსმანია, არც პირსახოცი, რომ თავი ჩამოვიხრჩო. დავდივარ საკანში და გიჟივით ვიმეორებ „ვეფხისტყაოსნიდან“ ერთ ადგილს: „კვლა იტყვის, მიკვირს, ნაღველი კაცისა ჭკუიანისა, რა მჭმუნვარებდეს, რას არგებს, ნაკადი ცრემლთა ბანისა, სჯობს გამორჩევა, აზრობა, საქმისა დასაგვანისა...“

ჰო, და კიდევ ერთს ვამბობდი: „კაცმა საქმე მოიგვაროს, ვეჰე ჰმუნვასა ესე სჯობდეს!“

ამასობაში თურმე ჩემი შვილი მეძებს, მატარებელი არ მოძრაობს და ჩამოდის გაიოზი ველოსიპედით ტრაუნშტაინში. უპოვნია ვიღაც ანტიმუსოლინელი იტალიელი ქალი, კაპიტანი. მესამე დღეს, ვხედავ, საკნის კარის „კორმუშკას“ აღებს ვიღაცა და მათვალიერებს. შევხედე — ქალია, კაპიტანი. მერე ვიღაც კაცმა შემოიხედა. გაიღო კარი და გამიყვანეს ჯარისკაცებმა. დერეფანში რომ მიყუყვართ, ვხედავ, ამ „ოხრანის“ ჯარისკაცებში გაიოზი დგას. სიმწრისაგან კინაღამ ვიყვირე — მე მეგონა, რომ გაიოზიც დააპატიმრეს და ჩემთან ერთად საბჭოელებს აძლევენ. გამიყვანეს ეზოში. თოვლია. დგას ორი დიდი მანქანა, ბორბლებზე ჯაჭვები აქვთ გაკეთებული. დამსვეს პირველ მანქანაში, მეორეში — გაიოზი. ჩემს გვერდით ზის ეს ქალი — კაპიტანი. ჩავილაპარაკე გერმანულად — ჩემი შვილი იმ მეორე მანქანაში, ნეტავ როგორ არის... ამ ქალმა მიპასუხა გერმანულად: ნუ წუხართ, ყველაფერი რიგზე იქნებაო. კარგა ხნის მგზავრობის მერე მიმიყვანეს იტალიის საზღვართან. იქ ქალაქია ერთი — ბრენერო, ნახევარი გერმანელებისაა, ნახევარი — იტალიელების. ჩამომსვეს აქ. მოვიდა გაიოზი და გადმომცა ჩემოდანი — შიგნით დოლარებიც უწყო. აბა, მამა, გზა დამილოცნია იტალიაშიო. სხვათა შორის, როდესაც შემდეგ პაკისტანიდან გერმანიაში ჩავედი და გაიოზი ვნახე, მაშინაც არ მითხრა გაიოზმა, როგორ მოახერხა ჩემი განთავისუფლება. შენ, მამა,

ლაპარაკი გიყვარს და მე იმ ხალხს სიტყვა მივეცი. ასე, ჩემო ბატონო, ლაპარაკი კი მიყვარს, ხა, ხა, ხა და არ მითხრა გაიოზმა არაფერი!

გავედი ახლა ამ ბრენეროს სადგურზე — „სენიორ, პრეგო, რომა“ და ვიყიდე რომამდე ბილეთი. მშვენიერი მატარებლით, დიდებული ვაგონ-რესტორანი ჰქონდა, ასე ვიმგზავრე. ჰო, დამავიწყდა მეთქვა — ბრენეროდან დავრეკე ვატიკანში — ვატიკანო, ვატიკანო-და მოვითხოვე ბენედიქტინელების ორდენიდან მიქაელ თარხნიშვილი. მიქაელმა ჩემი ხმა რომ გაიგო, გაგიჟდა პირდაპირ: ბიშორ, ღმერთმა შეგიწყალა, აქ ვიცოდით, რომ შენ დაგხვრიტესო. დამხვდა რომის სადგურზე მიქაელი. მივედით ჩემს ძველ სასტუმროში. ჩავედით რესტორანში — დავლიეთ ცოტა ღვინო. მომდევნო დღეებში გადარჩენის პარაკლისი გადამიხადა მიქაელმა. სხვათა შორის, გუნდს ლოტბარობდა ალექსანდრე საღირაშვილი, გრიგოლ ურატაძეს რომ ახლდა ლენინთან, გვარდიელი ვალიკო ჯუღელის მოადგილე.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, ახლა ბრძანეთ, თუ როგორ მოხვდით პაკისტანში?

შ. მ.: უნდა მოგახსენოთ, რომ რომში ყოფნის დროს მე კვლავ ინსაბატოსთან ვმეგობრობდი. მან შემიყვანა მასონურ ლოჟაში და საკმაოდ დიდი რანგი მომცეს მასონისა — „სიკვდილთან შერიგებული“. ამ დროს რომში იმყოფებოდა პაკისტანელი გენერალი აიუბ-ხანი, სწორედ ის, რომელიც შემდგომში პაკისტანის პრეზიდენტი გახდა. აი, მას წარუდგინა ჩემი თავი ინსაბატომ, როგორც ხმელთაშუა ზღვის სამხედრო პაქტის სამხედრო მრჩეველი და წარუდგინა იმიტომ, რომ თვითონ აიუბ-ხანი მასონი გახლდათ. ასე, რომ აიუბ-ხანმა ამიყვანა თავის სამსახურში იტალიელი გენერლის ამადარის გვარით, ერთი მხრივ, როგორც თვითონ მახასიათებდა „სამხედრო ტაქტიკის მცოდნედ“ და მეორე მხრივ, სადაზვერვო საქმიანობის ექსპერტად, როგორც რუსულის მცოდნე. რასაკვირველია, რომ თვითონ აიუბ-ხანმა იცოდა, თუ ვინ ვიყავი მე, ჩემგან იცოდა საქართველოც და საერთოდ, როგორც ახლა თქვენ გიყვებით მასაც მოვუყევი ჩემი თავგადასავალი. ამასობაში, რომში იმყოფებოდა აგრეთვე პაკისტანელი გენერალი მედიცინის ხაზით ფარუკი, რომელიც პაკისტანისათვის ექიმებს აგროვებდა, რომელნიც „ტროპიკული დაავადების“ სპეციალისტები იქნებოდნენ. სწორედ ასეთი სამედიცინო აკადემია არსებობდა რომში. რადგან იტალიას კოლონიები გააჩნდა და ჩემი მეორე მეუღლეც იქ იყო განსწავლული. მას ჰქონდა კაპიტნის წოდება სამედიცინო ხაზით. ასე, რომ ჩემი მეუღლეც ჩაეწერა ამ ექიმებში და პაკისტანისკენ გავწიეთ. პაკისტანში დავბინავდით კარგად. პატარა ქალაქ კოხათში ჩვენი სამხედრო-სადაზვერვო დასახლება იყო და იქვე ჰქონდათ საავადმყოფოც, სადაც ჩემი მეუღლე მსახურობდა. აქვე ცხოვრობდა გენერალი აიუბ-ხანი, ეს ვეებერთელა კაცი. ჩვენ 9 ოთახი გვქონდა, მსახურები, მზარეული. ჩვენი პაკისტანელი მზარეული ჩვენი ხარჯით

10—15 მშიერ მოხეტიალე თანამემამულეს აჭმევდა ხოლმე და ჩემი ცოლიც უწყრებოდა ამის გამო — ფულს ნუ გვიხარჯავ ამდენსო. მე კიდევ მეცინებოდა ამაზე და ვაშოშმინებდი ხოლმე მას. თვითონ ამ დასახლებაში პატარა ქუჩები იყო გაკეთებული რუსული აბრებით: გორკის ქუჩა, ლენინის, ძერჟინსკის და ასე შემდეგ. ეს იმიტომ, რომ პაკისტანელ დიპლომატებს, იგივე დაზვერვის ხალხს, უკვე აჩვევდნენ რუსულ გარემოს. რუსულ ენას მათ ასწავლიდნენ თავადის ქალები ტარაკანოვები, ასწავლიდნენ აგრეთვე არისტოკრატიულ ჩვევებს და ვთქვათ, ქალს ხელზე რა დროს უნდა აკოცონ. მე ვუთხარი აიუბ-ხანს: ეს ჩვევები დღევანდელ რუსეთში მოძველებულია და ანაქრონიზმია მეთქი, სხვანაირად უნდა ვასწავლოთ-თქო. აიუბ-ხანმა მითხრა, არა უშავს, ესეც იცოდნენ, ხომ შეიძლება ასეთ ხალხსაც შეხვდნენო. დიახ, ვცხოვრობდით ასე, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე განსაკუთრებულ შემთხვევას. პირველ რიგში ეს იყო ქაშმირის წინააღმდეგ გალაშქრება, რომ ეს ოლქი ჩამოგვეცილებინა ინდოეთისათვის; მოგეხსენებათ, ქაშმირში უმეტესი მაცხოვრებელი მაჰმადიანია და საბჭოთა რუსეთი ამ უგვან საქმეში მხარს უმაგრებდა ინდოეთს. დიახ, წავედი მოხალისედ ამ ლაშქრობაში და მოვუახლოვდით ქაშმირის საზღვრებს. უნდა ითქვას, რამაც გამაოცა, — ამ პაკისტანურ ჯარს უკან თან მოჰყვებოდა ჯარისკაცთა მთელი ოჯახები და ჩვენ რომ დავბანაკდით, ირგვლივ სულ მოფენილი იყო ამ ოჯახის წევრებით. დიახ, რომ მივუახლოვდით ქაშმირის საზღვრებს, უეცრად გამოვიდნენ ინგლისელები და შუაში ჩადგნენ. მაშინ კიდევ არ იყვნენ ისინი გასულნი პაკისტანიდან და ინდოეთიდან. მათ გამოგვიცხადეს, რომ ჯერჯერობით ჩვენი საგუბერნატოროები ხართო და ომს არ დავუშვებთო. ასე გამოვბრუნდით უკან. სხვათა შორის, იმ ფაქტმა, რომ მე მოხალისედ წავედი ქაშმირში, დიდი გულისწყრომა გამოიწვია ჩემს მეზობლად მცხოვრებ ინდოელებში, რომლებიც მეუბნებოდნენ, რომ თქვენ ქრისტიანი, იტალიელი გენერალი, რატომ ეხმარებითო მუსლიმანებს. მეორე მხრივ, ქუჩაში მსხდომ უამრავ პაკისტანელთა შორის, ზოგი ფეხსაცმლის მწმენდავია, ზოგი არზის დამწერი და ყვირიან — „ელზა, ელზა!“ — ამით მუშტარს იხმობენ — დიდი მოწიწება დავიმსახურე ამის გამო. ქუჩაში რომ დამინახავდნენ, ფეხზე დგებოდნენ.

მეორე ასეთი განსაკუთრებული მომენტი მახსოვს, როდესაც აიუბ-ხანმა მიხმო და რამდენიმე მანქანით გავეშურეთ საზღვრისაკენ — ველოდით, დალაი-ლამა უნდა გადმოსულიყო ჩინეთიდან, მაგრამ ვეღარ გადმოვიდა და აიუბ-ხანი ძალზე ღელავდა.

დიახ, ახლა არის აქ ერთი ქალი, მუსიკის მასწავლებელი, პაკისტანში იმ დროს არ იყო კონსერვატორია, ახლა — არ ვიცი, და ასწავლის ყველა საელჩოში მუსიკას ეს ქალი. გამეცნო და ავალიანი ვარო, ქართველი, რუსულად კარგად ლაპარაკობდა, ქართულად — ცუდად. ჩემი ქმარი

გერმანელი ბარონი იყოო რევოლუციამდე და ტფილისში შემირთოო ცოლადო. მე რომ ჩავეკითხე, რომელი ავალიანებიდან ხართ, რომელი რაიონიდან — ვერ მიპასუხა. ისე, ფუფუნებაში ცხოვრობდა და რამდენჯერმე დამპატიჟა თავისთან. ამავე დროს ჩემს ცოლს მეგობარი ქალი ჰყავდა იქ, იტალიელი, რომელიც პაკისტანელი პოლკოვნიკის ცოლი იყო. ამ ცოლების მეგობრობით ჩვენც დავახლოვდით. პოლკოვნიკმა ახმედ ხაშმიმ გამომაფხიზლა, რომ ავალიანს ნუ ენდობი, ინგლისელების ჯაშუში არისო. მაგრამ საინტერესო თვით ეს ხაშმი იყო. როგორც გითხარით, ცოლი იტალიელი ყავდა, რომელიც ქმრის სიყვარულის გამო სულ მის ადათ-წესებზე იყო გადასული, თავის ბავშვებს ურდუ ენაზე ელაპარაკებოდა. თვითონ ხაშმიზე ხმა დადიოდა, რომ წარმოშობით არაბი იყო — სხვებს იქ არ ჰქონდათ სახელთან ერთად გვარიც. და აი, ამ ხაშმიმ ერთ მშვენიერ დღეს განმიცხადა, რომ ქართველი იყო, გურჯი ფერეიდანიდან, უფრო სწორად, მამამისი ყოფილა იქიდან გადმოსული. მამამისი გამხდარა დიდი სასულიერო პირი, რაღაც წმინდანის მსგავსი და მას „პირ“-ად იხსენიებდნენ. ეს გვარი, „ხაშმი“, მამაჩემს ჰქონდაო და მეც ვატარებო. მე კი ვიფიქრე, ალბათ ჩვენეული სოფელი ხაშმიდან იყვნენ ამათი წინაპრები, და აქედან წარმოსდგა მათი გვარიც მეთქი. ამ ახმედმა მამამისის საფლავიც მაჩვენა, დიდი კედლებით იყო გადმოკიდებული. იმ მიდამოებში ხეები არ არის შეშისთვის და ბორცვებზე მხოლოდ ბუჩქები იზრდება. აი, ამ ბუჩქების ძირებიდან ღატაკი ხალხი აკეთებს ნახშირს და მერე ყიდიან. ამას ტვირთავენ ვირებზე ხოლმე და სწორედ ასეთი ჯოგები ჩამოდიოდა ამ საფლავის მიმდებარე გზაზე. ამ საფლავთან იყო კოკებში სიცხისაგან გაცხელებული წყალი და „პირ“-ის საფლავთან ყველა გამვლელი ვალდებული იყო წყალი დაელია და ურნაში ფული ჩაეგდო. ამას იქ მდგომი ვიღაც ჩალმიანი აკონტროლებდა.

ერთ მშვენიერ დღეს ახმედ ხაშმიმ დაგვპატიჟა მენგოს დღესასწაულზე. ეს მენგო, — აქ, ჩვენთან მანგოს ეძახიან და კონსერვებში მინახავს აქ, მაგრამ ვერავითარ შედარებაში ვერ მოვა იქაურთან, — დიახ, ეს მენგო როცა დამწიფდება — ყვითლდება და ისეთი დიდებული სასმელია მისი წვენი, რომ რაღაც განუმეორებელი რამ არის. ე. ი. იქ იმართება ამის დღესასწაული, როგორც, მაგალითად, ჩვენთან რთველი რომაა, ისე. დიახ, მივედით მე და ჩემი მეუღლე, ცოტაძის ქალი და დაგვხვდა იქ სხვა სტუმრებიც, ინგლისელები. შემოიტანა დიდ ლანგარზე მსახურმა მენგოები, მაგრამ, გასაკვირად, ზემოდან მწვანეები აწყვია, ე. ი. მკვახე. რაღაც ჩაილაპარაკა ახმედმა ურდუ ენაზე, თავი მდაბლად დაუკრეს და მოართვეს მათრახი. აქ მოხდა უსიამოვნო სცენა: გადაკრა და გადაკრა ძლიერ რამდენჯერმე მათრახი ახმედმა მსახურს. ის თავდახრილია, ხელები გულზე დაწყობილი აქვს და ახმედს ზურგს უშვერს. მე მეწყინა და შემრცხვა — ახმედს ქართველად ვთვლი და ახლა ასეთი სცე-

ნა ყველას დასანახად. დამთავრდა ეს ამბავი და შემდეგ ახმედმა მითხრა: განგებ დავაწყობინე ეგ მენგო ზემოდან. როგორ გგონია მე მამაჩემიდან მომდევს ყველა ამათი ზიზღი და შურს ვიძიებ, როგორც გურჯიო. იქ იმათ ცხელ წყალს ვასმევ და ამათ მათრახს ვუშენო. რა მოგახსენო, ჩემო ბატონო, ძნელი წარმოსადგენია ასეთი წყურვილი შურისძიებისა.

დიახ, ღირსშესანიშნავი შემდეგ იყო ცხენბურთი, რომელიც ჩემი თვალით ვიხილე იქ. ეს ხდებოდა სამხედრო სასწავლებლის დამთავრებულთათვის საზეიმო გამოშვების დღეს. უნდა მოგახსენოთ, რომ პაკისტანელები დიდებული ცხენოსნები არიან. ამ გამოშვების დღეს მე განსაკუთრებულ პატივს მცემდნენ — ცალკე სავარძელზე მსვამდნენ ყვავილის გვირგვინებით შემკულს. ასეთ პატივს არ სცემდნენ იქ დარჩენილ ინგლისელ სამხედროებს (ამ დროისათვის ინგლისი უკვე გასული იყო იქიდან). სიმართლე უნდა ითქვას ის დარჩენილები ნამდვილი ინგლისელები არც იყვნენ. ნამდვილი ინგლისელი, მით უმეტეს გენერალი, თავს არ იწუხებს სხვა ენის ცოდნით — ინგლისურად უნდა ელაპარაკო მას. ხოლო ესენი კი სულ გერმანულად მელაპარაკებოდნენ, მათი ენა იდიში ხომ თითქმის გერმანულია. ხოლო ესენი დარჩნენ იქ წმინდა კომერციული მოსაზრებით. დიახ, ვზივარ ამ დღესასწაულზე და წინ ბროშურები მიწყვია სხვადასხვა ენაზე. ავიღე გერმანული ბროშურა, გადავშალე და შიგ ეწერა, რომ ცხენბურთის სამშობლოა კოლხეთი და ივერიაო. დიახ, ჩემო ბატონო, ეს ვნახე საკუთარი თვალით. საოცარია: სიცხისაგან იქ ხე ერთ დღეს ფოთოლს დაყრის, ხოლო მეორე დღეს ისევ ამწვანდება. ჩვენს ეზოში ვაკვირდებოდი ამას.

უნდა მოგახსენოთ, რომ იქ, პაკისტანში გავრცელებულია ურდუ ენაზე ერთი ანდაზა: „მე შენ გეტყვი, გურჯი არ იყო“. რას ნიშნავს ახლა ეს: როდესაც კაცი ტრაბახობს და თავის თავზე არნახულ საგმირო ამბებს ყვება, მას შეუძახებენ ხოლმე ამ ანდაზას — მე შენ გეტყვი, გურჯი არ იყო! ე. ი. ნუ ტრაბახობ, შენ გურჯი არა ხარ, შენ გმირი არა ხარო, ე. ი. ნუ ტყუიხარო. რაც შეეხება სიტყვა „გურჯს“, მისი მნიშვნელობა არც კი იციან.

დიახ, შემდეგ ერთი ყადისაგან იქ მოვისმინე საინტერესო რამ: პაკისტანის ერთ შორეულ პროვინციაში, რომლის დიდი ნაწილიც ინდოეთს ეკუთვნის, არის ადგილი, რომელსაც ჯანდაბისტანს უწოდებენ. იმ ადგილას უხსოვარი დროიდან ვეებერთელა მეტეორიტია ჩამოვარდნილი, რომლის გარკვეული ნაწილი მიწის ზევით ჩანს. ვინც მას გადაშორდებაო, ყველა იღუპება — ადამიანია ეს, ცხოველი თუ ფრინველი. და აი, გადმოცემითო, ჩვენ ვიცითო, რომ გურჯებმა გადააადგილეს ეს მეტეორიტი და სიცოცხლეს მეტი ტერიტორია მოუპოვესო. ახლა, მე ვფიქრობ, ჩვენში რომ არის გავრცელებული გამოთქმა: ჯანდაბას იქით იყოს მათი თავი და ტანიო — აქედან ხომ არ მოდის?!

დიახ, ვარ ასე პაკისტანში, კოხათში, 1953 წელია. ჩვენი სახლის ირგვლივ უამრავი მაწანწალა დაძრწის, სიცხის გამო ნახევრად შიშველები. ერთ ღამეს, როდესაც ჩემს ოთახში ვმუშაობ, არადა, გარედან ვჩანვარ, შემოაგდეს ქვა, რომელიც მკერდზე მომხვდა. იმწამსვე გარეთ გამოვვარდი — ვხედავ, მირბიან ეს მაწანწალები. მე ვიფიქრე, რომ ამ უბედურ ხალხში ბევრი გიჟია და ალბათ, სიგიჟით მესროლეს მეთქი ქვა. მაგრამ, მეორე საღამოს იგივე განმეორდა — ქვა მაგიდას მოხვდა. კიდევ გამოვიჭერი გარეთ და ისევ გაიქცნენ, ერთ-ერთი მათგანი ქვის ღობეს გადაახტა. ამის გამო მივმართე აიუბ-ხანს. აიუბ-ხანმა მითხრა, რომ ვერ არის საქმე კარგადო. ქვის ასეთი სროლა (წაწვეტილი ქვისო) ჩვენში ტერორს ნიშნავსო. ადრე საძულველ ინგლისელ მოხელეებს ასე კლავდნენო. ესე იგი, შენ აღმოგაჩინეს და ტერორს გინიშნავენო. ჩემი რჩევაა, სასწრაფოდ დატოვო პაკისტანი და დასავლეთ გერმანიაში დაბრუნდეო. გამოვედი აიუბ-ხანიდან ცუდ გუნებაზე. საკმაოდ ბუნდოვანი ისტორია იყო. ჩემს ეჭვს ზოგიერთი გარემოება აძლიერებდა. კერძოდ ის, რომ პაკისტანში უკვე საბჭოთა საელჩო იყო. სხვათა შორის, საბჭოთა ელჩს მაშინ ყველა დასცინოდა — რევოლვერიანი დადიოდა. ამასობაში, სრულიად შემთხვევით იქ ერთ ქართველსაც წავაწყდი — ვინმე ფანცხავას. საკვირველი ის იყო, რომ ეს ფანცხავა ჩაცმულია პაკისტანელი მდაბიო-ავარასავით: წელზე შემოხვეული თეთრი, თითქმის გამჭვირვალე ნაჭერი, საიდანაც სასქესო ორგანო ჩანს — ერთობ შესაზიზღი შესახედაობა. როცა დავკითხე ეს ფანცხავა, აღმოჩნდა, რომ ის ემსახურებოდა ერთ რუს ექიმს, რომელზედაც დიდი ეჭვი ჰქონდათ, რომ კომუნისტი იყო. ასეა თუ ისე, გადავწყვიტე სასწრაფოდ დამეტოვებინა პაკისტანი. მაგრამ ოჯახს ვტოვებ იქ — 1950 წელს ჩვენ იქ ქალიშვილი შეგვეძინა. ოჯახს ვტოვებ იმიტომ, რომ ესენი პაკისტანში კეთილმოწყობილნი არიან. მე კი ისევ გაურკვევლობაში მივდივარ. მე ვუთხარი მეუღლეს, მე იქ მოვმაგრდები და შენ მერე ბავშვიანად შვებულებით მეწვიე მეთქი. მართლაც, თვითმფრინავით, კონსტანტინეპოლის გავლით, ჩავფრინდი დასავლეთ გერმანიაში. ქალაქ მიუნხენში შევხვდი ჩემს გაიოზს — ბუჭუს ვეძახდი. სხვათა შორის, აქ უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება. მე როდესაც მეორე მეუღლე მოვიყვანე, ჩემი პირველი მეუღლე, გერმანელი, გაიოზის დედა— ცოცხალი იყო. ეს ჩემზე უფროსი იყო და თავის დროზე იცნობდა ჩემს მეორე მეუღლეს, რომელიც გაიოზზე რამდენიმე წლით იყო უფროსი და მასთან ერთად სწავლობდა ვარშავაში. თავის დროზე ამ გერმანელმა ქალმა თქვა ჩემს მეორე მეუღლეზე, ვითომ ხუმრობით — მე რომ მოვკვდები, ეს მოიყვანე ცოლადო, ე. ი. მოსწონდა იგი. ახლა, მის სიცოცხლეში არ მოხდა მართლა ეს?! ამიტომ მე მრცხვენოდა და მას აღარ ვხვდებოდი. შემდეგ უთქვამს იმ ჩემს პირველ მეუღლეს: კიდევ კარგი, შალვამ ეს ქალი რომ მოიყვანა ცოლადო, იქნებ როგორმე დაამაგროს,

რადგან შალვა ასეთი ფათერაკიანი და მოუსვენარიაო. რასაკვირველია, ამ ჩემი მეორე ოჯახის შესახებ იცოდა გაიოზმაც. მაგრამ ერთხელ არ უგრძნობინებია ეს, არ შაკადრა მე ეს. უბრალოდ მეტყოდა ხოლმე: მოკითხვა დედასგანო. მეც რას ვეტყოდი — დედამისიდან ჩემი პატივისცემისა და მოვლის გარდა სხვა არაფერი არ მახსოვდა რა. ამას ყოველივეს იმიტომ მოგახსენებთ, რომ აგიხსნათ, თუ რატომ ვუთხარი შემდეგ პაკისტანიდან შვებულებით წამოსულ ჩემს მეორე მეუღლეს, რომ ბერლინში ჩამოდითო და არა მიუნხენში, სადაც გაიოზი და დედამისი იყვნენ. შემდეგ გაიგებთ, თუ ამას რა მოყვა.

დიახ, გაიოზის ნახვის მერე ჩავედი ბონში — აიუბ-ხანმა მიშუამდგომლა ადენაუერთან. ადენაუერმა მიმიღო საკუთარ სახლში. მის კაბინეტში ვისაუბრეთ. ჯერ მომაყოლა პაკისტანის ამბები. შემდეგ თქვა, რომ გერმანია აღარ არსებობსო. ისე, ძალზე სერიოზული მომენტია, რომ ატომური იარაღის მეშვეობით შეიძლება კაცი გაუსწორდეს ამ „დიდ დათვსო“, ე. ი. რუსეთსო. აქ, დასავლეთში 2 ბატარეია არის ამერიკელების ატომური იარაღითო, ხოლო ჩვენ, გერმანელებს 3 მილიონამდე ყოფილი ჯარისკაცები გვყავსო. ახლა ჩემი თხოვნა იქნებაო, რომ მე თქვენ დაგაკავშირებთ რამდენიმე ჩვენს კაცს აღმოსავლეთ გერმანიიდან, რომელნიც სხვადასხვა კუთხიდან ინფორმაციას მოგაწვდიან საბჭოთა ჯარების განლაგების შესახებ აღმოსავლეთ გერმანიაში და თქვენ ეს შეაჯერეთო და თქვენი რჩევა გამოთქვითო. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. მართლაც, მომდევნო დღეს შემახვედრა ადენაუერმა ხუთ პიროვნებას სამოქალაქო ტანსაცმელში — 2 გენერალს და 3 პოლკოვნიკს. დავჯექით მაგიდასთან. ყავა, კონიაკი. რუსული იციან — ყოფილი ტყვეები არიან, სტალინთან გაცვლით მოპოვებულნი. თურმე რას წარმოიდგენ, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ყველა ამათი ცოლშვილი. რუსებს მძევლებად ყავთ და პირიქით, ამის გამო, რუსებზე მუშაობენ! ასეთი იყო ადენაუერის „გამჭრიახობა“. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გერმანელები ძალზე მიმდობნი არიან სიბრიყვემდე. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ კაცმა რაზე უნდა იცრუოს, რომ თუ ასე ამბობს, ასე უნდა იყოს. ერთი სიტყვით, დავიწყე ამათთან მუშაობა. ყოველი თვის ბოლოს მიუნხენის სამხედრო აეროდრომიდან მივფრინავ დასავლეთ ბერლინში და მოვფრინავ. გაიოზმა ამ ჩემი მუშაობის შესახებ არაფერი იცოდა. მე მომცეს შესაფერი დოკუმენტი — „პროპუსკი“, რომელიც უფლებას მაძლევდა ყველა ოკუპირებულ ზონაში მოგზაურობისას. იგი ოთხ ენაზე იყო შედგენილი: ინგლისურად, გერმანულად, რუსულად და ფრანგულად. დიახ, ჩავდივარ იქ და ჩამოვდივარ და მეუბნებიან, თუ რა გადაადგილებანი ხდება საბჭოთა ჯარებისა.

სანამ სხვა ამბებზე გადავალ, მინდა აქ ერთი ღირსშესანიშნავი რამ მოვიგონო. მიუნხენში იყო იმჟამად იურისტთა საერთაშორისო საზოგა-

დოება „გეგენ უნმენ-შლიხკაიტ“, ე. ი. „არაადამიანურ დანაშაულობათა წინააღმდეგ“, რომელიც ძირითადად საბჭოთა რუსეთის დანაშაულობებს განიხილავდა. ერთ მშვენიერ დღეს ამ საზოგადოებამ მოაწყო საერთაშორისო კონფერენცია და სტუმართა შორის პარიზიდან იყო ევგენი გეგეჭკორი, ხოლო ამერიკიდან — კერენსკი. ევგენიმ დამირეკა და მეც მივუევი ამ კონფერენციაზე. გამოვიდნენ სხვადასხვა მომხსენებლები და განიხილავდნენ საბჭოთა რუსეთში მომხდარ სხვადასხვა არაადამიანურ ქმედებებს. ერთმა ის მაგალითიც მოიყვანა რომ რომელიღაც პიროვნება 14-ჯერ იყო განჭორწინებული და დაჭორწინებული, ე. ი. ცხოველობაო. შემდეგ გამოვიდა ევგენი გეგეჭკორი. მან თქვა, რომ ჩვენი ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ უეფექტოაო. ბოლშევიკებს მათივე მეთოდებით უნდა ვებრძოლოთო — „კლინ კლინომ ვიშიბაც ნადო!“ ატყდა ტაში, ყვირილი: ვივა ლეონ! ე. ი. გაუმარჯოს ლომსო! ამაზე ევგენიმ დაიძახა: მე ახლა კატაც არ ვარო! შემდეგ გამოვიდა კერენსკი. ილაპარაკა რუსულად, ფრანგულად, ინგლისურად, ე. ი. თავი მოიწონა. შემდეგ გააჩერეს და კითხვები დაუსვეს. წამოდგა ერთი აზერბაიჯანელი პოლკოვნიკი, ისიც ჩემსავით „სტუმარი“ იყო ამ კონფერენციაზე და შეეკითხა კერენსკის რუსულად: როგორ ესმის „რუსეთის ხალხების განთავისუფლება“ სოციალისტ ალექსანდრ ფიოდოროვიჩ კერენსკის? ამაზე კერენსკიმ უპასუხა, რომ მე ვემხრობი — „ია ზა უჩრედიტელნოე სობრანიე“ და სანამ უკანასკნელი ჩუკჩიც თანხმობას არ მოგვცემს ამ „სობრანიაზეო“, იქამდე რუსეთის სახელმწიფო არ დაიშლებაო. აზერბაიჯანელი პოლკოვნიკი კიდევ შეეკითხა: და თუკი მაინც ასეთი სიტუაცია შეიქმნებოდა, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდითო? კერენსკი: მაშინ ალაპარაკდება „რუსსკიე შტიკი“! აზერბაიჯანელმა კვლავ ძლიერი აზერბაიჯანული აქცენტით: „ჭაქიე შტიკი“? კერენსკიმ გამოაჯავრა: „თაქიე, ჭაქიე ესტ“! აზერბაიჯანელი მოუტრიალდა გეგეჭკორს: „ევგენი პეტროვიჩ, ონ იზდევაეტსა, უ მენია სვოი იაზიკ, კერენსკი ზა ბოლშევიკოვ“!

დიახ, დამთავრდა ეს კრება და ევგენის ხათრით გავყევი მას კაფეში, კერენსკიც თან გვახლავს. თხელი კაცი იყო კერენსკი, „იოჟიკი“ თმა ჰქონდა. ვზივართ კაფეში და ვლაპარაკობთ. თუ სტალინის მერე ვინ იქნება პირველი რუსეთში — სტალინი უკვე მკვდარია. კერენსკი ამბობდა, რომ ეს უნდა იყოს მალენკოვი, რადგან ეს სამართლიანია, რომ უდიდეს სლავურ სახელმწიფოს რუსი მართავდესო. გეგეჭკორი ბერიას ასახელებდა. ვზივართ ასე, საღამოა, უცებ ატყდა საღამოს გაზეთების დამტარებელთა ყვირილი: „ბერიას ნიედერლაგე“ — „ბერიას დამხობა, იყიდეთ გაზეთები!“ მოუტრიალდა კერენსკი გეგეჭკორს და ეუბნება: „სპლოხოვალ ვაშ მინგრელეც, ევგენი პეტროვიჩ!“ ამაზე ევგენი დაიბნა და უპასუხა: „მინგრელეცი ნე ტაკ ლეგკო ზდაიუტსა!“

ამასობაში მომივიდა მეუღლიდან ცნობა, რომ შვებულებით უნდა გერმანიაში ჩამოსვლა, ცხადია, ბავშვთან ერთად. როგორც ვთქვი, არ მინდოდა მისი მიუნხენში მიღება — აქ გაიოზია, დედამისია, რომელიც ჩემს შვილიშვილს — ვამეხს ზრდის, აქაური ქართველებია და გადავწყვიტე, რომ მას დასავლეთ ბერლინში მივიღებდი, იქ კი ერთადერთი ჩემი კარგი ნაცნობი იყო ალექსანდრე ფაჩულია. ამიტომ ველაპარაკე ჩემს მეუღლეს ტელეფონით, რომ როდესაც შენ მაინის ფრანკფურტში დაფრინდები მეთქი, მერე გადაფრინდი დასავლეთ ბერლინში. იქ აეროპორტში დაგხვდება ქართველი ალექსანდრე ფაჩულია (არ იცნობდა მას) და ადვილად რომ იცნო, ხელში ქართული გაზეთი ეჭირება მეთქი. ასე მოვილაპარაკეთ, მაგრამ სანამ მოგიყვებით, საჭიროა დაგიხასიათოთ ალექსანდრე ფაჩულია — ამას მნიშვნელობა აქვს ამ საქმისათვის.

ალექსანდრე ფაჩულია ეკუთვნოდა ბერლინში მცხოვრებ იმ ძველ ემიგრანტთა რიცხვს, რომლებიც მენშევიკობას თავს არ ანებებდნენ. თუმცა იგი ყოფილი სამხედრო იყო, მაგრამ მარქსისტობდა და ამ მოსაზრებით გერმანიაში დამყარებულ ჰიტლერულ რეჟიმთან არ თანამშრომლობდა. იგი იყო უბრალო მუშა საღებავის ქარხანაში. ასეთი მენშევიკები კიდევ იყვნენ ბერლინში. ზოგი მათგანი რესტორან „მედვედში“ მუშაობდა. მაგალითად, ფოთის ქალაქის თავი კორძაია „ბუფეტჩიკი“ იყო იქ, გიორგი საჯაია — შვეიცარი, ბერძენიშვილი — კელნერი. მენშევიკი მიშა წულუკიძე ექიმი იყო ბერლინში. არც ერთ მათგანს, ვიმეორებ, არ უთანამშრომლია ჰიტლერთან, თუმცა, რომ მოენდომებინათ, თუნდაც გიორგი მაღალაშვილის გზით, — ეს შეეძლოთ. მაგრამ ალექსანდრე ფაჩულია, როგორც ყოფილი სამხედრო, მეც პატივს მცემდა. ერთხელ, როდესაც რუპოლდინგში ვიყავი, 1945 წელს ჩამოვიდა ჩვენთან ბერლინიდან ფაჩულია. გავედით სასეირნოდ, წინ ვიქტორ ნოზაძე და გაიოზი მიდიან, უკან მე და ფაჩულია. ჩამოვრჩით მათ (მერე ვიქტორმა იეჭვიანა, რაზე გესაუბრებოდაო ფაჩულია). ფაჩულიამ მიამბო შემდეგი: როდესაც რუსებმა საბოლოოდ აიღეს ბერლინი, ჩემი ქარხნის პატრონები გაიქცნენ, ხოლო მე კი დავრჩი იქო. პატარა ხანში მომადგა ვიღაც საბჭოთა ოფიცერი, მერე გამოირკვა, რომ ოსი იყოო და მომთხოვა ქარხნის ტერიტორიაზე ჩემი კუთვნილი ოთახების დაცლაო. მე ვუთხარი, რომ მე მუშა ვარ, მარქსისტი და არაფერს არ დავცლიო. მაშინ იგი მეორედ მოვიდა ჯარისკაცებით და დამაპატიმრაო. მიმიყვანეს რაღაც შენობაში და ოთახში ვიღაც პენსნეიანი კაცი იჯდაო. შეეკითხა ის კაცი ამ ოსსო: „ეტოტ სამი“? — „და, ეტოტ სამიო“. მერე პენსნეიანმა უთხრაო, დაგვტოვე ჩვენ მარტოო. გავიდა თუ არა ის ოთახიდან, მომიბრუნდა ეს და მეგრულად მითხრაო: რავა ხარ შენ ალექსანდრე, შენმა მამიდამ ფოთიდან მოგიკითხაო. ჩემს გაკვირვებაზე მითხრა მანო: ბერია ვარ ბიჭო მე, ბერიაო! ჩვენ საღებავები გვინდა წითელი დროშებისათვის რომ მთელ

ბერლინს მოვფინოთო. უნდა ამუშავდეს ქარხანაო. ითანამშრომლე ჩვენთანო. წადი დასავლეთ გერმანიაში, ნახე ქარხნის ხელმძღვანელობა და მოგების მხოლოდ 10 პროცენტს ჩვენ წავიღებთო, ხოლო შენ ამ პროცენტების წილში იქნებიო. მე დავთანხმდი მის წინადადებასო, მაგრამ მე ჩემი გეგმებიც მაქვსო. რასაც ბერიას დავეტყუებ, მე მინდა, რომ აქ სანდო ხალხს, ქართულ ემიგრაციას ვუთხარიო. ბერიას ხშირად ერთი კაცი ახლავსო და მისი გვარი გოგლიძეაო. მე ვუთხარი ფაჩულიას: ბიჭო, შენ განგიზრახავს „დუბლაგენტობა" — ორმაგი თამაში მეთქი. შენ რა უნდა მოატყუო ბერია — შენ თუ მას აქედანაც ნამდვილ ცნობებს არ მისცემ, მაშინ შენ გამჟღავნდები მეთქი. ჩვენს ემიგრაციაში არის გახრწნა და აქედან დაგასმენენ მეთქი. სანამ ჩემთან ჩამოხვიდოდი, ვინ ნახე მეთქი ემიგრაციიდან? ვინა და სპირიდონ კედია და მიხაკო წერეთელიო. სპირიდონთან ვიყავი, მისი მეუღლე სონია ჩიჯავაძე მომეგება, ხოლო ქალიშვილმა თეომ როიალზე დაუკრაო. თვითონ სპირიდონმა შორს დაიჭირა ეს საქმეო. მიხაკოს კი გადავეცი ბერიას დანაბარები: სტალინი გითვლის, რომ ბერლინში დარჩა თქვენი ხელნაწერები. აიღეთ ესენი და დაბრუნდით საქართველოში — თქვენი ადგილია იქ აკადემია და უნივერსიტეტიო. რა გითხრა მერე ამაზე მიხაკომ მეთქი? რა დაჟ ასე გადაეცი ლილოელ გლეხს — სტალინსო, რომ მასეთი საკენკი თავის დედლებს დაუყაროსო! ახლა რა ვქნაო, განაგრძო ფაჩულიამ, ვიქტორ ნოზაძეს ამას ვერ ვეტყვი — მეჩხუბებაო და ბერიას არც შენთან მოსვლა დაუბარებიაო — შენზე ხელი აქვთო ჩაქნეული, როგორც გამოუსწორებელ მტერზეო.

— ალექსანდრე, — მე ვუთხარი, — ფრთხილად იყავი მეთქი. ახლა რაღა დროსიაო. კი, ეს იყო ჩვენი საუბარი 1945 წელს. იგი აღარ მინახავს, მაგრამ პაკისტანიდან რომ დავბრუნდი, გავიგე, რომ ალექსანდრეს მეორე მეუღლე ყავს, გერმანელი, ყავს მასთან შვილი, იმასაც ალექსანდრე დაარქვა და ცხოვრობს დასავლეთ ბერლინში. თუმცა, მაშინ, მოგეხსენებათ თქვენ ეს, ახლა რომაა ბერლინი კედლით გაყოფილი, ასე არ იყო. იგი ზონებად იყო დანაწილებული, რუსულ, ამერიკულ, ფრანგულ და ინგლისურ ზონებად და ერთი სექტორიდან მეორეს მხოლოდ აბრები, გამაფრთხილებელი წარწერები ყოფდა.

მიველი ახლა მე ალექსანდრესთან, ვიცოდი მისი ბინა და, დახმარება ვთხოვე. აღმითქვა: აუცილებლად დავხვდებიო შენს მეუღლესა და ბავშვს აეროდრომზე და ჩემთან მოვიყვანო.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, სანამ შემდეგ ამბებზე გადახვალთ, ხომ არაფერს გვიუწყებთ ბერლინელ ქართველთა ბედზე 1945 წელს?

შ. მ.: მე მათი ბედი, ცხადია, გადმოცემით ვიცი, რადგან იმ დროს მოგეხსენებათ, მე ბერლინში არ გახლდით. გიორგი საჯაიამ მითხრა, რომ

ბერლინში საბჭოთა ჯარს გამოყვაო შალვა ნუცუბიძე. მისულა იმ ქართველების რესტორანში და ასე იძახდა თურმე: ასპროცენტიანი სტალინელი ვარო! მერე გაუწევია ზეპირი პროპაგანდა ქართველებისთვის: ვისაც დიდი დანაშაული არა გაქვთ, დაბრუნდით საქართველოში, ყველაფერი დამთავრდაო. შალვა ნუცუბიძე მეგობრობდა ტიტე მარგველაშვილთან. ერთ დღეს მივიდა გიორგი საჯაია ტიტესთან და ხედავს, რომ ბინა დალუქულია. მეზობლებმა უთხრეს, რომ წინა ღამეს მასთან რუსები იყვნენო და წაიყვანესო. მერე გავიგე, რომ ტიტე დაუხვრეტიათ და მისი მცირეწლოვანი ვაჟი აქ ჩამოუყვანიათ, საქართველოში. ახლა მითხრეს, მეცნიერ-მუშაკი არისო*. როდესაც მე აქ ჩამომიყვანეს, მოვყევი ეს ამბავი. მერე შალვამ მომიგზავნა გიგლა მებუკე, ახლახან გარდაიცვალა, და მისი პირით შემომითვალა, რომ ნაწყენია, რომ მე მას რაღაცას ვაბრალებ და მთხოვა, რომ კიროვის ბაღში მნახოსო, ჩვენ, პენსიონერები, იქ ვიკრიბებითო. მე უარი ვთქვი ბაღში მისვლაზე და შევუთვალე, რომ არაფერს მე მას არ ვაბრალებ, არამედ ვამბობ იმას, რაც მე გერმანიაში მითხრეს მეთქი. რაც შეეხება ტიტეს, მე მასზე ლაპარაკის უფლება მაქვს, თუნდაც იმიტომ, რომ მისი და მე გავამგზავრე არგენტინაში მეთქი.

ვ. რ.: ბ-ნო შალვა, გავაგრძელოთ იქიდან, რომ თქვენი მეუღლე პაკისტანიდან მოემგზავრება...

შ. მ.: დიახ გამოემგზავრა იქიდან, მაგრამ მე არავითარი ცნობა არ მიმიღია მისი ჩამოსვლის თაობაზე. დავრეკე ფრანკფურტში — ჩამოფრინდაო თვითმფრინავი პაკისტანიდან. დავრეკე ბერლინში — მიპასუხეს, რომ დიახ, კაპიტანი ცოტაძე ბავშვით ჩამოფრინდა ბერლინში და ქალაქში გავიდაო. იმწამსვე დავურეკე ფაჩულიას. ყურმილი აიღო მისმა ცოლმა, გერმანელმა და ატირებულმა მითხრა: „ზაინე შიონე აუგენ ჰატ ერ ფიურ იმერ გეშლოსსენ“, ე. ი. ალექსანდრეს ლამაზი თვალები სამუდამოდ დაიხუჭაო. როგორ მეთქი? როგორაც და გუშინ ქალაქში გავიდა, ბრმა ნაწლავის შეტევა მოსვლია და საოპერაციო მაგიდაზე გარდაცვლილაო. მოკლეს ფაჩულია! მერე გავიგე, რომ ჩემს ცოლს სხვა კაცი დახვედრია ქართული გაზეთით და აღმოსავლეთ გერმანიაში, ლაიპციგში წაუყვანიათ, ე. ი. ცოლ-შვილი მომტაცეს და ფაჩულია მოკლეს.

ვ. რ.: მაშასადამე, ფაჩულიას უთქვამს თქვენი ცოლ-შვილის შესახებ ან როგორღაც გაუგიათ მათ...

---

* საუბარია ბ-ნ გივი მარგველაშვილზე, ჩვენს ცნობილ ფილოსოფოსზე. მისგან მსმენია, რომ დას. ბერლინიდან მამაჩემი ქართველმა სამხედროებმა მოტყუებით გადაიყვანეს აღმოსავლეთ ბერლინშიო. როდესაც მე ვუთხარი: მამა, სად მივდივართო, მან მიპასუხა, რომ ჩემს საყვარელ ქართველებს მე ყველგან ვენდობიო. მერე მამა დამაცილეს და მე, ქართულის არმცოდნე, ჭუთაისში მამიდაჩემთან მომიყვანესო (ვ. რ.).

შ. მ.: როგორც ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ ფაჩულია შეეწირა ამ საქმეს. ამის მერე დავიწყე ცოლ-შვილის ძებნა, მაგრამ უშედეგოდ.

1954 წლის 31 ივლისია. მე გაიოზი მაცილებს მანქანით მიუნხენის აეროდრომზე — ბერლინში მივფრინავ. ამ დროისათვის გაზეთებში გავრცელდა ცნობა, რომ საბჭოელები დასავლეთ ბერლინიდან იტაცებენ მათთვის სასურველ პირებს, მაგალითად, ბევრს წერდნენ იმ დროს იუგოსლავიელ გენერალ ტრუშნოვიჩზე, რომელიც რუსებმა გაიტაცეს და წინააღმდეგობის გაწევის დროს მოკლეს. ახლა დავჯექით კაფეში და გაიოზი პირდაპირ შემეხვეწა: მამა, ნუ მიდიხარო, რა შეუძლია ადენაუერსო, და თუ მაინცდამაინც წახვალ, ქალაქში ღამე არ გაათიო, აეროპორტში დარჩიო. მე ვუთხარი: ბუჭუ, პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ ხვალ 5 საათზე აქ ჩამოვფრინდები და შენ მანქანით დამხვდი მეთქი. ეს ვუთხარი და ჭიქა მივაჭახუნე, ე. ი. არ დავუჯერე და გამოვფრინდი. თვითმფრინავში ორი ქართველი აღმოჩნდა და მათთან ერთად გვარიანად დავლიე კონიაკი. ჩამოვფრინდით ბერლინში და დამხვდნენ ეს გერმანელები. მიმიყვანეს ჩემთვის ნაცნობ ძველ სასტუმროში, რომელიც აღმოსავლეთ სექტორთან სულ ახი მეტრით თუ იყო დაცილებული. მაგრამ მე უკვე ნასვამი ვარ. შევედი სასტუმროში — იქ მისი მეპატრონე, უნგრელი, ჩემი ნაცნობი, რაღაც დღეობას იხდის. ამ გერმანელებმა დამტოვეს. მიმიწვიეს სასტუმროს პატრონებმა ამ ღხინში. მეც, ეს ბერიკაცი, უკვე 60 წლისა ვარ, სულ გამოვსულელდი და ვსვამ და ვცეკვავ და ვცეკვავ. საღამოს 10 საათიდან დილის 4 საათამდე ასე ვიყავი. მერე ავედი ჩემს ოთახში. დილის 8 საათი იქნებოდა, რეკს ტელეფონი: ქვემოთ გთხოვენო. ჩავედი, გავედი გარეთ — ვხედავ ეს გერმანელებია, სამნი. გავიაროთო. ხელში პლაშჩები უჭირავთ. რად გინდათ მეთქი პლაშჩები 1 აგვისტოს? არაო, ლაიფციგში წვიმა იყოო. მივდივართ ისე, აღმოსავლეთის სექტორის მიმართულებით. ორმა ხელი იქეთ-აქეთ გამომდო და მესამე უკან მოგვყვება. უცებ ერთი ამბობს. „ვირ ზინდ კაინე სოლდატენ“, ე. ი. ჩვენ ჯარისკაცები არა ვართო. ბიჭოს, რას ნიშნავს მეთქი ეს? ეს იგივეა, რომ მამაკაცმა გითხრას— არა ვარ მამაკაციო! შემდეგ გააგრძელეს: „ჰერ გენერალ, ვირ ჰაბენ აინენ გროსსენ რესპექტ“ — ბატონო გენერალო, ჩვენ დიდი მოწიწება გვაქვს თქვენს მიმართ, ჩვენთვის სამშობლო დამთავრდაო, ახლა თუ არ დაგვემორჩილებით, ნაბრძანები გვაქვს, რომ მოგკლათო. რაღას ვიზამდი?! ეს ისე უცებ მოხდა, რომ გამოფხიზლება კარგად ვერც კი მოვასწარი! გადამიყვანეს უცებ იქეთა ზონაზე და ვხედავ, ორი ავტომანქანა დგას ავტომატიანი წითელარმიელებით. ეს გერმანელები დადგნენ უკან, ამათ უკვე თავის საქმე შეასრულეს. შედით მანქანაშიო, მეუბნება რუსულად, და შინელი მომახურეს. მანქანაში, დღევანდელ დღესავით მახსოვს, ერთმა გულზე დამადო ხელი — გამიკვირდა, უცნაურად გრძელი ფრჩხილები ჰქონდა, თითქოს

სახსართან ეწყობოდა და მეუბნება: „ტაკოი ბოევოი სოლდატ, ა კაკ ვი ლეგკო ისდალის! ვი ნე სლიხალი, ჩტო ტრეტი რიმ ეტო მოსკვა ი უ ნეიო დლინნაია რუკა? ვაშე სჩასტიე, ჩტო ნეტ სეიჩას ვაშიხ ზვერეი — სტალინა ი ბერია, ა ტო. ბი ვას ნა მესტა რასტრელიალი! უნას სეიჩას ჟუკოვ“! აი, ასეთი საუბრით მიმიყვანეს შენობასთან, ბერლინის გარეუბანი — კარლსჰორსტი იყო, აიხსნა შლაგბაუმი და შევედით იქ. პირველსავე დაკითხვაზე პირდაპირ მითხრეს, რომ ჩვენ თქვენს შესახებ ყველაფერი ვიცითო — ეცოდინებოდათ, მაშ რა იქნებოდა, ის გერმანელები ხომ მათზე მუშაობდნენ. მაგრამ გულწრფელად გეტყვით, რომ თქვენი ოპერაცია იმიტომ დაგვჭირდაო, რომ ომი გათავებულია, ხოლო ჩვენ პაგონებზე „ზვიოზდოჩკას“ მომატება გვინდაო. აი, მოგიტაცებთ თქვენ და ახლა ჩვენ ძალაუნებურად დაგვაწინაურებენო. პატარა ხნის მერე მოიყვანეს ჩემთან ჩემი ცოლ-შვილი. ცოლს უთხრეს: ხომ გამუშავედ ექიმად, რით ხართ უკმაყოფილო? — სულ დასაწყისითო, ე. ი. რომ მომიტაცეთო. იქ გარკვეული ხანი გაგვაჩერეს და შემდეგ გადმოგვაფრინეს მოსკოვში. მიგვიყვანეს სასტუმრო „სოვეტსკაიაში“. იქ, ლიფტში, შემთხვევით ვიღაც ინდოელი დაგვემგზავრა და ჩემს ქალიშვილს რომ შენიშნა შუბლზე ინდური ნიშანივით, მოეფერა. აგვიყვანეს და მოგვცეს ორი ოთახი, რომლის დატოვების ნება არ გვქონდა. მომცეს პასპორტი არშაკ ბაბაიანცის გვარით. მომცეს ახალი კოსტიუმი, მითხრეს: „გარეთ არ გახვალთ. ხალხთან არავითარი კონტაქტები. ქვემოთ რესტორანში გექნებათ თქვენი ადგილი“. მართლაც, ასე ვიქცეოდით. ერთი კაცი რეგულარულად, 3—4 დღეზე, გვაძლევდა ფულს. ასე გაიარა დაახლოებით ერთმა თვემ. მერე გადაგვიყვანეს სასტუმრო „მოსკოვში“, იქ უფრო ცუდი პირობები იყო, მაგრამ მაინც არა უშავდა. უცებ გაქრა ეს ფულის მომტანი კაცი. გადაგვიყვანეს მე-10 სართულზე, ერთ ოთახში. გავიდა 3 დღე. მე ერთადერთი იმდროინდელი ასმანეთიანი გადავინახე და ამით მესამე დღეს უკანასკნელი ბულკი ვუყიდეთ ბავშვს. რა ვქნა — არ ვიცი! ცოლი მოთქვამს. ბავშვიც აყვება ხოლმე. არადა გული მეთუთქება, რომ ეს ქალი ასე გავამწარე — მას საქართველო არ ენახა, თვითონ სულ აპოლიტიკური იყო, არავითარი პოლიტიკა მას არ აინტერესებდა. გავედი დერეფანში და დამლაგებელ ქალს ვუთხარი: მე ვიცი რუსი ქალების კეთილი გულის შესახებ, შეიძლება თქვენ მორწმუნეც ხართ, დაგვეხმარეთ, ეს კოსტიუმი გამიყიდეთ, ბავშვი შიმშილობს! — დაგეხმარებოდით, მაგრამ ჩვენ აკრძალული გვაქვს თქვენთან კონტაქტიო. ასევე მიპასუხა კელნერმაც. შევტრიალდი ჩვენ ოთახში. ცოლმა მითხრა: შალვა, ჩვენს სიცოცხლეს აზრი აღარა აქვს. ჯერ ბავშვს გადავაგდებ ამ მეათე სართულიდან და მერე მე გადავყვები. შენ როგორც გინდა, ისე მოიქეციო. როგორი საქმეა ახლა ეს?! რაგინდ ლაჩარი არ უნდა იყო კაცი, ამას ვერ აიტან. მე ვუთხარი ცოლს: დილამდე კიდევ მოვიცადოთ და თუ არ შეიცვალა

არაფერი, პირველი მე გადავვარდები მეთქი სარკმლიდან. მართლაც, მეორე დილას შემოვარდა ის კაცი ჩვენთან: „შალვა ნიკოლაევიჩ, მაპატიეთ, მე უცებ მიელინებაში გამიშვეს და ეს თქვენი საქმე ჩემს ამხანაგს გადავაბარე, რომელიც ასევე მივლინებაში გაუშვეს. თქვენზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ უცხოეთში“. და მომცა ფული. რასაკვირველია, რომ ჩვენი ოთახი ისმინებოდა. როდესაც მიხვდნენ, რომ ჩვენ უკვე ზღვარს მივაღწიეთ, მხოლოდ მაშინ გადმოგვიგდეს ფული. ასე ვიყავით კიდევ 4 დღე. მერე გადაგვიყვანეს „სოკოლნიკებში“. მოგვათავსეს ერთსართულიან რაღაც ბარაკში, სადაც საწოლიც არ იდგა, უცუდეს პირობებში. საჭმელიც რაღაც საზიზღარი მოგვცეს და ირგვლივ ვიღაც საეჭვო ყოფაქცევის ხალხი ცხოვრობდა. ატეხა ცოლმა ისევ ტირილი: ხომ გითხარი, თავი მოვიკლათო, აქ თავსაც ვერ მოიკლავ — პირველი სართულიაო, ირგვლივ რაღაც ბანდები დაძრწისო. ასე ვიყავით კიდევ ორი დღე და ღამე. მერე მოვიდნენ ჩვენთან და გამომიცხადეს: ამ ღამეს თბილისში უნდა გადაფრინდეთ — თქვენი დედა გარდაიცვალაო. ეს სამწუხარო ამბავი სიმართლე მითხრეს, მაგრამ ეს ჩემს გამომგზავრებასთან არავითარ კავშირში არ ყოფილა. ღამით ჩამოვფრინდით თბილისში, მოგვათავსეს სასტუმრო „რუსთავში“, პლეხანოვზე, ბოლო სართულზე. მეორე დღეს გამომეცხადა ქართველი ჩეკისტი, გვარად მაისურაძე ვარო. მანაც გამაფრთხილა, რომ ხალხთან კონტაქტი არ დაიჭიროო და რესტორანში ადგილი მიმიჩინა. მისგანვე გავიგე, რომ აქ „კომუნისტში“ და „ზარია ვოსტოკაში“ ჩემი ხელმოწერით წერილები გამოექვეყნებიათ, რომ მე ჩემი ნებით გადმოვედი, რომ მენშევიკი ვიყავი და ახლა ვგმობ ჟორდანიას და ამგვარი სისულელეები. ამავე ჩეკისტმა შემდეგ ფუნიკულიორზე ამიყვანა. რაღაც პლაშჩი ჩამაცვა და ფუნიკულიორის ფონზე სურათი გადამიღო. როგორც ჩანს, ეს სჭირდებოდათ იმისათვის, რომ ეს სურათი დასავლეთში გაეშვათ: აი, როგორ „თავისუფლად“ არის მაღლაკელიძე თბილისშიო. პატარა ხნის მერე გადამიყვანეს ქალაქ რუსთავში. იქაურ საავადმყოფოში ჩემს მეუღლეს მუშაობა დააწყებინეს. ერთ საღამოს, მაგრად წვიმდა, მოვიდნენ ჩემთან ჩეკისტები და წამიყვანეს. მე გადავწყვიტე, რომ მორჩა ახლა კი მაპატიმრებენ მეთქი. ამიყვანეს თბილისის უშიშროების კომიტეტში. შემიყვანეს დიდ კაბინეტში — გრძელი მაგიდის ბოლოში იჯდა გენერალი ინაური. დამტოვეს მასთან მარტო.

— „ეტო ვი მაგლაკელიძზე? — ტაკ ტოჩნო“! — ვუპასუხე. „ია დუმალ, ჩტო ვი სტარიკ“ — თქვა. ამაზე ავინთე, მგონია მიჭერენ და ქართულად ვუთხარი: აქ ცხენი არა მყავს, თორემ დაგანახებდით, რომ აბჟანდის დამჭერი არ დამჭირდებოდა!

— „იშ ტი“, — თქვა — „ეშჩო პეტუშიტეს“, — ე. ი. კიდევ მამლაყინწობსო. მერე მითხრა: ბაქსანთან თქვენ თავი გამოგიჩენიათ ჩვენს წინააღმდეგო .ვუპასუხე: თქვენ ალბათ ყველაფერი იცით და არ არის ეს

სალაპარაკო-თქო. მე მეგონა, დამაპატიმრებდნენ, მაგრამ ამ უმნიშვნელო საუბრით დამთავრდა ყველაფერი და გამომიშვეს.

დაიწყო ჩემთვის სხვა ცხოვრება.

•

აქ ვწყვეტთ გენ. შ. მაღლაკელიძის უშუალო ჩაწერას, რადგან „საბჭოთა სინამდვილე“ თუ რა არის, ეს ყველამ კარგად ვუწყით. გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა შ. მაღლაკელიძის „საბჭოური ბიოგრაფიიდან“. ა. ინაურის მერე შ. მაღლაკელიძეს მიიღებს ცკ-ს მეორე მდივანი ქადაგიძე, რომელიც მას რეალურ დახმარებას აღმოუჩენს წმინდა ქართული გულითადობით. მას ცოლ-შვილით თბილისში, ბათუმის ქუჩაზე დაასახლებენ. მისცემენ პასპორტს მის გვარზე. ნებას დართავენ, რომ ადვოკატად იმუშაოს. 1956 წელს, თბილისში, მარტის გამოსვლების დროს, მას და მის ბინას განუწყვეტლივ ადევნებდნენ თვალს სუკ-ის თანამშრომლები. მოთმინებადაკარგულმა გენერალმა მიმართა მის ეზოში მოთვალთვალე სუკელებს: ნუთუ გგონიათ, რომ მეც დემონსტრანტებს შევუერთდები „ლენინ-სტალინის“ ყვირილითო. ამაზე მაგათ უპასუხეს: ჩვენ ეს არ გვგონიაო, მაგრამ ამ დღეებში თუ თქვენ ვინ მოგაკითხავთ — ეს კი გვაინტერესებსო.

შემდეგ, აღნიშვნის ღირსია შ. მაღლაკელიძის შეხვედრები კოლაუ ნადირაძესთან და სხვა მისი თაობის მწერლებთან. განსაკუთრებით — გალაკტიონთან, რომელმაც თვითმკვლელობამდე ორი კვირით ადრე შ. მაღლაკელიძეს მოუთხრო თავისი ტრაგიკული სიყვარულის ბედზე და იმ სიმხდალეზე, რაც მან გამოიჩინა დაპატიმრებული და გადასახლებული სატრფოს მიმართ. ეს ამბავი თურმე ძალზე სტანჯავდა გალაკტიონს — იმ ქვეყნად ამის გამო ალბათ ჯოჯოხეთში მოეხვდებიო, უთქვამს მას.

ადვოკატად მუშაობის დროს ბატონმა შალვა მაღლაკელიძემ დიდად გაითქვა სახელი, მან არაერთი პროცესი დაასრულა ბრწყინვალედ. მაგრამ, ერთხელ, როდესაც იგი ქუთაისში გამფლანგველების ერთ-ერთ ჯგუფს იცავდა, საქმეებში მან შემთხვევით აღმოაჩინა ლ. ი. ბრეჟნევის (რომელსაც მაშინ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტი ეკავა) რეზოლუცია მისივე ხელმოწერით, რომელიც სასამართლოს ფაქტიურად უბრძანებდა (!) ერთ-ერთი მთავარი გამფლანგველისათვის დახვრეტა მიესაჯათ! ხოლო სასამართლო პროცესი ჯერ არ იყო დაწყებული და იგი ექვს თვეს მაინც უნდა გაგრძელებულიყო. ეს გარემოება საჯაროდ ამხილა ადვოკატმა შ. მაღლაკელიძემ, რითაც ხსენებული გამფლანგველი სიკვდილს გადაარჩინა. ამ ფაქტმა და აგრეთვე შ. მაღლა-

კელიძის თავისუფალმა მსჯელობამ საბჭოთა ფულზე, რომ მას არავითარი საერთაშორისო ღირებულება არ გააჩნია, გადაწყვიტა შ. მაღლაკელიძის ადვოკატობიდან გადაყენება. ამას წინ უძღოდა იუსტიციის მინისტრის რეფერენტის როსტომოვის ტელეგრამა მოსკოვში: „არ შეიძლება ვანდოთ საბჭოთა ადვოკატის ტრიბუნა ფაშისტ გენ. მაღლაკელიძეს!“ გადაყენების მერე შ. მაღლაკელიძე კიდევ ერთხელ დაკითხეს სამხედრო უწყებაში — თბილისში, ჩელუსკინელების ქ. № 24-ში. მოხუცებულ გენერალს მცირეოდენი პენსიაც აღარ დაუნიშნეს — სანამ ეს სახელმწიფო არსებობს, შენ პენსიას ვერ მიიღებო! ბოლოს, ღრმად მოხუცებული, იგი მუშაობდა მწერალთა კავშირის გამომცემლობაში იურისკონსულტად. მაგრამ, პარალელურად, იგი ნიადაგ ითხოვდა გერმანიაში გაშვებას ვაჟიშვილის სანახავად, რაზედაც საქართველოს ცკ-დან სტერეოტიპულ პასუხს ღებულობდა: შვილი აქ ჩამოიყვანეო! ვაჟიშვილის ნახვის ოცნება საფლავში თან ჩაიყოლა გენერალმა.

ჩანაწერის დასასრულს ბ-ნი შ. მაღლაკელიძე იხსენებს თავის მეორე მეუღლეს, რომელიც მას 1973 წელს გარდაეცვალა, აქებს თავის სიძესა და ქალიშვილს და დიდ ნდობას უცხადებს ბ-ნ ვიქტორ რცხილაძეს, იგი თავის მონათხრობს ანდერძივით უტოვებს მას და თხოვს, რომ მისი შესაძლო მეხსიერების ღალატის გამო, როგორც ხანდაზმულისა, მან მისი მონათხრობი შეადაროს ყველა არსებულ წყაროებთან.

# ნაწყვეტი ახლო წარსულიდან — მესხეთის გარშემო

დიდი ომის დროს სტუდენტობა უმაღლეს სკოლებიდან სამხედრო სკოლებში გაიგზავნა. ადრევე აღრიცხვაზე აყვანილი, მეც ვალდებული გავხდი მოსკოვის სამხედრო უფროსის განკარგულებაში გამოვცხადებულიყავ. სამხედრო უფროსის კანცელარიის უფროს მოხელეს მაგიდა ეზოში გამოეტანა და სხვადასხვა უმაღლეს სკოლებიდან მოსული სტუდენტებიც რიგში ჩამდგარიყვნენ. მეც მათ რიგს დავემატე. მოხელე სათანადო სკოლის სიას აიღებდა. ჩვენც ვინაობას დავუდასტურებდით და იგი გვანაწილებდა სხვადასხვა სამხედრო უმაღლეს სასწავლებელში.

მე გამაგზავნეს თბილისში, მეორე დღესვე თავის დროზე სადგურზე ვიყავი: აქ თავი მოეყარა ჩემს მეგობრებს გასაცილებლად. ერთი ჟანდარმი სადგურის კარებთან იდგა და ხმამაღლა სტუდენტებს მოუხმო. მას ხელში 33 სტუდენტის სია ეჭირა: მოგვათავსეს მატარებელში, თან 6 ჟანდარმი გამოგვყვა. გავეშურეთ თბილისისაკენ.

გზაში, რასაკვირველია, ახალგაზრდობა მხიარულად ვიყავით და პოლიტკასაც ვეჭეოდით, უკრაინელი სტუდენტი სკიპას შემდეგი წინადადებაც განვიხილეთ და მივიღეთ: — ყველა, ოცდაცამეტივე მოსკოველი სტუდენტი ერთსა და იმავე გუნდში უნდა ვყოფილიყავით.

სრულიად ვერ გავითვალისწინეთ, რომ ჩვენ სხვადასხვა სიმაღლის ვიყავით და ასეთი დადგენილება განუხორციელებელი დარჩებოდა.

თბილისის სამხედრო სასწავლებელში ექვს გუნდში დაგვარიგეს. მე პირველ გუნდში მოვხვდი. აქ სტუდენტთა მეგობრობა ისევ გრძელდებოდა; რეეოლუციური სული, უნივერსიტეტიდან გამოყოლილი, არ გვასვენებდა და საქმეზეც გვეჭირა თვალი. რაღა გავაგრძელო: მოსკოველ 33 სტუდენტიდან თორმეტმა შევძელით საიდუმლო „შეთქმულ იუნკერთა ჯგუფი“ დაგვეარსებინა. ამ შეთქმულთა ჯგუფში ჩემი წინადადებით შევიყვანეთ ერთი არამოსკოველი სტუდენტიც: ბაგრატ ილურიძე, მეხუთე გუნდის იუნკერი, ადრე ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი.

„შეთქმულ იუნკერთა ჯგუფის“ სათავეში მე ვიდექი და ჩემი თანაშემწე ბაგრატი იყო. კაცი მესაიდუმლე, კარგი მოვარჯიშე, მომღერალი და საერთოდ მეტად საყვარელი ადამიანი. იგი ესერი იყო. დღეს მისი ფერფლი, ამბობენ, ვერის სასაფლაოზეა მოთავსებული. 14 წლის უკან მან თავისი ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულა, პრაღაში: მიზეზი ბოლშევიკები იყვნენ.

უახლოესი მიზანი შეთქმულთა იყო: — სამხედრო სკოლის დამთავ-

რების შემდეგ სხვადასხვა ნაწილებში განწესებული ოფიცრები ვეცდებოდით ჩვენს ხელქვეით მყოფი შეიარაღებული ძალები ხალხის მხარეზე გადაგვეყვანა, თუ რევოლუცია იფეთქებდა. აგრეთვე თავიდანვე თვით ჩვენს მორჩილებაში მყოფ სამხედრო ნაწილებში ჭვიდკაციანი სამხედრო ჯგუფები დაგვეარსებინა: სასწავლებელი ყველას საუკეთესოდ დაგვესრულებინა, რათა სასურველი ნაწილების არჩევა შეგვძლებოდა.

დავასრულეთ კურსი: მეგობარ შეთქმულებთან შეთანხმებით მე ავირჩიე ახალციხე. დანარჩენი თორმეტიც ამიერკავკასიაში დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებში განწესდნენ. შევთანხმდით ერთხელ კიდევ, რომ კავშირი არ გაგვეწყვიტა ერთმანეთთან და მოქმედებას დაუყოვნებლივ შევდგომოდით.

*

ბორჯომიდან სომეხი მეეტლე სიმღერითა და ხმაურობით ახალციხისაკენ მიმაქანებდა. ეს ქალაქი ადრე არ მენახა. ის-ის იყო ახალციხის ძველი და ახალი ნაწილის შემაერთებელ ხიდს მდ. ფოცხოვზე გადავდიოდით, რომ დავინახე აღთქმის ძონძებად ქცეულ თურქულ ტანისამოსში მოხუცი შეშით დატვირთულ ვირს ყურებში ჩასჭიდებოდა და წინ ეწეოდა. ვირი კი ადგილიდან არ იძვროდა, გარშემო სომხის ბიჭები შემოსეოდნენ, მოხუცსა და მის ვირს ჯოხებით სცემდნენ: იქვე ახლო მდგომი სომხის ვაჭრები ამ სანახაობით ფრიად კმაყოფილნი ხითხითებდნენ და ბიჭებს უფრო აქეზებდნენ. ეტლიდან ძირს გადმოვედი. ბავშვები ჩემს დანახვაზე გაიფანტნენ. თვალცრემლიანი მოხუცი რაღაცას ლუღლუღებდა. ჩემს რუსულად შეკითხვაზე პასუხი ვერ გამცა. თურქული მე არ მესმოდა, სომხების საუბარში ჩარევა არ მოვისურვე. პირველი — ეს მოხუცსა და ვირს მივუალერსე, იქვე ხიდის ყურში „გოროდოვოი“ იდგა. ვანიშნე და ის წამომიდგა. შევეკითხე რუსულ ენაზე, ვისი წესრიგის დამცველია აქ, თუ მოხუცს ასე აწვალებენ და ის კი დგას, თითქოს არც ეხებოდეს. განმარტება ვერ მომცა რიგიანად: ეტყობოდა, რუსული ცუდად იცოდა. ვკითხე ეროვნება: მიპასუხა: რაბათელი ვარ, აი ამ ხიდის გაღმა ახალციხის ძველი ნაწილიდანო. მაშინ ქართულად გამოველაპარაკე, და „გოროდოვოი“ რაბათელი ურია გამოდგა. მან მიამბო, თუ როგორ ძლიერია ახალციხის ქალაქის ახალ ნაწილში სომხობის გავლენა და იგი, პოლიციელი, ამიტომ ვერა ჰბედავს ასეთ საქმეში ჩარევასო. გამოირკვა: მაჰმადიან გლეხს შეშა ყაფანზე მიეტანა გასაყიდად; იქ მას სომხის ბავშვები აკიდებოდნენ და ქალაქიდან აძევებდნენ. მაშინვე „გოროდოვოის“ დავავალე უკანვე ყაფანზე წაეყვანა ვირი და მისი პატრონი დაებრუნებინა. იქ თვალყური ედევნებინა და მერმე ქალაქიდან გაე-

ცილებინა. მოხუცი მწვდა და ხელებზე კოცნა დამიწყო. „ერმენ დუშმან, გურჯი ყარდაშ“. აღელვებული ბუტბუტებდა საბრალო.

ეს პირველი შთაბეჭდილება და მე მაჰმადიანებისადმი მეგობრულად განწყობილი შევიქენი.

სანამ პოლკის უფროსს წარვუდგებოდი, საჭიროდ ვსცანი იმ დღესვე მაზრის უფროსი მენახა და მაჰმადიანების შევიწროებაზე მელაპარაკნა. ვეწვიე. მოახსენეს და შემომეგება ახალციხის მაზრის უფროსი, როტმისტრი გუდიევი. მე მას საყვედურით მივმართე: — აბა როგორ შეიძლება მოხუც სოფლის კაცს ქალაქის მცხოვრებნი ავიწროებდნენ და განსაკუთრებით დაუშვებელია მაჰმადიანთა დევნა; თურქეთთან ომში ჩაბმულ სამხედრო ძალებს ზურგი საიმედო ესაჭიროება და ასეთი საქციელი, რომლის მოწმე მე გახლდით, უთუოდ დასაგმობია-თქო.

თვით როტმისტრი გუდიევი მაჰმადიანი აღმოჩნდა, ინგუში ჩრდილო-კავკასიიდან. ადრე „ველური დივიზიის“ ოფიცერი. ამხანად კი მაზრის პატრონი ისეთი სახის, რომელიც სულ სხვა ამოცანებითაც იყო დატვირთული. იგი ოსმალეთის სასარგებლო მუშაობას აწარმოებდა თურმე და სამხედრო ნაწილიდან განსაზღვრული მიზნებით გადმოსულიყო პოლიციურ სამსახურში, რასაკვირველია, ეს მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გახდა ნათელი.

ორი საათის განმავლობაში მასთან საუბრის შემდეგ ჩვენ მეგობრებად დავცილდით ერთმანეთს; გამაცნო მოსახლეობის მდგომარეობა და საკუთარი ოჯახის ახლობლადაც დამსახა, წარმომიდგინა თავისი მეუღლე: „ეს ჩემი მეუღლეა: ერთიც კავკავში ცხოვრობს და ერთიც ბაქოში“-ო, განმარტა მან. როტმისტრი 45—46 წლის იყო; ომში დაჯილდოებული. მხიარული, ენერგიული, ნამდვილი საქმის კაცი და ამავე დროს სომხების სასტიკი მტერი. ეს სიძულვილი სომხობისადმი ყოველ მის წინადადებაში სჩანდა და არც სურდა დაემალა.

•

სამხედრო სკოლაში შეთქმულთა რიგებში მიღებულ გადაწყვეტილების განხორციელებას თავიდანვე შევუდექი. ჩემს გუნდში აღმოჩნდა ჯარისკაცი ბასოვი. ძველად მსახიობი-მომღერალი და თანაც რევოლუციონერი. მან ყველა ჯარისკაცებზე ადრე მიიპყრო ჩემი ყურადღება და მთავარ თანამშრომელადაც ის ავიყვანე. ჯერ მისი დახმარებით ჩვენს

გუნდში მოეწყო შვიდკაციანი შეთქმულთა ჯგუფი. უმთავრესად უნტერ-ოფიცრებისაგან: შემდეგ ჩვენი ბატალიონის სხვა გუნდებშიდაც შესდგა ასეთივე უჯრედები და ბოლოს მთელ პოლკში, აგრეთვე საარტილერიო და სხვა სპეციალური ხასიათის ნაწილებშიაც. სამი თვე გავიდა ჩემი ახალციხეში ჩასვლის შემდეგ და მთელს გარნიზონში სრულიად მოეწყო ის, რაც მიზნად მქონდა დასახული. ერევნიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან და სხვა ადგილებიდან ჩემი სკოლის მეგობრები, ეხლა ოფიცრები მატყობინებდნენ, რომ ისინიც, აგრეთვე მუშაობენ სასურველი მიმართულებით.

ამგვარად, სიტყვა და ფიცი, ცამეტი იუნკერის მიერ მიღებული, გაუტეხელი რჩებოდა: ოღონდ ამ ცამეტიდან სამი მალე ოსმალებთან ომში დაიღუპა და ორიც მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში იწვა: ვრჩებოდით რვა კაცი და სულ დღითი-დღე მოლოდინში ვიყავით: — აი, დაჰკრავს საათი და ჩვენც რევოლუციაში ჩავებმებითო...

მაჰმადიანთა წრეებში ნაცნობობა როტმისტრ გუდიევის საშუალებით გავიჩინე. პირველად გავეცანი ალი-ეფენდი ეფენდიევს — სამცხე-ჯავახეთისა და ფოცხოვის უმაღლეს სასულიერო პირს. ყაზის თანამდებობისათვის ალი-ეფენდი სრულიად შესაფერი სჩანდა. ეს წარმოსადეგი გარეგნობის ქართველი მაჰმადიანი, ჭკუიანი და თავაზიანი დიდ გავლენას ახდენდა ჩემზე და ერთ დროს იქამდეც მივიდა, რომ მაჰმადის რჯულის მიღება მირჩია.

რაც მეტი მაჰმადიანი ქართველი გვეყოლება, მით საქართველოს საქმე უფრო საიმედო იქნებაო!

ალი-ეფენდი აშკარად ოსმალეთის მომხრე იყო და ცდილობდა ჩემთვის დაემტკიცებინა, რომ ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთის საზღვრებში ცხოვრება მაშინ უფრო გაადვილდება, თუ ქრისტიანული საქართველოც ხონთქარის მფარველობაში იქნებაო.

მას რუსები ეზიზღებოდა და მეც ყოველდღე უფრო და უფრო მაძულებდა მათ.

ყაზი ალი-ეფენდიმ გამაცნო ვინმე ექიმი ლორთქიფანიძე. ქართველი მაჰმადიანი, რომლისთვისაც ახალციხეში ცხოვრების უფლება საგანგებოდ გამოეთხოვათ; ეს ექიმი არავის ექიმობდა; მხოლოდ გავლენიან მაჰმადიანებს ხვდებოდა ხოლმე და თვით ჩვენი გარნიზონის ოფიცრობაში დიდი ნაცნობობა ჰქონდა და პატივიც. რევოლუციის პირველ დღეებშივე ის ფიცხლავ ფოცხოვის მხარეში გადავიდა და იქ თურქეთის სამხედრო ინსტრუქტორებს წვრთნიდა და ხელმძღვანელობდა. მხოლოდ შემ-

დეგ გავიგეთ, რომ ის იყო თურქეთის გენერალური შტაბის ოფიცერი, განგებ ჩვენს მხარეზე გადმოსული დაზვერვისა და ჯაშუშობის მიზნით.

მთელი სამაზრო ადმინისტრაცია — პოლიციაც ხომ სულ მაჰმადიანების ხელში იყო. ბოქაულებად და უბრალო „სტრაჟნიკებადაც“ მხოლოდ ინგუშ-ოსები და აზერბაიჯანელები იყვნენ. სამაზრო ცხენოსანი რაზმი მარტო ინგუშებისაგან შესდგებოდა, ქვეითი რაზმი კი — ოსებისაგან. ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო და ოსმალეთისათვის ნაკლებ საიმედო საბოქაულო — აწყვერის — მინდობილი ჰქონდა ქართველების ღიდ მტერს, ინგუშ მუსაკიევს. იმ მუსაკიევს, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მონაწილეობა მიიღო ჩვენს წინააღმდეგ მოწყობილ სერვერებეგ ათაბაგის აჯანყებაში, ხოლო უკან დახეულმა აჯანყებულებმა იგი მოჰკლეს, როგორც ადგილობრივი მაჰმადიანების წამქეზებელი საქართველოს წინააღმდეგ.

სამაზრო აგრონომად მოწვეული იყო ზია-ბეკ ავალიშვილი, კაცი რუსული განათლებით, მაგრამ მთელი თავისი არსებით თურქი, სამაზრო ექიმად — აზერბაიჯანელი აზიზბეკ კადიმბეკოვი; ისიც ოსმალეთის მოტრფიალე.

სოფელ აწყურში მასწავლებლობდა ვინმე ომარ-ფაიკი. უწინ „ახალგაზრდა თურქთა“ აჯანყების აქტიური მონაწილე ოსმალეთში. მის განკარგულებაში იყვნენ 30 აზერბაიჯანელი და 10 სამცხე-ჯავახეთიდანაც ახალგაზრდა მაჰმადიანი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის, თუ სხვა სკოლის მსმენელები, რომელნიც უმთავრესად ზაფხულობით, ხალხს სოფლებში წერა-კითხვას ასწავლიდნენ. სინამდვილეში ესენი იყვნენ პროპაგანდისტები და ომარ-ფაიკის ხელით გაწვრთნილი აგენტები, ოსმალეთის სასარგებლოდ მომუშავენი.

თვით მაზრის უფროსი გუდიევი დადიოდა სოფლიდან სოფელში და ყრილობებზე შეკრებილ ხალხს უცხადებდა:

— თქვენ ამ მოკლე დროში იმდენს ეცდებით, რომ ოჯახი არ დარჩება მაჰმადიანს, რომელსაც ერთი დედალი ორასი კვერცხით არ გაუჩნდესო!

ომარ ფაიკის აზერბაიჯანელი „ინსტრუქტორები“ კი მსმენელთ გუდიევის სიტყვების მნიშვნელობას ურკვევდნენ. მთელს მაზრაში მდგომარეობა ისეთი შეიქმნა იმ დროს, რომ ორი, სამი რუსის ჯარისკაცის იარაღით — ყოფნა ქალაქ-გარეთ სახიფათო ხდებოდა.

„ერთი დედალი“ — 1 თოფი და „ორასი კვერცხი“— 200 ტყვია — ეს იყო იდეალი ყველა ვაჟკაცისათვის. მაჰმადიანისათვის.

გუდიევი თავის მაზრის გარეშეც ახერხებდა მუშაობას; ჯავახეთისა და არტაანის ოლქის, ფოცხოვის მხარის დამშეულ მაჰმადიანებისათვის ის ღებულობდა მეფის მოადგილის კანცელარიიდან თანხებს, იძენდა

სურსათ-სანოვაგეს და უხვად ურიგებდა მათ; თან პროპაგანდასაც ეწეოდა ოსმალეთისათვის.

ყველაზე უფრო დაგეშილი და ოსმალეთისათვის სასარგებლო პიროვნება იყო ომარ ფაიკის დისშვილი, აწყვერელი ახმედ ბეგ ფეფინოვი, უნივერსიტეტში ჩემი მეგობარი და ამ დროს კი ერობათა და ქალაქთა კავშირის რწმუნებული კავკასიის ფრონტზე. ის აღმოჩნდა „კავშირი“ ოსმალეთის დაზვერვისა და რუსეთის მიწაწყალზე ოსმალთა სასარგებლოდ მომუშავე აგენტებს შორის. ასეთი მისი მუშაობა მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გამოირკვა.

დამარცხებული ოსმალოს ჯარები 1916 წლის მიწურულში დიდი იმედის მომტანი როდი იყვნენ მათდამი კეთილგანწყობილ მაჰმადიანთათვის. ამის მიუხედავად, მათი სითამამე და კადნიერება ხშირად საზღვარს სცილდებოდა, აღვნიშნავ ერთ დამახასიათებელ შემთხვევასაც.

*

ქვაბლიანელი ბეგის სულეიმან ერისთავის (ისტორიული თორნიკე ერისთავის ხაზის გამგრძელებელი) ვაჟი, ბოქაული ქალაქ ახალციხისა, უნდა შეუღლებოდა აჭარელ გავლენიან ბეგის თემურ ხიმშიაშვილის ასულს. დანიშნული მას არასდროს არ ენახა და თვით დანიშვნაც სარძლოს დაბადების მეშვიდე დღეს მომხდარიყო, ოცი წლის უკან, რაც სიმამრისა და მამამთილის ბეჭდების გაცვლით შესრულებულა.

სამოცი რჩეული ცხენოსანი მაჰმადიანი სამცხე-ჯავახეთიდან თან გაჰყვა სასიძოს; მე ერთადერთი არამაჰმადიანი ვიყავი მთელს მხლებლებში და თვით ქორწილშიც. რამდენიმე დღის შვებულება უკვე გამოვთხოვე სათანადოდ.

სასიძო ბახრი-ბეკმა და მისმა მამამ სულეიმან ერისთავმა მთხოვეს „ძმადედ“ მე ვყოფილიყავი.

წინ ცხენს მიაჭენებდა, აღმოსავლური მუსიკოსების თანხლებით, ქალბატონი მაჩაბელისა, მამიდა სასიძოსი, ერისთავის ასული. მას სახე ჩაფარებული ჰქონდა. მაგრამ ხანდახან ქარი საფარს გვერდზე გადაუგდებდა და მაშინ სულ მცირე ხნით გამოჩნდებოდა მისი მომხიბვლელი და წარმტაცი სილამაზე. ის ერთადერთი მანდილოსანი ექვს ათეულ ცხენოსან მამაკაცთა რაზმის, ასე ვთქვათ, მეთაური იყო.

საჭიროა აქ აღვნიშნოთ, რომ მისი ქმარი იყო ბახში-ბეკ მაჩაბელი, ისიც ოსმალეთის სასარგებლოდ მომუშავე; შემდეგ იგი, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, თავისი ქვეყნის სამსახურს შეუდგა და გულწრფელადაც.

ახალციხის მაზრიდან გადავედით აჭარაში, აქ შეგვეგება ორმოცი

აჭარელი ცხენოსანი: სალამი თოფის სროლით მოგვცეს და უკან გამოგვყვნენ. მივუახლოვდით სოფელ ხულოს; ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილის სასახლის ეზოდან იგრიალა ზარბაზანმა. ამ გვარს ჰქონდა ზარბაზანი, ძველიდანვე შენახული, რომელიც აწინდელი ომისათვის გამოუსადეგარი იყო, მაგრამ ხმის მხრივ თავზარდამცემი. სროლით, ყიჟინითა და სიმღერებით შევუდექით აღმართს. სასახლესთან ყველა ცხენიდან გადმოვხტით, გარდა ქბ-ნი მაჩაბელისა. შეგვეგება თვით სასიმამრო თემურ-ბეკ ხიმშიაშვილი. იგი დაეხმარა ქალბატონ მაჩაბლისას ცხენიდან გადმოხტომაში; მკლავი გამოსდო და მოგვცა ყველას საერთო თურქული სალამი. სასახლის აივნიდან მრისხანედ გადმოიყურებოდა ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილი, ბიძა სარძლოსი, რომელიც როგორც უფროსი ძმა თემურ-ბეკისა, თვით იყო მასპინძელი და ძმისწულსაც თვითონ ათხოვებდა. მე სასიძოს მარცხენა გვერდზე ვიდექი; მარჯვნივ თვით მამა სულეიმან-ბეკ ერისთავი; ჩვენს უკან ყველა დანარჩენი მხლებელი, ახალციხელები და თვით აჭარლებიც.

მეორედ იგრიალა ზარბაზანმა: აივნიდან ჯემალ-ბეკი დაეშვა და მოგვესალმა. მალე იქვე მყოფ ქბ-ნ მაჩაბლისას ეახლა და ორივე ძმამ ჩვენი რაზმის ხელმძღვანელი მანდილოსანი სასახლიდან ახლო მდგომი, პატარა ღამაზ ოდისაკენ მიიწვია და მთელი ქორწილისა და ზეიმის დროს ერთხელაც ჩვენ აღარ გვინახავს იგი.

უფროსი მოურავი სტუმრებს ჯერ აივანზე შეგვეპატიჟა; აქ ყველას ხელი დაგვაბანინეს და მერე საერთო დარბაზში მიგვიწვიეს. ამ დროს ჯემალ-ბეკი და თემურ-ბეკი ხიმშიაშვილები, ჩვენი მასპინძლები, უკან დაბრუნდენ და გაიმართა ლხინი, რა ლხინი!

სასიძო ბახრი-ბეკ ერისთავი იმ ღამესვე წავიდა და ისიც ათი დღე ჩვენ არ გვინახავს.

მასპინძლობა იყო საგანგებო. მთელი დღეები ეზოს გადაღმა არ გადავსულვართ... მოახლოვდა მეექვსე დღეც. სულეიმან-ბეკ ერისთავმა, სასიძოს მამამ, გამიხმო და იმ ოდისაკენ წამიყვანა სადაც რამდენიმე დღის უკან ქბ-ნი მაჩაბლისა მიაცილეს.

როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც აქ ამ შენობაში მარტო მანდილოსნები ვნახე. ცოტა უხერხულად ვიგრძენი თავი. ყველას სახე დაფარული ჰქონდა საერთო სალამი მივუძღვენი მათ; ერთმანეთს კი ისინი ქართულად წასჩურჩულებდნენ: — ქართველია, ბოშო, ქართველია ეს ოფიცერიო!

სულეიმანმა ერთ ოთახში შემიყვანა და ქართულად მითხრა: — აბა, შენ იცი, სრულიად მხარი უნდა დაგვიჭიროო. მე არ ვიცოდი, როგორ უნდა დამეჭირა მხარი და შეკითხვაც ვერ გავუბედე.

იმავე ოთახში შემოვიდა ერთი ხანშიშესული აჭარელი. მას ორი ფანჭარი ეჭირა ხელში: მომესალმა და ერთი მე გადმომცა. ფანჭრითა და

ქაღალდით ხელში ჩვენ ორი, სულეიმან-ბეკ ერისთავისა და თემურ-ბეკ ხიმშიაშვილის თანდასწრებით, შევუდექით იმ უამრავი სამზითვო ნივთების აღწერას, რომლებიც სარძლოს საკუთრებად უნდა ქცეულიყო. შეფასებულიყო და თუ, მაჰმადიანთა ადათის მიხედვით, შეუღლებულნი ერთმანეთს დასცილდებოდნენ, გათხოვილ ქალს უკანვე უნდა მოეტანა თვით ნივთები ან მათი საფასური.

შევუდექით შეფასებას, სარძლოს ოჯახის წარმომადგენელი ნივთს პირველი აფასებდა: მე უსიტყვოდ მას ვეთანხმებოდი და სათანადო აღნიშვნასაც სიაში ვაკეთებდი. უკვე ნახევარზე მეტი შევაფასეთ: ასე მიდიოდა საქმე. სანამ მოთმინებიდან გამოსული, სასიძოს მამა სულეიმან-ბეკი არ მწვდა ხელში და აღელვებით არ მითხრა: ახლა უკვე რუსულად: — რაშია საქმე? მეც ხომ ქართველი ვარ, რაღა მაგ აჭარელს უქერ მზარს დაჟინებითო?! — მე მივხვდი ჩემს დანაშაულს, მაგრამ გვიანღა იყო. თუმცა დანარჩენი ნივთების დაფასებაში ერთხელაც არ ღამითმია. და რაც შესაძლო იყო, ყველაფერს დაბლა ვაფასებდი. სია გამზადდა. ოთხივემ ხელი მოვაწერეთ. შემდეგ ჩვენივე დასწრებით სასიძო დანიშნულის ოთახში შევიყვანეთ, კარები გამოვუხურეთ და იქ ჩავტოვეთ. თვით სარძლო კი არ დაგვინახავს. შემდეგ ისევ უკან, სასახლეში დავბრუნდით და საერთო ლხინს შევუერთდით.

მეშვიდე ღამე იყო სწორედ, რაც იქ ჩვენ მოვსულიყავით. სმით, ქართულ-თურქული სიმღერებითა და ქართულ-თურქული მუსიკით ვერთობოდით. უკვე ნაშუაღამევი იქნებოდა, ჩვენთვის მოულოდნელად გაიღო ჩვენი დარბაზის კარები და გამოჩნდა მაჰმადიანების სასულიერო პირი, თორმეტი თურქულად ჩაცმულ, თავიდან ფეხამდის შეიარაღებული ვაჟკაცის თანხლებით; თორმეტივეს თავი უაბალახით ჰქონდათ წაკრული.

სუფრის თამადა, ჯემალ-ბეკი, პირველი წამოდგა, მოსულთა სალამს ჩვენც ფეხზე ამდგარი ვუპასუხეთ: მივიწ-მოვიწიეთ და საერთო სუფრას ისინიც შემოუერთდნენ.

პირველი სიტყვა თვით მოსულების მხრიდან იყო.

სიტყვა სთქვა იშვიათი ვაჟკაცური გარეგნობის კაცმა, თვით ჯემალ-ბეკ ხიმშიაშვილის ძმამ, რომელიც ომის დაწყებიდანვე ოსმალეთში გადასულიყო და იქ თურქთა ჯარებში აჭარელ მოხალისეებს მეთაურობდა რუსეთის წინააღმდეგ. ამ თორმეტი სტუმრიდან ექვსი აჭარელი აღმოჩნდა, — ყველა მშვენიერი მოქართულე და ქართული სიმღერების მცოდნე. თვით წინამძღვარი სასულიერო პირი იყო, წმინდა თურქი: დანარჩენი ექვსი კი თურქი ოფიცრები, საგანგებოდ მოსალოცად აქ მოსული მტრის მოწინავე რაზმებიდან.

როცა მე სტუმრების მეთაურის, ხიმშიაშვილის სიტყვა მოვისმინე, თავი მეტად უხერხულად ვიგრძენი: მე, რუსის ჯარის ოფიცერი, თურქის

ოფიცრებთან ერთად რუსეთის მიწაწყალზე! შევწუხდი. ეს იგრძნო ჩემთან ახლო მყოფ ჯემალ-ბეკმა და საპასუხო სიტყვა ქართულად უთხრა თავის ძმას თხოვნით, რომ თურქულად იმ ექვსი ოფიცრისათვის და სასულიერო პირისათვის მასვე გადაეცა.

თვით სიტყვა თურქეთიდან დაბრუნებული ხიმშიაშვილისა იყო ფრიად მშვენიერტყველური, კარგი ქართულით ნათქვამი. მახსოვს მისი სიტყვის ერთი ადგილი კარგად!

— ჩვენ გამოვცხადდით ქორწინების დასასრულს აქ, მტრის სამფლობელოში: ბრმა და ბინძურ რუსის სადარაჯოები გადმოვლახეთ და გაბედულად ხულოს სასახლეს — ჩემი ძმა და პატრონი ჯემალის ბინას თავი შემოვაფარეთ. ჩემს ძმას ამშვენებს, მართალია, რუსის პოლკოვნიკის ეპოლეტები, მაგრამ ჩვენ, სტუმრები, აქ, ხიმშიაშვილის ოჯახში, მოყვრულად დავრჩებით მიღებული. იმედს გამოვთვამთ ჩემი საყვარელი ძმა რუსეთის თვალის ასახვევად ატარებს ამ თავის რუსულ მუნდირსო. — და შემდეგ დაუმატა: — მე ადრე გავიგე, რომ აქ სუფრაზე რუსის ოფიცერია. მაგრამ არა რუსი, არამედ ქართველი, ჩვენი ძმა. მე მივმართავ ამიტომ მოურიდებლად ჩემს საყვარელ ღვიძლ ძმას, როგორც საქართველოს შვილს, ხელი შეუწყოს ოსმალეთს რუსთა განდევნისათვის და მწამს, დიდებული ხონთქარი გახდება მოკავშირე აღორძინებული და გაერთიანებული საქართველოს სამეფოსიო!

ჯემალ-ბეკი სდუმდა. თავი ჩაეღუნა: სიტყვაზე პასუხის გაცემას აგვიანებდა. სტუმრები კი ფეხზე დამდგარნი პასუხს ელოდენ, ბოლოს თამადა ჯემალ-ბეკიც ადგა და განაცხადა: მე მესმის ნათესაური გრძნობა, რაინდობა, ვაჟკაცობა, მაგრამ თქვენი აქ ასე დაუპატიჟებლად გამოცხადება, როგორც თქვენთვის, უფრო მეტად ჩვენთვის სახიფათო და არა სასურველია, მაგრამ მაინც გიქებთ გამბედაობას. გმადლობთ მოლოცვისათვის და იმედი მაქვს ახლავე დასტოვებთ აქაურობას და მამაცურად თქვენს სადარაჯოზე დაბრუნდებითო!

ჯემალ-ბეკის ძმამ ეს სიტყვები თურქულად გადასცა თავის თანამგზავრ თურქებს. ერთმა თურქის ოფიცერმა სხვა თურქების სახელით მადლობის განცხადებაც მოასწრო. ჯემალ-ბეკს გულზე ეამბორა. შემდეგ მე მომწვდა. ხელი მაგრად ჩამომართვა და გამოგვემშვიდობა, ყანწით ხელში და დარბაზიდან უკან-უკან დახევით. ჯემალის ძმა სხვა ექვს აჭარელ მხლებლებთან ერთად მშვენიერ „მადლობელი ვართ“-ს მღეროდნენ. სუფრაზე ხომ მათ მიერ იყო შესრულებული ისეთი ძველი ქართული, სალხინო სიმღერები, რომელიც წინათ და არც შემდეგში აღარ მსმენია.

სამცხე-ჯავახეთის აღელვებული ბეგები — ერისთვები, ფალავანდიშვილები, მაჩაბლები, აბაშიძეები, ავალიშვილები, ამილახვრები და სხვა

დამსწრე ქართველი მაჰმადიანები სტუმრების სიმღერას აჰყვნენ და დაუპატიჟებელნი, მაგრამ მეტად სასიამოვნო სტუმრები გაჰქრნენ.

ამ შემთხვევამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ერთი ფიქრი მომივიდა თავში: ჯემალისათვის გამეწდო და მე თვით გავყოლოდი მათ; თითქო მან ეს იგრძნო და დინჯად მითხრა: —

„გაუშვი, თავზე ხელაღებულია ჩემი ძმა, მაგრამ ეს თურქის ოფიცრები რაღას ფიქრობდნენ?! ვაცალოთ, ბატონო, რუსისა და თურქის ჯარს, იქნებ ორივე დაიღუპოს და მაშინ გვმართებს ჭკუა და საქმიანობა ქართველი ხალხის ბედი სასურველად გამოვჭედოთ“-ო.

*

ახლა ორი ცხენოსანი მანდილოსანის მეთაურობით ხმაურობითა და ყიჟინით გამოვდიოდით აჭარიდან: ქორწილი სასიძოს სახლში უნდა გაგრძელებულიყო.

გადმოვედით ახალციხის მაზრის პირველ სოფელში. აქ შეგვეგება ასამდე ცხენოსანი ქვაბლიანელი მაჰმადიანი, თოფის სროლითა და სიმღერებით.

ერისთავის სამფლობელო სოფელ ადიგენში სამი დღე-ღამე ვიდღესასწაულეთ ქალის მოყვანა. უკანასკნელ დღეს მე, როგორც ახლო ნათესავი, ამიერიდან პატარძალს უნდა გამოვმშვიდობებოდი; მან თავისი ქმრის მამიდა ქბ-ნ მაჩაბელის თანდასწრებით მიმიღო თავის ოთახში; ორივეს სახე დაფარული ჰქონდა. როცა თვით ბახში-ბეკ მაჩაბელმა კარებს მიაკაკუნა, ნელა შეაღო და შიგ შემიშვა. ქალბატონმა მაჩაბლისამ პირველმა აიხადა რიდე და მეჩვენა ღია სახით; შემდეგ სწვდა რძალს, აუწია საფარი და ტკბილის ღიმილით ორივეს ყავით გაგვიმასპინძლდა.

გამომშვიდობებისას, ადათის მიხედვით, საჩუქარი უნდა გამეღო. მე ადრე ვიყავი გაფრთხილებული; ასმანეთიანი ქაღალდის ფული მზად მქონდა. მაგრამ დავირცხვინე და, არ იქნა და არა, ვერ გავბედე ფულის მაგიდაზე დადება, მთლად დაღონებული გარეთ გამოვედი; იქ ხუთიექვსი ბეგი მიცდიდა; მე ასი მანეთი ამოვიღე და ბახში-ბეკს ვთხოვე: თვით შეეტანა და მაგიდაზე დაედო. ატყდა სიცილ-ხარხარი: ბახში-ბეკ მაჩაბელმა სამაგიეროდ გამომიტანა საჩუქარი. თვით რძალის მიერ დაგვირიშტებული და მოქარგული ორი პერანგი, ორი პირსახოცი, მისივე მოქსოვილი აბრეშუმის წინდა და ექვსი ცხვირსახოცი. თურმე აჰ საჩუქარს თვით რძლისაგან მივიღებდი, რომ გამებედნა და ფული დროზე თავის ადგილას დამედო.

სრულიად კმაყოფილი, ბედნიერი და მხიარული, ათი დღის შეუწყვეტელი დროსტარების შემდეგ, ვბრუნდებოდი ახალციხეში, სადაც

მიცდიდა ჩვეულებრივი ყოველდღიური ვარჯიშობა და მეცადინეობა რუსის ჯარისკაცებთან — საქმე ნაკლებ საინტერესო და არადამაკმაყოფილებელი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციას ახალციხეში მდგომ 116-ე პოლკში შევხვდი. ამ დროისათვის გარნიზონის ყველა ნაწილში არსებობდნენ შეთქმულთა ჯგუფები იმ მიზნისათვის, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნე.

ერთ საღამოს, ჩვენი პოლკის უფროსის — პოლკოვნიკ კლოდნიცკის ბრძანებით, ოფიცრების მთელი შემადგენლობა საკრებულოში მიგვიწვიეს. უკვე ამ დროისათვის ხმები იყო დარხეული, რომ იმპერატორი აღარა გვყავს, ის გადადგა და დროებითი მთავრობა შედგაო. გარნიზონის უფროსს ოფიციალური ცნობა მიეღო და ამით იყო გამოწვეული ჩვენი შეკრებაც. ოფიცერთა დარბაზი ძლივს იტევდა მრავალრიცხოვან მოწვეულთ. პოლ. კლოდნიცკიმ დაიწყო: — მოსულია ცნობა, თითქო იმპერატორი გადამდგარიყოს და რუსეთის პატრონობა დროებით მთავრობას აეღოს ხელში. ეს დაუჯერებელი, დაუშვებელი ამბავია. ჩვენ ფიცი გვაქვს მიცემული ხელმწიფისა და ქვეყნის წინაშე, გვესმის ჩვენი მოვალეობაც, ვუბრძანებ უფროს ოფიცრებს: დაუყოვნებლივ გაეშურონ ყაზარმებში, თან გაიყოლიონ უმცროსი ოფიცრები და უცადონ ჩემს ბრძანებასო.

აი, აქ იჩინა თავი ჩემმა მოუთმენლობამ, განსაკუთრებით, როდესაც კლოდნიცკიმ ბრძანება მოგვცა ას-ასი პატრონა ნაგანისა ახლავე მიგვეღო. დარბაზიდან გასვლის მოსურნე პოლკ. კლოდნიცკის წინ გადავეღობე და მოვახსენე: — არასდროს არ დავუშვებთ ხალხის სურვილის წინააღმდეგ ბრძოლას და ვისთვის იქნება დანიშნული ნაგანის პატრონებითქო?

მან ფიცხლავ უბრძანა ბატალიონის უფროსს, პოლკოვნიკ შუხოვს დავეპატიმრებინე, მე ხმალი ვიძვრე, თვით კლოდნიცკი მშიშარა და მხედრულ სულს მოკლებული, საჩქაროდ დარბაზიდან გავიდა. მე კი შუაგულ დარბაზში ვიდექი, პოლკოვნიკი შუხოვი მეტად აღელვებული მომიახლოვდა და მთხოვა ხმალი ჩამეგო. მეც, ვიგრძენი რა უხერხულობა და უთუოდ უადგილობაც ასეთი ქცევისა, მზად ვიყავ თხოვნა შემესრულებინა, რომ წინ წამოიჭრა პოდპორუჩიკი მოროზი; მასაც ამოღებული ხმალი ეჭირა ხელში და რუს ოფიცერთაგან წაქეზებული ჩემსკენ მოიწევდა. ჩვენს შუა იდგა პოლკ. შუხოვი, რომელმაც ჩვენგან მოითხოვა ერთმანეთს წესიერად შევხვედროდით. მე ხმალი ჩავაგე და პოლკ. შუხოვისაგან მკვლავგამოდებული გარეთ ქუჩაში გამოვედი. გამოიშალა

მთელი კრებულიც და პოდპ. მოროზმა კვლავ ჩემსკენ მოიწია. მაგრამ ახლა მარტო კი არა, არამედ პორუჩიკ მიროშნიჩენკოსთან ერთად; ორივე ხმალამოღებული და სამი რუსის ოფიცერიც გვერდით დადგომოდა. მე მოთმინება დავკარგე, პოლკ. შუხოვს ხელიდან გავუსხლტი და მათ ხმლით შევეგებე. პირველი ერთმანეთის მოსინჯვა და შუხოვმა დაიღრიალა: — რას ჩადიხართ, სადაა თქვენი სინდისი და ვაჟკაცობა, ორი ერთზე მოდიხართო — კვლავ შუაში შემოიჭრა და ერთმანეთთან აღარ მიგვიშვა. მთელი რიგი რუსის ოფიცრებისა ხმაურობდენ, და ამ დროს მოხდა ის, რაც ჩემთვის, სანამ ხსოვნა მექნება, დაუვიწყარი დამრჩება. პოლკის უფროსის თანაშემწე პოლკოვნიკი დევიძე მომიახლოვდა და ქართულად მიბრძანა: — დაუყოვნებლივ ხმალი ჩააგე! — ბატალიონის უფროსმა ა. ხოშტარიამ კი რუსულად მიმართა ჭუჩაში მდგომ რამდენიმე ათეულ რუსის ოფიცრებს: — აი, ჩვენ ვართ სულ რვა ქართველი (მოვიხედე: მართლაც, ყველა ქართველი ოფიცერი ჩემს უკან დამდგარიყო). ან თქვენ დაემორჩილებით ყველა პოლკოვნიკ შუხოვის განკარგულებას და საშუალებას მისცემთ მაღლაკელიძეს და მოროზს ხვალ ტენგინის მოედანზე ერთმანეთს წესითა და რიგით შესვდნენ, ანდა, თუ შებმისათვის ვაჟკაცობა არ ჰყოფნის თქვენს ფალავნებს, პოდპორ. მოროზსა და პორუჩიკ მიროშნიჩენკოს, ჩვენ რვა ქართველი მზად ვართ ახლავე გაგისწორდეთ-ო!

პოლკოვნიკი დევიძე და ა. ხოშტარია ორივე მხრივ გვერდში ამომიდგენ და დანარჩენი ქართველი ოფიცრებიც უკან დადგენ, მოროზი და მიროშნიჩენკო წახდენ და უკან-უკან ხევით რუს ოფიცერთა გროვას შეუერთდნენ და სულ მალე გაიფანტენ.

უცბად რაღაც ნახევარ საათში ყველა ქართველი ოფიცრები შეკრებილიყვენ ჩემს ბინაზე და შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობდენ: ამ დროს ჩემთან გამოცხადდა შეთქმული უფროსი უნტეროფიცერი ბასოვი ცხრა შეიარაღებული ჯარისკაცით ჩემი გუნდიდან. თურმე შეთქმულთა რიგებში იყო ვინმე სომეხი არტემი, ოფიცერთა საკრებულოს მოსამსახურე, მას თვალი მოუკრავს ამისათვის. ყაზარმაში გაქცეულა და ბასოვისათვის ყველაფერი გადაუცია, ამით იყო გამოწვეული ჯარისკაცების მოსვლა. ჩემი სტუმრები — ქართველი ოფიცრები — დაკმაყოფილებულნი ჩემი მოხსენებით, დაიშალენ. ისინი მე დავითანხმე, რომ დროებითი მთავრობისადმი ერთგულება შექმნილ ვითარებაში სასურველი და აუცილებელია-თქო. შემდეგ კი ბასოვთან ერთად განვიხილეთ თუ რა ნაბიჯები გადაგვედგა. პირველი, რაც უნდა გაკეთებულიყო, სტამბა უნდა გვეშოვნა, საგანგებო მოწოდება შეგვედგინა და სამხედრო კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით გვემოქმედნა. აქვე შევადგინეთ გარნიზონისადმი მიმართვა. მე პირადად ბასოვთან ერთად მესტამბე აბიბიანთან გავეშურე, იქ დილისათვის მოწოდება მზად იყო და მთელს გარნიზონს,

მცხოვრებლებს ემცნო ანონიმური სამხედრო პრეზიდიუმის სახელით: რომ ამიერიდან მის ხელში გადადიოდა მართვა-გამგეობა და სამხედრო ძალები.

მთელი დღე სამზადისში ვიყავით. ბასოვმა შეუკვეთა წითელი დროშა წარწერით: „გაუმარჯოს თავისუფლებას“. სამხედრო ორკესტრიც კი გაანწყო. გადავწყვიტეთ მეორე დღეს მუსიკით მეოთხე ბატალიონი გამოგვეყვანა და საჯარო მიტინგი მოგვეწყო.

აღელვებული რუსის ოფიცრობა პორ. მარტინოვის ბინაზე შეკრებილიყო. თვით გარნიზონის და პოლკის უფროსი კი ავადმყოფობის მომიზეზებით შინ დარჩენილიყო. მეც მივიღე მიწვევის ბარათი და დაუყოვნებლივ დანიშნულ ადგილას გამოვცხადდი. კრება დაწყებული დამხვდა, მოროზიც აქ იყო. ჩემს მისვლასა და გამოჩენას ყველა ფეხზე ადგომით შეხვდა და პოლკ. შუხოვმა კრების თავმჯდომარეობა მე შემომთავაზა. მე მათ მოვახსენე, რომ ეს შეუძლებელია და თანაც რისთვის უნდა დავარღვიოთ წესი და ვათამჯდომარეოთ უმცროსი ოფიცერი, როცა თქვენ აქ ბრძანდებით-თქო. მან მწარედ ჩაიცინა და მითხრა: — აკი მთელი ხელისუფალნი, დღეს გარნიზონში დარიგებული ფურცლების მიხედვით, თქვენთან ახლო მყოფი პირები არიან. მე ვფიქრობ, სამხედრო პრეზიდიუმის პატრონი სწორედ თქვენა ხართო. მე მაინც დაჟინებით უარი ვთქვი თავმჯდომარეობაზე და ის-ის იყო პოლკ. შუხოვი შეუდგა კრებას, რომ დარბაზში შემოიჭრა აღელვებული პორ. მიროშნიჩენკო, იმ დღეს გარნიზონის მორიგე ოფიცერი და განაცხადა: ბატონო ოფიცრებო, მეოთხე ბატალიონი ფეხზე დგას: უკვე ნაშუაღამევი დაიწყო და არავის სძინავსო. თვით პოლკოვნიკი შუხოვი ამ ბატალიონის უფროსი იყო. მან მე მომმართა და მთხოვა: ჯერ ერთი, ყაზარმებში წავსულიყავი მასთან ერთად და ჯარისკაცები დაგვეწყნარებინა; შემდეგ გარნიზონისა და პოლკის უფროსად პოლკ. დევიძე დანიშნული ყოფილიყო. ორივე თხოვნა შევუსრულე მას. შემდეგ კრება ისევ განაგრძო შუხოვმა. მაგრამ მორიგე ოფიცერმა კვლავ მოიტანა ცნობა, რომ მეექვსე გუნდში რაღაც კრებაა და ოფიცრების „შავ სიას“ ადგენენო. იქ ბასოვს მართლა მოეწყო კრება. კრებიდან ყველა 25 დამსწრე ჯარისკაცი ოფიცერთა კრებაზე მოვიყვანე და აქ ოფიცრებისა და ჯარისკაცების ერთად შეხვედრით და ხელისჩამორთმევით ურთიერთ კეთილგანწყობილება და პატივისცემა დავამყარე.

მეორე დღეს, დილის 10 საათზე წითელი დროშით და მუსიკით მეოთხე ბატალიონი მოედანზე გამოცხადდა. აქ მე ფიცი მივაღებინე მათ დროებითი მთავრობის ერთგულებისადმი. იმ დღესვე, იქვე საჯაროდ ახალციხის ქალაქის თავმა მოსესიანცმა ქალაქი ჩამაბარა და თავისი ხელისუფლება გადმომცა, ამავე კრებაზე მაზრის უფროსმა გუდიევმაც შეკრებილ ბატალიონსა და ხალხს ამცნო, რომ მაზრის მცხოვრებთა ბედს

## „საქართველოს“ რედაქტორს

ჩეხიისა და მორავიის პროტექტორატის ქართული ეროვნული საზოგადოების საერთო კრება, სალამს უძღვნის ქართველი მხედრების მებრძოლ ორგანო „საქართველოს“, მისი მეასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი გაზეთის თვითეული სტრიქონი ყოველთვის ისეთივე ბასრი იქნება, როგორც საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი მამაცი მხედრების მიერ მოქნეული ხმალი ახალი ევროპის მტრების გასანადგურებლად.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

საზოგადოების თავმჯდომარე
ვლასა ინწკირველი

## მშობლიური გაზეთის მესვეურთ!

ვესალმები რა „საქართველოს“ მეასე ნომრის გამოსვლას, ამით გამოვთქვამ ჩვენს სურვილს, რათა ეს სულიერი საზრდო და ქართველთა დამაკავშირებელი გაზეთი, ყოფილიყოს ჩვენი საქმიანობის მთავარ ორგანოდ, გისურვებთ მომავალშიც თქვენი გაზეთი უღვიებდეს ტანჯული სამშობლოს შვილთ ეროვნულ გრძნობებს, სამკვდრო-სასიცოცხლო სიძულვილს სამშობლოს ყველა ჯურის მტრების მიმართ.

დღევანდელ განმათავისუფლებელ ომში ჩაბმულმა ქართველობამ უკვე წარმოშვა ახალი გმირები, ბევრი ახალი მამულიშვილი, რომელთაც სამშობლოს სამსხვერპლოზე მიაქვთ ყველაფერი საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ამ მორალურ დარაზმვაში უკვე თვალსაჩინო როლს თამაშობს გაზეთი „საქართველო“ თავისი მხურვალე პატრიოტული წერილებით, იგი ღირსეულად ასრულებს საღმრთო მოვალეობას ქართველი მებრძოლი ახალგაზრდობის წინაშე.

ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს სამფეროვანი დროშა, ჩვენი ერის ეს სასოება და იმედი, დიდი გერმანიის განმათავისუფლებელი, უძლეველი დროშის გვერდით, საბოლოოდ დაამსხვრევს ისტორიულ უკუღმართობას — კვლავ აღსდგება კრწანისის ველზე ხელიდან გავარდნილი დროშა...

გისურვებთ ძლიერი სულის შთაბერვას ამ ისტორიულ ბრძოლებში, რათა მტრის წინააღმდეგ საზოგადოებრივ აზრსა და შაშხანას ერთად მიჰქონდეთ გამანადგურებელი იერიში.

თქვენმა საქმემ უკვე სასარგებლო ნაყოფი გამოიღო. დღეს თქვენი

გაზეთი ყველა ქართველში განსაკუთრებული სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს.

თავდადებულ მამულიშვილთა ხსოვნისათვის დიდ ილიასა და აკაკის ჩანგი ყოფილიყოს გზის მაჩვენებლად: „გმირებს დაეძებს, უყივის, ჩემი ბუკი და ნაღარა!“

გენერალი ალ. კონიაშვილი

ვარშავა.

## წყაროს თვალი

### გრიგოლ რობაქიძე

გასულ წელს ვინახულე ქართველ უკვე თავისუფალ ტყვეთა რაზმნი, რაიხის სხვადასხვა მხარეში დაბანაკებულნი: ალაგ „ოსტმინისტერიუმის“, ალაგ „ვერმახტის“ დავალებით. შეხვედრა ახალგაზრდა თანამემამულეებთან წარუხოცელ მოგონებად დარჩება ჩემში, სანამ ცოცხალ ვარ.

საგანი ჩემი მათთან გასაუბრებისა იყო რასაკვირველია საქართველო: მისი მარადი „იდეა-სახე“ ეგზომ გულისხმიერი და მნიშვნელოვანია არა მარტო ქართველთათვის. ხელსაღებ მაგალითებით — ჩვენი ეროვნული „ყოფიდან“ თუ მამულიშვილური „ქცევიდან“ — ეფენდი მათ წინაშე თანდათან ამ „იდეა-სახის“ მრავალმხროვან, ნაირნაირ „სახეობას“. თანვე ჩემი გულისყური ლაპმობდა გაეგო: თუ როგორ აღიქმეოდა მსმენელთა მიერ ამრიგად წარმოხატული სამშობლო ჩვენი. ვამჩნევდი: სახეები თანდათან ღვივდებოდნენ და ნათლდებოდნენ; ვგზნებდი: გულები იხსნებოდნენ და ფეთქდენ ახალისებულნი; ვხედავდი: კვრივდებოდა მათში ძალაყრილი მაჯისცემა მზეოსან კარდჰუსი, ქართველთა მითიური მდგენისა. ხანდახან რომელიმე ხტილი საუბრისა ისე მძაფრად იყო მხვედრი, რომ მსმენელი ძალაუნებურ მეორეს გახედავდა, რათა გაეგო, თუ მასაც იმგვარადვე მოხვდა გულს ნათქვამი; რა ნეტარი იყო წამი, როცა მეორე პირველს სხივმფენი ღიმილით დასტურს ანიშნებდა!

მრავალჯერ წარმდგარვარ სიტყვით თანამემამულეთა წინაშე იქ, საქართველოში — ხოლო ასეთი გულხვედრა თქმულისა ვიგრძენი პირველად აქ, უცხოეთში გადმოხვეწილმა გადმოხვეწილთა შორის. რას ვადარო გული, რომელსაც სიტყვა ისე „ხვდება“, რომ იგი მყისვე „ხვედრად“ იქცევა მისთვის? გავიხსენოთ ერთი წუთით ამორეცხვა წყაროსი, რომელიც ცნობილია ყოველი ქართველისათვის. წყაროს ტანი დაცლილია, წყალი აღარაა შიგ, საშო მისი ამოშრეტილია — მაგრამ დახე: წყაროს ძრწდან მოარღვევს სილიან გნდეს თხილის კაკლის სიმსხო თვალცისალა ნაკადი. რომელსაც გენიამ ქართული სიტყვისა სწორუპოვარი სახელი დაარქვა: „წყაროს თვალი“.

მსმენელთა რიგებში ამ ხალას თვალის ანკარა ჩქეფს ვამჩნევდი და ვფიქრობდი გაკვირვებული: როგორ გადაურჩა იგი ოცდაორი წლის ბატონობას ბოლშევიზმისა რომლის ქვესკნელური მრღვევი სტიქიონი სიცოცხლის ყოველგვარ წყაროს ანადგურებს — (გავიხსენოთ საჩვენებელი პროცესები, საცა ბრალდებული შინაგან მოშლილია და მოსპობილი, სანამ მას იმ სოფელს გაისტუმრებდნენ, პროცესები, რომელთაც თვით მეთაური ბოლშევიზმისა: კამენევი, ზინოვიევი, ბუხარინი, პიატაკოვი და სხვანი ვერ გადაურჩენ — იძახოდნენ ხომ ისინი დახვრეტის წინ: ჩვენ მუნიანი ძაღლები ვართ ფაშიზმისაო! ვინც ამ პროცესების შინაგან მექანიკას ვერ ჩასწვდება, ის ვერ მიხვდება ბოლშევიკური მრღვევი ძალის უკანასკნელ საიდუმლოს). ვხედავდი მადლით სავსე ქართული მიწის წყაროს თვალს და გული სიხარულით ივსებოდა.

გულთბილი იყო გამოთხოვება და თანვე ნაღელიანიც. აქ მხოლოდ ერთი სცენა. გამოვეთხოვე ერთ რაზმს, რმსი-ის ახლო დაბანაკებულს. ღამე ეფინებოდა მყუდრო მიდამოს. ერთი კილომეტრი არ მქონდა განვლილი, რომ უეცრად შორიდან ფრთამაგარი სიმღერა მომესმა ქართული. კამარა სიმღერისა ხან განიერდებოდა და ხან იკუმშებოდა: ნელად მქროლი ნიავი არხევდა ბგერათა მათრობელ ტალღებს — ხან აქეთ, ხან იქით. Rhein-ის მდელოებში ვიგრძნე ცოცხლად საქართველო — შვებით და ტკივილით. ეს სიმღერა ახლაც მესმის. მისი გუგუნი ალბათ საფლავშიაც თან ჩამყვება.

პირადი შეხვედრებიც განვიცადე. ბადენში, ვენის ახლო, ერთი რაზმი უნდა მენახა. მე თვითონ ვენაში ვიყავ დაბინავებული. დანიშნულ საღამოს ავტო მომგვარეს ბადენში წასასვლელად. ავტოდან გერმანელთან ერთი ქართველიც გადმოხტა, ახალგაზრდა, დაახლოებით 20—22 წლისა. რაჭველი. გამეცნო — (მის გვარს გასაგები მოაზრების გამო აქ არ ვახსენებ). გავესაუბრე. მშვიდი, მორიდებული, თავაზიანი, კეთილზრდილი, გულჩვილი, ღრმამგრძნობი, ნათელ-გონიერი, ტკბილმოქართულე. მცოდნე ჩვენი ბედითი ვითარებისა. მზა მყოფი თავდადებისა თუ თავშეწირვისათვის — ასეთი ყმაწვილი ომშიათად შემხვედრია. არა, დიდი კარდჰუს ნაშიერი ჯერ კიდევ არ გადაშენებულა. მძმური სიყვარულით ვიგონებ ამ ყმაწვილს. დაახლოებით 500 რაზმელი ვინახულე. რამდენი იქნებოდა მათში ასეთი ყმაწვილი!

ორი თვის წინათ ვესტუმრე ქართველ რაზმელთ ბოდენის ტბის კუნძულზე — „მაინაუ". ისინი — რიცხვით რვა — მუშაობენ Todt-ის ორგანიზაციაში. მშვენიერი ყმაწვილებია. სამწუხაროდ ერთი მათგანი ვერ ვნახე — სოფლად იყო გაწვეული როგორც მეცხვარე.

ასეთი იყო ჩემი შეხვედრა ქართველ უკვე თავისუფალ ტყვეებთან. ასეთივეა დღეს მათთან შეხვედრა ჩემი — ლიტერატურულ არეში. ათი

დღის წინათ მივიღე თხუთმეტი ნომერი „საქართველოსი“ — ქართული ლეგიონის კვირეულისა. გასაგებია, თუ პირველად გაზეთის სალიტერატურო ნაწილს გადავავლე თვალი. იქ მოთავსებულ შაირების კითხვისას— (სიტყვა „შაირი“ ქართულში უფრო მართებულია, ვიდრე „ლექსი“; ამას დამიმოწმებს თვითონ დიდი შოთაც) — ჩემს გულის ყურს იპყრობდა უშუალო მხილება ავტორთა გულნადებისა, ვიდრე უკანასკნელის მგოსნური სხმულობა. ამ „გულნადებში“ სწორედ იმ უშრეტი „წყაროს თვალის“ ცინცხალი ციალი ვიხილე და გახარებამ — „ამიყვანა“

ლეგ. მირიანი მოთქვამს:

„ჩემო შავთვალა სიყვარულო,
საქართველოვ, ჩემო გულნარა,
ხომ კვლავ აღსდგები?!“

თქმა — სადა, მარტივი, უბრალო, თითქმის ყოველდღიურ ხმარებული, მაგრამ დააკვირდით: რამხელა გრძნობაა აქ არხეული! გრძნობა უძირო და სევდით აღვსილი.

ძვირფასია ქართველთათვის მამა, დედა კი მათთვის ტკბილია. არ არის გასაკვირი, თუ დედის სახე ლეგიონერთა გულს ხშირად ანათებს — სიყვარულით და ტკივილით.

ლეგ. მ. ჩ.-ძე აწვეთებს ერთს შაირში:

„ოთახში შევალ, ავანთებ სანთელს
და დედის სურათს დავაშტერდები“.

თითქოს არაფერია აქ პოეტურ თქმული — მაგრამ ართქმულში, ვინ იცის, შესაძლოა თვალს — მომდგარი კურცხალი იმალებოდეს. ასეთ შთაბეჭდილებას იწვევს ეს ჩანაწვეთი.

ლეგ. კ. რაჭველის შაირში „გამომშვიდობება“ დედისადმი გზნება დაგუბებული გულის-ტკივილია.

ლეგ. ჟ. ქ. უთვლის დედას:

„მიეც იმედი მანდ ლამარას, და ძვირფას კალმით
თორღვაის ენახოთ აქ რას ეტყვის ჩვენი გრიგოლი“.

(ცნობად ემიგრანტებისათვის, რომელნიც ჩემს დრამას „ლამარა“ არ იცნობენ: ლამარა ქალწულია, რომლის ირგვლივ დრამა ვითარდება, თორღვაი კი ერთი მთავარგმირთაგანი). მომყავს დედისადმი მიმართვა ავტორისა არა ჩემი თავგამოჩენისათვის—„ლამარა“ იმდენად შევიდა საქართველოს ძვალსა და რბილში, რომ იგი მე თითქო აღარც კი მეკუთვნის — მომყავს იგი საჩვენებლად იმისა, თუ რა ღრმად შეჭრილა მიმმართველის არსშიაც გულის თუ მაჯის-ცემა ქართული, „ლამარაში“ ხატებული. ავტორი იგულვებს: იქ ლამარას — დამწუხრებულს, აქ თორღვაის — ხმალამართულს. უკანასკნელი ისეა მოშვილდული, რომ — გრძნობა მაქვს — მან ჩემი სიტყვა უკვე იცის.

ხშირად ერთი რომელიმე მოხდენილი სიტყვა შარავანდსა ჰფენს შა-

ირის ტანს, ლეგ. გ. ს-ლის შაირში „გამომშვიდობება“ გვხვდება ასეთი მოსხლტილი ხვევული:

„ასწიე კიდევ ერთხელაც წარბი,
თვალლეგა ყმაწვილს უთხარ მშვიდობა“.

შარავანდმფენი აქ ეს სწორუპოვარი ქართული სიტყვა-სახეა: „თვალლეგა“.

მუსიკალურ არხეულია გულისხმიერი ხილვა ლეგ. ამურის შაირში „სიყვარულის საფლავი“. სმენას რჩება ვითარ შუვილი შორეულ ტალღათა ეს ხტილი:

„აქ საფლავია ჩემი ზმანების,
ორი ალვის ხე მისი დებია“.

ლეგ. ვ. ურდოელი ღრმად გრძნობს საქართველოს წარსულს (შაირები: „გამოცხადება“, „ლომის ბოკერი“, „კვართი უფლისა“). ძველს საქართველოს შეცნევაში „წარსული“ „მარადი მყოფადი“ იყო. სასიხარულოა, რომ ჩვენი დროის ახალგაზრდა ქართველში საქართველოს შორეული ფესვები ასე ცოცხლად ირხევიან. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი ფრაგმენტი ავტორისა „მე და ქვის ლოდი“. მოკრძალებით ეხება იგი აქ ყოფის ერთს საიდუმლოს.

ლეგ. ტ. ბარათელი ცდილობს ქროლვაში დაიჭიროს სუნთქვა ბედისწერისა (შაირი „წუხელის მთელი ღამე იქროლა“).

ლეგ. ნ. ს-ის შაირში „ქუთაისის ჭადართან“ ისე მთლიანია მელოდია გულის-ტკივილისა, რომ იგი აქ მთლად მომყავს:

„იქნება ბედმა მართლა გაგვწიროს, —
ვერ ვნახოთ ჩვენი მთა და სერები...
მაგრამ ჭადართან ჩვენს სიყმაწვილეს
მუდამ ექნება ტკბილი სერობა.
არქიელიდან დაიგმენს ქარი,
ეხოს გამოსცემს კლდე მოწამეთის.
სადღაც აღდგომის დარეკავს ზარი
და თავს მოვიყრით კდემით ცამეტი.
დიდი ჭადარი შტოებს ჩამოხრის.
მოგეფერება თავაზიანად:
„თქვენზე დარდებით ბერი ჩამოვხმი,
თქვენზე დარდებმა დამაზიანა“.
ისეეე გაშლის მხრებს ლაზათიანს,
ჩრდილს გადააფენს რიონის ტინებს...
რომ ვეღარ გვნახავს დილაადრიან,
ჩამოძარცული, მწარედ იტირებს!
იქნება ბედმა მართლა გაგვწიროს, —

ვერ ვნახოთ ჩვენი მთა და სერები...
მაგრამ ჰადართან ჩვენს სიყმაწვილეს,
მუდამ ეკნება ტკბილი სერობა“.

(შაირებში გელას ერთი პატარა შაირი გვხვდება — გელა უკვე ცნობილია, მე კი უცნობ ავტორებს ვეხები აქ).

ლეგ. პ. კორინთელის ესკიზში „ცისკარი“ მოთხრობილია გულამტკებელი მოგონება აღდგომის ღამის, ბავშვობაში გაწნცდილისა.

აქვე უნდა აღვნიშნო „შატილის ღამე“ ლ. ლინისა. ეს ავტორი არ არის მოხსენებული როგორც ლეგიონერი. ოსტატურ გამართულია ქართული სიტყვა ამ პატარა მოთხრობაში. ეს არის უბრალო ამბავი. ქართული ენა უგენიალესი ქმნილებაა, რომლის საიდუმლო ჯერ კიდევ არაა ცნაურებული (ვგულისხმობ არა „ფილოლოგიურ“ საიდუმლოს მისას; ამ მხრით ქართული ენა ღრმათ არის განხილული; საკმარისია დავასახელო კვლევანი: ნიკო მარის, მიხეილ წერეთლისა, აკაკი შანიძის, და სხვებისა). ქართული ენა საკრალურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის: მასში მოცემულია მთლად მითიური ხილვა სამყაროსი. თითქმის ყოველი ქართული სიტყვა მსოფლხედვის რომელიმე სარკმელია: იქ ერთი მოვლენა მეორეს „ესიტყვება“. ქართული თქმა გარეგან მოკლეა, შინაგან კი ვრცელი: მოკლე — რადგან თქმული, თავისთავად აღებული, სრულმეტყველია. ვრცელი — რადგან ნათქვამი, ქვეფენებში გზნებული, ართქმულს ეხმაურება (ამის შესახებ სხვა დროს, თუ მოვიცალე). ქართული სინტაქსი ამის გამო მიუხედავად მისი მარტივი „სხეობისა“, რთულია მეტად შინაგან. მე არ მეგულვება არცერთი ქართველი მწერალი, არც წარსულში არც ახლო ხანში, რომლის ნაწერში სინტაქსის მხრით აქა-იქ თუ პირდაპირ მარცხი არა „ფორხილი“ მაინც არ სჩანდეს—გამონაკლისს აქ არც ამ სტრიქონების დამწერი წარმოადგენს. ქართული თქმის სხეულება ძნელია მეტად. ხშირად ქართული ნაწერი ჩემზე ისე მოქმედობს, თითქო ბუძგი შემხებოდეს ტანსა. ხოლო რა საამოა, როცა დახვეწილი ქართული გესმის, ლითონივით ჩამოსხმული და სრულყოფილი. „შატილის ღამეში“, ვიმეორებ, ქართული სიტყვა ოსტატურად არის გამართული. აი რამდენიმე მაგალითი:

„მთვარის მკრთალ შუქზე წამოშლილან კომკების ჩრდილნი. დედა ხევში მიჩხრიალებს დაუდეგარი არღუნი და უმღერის გარინდულ მთებს. შატილი სამ ხევზეა გადაშლილი. ასპიდ კლდეებზე მერცხლის ბუდეებსავით ჩამოკიდულან ქვის პატარა სახლები. დედა ხევიდან პირდაპირ მოჩანს თებულოს მთა, დოლაურთა მაღალი კოშკი“, — „გუშინ სამხრობისას ფშავიდან მეგზური ამოიჭრა“. — „ბატონიშვილს აამოსს დაიძახა ერთმა მხლებელმა და თოფი სამჯერ მიაქუხა ლაჟვარდს“... — „მოეწნათ ჭრელთვალა პირიმზის თაიგულები“, — „აქვე იწყება შატილის შარა ღორღიანი და ორწოხიანი“, — „ვოჟავ, ერთი კარგი სიმღერაი გამაგონე, შენი კვნესამე. აი ისეთი

პიტალოი, როგორც შატილის კლდე — მიმართა ბატონიშვილმა მეფანდურეს. ვოჟაიმ ერთი მოსინჯა ლარი და ჩამოჰკრა".

მე არ ვიცი, ვინ იმალება ფსევდონიმის ქვეშ — ლ. ლინი. ქართული პროზისათვის იგი უთუოდ თვალსაჩინო შეძენაა. ამას ეხლავ ვამბობ გადაჭრით. მასთან ერთად უნდა ვახსენო აგრეთვე ლეგ. პაატა ვარძიელი: მის ნარკვევებშიაც სჩანს ნათლად კულტურა ქართული სიტყვისა.

ვათავებ. რედაქტორი მწერს: „რედაქციას აუარებელი წერილები მოსდის ლეგიონერთაგან, სადაც ქართველი ახალგაზრდები დაჟინებით გვთხოვენ თქვენი რაიმე მასალის გამოქვეყნებას გაზეთში". მე მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს, მივაწოდო დროდადრო სულიერი საზრდო ჩემს ახალგაზრდა თანამემამულეთ: ლეგიონერებს.

## გაზეთ „საქართველოს" რედაქციას

გაზ. „საქართველოს" მეასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით გიცხადებთ ნაციონალური ყაზახობის საუკეთესო სურვილებს, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ჩვენი ხალხები ერთმანეთთან საუკეთესო დამოკიდებულებაში სცხოვრობდნენ. ამ სამკვდრო-სიცოცხლო ომის პერიოდში ჩვენ ვალდებული ვართ მეგობრული დამოკიდებულების ეს საფუძვლები უფრო მეტად განვამტკიცოთ, რათა შევძლოთ ჩვენი ხალხებისათვის ეროვნული თავისუფლების მოპოვება.

ეხლა, ისე როგორც არასდროს, თვითეული ჩვენგანი აუცილებლად სთვლის, მოსკოვის იუდა-ბოლშევიზმის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა გამარჯვებამდე მიიყვანოს და ამით ევროპის ყველა ხალხებს არსებობის უფლება მოუპოვოს.

გაზეთმა „საქართველომ", ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლისა და მისი სასიცოცხლო ინტერესების დაცვის საქმეში დაუფასებელი როლი შეასრულა. თქვენი გაზეთი წარმოადგენს უდიდეს სულიერ საზრდოს ყველა ქართველი პატრიოტისათვის, რომელიც იარაღით თუ კალმით იბრძვის სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ინჟ. გლაზკოვი

ყაზახების ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელი

პრაღა

## მოხუცი ჟურნალისტის სტრიქონები

ძველ ჟურნალისტს, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი სწერს ქართულ პრესაში, მსურს თქვენი გამოცემის მე-100 ნომრის გამოსვლის გამო შოგახსენოთ ჩემი მამულიშვილური სალამი და გისურვოთ სრული გამარჯვება. სიამოვნებით ვათვალიერებ ყოველკვირა „საქართველოს“ და მაოცებს, როგორ ყოჩაღად სძლევთ ყოველგვარ მძიმე პირობებს, რომელიც თანსდევს ბეჭდვითი ორგანოს გამოცემას სამშობლოს გარეთ, ისიც უწყალო ომისდროს. მიხარია მეტადრე ის გარემოება, რომ „საქართველოს“ გადიობას უწევენ ახალგაზრდა მომუშავენი. საქმეს ეტყობა, რომ მესვეურნი სცდილობენ თავიანთ პირმშო შვილს მოახმარონ ყოველი გამაუმჯობესებელი ხერხი, რომელიც მიღებულია განათლებულ ქვეყნებში და მერე ეს არამარტო ტექნიკის მხრივ, არამედ გაზეთის შინაარსის მხრივაც.

გისურვებთ სრულ წარმატებას. მიიტანეთ ბოლომდის ეს ბეჯითი მუშაობა იმ დრომდე, ვიდრე იხილავთ თავისუფალ, თავის ბედის გადამწყვეტ სამშობლოს. არის ბრძნული თქმულება: „ყველაფერი დროზე მოსდის მას, ვისაც აქვს უნარი ცდისა“.

საქართველოს „საქართველოს“ გაუმარჯოს!

გრიგოლ დიასამიძე

## ჩვენი მოძმე გაზეთებიდან

ჩრდილო-კავკასიელთა გაზეთი „გაზავათი“ გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, გაზეთის რედაქციის კოლექტივს, და თქვენი სახით მთელ მამაც ქართულ ლეგიონს გაზ. „საქართველოს“ მეასე, საიუბილეო ნომრის გამოშვებასთან დაკავშირებით.

„საქართველო“ წარმოადგენს ლეგიონერთა ერთერთ პირველ გაზეთს, რომელიც გადაიქცა მებრძოლთა ნამდვილ ტრიბუნად თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოსათვის, კავკასიის ხალხთა დამოუკიდებელი და თავისუფალი კავშირისათვის.

სარგებლობს რა თავის თანამემამულეთა დამსახურებული სიყვარულით, თქვენს გაზეთს ამაყად მიაქვს მამაცი ქართველი ხალხის იდეოლოგიური დროშა მისი თავისუფლების უზურპატორთა წინააღმდეგ. როგორც თქვენ, ჩვენც ისევე ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ დღევანდელ საბედისწერო ბრძოლაში ოთხი კავკასიელი მოძმე — საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩრდილო კავკასია, მტკიცე და ერთიან კავშირში, დიდი გერმანიის დახმარებითა და მხარდაჭერით, ბოლოს მოუღებს წითე-

ლი მოსკოვის ტერორისტულ დიქტატურას კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ერების მიმართ.

ჩვენი ხალხები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან არამხოლოდ საუკუნეობრივი ბრძოლებით უცხოელი კოლონიზატორების წინააღმდეგ, არამედ ეროვნული ინტერესების, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების ერთიანობითაც. იმ მომენტში, როცა მტერი ჩვენს სამშობლოს უტევდა, ჩვენ ყოველთვის ერთმანეთს ძმურ დახმარებას ვუწევდით. ერთის ტრაგედია კავკასიის ოთხი მოძმე ხალხიდან, ყოველთვის იყო მთელი კავკასიის უდიდესი ეროვნული უბედურება. ასე ხდებოდა ისტორიის მთელ მანძილზე. ასე იყო 1920 წელს, როდესაც ჩრდილო კავკასია პირველი მსხვერპლი შეიქნა ბოლშევიკი ოკუპანტებისა, რომელსაც მიჰყვა აზერბაიჯანი, სომხეთი და ბოლოს საქართველო, ასე ეხლაც, როცა სტალინმა გადაწყვიტა მთიელთა და ქართველთა განადგურება, ძალით ასახლებს რა მათ უძველესი საცხოვრებელი ადგილებიდან.

მაგრამ მტრის ვერაგ განზრახვას ჩვენ ყოველთვის დაუნდობელი შურისძიებით ვუპასუხებდით, ხოლო როდესაც დაჰკრა თავისუფლების დიდიხნით მონატრებულმა საათმა, ჩვენმა ხალხებმა კვლავ ხელი გაუწოდეს ერთმანეთს.

ჩრდილო-კავკასიელთა და ქართული ათასეულების გმირულმა ბრძოლებმა ყირიმში ბოლშევიკების წინააღმდეგ, ხელახლა დაამტკიცეს, რომ სამშობლოსათვის ბრძოლაში, სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, შეგვიძლია ვიმოქმედოთ ისე, როგორც ჩვენი დიდი წინაპრები მოქმედებდნენ.

გაუმარჯოს ქართული ლეგიონის მამაც მებრძოლთ!

ჩრდილო-კავკასიელთა გაზეთის
„გაზაეთის“ მთავარი რედაქტორი

მანიუს მანსური

* * *

ქართული ლეგიონის მებრძოლი ორგანო „საქართველო“, რომელიც უკვე ორი წელია აფრიალებს ეროვნული საქართველოს დროშას, დღესასწაულობს თავისი მეასე ნომრის გამოშვებას.

ამ დროის მანძილზე „საქართველო“ შეიყვარა ყველამ, მისმა ახალგაზრდა მკითხველებმა და უფროსმა თაობამ — ხანშიშესულმა პატრიოტებმა. იგი სასიამოვნო საკითხავი გაზეთი გახდა, როგორც ფრონტის მოწინავე ხაზზე სანგრებში, ისე ზურგში, ყველგან სადაც კი ქართველი მამულიშვილები იმყოფებიან.

„საქართველოს“ ყველაზე ახლობელი მეგობარი, გაზეთი „აზერბა-

ჯანი“, რომელმაც ერთი კვირის წინათ იდღესასწაულა თავისი მეასე ნომრის გამოსვლა, მოგესალმებათ აზერბაიჯანული ლეგიონის ყველა მოხალისის სახელით და გისურვებთ მომავალშიც ასე მაღლა გეჭიროთ ეროვნული დროშა!

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი ბედი ბევრით ჰგავს ერთმანეთს: ჩვენ ერთად მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და ერთადვე დავკარგეთ ბოლშევიკური ურდოების წყალობით. ჩვენი ბრძოლის ამოცანა სავსებით ნათელია: დღეს, ან არასოდეს! ჩვენ, თქვენთან ერთად აღსავსე ვართ რწმენით, რომ დადგება დრო, როდესაც ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხები ეროვნული თავისუფლების დროშას უფრო მაღლა ააფრიალებენ, ვიდრე 1918 წელს!

გაზ. „აზერბაიჯანის“ რედაქცია სიხარულით აღსავსე შეჰყურებს თავისი მოძმე გაზეთის ზეიმს და უსურვებს მას, რომ მომავალი საიუბილეო ნომერი განთავისუფლებულ საქართველოში გამოსულიყოს.

გაზეთი „აზერბაიჯანის“ რედაქცია

* * *

გაზეთი „კაზაჩი ვესტნიკის“ რედაქცია საუკეთესო სურვილებით აღსავსე სალამს უძღვნის ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავის თანამებრძოლს, გაზეთ „საქართველოს“, მისი მეასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით.

გამოუთქმელ მძიმე პირობებში შესძლო გაზეთმა „საქართველომ“ მებრძოლი ქართველი ლეგიონერებისათვის გამოეტენდა საუკეთესო სულიერი იარაღი. ეს იარაღი თანამედროვე ომში თამაშობს ერთობ სერიოზულ როლს და არამარტო უწყობს ხელს გამოამეღავნოს მტრის ახალი ხრიკები, არამედ თავისი ხალხის მებრძოლებსა და პატრიოტებს უსახავს ნათელ მიზნებს, რომელთაც ისინი საქართველოს თავისუფლებისაკენ მიჰყავთ.

მთელი ჩვენი სულითა და გულით გისურვებთ ბრწყინვალე წარმატებას მომავალ ნაყოფიერ და მეტად პასუხსაგებ მუშაობაში.

მეგობრული სალამით: გაზ „კაზაჩი ვესტნიკის“ რედაქცია.

* * *

სომხური ლეგიონის გაზეთი „ჰაიასტანი“, „საქართველოს“ მეასე ნომრის გამოშვების დღეს გიძღვნით თქვენ და რედაქციის მთელს შემადგენლობას გულითად სალამს.

თქვენი გაზეთი თავისი არსებობის განმავლობაში იყო და იქნება ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე პოზიციებზე, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მუდმივი მედროშე.

ვუსურვებთ რედაქციის თანამშრომლებს წარმატებას მომავალ მუშაობაში.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, კავკასიის ხალხების ძმურ კავშირს!..

გაზეთ „ჰაიასტანის“ რედაქცია

## ასე დაიბადა ჩვენი გაზეთი

ახლად სდგებოდნენ ჩვენი რაზმები. ლეგიონის მოედანზე ფრიალებდა საყვარელი შეინდისფერი დროშა და ბრძოლისაკენ მოუხმობდა მამულის მკერდიდან ძალით მოგლეჯილ შვილთ... ივსებოდნენ ჩვენი რიგები და იზრდებოდა ქართული პატრიოტიზმის ძალა... მაშინ ჩვენი აღგზნებული გულები ელოდნენ ქართულ ცეცხლოვან, დამრაზმავ სიტყვას... და იგი მოიტანა ქართულმა გაზეთმა.

ვით გრიგალი შემოიჭრა იგი ჩვენს რაზმებში და მოიტანა ცხოველმყოფელი ძალა, აატოკა ჩვენი ერთიანი სურვილი. უცხოეთში გადმოხვეწილმა ქართველმა მამულიშვილებმა შექმნეს გაზეთი „საქართველო“. მისი სახელმწოდებელი და პირველი რედაქტორი იყო გ. ფრონელი, მასში თანამშრომლობდნენ უცხოეთში მყოფი ჩვენი მეცნიერული და კულტურული ძალები: პროფ. მ. წერეთელი, პროფ. ზ. ავალიშვილი, გ. რობაქიძე, გ. დიასამიძე, კ. სალია, ლ. კერესელიძე, ტოგო, ყოფილი ტყვეები ა. დარეჯანიძე, მთიული და სხვ. მათ სათანადო მუშაობა გასწიეს ქართველ ლეგიონერებში პატრიოტული, ნაციონალური გრძნობის გაღვივებლად და დიდ გერმანელ ხალხთან მეგობრობის განსამტკიცებლად.

გაზეთის ხელმძღვანელობა შემდეგ თვით ლეგიონერებმა იკისრეს. ჩვენივე რიგებიდან შეიქმნა მცირე კოლექტივი, რომელიც დღესაც, განსაკუთრებული უმძიმესი პირობების დროს, ემსახურება თავის საქმეს.

ბერლინი.

უკვე ვიშოვეთ ბინა რედაქციისათვის.

ჩვენს ხელმძღვანელთან, მთავარ რედაქტორთან ერთად ამ სტრიქონების დამწერი ეცნობა ა. მეტრეველის სტამბას, სადაც იწყობოდა გაზეთი — და აი, დაიწყო პრაქტიკული მუშაობა.

ჩვენ შევუდექით მე-12 ნომრის გამოშვებას. რათქმა უნდა, მუშაობა დაკავშირებული იყო სიძნელეებთან, გაზეთის გაფორმება გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვდა, საამისო ტექნიკური ბაზა არ გვქონდა.

მდგომარეობა მალე შეიცვალა. სტამბა გაფართოვდა, დაისვა საკითხი, გაზეთი დაბეჭდვამდე მთლიანად აქ გამზადებულიყო. სტამბა პატარა, მაგრამ კოხტა იყო, შიგ იდგა ორი ლინოტიპი, ჰქონდათ მცირე რაოდენობის პოლიგრაფიული ხელსაწყოები, ა. მეტრეველმა ახალი ასოთა-მწყობებიც მოიყვანა და საქმე წავიდა წინ.

სამწუხაროდ, ბედმა არ გვარგუნა ბოლომდე შევრჩენოდით ამ სტამბას. ერთერთი ძლიერი ბომბარდირების დროს იგი დაინგრა, განადგურდა მანქანები, დაიღუპა შრიფტი. ა. მეტრეველმა ისევ მოახერხა მანქანების შოვნა და გაზეთმა მცირე შეფერხების შემდეგ დაიწყო ნორმალურად გამოსვლა...

გაზეთის სარედაქციო კოლექტივი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს დღესაც ლეგიონის ცხოვრებას. მის ფურცლებზე აღბეჭდილია ქართული ათასეულების, ცალკეული ასეულებისა და ახალგაზრდა პატრიოტების გმირული საქმეები. ჩვენი გაზეთი ჰქუხდა პერეკოპის ბრძოლის დღეებში, და როცა ჩვენი მებრძოლი ძმები სწერდნენ რაინდობის შესანიშნავ ფურცლებს, მათი გმირული ამბები გაზეთის მართალ სიტყვას მიჰქონდა თვითეული ლეგიონერის გულამდე. გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე თქვენ იპოვით არამარტო ბრძოლის ეპიზოდებს, არამედ ლეგიონერი ახალგაზრდობის ყოველდღიურ ცხოვრებას, შემოქმედებას, გაზეთმა ლეგიონერთა შორის დაიმსახურა სიყვარული, მის გარშემო დღეს შემოკრებილია ჩვენი მებრძოლი ახალგაზრდობის საუკეთესო ძალები.

ყოველდღიურად იზრდება კორესპონდენტთა რიცხვი, ყოველი მხრიდან მოდის წერილები, რომლებიც გამოხატავენ ჰეშმარიტი პატრიოტიზმის გრძნობას. გაზეთმა შესძლო მგზნებარე სიტყვა მიეტანა თვითეულ ლეგიონერამდე. გაზეთი და ლეგიონერთა მასა ერთიანი რწმენით იბრძვის სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

მშობლიური გაზეთის ფურცლებზე გამოიჩინეს თავიანთი ნიჭი და შემოქმედება ლეგიონერმა პოეტებმა: ვ. ურდოელმა, ა. ამურმა, კ. რაჭველმა, თ. მანანურმა, გამოჩნდა მხატვრული პროზაც ნოველების სახით. გაზეთში სწერდნენ მეცნიერული და კულტურული ძალებიც, მაგ. პროფ. ე. თაყაიშვილი, დოქტ. ვ. ნოზაძე, გ. დიასამიძე, დ. ვაჩნაძე და სხვ.

გაზეთი „საქართველო“ მოწოდებულია დიადი მამულიშვილური საქ-

მისათვის. იგი წარმოადგენს ყველა ჰეშმარიტი ქართველის პატრიოტულ სულიერ იარაღს. რედაქციის კოლექტივი გამსჭვალულია ერთი უკეთილშობილესი რწმენით, რაგინდ მძიმე არ უნდა იყოს პირობები — იმუშაოს უკეთესად, რათა ისევ ჰქუხდნენ და იბრძოდნენ გაზეთის სტრიქონები, როგორც ბრძოლის ველზე ჩვენი ძმების შაშხანები. ჩვენი გაზეთი მიჰყვება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბრწყინვალე გზას, მისი ცეცხლოვანი დევიზია — ბრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ბოლშევიზმისა და მის ხელშემწყობთა წინააღმდეგ.

უკანასკნელ დროს გერმანიაში ქართული საქმეების ხელმძღვანელობაში მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა. ქართულმა საკავშირო შტაბმა გააერთიანა ყველა ქართული ძალა, და აგრეთვე პრესაც. გაერთიანებული ძალით მუშაობამ თავისი პირველი ნაყოფი გამოიღო. ამჟამად რედაქციის მუშაობა სრულიად გარდაქმნილია, ეს სჩანს უკანასკნელი ნომრებიდანაც. რედაქცია სცდილობს, რათა თავის ირგვლივ შემოიკრიბოს საუკეთესო ძალები ქართველ მამულიშვილთაგან, რათა ქართულ გაზეთში სწერდეს ყველა პატიოსანი ქართველი.

უნაკლო გაზეთი არ არსებობს. „საქართველოსაც“ აქვს შეიძლება ზოგიერთი ნაკლი. მისი კოლექტივი მზადაა სიხარულით მიიღოს თვითეული გულისხმიერი მითითება.

ჩვენი გაზეთი დაიბადა მაშინ, როდესაც პირველად გავშალეთ შვინდისფერი დროშა და მივიღეთ საბრძოლო ნათლობა, ამიტომაა გაზეთი ასე მშობლიური და საყვარელი თვითეული ლეგიონერისათვის.

100 ნომერი...

ვიგონებ ახლო წარსულს, ვფურცლავ გაზეთის კომპლექტს და მეღიმება... სად ვიყავით, სად ვართ! როგორ წავიწიეთ წინ! რა ვეებერთელა ცვლილებაა წინანდელსა და დღევანდელს შორის!

ასე დაიბადა და გაიზარდა გაზეთი „საქართველო“.

## მკითხველი და გაზეთი

### ჩვენი სულიერი საზრდო

ბოლშევიკური უკუღმართი ცხოვრების გამო დევნილ ქართველ პატრიოტებს, რომლებიც დღეს სამშობლოდან მოწყვეტილნი, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ვიმყოფებით, სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ ჩვენი ერთადერთი ქართული გაზეთის ორი წლის მანძილზე მიღწეული წარმატებები. უდავოა, რომ უცხოეთში ასეთი რთული საქმის წამოწყება, მისი ორგანიზება და მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება მრავალ დაბრკოლებას წააწყდა, მაგრამ გაზეთის მესვეურთა ენერგიამ და თავდა-

დებამ დასძლია ყოველივე სიძნელე, მოახერხა თვით რთულ სამუშაო პირობებშიც ჩვენი მშობლიური ორგანო უნაკლო ყოფილიყო.

დიდ აღფრთოვანებას იწვევს თვითეულ ჩვენგანში ის ბედნიერი წუთები, როდესაც ნაწილში „საქართველოს“ ახალი ნომრები მოაქვთ. ყველა გაფაციცებით კითხულობს გაზეთს, დაწყებული მეთაური წერილიდან უკანასკნელ სტრიქონამდე.

„საქართველო“ ჩვენს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მან მშვენივრად შეასრულა თავისი დანიშნულება — შესძლო ევროპის სხვადასხვა კუთხეში მყოფ ქართველ მამულიშვილთა და მებრძოლთა დაკავშირება, ქართველი ერის საუკეთესო წარმომადგენელთა დარაზმვა ერთი იდეისა და ამოცანის გარშემო, შთაუნერგა თავის მკითხველებს მორალური სიმტკიცე, გაასალკლდევა მათი ნებისყოფა და ხასიათი.

მხურვალედ ვესალმებით „საქართველოს“ რედაქციის მუშაკებს იმ თავდადებული შრომისათვის, რასაც ისინი ეწევიან ბრძოლის ყველაზე მძიმე პირობებში. თვითეული ჩვენგანი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მომავალშიც ჩვენი მშობლიური გაზეთი ასეთი მიმზიდველი და საყვარელი იქნება...

გაუმარჯოს საქართველოს!

ლეგ. ვ. თ.

## მშობლიური ორგანო

ბავშვსავით მახარებს ჩვენი გაზეთის წაკითხვა. მისი თვითეული ნომერი ჩემი გონებისათვის პირველი მოთხოვნილების საგანს წარმოადგენს. ენერგიას მიათკეცებს და ცხოვრების ხალისს მმატებს მისი ყოველი სტრიქონი, ყოველი წერილი.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო გაზეთის უკანასკნელი ნომრები. თვალნათლივ იგრძნობა მისი უდავო წინსვლა. უფრო მეტად გაუმჯობესდა ხარისხი, ტექნიკური გაფორმება, ენა, გაზეთში უკვე თვალსაჩინო ადგილი ეთმობა ქართველ მამულიშვილთა, ჩვენი უფროსი თაობის წერილებსაც.

დღეს ვინც „საქართველოს“ წინსვლას ვერ ხედავს, ვინც აღტაცებული არ არის ამ მშვენიერი გაზეთის თვითეული ნომრით, ალბათ წარმოდგენაც არა აქვთ, თუ რას ნიშნავს ევროპული გემოვნებით გაკეთებული კულტურული გაზეთი!

ლეგ. ვ. ფ.

## ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ

დღევანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში პრესა წარმოადგენს ყველაზე ძლავრ იარაღს ახალგაზრდობის გათვითცნობიერებისათვის. იგი ძლიერია, ვიდრე სიტყვიერი პროპაგანდა, რადიო, კინო, ჩვენი ხალხისათვის გაზეთი გზის მაჩვენებელია, სული და გული იმ ერისა, რომელსაც იგი ემსახურება.

„საქართველომ“ ამ რთულ ამოცანას საუკეთესოდ გაართვა თავი. გაზეთმა შთაუნერგა ქართველ ახალგაზრდობას სამშობლოს უფრო მეტი სიყვარული, საკუთარი ხალხისა და ჩვენი დიადი ამოცანებისადმი უანგარო სამსახურის კეთილშობილი გრძნობა. ყველგან, — ფრონტის მოწინავე ხაზზე თუ ზურგში, სამხედრო ლაზარეთსა თუ ბუნკერში ყოფნისას, „საქართველო“ ჩვენი განუყრელი მეგობარია, ჩვენი გულის ყველაზე საუკეთესო მესაიდუმლე.

ჩვენ მეტად კმაყოფილი ვართ ასეთი კარგი საქმის წარმატებით ხელმძღვანელობისათვის.

ლეგ. ი. ჟ.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ

გაზეთმა „საქართველომ“, თავისი ორი წლის არსებობის მანძილზე, გამოსცა რამდენიმე წიგნი მოხალისეთათვის. სერიიდან „ლეგიონერის საველე ბიბლიოთეკა“ გამოვიდა ჯერჯერობით სამი კრებული.

1. ჩვენი სიმღერები. წიგნი შეიცავს მოწინავე ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების ლექსებს, მოთხრობებსა და სხვ. კრებულში მოთავსებულია შემდეგი მასალები:

ა) ლექსები: ლეგ. ა. სვანი — არწივი, ლეგ. ვ. ურდოელი — სიმღერა სამშობლოზე, ეჰ, სიჭაბუკევ!..; ქაჯეთი ნესტანს გესლავდა...; ეს ჩვენი სამშობლოა! ა. ბ. — მოვიტანთ ქათიბს მზისასა!..; ლეგ. შ. სპეთისპირელი — და გაიხარებს მამული ჩვენი; მუზას...; დ. ბურდული — ერეკლე სარდალს და სხვ.

ბ) პროზა: ლეგ. ვ. ლინი — გულდაი (ნოველა). წიგნს წამძღვარებული აქვს ლ. ლინის შესავალი წერილი — ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პოეზია. კრებული შეიცავს 94 გვერდს, გამოცემულია 1943 წელს (ქართული ლეგიონის საველე ბიბლიოთეკა № 1).

2. ს. ბერეჟიანი — ნაწერები. წიგნი წარმოადგენს ემიგრანტი პოეტის ლექსთა და მოთხრობათა კრებულს. მასში მოთავსებულია შემდეგი ნაწარმოებნი — ა) ლექსები: სამშობლო უცხოეთში; ეშლო; მგზავრი; მერცხლის წყევლა; წვიმა; ურმული; სიზმარი; გული; მშვიდობით; ნასახლა-

რი; გურიას; მარადისობა; უკვდავება; მგოსანი; შეფიცულებს; პაემანი მთაწმინდაზე, ბ) პროზა: მოგონებანი ვაჟაზე; ნიკოლა. წიგნს დართული აქვს ვ. ნოზაძისა და ვ. ტუღუშის წინასიტყვაობები, შეიცავს 96 გვერდს, გამოცემულია 1943 წ. (ლეგიონერის საველე ბიბლიოთეკა № 2).

3. აკაკი წერეთელი — ბაში-აჩუკი. დიდი ქართველი კლასიკოსის ისტორიული მოთხრობა გამოცემულია მხატვარ ი. ევგენიძის გაფორმებითა და ნახატებით. დართული აქვს ლ. ლინის წერილი — აკაკი წერეთელი. (72 გვ. 1944 წ. ლეგიონერის საველე ბიბლიოთეკა № 3).

გარდა საველე ბიბლიოთეკისა, „საქართველოს“ რედაქციამ გამოსცა სალიტერატურო-სამხატვრო და სამეცნიერო პუბლიცისტური ჟურნალის, „საქართველოს“ პირველი ნომერი. აღნიშნული ჟურნალი წარმოადგენს ჩვენი გაზეთის დამატებას.

ჟურნალის პირველ ნომერში მოთავსებულია შემდეგი მასალები — პოეზია-პროზა: ი. გ. — წერილი სამშობლოდან, ვ. ურდოელი — წამებული სულის აღსარება; მე და მთის მწყემსი; ლოპიანას დუქანში, ნ. ამური — სიყვარულის საფლავი; ლოთებთან, კ. რაჭველი — ჩაუკრობელი ნდომა, ი. ვ. გოეთე — შეხვედრა და განშორება; მებადური; ნაპოვნი (თარგ. გერმანულიდან), პაველ როზიტსი — სიმღერა საქართველოზე (თარგმ. ლატვიურიდან), ლ. ლინი — დადაღული მკერდი; — სისხლი უხმობს. მეცნიერება-პუბლიცისტიკა: პროფ. ექვთ. თაყაიშვილი — გიორგი მეფის ერთი ფულის შესახებ, ა. დეკანოზი — გძელი რუისის წარსულიდან. არქივი: ვ. ნოზაძე — მნიშვნელოვანი საბუთი, პროფ. ექვთ. თაყაიშვილი — ოსებისადმი ბოძებული ექვსი სიგელი. ბიბლიოგრაფია, ლიტერატურის მატიანე, ქრონიკა.

ჟურნალი შეიცავს 64 გვერდს, გამოცემულია ლამაზად და კულტურულად.

„საქართველო“

№ 24 (101) ბერლინი, 19 ივნისი, 1944 წ.

ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი

# 26 მაისი ჩვენს ნაწილებში

## ქართული ლეგიონი

მშვენიერი დილა გათენდა ამ დღეს. მზე უხვად აფრქვევდა ცხოველმყოფელ სხივებს. ირგვლივ გაზაფხულის სურნელება ტრიალებს... ყველაფერს საზეიმო ელფერი ადევს. ლეგიონი ხვდება დიად ეროვნულ დღესასწაულს — 26 მაისს. ამაყად ფრიალებენ უძლეველი გერმანული და სამფეროვანი ქართული დროშები. მოედანზე აღმართულია ტრიბუნა...

ლეგიონი ეწყობა მოედანზე. გრგვინვასავით გაისმის ქართული ვაჟკაცური სიმღერები... მოედანზე გამოჩნდება პოლკის საყვარელი მეთაური, პოლკოვნიკი მახტსი. მას პატაკს აძლევს კაპიტანი ფრანკი. ორკესტრი უკრავს საზეიმო მარშს. პოლკოვნიკი ათვალიერებს ლეგიონს. შემდეგ ადის ტრიბუნაზე და მოხალისეებს მიჰმართავს სიტყვით, რომელსაც იგი ქართულ ენაზე კითხულობს. მოხალისეების სიხარულს საზღვარი აღარ აქვს. პოლკოვნიკის უკანასკნელ სიტყვებს — „გაუმარჯოს გერმანელ და ქართველ ხალხთა ურყევ მეგობრობას“, — მქუხარე „ვაშა“ ჰფარავს. ორკესტრი უკრავს გერმანულ-ნაციონალურ ჰიმნს, რომელსაც მოჰყვება ლეგიონის ძირითადი გუნდის მიერ მშვენივრად შესრულებული ქართული ეროვნული ჰიმნი „დიდება“.

აღმაფრთოვანებელი და პატრიოტული სიტყვით მიჰმართა მოხალისეებს ქართველმა კაპიტანმა შ-ძემ, რომელმაც განსაკუთრებით ხაზი გაუსვა გერმანელი და ქართველი ხალხის ისტორიულ მეგობრობას, ჩვენი ბრძოლის მიზნებს. კაპიტანმა მოხალისეებს მოუწოდა გამარჯვებისაკენ და დასძინა, რომ ამ გამარჯვებისათვის საჭიროა ვიყოთ ისეთივე ფანატიკური მებრძოლნი, როგორიც არიან გერმანელები.

მოხალისე დ-მა გრძნობით წაიკითხა ნაწყვეტები „ვეფხის ტყაოსნიდან“. შემდეგ, ბრძოლაში დაცემული ქართველი მხედრების მოსაგონებლად სიტყვით გამოვიდა ქართული ლეგიონის მეთაური, კაპიტანი ფრანკი. დღესასწაული დამთავრდა ქართველ მოხალისეთა საზეიმო მარშით.

ნაშუადღევის ორ საათზე სასპორტო მოედანზე მოეწყო მასობრივი შეჯიბრებანი ცალკე ასეულების მიხედვით სპორტის სხვადასხვა სახეებში.

განსაკუთრებით თავი ისახელეს მოხალისეებმა ს-ძემ, მ-ძემ, გ-მ თ-ამ და სხვა. პირველ ადგილზე გამოვიდა დანაყოფი, რომლის მეთაურია უფროსი ლეიტენანტი შეფერი, სპორტში გამარჯვებულმა მოხალისეებმა მიიღეს საჩუქრები.

ამავე დღეს სტადიონზე ჩატარდა საინტერესო მატჩი ფეხბურთში, ერთმანეთს შეხვდნენ ქართული და თურქესტანის ლეგიონის ფეხბურთელთა გუნდები. თამაში დამთავრდა ქართველ მოხალისეთა გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებით — 4:1.

სალამოს, ქალაქის დიდი თეატრი მოხალისეებით გაიჭედა, ლოტბ. ს. პლის ხელმძღვანელობით არსებულმა მომღერალთა გუნდმა გამართა კონცერტი. კონცერტზე შესრულებულ იქნა მრავალი ახალი სიმღერა და ცეკვა. განსაკუთრებით კარგი იყო ფანდურზე დაკვრა და რეპერტუარის ახალი ნომრები. საერთოდ, კონცერტმა დიდი მოწონება გამოიწვია და განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა.

ამ დღეს მრავალი მოხალისე დააჯილდოვეს. ზეიმს ესწრებოდა ბევრი სტუმარი მოძმე ლეგიონებიდან.

კონცერტის შემდეგ გაიმართა საზეიმო ვახშამი. ქართულ სუფრასთან, რომელსაც ამშვენებდა ნოყიერი საჭმელები და ფრანგული ღვინო, დიდხანს ისმოდა ქართული „მრავალჟამიერი“ და ტრადიციული სადღეგრძელოები.

ასე ჩატარდა 26 მაისი ქართულ ლეგიონში. ეს დღე თვითეული ჩვენგანისათვის მარად დაუვიწყარი დარჩება.

ლეგ. რ. ხვამლელი

## № ქართული ათასეული

|

ჩვენი ათასეული ოკეანის სანაპიროზე სდგას...

25 მაისს, სანაპიროსთან ახლოს, გამალებით მუშაობდნენ ქართველი მოხალისეები, აწყობდნენ მოედანს ზეიმისათვის.

დილით, 26 მაისს, ასეულები მწყობრად, მხედრული სიმღერით, ვაჟკაცური ნაბიჯებით გაემართნენ საზეიმოდ მორთული მოედნისაკენ, ფრიალებს გერმანული და ქართული დროშები. 10 საათზე აქ თავი მოიყარა მთელმა ათასეულმა. მწვანით მოსილი ტრიბუნა. დროშებს შორის მოსჩანს ყვავილებით ამოქარგული წარწერა „26 მაისი“. ათასეულის მეთაური, კაპიტანი ც. ესალმება ათასეულს. გადის რამდენიმე წუთი, ზეიმზე დასასწრებად მოდიან ძვირფასი სტუმრები — დივიზიისა და პოლკის სარდლობის წარმომადგენლები.

მისასალმებელ სიტყვაში ათასეულის მეთაური კაპიტანი ცილერი მოკლედ ეხება ქართველი ხალხის ნაციონალურ დღესასწაულს და აღფრთო-

ვანებით იგონებს გერმანელი და ქართველი ერის ისტორიულ მეგობრობას.

მისი სიტყვები მოხალისეებში უჩვეულო აღტაცებას იწვევს, ხოლო როცა იგი თავის გამოსვლას ამთავრებს ქართული სიტყვებით—„გაუმარჯოს დიდ გერმანიას და თავისუფალ საქართველოს!“ — მთელი ათასეულის ომახიანი შეძახილები აყრუებს მიდამოს.

დივიზიის წარმომადგენელი, ობერსტ-ლეიტენანტი კ. ასეთსავე მხურვალე გრძნობებით მიჰმართავს მოხალისეებს და ულოცავს დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

ათასეულის მეთაური კითხულობს მოწინავე ლეგიონერთა სიას, რომელთაც მიიღეს მაღალი ჯილდოები.

ზეიმი დამთავრდა. ასეულები ბრუნდებიან უკან, კვლავ ისმის ვაჟკაცური ქართული სამწყობრო სიმღერები, გუგუნებს ეროვნული ჰიმნი.

ზეიმის შემდეგ ასეულებში მოეწყო მეგობრული სადილი. გერმანელმა და ქართველმა მებრძოლებმა ერთხელ კიდევ გამოხატეს თავიანთი უახლოესი გულთბილი გრძნობები, რითაც ისინი ასე მტკიცედ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მხიარული ცეკვებით, მშობლიური სიმღერებით დასრულდა ჩვენთვის ეს უაღრესად ღირსსახსოვარი დღე.

ლეგ. ს-ძე

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 25 (102) ბერლინი, 26 ივნისი, 1944 წ.

ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი

## უდიდესი გამოცდა

ორ წელზე მეტია ქართველი მოხალისენი იარაღით ხელში სდგანან ახალი ევროპის სადარაჯოზე გერმანელ ჯარისკაცთან ერთად. ამ ხნის მანძილზე ჩვენმა მამაცმა მებრძოლმა ახალგაზრდობამ არაერთი და ორი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ქართველი ხალხის გმირულ ისტორიაში. პასუხისმგებლობის ნათელი შეგნებით და მოვალეობის შესრულების უდიდესი გრძნობით იბრძოდა და იბრძვის ქართველი მოხალისე ყველა უბანზე, სადაც კი მას გერმანული სარდლობა დააყენებს.

მას შემდეგ, რაც ქართველ ახალგაზრდობას ძალაუნებურად რუსულ ჯარში უხდებოდა სამსახური, დღეს პირველად გამოვლინდა ნამდვი-

ლად ჩვენი მებრძოლი სული და ქართული გმირული პოტენცია. პერეკოპის სახელოვანი დამცველების სიმამაცეს მთელი ევროპა აღიარებს. ქართველმა ჯარისკაცმა, რომელსაც საშუალება მიეცა თავისი ეროვნული ენერგიის სრული გამომჟღავნებისა, მთელს ქვეყანას დაუმტკიცა, რომ არ მომკვდარა ჩვენი წინაპრების რაინდული სული და გმირული ტრადიციები. მიზნის სიცხადე ქართველ მოხალისეს დღეს სრულ შესაძლებლობას აძლევს იბრძოლოს მთელი არსებით, მთელი გატაცებით, გამოიყენოს ქართული მოდგმის ვაჟკაცური თვისებები. მან შესანიშნავად იცის, რომ მისი ბრძოლა, მისი დაღვრილი სისხლი უკვალოდ არ ჩაიკარგება, რომ სადაც არ უნდა იყოს იგი, მისი ბრძოლა საბოლოოდ სამშობლოს თავისუფლებისათვის არის მიმართული.

ამიტომ სიამაყის გრძნობით შევხვდით ჩვენ ეხლაც ოფიციალურ ცნობას, სადაც აღნიშნულია ქართველ მოხალისეთა ნაწილების გმირობა და სიმამაცე, რომლებიც მკერდით იცავენ ევროპაში შემოსასვლელ კარებს. ქართველი მოხალისენი ნორმანდიის ნაპირებთან პირისპირ შეხვდნენ ინგლის-ამერიკელთა შემოჭრის არმიის ჯარისკაცებს. საფრანგეთის მინდვრებზე ისე, როგორც ყირიმსა და იტალიაში, ქართველმა მოხალისეებმა საკვეყნოდ დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება საერთო ევროპული ბრძოლისადმი პლუტოკრატიისა და ბოლშევიზმის ბლოკთან. მეომრის მოვალეობის შეგნება არცერთი წუთით არ ავიწყდებოდათ და არ ავიწყდებათ ქართველ მოხალისეებს. თავისი სახელოვანი მოკავშირის — გმირული გერმანული არმიის მხარდამხარ, მამაცურად მიდიან ისინი ბრძოლაში საერთო მტრის წინააღმდეგ.

არავითარ პროვოკაციას, არავითარ მზაკვრულ პროპაგანდას არ შეეძლოთ და ვერც შესძლებენ ქართველი მოხალისის მებრძოლის სულის ჩაკვლას, მან კარგად იცის, რომ სწორედ ატლანტიკის სიმაგრის მისასვლელებთან სწყდება ჩვენი საყვარელი სამშობლოს ბედიღბალი. დასავლეთში, და არა აღმოსავლეთში გამარჯვებამ უნდა მოგვიტანოს ნაციონალური იდეის ზეიმი. საქართველოს განთავისუფლების, მისი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ახალი ევროპის ჩარჩოებში ჩვენი სამშობლოს შესვლის საათი დაჰკრავს ევროპის დამცველთა გამძაფრებულ ბრძოლაში ინგლის-ამერიკელი ავაზაკების წინააღმდეგ.

თავიანთი იშვიათი გმირობით ქართველმა მოხალისეებმა დაამტკიცეს, რომ ეს გარემოება მათ ბრწყინვალედ აქვთ შეგნებული.

მთელი გერმანიისა და ევროპის პრესა აალაპარაკა ქართველთა გაუგონარმა გმირობამ, რომელიც მათ გამოიჩინეს ატლანტიკის სანაპიროზე სადესანტო ჯარების წინააღმდეგ. განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭა № 795 ქართულმა ათასეულმა, რომლის მებრძოლებს ყველაზე მძაფრ შეტაკებებში მოუხდათ მონაწილეობის მიღება.

ომი სწყდება არამარტო ტექნიკით, არამედ, პირველ რიგში სულის

სიძლიერით, ნებისყოფის სიმტკიცითა და იმ იდეის სიმართლის რწმენით, რომლის სახელითაც იბრძვის დღეს ქართველი მოწინავე ახალგაზრდობა გერმანიის უძლეველი არმიის რიგებში. ჩვენს მებრძოლთა გულებში გიზგიზებს ჩაუქრობელი ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა, უდიდესი სურვილი — სამშობლოს სახელით ყოველგვარი მსხვერპლის გაღებისა.

ბრძოლები დასავლეთში სულ უფროდაუფრო მძაფრდება. ეს არის ჩვენთვის უდიდესი გამოცდა, იგი ჩვენ ბრწყინვალედ დავიჭირეთ და შემდეგშიც ასევე ვისახელებთ თავს. ჩვენ მტკიცე რწმენით ვუცქერით მომავალს, ვინაიდან გვწამს, რომ სიმართლე გაიმარჯვებს ამ ქვეყანაზე, საბოლოოდ განადგურდება ბოლშევიზმი და მსოფლიო პლუტოკრატია.

მსხვერპლი, რომელიც ჩვენ გავიღეთ და კვლავ გავიღებთ ევროპის დასაცავად ბრძოლებში, თავის ნაყოფს გამოიღებს.

## ჩვენზე ლაპარაკობს მთელი გერმანია

### ქართველ და კავკასიელ მოხალისეთა ფარმატებანი

„ნორმანდიაში, ინგლის-ამერიკელთა სადესანტო ჯარების წინააღმდეგ გმირულად იბრძვის მრავალი გერმანული ათასეული, რომელთა გვერდით ყოველთვის სდგანან კავკასიელი მოხალისეები. ფიურერის სადგომიდან გადმოცემულ ცნობებში არაერთხელ და ორჯერ იყო აღნიშნული ამის შესახებ. ერთერთმა გერმანელმა გენერალმა, რომელიც შემოტევის პირველ დღეებში ხელმძღვანელობდა ოპერაციებს ნორმანდიაში, განაცხადა: „ალმოსავლეთის მოხალისეთა დანაყოფები განსაკუთრებით კარგად იბრძოდნენ. ზოგიერთი მათგანი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა თავის პოზიციებს, რომელიც მტრის მიერ ალყაშემორტყმული იყო. უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში ნახევარკუნძულ კოტანტენზე ქართული და კავკასიური ათასეულები ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ შემომტევი ამერიკელების წინააღმდეგ. მათი მეთაურები, დაწყებული ოცეულის მეთაურიდან ათასეულის მეთაურამდე, ღირსეულ ხელმძღვანელობას უწევდნენ თავიანთი ხალხის შვილებს ინგლის-ამერიკელთა დაქირავებული ჯარების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, რაც აღნიშნული იქნა დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლის ფელდმარშალ ფონ რუნდშტედტის მიერ“.

გაზ. „12 ურ ბლატი“.

„ალმოსავლეთის მოხალისეთა ათასეულები მრავალადგილას შეხვდნენ ბრძოლაში ინგლის-ამერიკელთა საჰაერო დესანტის ნაწილებს. ყველგან მათ სასტიკად დაამარცხეს მტერი და მიაყენეს მას დიდი დანაკარგი.

ამ ბრძოლებში ყველაზე მეტად თავი ისახელა ერთერთმა ქართულმა ათასეულმა, რომელიც შერბურგის ნახევარკუნძულზე იბრძოდა“.

გაზეთი „ბერლინერ ლოკალ ანციგერი“.

* * *

„ალმოსავლეთის ათასეულები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ოპერაციებში ინგლის-ამერიკელების წინააღმდეგ ნორმანდიაში, ყველა გერმანელი მეთაურის აზრით, იბრძოდნენ განსაკუთრებით კარგად და სრულიად გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები.

მოხალისეებს შეუძლიათ იამაყონ იმ დახასიათებით, რომელიც მათ მისცა საარმიო კორპუსის მეთაურმა. ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულმა, გენერალმა მარქსმა. მან შტაბის უფროსის თანდასწრებით შემდეგი განაცხადა: „ჩემი საარმიო კორპუსის მოქმედების რაიონში მებრძოლი მოხალისეთა ყველა ათასეული განსაკუთრებით კარგად იბრძოდა“.

სამხედრო კორესპონდენტი ა. შმალფუსი

* * *

„ყირიმიდან რუმინეთის სხვადასხვა ნავსადგურებზე გავლით, ათინაში ჩავიდნენ კავკასიელ მოხალისეთა ნაწილები, მათ შორის ქართული ათასეულიც. იგი რამოდენიმე თვის განმავლობაში ყირიმის დაცვის მოწინავე პოზიციაზე იყო, სადაც მოხალისეებმა თავდადებული ბრძოლებით თავი გამოიჩინეს.

გასული წლის ნოემბერში, ფიურერის მთავარი სადგომის ცნობაში, აღნიშნული ათასეული მოხსენებული იყო, როგორც განსაკუთრებული წარმატებების მქონე მაშინდელ ბრძოლებში“.

გაზ. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“.

# ქართველ მოხალისეთა ცხოვრებიდან

## მისაბაძი მაგალითი

ათასობით ქართველი მოხალისეები იარაღით ხელში სდგანან გერმანიის არმიის რიგებში, ევროპის სადარაჯოზე. წლების განმავლობაში მათ დამტკიცეს, რომ ისინი წარმოადგენენ თავიანთი დიდი წინაპრების გმირულ ტრადიციათა ღირსეულ გამგრძელებლებს. ქართველი მოხალისეების ათასეულმა აღმოსავლეთის ფრონტზე, იტალიაში და საფრანგეთში თავგამოდებული ბრძოლებით საამაყო ფურცლები ჩასწერეს ქართული ლეგიონის ისტორიაში. გარდა მებრძოლი ათასეულებისა, არსებობს მუშათა რამდენიმე ათასეული. ისინი როგორც ფრონტის წინა ხაზზე, ისე ზურგში დაუღალავ მუშაობას ეწევიან და ეხმარებიან თავიანთ მებრძოლ ძმებს გამარჯვებაში.

მათ კარგად იციან, რომ ფრონტზე დაჭრილ-დასახიჩრებულთ დახმარება ესაჭიროებათ. ამ საქმის ორგანიზაციას გერმანიის წითელი ჯვარი ეწევა. ქართველი მებრძოლები არ იშურებენ უკანასკნელ პფენინგსაც კი თავიანთი შემოსავლიდან, სისტემატურად უგზავნიან შემოწირულებას გერმანიის წითელი ჯვრის ორგანიზაციას.

ამ მხრივ აღსანიშნავია ქართველ მესანგრეთა № ასეული. აღნიშნული ასეულის მოხალისეებმა 1943 წლის მაისიდან 1944 წლის მაისამდე შეაგროვეს და გადასცეს გერმანიის წითელ ჯვარს 30. 835,55 მარკა. მათი მოქმედება მისაბაძია ყველა დანარჩენი დანაყოფებისათვის.

ლეგ. ს. გ.

## დასვენების დღე

ჩრდილოეთის ფრონტზე მყოფ ქართველ მესანგრეთა ასეული, რამოდენიმე თვის განმავლობაში დაუღალავ მუშაობას ეწეოდა... მაისმა ჩვენ მხიარული და სასიამოვნო დასვენების დღე მოგვიტანა. დივიზიის შტაბიდან მოვიდა ცნობა, რომ ამ დღეს ჩვენი ასეული კონცერტზე იყო მიპატიჟებული. ყველა სიამოვნებით მოელოდა საღამოს. ნაშუადღევს ასეული მოწყობილი გაემართა თეატრისაკენ. ჩვენმა მუსიკოსებმა თან წამოიღეს აკორდეონი და სალამურები. ისინი გზადაგზა უკრავდნენ და მღეროდნენ ქართულ სიმღერებს. მუსიკალური კონცერტი მოხალისეებმა დიდი ინტერესით მოსმინეს. შემდეგ ასეულის მეთაურის თხოვნით მოხალისეებმა შეასრულეს ქართული ცეკვები.

გერმანელ სტუმრებს, რომლებიც ქართველებს პირველად შეხვდნენ, ცეკვებზე ახსნა-განმარტებას აძლევდა თარჯიმანი. ბოლოს დივიზიის მეთაურმა აღნიშნა ქართველთა ხალხური ხელოვნების სიმშვენიერე და გაგამოუცხადა მათ მადლობა. მოხალისეები აღტაცებული და კმაყოფილებით ალსავსე დაბრუნდნენ უკან.

ლეგ. ვ. თ.

### თანამოძმის დასახმარებლად

ამ რამდენიმე ხნის წინათ № ქართულ ათასეულში, უბედური შემთხვევის გამო მძიმედ დაიჭრა ლეგიონერი გ. ჯ. სასწრაფო დახმარების აღმოჩენის შემდეგ, იგი გადაიყვანეს მახლობელ ლაზარეთში, სადაც ექიმების მზრუნველობის შედეგად გადარჩენილ იქნა სიკვდილისაგან. გ. ჯ. იმდენად იყო დასუსტებული, რომ აუცილებლად საჭიროებდა სისხლის შემატებას. საჭირო შეიქნა სისხლის გადასხმა. მისმა მეგობრებმა ერთხმად განაცხადეს სურვილი სისხლის გაღების შესახებ. ერთერთმა მათგანმა სიამოვნებით მისცა თანამემამულე მეგობარს 500 გრამი სისხლი. მოხალისის ჯანმრთელობა მალე გაუმჯობესდა, მოკლე ხანში იგი კვლავ თავის ნაწილს დაუბრუნდა.

ქართველ მოხალისეთა შორის ასეთ შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი. ყველა ჩვენგანი მზად არის სიცოცხლეც კი გასწიროს თავისი თანამოძმის გადასარჩენად.

ლეგ. კ. მ.

### ამერიკელ ჯარისკაცთა ზნეობა

ამერიკულ ჟურნალ „ტაიმს“ მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობა: მიმდინარე წლის იანვრიდან აპრილამდე ამერიკის არმიის იმ დანაყოფების 1.800 ჯარისკაცი, რომლებიც ინგლისის ტერიტორიაზე იმყოფებიან, სხვადასხვა სახის ხულიგნობისა და ბოროტმოქმედებისათვის გასამართლებულ იქნა და ტყვეთა ბანაკებში გაიგზავნა.

განსაკუთრებით ხშირია მკვლელობისა და ქურდობის შემთხვევები. „ტაიმსი“ მიუთითებს, რომ ბოროტმოქმედნი იყენებდნენ სამხედრო ფორმას, რათა უფრო ადვილად შესულიყვნენ ამათუიმ, მათთვის საინტერესო ორგანიზაციაში. ხშირია შემთხვევა, როცა ამერიკელი ჯარისკაცები მოსვენებას არ აძლევენ ქუჩაზე გამვლელ ინგლისელ ქალიშვილებს. ამ საქმით, განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ზანგები.

ასეთია ამერიკელი ჯარისკაცების დამახასიათებელი თვისებები და მოქმედება მოკავშირე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

„საქართველო“

№ 26 (103) ბერლინი, 3 ივლისი, 1944 წ.

ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი

## ზურაბ ავალიშვილი

დავკარგეთ ერთი უნიჭიერესი და უგანათლებულესი ქართველთაგანი. 21 მაისს ქალაქ შვანდორფში (ბავარია) გარდაიცვალა ჩვენი სწავლული ზურაბ ავალიშვილი. იგი მიწვენებული იყო იქ, როგორც ერთ-ერთი თანამშრომელი კონტინენტალური ევროპის გამომკვლევი ინსტიტუტისა, სადაც დიდ მუშაობას ეწევა პროფესორი ალექსანდრე ნიკურაძე. სწორედ მის ხელზე გარდაიცვალა უეცრად ჩვენი ზურაბი, როცა ორივენი მხიარულად ბაასობდნენ. შთამომავლობით ზურაბი ეკუთვნოდა იმ ავალიშვილების გვარეულობას, რომელმაც დასტოვა მე-16 საუკუნეში სამცხე-საათაბაგო თურქების მოწოლის გამო შალიკაშვილებთან, დიასამიძეებთან და სხვა გვარებთან ერთად. ავალიშვილების ერთი შტო დასახლდა შიდა ქართლში, მეორე კი კახეთში. ზურაბი ეკუთვნოდა სწორეთ კახელი ავალიშვილების შტოს. ერთ-ერთმა მისმა წინაპარმა თავი ისახელა საქართველოს ელჩობით რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებისას. იყო ამავე დროს დიდი მოტრფიალე ქართული თეატრისა და ბევრი რამ გააკეთა ამ მხრით მაშინ, როდესაც თეატრს ისეთი თვალით არ უყურებდნენ, როგორც ეხლა, ჩვენს დროს. თვითონაც თამაშობდა, სწერდა და სთარგმნიდა პიესებს. სცენაზე, სხვათა შორის, სათამაშოდ თავისი ასული გამოიყვანა, როცა ქალს — მსახიობს ალმაცერად უყურებდნენ მაღალ წრეებში. აი, ამ გიორგი ავალიშვილის შთამომავალი იყო მამა ზურაბისა დავითი, განათლებით სამხედრო იურისტი, შემდეგ ნაფიცი ვექილი და დირექტორი თბილისის საადგილ-მამულო ბანკისა, თანამშრომელი დიდი ილია ჭავჭავაძისა. დედა ეკუთვნოდა ჰოლმბლადების შვედურ გვარს, რომელიც დიდიხნიდან გადმოსახლებული იყო ბალტიკაში. პაპა დედის მხრივ ედუარდ ჰოლმბლადი იყო ვორონცოვის დროს ფრიად ცნობილი მკურნალი, გამგე ამ ნაწილისა საქართველო-კავკასიაში. იგი ქართველ საზოგადოებასთან მჭიდროდ იყო დაახლოებული იმის წყალობით, რომ ცოლად ჰყავდა თბილისელ შაჰგუბატოვის ასული—ქალი ქართული კულტურისა. აი ამ ავალიშვილების ოჯახს ბედმა შესძინა 1875 წელს დეკემბერში წევრი, შემდეგ სახელგანთქმული ზურაბი. სწავლა მიიღო მან თბილისის გიმნაზიაში, მერე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში იური-

დიულ ნაწილზე. შეისწავლა საგანგებოდ სახელმწიფო და საერთაშორისო სამართალი. მაგრამ განათლებისმოყვარე ახალგაზრდა არ კმაყოფილდებოდა მარტო უნივერსიტეტით. იგი ტრიალებდა თავის მეგობრებთან — არჩილ ჯორჯაძესა და ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან ერთად პეტერბურგის სამეცნიერო და სალიტერატურო წრეებში, იძენდა მრავალმხრივ ცოდნას. ამ დაუღალავმა, მუყაითმა შრომამ შესძინა მას ავტორიტეტი.

ეს არ გამოეპარათ პეტერბურგის განათლებულ წრეებს და თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩვენს ზურაბს ებოძა ახალი სახალხო მთავრობის მიერ სენატორის ხარისხი. მაგრამ ჩვენი ზურაბის გულს ასეთი ჯილდოებით ვერავინ მოინადირებდა. მას დასახული ჰქონდა თავისი ბედკრული ქვეყნისათვის მუშაობა და ამიტომ მთლიანად დაეწაფა ეროვნულ საქმიანობას. შეისწავლა უპირველეს ყოვლისა ზედმიწევნით მეცნიერულად ქართული, ხელი მიჰყო სხვებთან ერთად მშობელი ერის გამაკეთილშობილებელი ეკლესიის თვითმყოფობის აღდგენას, ხელი შეუწყო ჩამორჩენილ და მოწყვეტილ კახეთში რკინიგზის გაყვანას ისე, რომ მართვა ამ უმნიშვნელოვანესი ძარღვისა ქართველობას არ ასცდენოდა, იღებდა მონაწილეობას პეტერბურგის ქართველობის საახალშენო საქმეებში, მაგალითად, მრევლის დაარსებაში, იურიდიული რჩევით შველოდა ქართველ მრეწველებს, ვაჭრებს, მოღვაწეებს, ქართულ დაწესებულებებს ჩვენი ქვეყნისათვის გამოსადეგი საქმეების მოსაგვარებლად. მისი საგანგებო ცოდნა და გამოცდილება ჩვენმა დამოუკიდებლობის დროინდელმა მთავრობამაც დააფასა, მიიწვია თავის მრჩევლად და დიპლომატიურ დარგში მომუშავედ. ამ მოვალეობას განსვენებული ასრულებდა დიდხანს, სანამ ჩვენს სახელმწიფოს ჯერ კიდევ სული ედგა.

ამავე დროს სხვადასხვა ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე ბევრსა სწერდა ქართულ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებში, მაგრამ ჟურნალისტის ხელობა მისი სტიქიონი არ იყო. ზურაბი შეუდარებელი იყო იქ, სადაც საკითხს სჭირდებოდა მეცნიერული გარკვევა. ასეთ დროს მას ბადალი და მეტოქე არა ჰყავდა. მისი ბუნება მოითხოვდა მშვიდობიან პირობებს სამეცნიერო მუშაობისათვის. ამ დარგში იყო იგი თვითმპყრობელი ბატონი. სიყალბეს, თვალთმაქცობას, ზერელობას, დილეტანტობას ვერ იტანდა, ასეთ დროს კამათში, სიტყვიერსა თუ წერილობითში, ის სპობდა მოურიდებლად მოპირდაპირეს. არაფერს იტყოდა დაუსაბუთებლად. ყოველთვის წრფელი იყო. არ ერეოდა დემაგოგიურ პოლემიკაში, მით უფრო არ კადრულობდა ჩვენებური პოლემიკური კილოთი წერას. ასეთ მოწინააღმდეგეს ის პასუხის ღირსად არა სთვლიდა. ამიტომ იშვიათი იყო ის პირი, რომელსაც იგი დიდიხნის მუსაიფს აღირსებდა. მაგრამ თუ დაუხვდებოდა სანატრელი მოკამათე, ორივენი კმა-

ყოფილი რჩებოდნენ. ასე იცის ნამდვილმა ცოდნამ, ბევრჯერ გამიგონია: ზურაბთან უბრალო ლაპარაკიდანაც უეჭველად რამეს გამოიტანს კაციო.

საუბედუროდ, ქართველობა კარგად ვერ იცნობს თავის მართლაცდა საამაყო შვილს, ბევრი მისი ნაწერი მოთავსებულია რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა გამოცემებში. უმთავრესი ევროპული ენები სამაგალითოდ იცოდა და თავისუფლად სწერდა მათზე.

ჩვენმა მეცნიერმა მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა. ვფიქრობთ, მრავალიც გამოსაქვეყნებელი დაგვიტოვა. მისი მემკვიდრეობის სრული აღწუსხვა შეუძლებლად მიგვაჩნია ამჟამად. დავასახელებთ ზოგიერთს. მან პირველმა ყოველმხრივ სრულად გამოიკვლია და შეაფასა საკითხი საქართველოს შეერთებისა რუსეთთან. ეს რუსულად დაწერილი წიგნი ორჯერ იყო გამოცემული. ლტოლვილობაში მან ყველა კავკასიელისათვის ხელმისაწვდომად გამოსცა წიგნი „საქართველოს დამოუკიდებლობა". რაც არ უნდა სთქვან წუნის დამდებლებმა, მასში ბევრი რამ არის საყურადღებო. წრფელად, თუნდაც მწარედ ნათქვამი, სამშობლოს თაყვანისცემამ უეჭველად უნდა აგვატანინოს. მან გამოსცა წიგნი „ჯვაროსანთა დროიდან", სადაც ნამდვილი მეცნიერული დოსტაქრობა გამოიჩინა: შეაგროვა მასალა, გაარჩია, ზოგი რამ იქიდან შორს გასტყორცნა, სამაგიეროდ ბევრი რამ საღი შეჰმატა ძველ ნარკვევს და ყველას აუწყა, თუ რა სახელი ჰქონია წინათ ჩვენს ეხლა დაკნინებულ და დაჭუცმაცებულ ქვეყანას. ზურაბ ავალიშვილმა მოგვცა „ვეფხის ტყაოსნის" მრავალმნიშვნელოვანი განმარტებანი მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა მკითხველმა თავისებურად გაიგო ეს შრომა. მანვე მოგვცა დიდებული ანალიზი თეიმურაზ პირველის ნაწარმოებისა თავის დედის წმინდა ქეთევან-დედოფლის მარტვილობის შესახებ, სადაც საოცარი კვლევითი ნიჭით აგვიხსნა, საიდან შეიტყო მე-17 საუკუნის გერმანელმა მწერალმა ანდრეას გრიფიუსმა ეს საშინელი ქართული ტრაგედია და რამ მიიზიდა ამ ამბავში მისი გული განთქმული პიესის დასაწერად... მეცნიერული სიდინჯით, თავშეკავებითა და სიფრთხილით შეუდგა იგი ტაო-კლარჯეთის მბრძანებლის დავით კუროპალატის ხანის გამოკვლევას და მოგვცა მომხიბლავი ნაწარმოები. მისი მკითხველი რწმუნდება და გებულობს, რომ დავით კუროპალატს ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდნენ საქართველოს სასახელოდ ბაგრატ მე-3, დავით ალმაშენებელი და თამარ-მეფე... სამწუხაროდ, ეს შრომა გამოქვეყნებულია მარტო ფრანგულ ენაზე, ისიც ვიწრო სპეციალურ გამოცემაში. არავითარი საშუალება არა გვაქვს ყველა მისი თხზულების სია შევადგინოთ. ეს შესაძლებელი გახდება, როცა გადაისინჯება მისი დანატოვარი ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობა. უკანასკნელი დროის მუშაობას ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ.

ჩვენი სწავლულის შეფასება არ იქნება სრული, თუ არ გავიხსენეთ მისი ფენომენალური შეხსიერება, ცოდნა სხვადასხვა ხალხთა ლიტერატუ-

რისა და მათი ხელოვნების ისტორიისა. ამავე დროს ზურაბი იყო დიდი მოყვარული ფიზიკური ვარჯიშისა და სპორტისა, მომხრე იყო ტურიზმისა და ალპინიზმისა. ერთხელ, მახსოვს, რუსეთიდან მომავალმა ფეხით გადმოლახა კავკასიონი სვანეთ-ლეჩხუმის გზით. თბილისში გვისაყვედურებდა ყველას სპორტისა და ტურიზმის უქონლობას. ეს იყო პირველი რევოლუციის წინ. მერე დაგვიარსდა „შევარდენი“ და ეხლა ხომ ტურიზმიც გაჩნდა, მხარეთმცოდნეობა და თვით ალპინიზმიც. ამ უკანასკნელმა რამდენიმე მსხვერპლი შეიწირა, მაგრამ სახელოვანი მთასვლელნი შეგვძინა.

ზურაბი იყო გულმართალი, სასტიკი მსაჯული თავისთავისა, ის არ ჩაიდენდა არაფერს, რაც ზნეობასა და პატიოსნებას დაშორებული იყო-თუ ვისმე დაუმეგობრდებოდა, მტკიცედ ინახავდა მას. ჩვენებური „დღევანდელი მეგობრობა — ხვალინდელი მტრობა“ ვერ გაეგო, არა სწამდა. ამიტომაც სამეგობროდ და სამეუღლოდ არჩეული ნორვეგიული ოჯახის შვილის მაია ფოგტის დაკარგვას ვერ გაუძლო და ბევრი ხანი არ გასულა, თვითონაც მას გაჰყვა. რამდენიც უნდა გვიმტკიცონ მკურნალებმა, სიცივეს, გაცივებას ისე არ დაუუძლურებია ჩვენი ზურაბი, როგორც ფსიქიკურ ფაქტორს — მეგობარი-მეუღლის დაკარგვას. ქალბატონი მაია კეთილგუნებიანი ქალი იყო, ყოველმხრივ განათლებული, როგორც შეჰფერის ფრიტიოფ ნანსენისა და სტანისლავ პშიბიშევსკის მახლობელ პირს, მან შეუქმნა თავის ღირსეულ მეუღლეს მყუდრო ცხოვრება, სასიამო კერა, სადაც არაერთ ქართველ ახალგაზრდას ტკბილად დრო უტარებია. გაიბზარა კაჟიანი სხეული რაინდისა, რომელშიც გამოსჭვიოდა სამხრეთის, თანაც ჩრდილოეთის, ბუნება. ბერლინში პარიზიდან გადმოსელისას ვეღარ ვიცანით ვაჟკაცი ზურაბი... და აი, ეხლა მოგვშორდა ფიზიკურად, სულიერად კი ის ჩვენთან არის. ამის თავდებია მისი დაუფასებელი ღვაწლი, მას უწერია მარადიული სიცოცხლე მის მშობელ ქართველ ხალხთან ერთად.

ბრიგოლ დიასამიძე

„საქართველო“

№ 27 (104) ბერლინი, 10 ივლისი, 1944 წ.

ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი

## საზეიმო საღამო

1 ივლისს, პოტსდამში, „ალტერ ფრიცის“ ისტორიულ დარბაზში ჩატარდა დიდი ზეიმი კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად.

ვრცელი დარბაზი სტუმრებს ვეღარ იტევს. აქ არიან კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები — ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილო-კავკასიელები. ზეიმზე დასასწრებად მოსულან მხედრები, ნაციონალური ლეგიონების დელეგატები, გერმანელი და უცხოელი სტუმრები.

საღამო გაიხსნა ქართული საკავშირო შტაბის წევრის, დოქტორი გ. მაღალაშვილის სიტყვით, რომელმაც ვრცლად და საფუძვლიანად დაახასიათა კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და კავკასიის ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის.

სომხეთის საკავშირო შტაბის სახელით ილაპარაკა პოლკოვნიკმა ვ. სარქისიანმა.

აზერბაიჯანის საკავშირო შტაბის წევრი, ბ-ნი ა. ათამ-ალიბეკოვი თავის სიტყვაში შეეხო აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღის მნიშვნელობას.

ქართული საკავშირო შტაბის წევრმა, ობერლეიტენანტმა გივი გაბლიანმა, თავის ღრმაშინაარსიან სიტყვაში დაახასიათა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე — 26 მაისი, როგორც ქართველი ერის თავისუფლების სიმბოლო.

ჩრდილო-კავკასიელთა ეროვნული კომიტეტის სახელით ილაპარაკა ამავე კომიტეტის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ახმედ-ნაბი მაგომამ.

საღამოს მეორე ნაწილში, რომელიც ვრცლად და საინტერესოდ იყო შედგენილი, თავიანთი ხელოვნება გვიჩვენეს სომხურმა მოსიმღერეთა და მოცეკვავეთა ჯგუფმა ა. სევანიანის ხელმძღვანელობით, ქართულმა გუნდმა ლოტბარ დ. კავსაძისა და ქორეოგრაფ ქავთარაძის ხელმძღვანელობით და ჩრდილო-კავკასიელთა ანსამბლმა ა. იუსკაევის ლოტბარობით.

შეკრებას მიესალმა გენერალი ფონ ვარტენბურგი, გენერალი კესტრინგი და გენერალი ჰაინგენდორფი.

საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა და განსაკუთრებული მოწონება ჰპოვა სტუმართა შორის.

## ჩვენზე ზრუნავს დიდი გერმანია

დღიდან განმათავისუფლებელი ომის დაწყებისა, გერმანიის შეიარაღებული ძალების რიგებში მრავალი ათასი მოხალისე გაერთიანდა და მონაწილეობა მიიღო შეუპოვარ ბრძოლებში ევროპის ყველა ჯურის მტრის წინააღმდეგ. მათ მიერ გაღებულ მსხვერპლს, გერმანიის უმაღლესი სარდლობა განსაკუთრებულ ანგარიშს უწევს, მიუხედავად მეტად გართულებული საერთაშორისო მდგომარეობისა, უცხოელი დაჭრილ-დასახიჩრებული მოხალისეების მიმართ, სათანადო დახმარებასა და ზრუნველობას იჩენს. მათთვის ეწყობა დასასვენებელი სახლები, ფასართობები, მუდმივი თავშესაფრები...

ქართველ დაჭრილ-დასახიჩრებულ მოხალისეებს ამ მხრივ ყველაზე უკეთესი პირობები აქვთ შექმნილი. რუპოლდინგის დასასვენებელი სახლი დაუფასებელ დახმარებას უწევს მათ. დღემდე აქ დაისვენა და პროტეზები გაიკეთა მრავალმა დაჭრილმა მოხალისემ. ისინი კმაყოფილნი დაბრუნდნენ ნაწილებსა და თავშესაფრებში და შადლობას უხდიან ხელმძღვანელობას მათდამი დაუღალავი მზრუნველობისათვის.

მაისის თვიდან, გერმანიის სახელმწიფო კულტურის კამერამ და სტუდენტთა ჯანმრთელობის სამართველომ, მოაწყეს ერთთვიანი დასასვენებელი სახლი უცხოელი დაჭრილი სტუდენტებისათვის შტრობელსა და კურორტ კრინიცაში. აქ ისვენებდნენ გერმანელი, რუმინელი, ბელგიელი, ფრანგი, ჰოლანდიელი და ქართველი დაჭრილი სტუდენტები, რომლებსაც საუკეთესო პირობები ჰქონდათ შექმნილი ჯანმრთელობის აღდგენისა და კულტურული ცხოვრებისათვის.

დაჭრილი ქართველი მოხალისე სტუდენტები აღფრთოვანებული დაბრუნდნენ უკან. ისინი ესტუმრნენ გაზ. „საქართველოს“ რედაქციას და მხურვალე მადლობა გადასცეს გერმანიის ხელისუფლებისადმი, რომელიც ასე გულთბილად ზრუნავს უცხოელი დაჭრილი სტუდენტებისათვის.

მოხ. თ. ჩოხელი

## მკითხველი და გაზეთი

### ყველაზე გასრი იარაღი

დღევანდელი ომი იდეოლოგიური ომია. ორი მსოფლმხედველობა — ბოლშევიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯახნენ ერთმანეთს. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები — ჩვენი მოხალისეები შეგნებულად დადგნენ გერმანიის მხარეზე, რომელმაც თავისთავზე აიღო ევროპის დაცვა ბოლშევიკური მუქარისაგან.

პროპაგანდას დღევანდელ ომში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც საბრძოლო იარაღს. იდეოლოგიური ბრძოლა მოითხოვს მეტ სიტყვიერ თუ წერილობითს პროპაგანდას; პრესას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია.

გაზ. „საქართველო“ ამ მხრივ შესანიშნავად პასუხობს იმ ამოცანებს, რასაც მძა ქართველი მოხალისე უყენებს. იგი უნერგავს ჩვენს მებრძოლ ახალგაზრდობას გამარჯვების ურყევ რწმენას, მიზნის სიცხადეს და ზრდის მასში პატრიოტიზმის წმიდათაწმინდა გრძნობას.

ჩვენი ნაწილის ქართველები სიამაყით ვაცხადებთ, რომ ჩვენი ეროვნული აღზრდისა და საბოლოო გათვითცნობიერების საქმეში „საქართველომ“ ფასდაუდებელი როლი შეასრულა.

დაე, მომავალშიც ასეთი ბასრი იყოს თქვენი პროპაგანდა, კალმით მებრძოლო მეგობრებო!

მოხ. ჯ. დ.

## ჩვენი სალამი

ჩვენ, ქართველ მოხალისეთა ერთი ჯგუფი, ჩვენი მშობლიური გაზეთის რედაქციას ვუსურვებთ ყოველმხრივ წარმატებას და იმ ამოცანების ბრწყინვალედ შესრულებას, რაც მას ქართულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დააკისრა.

გაზეთი „საქართველო“ ერთერთი ძირითადი იარაღია ჩვენი ეროვნული აღზრდისა, იგი გადაიქცა შეუდარებელ ტრიბუნად ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

როგორც თქვენ, რედაქციის მუშაკები, ისე ჩვენც ქართველი მებრძოლები, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დღევანდელ საბედისწერო ბრძოლაში ქართველი ხალხი, გმირი გერმანელი ჯარისკაცის გვერდით, სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს კაცობრიობის სულთამხუთავ ბოლშევიზმს. ჩვენ შაშხანით ხელში, ფრონტზე, ხოლო თქვენ — კალმით შეიარაღებულ ზურგში, ვემსახურებით ერთ საქმეს — სამშობლოს სახელით ევროპის მტრების წინააღმდეგ ბრძოლას.

ქართველი მოხალისეების გმირული საქმეები ყირიმში ბოლშევიკების წინააღმდეგ, კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, სადაც არ უნდა ვიყოთ ჩვენ, შეგვიძლია ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები.

გაზ. „საქართველო“ ამ საქმეში დიდი კელაპტარია, რომელიც გზას გვინათებს, ხალისით გვავსებს და მხნეობას გვმატებს.

მადლობა ჩვენი გაზეთის მესვეურთ, ასეთ, პირობებში სრულფასოვანი გაზეთის გამოშვებისათვის.

მოხ. მ. ჯ.

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 28 (105) ბერლინი, 17 ივლისი, 1944 წ.

ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი

## მოხალისის უბის წიგნაკიდან:

# ირანში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. — ირანის საზღვრის გადალახვა. — როგორ დაესხა თავს წითელი არმია მშვიდობიან სპარსელებს. — ჩვენი ნაწილის ლაშქრობა ჩრდილო ირანის უდაბნოში. — „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. — სპარსელების თავდაცვა მაინც საგრძნობია. — რუსებმა იწვნიეს, რას ნიშნავს დაუპატიჟებელი სტუმრობა. — კლდის ქალაქი მაქუ. როგორც გვიყურებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები.—ჩვენც მაინც შიგვრეკავენ წინ. — ურმია. — სპარსული ცხენოსანი დივიზიის გმირობა. — ჩვენ ეხლა თურქეთის საზღვართან ვართ. — რუსები მხეცებსავით გვექცევიან. — მოთმინების ფიალა აივსო. — ქართველი ვაჟკაცები სამაგიეროს უხდიან დამრონებლებს. — ხოი — წალკოტთა ქალაქი. — ვარდების ბაღნარი. — ჩემი მგზავრობა თავრიზში. — მინარეთების სამფლობელოში. — მოულოდნელი შეხვედრა ფერეიდნელ ქართველებთან. — თავი სიზმარში მგონია. — ყოლა ჰუსეინ ბოინელის ნაამბობი.

წითელ არმიაში საკუთარი სურვილის წინააღმდეგ გაწვეულს, უნდა მებრძოლა კრემლის მესვეურთა გაზრდილი მადის დასაკმაყოფილებლად...

ჩვენი ნაწილი საბჭოთა აზერბაიჯანში, ზედ ირანის საზღვარზე იყო დაბანაკებული. ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ჩვენს შორის აქა-იქ ჩურჩული ისმოდა — ირანის საზღვრები უნდა გადავლახოთო. სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო, მაშ რათ მოგვიყვანეს ასე ახლოს საზღვართან?

საშინელ პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება. დღისით სანგრებიდან თავს ვერ ამოჰყოფდი, მხოლოდ ღამით შეიძლებოდა თხრილებიდან ამოსვლა. განსაკუთრებული ნერვიული მდგომარეობა სუფევდა. არ ვიცოდით — რა მოხდებოდა.

ბოლოს დადგა გადამწყვეტი წუთებიც...

1941 წლის 25 აგვისტო...

წინა ღამით არ დაგვაძინეს, დილამდე გაცხარებული მზადება იყო, გაგვაბმევინეს ტელეფონის სადენები, მანქანები მოიყვანეს წესრიგში; მოიწვიეს მეთაურთა და კომისართა კრება, საიდუმლოდ რაღაც ბრძანება გააცნეს.

ჩვენ — როგითმა ჯარისკაცებმა — არაფერი ვიცოდით, ან ვინ რას გვეტყოდა ამის შესახებ, როდესაც ჩვენი სახით მათ ბრძანების ბრმა შემსრულებელნი ეგულებოდათ...

დილის 5 საათზე მიღებულ იქნა პირობითი ნიშანი საზღვრის გადალახვის შესახებ.

დაფაცურდნენ კომისრები. ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაინახავდით ნაგანამოღებულ გაბღენძილ ურიას, რომელიც დედის გინებით ამყარებდა „რევოლუციურ წესრიგს“. ჩვენი ოცეული მეტწილად ქართველებისაგან შესდგებოდა. ბრძოლისა არცერთ ჩვენგანს არ შეშინებია, მაგრამ არამცთუ საამისო სურვილი არ გვქონდა, არამედ, პირიქით, გვძულდა ყველაზე მეტად ის წრე, რომელიც თვითონ ჩვენ გარს გვეხვია. ჩვენი მიზანი იყო პირველი შესაძლებლობისთანავე სამაგიერო გადაგვეხადა იმ დაცინვისა და დამცირებისათვის, რასაც რუსი და ურია კომისრები, ისევე როგორც მეთაურთა დიდი ნაწილი, გვაყენებდა. და რატომ უნდა გვებრძოლა ჩვენი სისხლისმსმელების, სამშობლოს დამპყრობლებისა და ქართველი ხალხის დამმონებლების ინტერესებისათვის, ისეთი ხალხის წინააღმდეგ, რომელთაც ჩვენი ქვეყნის მიმართ დღეს არავითარი პრეტენზიები არა აქვთ?

მაგრამ ნათქვამია — ძალა ალმართს ხნავსო.

ჩვენც, როგორც პირუტყვი, სასაკლაოზე ძალით გაგვრეკეს...

სისხამ დილას იგრიალა ბოლშევიკების არტილერიამ. ირანის სასაზღვრო ჯიხურებიდან ვაჟკაცური წინააღმდეგობა გაგვიწიეს სპარსელმა მესაზღვრეებმა. მაგრამ, რეგულარული ჯარისა და არტილერიის უქონლობის გამო, და აგრეთვე იმ მიზეზით, რომ „განმათავისუფლებელი“ წითელი არმია ქურდულად, მოულოდნელად დაესხა თავს მშვიდობიან სახელმწიფოს, ისინი ჩვენ საგრძნობი წინააღმდეგობით ვერ დაგვიხვდნენ. წითელი არმიის ნაწილები, მესაზღვრეთა ლიკვიდაციის შემდეგ, ირანის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. რუსების კვეხნას საზღვარი აღარ ჰქონდა. ასევე მოვექცევით გერმანიასაც, რიხით აცხადებდნენ ისინი, ეს იმ დროს, როდესაც დასავლეთის ფრონტიდან ყოველდღიურად მოდიოდა ცნობები რუსეთისა და უკრაინის ქალაქების „გმირულად დატოვების“ შესახებ...

ირანის სილრმეში არავითარი წინააღმდეგობა აღარ შეგვხვედრია. ჩვენ მოვექეცით ქვეყნის ისეთ ნაწილში, სადაც ერთი მოსახლეც კი არ იყო. თვალუწვდენელი ველი ნამდვილ უდაბნოს წარმოადგენდა. არცერთი ხე, არცერთი ბუჩქი, ასე გასინჯეთ, ბალახიც კი არ შეგვიმჩნევია. გადახრუ-

კულ არემარეს მზის სხივებისაგან ალმური ასდიოდა. უდაბნოს სჭირდა ნახევრადდანგრეული საურმე გზა, რომელზედაც გავლა, განსაკუთრებით მოტორიზებული ნაწილებისათვის, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

ჩვენი განწყობილება ირანში შესვლისადმი უკვე ცოტა შეიცვალა. ზოგი ჰირი მარგებელიაო — ამბობდნენ ცნობისმოყვარე ქართველი ახალგაზრდები. პირადად მეც დიდი სურვილი მქონდა შემთხვევა გამომეყენებინა და აღმოსავლეთის ეგზოტიკით ეგზომ მდიდარი მხარე შესაძლებლობისამებრ გამეცნო...

გზას ბოლო არ უჩანდა. ჩვენი ნაწილები თვალშეუდგამ სივრცეზე გაჰიმულიყვნენ, ომს ისინი დამთავრებულად სთვლიდნენ და სპარსელების მხრიდან არავითარ წინააღმდეგობას არ მოელოდნენ.

რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ, მთები გამოჩნდა, ჩვენი გზაც მთის ვიწრო ხეობაში შედიოდა. ქვიშიანი უდაბნო და სალი რუხი კლდეები, რომლებიც ჩვენს თვალწინ პირქუში ბუმბერაზების მსგავსად აღმართულიყვნენ, რაღაც საშინელ სანახაობას წარმოადგენდენ. ლოდების ქვეშ, რომელიც ამ უდაბნოში უხვად იყო გაბნეული, მეფური თელემით ეძინათ მკლავისსისქე გველებს... „არსაიდან ხმა. არსით ძახილი“. მაგონდებოდა დიდი ილიას სიტყვები და ვგრძნობდი, რომ ამ მყუდროებას მხოლოდ ჩვენი „ძლევამოსილი“ მარში არღვევდა.

მთის ვიწრო ხეობაში პატარა მდინარე ჩამოდიოდა, რომელიც სიცხისაგან ისე დამშრალიყო, რომ ნაკადულს უფრო ჰგავდა. გზა მდინარის პირას მიიკლაკნებოდა. შორიდან მოჩანდნენ მაღალი მთების რუხი სილუეტები.

უეცრად მთის ფერდობიდან ტყვიამფრქვევი აკაკანდა, მას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, გაღმა მთიდანაც გამოძახილმა უპასუხა ამ გამაყრუებელ ხმაურს და ატყდა ერთი ორომტრიალი. ხეობა გამაგრებული იყო. სპარსელებს თავდაცვისათვის სტრატეგიულად საუკეთესო ადგილი შეერჩიათ. დაფრთხნენ წითელი არმიის „გმირი მებრძოლები“, უწესრიგოდ ეხლებოდნენ ერთმანეთს, ზოგი შიშით მდინარეში გადაცვივდა, ზოგი მანქანის ქვეშ მოჰყვა...

კრიტიკული მომენტი დაუდგათ დაუპატიჟებელ სტუმრებს...

მოხ. მ. ეცერელი

## რომორ ერთობიან მოხალისეები

გერმანული სარდლობა სათანადო ყურადღებას უთმობს მოხალისეთა კულტურული გართობის საქმეს. მოხალისეთა დასვენება ლეგიონში ისეა ორგანიზებული, რომ ჩვენს მებრძოლებს სრული შესაძლებლობა ეძლევათ თავიანთი ჯარისკაცური ცხოვრება შეუთავსონ კულტურული ცხოვ-

რების მოთხოვნილებებს. ლეგიონში არსებობს საკმაოდ ძლიერი მომღერალთა გუნდი. კონცერტები ტარდება, როგორც ადგილობრივად ქართველი მოხალისეებისა და გერმანელი ჯარისკაცებისათვის, ისე საველე ათასეულებშიც, ფრონტზე. მოხალისეთა გართობის საქმეში განსაკუთრებულ ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს ჯაზ-ორკესტრი მოხალისე კაპელმაისტერის ვ. გ.-ლის ხელმძღვანელობით. ლეგიონის ეზოში ყოველკვირა-დღეს ტარდება ამ ჯაზ-ორკესტრის კონცერტი. ყველა დიდი სიამოვნებით ისმენს ქართულ და გერმანულ სიმღერებს.

მოხალისეებს განსაკუთრებით მოსწონთ გერმანიიდან ჩამოსული მსახიობების კონცერტები. უკანასკნელ ხანებში ჩატარებული გერმანული კონცერტებიდან აღსანიშნავია სიმფონიური ორკესტრის გამოსვლა. ლეგიონის თეატრის დარბაზი სავსე იყო მოხალისეებით, რომლებიც აღფრთოვანებული ისმენდნენ გერმანიისა და სხვა ქვეყნების ცნობილი კომპოზიტორების დამატკბობელ სიმფონიებს. სწარმოებს კინოსურათების გაშვებაც.

მოხალისეებს დიდი სურვილი აქვთ ნახონ სცენაზე ქართული წარმოდგენაც. უნდა აღინიშნოს, რომ ლეგიონში არსებობს ყოველგვარი შესაძლებლობა დაკმაყოფილდეს მოხალისეთა ეს სურვილი. იმედი გვაქვს, საპროპაგანდო ჯგუფი ამ მიმართულებით სათანადო მუშაობას გაშლის.

მოხ. შ. რ.

## გიორგი საკაძის სახელობის დასასვენებელი სახლი

ამ რამდენიმე დღის წინათ გაიხსნა დასასვენებელი სახლი № ქართული ათასეულის მოხალისეებისათვის.

ზღვის ახლოს, მწვანით შემოსილ გარემოში, სდგას ლამაზი შენობა, დაფარული უზარმაზარი ხეების ჩრდილით. გერმანიის სხვადასხვა დაწესებულებათა ენერგიული დახმარებით ეს სახლი გადაქცეულია ჯანმრთელობის კერად ქართველი მოხალისეებისათვის, სადაც ისინი კუთვნილ შვებულებას ატარებენ. დასასვენებელი სახლის შინაგანი მოწყობილობა მოგვაგონებს იშვიათი გემოვნების მორთულ პირველი კატეგორიის სასტუმროს. სასპორტო მოწყობილობა, ჰადრაკი, შაში და სახლის ფართო აივანი უზრუნველჰყოფენ მოხალისეთა როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ დასვენებას, უხვი და ნაყოფიერი საკვები კი — მათი ჯანმრთელობის აღდგენას. მოხალისეებმა სახლს ქართველი ეროვნული გმირის გიორგი საკაძის სახელი მიანიჭეს.

მოხ. ბ. ხ.

## პერეკოპის ბრძოლების მონაწილენი გაზ. „საქართველოს“ რედაქციაში

ჩვენს რედაქციას ესტუმრნენ ბერლინში დასასვენებლად ჩამოსული, პერეკოპის ბრძოლების მონაწილე ქართველი მოხალისენი. ისინი ჩამოვიდნენ ჩვენთან ათინიდან, სადაც დღეს მათი ათასეული იმყოფება.

გულთბილი შეხვედრისა და ამხანაგური საუბრის შემდეგ, პერეკოპის ბრძოლების მამაცმა მონაწილეებმა რედაქციის მუშაკებს უამბეს თავიანთი წარმატებების შესახებ პერეკოპის ყელზე, გაუზიარეს, რა პირობებში მოუხდათ ყირიმის დატოვება და როგორ ჩავიდნენ საბერძნეთში.

— ჩვენი ბიუების გმირობა პერეკოპზე მართლაც რომ განმაცვიფრებელია, — მოგვითხრობს უნტეროფიცერი მ. მ-ლი, — ქართველმა ახალგაზრდობამ აქ ნამდვილად დაამტკიცა, რა უშრეტი ბრძოლის ჟინი ახასიათებს ქართველს, როდესაც მან იცის, რისთვის და ვისთან იბრძვის. ჩვენმა მოხალისეებმა არაერთი და ორი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს ყირიმის დაცვის ისტორიაში. აი, ერთი ეპიზოდი: პერეკოპის ყელიდან უკანდახევის დროს, ჩვენი მოხალისეთა ჯგუფი მახლობელ სოფელში დაბანაკდა. რუსები დიდი ძალებით გვიტევდნენ. სოფელში თავდაცვა ეკავა გერმანულ ნაწილს. იქ მყოფი შტაბი გერმანელი გენერლითურთ, ალყაში მოექცა. დაღუპვა ვერ აგვცდებოდა, რომ ქართველ ვაჟკაცებს არ გამოეჩინათ გაუგონარი გმირობის მაგალითები. ჩვენ გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, საყვარელი გენერალი ალყიდან გამოგვეხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს წინადადება მოგვეცა, გავსულიყავით სოფლიდან, ჩვენ მაინც არ დავტოვეთ იგი და მთელი ძალით ვეკვეთეთ მტერს. ალყის გარღვევა საბოლოოდ მაინც შევძელით და გერმანელი გენერალი, როგორც სხვა ამხანაგები, გამოვიხსენით.

მეგობარი გერმანელი ჯარისკაცებისადმი ჩვენი ასეთი საბრძოლო დახმარების საუკეთესო გადახდა განსაკუთრებით ვიგრძენით მაშინ, როდესაც ქართველი მოხალისეები სევასტოპოლში გემზე ვიტვირთებოდით, ხოლო გერმანელი მებრძოლები უკანასკნელ წუთამდე იცავდნენ ჩვენს უკან-შეხედვას.

ყირიმიდან ჩვენი ათასეული, რუმინეთის ნავსადგური ბრაილას გავლით, საბერძნეთში ჩავიდა. ამ უძველესი კულტურის მქონე ქვეყანამ ალტაცებაში მოგვიყვანა. განსაკუთრებით განვცვიფრდით ათინის ისტორიული ძეგლების დათვალიერებით, დიდებულმა აკროპოლმა ხომ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. საბერძნეთში შევხვდით აგრეთვე ქართულად მოლაპარაკე მრავალ ბერძენს, რომელნიც საქართველოდან, ამ ომის დაწყების შემდეგ, საბერძნეთში გადმოესახლებინათ. მათს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი გვეწვმუნებდნენ — ჩვენი ერთად-

ერთი სამშობლო საქართველოა და აქ ჩვენ თავს უცხო ქვეყანაში ვგრძნობთო.

დასასრულ, რედაქციაში სტუმრად მოსულმა მოხალისეებმა საჩუქრად მიიღეს ჩვენი გამოცემები, გაზეთის ახალი ნომრები და სხვ.

შეხვედრა მეტად მეგობრულ ატმოსფეროში ჩატარდა.

## ქართული კულტურის ქრონიკა

### „ქართველი პოეტები"

ბ-მა არჩილ მეტრეველმა შეადგინა მეტად საინტერესო კრებული „ქართველი პოეტები", სადაც მოთავსებულია ყველა ცნობილი ქართველი პოეტის რჩეული ლექსები და პოემები, დაწყებული ალექსანდრე ჭავჭავაძიდან დასრულებული იოსებ გრიშაშვილითა და გრიგოლ რობაქიძით. წიგნს დართული აქვს პოეტთა ბიოგრაფიები და პორტრეტები, შეიცავს 400 გვერდზე მეტს და გამოდის „ქართველი მოხალისის საველე ბიბლიოთეკის" მეოთხე ნომრად. კრებული გამოვა მოკლე ხანში.

### „გერმანული ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო"

იბეჭდება და რამდენიმე კვირის შემდეგ გამოვა ბ-ნ არჩილ მეტრეველის წიგნი: „გერმანული ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო" („ქართველი გერმანიაში"), ახალი, შევსებული გამოცემა.

წიგნი შეიცავს მდიდარ სასაუბრო მასალას და შეუძლია დაუფასებელი დახმარება გაუწიოს გერმანული ენის შემსწავლელ მოხალისეებს.

### „ჰუმორისტული კრებული"

სტამბას გადაეცა ბ-ნ არჩილ მეტრეველის მიერ შედგენილი „ჰუმორისტული კრებული" — „გასართობი", რომელშიც თავმოყრილია სახალხო ლექსები, სცენები, კომედიები და სხვ.

### ჟურნ. „ქართველი ერი", № 8—9

გამოვიდა ყოველთვიური ჟურნალი „ქართველი ერი", № 8—9. მასში მოთავსებულია შემდეგი მასალები: ქართული საკავშირო შტაბი — 26 მაისი; თ. გურიელი — უდიდესი ქართული დღესასწაული; ბ. ვარდანი —

26 მაისი და გერმანია; ბ. ბებურიშვილი — 26 მაისი და ინგლისი; სტეფანე კასრაძე — თარი-არალე (რომანი); გ. გ-ძე — დაბრუნება სიზმარში, შემოდგომა ჩვენში (ლექსები); გ. ყიფიანი — შალვა ამირეჯიბს (ლექსი); გ. შაორისპირელი — წინაპრის სკივრთან (ლექსი); გ. ყიფიანი — შ. გედევანიშვილს (ლექსი); ი. მანწკავა — თანამედროვე ქართული ლიტერატურის ვითარება; ვ. ნოზაძე — ეროვნული ერთობის საფუძვლები; გ. ჟურული — საქართველოს მორიგი საკითხები; პროფ. მ. წერეთელი — ზ. ავალიშვილი; პროფ. ივ. ჯავახიშვილი — ქართული და კავკასიური ენები; ისტორიული საბუთები, ა. დეკანოზი — გიორგი დეკანოზიშვილი; თ. სახოკია — გიორგი დეკანოზიშვილი; ვ. ნ. — ქართულ-იაპონური ურთიერთობა; ვ. ნ. — ქართულ-თურქული ურთიერთობა.

## ჟურნ. „საქართველო“ № 2

იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა ჩვენი გაზეთის პერიოდული დამატება, ჟურნალი „საქართველოს“ მეორე ნომერი. მასში მოთავსებულია შემდეგი მასალები: პოეზია — ამურის, ვ. ურდოელის, გელას, კ. რაჭველის, გ. შაორისპირელისა და სხვ. ლექსები; ფრ. შილერი — გაზაფხულს, ი. ვ. გოეთე — პირველი დანაკლისი (თარგ. გერმანულიდან); ესპანური ხალხური სიმღერები (თარგ. ესპანურიდან); სტეფან გეორგე — დღის სიმღერა (თარგ. გერმ.). პროზა — ლ. ლიონი — შატილის ღამე (ისტორიული ქრონიკა); თეოდორ შტორმი — იმენზეე (ნოველა, თარგ. გერმ.); ვიქტორ ჰიუგო — ნორმანდიელი კაპიტანი (თარგ. ფრანგ.); მეცნიერება-პუბლიცისტიკა — პაატა ვარძიელი — თანამედროვე სალიტერატურო ქართული; დოქტ. ვ. ნოზაძე — ბრძოლა ეროვნული ერთობის საფუძველთა დაცვისათვის; ახალგაზრდა ფილოლოგი — შენიშვნები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. არქივი — გ. დ. — გიორგი მეცამეტის მიერ ბოძებული ერთი სიგელი. გ. დ. — გრიგოლ ორბელიანის ახლადაღმოჩენილი წყაროებიდან; გ. დ. — ნიკო მარის ზოგიერთი გამოუქვეყნებელი წერილი. წარსულიდან — დ. საღირაშვილი — აჯანყება მეტეხის ციხეში; გელა — შოგონებანი ჩვენს მწერლებზე (ვაჟა ფშაველა, დავით კლდიაშვილი). ბიბლიოგრაფია — პ. ვ. — პროფ. დოქტორი რიჰარდ მეკელაინი — გერმანულ-ქართული ლექსიკონი; ბ. ვარდანი — დ. აინალოვის რუსული მონუმენტალური ხელოვნების ისტორია (გერმან.). ლიტერატურის მატიანე — ახალი ესპანური მწერლობიდან. ქრონიკა.

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 29 (106) ბერლინი, 24 ივლისი, 1944 წ.

ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი

# ქართველები ყირიმში

**სამხედრო კორესპონდენტი დაინი**

როდესაც ვიგონებთ ყირიმის ფრონტზე გერმანიის ჯარებ-ს მიერ ჩატარებულ გმირულ ბრძოლებს, არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ ქართული მოხალისეების ერთ ათასეულს, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ჯანკოის დაცვის ხაზი ეჭირა და თავგანწირული ბრძოლებით საკვირველ საქმეებს სჩადიოდა.

ქართველი მოხალისენი, ჯგუფ-ჯგუფად უკლიდნენ თავიანთი თავდაცვის რაიონს და არ აძლევდნენ საშუალებას ბოლშევიკების აგენტებს ხიდები და რკინიგზის ხაზი აეფეთქებინათ. მტერი დღედაღამ დივერსანტებს ჰგზავნიდა ჩვენს ზურგში, მაგრამ ქართველმა მებრძოლებმა ისეთნაირად გაანაწილეს თავიანთი საგუშაგოები, რომ მათ არ მისცეს სულ უბრალო დივერსიული აქტის ჩატარების საშუალებაც კი...

ახალგაზრდა ქართველ მებრძოლებს კარგად ახსოვთ ბოლშევიკების ბატონობის წლები საქართველოში, ახსოვთ დამონებული ქართველი გლეხობა და გაძვალტყავებული მუშები. განუსაზღვრელი ზიზღი ბოლშევიკებისა და მათი დამმონებელი პოლიტიკის მიმართ, თვითეულ ქართველ მამულიშვილს უორკეცებდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინს. გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად ბრძოლამ, საყვარელი სამშობლოს განთავისუფლებისა და ნაციონალური საქართველოს მომავლისათვის, ნაყოფი გამოიღო. ბრძოლის ამ უბანზე მტერმა ვერ შესძლო სრულიად უმნიშვნელო წარმატების მოპოვებაც კი. ქართველმა მოხალისეებმა გამბედაობის იშვიათი მაგალითი გვიჩვენეს სადგურ სარაბუოზე. სამხედრო მასალით დატვირთული მატარებლის ერთი ვაგონი, გაურკვეველი მიზეზის გამო, აფეთქდა. ცეცხლი მთელ შემადგენლობას განადგურებას უქადდა. ოთხმა ქართველმა მოხალისემ ყოველგვარი შიშის გარეშე, მატარებელს ცეცხლწაკიდებული ვაგონები მოხსნა და ამით აუარებელი ტყვია-წამალი გადაარჩინა. ამ საგმირო საქმით ქართველმა ვაჟკაცებმა დაგვიმტკიცეს არამარტო გამბედაობა, მათ უდიდესი სამსახურიც გაუწიეს გერმანელ ხალხს, უზრუნველჰყვეს ფრონტი საჭირო მასალით და აშკარად დაგვანახეს ნამ-

დვილი სახე ქართველი მოხალისისა, რომელიც, რწმენითა და დისციპლინით ისეთივე შეუდარებელი მებრძოლია, როგორც ძლევამოსილი გერმანელი ჯარისკაცი.

### საბრძოლო დავალება

ჩვენი ნაწილის შტაბიდან მიღებული იქნა ბრძანება: ოცმა მოხალისემ პასუხსაგები საბრძოლო დავალება უნდა შეასრულოს. ორი ათეული, ამოცანის კარგად გაცნობის შემდეგ, გაუდგა გზას.

მცირე მანძილიღა დარჩა ჯგუფის სამოქმედო რაიონამდე. როდესაც ჩვენ სიმაღლეზე გადავდიოდით, მოწინააღმდეგემ არტილერიის ცეცხლი გაგვიხსნა. დავწექით. ორიოდე წუთის შემდეგ კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. გვესმის კომანდა. ფრთხილად ვდგებით და თითო-თითო, მოკლე გადარბენებით განვაგრძნობთ მოძრაობას. ისევ ისმის ყუმბარების ზმუილი, ერთმანეთს ვეღარ ვარჩევთ აფეთქებათა კვამლში...

კვლავ სიჩუმე. დროს არ ვკარგავთ და ყუმბარების ჯერ კიდევ გაუფანტავ ბოლში განვაგრძობთ გზას.

ჯგუფმა მიაღწია მიზანს, შეასრულა ამოცანა და უდანაკარგოდ უკან დაბრუნდა.

მოხ. ვ. გ.

## ჩვენი საპროპაგანდო მუშაობა

მოხ. ი. ბეთანელი

### ქართული საკავშირო შტაბის პროპაგანდისტი

საპროპაგანდო მუშაობა ჩვენს სინამდვილეში მეტად რთულ და პასუხსაგებ საქმეს წარმოადგენს, რადგან მისი წარმოება გვიხდება იმ ადამიანებთან, რომლებიც საბჭოთა სისტემის პრინციპებზე აღიზარდნენ. პოლიტიკური აღზრდის ცალმხრიობა და არაობიექტურობა, რაც ახასიათებდა და ახასიათებს საბჭოთა წყობას, ჩვენს ახალგაზრდობას ჯერ კიდევ საგრძნობლად ემჩნევა.

მარქსისტული დოქტრინის ღეჭვა, ახალი თაობის „ლენინ-სტალინის პარტიის“ ერთგულებათ აღზრდა, ე. წ. „შემტევი კლასობრივი სიფხიზლე“, აი ის ძირითადი საშუალებანი, რითაც ბოლშევიკური სისტემა სცდილობდა ახალგაზრდობის ძირფესვიანად გადაგვარებას. დაწყებითი თუ საშუალო სკოლა, უმაღლესი და ყველა სახის სპეციალური სასწავლებელი წარმოადგენდნენ ბაზას, სადაც უნდა აღზრდილიყო დამოუკიდე-

ბელ აზროვნებას მოკლებული თაობა, რომელიც მტკიცე დასაყრდენი იქნებოდა საბჭოთა წყობილებისათვის.

ქართველი ახალგაზრდობისათვის უცხო იყო ეროვნულ შეგნებაზე აღზრდა, რადგან იგი სრულიად ეწინააღმდეგება „ლენინ-სტალინის პარტიის“ ე. წ. „იდეოლოგიურ საფუძვლებს“. ჩვენი ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების ალფა და ომეგა იყო „საკავშირო კ. პ. (ბ.), ისტორიის მოკლე კურსი“, ხოლო ეროვნული საკითხის გაგებისათვის — ერთადერთ მეცნიერულ შრომად აღიარებული, ს. ჯუღაშვილის წიგნი „მარქსიზმი და ნაციონალ-კოლონიური საკითხი“. ეს შრომა ცილს სწამებს ქართველი ერის მდიდარ ისტორიას, როცა ამბობს, რომ ქართველი ერი წარმოიშვა მხოლოდ მე-19 საუკუნეში. ამით, რა თქმა უნდა, ჩვენს ახალ თაობას ეცლებოდა საფუძველი ნაციონალური მეობის შეგნებისა და მისი ნორჩი აზროვნება ინტერნაციონალური შხამით იწამლებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქართველ მოხალისეთა შორის საპროპაგანდო მუშაობას უნდა მოვეპყრათ მეტი პასუხისმგებლობით და ამ დარგში სამუშაოდ შევარჩიოთ სათანადოდ მომზადებული პირები, რომლებსაც ღრმა შეგნებით სწამთ ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, ბოლშევიზმის დამარცხების აუცილებლობა და ქართული სახელმწიფოს აღდგენა.

წინამდებარე წერილში ჩვენ გვსურს ჩამოვთვალოთ ყველა ის ძირითადი საკითხი, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ქართველ მოხალისეთა აღზრდას ეროვნული სულისკვეთების პრინციპებზე:

1. უპირველეს ყოვლისა საჭიროა კომუნისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის გაშლა. განმარტება იმისა, რომ კომუნიზმი ანგრევს ჩვენი ერის ნაციონალურ სულს, ჰყოფს მას ურთიერთმოწინააღმდეგე კლასებად, რითაც ძირს უთხრის ერის არსებობას; იგი ხრწნის ქართული ოჯახის პრინციპებს და ახშობს კერძო ინიციატივას, როგორც სულიერ, ისე ეკონომიურ ცხოვრებაში. კომუნიზმმა დაანგრია ქრისტიანული მორალი, რომელიც უდიდეს პროგრესულ როლს თამაშობდა ქართველი ერის ნაციონალური მეობის აღიარებისა და შენარჩუნების საქმეში. საჭიროა მოხალისეებს დავანახოთ, რომ კომუნიზმი იყენებს შრომის ისეთ ფორმებს, რომლებიც თავისი გაუგონარი ექსპლოატაციით ბატონყმობის დროს არსებულ შრომასაც კი აჭარბებენ.

2. საჭიროა მოხალისეებს განვუმარტოთ ქართველი ერის ბრძოლების ისტორია საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით: ა). 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევა რუსეთის მიერ, ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო ორ თანასწორუფლებიან და სუვერენულ სახელმწიფოს, რუსეთსა და საქართველოს შორის; ბ). დარღვევა იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს და რომელიც ვერაგულად ფეხქვეშ გასთელეს წითელმა იმპერი-

ალისტებმა. ამით რუსეთმა დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უფლებები.

3. აუცილებელია მოხალისეებს გავაცნოთ გმირული ეპიზოდები ჩვენი ერის მდიდარი ისტორიიდან, რადგან „დავიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა...“

დიდი ილიას ამ უკვდავ სიტყვებს ავსებს აგრეთვე პარიზის უნივერსიტეტის ერთერთი პროფესორი, რომელიც შემდეგნაირად განმარტავს ქართველი ერის წარსულს: „საქართველო ყოველთვის მთლიანი შებრძოლებია ჩრდილოეთისა და სამხრეთის თავდამსხმელთ, და თუ ის გააგრძელებს მთლიანად ბრძოლას საქმით და არა მხოლოდ სიტყვით, მისი მომავალი იქნება ისეთი, როგრც ყოფილა მომავალი ყოველი ერისა, რომელსაც უბრძოლია თავისი დამოუკიდებლობისათვის. შეუძლებელია ქართველი ერის მიერ წარმოებული ბრძოლა ადრე თუ გვიან გამარჯვებით არ დაგვირგვინდეს...“

მოხალისეებმა უნდა იცოდნენ თავიანთი სამშობლოს ისტორია და ქართველი ერის შარავანდედით მოსილი ბრძოლების ეპიზოდები: ა). დიდგორთან ჩატარებული სახელოვანი ბრძოლა, სადაც დავით აღმაშენებელმა დაამარცხა დიდი კოალიცია; ბ). თამარ მეფის ეპოქა; გ). მარაბდის ბრძოლა; დ). მეფე ერეკლეს მიერ გადახდილი დიდი ბრძოლები ასპინძასთან, კრწანისი ომი; ე). 1921 წლის ბრძოლა ფოთლოს ხიდთან, სადაც თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ბოლშევიკური რუსეთის „სახელოვანი“ მე-11 არმია; ვ). ტაბახმელასთან ჩატარებული ბრძოლა; ზ). 1924 წლის აჯანყება, მისი მამოძრავებელი ფაქტორები და სხვ.

4. მოხალისეთა შორის უნდა ვაწარმოოთ პროპაგანდა იმის შესახებ, რომ ბოლშევიზმი ქართველი ერის ნაციონალური არსებობის უბოროტესი მტერია, რომელსაც საქართველოში არავითარი საფუძველი არა აქვს.

5. გავარკვიოთ ქართველი მოხალისეები იმაში, რომ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მისი ისტორიული მეგობრის დიდი გერმანიის გამარჯვების შედეგად. ყველა მოხალისემ უნდა კარგად იცოდეს, რომ გერმანია დღეს აწარმოებს ომს ახალი ევროპის შექმნისათვის, სადაც ქართველი ერი, როგორც ევროპული ერი, დაიკავებს თავის შესაფერ ადგილს.

6. მოხალისეებს უნდა განემარტოს, რომ ქართველების საშინელი მტერი იყო და არის ინგლისი, რომელმაც 1921 წელს ხელი შეუწყო ბოლშევიკურ რუსეთს მოეხდინა საქართველოს ოკუპაცია. ეხლა ინგლისი ყოველგვარ დახმარებას უწევს საბჭოთა რუსეთს და ხელს უშლის ჩვენს განმათავისუფლებელ ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ.

7. მოხალისეებმა უნდა იცოდნენ, რა აზრი აქვს ჩვენს ბრძოლას დასავლეთსა და აღმოსავლეთში, სამხრეთსა და ევროპის ყველა იმ კუთხე-

ში, სადაც გერმანიის სარდლობამ დაგვაყენა. უნდა ავუხსნათ მათ, რომ საქართველოს განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ ევროპის მტრებთან ბრძოლაში, ახალი ევროპისათვის ბრძოლა, იგივე საქართველოს განსათავისუფლებელი ბრძოლაა.

ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს მეტისმეტი მზრუნველობით, დაჯერების მეთოდით, რეალური ფაქტების სწორი ანალიზით, ჩვენი პროპაგანდის პრინციპი სწორედ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მოხალისე ადვილად რწმუნდებოდეს ჩვენს მიერ ნათქვამის სინამდვილეში.

ქართული საკავშირო შტაბის ხელმძღვანელობით უკანასკნელ ხანებში საპროპაგანდო მუშაობაში მნიშვნელოვან გარდატეხას აქვს ადგილი. პოტსდამის პროპაგანდისტთა კურსები დაამთავრა უკვე რამდენიმე ათეულმა მოწინავე ქართველმა მოხალისემ. ისინი გაიგზავნენ თავიანთ ნაწილებში და აწარმოებენ პრაქტიკულ საქმიანობას.

საკავშირო შტაბისა და უმაღლესი სარდლობის საპროპაგანდო განყოფილების მიერ ნაწილებში ხშირად იგზავნებიან აგრეთვე ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც იქ ატარებენ საინტერესო მოხსენებებსა და საუბრებს აქტუალურ თემებზე.

ქართული პროპაგანდის საქმე ჩვენს მოხალისეთა შორის უკვე მტკიცე ნიადაგზე დგას. დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში მას უფრო მეტი ყურადღება მიექცევა.

## დაჭრილთა პირველი ჯგუფი

ოთხი თვის წინათ მოხალისეთა ჯარების მთავარსარდლობამ გადასწყვიტა ახლად დაარსებული ერთერთი ლაზარეთისათვის „ქართული ლაზარეთის“ სახელი მიეკიჭებინა.

ქართველი ექიმები დანიშნულებისამებრ გავემგზავრეთ. გზაში ქართველ სანიტართა ჯგუფიც მოგვემატა. ლაზარეთის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიდიოდა. ჩვენ წინასწარ შევადგინეთ სამუშაო გეგმა დაჭრილი მოხალისეების მომსახურებისათვის...

ლაზარეთი მოეწყო საუკეთესოდ. დაჭრილთა პირველი ჯგუფი უკვე მოიყვანეს, მათი რიცხვი არც ისე დიდი იყო. ქართველების გარდა, აქ იყვნენ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც.

ჩვენმა კოლექტივმა კარგად დაიჭირა პირველი გამოცდა დაჭრილთა წინაშე. ეჭვგარეშეა, შემდეგი ჩვენი მუშაობა უფრო უკეთესი იქნება. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ მომავალშიც უფრო მეტი ენერგიით მოვუაროთ ჩვენს თანამოძმეებს.

მოხ. ექიმი გ. ბ.

# მოგონებათა რვეული

## ქართველების ზიზღი

### (კაკაბაძე და ჯამასპიშვილი)

1795 წელი. ავლაბრის ხიდზე სპარსელებმა დაასვენეს ანჩის ღვთისმშობლის ხატი.

„მორეკეთ ყველა ქართველი, დააყენეთ ხატის წინაშე და აფურთხებინეთ ღვთისმშობლის სახეში. ურჩებს თავები დააყრევინეთ და გვამები მტკვარში ისროლეთ“... — უბრძანა თავის ჯალათებს ქართველების სისხლისმსმელმა აღა-მაჰმად-ხანმა.

დილის რიჟრაჟზე ავლაბრის ხიდის არემარე აავსო ათასობით მორეკილმა ქართველმა, რომლებიც გარშემორტყმულნი იყვნენ შეიარაღებული სპარსელებით.

„ვინც მიაფურთხებს ხატს, სიცოცხლეს ვაჩუქებთ!“ — შესძახეს ქართველებს სპარსელმა ჯალათებმა.

ხალხი შეინძრა, შეწუხდა, აღელდა.

— გამიშვით წინ, მე ვაჩვენებ მაგალითს ქართველობას — გაისმა მაღალი ხმა ხალხის შუაგულიდან. წრე გაიპო და წინ გამოვიდა გლეხი კაკაბაძე. მას გვერდით მისდევდა მისი ერთადერთი ვაჟიშვილი.

სპარსელებმა მიუშვეს ხატთან მამა და შვილი.

კაკაბაძემ და მისმა ვაჟმა გადაიწერეს პირჯვარი, დაიჩოქეს, ემთხვივნენ ხატს, შემდეგ უეცრად ფეხზე წამოვარდნილნი, მოუბრუნდნენ ჯალათებს და პირში შეაფურთხეს.

გაბრაზებული მტრები ეცნენ გმირებს, აკუწეს ხმლებითა და გადაყარეს მათი ნაშთები მტკვარში.

ხალხური ლეგენდა მოგვითხრობს, რომ კაკაბაძეების მაგალითმა გასჭრა. ქართველები ზედიზედ იხოცებოდნენ თავისი მშობლიური წმინდანის წინაშე. მტკვრის ვიწრო კალაპოტი გაიტენა ათასობით თავმოჭრილ ქართველთა გვამებით...

აღა-მაჰმად-ხანის მზაკვრულმა განზრახვამ ვერ მიაღწია მიზანს...

ქართველთა რწმენა და სული ვერ დაიმორჩილა, ქართველები ვერ დააშინა.

იგი მალე განიდევნა თავისი ბრბოებით საქართველოდან...

მაგრამ ძვირად დაუჯდა სპარსეთის შაჰს ეს უკანასკნელი თავდასხმა საქართველოზე... ამის შემდეგ დიდი სპარსეთიც დაინგრა და გადაიქცა უბრალო ლუკმად ჩრდილოეთიდან მოწოლილი ხახადაღებული მრავალმილიონიანი რუსეთისა...

* *

1922 წელი. ჩეკაში შეიყვანეს ფეხში დაჭრილი ქართველი რაზმელი ჯამასპიშვილი. მას გარს ერტყნენ რუსი ჯალათები მონღოლური ქუდებით.

— სკამი! — მკვეთრი ხმით მიაძახა ჩეკისტებს დაჭრილმა ჯამასპიშვილმა.

მოუტანეს სკამი. დასვეს.

— რა გნებავთ ჩემგან? — შეეკითხა ქართველი ტყვე ჩეკის მსახურებს.

— გვითხარი, ვინ არიან ქაქუცას რაზმში, რამდენნი და ვინ ჰყვანან თანამოაზრენი?

— წყალი! — მოკლედ მოუჭრა შემკითხველებს ჯამასპიშვილმა. დალია, გადახედ-გადმოხეტა მტრებს, უცებ წამოიჭრა ფეხზე და უთხრა:

— ქართველი ხალხის ჯალათნო, როგორ გაკადნიერდით და საქართველოს თავისუფლებისათვის შებრძოლს უნამუსოდ სთხოვთ სამშობლოს ღალატს... ფუი, თქვენს სიმყრალეს! ესაა ჩემი უკანასკნელი სიტყვა.. სხვა ალარაფრით გაგახარებთ... სთქვა და ჭრილობისაგან სისხლდაცლილი, გულშეწუხებული პირქვე დაეცა.

ჯალათები მივარდნენ. ცემა-ტყეპითა და წვალებით კვლავ მოაბრუნეს:

— გვითხარი ყველაფერი, თორემ დაგხვრეტთ!

სიჩუმე...

ასე, მრავალი დღე აწვალეს ქართველი მამულიშვილი, მაგრამ კრინტი ვერ დაძრევინეს.

ბოლოს ბრაზმორეულმა მტრებმა გაიყვანეს ჯამასპიშვილი დასახვრეტად.

— უკანასკნელად გაძლევთ წინადადებას, სთქვი ყველაფერი და თავისუფალი იქნები, — მიმართეს ძალღონეგამოლეულ ჯამასპიშვილს მკვლელებმა სამარის წინ. ჯამასპიშვილმა თავი დაუქნია.

ჯალათები მიუახლოვდნენ...

ქართველმა მამულიშვილმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და პირში მიაფურთხა სამშობლოს მტრებს...

ნაგანის ტყვიებით დაცხრილული ქართველი გმირი უსულოდ დაეცა თავის საყვარელ მშობლიურ მიწაზე...

ჯამასპიშვილის მაგალითმა გასჭრა. ამ დღიდან ბევრი ათასი ქართველი შეეწირა და ეწირება ქართველთა თავისუფლების დიად საქმეს.

რუსეთის მაჰმად-ხანებმა ვერ გასტეხეს ქართული სული, ვერ შეაჩერეს ქართველი ერის ძლიერი ლტოლვა და ნებისყოფა თავისუფლებისადმი.

თავისი უკანასკნელი ავაზაკური თავდასხმით საქართველოზე, მისი

წამებით, მოსკოვმა მხოლოდ შეიმზადა წარსული ბედი დიდი სპარსეთისა... რუსეთის მომავალი აწ განწირულია.

წითელი ბრბოები ადრე თუ მალე განიდევნებიან საქართველოდან.

ქართველი ერი უნდა აღსდგეს და აღსდგება კიდეც.

ხალხთა ისტორიულ ცხოვრებაში ყაჩაღობას და ვერაგობას ჯერ დაუსჯელად არ ჩაუვლია...

დავით ვაჩნაძე

## მოხალისის უბის წიგნაკიდან:

### ირანში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი

მოხ. მ. ეცერელი

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. — ირანის საზღვრის გადალახვა. — როგორ დაჭსხა თავს წითელი არმია მშვიდობიან სპარსელებს. — ჩვენი ნაწილის ლაშქრობა ჩრდილო ირანის უდაბნოში. — „არსაიდან ხმა, არსით ძახილი". — სპარსელების თავდაცვა მაინც საგრძნობია. — რუსებმა იწუნიეს, რას ნიშნავს დაუპატიჟებელი სტუმრობა. — კლდის ქალაქი მაქუ. — როგორ გვიყურებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. — მაინც მიგვრეკავენ წინ. — ურმია. — სპარსული ცხენოსანი დივიზიის გმირობა. — ჩვენ ებლა თურქეთის საზღვართან ვართ. — რუსები მხეცებსავით გვექცევიან. — მოთმინების ფიალა აივსო. — ქართველი ეჟაკეტები სამაგიეროს უხდიან დამმონებლებს.

ვიწრო ხეობა ტანკების ქვემეხთა გრიალმა აახმაურა. ბოლშევიკებმა პასუხი გასცეს. ეს იყო თავგზადაბნეულის პასუხი, თვითონაც არ იცოდნენ — რას ან ვის ესროდნენ. ტყვიამფრქვევთა კაკანი, მაინც არ სწყდებოდა. ზედიზედ ეცემოდნენ რუსი ჯარისკაცები შარაგზაზე. თავშესაფარი არსად იყო. გაიცა განკარგულება — გაფანტულიყვნენ და კლდის ძირში ჩასაფრებულიყვნენ. კოლონის მოძრაობა შეჩერდა. ორთვალებში შებმული ცხენები დაფრთხნენ და ადუღებული სალაშქრო სამზარეულო გაიტაცეს. ტყვიამფრქვევი კლავ სცელავდა ზღვა ხალხს. გვიან მოვიდნენ აზრზე ხეობაში შემოტყუებული ბოლშევიკები. მათ დიდი სიძნელეების გადალახვითა და საგრძნობი მსხვერპლის გაღებით ძლივს მოახერხეს ტყვიამფრქვევის ბუდეების განადგურება. სპარსელებმაც შესამჩნევი ზარალი მიაყენეს, გზა ჩახერგილი იყო უწესრიგოდ დაყრილი გვამებითა და დალეწილი ტრანსპორტით.

დღე ღამეს ეყრებოდა, როცა კოლონა კვლავ დაიძრა წინ...

ხეობა თანდათან პირქუში ხდებოდა. ორივე მხარეს აღმართული სალი კლდეები სულ უფრო მაღლდებოდნენ და მრისხანედ გადმოგვცქეროდნენ თავზე. გზის გარჩევა შეუძლებელი შეიქნა. ბრმად მივიწევდით წინ. მარტოოდენ ქვებზე მორაკრაკე მდინარე გვაძლევდა ორიენტირების საშუალებას.

იდუმალებით მოცული მხარე...

რაოდენი ხვაშიადია ჩაქსოვილი ამ გამოუცნობი ბუნების წიაღში!..

აქ თვითეული ქვა, თვითეული კენჭიც კი თავისებურ ელფერს ატარებს, ეშხი და სილამაზე ამჩნევია ყოველ წვრილმანსაც კი.

რამდენი მიოცნებია ბავშვობის წლებში — მენახა ეს ლეგენდების ქვეყანა!..

ჩვენი საყვარელი მწერლის გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგმა“ უფრო მკვეთრი ფერებით დამიხატა ზღაპრული მხარის მთელი საიდუმლოება...

ჩემს სახელოვან წინაპრებსაც მრავალჯერ დაუდგამთ ამ მიწაზე ფეხი...

მათაც საკუთარი სურვილის წინააღმდეგ უხდებოდათ შორეული გზის გავლა...

წარსულის მწარე მოგონებები...

ორთვალების რიტმიული ხმაური რულს ჰგვრის ქანცმილეულ ჯარისკაცებს...

მოულოდნელად კოლონა შეჩერდა.

წყვდიადში ძლივს გავარჩიე კლდეზე საფეხურებად გაშენებული ქალაქი. სახლები არწივის ბუდესავით მიკრული მოსჩანდნენ. რაღაც საოცარი სანახაობა იყო. ვიწრო ხეობაში, რომლის სიგანე საურმე გზასა და მდინარის კალაპოტს თუ იტევდა, ქალაქი გაეშენებინათ. ქუჩების მოვალეობას სახლების სახურავები ასრულებდნენ...

უადგილობის გამო, პირდაპირ გზაზე დავბანაკდით. რამდენიმე დღის სიარულით დამაშვრალთ, მიცვალებულის ძილით მიგვეძინა.

გათენებისას, ხუთ საათზე, დილის საარმა გამოგვაფხიზლა. ეს იყო საარის რაღაც თავისებური სახე. ვერაფერი გაგვეგო. ხმამაღალი მოთქმა კვლავ გრძელდებოდა. ამ ორიგინალური გამოღვიძების მიზეზი გამოდგა ადგილობრივი მუეძინი, რომელიც მინარეთიდან ყურანის სურებს მღეროდა და მორწმუნეთ მოუწოდებდა ლოცვისათვის. მიზგითი კლდეზე იყო მიშენებული, ვერ წარმოგვედგინა, როგორ უნდა მისდგომოდა მას ადამიანი, ან რა გზით შეიძლებოდა ახლოს მისვლა, როდესაც ბილიკსაც ვერსად ვამჩნევდით.

თანდათან გამოღვიძება იწყო ქალაქმა. როგორც დახელოვნებული ჯამბაზები, ეშვებოდნენ მისი მცხოვრებნი ქვემოთ, ჩვენს სანახავად. ახლოს არავინ გვეკარებოდა. იდუმალი ზიზღით მოგვჩერებოდნენ შორი-

დან და ერთმანეთს რაღაცას ჩასჩურჩულებდნენ. ყველა გრძნობდა, რომ ჩვენ აქ დაუპატიჟებელი სტუმრები ვიყავით, დამრღვევნი მათი მყუდრო და მშვიდობიანი ცხოვრებისა...

შესაღამოვდა. ბინებზე ლანდებმა დაიწყეს მოძრაობა. ქალაქს ჯერ არ ეძინა. ჩვენ, გათამამებულნი, სიბნელეში ხეტიალი დავიწყეთ ქვედა საფეხურების ახლომახლო. უეცრად რომელიღაც სახლის ფანჯრიდან თოფი გავარდა და ერთი აყლაყუდა რუსი ააყირავა. შეიქნა ჩოჩქოლი. მკვლელის ძებნამ კიდევ სამი რუსი ჯარისკაცი შეიწირა. მოსახლეობა სამაგიეროს გვიხდიდა... იმავე ხანებში ჩემი მეზობელი ნაწილიდან, რომელიც ხეობის შემოსავალში იყო დაბანაკებული, შათირი ამოვიდა და გადმოგვცა: სპარსელები ერთ ასეულს თავს დაესხნენ და ყველა დანებით დახოცესო. საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო. მეთაურობა გრძნობდა, რომ ჩვენ აქ აღარ დაგვედგომებოდა.

იმავე ღამეს გავიპარეთ ქალაქიდან...

*

გზას ქვეყნის სიღრმეში განვაგრძობდით. ყველას ხეობიდან გასვლის უდიდესი სურვილი ჰქონდა. ხეობას მაინც ბოლო არ უჩანდა... არაქათი გამოგველია. ხან ერთი ეცემოდა ძირს, ხან მეორე. ჩვენი ნაწილი ძირითადად მობილიზებულთა ხარჯზე იყო შევსებული და მეტწილად ხანდაზმული ჯარისკაცებისაგან შესდგებოდა. საცოდავი ადამიანები უკანასკნელ ღონეს იკრებდნენ, რომ არ დაცემულიყვნენ, მაგრამ ძალა მაინც არ ჰყოფნიდათ ნაბიჯის გადასადგმელად. ჩემს გვერდით ფეხებს მოათრევდა უკვე ჰაღარაშერთული, ხაშურელი გლეხი. საცოდავს ამქვეყნად აღარ ჰქონდა პირი. სულს ძლივსღა ითქვამდა. თვალები ებერებოდა და სახეზე ჰირის ოფლი ასხამდა. ნამდვილი პატიოსანი ქართველის ტიპი იყო, უწყინარი, ზრდილობიანი და გულუბრყვილო. ორიოდე სიტყვით მიამბო თავისი ოჯახისა და ბავშვების შესახებ. — გული რაღაცას მეუბნება, ბავშვების ნახვა აღარ უნდა მეწეროს, — ამოოხვრით მომმართა მან და სული შეეგუბა, მეტი აღარაფერი უთქვამს.

ხეობა თანდათან განიერდებოდა და ბოლოს გაშლილ ვაკეზე გავედით. აღმოსავლეთი ვარდისფრად შეიღება, უკვე მკაფიოდ ვარჩევდით თიხისფერი ლოდების კონტურებს. შორს, სადღაც, ცის კაბადონი დედამიწას უერთდებოდა...

ჩემი თანამგზავრი თავჩაქინდრული მოათრევდა ფეხებს. უეცრად შეჩერდა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა, შემდეგ შეტორტმანდა, თავის შეკავება უნდოდა, მაგრამ ღონემ უღალატა და მოჰრილ ხესავით ძირს დაეცა. კოლონა შეჩერდა. ქართველ ჯარისკაცებს ოხვრა აღმოგვხდა. საიდანღაც ცხენოსანი ურია კომისარი გაჩნდა, გაგვფანტა შემოხვეული თანა-

მემამულენი, მიიჭრა დაცემულთან და ცხენიდან ჩამოხტა. გაისმა სამსართულიანი რუსული გინება. — აი კიდევ ერთი დეზერტირი, — დაიღრიალა მან და ჩექმის ჯვინტი ფერდებში ამოჰკრა. მას კრინტიც არ დაუძრავს. მაშინ კომისარმა მძლავრად ჩაავლო ხალათში ხელი და ფეხზე წამოაყენა. გლეხს თვალი არ გაუხელია. ურიამ ვერ გაუძლო სიმძიმეს და ხელი გაუშვა. საბრალო ხაშურელი კვლავ გულაღმა გაიშხლართა. კომისარმა იძრო ნაგანი და ორი გასროლით ადგილზევე ბოლო მოუღო უდანაშაულო მსხვერპლს... ყველას ტანში გაგვაჟრჟოლა...

ბრძანება მივიღეთ — გზა გაგვეგრძელებინა.

სანამ დავიძრებოდით ერთხელ კიდევ შევხედე მას.

თვალიდან ორი ცრემლი გადმოვარდნოდა და ლულებში გაჩერებულიყო.

საცოდავს, ბავშვების დარდი ალბათ სიკვდილის წინაც არ ასვენებდა...

ურმიის ტბა, ცნობილი სპარსული რიზაიე...

რამდენი ლეგენდა არსებობს ამ ტბის გარშემო!.. თითქოს სიკვდილს დაესადგურებინოს მის მიდამოში, არავითარი ცოცხალი არსება, ხე, ბუჩქი, ბალახიც კი არ იზრდება აქ. ეს არის რაღაც შეუცნობელი სამყარო გარდაშენების. და რა დიდებულად აღწერა ეს ტბა „ლამბალო და ყაშას“ ნიჭიერმა ავტორმა!

სწორეთ ამ ურმიის ტბის რაიონში მოხდა გადამწყვეტი შეტაკება სპარსულ ჯარსა და წითელ არმიას შორის. „საქვეყნოდ ნაქები“ რუსი ჯარისკაცები თავქუდმოგლეჯილი გამორბოდნენ უკან... ბრძოლებში განსაკუთრებით თავი ისახელა ერთმა სპარსულმა ცხენოსანმა დივიზიამ. შესანიშნავი მხედრები და ჩუბინი მსროლელები ჰყავდათ სპარსელებს. ბუზებსავით ჰფანტავდნენ ისინი რუსების ჯარისკაცებს. მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელი იყო...

ბოლშევიკებს მეტი გზა არ ჰქონდათ, დასახმარებლად თავიანთი ავიაციისათვის უნდა მიემართათ. მართლაც, რამოდენიმე ხნის შემდეგ, მათი ბომბდამშენების ესკადრილიები გამოჩნდნენ. სპარსელებს საბრძოლო თვითმფრინავები თითქმის არ ჰყავდათ, ამიტომ მტრის საჰაერო ძალებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ცხენოსანი დივიზია, რომელიც გაქცეულ რუსებს უკან მისდევდა, იძულებული იყო ტყეში შეეფარებინა თავი. უთანასწორო ბრძოლაში ბოლშევიკებმა შესძლეს უპირატესობის მოპოვება: ტყე დაბომბეს და გმირული ცხენოსანი დივიზია გაანადგურეს. მათ მხოლოდ ამ გზით მოახერხეს წინააღმდეგობის გადალახვა და წინსვლა. მაგრამ იაფად არც თვითონ დასჯდომიათ ეს თავხედობა: ურ-

მიის ტბის რაიონი მოფენილი იყო რუსი ჯარისკაცების გვამებით. თითქოს ამ „სიკვდილის ტბასთან“ უნდა მომხდარყო „ცხენ-კაცისა გორად დადგმა...“

*

ჩვენი ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ ირანში, ზედ თურქეთის საზღვარზე დაბანაკდა. შორით მოსჩანდა დიდებული არარატის ჰაღარამოსილი თავი და მცირე კავკასიონის მწვერვალები...

ომი ირანში დამთავრებული იყო და ჩვენც არავითარი საბრძოლო ამოცანის შესრულება არ გვქონდა დაკისრებული. თვითონაც არ ვიცოდით, რისთვის მოგვიყვანეს აქ...

მეტად უღიმღამო ცხოვრებას ვატარებდით. აუტანელი სიცხე იყო. სასმელი წყალი არ იშოვებოდა, იძულებული ვიყავით რამდენიმე ათეული კილომეტრიდან ტბის დურბელა გვეზიდა. ყველა ამ მშვენიერებას ისიც ემატებოდა, რომ თითისსიმსხო მორიელები აქ ჭიანჭველებსავით დაძვრებოდნენ. ისე ვერ დავდებდით ქუდს ან ხალათს, მათ ნაკეცებში ჭარვასავით ყვითელი მორიელი არ აღმოგვეჩინა. საშინელი ციება მძვინვარებდა ყველგან. საბედნიეროდ, ქართველთაგან თითქმის არავინ გავაბხდარვართ ავად, სამაგიეროდ ყინულოვანი ჩრდილოეთიდან მოსულ რუსებს სიცოცხლეს უმწარებდა ეს საშინელი ტროპიკული სენი. ისინი ზედიზედ ეცემოდნენ ლოგინად, ბევრმა მათგანმა ირანში დაასრულა თავისი საცოდავი არსებობა... ღამით კოლოებს ვერსად გაექცეოდი, დღისით საშინელი ხვატი გიწამლავდა სიცოცხლეს...

ქართველთა მდგომარეობა იმით უფრო უარესდებოდა, რომ, ყველა ამ უბედურებათა გვერდით, ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა ყოველდღე ფეხქვეშ ითელებოდა. არ გავიდოდა დღე, რომელიმე ჩვენგანი საგანგებო განყოფილებაში არ გამოეძახებინათ და დაუსრულებელი კითხვებით არ დაეოსებინათ, რასაც მოჰყვებოდა ხოლმე დაპატიმრებები, საჯარიმო ათასეულებში გაგზავნა, რეპრესიები და სხვ. იქამდის გათავხედნენ რუსი მეთაურები, ჩვენს ქართულ საუბარსაც ვეღარ იტანდნენ. ერთხელ ორი ქართველი ჯარისკაცი, რომელთაც რუსულის არაფერი გაეგებოდათ, ჩვეულებრივად ერთმანეთს ქართულად ელაპარაკებოდა. ეს შენიშნა მათმა ოცეულის მეთაურმა, მიეჭრა და დაუღრიალა:

— რით ვერ შეიგნეთ, რომ თქვენ საბჭოთა კავშირის მოქალაქენი ხართ, დღეს რუსულ არმიაში იმყოფებით და მოვალე ხართ რუსულად ილაპარაკოთ. — საქმეში ქართველი ექიმი ჩაერია, მან გაჰკიცხა შოვინისტი რუსი მეთაური და მოაგონა, რომ ქართველთა შესახებ რუსს ასეთი აზრის გამოთქმის უფლება არა აქვს, ვინაიდან როცა ჩვენ ქართულ ენაზე სახარებას ვთარგმნიდით, თქვენი წინაპრები ტყეში დაძრწოდნენო. სკან-

დალი იმით გათავდა, რომ ექიმი დააპატიმრეს, ხოლო ორ ქართველ ჯარისკაცს საჯარიმო ათასეულში უკრეს თავი...

დაცინვასა და აბუჩად აგდებას საზღვარი აღარ ედებოდა. ჩვენ ყველანი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდით. ჩვენს წრეში მყოფი ახალგაზრდა კომკავშირელი ქართველებიც კი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ, ქართულმა ეროვნულმა შეგნებამ მათშიც გაიღვიძა, ქართული სისხლი ძალუმად აუჩქროლდათ ძარღვებში...

მოთმინების ფიალა აივსო...

გამოსავალს ეძებდნენ ქართველი ვაჟკაცები...

და აი, დადგა საამისოდ შესაფერი მომენტი...

ერთ ღამეს, როდესაც ბანაკს მშვიდი ძილით ეძინა, ქართული ათეული, უმცროსი მეთაურის ხელმძღვანელობით, სრული საბრძოლო საჭურვლით, უჩუმრად გავიდა ბანაკის ტერიტორიიდან და თურქეთის საზღვრისაკენ გაემართა. ისეთი ბნელი ღამე იყო, თითს თვალთან ვერ მიიტანდი. სადღაც ობლად დარჩენილი მიკიოტი ჰყიოდა... ღამურები უწესრიგოდ დაფრინავდნენ ჰაერში და ერთმანეთს ეხლებოდნენ...

შეფიცულებმა მომცრო ხევი გადალახეს და აღმართს შეუდგნენ. როდესაც უკვე ბორცვზე იყვნენ შემდგარნი, შენიშნეს — მდევარი მოსდევდათ. რუსების მთელი ასეული აღმოჩნდა... მეგობრებმა პოზიციები ამოირჩიეს, დააყენეს ხელის ტყვიამფრქვევები, მომართეს ავტომატები და ნახევრადავტომატური შაშხანები. მოწინააღმდეგემაც მიიღო საბრძოლო განლაგება. ორივე მხრიდან ძლიერი ცეცხლი ატყდა. რუსებს გაშლილ ვაკეზე მოუხდათ პოზიციების დაკავება, ამიტომ შეფიცულები მშვენივრად ამჩნევდნენ, — საიდან მოდიოდა ცეცხლი. ბრძოლამ მთელ საათს გასტანა. თანდათან ჩუმდებოდნენ მოწინააღმდეგის ხელისტყვიამფრქვევები, სულ უფრო ნაკლებად ისმოდა მათი ძახილი და ყიჟინა...

ბოლოს უკანასკნელი მსროლელიც დადუმდა...

გმირი ქართული ათეული უდანაკარგოდ გადავიდა საზღვარზე...

რუსებს მოამბეც არ დარჩათ, მათი უბედურების შესახებ ეცნობებინა...

მეორე დღეს „გმირულად დაღუპული“ მთელი ასეული „ძმათა სასაფლაოში“ ჩაგვაყრევინეს.

ირანის მხურვალე მიწამ არ მიიღო დამპყრობელთა ლეშები და იმ ადგილას, სადაც სახელდახელოდ მოჩიჩქნილი სამარე იყო, ძერების მთელი გუნდი ამაყად ფრთხიალებდა.

# მკითხველი და გაზეთი

## „საქართველოს“ რედაქციას

სიამოვნებით ვესალმები გაზეთ „საქართველოს“ ახალი, გადახალისებული სახით გამოსვლას და ვუსურვებ მის ხელმძღვანელთ ასე მხნედ და დაუღალავად განეგრძოთ ნაყოფიერი მუშაობა. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ თქვენ სპეციალური დანიშნულების ჯეროვნად წარმატების გარდა, საკმაოდ აწვდით მკითხველებს სამშობლოს და საერთო-საკაცობრიო კულტურის ცნობებს.

პროფ. ექვთიმე თაყაიშვილი

## ჩვენც თქვენთან ვართ

ჩვენ, სახანძრო რაზმში მყოფი ქართველთა ერთი ჯგუფი სალამს ვუძღვნით გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას და ვუსურვებთ იმ ამოცანების წარმატებით შესრულებას, რაც მას მოწინავე ქართველობამ დააკისრა. ქართულ განმათავისუფლებელ მოძრაობას სწორედ ასეთი გაზეთი სჭირდება და ჩვენც კმაყოფილი ვართ, რომ დღევანდელ საბედისწერო ომში ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების — ბოლშევიკების წინააღმდეგ თქვენი გაზეთი ჩირაღდანივით გზას უნათებს სამშობლოსათვის მებრძოლ ყველა ქართველს.

ჩვენც თქვენთან ვართ, ძვირფასო ძმებო! დაე, იცოდეს ყველამ, რომ ქართველი ხალხი არ დასთმობს თავის თავისუფლებას, არ დაუშვებს, რომ მის მიწაწყალზე უცხო დამპყრობნი ბატონობდნენ. იგი იბრძოლებს მანამ, სანამ არ განახორციელებს აღთქმულ მიზანს.

ამხანაგების დავალებით ვ. წ.

## ხმა სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან

მხურვალე სალამი გაზეთ „საქართველოს.“ თანამშრომლებს. ჩვენთვის, სამხედრო ტყვეთა სამუშაო ბანაკში მყოფი ქართველებისათვის, მშობლიური გაზეთის მიღება გადაიქცა ყველაზე სასიხარულო ღღედ. ჩვენ ვიცოდით, რომ არსებობდა ასეთი გაზეთი, მაგრამ აქამდე არ გვქონდა შესაძლებლობა გვენახა იგი. თვითეული წერილი, თვითეული სტრიქონიც კი განსაკუთრებული ყურადღებით გადავიკითხეთ და უსაზღვრო სიხარულმა მოგვიცვა. რა სიამაყეა, იმყოფებოდე უცხოეთში და კითხულობდე დედაენაზე დაწერილ გაზეთს. გვსურს შეგატყობინოთ ჩვენი

აზრი და გისურვოთ, მომავალშიც წარმატებით გემუშაოთ ქართველი ერის აღორძინებისა და ჩვენი სახელმწიფოს აღდგენის დიადი საქმის დასაგვირგვინებლად.

ქართველ სამხედრო ტყვეთა ჯგუფი

## რა განვიცადე

### ხელმეორედ გოლშევიკურ „სამოთხეში“

1942 წლის 25 ოქტომბერს ბედმა გამიღიმა და როგორც იქნა წითელ ჯოჯოხეთს თავი დავაღწიე. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა საშუალება მომეცა იარაღით ხელში მებრძოლა ჩემი სამშობლოს დამმონებელთა წინააღმდეგ. ათიოდე ქართველი, გაერთიანებული გერმანულ ასეულში, წარმატებით ვიგერიებდით მოზღვავებულ მტერს... ცხარე ბრძოლაში დაეცა მრავალი ჩვენი ამხანაგი, დარჩენილები კი ტყვედ წაგვიყვანეს...

რა მწარე იყო ჩემთვის ეს წუთები...

შევნატროდი იმ მეგობრებს, რომელთაც გმირული სიკვდილი ხვდათ ბრძოლის ველზე. მიუხედავად თხოვნისა, ხუთი ქართველი იმ წუთშივე დაგვაცილეს გერმანელებს. თოფის დუგლუგების ცემით მიგვიყვანეს ერთ სოფელში და სარდაფში ჩაგვამწყვდიეს. მეორე დღეს შინსახკომის გამომძიებელმა, რომელსაც ლაპარაკში აშკარად ეტყობოდა ურია უნდა ყოფილიყო, დაიწყო ჩვენი დაკითხვა. დაკითხვის დროს ტანზე გახდილებს საშინლად გვცემეს. ერთერთ ჩვენს თანამემამულეთაგანს, ს. მ-ს, რომელმაც ვერ მოითმინა ასეთი დამცირება და გამომძიებელს ხელი შეუბრუნა, რევოლვერის ტარით თავის ქალა ჩაუმტვრიეს, გამოძიების დასრულება ზედმეტად მიიჩნიეს და ბრძანება გასცეს, დარჩენილები დასახვრეტად წაეყვანათ. ჩემს გარდა, ყველა ამხანაგი დახვრიტეს.

როგორ გადავრჩი, რატომ დამტოვეს, ჩემთვის მეტად საინტერესო იყო, მაგრამ ამაზე ფიქრი აღარ შემეძლო. ნახევრადმკვდარი ისევ სარდაფში ჩამამწყვდიეს. რამოდენიმე დღის შემდეგ ჩემთან ერთი წითელარმიელი შემოიყვანეს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ ისიც ქართველი იყო. ჩემთვის მეტად საინტერესო კითხვებზე, აი რა მიამბო მან: „საბჭოების „სამოთხეში“ მამაკაცებს ძალიან ნაკლებად დაინახავთ. მოსახლეობა უდიდეს გაჭირვებას განიცდის. მთელი სურსათ-სანოვაგე წითელი არმიისათვის მიაქვთ, მაგრამ არმიას ფრონტზე ფქვილის ნახარშიც ენატრება, ამიტომ წითელარმიელები თავიანთი ხალხის მძარცველებად არიან გადაქცეული. ყოველ ქალაქში ჩვენ თვითონ ვშოულობთ საკვებს, ვპარავთ ან ძალით ვართმევთ მოსახლეობას,

ამიტომ ჩვენს გამოჩენას ისინი გასაგები სიძულვილით უყურებენ და კარებს გვიკეტავენ ხოლმე“.

ერთ დღეს მოულოდნელად გამომიყვანეს და წითელ არმიელთა ჯგუფს შემაერთეს. მალე ბრძანება მივიღეთ და ლეიტენანტის მეთაურობით სადღაც გავწიეთ. რამოდენიმე დღის ლაშქრობის დროს აშკარად დავრწმუნდი წითელარმიელის ნაამბობის სიმართლეში...

ბოლოს, როგორც იქნა, ფრონტის წინა ხაზზე მოვედით. 1944 წ. 29 მაისს, დილით, ლეიტენანტმა გვითხრა: „თქვენ საშუალება გეძლევათ თქვენი დანაშაული გამოისყიდოთ. აქვე ახლოს გერმანელებს რკინიგზის ხიდი აქვთ დაკავებული. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს ხიდი უნდა ავაფეთქოთ“.

ჩემთვის ცხადი იყო, რომ გერმანელების მიერ გამაგრებულ ხიდზე მისვლა ნიშნავდა იმას, რომ იქიდან ცოცხლად ვეღარ დავბრუნდებოდი. სხვებთან ამაზე ლაპარაკი, ცხადია, არ შემეძლო, თუმცა ვგრძნობდი, არცერთი მათგანი დავალების შემსრულებელი არ იყო. ჩვენ მივიღეთ ბრძანება, იარაღი და წამოვედით. როცა ხიდი გამოჩნდა, ვეღარ მოვითმინე და თანამგზავრებს მივმართე: „ამხანაგებო, ნუთუ მართლა გსურთ იუდა ბოლშევიკებისა და ჩვენი ხალხის მჩაგვრელების დავალება შეასრულოთ?“ „რათქმა უნდა, არა!“ წამოიძახა ერთმა და ყველანი მას მიემხრენ. „თუ ასეა, მომყევით“, — ვუთხარი მე და რამოდენიმე წუთის შემდეგ უკვე გერმანელებთან ვიყავით.

ბოლშევიკების სამეფოში მეორედ ყოფნამ ნათლად დამანახა მათ წინააღმდეგ ბრძოლისა და მათზე გამარჯვების აუცილებლობა...

მოხ. პ. ნ-ია.

## „სს“-ის ქართული განსაკუთრებული ჯგუფის მებრძოლები „საქართველოს“ რედაქციაში

ჩვენს რედაქციას ესტუმრნენ „სს“-ის ქართული განსაკუთრებული ჯგუფის მებრძოლთა წარმომადგენლები ინსტრუქტორ გრ. აბულაძის ხელმძღვანელობით. მოეწყო რედაქციის წევრებისა და მათი ამხანაგური შეხვედრა. ქართველ „სს“-ელებს „საქართველოს“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა ჩაუტარა საუბარი ჩვენი გაზეთის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. სტუმრებმა ერთხმად გამოსთქვეს კმაყოფილება გაზეთის უკანასკნელი ნომრების გამო. მებრძოლთა სახელით ინსტრუქტორმა გრ. აბულაძემ მადლობა გადაუხადა რედაქციის კოლექტივს და უსურვა მომავალში წარმატებით მუშაობა.

დასასრულ, სტუმრებმა რედაქციისაგან საჩუქრად მიიღეს ამხანაგებისათვის გადასაცემად ქართული ბიბლიოთეკა.

## ქართველ მოხალისეთა საყურადღებოდ

პროპაგანდის სამინისტროსთან არსებული ქართული რედაქცია აუწყებს ჩვენს მოხალისეებს, რომ რადიოგადაცემები ქაროულ ენაზე ეწყობა ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს, საღამოს 5 საათიდან (საშუალო ტალღა: ბორდო — 231, 7 მეტრი).


# „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 30 (107) გამოც. მე-3 წელი, ბერლინი, 31 ივლისი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი


## ბრძოლები აღმოსავლეთში

### საკუთარი კორესპონდენტისაგან

1.

გაზაფხულის მზეს ვერ მოუსწრია ბუნების გამოღვიძება ზამთრის ძილისაგან. რუსეთის თვალუწვდენი ტრამალები ჯერ კიდევ თოვლის საბურველით არის დაფარული. დროდადრო უბერავს სუსხიანი ქარი...

ჩვენი ნაწილი ფრონტის ხაზზე ერთერთ სოფელში დაბანაკდა. ქართველი მოხალისეები აქ გერმანულ ნაწილში ირიცხებიან და მათ გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად მოუხდებათ იბრძოლონ სისხლიანი ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების გუგუნი აყრუებს არემარეს. ეს ხმა გვიხმობს ჩვენც ბრძოლისაკენ და მოუთმენლად მოველით ბრძანებას. ყველას შეგნებული გვაქვს ბრძოლის მიზანი, თვითეულ ჩვენგანს ამოძრავებს მხოლოდ ერთი იდეა, ეს არის ბრძოლა ჩვენი სამშობლოს დამმონებელთა წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე. ქართველთა მკლავი უძლეველი იყო წარსულში, ქართველთა გმირობამ შესძრა მთელი ქვეყანა უკანასკნელი ბრძოლების დროს პერეკოპზე, იტალიაში და ეხლაც ჩვენ ყველა გამსჭვალული ვართ ერთი გრძნობით — არ შევარცხვინოთ წინაპრებისა და მებრძოლი ძმების სახელოვანი ტრადიციები.

დადგა სანუკვარი წუთიც. მივიღეთ ბრძანება წინსვლის შესახებ. გზა ხშირად იკარგება თოვლშუაში და ალაგალაგ გაუვალი ტალახიც აფერხებს მოძრაობას.

ბუნების სტიქიას არ ძალუძს შეაჩეროს მოზღვავებული ენერგია და ნებისყოფა. რამდენადაც ძნელდება სვლა ტალახიან ყინულებში, იმდენად მტკიცდება და კაჟდება ჩვენი გადაწყვეტილება — ვიბრძოლოთ სიცხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...

2.

გერმანელი ჯარისკაცი მიუძღვის წინ ტრანსპორტს.

მოულოდნელად ცხენები შეჩერდნენ. ირგვლივ გაუვალი ტალახია. შწვავე სუსხი ჰყინავს ხელფეხს. გერმანელი მთელ ძალღონეს სჭიმავს გაატაროს თავისი ოთხთვალა, მაგრამ არ ძალუძს. საღამო ხანია და პატრონთან ერთად ცხენებსაც შეჰპარვიათ დაღლა...

მტერმა შეამჩნია გზაში ჩახერგილი ტრანსპორტი და ცეცხლი გაუხსნა... სამშობლოსთვის თავდადებული მებრძოლი არ სტოვებს თავის პოსტს. იგი თავგანწირვით მოქმედებს, სურს გადაარჩინოს ძვირფასი სამხედრო საჭურველი და გამწევი ძალა. მის ირგვლივ ტყვიები ზუზუნებენ...

თითქოს გამოუვალი მდგომარეობა იქმნება...

მაგრამ ხდება მოულოდნელი ამბავი...

— ქამრად არ შეშინდე, მე შენთან ვარ!

— გაისმა ხმა და მტრის შეუნელებელი ცეცხლის ქვეშ მყოფ გზაზე გამოჩნდა ბრგე ქართველი მოხალისე.

მან, შიშის გარეშე, მხრებით ასწია ტრანსპორტი და მყისვე გამოიყვანა საშიში ადგილიდან. გერმანელი გაოცებულია, აღარ იცის, როგორ გადაუხადოს მადლობა ქართველ მოხალისეს, რომელიც თავის მხრივ სცდილობს გააგებინოს მას, რომ ასეთ საქციელში საკვირველი არაფერია. ქართველები თავგანწირული ხალხია, მათ მტრის ცეცხლი ვერ შეაშინებს, საჭირო იყო ამხანაგის განსაცდელისაგან დახსნა. საკუთარი სიცოცხლე საერთო საქმეს უნდა შეეწიროს. მოხალისეს სურს კიდევ ბევრი რამ უთხრას გერმანელს ქართული ზნეჩვეულებების შესახებ, მაგრამ სიტყვების მარაგი აღარ ჰყოფნის, სამაგიეროდ ენერგიულად უთითებს მარჯვენა მკლავზე გაკეთებულ ნიშანს და რამდენჯერმე იმეორებს — „გეორგიენ“. ეს სიტყვა ხომ ჩვენთვის ყველაფერს ნიშნავს!

გერმანელი ჯარისკაცები აღტაცებულნი არიან ქართველი მოხალისის გმირული მოქმედებით. მეთაურებიც კმაყოფილებით აღნიშნავენ მის სიმამაცეს...

3.

შეტევის მეორე დღე. ჩვენი ნაწილი კვლავ წინ მიიწევს.

მტერი სისხლისაგან იცლება, მაგრამ მაინც განაგრძობს წინააღმდე-

გობას. უკანასკნელად მან ბრძოლაში ტანკების ჩაბმა განიზრახა. ჩვენი ასეულის მდგომარეობა შედარებით გაუარესდა.

ასეულის მეთაურმა გადასწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გაენადგურებინა მტრის ტანკების შენიღბული კოლონა. გაიცა ბრძანება: „ვის სურს ნებაყოფლობით აიღოს თავისთავზე ამოცანის შესრულება?“ იგი არც ისე ადვილად შესასრულებელი იყო. ერთი ან ორი კაცი — რამდენიმე ტანკის წინააღმდეგ!..

მეთაური იცდის... მსურველები თითქოს არ არიან...

მაგრამ აი, მის წინაშე აღიმართა ჯმუხი ვაჟკაცი, რომლის სახის გაშმეტყველებაც ამტკიცებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ტანკებს კი არა, ეშმაკსაც არ შეუშინდებოდა. გერმანელთა სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც მეთაურთან ამაყად მდგომ მებრძოლში ქართველი მოხალისე გამოიცნეს. ქართველის მაგალითით წახალისებულმა ერთერთმა გერმანელმა ეფრეიტორმაც განაცხადა სურვილი წასულიყო ტანკების მოსასპობად.

ორი მამაცი ვაჟკაცი ხოხვით გაემართა მტრის ტანკების განლაგების ადგილისაკენ. რამოდენიმე წუთი და გაისმა საშინელი აფეთქების ხმა. მტრის ტანკები განადგურებულია. გმირების დაბრუნება უკან ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. ოფიცერმა გადაჰკოცნა თავდადებული მებრძოლები და დანარჩენებს მიჰმართა სიტყვით — აიღონ მათგან თავგანწირვისა და სიმამაცის მაგალითი.

გზა გახსნილია... ასეული განაგრძობს წინსვლას...

## 4.

შუაღამე გადასული არ იყო, როდესაც ასეულის დღიურში კიდევ ერთი გმირული ეპიზოდი ჩაიწერა.

ქართველი მოხალისე დაზვერვაზე გაგზავნეს. გზაში მან მტრის ათეული შენიშნა და დამხმარე ძალით ყველანი დაატყვევა. ბინაში ათიოდე ილაჯგაწყვეტილი, დაქანცული და მშიერი წითელარმიელი შემოიყვანეს. რამდენი ტანჯვა და უკმაყოფილების გრძნობა გამოსჭვიოდა მათ სახეზე!

ცნობისმოყვარეობით შევცქერით მათ. ნუთუ ამ ხალხს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ბრძოლა ჯუღაშვილის მხარეზე, ნიშნავს საკუთარი დამონებისათვის ბრძოლას? ერთერთმა ჩვენგანმა ვერ მოითმინა და გულუბრყვილოდ შეეკითხა: „გაგვაგებინეთ, რატომღა იბრძვით, როდესაც ასეთ ცუდ პირობებში იმყოფებით?“ ტყვეების სახეებზე ნაძალადევი ღიმილი სჩანს. მოისმა გაუბედავი პასუხი: „ალბათ თქვენ დაგავიწყდათ შინსახკომის კანონები. არ იბრძოლებ და ჩაგაძაღლებენ“.

პასუხი დამაჯერებელია. ჯერ კიდევ იბრძვიან ჯუღაშვილის მონები. მაგრამ როგორც ჩვენ, ისე ისინიც დარწმუნებული არიან, რომ შორს არ

არის ის დრო, როდესაც მახვილი შებრუნდება და იუდა-ბოლშევიზმი სამარცხვინოდ დაასრულებს თავის ბოროტებით აღსავსე არსებობას.

მოხ. პ. გ.-ლია.

## მეგობროგბის განმტკიცების საღამო

### ლეიტენანტი ვ. ბრანდტი

ქართული ლეგიონის გამოსაჯანსაღებელი ასეულის უმცროსმა მეთაურებმა და მებრძოლებმა, ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს გასართობი დარბაზის გახსნაზე მიგვიწვიეს. ლეგიონის მეთაური, ადიუტანტი, თარჯიმანი და ასეულის მეთაური მხიარულად შევედით ძველი ფრანგული ყაზარმის ოთახში და გაკვირვებული მოულოდნელი სიურპრიზისაგან დავუწყეთ დათვალიერება ოთახის ახალ მოწყობილობას.

რა არ შეიძლება გააკეთოს ადამიანმა, თუ მას სურვილი და მონდომება ექნება! რამოდენიმე დღის ბეჯითი მუშაობის შედეგად გამოსაჯანსაღებელი ასეულის მებრძოლებმა, მშვენივრად მოწყობილი გასართობი დარბაზი შეჰქმნეს. კედლები ქართული და გერმანული მხატვრობით არის გაფორმებული. ფანჯრებზე ლამაზი ფარდებია ჩამოფარებული. ახლადგაკეთებული მრგვალი სასადილო და სათამაშო მაგიდები, რადიომიმღები, წიგნების კარადა, გასართობები და სათამაშოები... კედლებზე ჩამოკიდებულია ქართული და გერმანული დროშები, რომლებსაც ამშვენებენ ფიურერის პორტრეტები. სადღესასწაულოდ მოწყობილი განათება, ყველა სხვა მორთულობასთან ერთად, დარბაზს მხიარულ სახეს აძლევს და სტუმრებზე საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს.

მათ მართლაც მეტად მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს. გამოსაჯანსაღებელ ასეულს, რომელშიც ბრძოლის ველიდან დაბრუნებული მოხალისეები ისვენებენ, ასეთი დარბაზი აუცილებლად ესაჭიროება.

საუბრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იწყება დარბაზის „ნათლობა“. მოხალისეები მხიარულად ატარებენ დროს, სვამენ მეთაურებისა და ამხანაგების სადღეგრძელოს და სიტყვებში გამოსთქვამენ რწმენას გამარჯვებისადმი...

## მამაცთა ათეული

ჩვენი ათასეული აღმოსავლეთში, ერთერთ სოფელში იყო დაბანაკებული. ქართულ ათეულს სოფლის განაპირას, ხის დიდ ბარაკში მშვიდად ეძინა. მხოლოდ გუშაგები ფხიზლობდნენ. მოულოდნელად საიდანღაც

თავს დაგვესხა ბანდიტების დიდი ჯგუფი. ელვის სისწრაფით გამოვცვივდით ბარაკიდან.

გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ქართველი მოხალისეები თავგამოდებით უტევდნენ მტერს. შეუჩერებლად კაკანებდა ჩვენი ტყვიამფრქვეველები და ავტომატები. ბრძოლა თანდათან უფრო გამძაფრდა და ბოლოს ხელჩართული სახე მიიღო.

ბრძოლა ორ საათს გაგრძელდა. ქართველმა ვაჟკაცებმა სიმამაცესთან ერთად ეშმაკობაც იხმარეს: ისინი ხშირად რუსულ სახელებს იძახდნენ, რითაც შეცდომაში შეჰყავდათ წითელარმიელები. მოტყუებულ რუს ჯარისკაცებს ჩვენი მოხალისეები თავიანთები ეგონათ, რითაც საუკეთესოდ ისარგებლეს ქართველებმა, და ღამის სიბნელეში მრავალ რუსს დუგლუგით თავი გაუხეთქეს.

რამდენიმე გადარჩენილმა წითელ არმიელმა ძლივს მოასწრო თავის დაღწევა. ისინი ახლო ტყეში დამალულიყვნენ, დილით მათი აღმოჩენაც მოხერხდა. ყველა ისინი ტყვედ წამოვიყვანეთ.

ათასეულის მეთაურმა ასეთი გმირული მოქმედებისათვის ქართულ ათეულს მადლობა გამოუცხადა და მოწინავე მებრძოლები დასაჯილდოებლად წარადგინა.

მოხ. ბ. წ.

## ქართველი მფრინავები

### ობერლეიტენანტი ირაკლი მენთეშაშვილი

საბჭოთა რეჟიმის ჯოჯოხეთურ პირობებში მომიხდა საავიაციო სკოლის დასრულება. ომის დაწყების შემდეგ, მე, როგორც შტურმანი, გამგზავნეს ფრონტზე, სადაც, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ უნდა მეფრინა სტალინური ხელისუფლების განსამტკიცებლად...

მე, როგორც ჩემი სამშობლოს პატრიოტს, არ შემეძლო დამეშვა ბრძოლა მეგობარი გერმანელი ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც ყველა პატარა ერებისათვის, და მათ შორის ჩვენთვისაც მოაქვს თავისუფლება და ბედნიერება. ამიტომ ყოველ წუთს მზად ვიყავი ჩემი ბრძოლა საქართველოს დაუძინებელი მტრის — ბოლშევიზმის წინააღმდეგ მომემართა. ვეცდიდი საამისოდ შესაფერ მომენტს. ეს მომენტიც დადგა. პასუხისმგებლობის სრული გრძნობითა და ჩემი მოქმედების შეგნებით გადმოვედი ძლევამოსილი გერმანული შეიარაღებული ძალების მხარეზე და სურვილი განვაცხადე საშუალება მომცემოდა ჩემი წვლილი შემეტანა კაცობრიობის მაჯლაჯუნის, წითელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ძლევამოსილ ლაშქრობაში.

მე ყველა პირობა შემიქმნეს დიდიხნის ოცნების განსახორციელებლად... ვაწარმოებდი სადაზვერვო გაფრენებს, ოპერაციებს აღმოსავლეთში ბანდიტების წინააღმდეგ, ვასრულებდი სარდლობის სპეციალურ დავალებებს...

რამოდენიმე ხნის შემდეგ სიხარულით შევიტყე, რომ გერმანიის მხარეზე არიან სხვა ქართველი მფრინავებიც, ორი მათგანი — ვლადიმერ ჭკუასელი და ა. კარაპეტაშვილი გავიცანი კიდეც. მათაც დაჟინებითი სურვილი გამოსთქვეს ჩაბმულიყვნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

თანდათან მწიფდებოდა საკითხი ჩვენი ლეგიონის დამხმარე ქართული საავიაციო ესკადრილიის ჩამოყალიბების შესახებ. გვქონდა ცნობები, რომ ჩვენს მხარეზე იმყოფება ბევრი ქართველი მფრინავი, შტურმანი და ტექნიკოსი. მათი ერთად თავმოყრა და საქმის ორგანიზება, მიუხედავად ჩვენი ცდისა, დღემდე ვერ მოხერხდა. საამისოდ ჩვენ გვქონდა საავიაციო შტაბის სანქცია, სადაც ეს საკითხი უკვე დასმული და მოწონებული იყო...

ჩემი მეგობარი ქართველი მფრინავები, რომლებიც დღეს აღმოსავლეთის საავიაციო ესკადრაში ფრინავენ, ჩემთან ერთად მოუწოდებენ ყველა ქართველ მფრინავს, შტურმანსა და ტექნიკოსს, აცნობონ „საქართველოს“ რედაქციას თავიანთი ვინაობისა და ადგილსამყოფელის შესახებ. ქართული საავიაციო ესკადრილიის საკითხი ჯერ კიდევ არ არის მოხსნილი, გვაკლია მხოლოდ მფრინავთა შემადგენლობა.

დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ჭეშმარიტი ქართველი მფრინავი, რომელსაც სურს მთელი თავისი არსებით ჩვენს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას ემსახუროს, გამოეხმაურება ჩვენს მიმართვას და თავისი ცოდნითა და გამოცდილებით საკუთარ წვლილს შეიტანს სამშობლოსათვის წარმოებულ ბრძოლაში.

## ზრუნვა დაჭრილი მოხალისეებისადმი

ქართული საკავშირო შტაბის დავალებით, შტაბთან არსებული სანიტარული განყოფილების მუშაკებმა დავათვალიერეთ საფრანგეთში ის ლაზარეთები, სადაც ქართველი დაჭრილი მოხალისეები იმყოფებიან.

განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული ქართველ დაჭრილ მოხალისეთა მოვლის საქმე ქალაქი ალბის (სამხრეთი საფრანგეთი) სამხედრო ლაზარეთში, სადაც გერმანელ უფროს ექიმთან ერთად, მთელი ენერგიით მუშაობენ ქართველი ქირურგები და თერაპევტები. მათი გულმოდგინებისა და მშობლიური მზრუნველობის შედეგად რამდენიმე ასეული ქართველი განიკურნა.

გარდა ალბის ლაზარეთისა, მრავალი დაჭრილი და ავადმყოფი ქართველი მოხალისე წევს პარიზთან ახლო გაშენებულ გერმანულ ლაზარეთებში, სადაც მათ განსაკუთრებული ყურადღებით უვლის გერმანული სამკურნალო პერსონალი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ სანიტარული მომსახურების საქმე კარგად არის დაყენებული ქართულ ლეგიონშიც, სადაც ავადმყოფები სისტემატურად ღებულობენ პირველხარისხოვან საექიმო დახმარებას.

ქართველი დაჭრილი მოხალისენი ყველგან კმაყოფილებით აღნიშნავენ მათდამი გულთბილ დამოკიდებულებასა და მოვლას, რასაც ისინი ყველა ლაზარეთში ხვდებიან, როგორც ქართველი, ისე გერმანელი ექიმებისა და მომვლელებისაგან.

ექ. დ. ჩ-ღი

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 31 (108) გამოც. მე-3 წელი, ბერლინი, 7 აგვისტო, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## ქართველ პროპაგანდისტთა კურსები

მიუხედავად რთული სამხედრო მდგომარეობისა, რომელიც ამჟამად არსებობს დიდი გერმანიის იმპერიაში, უმაღლესი სარდლობა სათანადო ყურადღებას აქცევს მოხალისე ჯარისკაცების პოლიტიკურ აღზრდას. ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის პერიოდულად ეწყობა პროპაგანდისტთა კურსები, სადაც მზადდება კადრი მოხალისეთა რიგებიდან. კურსების დამთავრების შემდეგ პროპაგანდისტები საჭირო დახმარებას უწევენ იმ მოხალისეებს, რომლებიც ბრძოლის ველზე იმყოფებიან და საერთაშორისო ცხოვრებას დროებით ჩამოშორებული არიან.

ამ მიზნით, რამოდენიმე დღის წინათ პოტსდამში გაიხსნა სპეციალური სააგიტაციო-საპროპაგანდო კურსები ქართველი მოხალისეებისათვის. კურსებზე ჩამოვიდა 45 კაცი, აღმოსავლეთის, დასავლეთისა და იტალიის ფრონტებიდან. ქართველი მოხალისეები, რომლებიც ჯერ კიდევ რამოდენიმე დღის წინათ, ფრონტზე თუ ზურგში ყოფნისას, წარმატებით ასრულებდნენ საბრძოლო ამოცანას, განსაკუთრებული მონდომებითა და ენერგიით შეუდგნენ საინტერესო და საჭირო მასალის შეთვისებას.

კურსებზე იკითხება ლექციები შემდეგ თემებზე: 1. საქართველოს ძველი და ახალი ისტორია; 2. საქართველოს სამხედრო ხელოვნება და

ძველი ქართველი მხედრობა; 3. გერმანია და პატარა ერები; 4. გერმანია-საქართველოს თანამშრომლობა; 5. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მოძღვრება; 6. ქრისტიანული მოძღვრების პროგრესული როლი ქართველი ერის ნაციონალურ მეობაში.

პარალელურად, მოხალისეები ისმენენ ლექციებს თანამედროვე მნიშვნელოვან თემებზე. კურსების ხელმძღვანელად დამტკიცებულია მოხალისე ფელდფ. ი. კ., ხოლო სასწავლო ნაწილის გამგედ — ბ-ნი ალ. ასათიანი. ლექციებს ატარებენ ქართული საკავშირო შტაბის მიერ დანიშნული ლექტორები. მსმენელებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ლექციები საქართველოს ისტორიიდან, რომლის გაცნობას ისინი „ბოლშევიკურ სამოთხეში“ მოკლებული იყვნენ.

საქართველოს მოსახლეობის შეგნებული ნაწილი 25 წლის განმავლობაში ებრძოდა ბოლშევიკურ რეჟიმს, რომელმაც ფეხქვეშ გასთელა საქართველოს მდიდარი წარსული, ქართველი ხალხის ისტორია კი ჭეშმარიტად ჩვენი წინაპრების ვაჟკაცური სულის მაჩვენებელი სარკეა, საიდანაც შეიძლება ამოიკითხო გმირობა, პატრიოტული გრძნობები და, რაც მთავარია, სამშობლოსათვის თავდადება.

თეორიული ლექციების გარდა, მოხალისეები ათვალიერებენ სხვადასხვა საინტერესო ისტორიულ ძეგლებს როგორც პოტსდამში ისე სხვა ქალაქებში, დადიან კინოთეატრებში და სხვ. დასვენების დღეს ისინი მხიარულად ერთობიან მწვანით მოსილ ტყეებში და ფრიდრიხ დიდის სასახლის ბაღში.

მოხალ. ბ. რიონელი

## ასეთი გატაცებით მას არასოდეს არ უმღერია

## ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან

1.

ალიონისას მოიღრუბლა. ღამემ თავისი გაცრეცილი კალთები აიკრიფა და ნელი შრიალით სადღაც მიწვა. შეირხა ტყე და ფოთლები იდუმალ ხმაზე აშარიშურდნენ. ამოიჭრნენ ღრუბლები ჰორიზონტიდან, გადაეფარნენ ცას, თითქოს დამშვიდებულ ზღვაზე ტალღები აჭირითდნენო. ინათლა.

დაჰკრეს ადგომის ბუკი. ასეული წამოიშალა. ახმაურდა ყაზარმა. უეცრად ხმა გავარდა: გაიოზი არ არის, მთელი ღამე არ ყოფილაო. წამით ყველა ჩაფიქრდა; ყველას რაღაც ტკივილმა გაუარა გულში. „გაიოზი წუხელ სასეირნოდ წავიდა სოფელში, ორი კილომეტრით აქედან,

ვინ იცის, რა შეემთხვა. იქნებ ბანდიტები დაუხვდნენ. უსიკვდილოდ არ დანებდებოდა. იქნებ დაიღუპა ვაჟკაცი?“ — ასეთმა ფიქრებმა მოიცვა ყველას გონება.

გულებში ტკივილი იგრძნეს. ტკივილი, რომელსაც ყოველი ადამიანი გამოსცდის ხოლმე მშობლიური ძმის დაკარგვის შემდეგ...

გაიოზი ყველგან, სამუშაოზე თუ სახლში, 3—4 კაცის საქმეს აკეთებდა; თუ გუშაგად იდგა, მისი თვალები არწივის თვალებსავით ენთო. საღამოზე ცეკვა-თამაშით, სიმღერითა და ოხუნჯობით ისევ ისე ააწყობდა მოხალისეთა მოქანცულ ნერვებს, თითქოს მათ დღისით არაფერი გაეკეთებინოთ: მოღლილობა გაჰქრებოდა ხოლმე.

ასე შეაყვარა თავი გაიოზმა ამხანაგებს...

და ნუთუ ეხლა ის მტკიცე ძაფები, რომლითაც მისი და ამხანაგების გულები დაკავშირებული იყო ურთიერთთან. ჩასჭრა, ჩასწყვიტა ტყის კაცთა ჟანგიანმა ხმლებმა?! ნუთუ კვლავ აღარ დაბრუნდება იგი?..

ერთი შეიარაღებული ჯგუფი იმ სოფლისკენ გაემგზავრა, სადაც გაიოზი ეგულებოდათ. მოუთმენლად ელოდა ყველა ამ ჯგუფის დაბრუნებას. დაბრუნდნენ, მაგრამ...

სოფელში არაფერი იცოდნენ გაიოზის შესახებ. ბანდიტები ყოფილან წუხელ...

ყველამ გადასწყვიტა: დაიღუპაო ვაჟკაცი.

მუშაობდნენ სადილობამდე: ბომბებით სტვირთავდნენ ვაგონებს, ყველა ისე ალაგებდა ბომბებს ერთიმეორეზე, თითქოს გაიოზის სისხლის ასაღებად აგზავნიდაო.

## 2.

შუადღისას შორიდან მოისმა სიმღერა.

„მოვდივართ მოგვიხარია
მოგვყავს მამალი ხოხობი“,

ახლოვდებოდა ქართული ძარღვიანი ხმა და ტყეში იშლებოდა. ვინ უნდა იყოს?.. ვინ მოსულა დღეს სიმღერის ხასიათზე?..

ყველამ თავი მოიყარა ყაზარმის წინ. სიმღერა უკვე ბანაკს უახლოვდებოდა. შორიდან ჯარისკაცთა სილუეტები გამოჩნდა. ინტერესმა ყველა გაიტაცა გზაზე, უნებურად დაიწყეს დინება იქით, საიდანაც სიმღერა მოდიოდა. თითქოს ქორწილი ყოფილიყოს, დედოფალი მოჰყავდეთ და შესახვედრად მიიწევდნენო.

დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ანაზდად ვიღაცამ დაიყვირა: — გაიოზი! გაიოზი!

მომავალ ჯარისკაცებს წინ გაიოზი მოუძღვებოდა. მოარხევდა იგი თავის განიერ მხარბეჭს და მოიმღეროდა.

გაიოზიო — რომ გაიგონეს, ყველა გამოიქცა ყაზარმიდან და მიაწყდა მას. საყვარელი ამხანაგი აიტაცეს ხელში და ჰაერში ასროლით მიიყვანეს ყაზარმასთან. მოირბინა ყველა გერმანელმა. მოვიდნენ ათასეულისა და ასეულის მეთაურებიც და გულთბილად მიესალმნენ გაიოზს.

3.

— სოფელში ვიყავი წუხელ, — დაიწყო გაიოზმა — ბანდიტები შემომაწყდნენ და დამიჭირეს. ხუთნი იყვნენ, ნასვამები. ვიფიქრე — მივწვდები ყელში და სანამ მესროდნენ, ერთს მაინც დავახრჩობ-მეთქი. მაგრამ უეცრად რაღაც მომაგონდა. დავპირდი: შემიძლიან წამოვიყვანო კიდევ თორმეტი კაცი, რომელნიც ეხლა მეზობელ სოფელში საგუშაგოზე დგანან-მეთქი. გაეხარდათ. წამომყვა სამი კაცი და წავედით. გათენებისას იმ სოფელს მივაღწიეთ, სადაც ჩვენი ბიჭები იდგნენ. ორი კაცი უკან დარჩა, ხოლო ბანდიტთა რაზმის მეთაური მე გამომყვა. მივედით ბიჭებთან. ის მიესალმა მათ. რუსი იყო, ქართული არ გაეგებოდა. მე ბიჭებს ქართულად ვუთხარი, ასეთი საქმე შემემთხვა და ესენი ეხლა ჩვენ თვითონ უნდა დავიჭიროთ-მეთქი, ორმა თავიანთი მძლავრი ხელებით შეჰკრა იგი. დანარჩენები თან წავიყვანე იქ, სადაც ის ორი კაცი გველოდებოდა. მათ რომ შეგვამჩნიეს, გაქცევა დააპირეს. ჩვენს ცეცხლს ვერ გადაურჩნენ. რაზმის მეთაური წამოვიყვანეთ, ჩავაბარეთ ქალაქში პოლიციას. ეხლა ისევ აქ ვართ, თქვენთან ერთად, მეგობრებო. სადაც შეგეხვდებიან ეს ბანდიტები, მუსრს გავავლებთ!

გაიოზი დაჩუმდა და ამხანაგებს გადახედა. ყველამ მიიღოცა გამარჯვება და გადარჩენა...

ცა ისევ გადაიწმინდა. ღრუბლები მიმოიფანტნენ და შემოდგომის თბილი მზის სხივები საამოდ გადმოეფრქვა დედამიწას.

საღამოს ისევ გაიმართა ცეკვა-თამაში და სიმღერა.

ასეთი გატაცებით გაიოზს არასოდეს არ უმღერია. რაღაც უფრო მეტი ძალა შეჰმატებოდა, უფრო მეტად დავაქცებულიყო ამ ღამით...

მოხ. შ. თ.

აღმოსავლეთის ფრონტი

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 32 (109) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 14 აგვისტო, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

# მოხალისეთა ერთი ჟურნალის შესახებ

## „ქართული ლეგიონის ცნობის ფურცელი“

უკვე რამოდენიმე ხანია, რაც ქართულ ლეგიონში დაარსდა ადგილობრივი მოხალისეებისათვის პატარა ფორმატის ჟურნალი „ქართული ლეგიონის ცნობის ფურცელი“. ერთი შეხედვით, ჟურნალი მაინცდამაინც ვერ ახდენს დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას, დაბეჭდილია ჰექტოგრაფიული წესით და ტექნიკურადაც სუსტია. მაგრამ ეს გარემოება რომელიც სტამბის უქონლობისა და სხვა მრავალი ხელისშემშლელი მიზეზებით არის გამოწვეული, ოდნავადაც ვერ ჩრდილავს ჟურნალის მთავარ ღირსებას — მის აქტუალურ ხასიათს, მასალების მრავალფეროვნებასა და შინაარსის სიმდიდრეს. განსაკუთრებით საყურადღებოა „ცნობის ფურცლის“ საკონკურსო ნომერი. როგორც ვიცით N დივიზიამ, რომელშიც შედის ქართული ლეგიონიც, მოაწყო ნაციონალური ლეგიონების რედაქციებს შორის კონკურსი მოხალისეთა ადგილობრივი ჟურნალების უკეთ გამოშვებისათვის, ქართული ლეგიონის „ცნობის ფურცლის“ სარედაქციო კოლეგიამ, როგორც ქართული ჟურნალისტიკის ბრწყინვალე ტრადიციებს შეჰფერის, მოგვცა ყოველმხრივ სრულყოფილი საკონკურსო ნომერი, რამაც დამსახურებული მოწონება ჰპოვა ლეგიონის მოხალისეთა შორის.

აღნიშნული ნომრის მასალები საინტერესოა არამარტო ქართული ლეგიონის ფარგლებში შემავალ ათასეულთა მოხალისეებისათვის, არამედ ყველა იმ მრავალრიცხოვან ქართველ მებრძოლთათვისაც, რომლებიც სხვა ნაწილებთან იმყოფებიან. ვხელმძღვანელობთ რა ამ მოსაზრებით, გვსურს მივაწოდოთ ჩვენს მკითხველს „ცნობის ფურცლის“ საკონკურსო ნომერში მოთავსებული ზოგიერთი საყურადღებო მასალა.

ჟურნალის პირველი განყოფილების სათაურია:

## „როგორ იბრძვიან ჩვენი ძმები ნორმანდიაში“

გაზეთ „სოლდატ ამ ატლანტიკში“ მთელ მე-4 გვერდზე დახატულია სამი ეპიზოდი ქართველი მოხალისეების ცხოვრებიდან. ერთ სურათს მიწერილი აქვს „ათასეულის მეთაური ურიგებს დაჯილდოებულ ქართველ მებრძოლებს ორდენებს“, ხოლო მეორეს: „მებრძოლი ქართველები, რომლებიც საფრანგეთში იმყოფებიან, აღფრთოვანებით ისმენენ მათივე ამხანაგების მშობლიურ სიმღერებს“.

მესამე სურათზე მოცემულია ქართული ნაწილი წყობილებაში და მათი ცხოვრება შემდეგი სიტყვებით არის განმარტებული: „საქართველოს განთავისუფლების დღესასწაული ბოლშევიკების მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლის წინა დღეებში. როდესაც ქართველი მოხალისეები საქართველოს განთავისუფლების დღეს, 26 მაისს, ზეიმობდნენ, მაშინ ეს ნაწილი უკვე ნორმანდიაში იდგა და ბოლშევიზმის მოკავშირეების — ინგლის-ამერიკელების წინააღმდეგ ემზადებოდა. დღეს უკვე ეს ნაწილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული და მან გადახდილ ბრძოლებში უკვე ისახელა თავი მამაცობით. 26 მაისის თარიღი საქართველოს ისტორიაში სდგას, როგორც გამმიჯნავი თარიღი. ამ დღეს 26 წლის წინათ საქართველო გერმანიის არმიის დახმარებით გამოგლეჯილ იქნა რუსეთის ბატონობიდან და აღიარებული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. თავისუფლების მოყვარე ქართველ ერს არ დავიწყებია ეს თარიღი და მის შემდეგაც, როცა ის 1921 წელს საბჭოების უღელქვეშ მოექცა, შემდეგი სისხლიანი ეპოქა საქართველოში 1924 წლის მოსკოვის წითელი ჯალათების ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებაში გამოიხატა. მაგრამ აჯანყებული ერი სისხლის მორევში აცურავეს, მისი საუკეთესო შვილები ციმბირში გარეკეს. ამ დღიდან საქართველო ისევდაისევ თავისუფლების მოპოვებაზე ფიქრობს და სჯერა, რომ ეს დღე დადგება.

ქართულმა ნაწილებმა მედგრად იომეს აღმოსავლეთში ბოლშევიზმის წინააღმდეგ გერმანიის მხარეზე: და ისინი დღესაც გერმანელებთან მხარდამხარ იბრძვიან დასავლეთში მათი ძველი მოსისხლე მტრის, ბოლშევიზმის მოკავშირეების წინააღმდეგ“.

## „ქართველ მოხალისეთა ვაჟკაცობა“

ფრანგული გაზეთი „პარი სუარი“ აღნიშნავს, რომ 6 ივნისს გადმოსხმულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯუღაშვილის თანამემამულე ქართველმა მოხალისეებმა განსაკუთრებული ვაჟკაცობა გამოიჩინეს. ისინი სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ალყაშემორტყმული პუნქტებიდან. გერმანულმა სარდლობამ დიდი ქებით აღნიშნა ქართველთა ასეთი გმირობა.

## „ბრძოლის სურათები და ჯარისკაცთა წერილები აღმოსავლეთის ფრონტიდან“

### ერთი ბრძოლა

ჩვენი ოცეული იკავებს ახალ საბრძოლო უბანს სოფ. N-ში. დღის 12 საათი იყო, დასახლებულ სოფელში რომ შევედით. ვერც კი მოვასწარით განლაგება, რომ ბოლშევიკების ორი ტანკი — „1—34“ და ტანკეტი 16 მეავტომატეებით ჩვენს ოცეულში შემოიჭრნენ.

მოულოდნელი თავდასხმისაგან მტერი დიდ შედეგს მოელოდა. მაგრამ ის ანგარიშში მოტყუვდა: არ დავიბენით, სახელდახელო ადგილებში სწრაფად განვლაგდით და გრიგალისებური ცეცხლი მივაგებეთ მას. მტრის ტანკისტები დაიბნენ, ხან აქეთ აწყდებოდნენ, ხან იქით. მათი ცეცხლი სრულიად უგეგმო იყო. ასევე დაბნეულ ისროდნენ მეავტომატენიც. დაჰკარგა რა თექვსმეტივე მებრძოლი, მტრის ორი ტანკი უკან გაბრუნდა. ჩვენს მხრივ დანაკლისს ადგილი არ ჰქონია. გამარჯვებული მებრძოლები, ისვენებდნენ რა სანგრებში, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ: „რა ჩქარა გავიცანით წითელი ბატონებიო“.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე საინტერესო პირადი წერილები აღმოსავლეთის ფრონტიდან, რომლებიც მიიღეს ქართული ლეგიონის მოხალისეებმა მეგობრებისაგან — აი, ორიოდე მათგანი.

მოხ. კ. გ-ლია თავის ძველ ნაცნობ მ-ს შემდეგს სწერს:

„გისურვებ ჯანმრთელ სიცოცხლესა და ბედნიერად დაბრუნებას საკუთარ ოჯახში. ალბათ გაინტერესებს ჩემი ამბავი: ქართველების ის ჯგუფი, — თქვენგან რომ წამოვედით ზამთარში, მოვხვდით ერთ-ერთ გერმანულ დივიზიაში. ეს დივიზია მაშინ იდგა ლამანშზე. სხვათაშორის, წამოსვლისას მინდოდა გამოგმშვიდობებოდი, მაგრამ ვერ გნახე და თანაც მეჩქარებოდა. 27 მარტს ლამანშიდან ჩვენი დივიზია მივიდა აღმოსავლეთის ფრონტზე. მიუხედავად სასტიკი ყინვისა და ქარბუქისა, იმავე დღეს გადავედით შეტევაზე და სამი დღის განმავლობაში მტერი განვდევნეთ 50 კილომეტრით ლ-ვის აღმოსავლეთით. ამის შემდეგ დავიკავეთ თავდაცვა. რუსების მხარეზე ძალიან ცუდი პირობებია: რაღა დაგიმალო,— ჩვენს რიგებში ერია ერთიორი მოხალისე, რომელთაც იქით ეჭირათ თვალი, მაგრამ გაიგეს რა წითლების აუტანელი მდგომარეობა, კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ სინამდვილეში. ისინი მერე თავგანწირვით იბრძოდნენ. ბევრმა მათგანმა მამაცობისათვის ჯილდოც კი მიიღო“.

მოხ. რ-ძე ერთერთ ამხანაგს სწერს:

„...რაც იქ ხდება, ნუღარ მკითხავ. ერთ თვეს ვიყავი შვებულებაში. ვნახე გერმანია. რასაც იქ მოქალაქეები სჭამენ, ჩვენში მას ომის წინაც

უერ სჭამდნენ. ყველაფერი წიგნაკებზეა და რაც გეკუთვნის, არ გეკარგება...“

„ცნობის ფურცლის“ ამ ნომერში საინტერესოდ არის გაშუქებული ლეგიონის ამბებიც. აი, ერთერთი მათგანი:

„ამ დღეებში ლეგიონის მეშვეობით, მოხალისეთა დივიზიის მეთაურს, გენერალ-მაიორ ჰენინგს, გაეგზავნა ქართველი ჯარისკაცის ხელით გაკეთებული სათუთუნე, როგორც ნიშანი სიყვარულისა და ერთგულებისა. მადლობის ნიშნად გენერლისაგან მიღებულია საპასუხო წერილი. აქვე ვათავსებთ ურთიერთმიმართვის ტექსტს:

მოხალისეთა ძირითადი დივიზიის მეთაურს, ბ-ნ გენერალ-მაიორ ჰენინგს. დივიზიის სადგომი, 17 ივნისი, 1944 წ.

დიდად პატივცემულო ბ-ნო გენერალო! გთხოვთ, თანდართული საჩუქარი მიიღოთ ქართული ლეგიონისაგან, როგორც თქვენდამი ერთგულების ნიშანი. შესრულების თვალსაზრისით ეს ნამუშევარი არ ამჟღავნებს ძველი ქართული კულტურის სიმაღლეს, რადგან ის გაკეთებულია მერიგე ჯარისკაცის მიერ. რომ ეს კულტურა მოხალისეთა გულებში კიდევ შემონახულა, ამას ამტკიცებს მათი გმირული ბრძოლები ჩრდილოსაფრანგეთში, რაც ჩვენს პრესაში რამდენმეჯერ იქნა მოხსენებული. გისურვებთ, ბ-ნო გენერალო, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. თქვენი მარად ერთგული კაპიტანი შარაბიძე. კაპიტანი ფრანკი.

გენერალმა ჰენინგმა შემდეგი პასუხი გამოუგზავნა:

„ქართულ ლეგიონს კაპიტანი ფრანკის მეშვეობით. მოხალისეთა ძირითადი დივიზია, დივიზიის მეთაური. სადგომი, 22 ივნისი, 1944 წ.

მხატვრულ-ხელოსნური ნამუშევრის ჩუქებისათვის გულითად მადლობას ვუცხადებ ლეგიონს. მან მე ძალიან გამახარა. გთხოვთ, ამის შესახებ აცნობოთ ჯარისკაცებს, განსაკუთრებით სათუთუნის გამკეთებელს. გთხოვთ, აგრეთვე თანდართული პაპიროსები გადასცეთ მოხელეს ჩემგან მადლობის ნიშნად. ჰაილ ჰიტლერ. გენერალი ჰენინგი“.

ჟურნალში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნ. დადიანის წერილი, რომელიც მან პარიზიდან გამოუგზავნა ლეგიონის მეთაურის თანაშემწეს, კაპიტან შარაბიძეს ჯარისკაცებისადმი გადასაცემად.

## „ქართველი პატრიოტი ქალი“

ნ. დადიანი ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე გამოექცა ბოლშევიკებს. მას სწამდა საქართველო და უყვარდა ქართველი ხალხი. ამჟამად იგი ღრმად მოხუცებულია და მიუხედავად ამისა, მთელი მონდომებით აწარმოებს დაჭრილ და ავადმყოფ ქართველ ჯარისკაცთა მოვლა-პატრონობის საქმეს პარიზში. იგი შემდეგს სწერს:

„ბებია ნინო გენაცვალოთ, ძვირფასო შვილებო! ამ უმაგალითო გაჭირვების ჟამს, რომელსაც განიცდის ქართველი ერი, ქართველი დედაკაცის აზრი და ფიქრი თქვენთან არის. ჩვენს ერს მრავალჯერ დადგომია მძიმე დღეები და ყოფილა თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში, მაგრამ ღვთისმშობელი, რომლის წილხვდომილი არის საქართველო, და მხნეობა ქართველი მამაკაცებისა და დედაკაცებისა, მუდამ იხსნიდა მას. ეხლაც კვლავ იმედებით შემოგყურებთ თქვენ, — ბურჯნო მომავალი საქართველოსი და გვწამს, რომ ესოდენი მსხვერპლი, თქვენს მიერ გაღებული, ნაყოფიერი იქნება ჩვენთვის. გაუმარჯოს იმ იარაღს, რომელიც თქვენ გიპყრიათ. გაუმარჯოს საქართველოს და გაგიმარჯოთ თქვენ, ძვირფასო შვილებო. უფალი იყოს თქვენი მფარველი, ყოჩაღად, ჩვენებურად! მუდამ, ყოველ წუთს, ყოველდღე და ყოველღამ თქვენთან იგულეთ ბებია ნინო“.

კითხვა-პასუხის განყოფილებაში მოთავსებულია ქართველი მოხალისისათვის მეტად საჭირო განმარტებანი ყოველდღიურ საკითხებზე. მოვიყვანთ რამდენსამე მათგანს.

### „ჩვენი პასუხი ჯარისკაცის შეკითხვებზე“

შ ე კ ი თ ხ ვ ა: ჩვენი ნაწილის მიერ ერთი ბანდის განადგურების დროს ბანდიტს ჩამოვართვი დამბაჩა. ნაწილში დაბრუნებისას მიბრძანეს ამ დამბაჩის იარაღთა საწყობში ჩაბარება. მაქვს თუ არა მე, როგორც უმცროს მეთაურს, უფლება სათანადო განკარგულების შემდეგ ეს დამბაჩა ვატარო?

პ ა ს უ ხ ი: გერმანიის არმიაში არსებული კანონის თანახმად, ყოველგვარი ნივთი, რომელიც ჩამორთმეულია ბანდების განადგურებისას, წარმოადგენს გერმანიის არმიის საკუთრებას. მაშასადამე, ნადავლი დამბაჩა უნდა გადაეცეს ასეულის მეთაურს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია ჩააბაროს იგი ზემდგომ ინსტანციას.

იმ შემთხვევაში, თუ მოხალისემ ბანდებთან ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა და ვაჟკაცური მოქცევით მტერს დამბაჩა წაართვა, მაშინ ის მოახსენებს ამას ასეულის მეთაურს, რომელსაც, რასაკვირველია უფლება აქვს ხსენებული მოხალისე დააჯილდოვოს დამბაჩით ან სხვა რაიმე ნადავლი საჭონლით სიმამაცის გამოჩენისათვის.

კ ი თ ხ ვ ა: შემიძლია თუ არა დავქორწინდე, სანამ ომი არ დამთავრებულა?

პ ა ს უ ხ ი: შეგიძლიათ. ყველა მოხალისისათვის, ისევე როგორც გერმანელებისათვის, ნებადართულია ცოლის შერთვა ომის დამთავრე-

ბამდე, ხოლო ქორწინებისათვის საჭიროა ნებართვა სათანადო სამხედრო ნაწილისაგან".

საკონკურსო ნომრის მასალებს შორის უთუოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე მოხ. შ. აბაშისპირელის ისტორიული ნარკვევი, მოხ. რ. შკუბულიანის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი" და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს ჟურნალის ჰუმორისტული განყოფილება. სანიმუშოდ მოვიყვანთ ორიოდე ანეგდოტს, რომელიც გემოვნებით შეურჩევიათ „ცნობის ფურცლის" მესვეურთ:

### „ჯარისკაცის სიცილი"

პატარა რეზოს, როცა მის უფროს ძმას ქორწილი ჰქონდა, მთელ ღამეს ეძინა. მეორე დილას რეზომ ბოდიშის მოხდით მიმართა ძმას: მართალია, წუხელ ვერ დაგესწარი ქორწილზე, მაგრამ მეორედ ცოლს რომ შეირთავ, აუცილებლად დაგესწრებიო.

— რომელი ქალები უფრო მოგწონთ, რომლებსაც ბევრი ლაპარაკი უყვართ, თუ სხვები.

— რომელი სხვები. მე სხვებს არ ვიცნობ!

— გოგო, თუ იმ შენს საქმროზე გული გაგიცივდა და უარს ეუბნები, მაშინ ნიშნობის ბეჭედი უკან დაუბრუნე.

— კი მაგრამ, ბეჭედზე მე გული როდი გამცივებია!

— ჩემო მეგობარო, არ მომცემ ერთ პაპიროსს?

— სიამოვნებით, მაგრამ თქვენ, მგონი პაპიროსის მოწევას თავი დაანებეთ!

— ეგ მართალია, მაგრამ არც ასე ერთბაშად: მე ჯერ საკუთარი პაპიროსის მოწევას დავანებე თავი.

ასეთია მოკლედ ჟურნალის ეს ნომერი. როგორც ვხედავთ, თუ სურვილი, მონდომება და საქმისადმი სიყვარული არსებობს, ყოველგვარ პირობებში შეიძლება მოხალისეთათვის კარგი პატარა ჟურნალის გამოშვება.

გაზ. „საქართველოს" რედაქცია, კმაყოფილი ჩვენი ლეგიონის ორგანოს წარმატებით, ქართველურ სალამს უძღვნის „ცნობის ფურცლის" მესვეურთ და უსურვებს მომავალშიც ასეთივე სიყვარულით მოეპყრას ჩვენი მებრძოლი ახალგაზრდობის კულტურული მომსახურების საქმეს.

მოხ. პ. ვ.

## ქართველ მოხალისეთა შეხვედრა ჰოლანდიელთა ნაკრებ გუნდთან

ამ რამოდენიმე დღის წინათ ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში, N ქართული ათასეულის ფეხბურთელთა და ჰოლანდიის ერთერთი ქალაქის ნაკრებ გუნდს შორის.

თამაში მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა, მაყურებელი უდიდესი დაძაბულობით ადევნებდა თვალს შეჯიბრის მსვლელობას. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3:3.

ათასეულის მოთამაშეებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მოხალისეები მ. ს., მ. ნ., და გ.

გუნდის ყველა მოთამაშე სამწყობრო და საცეცხლო მომზადების ფრიადოსანია.

მოხ. ბ. ბზვანელი

# „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 34 (111) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 29 აგვისტო. 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

### ოგერლეიტენანტი გივი გაბლიანი ნორმანდიის ფრონტზე

ქართული საკავშირო შტაბის სამხედრო ხელმძღვანელი ობერლეიტენანტი გივი გაბლიანი ერთი თვის წინათ გაემგზავრა საფრანგეთში მყოფი ქართული სამხედრო ნაწილების სანახავად. მას ნორმანდიაში მოუხდა იმ მომენტში ყოფნა, როდესაც მტერმა დაიწყო თავისი დიდი შემოტევები და ის ათასეული, რომელთანაც იმყოფებოდა იგი, ბრძოლაში ჩაება. მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, ქართულმა ათასეულმა თავისი საბრძოლო ამოცანა პირნათლად შეასრულა. ქართველმა მხედრებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ვაჟკაცობა და სიმამაცე.

დიდი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ ობერლეიტენანტი გ. გაბლიანი პარიზში დაბრუნდა, სადაც შეხვედრა ჰქონდა გენერალ ფონ ნიდერმაიერთან და მისი შტაბის ოფიცრებთან.

მოხ. დ. კ.

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 37 (114) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 18 სექტემბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## ჩვენი ასეული ლატვიაში

### 1.

ჩვენი ასეული დიდიხნის განმავლობაში ლატვიაში იყო დაბანაკებული. ამ პატარა ქვეყანაში ცხოვრება, რომელიც მრავალმხრივ ჩვენს სამშობლოს მოგვაგონებს, მეტ ხალისსა და ენერგიას გვმატებდა. ჩვენი მებრძოლები იშვიათი თანაგრძნობითა და პატივისცემით იყვნენ გარემოცული ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ლატვიელი გლეხები ჩვენ, ისევე როგორც გერმანელ ჯარისკაცებს, განსაკუთრებით კარგად გვექცეოდნენ. მათ უკვე გამოსცადეს რუს ბოლშევიკთა ბატონობის საშინელება, ხელშესახებად იგრძნეს, რას ნიშნავს ბოლშევიკური მონობის უღელი, ტერორი და გადასახლება. ისინი ჩვენ გვიყურებდნენ, როგორც მხსნელებს, რომლებიც ვიცავდით მათს სამშობლოს მოზღვავებული მტრის ურდოებისაგან.

ლატვიაში კარგად იცნობენ საქართველოს, იციან ჩვენი წარსული, მოსწონთ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის გმირული ისტორია, მისი ბრძოლები ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. და რამდენი მეგობარი, გულშემატკივარი მოიძებნება ამ პატარა, მაგრამ დიდი სულის მქონე მხარეში, რომლებიც საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ სთვლიან, ქება-დიდებას ასხამენ ქართველ მებრძოლთ თავისუფლებისათვის, თანაგრძნობას უცხადებენ ჩვენი ხალხის მეამბოხე განწყობილებას სამშობლოს სულთამხუთავთა წინააღმდეგ.

ქართველმა მებრძოლებმა დიდი ინტერესით წაიკითხეს ცნობილი ლატვიელი პოეტის პაველ როზიტსის ლექსი საქართველოზე, სადაც იგი, როგორც თავის სამშობლოს, ისე მიმართავს მისთვის შორეულ საქართველოს. და ვინ იცის, კიდევ რამდენ ლატვიელ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს აღუმაღლებია ხმა საქართველოს სისხლისმსმელთა წინააღმდეგ, რამდენი კეთილშობილი გრძნობა გამოთქმულა ამ კოპწია ქვეყანაში ჩვენი სამშობლოს მიმართ!

რა შეიძლება აკავშირებდეს ლატვიასა და საქართველოს? ცხადია პირველ რიგში მებრძოლი სულის ერთიანობა რუსული ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელმაც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ფეხქვეშ

გასთელა საქართველოს თავისუფლება და თავისი სისხლიანი ხელით ლატვიასაც გადასწვდა. გერმანულმა არმიამ მეგობრული დახმარება გაუწია ლატვიელ ხალხს ბოლშევიკთა განსადევნად. იგი, ლატვიელ მამულიშვილებთან ერთად, დღესაც გმირულად იცავს პატარა ქვეყანას ხელმეორედ მოვარდნილი ბოლშევიკური ურდოებისაგან. აი, ასეთი საპატიო ამოცანის შესრულება დაგვეკისრა ჩვენც, ქართველ მოხალისეებს, რომლებიც გერმანულ ნაწილებთან ერთად მოვედით აქ მეგობარი ხალხის დასაცავად.

და ჩვენ ბედნიერნი ვართ, გეგონია, თითქოს ჩვენს სამშობლოს ვიცავდეთ, ჩვენს სანუკვარ საქართველოს! ძალაუნებურად მაგონდება იმავე პაველ როზიტსის ლექსი საქართველოზე და მინდა მისივე სიტყვებით მივმართო პატარა ლატვიას:

„ჩემო მეორე სამშობლო, რომლის
მინდვრებში მეფობს ავი სიკვდილი,
შენს შამბნარებში მხეცური ნდომით
დაძრწის დუშმანი მკერდშეპურვილი...
მამულისათვის მამა და ძმები
იბრძვიან, თვალში ცრემლი არ შრება,
დასტოვეს სახლი, მოვიდა მტერი,
ჩქარა, სამშობლოს შეელა სჭირდება!..."

## 2.

სამი აგვისტო დაუვიწყარი თარიღია ჩვენი ასეულისათვის. ამ დღეს ლატვიის ტერიტორიაზე პირველად დაიღვარა ქართული სისხლი. სანამ უშუალოდ ბრძოლაში ჩავებმებოდით, ჩვენი ასეული ზურგში იდგა, ეწეოდა საყარაულო სამსახურს და მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკ ბანდიტთა განადგურებაში. ფრონტის ხაზის შეიწროების შედეგად, ბრძანება მივიღეთ დაგვეკავებინა თავდაცვის პოზიციები. მგზავრობის ხანმოკლე პროცედურა. ყველა მოუთმენლად მოველით ადგილზე მისვლას. ნაშუადღევი იქნებოდა, როდესაც მივუახლოვდით ფრონტთან ახლო მყოფ ქალაქ ბ-ს.

ასეულის მეთაურმა მოკლედ გაგვაცნო ჩვენი აქ მოსვლის ამოცანა. ღამით ასეული ძიებაში წავიდა. ბრძანება გვქონდა მოცემული: ზუსტად გამოგეერკვია მტრის ძალები და მისი საბრძოლო წერტების განლაგება. ღამე მეტად ბნელი იყო, სიარული გვიჭირდებოდა. ჩვენი ათეული გზის გაყოლებით ფეხაკრეფით მიდიოდა. ერთი გადამწვარი სოფელი უნდა დაგვეზვერა, სადაც, წინასწარი ვარაუდით, მტერს ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები ჰქონდა დადგმული. სადღაც ძაღლი ღმუოდა, ხანგამოშვებით მოისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სროლა. უეცრად ხმამაღალი,

მკაფიო რუსული შეძახილი გავიგონე: „შესდექ, ვინ მოდის!“ ეს იყო ტყვიამფრქვევთან მდგომი წითელარმიელი გუშაგის ხმა. არ დავბნეულვარ, რუსულადვე მივახალე პასუხი: „ეს მე ვარ, მესამე ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი კუზნეცოვი“. ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. წითელარმიელს ლეიტენანტის ხმის გაგონებაზე თავგზა დაებნა. შემდეგ ისევ შეეკითხე: „შენ მანდ რომელი ხარ?“ „ეს მე ვარ, ამხანაგო ლეიტენანტო, საგუშაგოზე ვდგავარ, ტყვიამფრქვევს ვდარაჯობ“. აღარ დავაყოვნე, წითელარმიელს ვუთხარი ჩემთან ახლოს მოსულიყო. გუშაგმა ბრძანება მყისვე შეასრულა. უნდა გენახათ, როგორ მგლის თვალებსავით ანათებდა მისი თვალები, როდესაც ვუბრძანე: „ხელები მაღლა!“ სულ ბავშვი იყო, გამოუცდელი, ვერხვის ფოთოლსავით კანკალებდა, მზად იყო ტირილი დაეწყო...

სადგომში მშვიდობით დავბრუნდით, ჩვენი ტყვეც თან წამოვიყვანეთ. ამ მოქმედებისათვის მთელმა ასეულმა მადლობა მიიღო, „ენის“ მომყვანებმა კი — საპატიო ჯილდოები.

მეორე დღე თავისუფლად გავატარეთ. ღამე ისევ დაზვერვაზე წავედით, რასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია. ამ ღამითაც მოვახერხეთ ბევრი რამის გაგება მტრის განლაგების შესახებ.

## 3.

მესამე დღეს ქალაქს რუსები მოაწვნენ. მათი ტანკები ქალაქში შემოიჭრნენ და მისი დიდი ნაწილი დაიკავეს. გერმანულმა ჯარებმა და მათ შორის ჩვენმა ასეულმაც დასტოვეს ქალაქი და მის სამხრეთით თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს. მეორე დილით რუსები შემოტევაზე გადმოვიდნენ. მტერი უკუვაქციეთ და საგრძნობი ზარალიც მივაყენეთ. მოწინააღმდეგემ იერიშები კიდევ ორჯერ გაიმეორა, მაგრამ ამაოდ. მაშინ, როდესაც მტრის რიგებში დიდი დანაკარგი იგრძნობოდა, ჩვენ, გარდა რამდენიმე მსუბუქი დაჭრის შემთხვევისა, ყველა მებრძოლი შევინარჩუნეთ.

საღამოს ოთხ საათზე ბრძანება მივიღეთ — ქალაქი კონტრშეტევით უნდა ავიღოთო. ჩვენს ასეულს სამხრეთ-დასავლეთიდან უნდა შეეტია, სადაც მოწინააღმდეგის ყველაზე საგრძნობი ძალა იყო დაგროვილი. დაიწყო იერიში. ტყვიები, ნაღმები სეტყვასავით წამოვიდა რუსების მხრიდან. აკაკანდნენ ჩვენი ტყვიამფრქვევებიც. მოკლე გადარბენებით, მუცელზე ხოხვით ვუახლოვდებით მტერს. ჩემს გვერდით მეტყვიამფრქვევე დაეცა. მეორე ამხანაგს ნაღმის ნამსხვრევი მოხვდა. — მშვიდობით ძმებო, — გავიფიქრე და კვლავ წინ გავწიე. ქართველი უნტეროფიცერი, რომელიც ვაჟკაცურად მიგვიძღვებოდა, მტრის ტყვიით განგმირული და-

ეცა. ეხლა კი გავმწარდით, შურისძიების გრძნობა გვიწვავდა ტვინს... ქართული „ვაშას“ ძახილით, თავდავიწყებით გადავეშვით წინ.

ღამის თორმეტ საათზე ქალაქი უკვე ჩვენს ხელში იყო...

მოხ. კ. დ-ძე

გაზ. „საქართველოს“ საკუთარი კორესპონდენტი

## გ ა დ ა რ ჩ ა ი..

ქართველი მოხალისე შოთა მაისური გონს მოვიდა, თავი ასწია და ბუნდოვანი მზერით ერთ წერტილს დააშტერდა. მის ქვეშ ფოთლები შარიშურობდა, ხეთა კენწეროებს შორის ლილისფერი ცა მოსჩანდა, მარჯვნივ ჩირგვები იყო, ხოლო წინ ზღვასავით ღელავდა დამწიფებული ყანა. ჩამავალი მზის სხივები ოქროსფრად ავარაყებდნენ დამძიმებულ თაველებს. აქა-იქ თავს იწონებდა ამაყი ყაყაჩო, ირგვლივ რაღაც თავისებური სურნელება ტრიალებდა...

მაისური კიდევ კარგად ვერ გამორკვეულიყო. აუტანელი ტკივილები ბეჭში, სახიდან რაღაც სითხე ჩამოსდის. თითქოს გამოსაფხიზლებლად, სულ ახლოს სროლის ხმა გაისმა, მას მეორე მოჰყვა, მესამე... უცნობებმა ავტო გააჩერეს. შემდეგ მასთან რომელიღაც ფიგურებმა მიირბინეს... შოფერმა დამბაჩა იძრო. დაიწყო სროლა. აი, დაეცა პირველი, მეორე ხელში ეცა, ეჰ, დამხმარენი კიდევ მორბიან, ვაზნები კი უკვე გამოელია. შოთა არც კი დაფიქრებულა, ინსტიქტურად წამოხტა, ჩირგვებს მიაშურა, გზას გადაურბინა. მზის სხივებზე დამსხვრეული მანქანის ლითონის ნაწილები აბჟყვიალდა. ირგვლივ სისხლის წვეთები. რაღაც მჩვრები ჰყრია. უკან კვლავ დაიქუხა, ტყვიებმა ახლო გაიზუზუნეს, ფოთლები შეაშრიალეს. შოთა ისევ ჩირგვებს დაუბრუნდა. იკანკელით გარბის, ყოველ წუთში იცვლის მიმართულებას, უკან ვიღაცეები მოსდევენ ყვირილით, აურზაურით. მაისურმა იქამდე ირბინა, სანამ ქანცგამოლეული ჭაობში არ ჩავარდა.

ხმები სულ უფროდაუფრო ახლოვდებოდა. ჭაობიდან ძლივს ამოძვრა, დიდხანს მიფოფხავდა მუცლით მაღალ ბალახში, ღამის წყვდიადმა დაჰფარა მებრძოლი. გათენებისას გზა გააგნო, მზის საშუალებით მოახერხა ორიენტირება და ბარდნარს შეერია. მისი მიმართულება დასავლეთით იყო. ორი დღის განმავლობაში არავინ შეხვედრია, უმ სოკოსა და ასკილს სჭამდა, ეძინა ხშირ ბუჩქებში. დათენთილი სხეული ჰგვემდა, დაჭრილი ბეჭი სიცოცხლეს უმწარებდა. პერანგი ჩაიხია და ჭრილობა შეიკრა.

მესამე დღეს ბუჩქებიდან მის წინ გამოძვრნენ ორნი ჭუჭყიანი სამოქალაქო ტანსაცმლით და შაშხანებით ხელში. შოთა არ დაიბნა, ავტომატი აამუშავა, სანამ ვაზნები არ გამოელია. კვლავ ჩირგვებს შეერია, ტყეს კი ბოლო არ უჩანდა. ფეხები აღარ ემორჩილებოდა.

რამდენი დღე გავიდა? სიარული უკვე შეუძლებელია, ხოხვით, ბაყაყისებური ნახტომებით მიიწევს წინ. ბოლოს ტყის ნაპირიც გამოჩნდა. ძლივს!.. მაისურს ლაპარაკი შემოესმა, ჩირგვებიდან თავი გამოჰყო. ტყის ნაპირას ქოხის გვერდით, წითელარმიელები გზაზე ნაღმებს აწყობდნენ. ისევ ჩირგვებში შეიმალა და ფრთხილად გახოხდა წინ. აი, ბორცვიდან დაკლაკნილი გზა გადაეშალა თვალწინ, მასზე ტანკების სილუეტები. მაგრამ ვისია? უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, წინ გაცოცდა. გული ჩიტსავით უფართხალებდა, თავს იმედით იმშვიდებდა, — ხომ შეიძლება გერმანელების ტანკები იყოს!.. მაშინ ხომ გადარჩება! მიწაზე დაიხარა, პურის ღერები გადასწია — მუხლუხების ხმაურით მის გვერდზე მძიმე ტანკი მიბაჯბაჯებდა. მზის სხივებზე შოთამ ტანკის კოშკს დიდი წითელი ვარსკვლავი შეამჩნია. ძალა დაჰკარგა და ფხვიერ მიწაში გულაღმა დაეცა.

როცა ხელახლა გამოერკვა, აფეთქებათა ხმაურმა ყურები გამოუჭედა. მარჯვნივ; სადღაც ტყვიამფრქვევი კაკანებდა, იქვე, შორიახლოს სკდებოდნენ ყუმბარები; ორიოდე ნაბიჯის მოშორებით, რაღაცამ ყანა გადათელა. ტანკმა გადაიარა. თავი ასწია... აი, მეორეც, ნაცნობი ყვითელი ფერი და თეთრი ჯვარი კოშკზე. მეავტომატეთა ფიგურები მტრედისფერ ფორმაში. ზურგზე გადაბრუნდა, გორვით გზაზე გამოვიდა და ხელი ასწია. ტანკი, რომელიც პირდაპირ მისკენ მოდიოდა, გაჩერდა. შოთა შიგნით შეიყვანეს. მაისურმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და წაიჩურჩულა:

— იქ, ჭალის ნაპირას, წითელსახურავიან სახლთან, გზატკეცილი დანაღმულია...

— გმადლობთ, მეგობარო!

მას კიდევ ესმოდა ბრძანების მკაფიო სიტყვები, თუმცა გონება უკვე ერთმეოდა. სატანკო ოცეული გაიშალა და გასწია იქითკენ, სადაც წითელსახურავიანი სახლი ეგულებოდა.

მოხ. ბ. შ-ელი

„საქართველო“

№ 38 (115) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 25 სექტემბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## ქართველი მოხალისე დასავლეთში

**ჯეროვანი პასუხი**
**გაზ. „საქართველოს“ საგანგებო**
**კორესპონდენტისაგან**

ინათლა.

გაღვიძებულმა ბუნებამ თვალები მოიფშვნიტა.

მზის პირველმა სხივებმა ფოთლებზე დაპკურებული ცვარი ვერცხლისფრად ააბრწყვიალა...

მატარებლის ხმაურმა გამოაღვიძა არემარე...

ერთ-ერთ ვაგონში მხიარულად ბაასობენ ქართველი პროპაგანდისტები. ისინი მიემგზავრებიან თანამემამულეთა ნაწილში, თან მიაქვთ სალამი შორეული ბერლინიდან და გულწრფელი სურვილები. გადამწყვეტ მომენტში საჭიროა მათთან იყო, დაეხმარო სიტყვითა და საქმით...

მატარებელი ქალაქ ლ-ს მიუახლოვდა. შორით გამოჩნდა ეკლესიის სამრეკლოები და კოშკთა ქონგურები. მოხალისეების სიხარულს საზღვარი აღარ აქვს...

მაგრამ, რა არის ეს? — ტყიდან სროლის ხმა მოისმა. პირველს მეორე მოჰყვა და მცირე ხნის შემდეგ გრიგალისებური ცეცხლი გაიხსნა.

ჩვენს მატარებელს ესროდნენ...

აშკარა იყო — საქმე გვქონდა ტერორისტთა ბრბოებთან, რომლებიც დიდი რაოდენობით დაეხეტებიან ამ ტყეებში.

გაისმა გერმანელი მაიორის ფოლადისებური ხმა. — სასწრაფოდ მიღებულ იქნას მტრის წინააღმდეგ ზომები — იყო ბრძანება.

გერმანელი ჯარისკაცების გვერდით, ქართველმა მოხალისე პროპაგანდისტებმაც მიიღეს საბრძოლო მდგომარეობა. ცეცხლს ცეცხლითვე უპასუხეს. ჩვენი პასუხი უფრო სასტიკი, ულმობელი და გამანადგურებელი გამოდგა.

ქართველი მოხალისეები ოთხ საბრძოლო ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. მეტყვიამფრქვეველთა ჯგუფს უნტეროფიცერი. მ. ნ-ლი მეთაურობდა. მოხალისე რ. ს-ძემ მოხერხებული ადგილი ამოარჩია, დადგა თავისი ტყვია-მფრქვევი და /იგი მტრისთვის გასაგებ ენაზე აალაპარაკა.

მოწინააღმდეგის ბანაკში სროლა თანდათან სუსტდებოდა, ბოლოს

მიჩუმდა და მთლიანადაც შესწყდა. ბანდიტებმა ბრძოლას გაჭცევა ამჯობინეს, თავგზააბნეულებს სურდათ თავი ტყისთვის შეეფარებინათ, მაგრამ გამოდევნილმა გერმანელმა და ქართველმა მებრძოლებმა ამის საშუალება არ მისცეს. მრავალმა მათგანმა ტყეში ჰპოვა სამუდამო ბინა, ბევრიც ტყვედ იქნა წამოყვანილი.

მოხ. დ. ჯ.

## ერთი — შვიდის წინააღმდეგ

ღამეა, სოფელს სძინავს. ჩვენი ოცეული საბრძოლო მოქმედებაშია. მოხალისეები განაწილებული არიან საგუშაგოებზე.

ოცეულის მეთაურის თანაშემწე ს-შვილი ფხიზლად არის. იგი ხშირად ამოწმებს საგუშაგოებს და ათვალიერებს გარემოს.

აი, მიდის იგი ერთერთი საგუშაგოსაკენ. ბნელა, ახლო მანძილიდანაც კი შეუძლებელია რამის დანახვა. უეცრად მას საუბარი შემოესმა და იქითკენ გაემართა. მოულოდნელად თავზე წაადგა ადამიანთა პატარა ჯგუფს — 4 კაცსა და 3 ქალს.

— ქართველები ხართ? — შეეკითხა იგი ბნელში მოსაუბრეთ.

პასუხის ნაცვლად, ერთ-ერთი ბანდიტი წამოიჭრა და მოინდომა მისთვის თოფი წაერთმია. გულადი მოხალისე არ დაიბნა, მან სწრაფად გადმოიღო თოფი და რადგანაც სიახლოვის გამო სროლას ვერ შესძლებდა, დუგლუგი დაარტყა თავში. დარეტიანებული ბანდიტი მოჭრილ ხესავით დაეცა ძირს. მეორემ განიზრახა ამხანაგს მიშველებოდა და თოფი გულზე დაადო. მოხალისემ სწრაფად აუკრა ხელი თოფზე თავდამსხმელს და ნასროლი აიცდინა. ხანმოკლე ხელჩართული ბრძოლის შემდეგ ისიც პირველი ამხანაგის გვერდით ეგდო. დანარჩენი ბანდიტები შეშინდნენ და ტყისაკენ მოჰკურცხლეს.

ს-შვილი ძვირფასი ნადავლით დაბრუნდა უკან. მან ორივე ბანდიტი ათასეულის შტაბში მიიყვანა.

მოხალისე ს-შვილი მამაცობისა და მოხერხებულობისათვის, ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილია ჯილდოზე.

ქართველ მებრძოლთა ცხოვრებაში ხშირად ხდება მსგავსი მაგალითები. იტალიის მთებში მათი გამოჩენა ყოველთვის ძრწოლას ჰგვრის იტალიელი ხალხის დაუძინებელ მტრებს — ტერორისტებსა და ავაზაკებს.

მოხ. ვ. ხ.

# ივერიის მონასტერი ათონის მთაზე

ივერიის მონასტერი ათონის მთაზე (საბერძნეთი) საკმაოდ ცნობილია ქართულ ისტორიაში და ქართული საზოგადოებისათვის. ცნობილია აგრეთვე, თუ რა როლი ითამაშა ამ მონასტერმა ქართულ კულტურულ და მეცნიერულ ცხოვრებაში. ჩვენი მიზანია გავაცნოთ ქართველობას მისი დღევანდელი მდგომარეობა.

ივერიის მონასტერი გაშენებულია სალონიკიდან 40 კილომეტრის მანძილზე აღმოსავლეთით. იგი დღიდან დაარსებისა წარმოადგენდა ქართული მწიგნობრობის, სასულიერო, საერო და ფილოსოფიური ლიტერატურის კერას. აქ არამარტო ითარგმნებოდა მეცნიერული და ფილოსოფიური შრომები, არამედ იქმნებოდა ბევრი წმინდა ქართული ნაწარმოებიც, რომელთაც უკვდავების სახელი დაუმკვიდრეს მათს ავტორებს. ამიტომაც ივერიის მონასტერი სულ მუდამ იზიდავდა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ყურადღებას, ბევრმა მათგანმა გაამდიდრა თავისი ნაშრომები ივერიის მონასტერში ნაპოვნი ძვირფასი მასალებით, როგორც ლიტერატურის, ისე ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების დარგში.

დღევანდელი მდგომარეობა ივერიის მონასტრისა თუ მთლიანად არა, ბევრად მაინც უახლოვდება იმ ქართული მონასტრების ბედიღბალს, რომელთა გაპარტახებული ჩონჩხები, მოფენილი საქართველოს მიწა-წყალზე, დღესაც ღაღადებენ ქართული კულტურის დიდებაზე, დღემდე ივერიის მონასტრის პატრონ-მომვლელნი და დამცველნი იყვნენ ქართველი ბერები, რომელნიც საქართველოდან, თანახმად ტრადიციისა, მრავალრიცხოვნად მიდიოდნენ ათონის მთაზე. მსოფლიო ომის შედეგებმა სრულიად აღკვეთეს ეს შესაძლებლობა და ამიტომ დღეს მხოლოდ ოთხი ქართველი ბერია იქ დარჩენილი. მათი სიცოცხლის დღენი უკვე მიწურულშია და დღეს თუ არა ხვალ მონასტერს მთლიანად დაეპატრონებიან ბერძენი ბერები.

საბერძნეთში მყოფი ქართული სამთო ათასეულის („ბერგმანის“) რამდენიმე წევრი დავინტერესდით მონასტრის მდგომარეობით და გადავწყვიტეთ გადაგვეჩინა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ძვირფასი ნიმუშები, საკუპაციო ძალების დახმარებით დროებით მაინც დაეპატრონებოდით მონასტერს და ეს ნიმუშები გადაგვეცა ევროპაში მყოფი პროფ. ექვთიმე თაყაიშვილისა და პროფ. მიხ. წერეთლისათვის. მიზანს ნაწილობრივ მივაღწიეთ, დავაინტერესეთ სათანადო ინსტანცია გერმანული ხელისუფლებისა და ჩვენი ცდა დაადგა განხორციელების გზას, მაგრამ დღევანდელი შექმნილი პირობები გვაიძულებს ეს გეგმა უფრო ხელსაყრელ დრომდე გადაიდოს.

სამწუხაროა, რომ დღიდან გერმანელების საბერძნეთში შესვლისა, არავინ იკისრა ამ მიზნის განხორციელება. მაშინ ეს ადვილად განხორცი-

ელდებოდა და იქნებ ჩვენთვის სამუდამოდ არ დაკარგულიყო ძვირფასი ნიმუშები ქართული წარსულისა.

ბერძენი ბერები მეტად უდიერად ეპყრობიან ქართული მონასტრის ავლადიდებას და მოსალოდნელია ამ ოთხი ქართველი ბერის სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ქართული ამ მონასტრისა განიავდეს და გაპარტახდეს. ამის ნიშნები დღეს უკვე ნათლად სჩანს.

როგორც ვიცით, ათონის მთაზე არის აგრეთვე მრავალი სხვა მონასტრები, მაგალითად რუსული, რუმინული... ამ უცხო მონასტრებში ვნახავთ მრავალ ქართულ ხატსა და საეკლესიო საჭურველს, მოპარულსა და გატანილს ქართული მონასტრიდან. ბევრი მათგანი ბერძენი ბერების მიერ არის მოპარული და გაყიდული სხვა მონასტრებში. აგრეთვე ქართული მონასტრის კერძო საკუთრებას — ხეხილისა და ზეთისხილის მაგულებს საბერძნეთის მთავრობა დაეპატრონა და გადასცა იგი ბერძნულ მონასტრებს.

მრავალ საინტერესო ნიმუშებს შორის, ჩვენი აზრით, ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის ქართულ საეკლესიო გალობათა კრებული, დაწერილი ძველი ქართული ნოტებით. საბერძნეთში ჩემ მიერ მიღებული ცნობით, ეს ნოტები უნდა ეკუთვნოდეს მე-11—12 საუკუნეს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ხანაში ქართული ხელოვნების ყველა დარგი განვითარების უმაღლეს დონეზე იდგა. სრული შესაძლებელია, რომ ქართველებს მუსიკალური ნოტებიც ჰქონოდათ. ეს საინტერესოა არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი კულტურული მსოფლიოსათვის.

აი მოკლედ ის, რის გაგებაც შევძელით საბერძნეთში ხანმოკლე ყოფნის დროს. იმედი გვაქვს, თუ მომავალში ისეთივე ხელსაყრელი პირობები დაგვიდგა, როგორიც ეხლა ხელიდან გავუშვით, ქართული საზოგადოება უყურადღებოდ აღარ დასტოვებს ამ ჩვენთვის ძვირფას ტაძარს ქართული წარსული დიდებისა.

ბერგმანელი

„საქართველო“

№ 39 (116) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 2 ოქტომბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

# ქართველი მოხალისე დასავლეთში

## სწრაფი მოქმედებით

### ჩვენი საგანგებო კორესპონდენტისაგან

იგი, ზურგზე ტომარამოკიდებული. სოფელში დაეხეტებოდა. როცა საქმე საეჭვო პიროვნება, დააპატიმრეს. ნაწილში, სადაც ის მიიყვანეს, ტომარის გაჩხრეკის დროს ორი გრანატი აღმოაჩნდა, ძველი ძონძების ქვეშ — კი დამბაჩა ჰქონდა დამალული.

იგი მზვერავი გამოდგა. დაკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ ბანდა, 60 კაცის შემადგენლობით, თავდასხმას აწყობდა სოფელზე, რათა შეევსო თავისი სასურსათო მარაგი.

მოხალისე ობერფელდფებელმა ბ-მ განიზრახა მზვერავის გამოყენება მეგზურად, რათა ბანდა აღმოეჩინა. მან გამოიძახა ფელდფებელი ვ. და მისცა ამოცანა: მას შემდეგ, რაც რაზმი შეხვდება და გაანადგურებს ბანდას სოფელში, ვ-ს ოცეულმა უნდა გაანადგუროს ბანაკში დარჩენილი ბანდიტები.

სოფლიდან ოთხიოდე კილომეტრზე მეორე ოცეული რაზმს გამოეყო. გაჩერდნენ დიდი ტყის წინ, გზიდან ცოტა მოშორებით.

ოცეული ორ ჯგუფად გაიყო. ჯგუფს, რომელიც თორმეტი კაცისაგან შესდგებოდა უნტეროფიცერი შ-ს მეთაურობით, ბანაკზე უნდა მიეტანა იერიში პირველი ბილიკიდან. მეორე ჯგუფი ხევში მიდიოდა უკანდასახევი გზის ჩასაკეტად. განთიადისას შ-ს ბუს ხმაზე უნდა დაეყვირა და ბანაკზე იერიში მიეტანა.

დაიკავა რა გამოსავალი მდგომარეობა, მან მოთვალთვალეთაგან შეიტყო, რომ ბანაკში ხალხი იმყოფება. მათი რიცხვის გამორკვევა ძნელი იყო. ლაპარაკი არ ისმოდა, მაგრამ ცალკე ამოძახილების დაჭერა მაინც შესაძლებელი შეიქნა.

გაისმა ბუს დაძახილი. ხმა კვლავ განმეორდა. უნტეროფიცერმა შ-მ ააყენა თავისი ჯგუფი და გაშლილი მწყობრით წაიყვანა ბანაკისაკენ.

— შესდექ! ვინ მოდის?

პასუხის ნაცვლად ავტომატი ფალაპარაკა. ბანაკში ჩოჩქოლი ატყდა.

გაისმა უწესრიგო სროლის ხმა. შ-მ იცოდა რომ მხოლოდ სწრაფი მოქმედებით შეიძლება წარმატების მოპოვება. შეიჭრა რა ბანაკში, ბრძანება გასცა ხელის გრანატები გამოეყენებინათ. მან პირველმა მიირბინა თავშესაფართან. გრანატებმა თავისი საქმე შეასრულეს. ორი ბანდიტი მოკლულ იქნა, სამი დაიჭრა, დანარჩენმა ხუთმა, სწრაფი მოქმედებით დაბნეულმა, ხელები ასწია და ტყვედ ჩაბარდა. მათგან შ-მ, შეიტყო, რომ ბანაკის დასაცავად თვრამეტი კაცი ყოფილიყო დატოვებული. როდესაც ისინი თავიანთ ოცეულს შეუერთდნენ, გასაგები გახდა დანარჩენი რვის ბედიც — ოთხი მათგანი მოკლული იყო, ხოლო ოთხი — ტყვედ წამოყვანილი.

ბანაკის დანგრევისა და იარაღის წამოღების შემდეგ, ოცეული სოფლისაკენ გაემართა რაზმთან შესაერთებლად. სოფელში მათი მოსვლის მომენტში ბანდიტების მთავარ ძალებთან საქმე უკვე გათავებული იყო. ჯერ კიდევ ღამით მათ შეხვედროდნენ სოფელთან ახლოს, ალყა შემოერტყათ და გაენადგურებინათ მეთაურთან ერთად.

ასე დაუზოგავად უსწორდებიან ქართველი მოხალისენი საზიზღარი კომუნისტების ყველა ჯურის კუდებსა და ნაბოლარებს.

მოხ. მ. ძ.

## ფეხბურთი ჩვენს ნაწილში

N ნაწილის მეთაურის, კაპიტანი მ-ს ინიციატივით, ასეულებში ჩამოყალიბებულია ფეხბურთელთა გუნდები. მოხალისეები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ამ სასარგებლო წამოწყებას. ფეხბურთის თამაშის მსურველთა რიცხვი იმაზე ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ეს საჭიროა გუნდების შედგენისათვის.

დაიწყო დაჟინებითი და სისტემატური წვრთნა. გამოცდილი ფეხბურთელების ხელმძღვანელობით მოკლე ხანში გუნდებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს.

მოხ. ვ. ს.

## დიდი აფეთქება ბათუმში

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ბათუმის ნავსადგურში მოხდა დიდი აფეთქება. აფეთქების მიზეზები ჯერჯერობით გამოურკვეველია. შინსახკომის ქალაქის სამმართველო მკაცრად გაუსწორდა ნავსადგურის უბნის მცხოვრებლებს. ყოველგვარი ბრალდების წაყენების გარეშე დაპატიმრებულია უამრავი ხალხი. მათი ნაწილი უკვე დახვრეტილია. დანარჩენ პატიმართა საქმეების გასარჩევად დანიშნულია საგანგებო სამეული.

# ქართველი მოხალისე აღმოსავლეთში
# ოგბერლეიტენანტის ნაამბობი

### ჩვენი საგანგებო კორესპონდენტისაგან

ჩვენი სამუშაო ასეული უკვე ორი წელია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მის მებრძოლებს მრავალი საპასუხისმგებლო ამოცანა შეუსრულებიათ. ასეულს უხდება მუშაობა როგორც ფრონტის მოწინავე ხაზზე, ისე ზურგში, ყველგან იგი იშვიათ ენერგიასა და საქმისადმი სიყვარულს იჩენს.

ივლისის შუა რიცხვებში ბოლშევიკების დიდი შემოტევების დროს ასეულის მებრძოლებმა მრავალი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩასწერეს ჩვენი მოძრაობის ისტორიაში.

მე დავალებული მქონდა ორი ოცეულით სამხედრო საქონელი დამეტვირთა ეშელონზე. ამოცანა მეტად რთული იყო, რუსები აწარმოებდნენ სასტიკ შემოტევებს, ჩვენს ირგვლივ ყოველწუთს ყუმბარები სკდებოდა, ქალაქი ცეცხლის ალში იყო გახვეული, მე და ჩემი მებრძოლები კი მუშაობას განვაგრძობდით. ვაგონები უკვე დავტვირთეთ, არავითარი აღელვება და შიში ჩვენში არ იყო, ჩვენი გადაწყვეტილება უფრო მტკიცე გამოდგა, ვიდრე მტრის რისხვა. ღრმად ვიყავით დარწმუნებულნი, რომ ჩვენი გერმანელი მეგობრები ასეთ რთულ საბრძოლო პირობებში ჩვენზე იზრუნებდნენ.

ასეც მოხდა. მივიღე ბრძანება, ოცეულები ფრონტის წინა ხაზიდან ზურგში გამომეყვანა. აქ საჭირო იყო მტკიცე და სწორი გადაწყვეტილების მიღება. დაგვიანება დაღუპვას ნიშნავდა. ჩემს განკარგულებაში ძალიან ცოტა დრო იყო, წინადადება მომცეს, მოხალისეები მატარებლით გამომეყვანა, მაგრამ ვარჩიე ავტომანქანებით გამოსვლა, რადგან მანქანებით შემეძლო ყოველგვარი ადგილმდებარეობის გადალახვა.

გავეცი ბრძანება მანქანაზე დამსხდარიყვნენ. გავემგზავრეთ დანიშნული ადგილისაკენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ რკინიგზის სადგურს მტრის ბომბდამშენებმა ცეცხლი გაუჩინეს, ჩემი არჩევანი სწორი გამოდგა. ორივე ოცეული უდანაკარგოდ მივიყვანე დანიშნულ ადგილზე, სადაც დამხვდა ასეულის მეთაური კაპიტანი ზ-რი. მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, მომვარდა და მშობლიური გრძნობით გადამეხვია. მისი წუხილი ჩვენს შესახებ სიხარულით შეიცვალა. კაპიტანი მალ-მალე გვეკითხებოდა, როგორ დავაღწიეთ თავი მოზღვავებული მტრის მიერ მოსალოდნელ გარემოცვას.

ახალ ადგილზე მოსვლის შემდეგ ყველა ჩვენგანი ისევ მზად იყო შემდგომ ამოცანათა შესასრულებლად.

მოხ. ჩ. ბ.

## ფელდფებელი მ-ნი

ფელდფებელი მ-ნი უკვე ერთი წელია ქართულ ასეულში მუშაობს. იგი დიდ მზრუნველობას იჩენს ქართველი მოხალისეების მიმართ, უწევს მათ ყოველმხრივ დახმარებას.

ფელდფებელმა მ-ნმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინა ქართული ენის შესწავლისადმი. იგი განსაკუთრებულ პატივს სცემს ქართველების უძველეს კულტურას და ოცნებად აქვს გადაქცეული საქართველოს ხილვა. ფელდფებელი მ-ნი უკვე ლაპარაკობს ქართულს. როდესაც მას შეეკითხებით ამის შესახებ, გიპასუხებთ: ჩემო ბატონო, მე კარგად არ ვიცი ქართული იმიტომ, რომ ჯერ არ ვყოფილვარ თქვენს მშვენიერ საქართველოში. ასეთ შემთხვევებს ბევრ ქართულ ნაწილში აქვს ადგილი, რაც ნათლად გამოხატავს გერმანელი და ქართველი ერების მეგობრობასა და ურთიერთპატივისცემას.

გერმანელების ასეთი ინტერესი ქართული კულტურისა და ენის შესწავლის საქმეში, აღტაცებას იწვევს თვითეულ ქართველ მოხალისეში.

მოხ. ვ. ს.


## „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 40 (117) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 9 ოქტომბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი


## ერთი ათასეულის ცხოვრებიდან

### ბრძოლის შემდეგ...

ჩვენს ათასეულში სათანადო სიმაღლეზე დგას კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობა. მოხალისენი ჩაბმული არიან წრეობრივ მუშაობაში. გარდა ამისა, დიდი ყურადღება ექცევა პროპაგანდის საქმეს. ოთხშაბათ ყოველდღიურად, მუშაობის დამთავრების შემდეგ, მოხალისეთათვის ტარდება ლექციები და საუბრები მათთვის საინტერესო საკითხებზე. ხშირად საბრძოლო ოპერაციების შემდეგაც კი სწარმოებს მოხსენებების წაკითხვა. ლექციები და საუბრები უმთავრესად საქართველოს ისტორიას ეხება.

უნდა აღინიშნოს ქართველი ოფიცრის ა. დ-ნის დაუღალავი მეცადი-

ნეობა ამ მხრივ. ლეიტენანტი დ-ნი სისტემატურად მუშაობს თვით პროპაგანდისტებთან, აძლევს მათ მითითებებს, ლექციებისა გეგმებს და სხვა პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებს საუბრების საინტერესოდ ჩატარებისათვის. პროპაგანდისტებად გამოყენებული არიან ათასეულის საუკეთესო ძალები ახალგაზრდა ოფიცრებისა და სათანადო ცოდნით აღჭურვილი სხვა მოხალისეების სახით.

ათასეულში არსებობს აგრეთვე სასპორტო წრე. მას ხელმძღვანელობს ორდინანც-ოფიცერი ლეიტენანტი კ-ძე. იგი დაუღალავი ენერგიითა და დიდი მონდომებით ამეცადინებს სპორტის მოყვარულ მოხალისეებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული ენის შემსწავლელი წრის ჩამოყალიბება ათასეულში. გერმანელი ოფიცრები და დამხმარე პერსონალი დიდი ყურადღებით ეპყრობიან ამ საქმეს. ზოგიერთი მათგანი საოცარ მონდომებას იჩენს ქართული ენის შესწავლის საქმეში. მათ უკვე თავისუფლად შეუძლიათ სწერონ და იკითხონ ქართულად, გამოთქვან პირველი საჭიროების სიტყვები. მაგალითად, ლეიტენანტმა მ-მ სულ 2—3 დღეში შეისწავლა ქართული ანბანი. ქართული ენის შესწავლას სხვა გერმანელებიც დიდი გულისყურით ეკიდებიან. წრეს ხელმძღვანელობს ქართველი ლეიტენანტი გივი ფ-ი..

ერთადერთი ნაკლი, რაც ჩვენს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ახასიათებს, ეს არის ჟურნალ-გაზეთების გავრცელების მოუგვარებლობა. ათასეულის ხელმძღვანელობამ ამმხრივაც ჯეროვანი დახმარება უნდა გაგვიწიოს.

მოხ. ჯ. ნ.

## მტრის ბუნკერთან

ასეულში განგაში ცხადდება. გაისმა მორიგე უნტეროფიცრის ხმა: „ასეულის მთელი შემადგენლობა საბრძოლო საჭურველით წყობილებაში! ვადა — 5 წუთი". დანიშნულ დროზე ასეული უკვე მზად არის, ყველაფერი წესრიგზეა.

ასეულის მეთაური მოკლე, მაგრამ მკაფიო ბრძანებით აცნობს მებრძოლებს ამოცანას. დაზვერვამ ცნობა მოიტანა: ერთერთ ხევში ბანდიტების ჯგუფი დაბანაკდა და ჩვენს ასეულს მიეცა საპატიო დავალება გაანადგუროს მტრის ბანაკი.

საბრძოლო ლაშქრობის პირველი ეტაპი ასეულმა სულ რამოდენიმე საათში დაჰფარა, ღამე იტალიელთა ერთ სოფელში გაათენა და დილის ⁸ საათზე უკვე მტრის განლაგების არეში მოხვდა.

დაიწყო საბრძოლო მოქმედება. ქართველი მხედრები ფრთხილად მი-

იწევენ წინ ვიწრო ხევში. ირგვლივ უზარმაზარი კლდეებია და თვითეული მათგანი საფრთხეს წარმოადგენს ჩვენთვის.

უეცრად საშინელი სროლა ატყდა. ეშვგარეშეა, მტრის ბუნკერს მიუახლოვდით. ასეულის მდგომარეობა მტერთან შედარებით მეტად სახიფათოა. ვიწრო ხევი არ იძლევა საშუალებას გავშალოთ საბრძოლო მოქმედება. ბილიკზე ტყვიის წვიმა მოდის.

— დაყოვნება შეუძლებელია, ეს ნაძირალები ქართველთა სისხლს დაღვრიან აქ, უნდა განადგურდეს მტრის ბუნკერი, — წამოიძახა ქართველმა ეფრეიტორმა გ. მა-ძემ, ელვისისწრაფით გაამჯადა ოთხი გრანატი და ვეფხვის ნახტომით გაემართა ბუნკერისაკენ.

მართლაც ქართველის მაგარი მუხლი და მოხერხებაა საჭირო, რომ ასეთ ციცაბო კლდეზე ავიდეს ადამიანი. კლდეზე გართხმულს, მას ტყვია არ ეკარება. მიიწევს წინ ქართველი ვაჟკაცი.

ერთი მოკლე გადარბენა კიდევ და გ. მა-ძე უკვე ბუნკერთან არის. გულისფანცქალით შევყურებთ ყველა. გმირმა ვაჟკაცმა ხელის გრანატები მოიმარჯვა, და, დახეთ გამბედაობას, შორიდან კი არ სტყორცნა ბუნკერს, არამედ მიცოცდა რამოდენიმე ნაბიჯზე და ფანჯარაში შეჰყარა ასანი.

გაისმა საშინელი აფეთქების ხმა. ბუნკერი მთლიანად განადგურდა. სროლა შეწყდა. მტრის მოწინავე სიმაგრე მოისპო. ასეულს გზა გახსნილი აქვს შემდგომი მოქმედებისათვის.

ეფრეიტორი გ. მა-ძე სასწრაფოდ უკან დაბრუნდა და სრულიად უვნებელმა ასეულის მეთაურს მოახსენა მტრის ბუნკერის განადგურება.

ასეულმა გზა განაგრძო. სულ მოკლე ხნის განმავლობაში მოსპო ბანდიტების ბანაკი. საბრძოლო დავალება ქართველ მოხალისეთა ასეულმა წარმატებით შეასრულა. მტერმა დაჰკარგა დიდძალი სამხედრო საჭურველი და სურსათი. ბრძოლის ველზე დარჩა ქართველთა ტყვიით განგმირული მრავალი ბანდიტი. ტყვეთა რიცხვმაც მოლოდინს გადააჭარბა.

მოხ. მ. ტ.

## საყურადღებო ეპიზოდი

ღამის განგაში არ აშინებთ ქართველ მოხალისეებს. ამჟამადაც სრული წესრიგით მოხდა ჩვენი ათასეულის საბრძოლო მოწყობა. დილით უკვე მტრის განლაგების არეში ვიყავით.

25 კილომეტრი 4 საათში დაჰფარეს მხნე მებრძოლებმა. მტერს თავისი პოზიციებისათვის ერთი მაღალი გორაკი აურჩევია. ამოცანა არ არის მარტივი. ბრძანების მიხედვით, დღე-ღამის განმავლობაში უნდა

განადგურდეს და მოისპოს მათი ბუდე. გორაკზე უამრავი საცეცხლო წერტილებია მოწყობილი. ასეულების მეთაურებმა მიიღეს სათანადო ბრძანებები. ყველაზე ძნელი და საპასუხისმგებლო ამოცანა ჩვენს ასეულს დაეკისრა. გორაკს მეორე მხრიდან უნდა შემოვუაროთ და ზურგიდან შევუტიოთ მტერს.

ქართველი ლეიტენანტი ი. ა-შვილი მამაცურად მიგვიძღვის წინ. საჭიროა მტერს მარცხენა ფრთიდან შემოვუაროთ. ციცაბო კლდეებია გასასვლელი. საკმარისია ოდნავი გაუფრთხილებლობა და უფსკრული შთანთქავს ადამიანს. ესეც რომ არ იყოს, ხომ შეიძლება შეგვამჩნიოს მტერმა და ცეცხლი გაგვიხსნას? მაგრამ ბრძოლის სიცხელე არ აშინებთ ქართველ მებრძოლებს. მათ სწამთ გამარჯვება და მედგრად მიიწევენ წინ.

მტერი გვიან მოვიდა გონს. ასეული უკვე გორაკის მეორე მხარეზეა გაშლილი. — საშინაბლოს სახელით, იერიშით წინ! — შესძახა ლეიტენანტმა ი. ა-შვილმა და ქართველებიც ეძგერნენ მტერს. ტყვიამფრქვევების კაკანმა შესძრა მიდამო. მტერს მსუბუქი ქვემეხებიც აღმოაჩნდა, რომელთა გამოყენება უკვე გვიან იყო. ბრძანებათა ერყეული შესრულება, გამბედაობა, სროლის სიზუსტე, თავდადება და გმირობა, აი, რით ასახელეს თავი სამშობლო ქართველმა მოხალისეებმა ამ ბრძოლაში. ერთი-მეორეზე ნადგურდება მტრის საცეცხლო წერტილები.

სხვა ასეულებმაც განავითარეს შეტევა. მტერი შეიკრა, იგრძნო, რომ ბრძოლა წააგო, მაგრამ გასაქცევი გზა უკვე აღარ ჰქონდა. ჩვენი ასეული რკინის ჯებირივით აიმართა მათს უკანდასახევ გზაზე. ქართველი ლეიტენანტი დაჰქრის ბრძოლის ველზე, ამხნევებს, მებრძოლებს, თავისი გმირობით აღაფრთოვანებს მათ.

ბრძოლა დასასრულს უახლოვდება. მტრის ბანაკიდან სროლის ხმა უკვე კანტიკუნტად მოისმის. ჩვენი ასეულები შეიჭრნენ მოწინააღმდეგის განლაგებაში. მტერი ნებდება. მათი გვამებით დაფარულია გორაკი. ტყვეების მთელი კოლონებია უკვე მზად. ნადავლის აღრიცხვა მეორე დღისათვის გადაიდო. ათასეულის მეთაურმა გამოჰყო ერთი ასეული, რომელსაც გაქცეული მტრის დადევნება და საბოლოოდ მოსპობა დაევალა.

# მოხალისეთა ზეიმი

1.

7 სექტემბერი... ეს დღე დაუვიწყარი იქნება N ქართული ათასეულის მებრძოლებისათვის. დილიდანვე არაჩვეულებრივი გამოცოცხლება ემჩნევა ყველას...

ქართველი ბრგე ვაჟკაცნი მოეწყვნენ მოედანზე. სუფთად ჩაცმულნი, წვერმოპარსულნი, და თავზე მუზარადებით, ამაყად სდგანან მოხალისენი მოედანზე. თვითეულ მათგანს ეტყობა ბრძოლის უნარი და გამარჯვების მტკიცე რწმენა. გერმანული წესით სამხედრო მომზადებას თავისი კვალი დაუჩნევია მათზე. ჩინებულად გაწვრთნილან მწყობრისათვის. ზოგიერთების ვაჟკაცურ გულმკერდზე ბრწყინავს საბრძოლო დამსახურების ჯილდოები. მოუთმენლად მიელიან ისინი ათასეულის წეთაურს.

2.

გამოჩნდა ათასეულის მეთაური მაიორი შ. ადიუტანტის ლეიტენანტი მ-სა და სხვა ოფიცრების თანხლებით. მეთაური სალამს აძლევს მოხალისეებს. ქართველმა მხედრებმა ვაჟკაცური ხმით გასცეს პასუხი.

— ჩემო ძვირფასო, საყვარელო ქართველებო, — დაიწყო თავისი სიტყვა მაიორმა შ-მ, — მე დღეს იმისთვის მოგიწვიეთ, რათა გაუწყოთ მეტად სასიხარულო ამბავი. დღეიდან ჩვენს ათასეულში შემოღებულია გერმანული განმასხვავებელი ნიშნები. ქართველმა ოფიცრებმა და უმცროსმა მეთაურებმა უნდა ატარონ გერმანული ნიშნები. ამიერიდან ისპობა ის განსხვავება, რომელიც აქამდე არსებობდა ჩვენსა და თქვენს ნიშნებს შორის. მოხარული ვართ, რომ თქვენ, ქართველო მებრძოლებო, რომლებიც აღიზარდეთ 2 წლის განმავლობაში ჩემი ხელმძღვანელობით, დაიმსახურეთ ეს უდიდესი ნდობა გერმანული სარდლობის წინაშე. თქვენ არაერთხელ დაამტკიცეთ, რომ მართლაც ნამდვილი ებრძოლები ხართ. თქვენ არაერთხელ უჩვენეთ გერმანულ უმაღლეს სარდლობას და გერმანელ ერს მამაცობისა და გმირობის გაუგონარი მაგალითები. ამ გმირობით გავიცნოთ თქვენ არამარტო გერმანიამ, არამედ თქვენზე ლაპარაკობს მთელი მსოფლიო... იყავით ისევე მამაცნი და უდრეკნი საერთო მტრებთან ბრძოლაში, როგორც აქამდე. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. ამით აღსდგება თქვენი ერი, ამით დამყარდება ახალი წესრიგი ევროპაში, საბოლოოდ მოისპობა უსამართლობა. გაუმარჯოს გმირ ქართველ ხალხს, გაუმარჯოს მამაც ქართველ მოხალისეებს, სიკვდილი გერმანელი და ქართველი ხალხის საერთო მტრებს. — სთქვა მან და ხმამაღლა შესძახა — Heil Georgien!

— Heil! — დაიჭექა ქართველ ვაჟკაცთა ომახიანმა ხმამ.

ათასეულის მეთაურის დავალებით სიტყვას იღებს ადიუტანტი ლეიტენანტი მ. იგი აცხადებს, რომ საზეიმო დღესთან დაკავშირებით, ზოგიერთი მოხალისე, განსაკუთრებული მამაცობისა და გმირობისათვის მტერთან ბრძოლაში, დაჯილდოებულია მედლებით. ადიუტანტი კითხულობს სიას და დაჯილდოებულნი ცალკე ეწყობიან. ათასეულის მეთაური ართმევს მათ ხელს და ულოცავს ჯილდოების მიღებას.

3.

ათასეულში საზეიმო განწყობილება სუფევს. გეგმის მიხედვით ასეულებმა ცალ-ცალკე უნდა მოაწყონ ამხანავური საღამო. ერთერთ ასეულის საზეიმო შეხვედრას ჩვენც ვესწრებით.

დარბაზი სადღესასწაულოდაა მოწყობილი. ყველგან — ყვავილები და დროშები. თვალსაჩინო ადგილზე ფიურერის პორტრეტის გვერდით, ქართული ეროვნული დროშაა გაკრული. დარბაზის შუაგულში გრძელი მაგიდაა ქართველურად გაშლილი...

იღება კარები და შემოდის ათასეულის მეთაური. მას გვერდით მოჰყვებიან ქართველი ოფიცრები კ. და დ. მაიორი შ. დიდი კმაყოფილებით იღებს მონაწილეობას ქართულ დროსტარებაში.

4.

უეცრად დარბაზში ასეულის ზემდეგის ვ. მ-დეს წარმოსადეგი ფიგურა გამოჩნდა. ორ მოხალისესთან ერთად მას დარბაზში ჩვენი სამფეროვანი დროშა შემოაქვს.

— ბატონო ათასეულის მეთაურო, — წარმოსთქვა ზემდეგმა, — დღევანდელ ზეიმთან დაკავშირებით, ჩვენი ასეული ვაჯილდოებთ ჩვენი წინაპრების სისხლით შეღებილი, ჩვენი საყვარელი შვინდისფერი დროშით. ეხლა, ამ საზეიმო წუთებში, დროშის ქვეშ, ჩვენ, ქართველი მოხალისენი კიდევ ერთხელ ვიმეორებთ იმ ფიცს, რომელიც მივეცით ფიურერს გერმანიის არმიის რიგებში შესვლის დროს. ყველა ქართველი მზად არის იბრძოლოს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გერმანელი ჯარისკაცის. მხარდამხარ. ჩვენ ვიბრძოლებთ მანამ, სანამ არ მივაღწევთ ჩვენს მიზანს და არ გავანადგურებთ ჩვენი სამშობლოს დამპყრობელთ.

მჭუხარე ოვაციების ქვეშ ვ. მ-დემ გადასცა დროშა ათასეულის მეთაურს მაიორ შ-ს.

— ჩემო ძვირფასო მეგობრებო და შვილებო! — დაიწყო საპასუხო სიტყვა ათასეულის მეთაურმა, — დღიდან ჩვენი ათასეულის შექმნისა წილად მხვდა გავმხდარიყავი თქვენი ხელმძღვანელი. ამ ხნის განმავლო-

ბაში მე შეგეზარდეთ თქვენ. არასოდეს დამავიწყდება, როცა მტერთან ბრძოლის დროს მძიმედ დაჭრილი გამომიყვანეთ ბრძოლის ველიდან. ჩემი სიცოცხლე მაშინ საფრთხის ქვეშ იყო, თქვენ დაამარცხეთ მტერი, მოსპეთ და გაანადგურეთ მათი საცეცხლო წერტები. მე მაშინ თქვენ სიცოცხლე მაჩუქეთ. ეხლა კი თქვენი ხელით მე მეორე საჩუქარს ვიღებ, თქვენს საყვარელ ეროვნულ დროშას. ამ ჯილდოს წინაშე მეც ფიცსა ვდებ, რომ თქვენთან ერთად ვიბრძოლებ, თქვენთან ერთად დავდებ თავს, როგორც თქვენი საკუთარი მამა. გაუმარჯოს საქართველოს! ვაშა!— შესძახა მან ქართულად და გადაეხვია ქართველ მხედარს.

ზეიმმა თითქმის დილამდე გასტანა. ეს დღე მართლაც რომ სამუდამოდ დარჩებათ მოხალისეებს მეხსიერებაში.

მოხ. კ. ფეოდოსიძე

გაზ. „საქართველოს“ საგანგებო
კორესპონდენტი

## სიმამაცის მაგალითი

ამ რამდენიმე ხნის წინათ ნაწილმა მიიღო ბრძანება. გერმანელი ოპერლეიტენანტი პ-რი დასაზვერად უნდა წასულიყო. ფელდფებელი გ. ბ-შვილი სიხარულმა მოიცვა, როდესაც ბრძანებას გაეცნო. იგი უშიშრად და მტკიცედ გაჰყვა ოპერლეიტენანტს ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად. ქართველ მოხალისეთა მცირე ჯგუფმა თან წაიღო საყვარელი იარაღი — ტყვიამფრქვევი. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო დაზვერვის დროს, მათ კარგად იციან ეს და ამიტომ იჩენს თვითეული მათგანი ყურადღებას დაკისრებული ამოცანისადმი.

გულდამშვიდებითა და აუღელვებლად მიიწევენ წინ. ბეჯითად ამოწმებენ ყველაფერს — ბუჩქნარს, ხეს, გორაკს, ერთი სიტყვით, რასაც კი შეუძლია ეშვი გამოიწვიოს მებრძოლში.

გაიოზი მეტყვიამფრქვეველთან ერთად მიემართება წინ შეუპოვრად. სუნთქვაშეკრული, იგი ათვალიერებს მტრის განლაგების ადგილს. მზვერავებმა შესძლეს ძვირფასი ცნობების შეკრება მოწინააღმდეგის შესახებ. თითქოს ყველაფერი მზად არის. მზვერავები გამოემართნენ უკან. მოულოდნელად ტყეში ისინი შენიშნეს მტრის ტანკებმა. მოწინააღმდეგემ ტანკებიდან გაბმულა ტყვიამფრქვევის ცეცხლი. საჭირო იყო პასუხის გაცემა. მამაცმა მზვერავებმა სწრაფად მიიღეს საბრძოლო მდგომარეობა. გაიოზმა მეტყვიამფრქვეველთან ერთად ამოირჩია ხელსაყრელი ადგილი. მრისხანე და დაუნდობელია ქართველის ხელში ტყვიამფრქვევი. მებრძოლის ამ საუკეთესო იარაღმა დაიწყო საპასუხო მოქმედება.

მაგრამ აი, მტერმა სწორედ მეტყვიამფრქვეველი ამოიღო მიზანში. იგი მძიმედ დაიჭრა.

გაიოზი უკვე ტყვიამფრქვევთან არის. გარდაცვლილი თანამემამულის ადგილს იკავებს იგი და შურისძიების ცეცხლით ანთებული მტერს ჯეროვნად უმასპინძლდება.

ამ გაცხარებულ ბრძოლისას დაიჭრნენ ობერლეიტენანტი პ-რი და გაიოზი. სამშობლოს პატრიოტები ბრძოლას მაინც არ სწყვეტენ. ისინი კიდევ უფრო მეტი გამშმაგებით უტევენ მტერს.

ამერიკელებმა ვერ გაუძლეს თავგამოდებულ მებრძოლთა ცეცხლს და იქადრეს უკან მოკურცხვლა.

ძვირფასი და საჭირო ცნობებით დაბრუნდნენ ისინი თავიანთ ნაწილში.

მოხ. დ. კ.

## ქართველისათვის ჩვეული ერთგულებით

ქართული ლეგიონის № ათასეული საბრძოლო მდგომარეობაშია. თვითეული მებრძოლი მოუთმენლად მოელის მტერთან შეხვედრას. მათ არაერთხელ უცდიათ საკუთარი ძალა მტრის წინააღმდეგ და თავიანთი ვაჟკაცობისა და სიმამაცის შედეგად დამსახურებული გამარჯვება მოუპოვებიათ. ათასეულის ხელმძღვანელები გერმანელი მაიორი კ-ე და ქართველი კაპიტანი ს. კ-ლი უდიდეს ყურადღებას იჩენენ ყოველი წვრილმანისადმი. თვითეული გადადგმული ნაბიჯი გულდასმითა და სიზუსტით არის შემოწმებული და ათწონ-დათწონილი. ფრონტის ხაზი არც ისე შორსაა. ყოველწუთს მოსალოდნელია მტერთან შეხვედრა.

ათასეულის ერთმა ოცეულმა ბრძანება მიიღო დაეცვა ხიდის მისასვლელი. ოცეულის მეთაური, უნტეროფიცერი კ. ვ-ძე დაკვირვებით გაეცნო მიღებულ ბრძანებას, დაწვრილებით შეისწავლა მდგომარეობა. მასთან არიან ათეულების მეთაურებიც. გულდასმითა და ბეჯითად მოწმდება ყველაფერი, რათა მოუმზადებელი არ დახვდნენ მტრის უეცარ თავდასხმას.

მალე ოცეულის მეთაურმა კვლავ მიიღო ახალი დავალება. საჭირო იყო მტრის ზურგში შესვლა და იქიდან დაჭრილი მოხალისის ე. მ-ს გამოყვანა, უნტეროფიცერი კ. ვ-ძე სამი მამაცი მებრძოლით გაემართა ამოცანის შესასრულებლად. მათთან ერთად მოქმედებდა გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი უნტეროფიცრის მეთაურობით.

მტრის ზურგში მოქმედებისას მებრძოლს დიდი სიფრთხილე ჰმართებს. მახლობელ ქარის წისქვილზე ამერიკელებს სამეთვალყურეო პუნქტი

მოეწყოთ. იქვე, გზის მარჯვნივ, ტყეში მტერს ტანკები შეეხამებინა. დიდი იყო დაჭრილი მეგობრის გადარჩენის სურვილი. მათ დაუბრკოლებლად მიაღწიეს სოფლამდე.

განუსაზღვრელმა სიხარულმა მოიცვა ისინი, როდესაც თავიანთ მეგობარს წააწყდნენ ერთ-ერთ სახლში. თვითეული მათგანი გულში იკრავდა საყვარელ ამხანაგსა და თანამებრძოლს.

გახარებული დაბრუნდნენ უკან. მოულოდნელად ჯგუფი შეხამებულ საზენიტო ქვემეხს წააწყდა. საბრძოლო იარაღი წამოღებულ იქნა ნაწილში.

სიმამაცისა და გულადობისათვის ათასეულის ხელმძღვანელების მიერ უნტეროფიცერი კ. ვ-ძე დაჯილდოებულ იქნა სპეტაკო ჯილდოთი, გარდა ამისა, მას მიენიჭა ფელდფებლის ხარისხიც. ჯილდოები მიიღეს აგრეთვე მოხალისეებმა ვ-მ, ჯ-მ და პ-იამ.

მოხ. ს. თ.


# „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 41 (118) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 16 ოქტომბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი


## მეგობრობის იშვიათი მაგალითი

ქართული ათასეული თავის მორიგ საბრძოლო დავალებას ასრულებდა. ამჯერად, იტალიის მთებში მოკალათებული ბანდიტები იდგნენ ქართველ მებრძოლთა პირისპირ. გზის გასწვრივ კლდეებში ჩასაფრებული მტერი ტყვიის სეტყვას აყრიდა მოხალისეებს და აფერხებდა მათს წინსვლას. მაგრამ უდრეკია ქართველთა გადაწყვეტილება. ისინი მამაცურად მიიწევენ წინ, არ უშინდებიან მსხვერპლს. დაჭრილთა სისხლი მხოლოდ ახელებს მათ. ჰმატებს გამბედაობას, შურისძიების გრძნობით ავსებს მათს გულებს და, ბრძოლაც სულ უფროდაუფრო მძაფრი ხდება.

გმირობისა და თავდადების გაუგონარ ნიმუშებს იძლევიან ქართველი სანიტრებიც. ბრძოლის ველზე არცერთი დაჭრილი არა სჩანს. მამაც სანიტრებს ისინი საიმედო ადგილზე გაჰყავთ და სათანადო დახმარებას უწევენ.

აი დაეცა გერმანელი უნტეროფიცერი. როგორც სჩანს, მსუბუქი ჭრილობა აქვს მიღებული. იგი მიწაზე განრთხმული მიხოხავდა მტრის საცეცხლო წერტებისაკენ. მტრის ვერაგმა ტყვიამ მას მოკლე გადარბე-

ნის დროს მოუსწრო და ბრძოლის უნარი დაუკარგა. მას აღარ ძალუძს მოძრაობა. იგი მტრის საშინელი ცეცხლის ქვეშაა მოქცეული. ირგვლივ ყუმბარები სკდება და გერმანელი მებრძოლიც მამაცურად ელის სიკვდილს. საჭირო იყო დაუყოვნებლივი დახმარება.

და აი, მშველელიც გამოჩნდა. ქართველი სანიტარი, მოხალისე პ. საკაცით ხელში სასწრაფოდ გაჩნდა მის გვერდით. მტრის ტყვიებმა და ყუმბარებმა ვერ შეაშინეს მოხალისე პ. მას არ შეეძლო გულდამშვიდებით ეცქირა მებრძოლის გამოუვალი მდგომარეობისათვის. მისთვის მეგობრისადმი დახმარების მოვალეობა უფრო ძლიერია, ვიდრე შიში. გერმანელი მეგობარი უნდა გადარჩეს. მიუხედავად უნტეროფიცრის სიტყვებისა — ნუ სცდილობ ჩემს დახმარებას, თორემ შენც დაიღუპები, — მოხალისე პ-მ ელვის სისწრაფით მოათავსა იგი საკაცეზე და ცეცხლის მოწინავე ხაზიდან მარტოდმარტომ გამოაცურა.

მეგობრობის ამ იშვიათი მაგალითის გამოჩენის დროს მოხალისე პ. თვითონაც დაიჭრა მკერდის არეში. ეხლა, ორივე მეგობარი, ქართველი მოხალისე და გერმანელი უნტეროფიცერი, ერთად წვანან ერთ-ერთ სამხედრო ლაზარეთში და დღედღეზე, სრულიად განკურნებულნი, ხელახლა დაუბრუნდებიან თავიანთ ნაწილს.

განსაკუთრებული მამაცობის გამოჩენისათვის გერმანელი უნტეროფიცრის გადარჩენის საქმეში, მოხალისე პ. სარდლობამ დააჯილდოვა გმირობისა და მამაცობის მედლით. გარდა ამისა, მას მიენიჭა ეფრეიტორის ბარისხი.

მოხ. ჯ. ქ.

## ორდღიანი ლაშქრობა

ჩვენი ასეული განაწილებული იყო რკინიგზის ხაზის მნიშვნელოვანი უბნის დასაცავად. გაბედულად იცავდნენ მოხალისენი ამ რაიონს. მაგრამ მდგომარეობა იცვლება და ჩვენც ერთ მშვენიერ დღეს მივიღეთ ბრძანება დაგვეტოვებინა ეს უბანი. ასეულის მეთაურმა მოაწყო ასეული და მიმართა მას შემდეგი სიტყვებით: „მოხალისენო! ბრძანების თანახმად, ჩვენმა ასეულმა დასაცავად მიიღო ახალი რაიონი. აქედან იგი დაახლოებით 70 კილომეტრით არის დაშორებული. ჩვენ ვალდებული ვართ ეს მანძილი ორ დღეში დავფაროთ. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი ასეული ამ ბრძანებას შეასრულებს, რისთვისაც მოგიწოდებთ დაიცვათ სრული დისციპლინა ლაშქრობის დროს. იყავით ფრთხილად, გზადაგზა შეიძლება ბანდიტები შეგვხვდნენ, რომლებიც ალბათ შეეცდებიან შეაფერხონ ჩვენი მოძრაობა“.

14 საათზე მივიღეთ ბრძანება დავძრულიყავით. მზე უხვად აფრქვევ-

და ცხოველმყოფელ სხივებს. მტვრიანი ქუჩა მოძრაობას აძნელებდა, მაგრამ ასეული ბზნედ განაგრძობდა გზას ბრძანების შესასრულებლად. მოხალისეთა ტანზე ასხმული საჭურველი ხმაურობდა და აძნელებდა სიარულს. გზა ხან სოფლად, ხან ტყეზე გადიოდა. მუდამ სმენად უნდა იყოს ადამიანი გადაქცეული. თვითეული სახლისა და ბუჩქის უკან შეიძლება ბანდიტი იმალებოდეს. სწორედ ამიტომ ასეულის მეთაურმა მოწინავე რაზმი გამოჰყო, რომელიც ჩვენს მოძრაობას იცავდა.

რამდენიმე საათის შემდეგ მივაღწიეთ პირველ წერტს. მოედანზე შემოგვეგება ასეულის მეთაური და მოგვესალმა. დიდი ბრუნველობით მოიკითხა მან ჩვენი ჯანმრთელობა და უბრძანა ასეულისათვის შესვენება მიეცათ...

კვლავ განვაგრძეთ გზა...

მშობლიურ მუსიკას ოცნებით სამშობლოში გადავყავდით და გვაიძულებდა დაგვეივიწყა ის სიძნელეები, რომლებიც გზადაგზა გვხვდებოდა...

მთლიანად და სრული წესრიგით ასეულმა მიაღწია დანიშნულ ადგილს.

მოხ. ბ. ძ.

## ბრძოლის ერთი ეპიზოდი

ჩვენი ნაწილი გარემოცვაში მოექცა. ყველამ ერთხმად დაიფიცა — ცოცხალი არ ჩაბარებოდა ქართველი ხალხის სიძულვილისმსმელ ბოლშევიკებს. მივიღეთ გადაწყვეტილება, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა მტრის რკალი გაგვერღვია. თავგამოდებით ვეკვეთეთ მტერს, ალყა დავარღვიეთ და გარემოცვიდან გავედით. მაგრამ ბევრი ჩვენი ამხანაგი შეეწირა ამ ოპერაციას. მათი სახელების მოგონება ჩვენს გულში უფრო მეტად აღვივებს შურისძიების ცეცხლს...

სასტიკი და დაუნდობელი იყო თვითეული ჩვენი შეხვედრა მტერთან. აი, ერთი ეპიზოდი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლიდან. 14 კაცისაგან შემდგარი ქართველ მოხალისეთა ერთი ჯგუფი, უნტეროფიცრის კ-ის მეთაურობით მიდიოდა ფრონტის ხაზზე. უეცრად გამოჩნდა წითლების ტანკი. — გაქცევასა და შერცხვენას ვაჟკაცურად სიკვდილი სჯობია, — სთქვა უნტეროფიცერმა და სასწრაფოდ ბრძანება გასცა საცეცხლო ზღუდეების შერჩევისათვის მტრის ტანკის შესახვედრად.

როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ტანკის წინააღმდეგ მხოლოდ შაშხანებით? მათ კარგად იცოდნენ, რომ შაშხანის ტყვიით ვერაფერს გააწყობდნენ, მაგრამ მაინც გაუხსნეს სქელ ჯავშანს საშინელი ცეცხლი. ტანკი გაჩერდა და დაიწყო სროლა ტყვიამფრქვეველიდან. ამ დროს გა-

მოჩნდა გერმანელების „ტიგრი“. მან შეუტია მტერს და მალე შავი კვამლი ამოვარდა იმ ადგილიდან, სადაც მტრის ტანკი იყო გაჩერებული.

ქართველი მოხალისეების გმირობამ ყველა აღაფარაკა.

მოხ. ვ. დ.

## მოხალისეთა სიფხიზლე

ყველას ეძინა, ფხიზლობდნენ მხოლოდ საგუშაგოზე მდგომი ქართველი მოხალისენი. მთვარის შუქზე ნათლად მოსჩანდა საგუშაგო ობიექტები, ქართველი მოხალისის გამჭრიახ მხედველობას არაფერი გამოეპარება შეუმჩნეველი.

ღამის ორი საათია. ყარაულის უფროსი ამზადებს ახალ ცვლას, ერთხელ კიდევ უხსნის მას, რა მოვალეობა ეკისრება. უეცრად № 3 საგუშაგოდან სროლის ხმა მოისმა, მას გამოეხმაურნენ დანარჩენი საგუშაგოებიც. სროლამ ყველა გამოაღვიძა. საჭირო იყო შემთხვევის ადგილისაკენ სასწრაფოდ წასვლა...

შორიახლოს ცეცხლის ალი გამოჩნდა. იგი განადგურებას უქადდა ძვირფას სამხედრო ქონებას.

არ დაიბნენ ქართველი მოხალისეები, სასწრაფოდ შეუდგნენ ხანძრის ჩაქრობას. ციბრუტივით ტრიალებდნენ ქართველები ცეცხლის ალის გარშემო. მათი გამბედაობა დიდ გაოცებას იწვევდა გერმანელებში. ხანძარი დროზე იქნა ჩაქრობილი. მოხალისეები კმაყოფილი დაბრუნდნენ საყარაულო შენობისაკენ.

მოხ. ბ. ვ.


# „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 42 (119) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 23 ოქტომბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი


## მამაცი ოცმეთაური

ათასეული საბრძოლო ლაშქრობაზეა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ვაჟკაცებმა დიდი გზა განვლეს, თავს მაინც მხნედ გრძნობენ და მზად არიან ყოველწუთს მტერს მომზადებული შეხვდნენ. მათი ნაბიჯი მტკიცეა და გადაწყვეტილება — შეუდრეკელი.

მოულოდნელად ატყდა საშინელი სროლა. მებრძოლები ერთი წუ-

ხით შეჩერდნენ და ბრძანების თანახმად თვითეულმა დანაყოფმა თავისი ადგილი დაიკავა. სროლა სწარმოებდა ბუნკერებიდან. მტრის ადგილ-სამყოფელის გამოსარკვევად დაზვერვა გაიგზავნა. გამოირკვა, რომ ბუნკერებთან მისასვლელი გზა არ იყო, მაგრამ ამ გარემოებამ სრულიადაც არ დააბნია ოცმეთაური თ-ია, მან თავისი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი მიმართა მტრის უახლოესი ბუნკერისაკენ. ერთი გასროლით ჩაჩუმდა პირველი ბუნკერი, მას მოჰყვა მეორე, შემდეგ მესამე და მეოთხე. მისი მიზანი ზუსტი, ხოლო შედეგი უტყუარი იყო. მამაცმა ქართველმა ოთხი გასროლით მტრის ოთხი ბუნკერი გაანადგურა, რითაც ათასეულს წინსვლის საშუალება მისცა დასახული ამოცანის შესასრულებლად.

ათასეული ბრწყინვალე გამარჯვებით უკან დაბრუნდა.

ოცმეთაური თ-ია თავისი სამაგალითო სიმამაცისათვის დაჯილდოებულ იქნა. ათასეულის მეთაურის გადაწყვეტილებით იგი გაიგზავნა საოფიცრო სასწავლებელში.

მოხ. კ. კ.

## მხარდამხარ

36 ქართველი მოხალისე ერთ-ერთი გერმანული ასეულის ოცეულებში ვიყავით განაწილებული. ასეულის მეთაური ოპერლეიტენანტი ბ. უცხოელ მოხალისეებს გულწრფელად გვეპყრობოდა და ხშირად ჩვენს სამშობლოზე, ჩვენს ოჯახზე და მიზნებზე ცვლისაუბრებოდა. ერთხელ ასეულმა ბრძანება მიიღო ბანდიტების წინააღმდეგ გასულიყო.

დანიშნულ ადგილზე მართლაც აღმოვაჩინეთ მათი „ბუდე“, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ჩვენზე გაცილებით მეტი იყვნენ. გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, შევბმოდით მუხანათ მტერს. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. ყოველი მხრიდან ისმოდა ტყვიამფრქვეველების კაკანი. ჩვენი ბიჭები, როგორც ვეფხვები დახტოდნენ ერთი სანგრიდან მეორეზე და ავიწროებდნენ მტერს. ბანდიტების ერთმა ჯგუფმა ტყვედ აიყვანა რამდენიმე გერმანელი და ქართველი მებრძოლი. საჭირო იყო სასწრაფოდ იერიშის მიტანა და მათი განთავისუფლება. ოპერლეიტენანტმა ბ-მ მიიღო საჭირო ზომები. მან გასცა ბრძანება მტერზე გადამწყვეტი იერიში მიგვეტანა.

რამდენიმე წუთი და დავალება უკვე შესრულებული იყო. გახარებული ვკოცნიდით განთავისუფლებულ ამხანაგებს.

მოხ. ვ. ხ-ნი.

„საქართველო“

№ 43 (120) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 30 ოქტომბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## ქართული საკავშირო შტაბის წლისთავი

25 ოქტომბერს, ბერლინში, ქართული საკავშირო შტაბის დაარსებისა და მუშაობის წლისთავთან დაკავშირებით, შედგა გერმანიის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა საზეიმო შეხვედრა შტაბის წევრებთან.

შეხვედრას დაესწრნენ გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, ქართული შტაბის წევრები, ქართველი მოხალისენი და სხვა გერმანელი და ქართველი სტუმრები.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ობერსტ-ლეიტენანტი ა. დ. ვ. რომელმაც მოკლედ დაახასიათა ქართული საკავშირო შტაბის მიერ ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა და უსურვა შტაბის წევრებს მომავალშიც ნაყოფიერად იმუშაონ სამშობლოს განთავისუფლებისა და აღდგენისათვის.

სიტყვის დამთავრების შემდეგ, ობერსტ-ლეიტენანტმა ა. დ. ვ-მ. გენერალი კესტრინგის დავალებით, საერთო მტრის — ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დაუღალავი და ენერგიული მუშაობისათვის, დააჯილდოვა ობერლეიტენანტი გივი გაბლიანი I კლასის მამაცობის ორდენით.

საპასუხო სიტყვაში, ობერლეიტენანტმა გივი გაბლიანმა მადლობა გამოუცხადა გერმანიის არმიის უმაღლეს სარდლობას, იმ მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, რომელსაც იჩენს გერმანიის ხელისუფლება ქართული საქმისა და საერთოდ ქართველებისადმი. ობერლეიტენანტმა გივი გაბლიანმა დაარწმუნა გერმანელი სტუმრები, რომ ქართველი მოხალისეები მუდამ მზად არიან იბრძოლონ გერმანიის არმიის რიგებში, ბოლშევიზმისაგან თავისი სამშობლოს განსათავისუფლებლად.

დასასრულ, ობერლეიტენანტმა გივი გაბლიანმა ობერლეიტენანტ ა. დ. ვ-ს გადასცა ქართველ მოხალისეთა მიერ დამზადებული საჩუქრები; ლამაზად მოჩუქურთმებული ხის თასი, კავკასიური ხანჯალი და სხვ.

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 44 (121) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 6 ნოემბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## ქართველ პროპაგანდისტთა კურსების გამოშვება

31 ოქტომბერს, პოტსდამში მოეწყო ქართველ პროპაგანდისტთა ორკვირეული კურსების გამოშვება. კურსები დაამთავრა 33 ქართველმა მოხალისემ, რომლებიც ჩამოსული იყვნენ, როგორც ფრონტებზე მყოფ სხვადასხვა საბრძოლო ნაწილებიდან, ისე ზურგში მომუშავე მუშათა ათასეულებიდან.

საზეიმო გამოშვებას დაესწრნენ გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები და ქართული საკავშირო შტაბის წევრები.

კურსების ხელმძღვანელმა ობერლეიტენანტმა ნ-მა სიტყვით მიჰმართა ქართველ პროპაგანდისტებს, მიულოცა მათ კურსების წარმატებით დამთავრება და უსურვა მომავალში ნაყოფიერი მუშაობა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ქართული საკავშირო შტაბის წევრი და პროპაგანდის განყოფილების უფროსი, დოქტორი გ. მაღალაშვილი.

თავის სიტყვაში დოქტორმა გ. მაღალაშვილმა ხაზი გაუსვა გერმანიის უმაღლესი სარდლობის განსაკუთრებულ მზრუნველობას ქართველი მოხალისეებისადმი. მიუხედავად გართულებული სამხედრო მდგომარეობისა. მან უსურვა პროპაგანდისტებს, ნაწილებში დაბრუნებისას ერთგულად და ენერგიულად იმუშაონ ქართველ მოხალისეთა პოლიტიკური აღზრდისათვის.

დასასრულ, კურსების უფროსმა ობერლეიტენანტმა ნ-მა მადლობა გამოუცხადა ქართველ პროპაგანდისტებს კარგი მუშაობისათვის და ოთხი მათგანი დააჯილდოვა სხვადასხვა საჩუქრებით.

## მტრის იერიში მოგერიებულია

დაღამდა. ბრძოლა თითქოს შეწყდა. ნაკლებად ისმის სროლის ხმა. ჩვენი ასეული ღამის გასათევად ემზადებოდა. აუცილებელია მცირე შესვენება, რათა დილიდანვე უფრო მეტი ენერგიით ვეკვეთოდ მტერს.

ასეულის მეთაურის ბრძანებით დაიწყო ღამის მუშაობა. გერმანელ მებრძოლებთან ერთად, ქართველი მოხალისენი შეუდგნენ საცეცხლო

პოზიციების გამაგრებას. სამუშაო არ არის ადვილი. საჭიროა სათადარიგო სანგრების გათხრა, იარაღისა და ტრანსპორტის შემოწმება, მათი შეხამება, ტყვია-წამლის მომარაგება და სხვ. თავს დაგვტრიალებენ გერმანელი და ქართველი ოფიცრები. მათი ხელმძღვანელობით ქართველები ადვილად ვძლევთ ყოველგვარ სიძნელეს. არავითარი შიში, არავითარი დაღლა, მტრის დარტყმას დარტყმითვე უნდა ვუპასუხოთ. მტერი დაუნდობელია, მაგრამ ჩვენ „მტერს მტრობას გავუწევთ“ და საკადრის პასუხს გავცემთ.

დილის 5 საათზე უკვე გამოჩნდა მტრის ძლიერი საჰაერო შენაერთი. თვითმფრინავების რიცხვი, თავისთავად ლაპარაკობდა მოსალოდნელი შემოტევის სიდიდეზე. ერთდაიმავე დროს დაიწყო მოქმედება მოწინააღმდეგის ყოველგვარმა იარაღმა. ჩვენი ასეული ქვემეხებისა და ნაღმტყორცნების ცეცხლის ქვეშ მოექცა. გაიხსნა ჩვენი არტილერიის საპასუხო ცეცხლი.

დაიწყო იერიში. უკვე გამოჩნდნენ მტრის პირველი ჯგუფები. მათ შესძლეს მოწინავე ხაზზე გადმოსვლა და ჩვენი ასეულის განლაგებაში შემოიჭრნენ. მამაცი ქართველი მეტყვიამფრქვეველნი სცელავენ თავზე ხელაღებულ წითელ ბანდიტებს. თანდათან მცირდება მათი რიგები. ვერ გასტეხეს მათ ჩვენი წინააღმდეგობა და დიდი ზარალის შემდეგ იქადრეს უკან გაქცევა.

მტერმა ეხლა საჰაერო დესანტის გადმოსხმა სცადა. თვითმფრინავებიდან გადმოჰყარეს რამდენიმე ათეული წითელარმიელი. ნელინელ ეშვებოდნენ საჰაერო სოკოები მიწაზე. მაგრამ, ჩვენი ბიჭები ჰაერში დაკიდულ მიზანსაც ზუსტად ესვრიან. მხოლოდ რამდენიმე ჯარისკაცი დაეშვა ცოცხალი, დანარჩენებმა მიწაზე ჩამოსვლამდე, ჰაერშივე განუტევეს სული.

დამთავრდა იერიში. მტერი მოგერიებული იქნა. მათი ზარალი განუზომელია. ქართველი მოხალისეები ზეიმობენ. ამ ბრძოლაში მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავისი მტკიცე გადაწყვეტილება — იბრძოლონ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე.

მოხ. ს. ი ე ლ ი.

## წერილი ლაზარეთიდან

ჩვენი ლაზარეთი საუკეთესოდ არის მოწყობილი. ობერშტაბსარცტი ჰ-სა და უფროსი ექიმი უ-ს დაუღალავი მუშაობით საავადმყოფოში ყველაფერი წესრიგზეა. თვითოეული დაჭრილი მოხალისე განსაკუთრებული მზრუნველობითა და სიყვარულით სარგებლობს. ყოველდღიური

შოვლა და ზუსტი მკურნალობა ყველა პირობას ჰქმნიან სწრაფი განკურნებისათვის, საწოლ ოთახებში დაცულია სანიმუშო სისუფთავე.

ლაზარეთს აქვს მშვენივრად მოწყობილი კლუბი. ამ დღეებში მოეწყო კონცერტი, რომელმაც მოხალისეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

აღნიშნული ექიმების მშობლიური მზრუნველობისა და კარგი სამკურნალო პირობების წყალობით, მოხალისეები მხნედ გრძნობენ თავს. ისინი სულ მალე დადგებიან თავიანთი მებრძოლი ამხანაგების გვერდით, რათა განაგრძონ ბრძოლა საყვარელი სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

მოხ. მარნელი.

## უსაზღვრო სიხარული

ჩვენი ასეული ტყისპირად იყო დაბანაკებული. ქართველი მოხალისეები სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ. ნაწილი საყარაულო სამსახურს ეწეოდა ტყეში, სადაც ფხიზლად დარაჯობდნენ საწყობებს, იცავდნენ სამხედრო საჭურველს. ნაწილი, ავტომანქანებთან საქმიანობდა. ტყვია-წამლითა და ყუმბარებით სტვირთავდნენ ქართველები გერმანულ მანქანებს და აგზავნიდნენ ფრონტზე.

მტრის დაზვერვა გაფაციცებით მუშაობდა მთელი დღის განმავლობაში, ჩვენ თავზე მზვერავი თვითმფრინავები დაფრინავდნენ. ვერაგმა მტერმა, როგორც სჩანს შეამჩნია ჩვენი ადგილსამყოფელი. მისი სურვილია, რადაც არ უნდა დაუჯდეს გაანადგუროს ჩვენი საწყობები.

უკვე დაღამებული იყო, როცა განგაში გამოცხადდა. მტრის თვითმფრინავებმა მანათებელი მაშხალები ჩამოჰკიდეს ჰაერში. განათდა მთელი მიდამო. სამხედრო ობიექტი შესამჩნევი გახდა. რამოდენიმე წუთი და მტრის თვითმფრინავებმა უწესრიგოდ დაიწყეს შემოტევა...

შეეხამენ ჩვენი მოხალისეები. დროებით მოინახეს მათ უვნებელი ადგილი. საზენიტო არტილერიამ გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნა მტრის თვითმფრინავებს. საჰაერო ყაჩაღები ცეცხლმოდებული ეცემოდნენ მიწაზე. კიდევ რამოდენიმე წუთი და იერიში უკვე მოგერიებული იყო.

ქართველი ლეიტენანტი ამოწმებს ჩვენ რიგებს. იგი მშობლიურ ზრუნვას იჩენს თვითეული მებრძოლისადმი. 90 ქართველი მოხალისიდან, 89 ალმოჩნდა სახეზე. აკლია მოხალისე ლ. ლ. განუსაზღვრელმა სევდამ მოიცვა ასეული. ნუთუ დაიღუპა ჩვენი თანამებრძოლი, ჩვენი ძმა? ნუთუ შესძლო ვერაგმა მტერმა დაეღვარა ქართველი ვაჟკაცის

სისხლი? არა, არავის არ სურს დაიჯეროს, რომ გამოგვაკლდა ერთი მეგობარი! იგი ცოცხალია და უნდა ვიპოვოთ!

ლეიტენანტმა ჯგუფებად დაჰყო ასეული. მათ დაუყოვნებლივ დაიწყეს ამბანაგის ძებნა. ქართველები არ დაფუშვებთ, რომ ჩვენი ღვიძლი ძმა ბრძოლის ველზე დარჩეს ღამის ანაბარა. ან შეიძლება დაჭრილია სადმე და დახმარება სჭირდება?

გვიან ღამით დაბრუნდნენ დამწუხრებული ჯგუფები დანიშნულ ადგილზე. არ სჩანს მხოლოდ უმცროსი მეთაურის ვ. კ-ს ჯგუფი. მათი დაგვიანება ჩვენში იმედებს აღვიძებს. შეიძლება მათ იპოვონ დაკარგული ამხანაგი.

დიდხანს აღარ დაგვჭირებია ლოდინი. შორიდან მხიარული ყიჟინა მოისმა. მოდიან ჩვენი ბიჭები მშობლიური სიმღერით: „მოვდივართ, მოგვიხარია...“. ღამის სიბნელეში მალე გავარჩიეთ ისინი. შუაში მოხ. ლ. მოსჩანს. ისიც მხიარულად მოიმღერის.

მოკლედ გვიამბო მან თავისი თავგადასავალი. გერმანელ მეზენიტეებთან მოხვედრილიყო იგი განგაშის დროს. ყუმბარებს აწვდიდა თურმე თავის თანამებრძოლთ. ბომბის ნამსხვრევს მხოლოდ ოდნავ გაუკაწრია მისი მარცხენა ხელი.

უსაზღვრო სიხარულმა მოიცვა ქართველთა ასეული. ამჯერად მტერმა ვერ შესძლო დაეღვარა ჩვენი სისხლი. სამაგიეროდ, თვითონ დაჰკარგა რამდენიმე ათეული თვითმფრინავი. მათი ნამსხვრევები დილამდე იწვოდნენ ბრძოლის ველზე.

მოხ. ს. მ ე რ ე ლ ი.

გაზ. „საქართველოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ მოხალისეებსა და მამულიშვილებს, რომ ამა წლის 1 ნოემბერს, ქ. გლოვენის სამხედრო საავადმყოფოში, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გაზ. „საქართველოს“ ყოფილი რედაქტორი, ობერფელდფებელი

ლეო ხურციძე

(ლ. ლინი)

დაკრძალვა მოხდა 4 ნოემბერს, ქ. გლოვენში.

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 45 (122) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 13 ნოემბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## მამაცი გუშაგები

ბნელი და წუნარი ღამეა. სამარისებურ მყუდროებას დროდადრო შორიდან მონაჭროლი ნოტიო ქარი არღვევს. სოფელმა, სადაც ჩვენი ასეული იმყოფება, კარგახანია ძილს მისცა თავი.

შარაგზიდან მოისმის გუშაგთა ნელი, აუჩქარებელი ფეხის ხმა. მწყობრი ნაბიჯით მიმოდიან ისინი, თვალს ავლებენ გარემოს. ქართველი ვაჟკაცები არ დაუშვებენ, რომ ვინმე გარეწარმა ხელი აღმართოს მათი თანამემამულეების — მებრძოლი მეგობრების წინააღმდეგ. ყველაზე უფრო საშიშოა ტყის ნაპირი, საიდანაც მტერს შეუძლია შემოიპაროს სოფელში. ამიტომ არის, რომ ისინი ხშირად ათვალიერებენ ამ მხარეს. ყარაულის უფროსმაც ხომ ასე გააფრთხილა გუშაგები, როდესაც მათ საგუშაგოზე აგზავნიდა.

მჭიდედ არიან გუშაგები. თვალს ლული არ ეკარება. დაკვირვებით აკვირდებიან ისინი თვითეულ ხეს. თვითეულ ბუჩქს.

უეცრად ხის ქვეშ რაღაცა ჩრდილი შეირხა. მეთვალყურენი წამით გაინაბნენ. ასეთ დროს ალელვებას ან აჩქარებულ ნაბიჯს შეუძლია საქმე გააფუჭოს. მალე, ლანდი თითქოს წამოიმართა, იგი წელში გასწორდა და გარინდდა. მოხ. ვ. ს-ძემ თოფი მოიმარჯვა, ალელვებისაგან სულს ძლივს ითქვამდა. სწორედ ამ დროს, მას ხელში სწვდა ამბანაგი, მოხ. შ. მ-ლი და ხელით ანიშნა არ ესროლა. ფხიზელ გუშაგს რაღაცა გაბედული აზრი დაებადა. მან გადასწყვიტა ბანდიტის ცოცხლად ჩაგდება ხელში. მოხ. შ. მ-ლი ხეს ამოეფარა და გაინაბა. „ლანდი“ ფრთხილი ნაბიჯით გაემართა სოფლისაკენ. მალე მის უკან მეორე ლანდიც გაჩნდა. აი, ისინი სულ ახლოს არიან, დაყოვნება შეუძლებელია.

— შესდექ! ხელები მაღლა! — გაისმა გულადი მოხალისის ომახიანი ხმა. შეშინებულმა ბანდიტმა იკადრა ხელების აწევა. მეორე არამზადა შეტრიალდა, მოინდომა უკან გაქცევა, მაგრამ, მას მოხ. ვ. ს-ძის მიერ გასროლილი ტყვია დაეწია და იგი იქვე ჩაიკეცა.

სროლის ხმაზე საყარაულო შენობიდან დანარჩენი გუშაგებიც გამოცვივდნენ. მამაც მოხალისეებს დახმარება აღარ დასჭირდათ. შეპყრობილი ბანდიტი დაკითხვაზე წაიყვანეს.

რამოდენიმე წუთის შემდეგ, შემოპარული გარეწარი იდგა ასეულის შტაბში ასეულის მეთაურის წინ.

იგი პარტიზანების მზვერავი აღმოჩნდა...

მოხ. დ. კ.-ლი.

## მტერს სამაგიერო მივუზღვეთ...

კასტიონი იტალიის ერთ-ერთი ულამაზესი კურორტთაგანია.

ბუნებას უხვად დაუჯილდოებია იგი თავისი ჰიმშვენიერთა და მრავალფეროვანებით. საქართველოს მომხიბლავ კურორტებს წააგავს ეს ადგილი.

აქ ისვენებენ ქართველი მოხალისეები ბრძოლის შემდეგ.

აქ ატარებენ ისინი თავისუფალ დროს.

სანიმუშო მზრუნველობის გარდა, თვითოეულ ჩვენგანზე განსაკუთრებით მოქმედებს ბუნების სიდიადე.

ცოცხლდებიან სამშობლოს ნათელი, წარუშლელი სურათები.

ჩვენ ვისვენებთ, ძალას ვიკრებთ, რათა შემდგომ, გაათკეცებული ენერგიით ვეკვეთოთ მტერს.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ მთებსა და კლდეებს თავს აფარებენ იტალიელი ხალხის მტრები. ვიცით, რომ ამ გაუვალ, უღრან ტყეებში დათარეშობენ გარეწარი პარტიზანები.

ამიტომ, საჭიროა ფხიზლად ვიყოთ, რათა ბანდიტებმა მოუმზადებელს არ მოგვისწრონ. საჭიროა მუდმივი სიფრთხილე, რათა თავდასხმის შემთხვევაში მათ საკადრისი პასუხი მიიღონ ჩვენგან.

მართლაც ასე მოხდა. ერთ ბნელ ღამეს, მტერმა მოისურვა ჩვენზე თავდასხმა. ბანდიტები, ტყვიამფრქვევებითა და ხელის გრანატებით შეიარაღებულნი შეუმჩნევლად შემოერტყნენ ჩვენს საცხოვრებელ ბინებს და მოულოდნელად აგვიტეხეს სროლა. ისინი ალბათ მოელოდნენ, რომ ადვილად გასტეხდნენ ჩვენ წინააღმდეგობის ძალას, მაგრამ სასტიკად მოსტყუვდნენ. ქართველი ვაჟკაცების შედარებით მცირე ჯგუფმა გამანადგურებელი, გრიგალისებური ცეცხლი გაუხსნა მათ. სულ რამოდენიმე წუთს გაგრძელდა პირველი ბრძოლა. გარეწარებმა სროლა შეანელეს და შეუმჩნეველად იწყეს გაპარვა. ქართველი მოხალისეები კვალდაკვალ გამოედევნენ მათ, მუსრს ავლებდნენ გაქცეულთ.

ტყის პირას ეყარნენ დახოცილ ბანდიტთა გვამები. ბრძოლა თითქოს შეწყდა, მაგრამ, ჩვენს ჯილოს, სადაც სოფლის საკომენდანტო იყო მოთავსებული, კვლავ გაისმა სროლის ხმა. აშკარა იყო, ბანდიტების მეორე ჯგუფი საკომენდანტოს დაესხა თავს. იქ გერმანელი ობერლეიტენანტი იმყოფებოდა. საჭირო იყო დახმარება. და აი, ქართველი მებრძო-

ლები ელვის სისწრაფით გაექანნენ მისაშველებლად. ბანდიტებმა ვერ გაუძლეს ორმაგ ცეცხლს და აქედანაც იკადრეს მოკურცხვლა.

დაბრუნებისას აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ქართველი მოხალისე გვაკლდა. მალე გამოირკვა, რომ იგი მოხალისე ბ. ტ-ძე იყო. მთელი ღამე გრძელდებოდა მისი ძებნა. დილით, ტყეში ვიპოვეთ თავდადებული მამულიშვილის ცხედარი, სისხლისმსმელ ავაზაკებს დაეხვრიტათ იგი.

ძვირად დაუჯდათ მათ ჩვენი თანამემამულის სიკვდილი. ქ. ბერგამოდან მოსულმა გერმანულმა ნაწილმა, მთლიანად გაანადგურა კასტიონის რაიონში ბანდიტთა ბუდეები. მრავალი მათგანი დაიხოცა ბრძოლის ველზე. მრავალი კი ტყვედ იქნა წამოყვანილი.

ასე მიეზღოთ მათ სამაგიერო. ასეთი ბედი ეწევა ყველას, ვინც ხელს აიღებს ქართველთა განსაგმირად.

მოხ. ს. ვანელი

## სანიმუშო ასეული

ჩვენს მუშათა ასეულში, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მაღალ საფეხურზე დგას. მოხალისეები უდიდესი გულისყურით ისმენენ სხვადასხვა მნიშვნელოვან საუბრებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოხსენებები საქართველოს გმირული ისტორიიდან და თანამედროვე საერთაშორისო საკითხები. ამ რამდენიმე ხნის წინათ, ასეულში ჩატარდა საუბარი, რამაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია. საუბარში თითქმის ყველა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა.

მუშათა ასეულის კულტურული ცხოვრება, მარტო საუბრებით არ ამოიწურება. პროპაგანდისტების მიერ ტარდება ცგრეთვე გაზ. „საქართველოს“ ხმამაღალი კითხვა, რომლის დროსაც სწარმოებს აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოხალისეთათვის საინტერესო საკითხებზე.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასთან ერთად, ჩვენი ასეული ცნობილია, როგორც სანიმუშო თავისი დისციპლინის მხრივ.

მოხალისეები თავდადებით იბრძვიან და მუშაობენ. ისინი პირნათლად და ბეჯითად ასრულებენ ყველა დავალებას, რის გამოც ნაწილის ხელმძღვანელობისაგან საერთო პატივისცემა დაიმსახურეს.

აღსანიშნავია, ნაწილის მეთაურის საუკეთესო შეფასება, რომელიც ქართველმა მოხალისეებმა მიიღეს გულმოდგინე მუშაობის შედეგად.

აქვე უნდა აღინიშნოს, მეტად გულთბილი და კარგი დამოკიდებულება ნაწილის გერმანულ ხელმძღვანელობასა და ქართველ მოხალისეთა შორის. ამ მხრით განსაკუთრებით გამოირჩეოდა უნტეროფიცერი ლ-ხი,

რომელიც მზრუნველობითა და გულისყურით ეპყრობოდა თვითეულ ჯარისკაცს. ორი წლის მანძილზე, მან კარგად გაიცნო ყველა ქართველი მოხალისე, გაეცნო ქართველი ერის ისტორიას. ამიტომ იყო, რომ მის დროს, ასეულში არ ყოფილა დისციპლინის დარღვევის არცერთი შემთხვევა. ყველა მისი ბრძანება სწრაფად და უყოყმანოდ სრულდებოდა. როდესაც უნტეროფიცერი ლ-ხი გაემგზავრა ასეულიდან, საყვარელ ადამიანს ყველა თვალცრემლიანი ემშვიდობებოდა. ეს ფაქტი, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ისტორიულ მეგობრობას, რომელიც დიდ გერმანელ ხალხსა და ქართველებს შორის არსებობს.

მოხ. ზ. ხ-ნი.

## ვეცუმი

ვეცუმი იმ ადგილს ეწოდება, სადაც ჩვენი ასეული იყო დაბანაკებული. თვალწარმტაცი პეიზაჟები აჯადოებენ აქ ადამიანს. ირგვლივ რაღაც მომხიბლავი გარემო სუფევს.

თმახუჭუჭა გორაკები, ლაქვარდი ცა, მწვანით შემოსილი ხეობა...

როგორ საოცრად წააგავს ყველაფერი ეს ჩემ სამშობლოს! აგერ, ანკარა მდინარე, რომელიც გველივით მოიკლაკნება ხეობაში. როგორ მაგონებს იგი ჩემი სოფლის გიმჟა მდინარეს. რამდენ ტკბილ მოგონებას აღძრავს იგი ჩემ გულში! მაშინ, ჩემი ბავშვობის დროს, ხშირად დავდიოდი მდინარის პირად და ვოცნებობდი მომავალზე. ჩემს წარმოდგენაში იშლებოდა საყვარელი სამშობლოს გმირული წარსულის სურათები და ბავშვური ფანტაზია მომავლის კონტურებს ხაზავდა. ვფიქრობდი ხშირად, რომ საქართველოს კვლავ მოელოდა გმირული ბრძოლები და ჩემს თავს სააკაძისა და ერეკლესდაგვარ გმირად წარმოვიდგენდი. დიახ, მე ვოცნებობდი მებრძოლა სამშობლოსათვის, მეზრუნა მისი თავისუფლებისა და დიდებისათვის.

და, აი, ეზლა, სამშობლოს კალთას მოწყვეტილი, უკვე დავაკაცებული, ვდგევარ ვეცუმის მდინარესთან და ისევე ვფიქრობ: რამდენად მართალი იყო ჩემი ბავშვური ფიქრები მაშინ. დიახ, ჩემი ოცნება თითქმის რეალობად იქცა. თუმცა მე სააკაძედ ან ერეკლედ არ გამოვდექი, მაგრამ, სამშობლოსათვის მებრძოლთა რიგებში მტკიცედ ვდგავარ და ყოველ წუთს მზადა ვარ შევწირო თავი ამ დიად საქმეს. რა უნდა იყვეს ამაზე ტკბილი და სანუკვარი? ამაყი გრძნობით ივსება გული, როდესაც იცი, რომ იბრძვი სამშობლოს დიდებისათვის.

აგერ, ვეცზე გაშლილი საქონლის ჯოგი. მხიარულად კუნტრუშობენ ოთხფეხნი და კვლავ მოგონებებს აღძრავენ ჩემში. რამდენჯერ გავყო-

ლილვარ მწყემსებს მინდორში, რამდენჯერ ავსულვარ მთაში, მისუნთქავს მთის გამშვირვალე და მსუბუქი ჰაერი, დავსველებულვარ ალპიური ბალახის ნამით და შემდეგ ცეცხლზე გამიშვრია ტანსაცმელი.

ყველაფერი ეს წარსულს ეკუთვნის. ეხლა, მწარე სინამდვილე მიდგას თვალწინ. ბოლშევიკების სატანურ რეჟიმს გამოვექეცი. ჩემს მიერ არჩეული გზა სწორია, პირდაპირი და ერთადერთი. უნდა ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ბოლშევიზმი უნდა მოისპოს. ამას გვიკარნახებს ჩვენი სინდისი. ამას მოითხოვს ჩვენი სამშობლოს რაინდული წარსული. ამას ღაღადებენ სამშობლოში დარჩენილი ჩვენი მოხუცი მამები, დედები, დები, ბავშვები.

*

ვეცუმის ირგვლივ ბანდიტები დათარეშობენ. ბოლშევიკთა ეს ნაშიერნი მოქმედებენ ჩვენ ზურგში. მაგრამ, დადგა დრო მათი აღსასრულისა. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ბრძანებით, ვეცუმის რაიონი უნდა გაიწმინდოს ყაჩაღებისაგან. უნდა დაისვენოს პატიოსანი შრომით დაღლილმა ხალხმა.

ჩვენი ასეული ერთი მოწინავეთაგანია ამ ბრძოლებში. იგი სხვადასხვა ადგილზე გადაჰყავდათ და მათ ყველგან გამარჯვება მიჰქონდა. ქართველ მოხალისეებს ხუმრობა არ უყვართ მტერთან. სადაც კი გამოჩნდებოდნენ ქართველი მეომრები, ბრძოლის ველი ბანდიტების გვამებით ივსებოდა. მრავალმა მათგანმა დაამთავრა თავისი უმსგავსი სიცოცხლე და ყაჩაღური კარიერა ვეცუმის ირგვლივ მდებარე გაუვალ ტყეებში.

*

ამჯერად დავალება მეტად სერიოზული იყო. ვეცუმიდან 30 კილომეტრის მანძილზე, ტყეში წითელი ყაჩაღების მნიშვნელოვანი ჯგუფი იყო მოყალათებული. დროდადრო ისინი თავს ესხმოდნენ, როგორც ზურგში მომუშავე გერმანულ ნაწილებს, ისე ფრონტის ხაზზე განლაგებულ დანაყოფებს. გენერლის აზრით, ბანდიტთა ამ ჯგუფის განადგურებას, ქართველები უკეთესად შეასრულებდნენ. გენერალმა ბრძანა, ჩვენი ასეულიც გაიგზავნოს ბანდიტების ჯგუფის მოსასპობად. იგი არ შემცდარა თავის გადაწყვეტილებაში.

ბრძანების მიღებისთანავე დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა. პირველ რიგში საჭირო იყო ადგილმდებარეობის შესწავლა. ჩვენს წინ ფართო მინდორი იყო გადაშლილი, რომელიც ჭაობიან ველებში გადადიოდა. ჭაობები ტყემდე გრძელდებოდა და ამით აფერხებდა ბანდიტე-

ბის ბუდემდე მისვლას. საჭირო გახდა გაპასველელი გზების მონახვა. ჩვენ სპეციალური ტანისამოსი დაგვირიგეს.

ყველა რაღაცა მზადებაში ვიყავით. გულისფანცქალით ველოდით ლაშქრობის დაწყებას. იარაღი და პირადი ნივთები მზადა გვაქვს. ყველაფერი წესიერად გამოიყურება.

დადგა სანატრელი ჟამიც. კვირა დღეს მივიღეთ ბრძანება. დღის 3 საათზე დაიძრა ჩვენი ასეული. გვერდით ლატვიელ მოხალისეთა ასეული იმყოფება. მშვიდობიანად აუარეთ გვერდი ჭაობებს და გათენებისას მივადექით ტყეს.

ბრძანების თანახმად ათეულებად დავიშალეთ და შევუდექით ბანდიტების ბუნაგის ძებნას. ფრთხილად მივიწევთ წინ. თითეული ხე, თვითეული ბუჩქი საფრთხეს წარმოადგენს ჩვენთვის. შესაძლოა იქ იყვეს ჩამალული მტრის გუშაგი და დალვაროს ჩვენი სისხლი.

უეცრად სროლის ხმა გაისმა. რამდენიმე წუთი და მტრის ტყვია სეტყვასავით წამოვიდა ჩვენს თავზე. ჩვენ მიწას გავეკარით. თვითეულმა ჩვენგანმა დაიკავა შესაფერი პოზიცია.

— ცეცხლი! — გაისმა ბრძანება და გარემო ჩვენი იარაღის ხმამ გააყრუა. აკაკანდნენ ჩვენი ტყვიამფრქვეველები, ხელის გრანატების ტყორცნას ხომ საზღვარი აღარა აქვს. გათენება აბლოვდებოდა და ჩვენი იერიშიც უფრო და უფრო ძლიერი ხდებოდა.

შეწყდა მტერი. ვერ გაუძლო მან ჩვენ გაშმაგებულ შეტევას. მინელდა სროლა ბანდიტების ბანაკიდან და ჩვენც მივიწევთ წინ. დაიწყო ერთიანი იერიში.

უკვე გათენებული იყო, როცა მტრის მთავარ სადგომს მივუახლოვდით. საშინელი სურათი დაგვიხვდა ჩვენ იქ. მოკლულ ბანდიტთა რიცხვს საზღვარი არა ჰქონდა.

სანოვაგისა და საბრძოლო საჭურველის დიდი მარაგი დატოვეს მათ.

ჩვენმა ასეულმა მხოლოდ უმნიშვნელო ზარალი განიცადა.

ჶ

მოხ. კ. დ-ძე

გაზ. „საქართველოს“ საგანგებო კორესპონდენტი.

# ლეო ხუროძე

1 ნოემბერს ქ. გლოვენის სამხედრო ლაზარეთში, გარდაიცვალა მგზნებარე ქართველი პატრიოტი და ნიჭიერი ჟურნალისტი ლეო ხუროძე.

მთელი თავისი მუშაობით, ბრძოლითა და შეგნებით იგი იღვწოდა და ანხორციელებდა თავის სანუკვარ ოცნებას — საქართველოს განთავისუფლების საქმეს.

დავკარგეთ ახალგაზრდა, მაგრამ უდაოდ ნიჭიერი და გამოცდილი საზოგადო მოღვაწე.

ლეომ, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, თითქმის ბავშვმა აირჩია ეს გზა. ძნელი იყო ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში მუშაობა. მკაცრი, ნახევრად ველური საბჭოთა ცენზურა, ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა ყოველგვარ თავისუფალ აზრს. საქართველოში ლეოს არ ჰქონდა საშუალება ემუშავა თავისუფლად, ემღერა საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

დადგა სანატრელი დრო! დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. მრავალი ათასი ქართველი აღსდგა საღმრთო ბრძოლაში საქართველოს განსათავისუფლებლად. მათ შორისაა ლეოც. იგი, ბრძოლის წყურვილით აღტაცებული მიეშურება ჯერ ქართულ ლეგიონში, შემდეგ კი უბრუნდება თავის საყვარელ საქმეს. ახალგაზრდული გატაცებით და ენერგიით იწყებს იგი მუშაობას გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში.

მრავალი საყურადღებო წერილი მოთავსებულა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მისი ხელმოწერით. არა ერთი და ორი პატრიოტული სიტყვა უთქვამს მას მებრძოლ ქართველი მამულიშვილებისათვის. არა ერთი და ორი ლამაზი ისტორიული სურათი დაუხატია ჩვენი მდიდარი წარსულიდან.

ლეო იბრძოდა თავდავიწყებით, რადგანაც მას გატაცებით, მთელი თავისი არსებით უყვარდა მრავალტანჯული სამშობლო. მისი ფიქრი, მისი ოცნება იყო — თავისუფალი საქართველო.

ლეო გარდაიცვალა იმ დროს, როდესაც მრავალგზის ნაწამები ქართველი ხალხი, ერთხელ კიდევ ღვრის სისხლს საკუთარი მიწა-წყლისათვის, საკუთარი ოჯახისა და ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის. მას არ ეღირსა ბედნიერება, ეხილა თავისუფალი საქართველო, განეცადა მშობელი მხარის სიტკბო.

წავიდა ჩვენგან მებრძოლი მამულიშვილი და საყვარელი მეგობარი. საუკუნოდ დადუმდნენ მისი ბაგენი, მაგრამ, ყველა ჭეშმარიტ მამული-

შვილს ალანთებს მისი სიტყვები: „დაე, მთელმა ქვეყანამ იცოდეს, რომ ეროვნული საქართველო ცოცხალია... საქართველო იბრძვის... საქართველო გაიმარჯვებს!..“

ამხანაგების ჯგუფი

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 46 (123) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 20 ნოემბრი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## ქართული საკავშირო შტაბის დეპეშა გენერალ კესტრინგს

**დიდად პატივცემულო ბატონო გენერალო!**

ქართული საკავშირო შტაბი გილოცავთ თქვენ, ბატონო გენერალო, საბრძოლო დამსახურებისათვის ხმლებიანი, რკინისჯვრის რაინდობის ორდენით დაჯილდოებას. ვსარგებლობთ რა შემთხვევით, ქართული საკავშირო შტაბი გამოსთქვამს ყველა ქართული დანაყოფის მოხალისეთა სიხარულს, ვინაიდან კარგად ვიცით, რომ თქვენ, საამაყო ჯილდოს ღირსეული მატარებლი ბრძანდებით. ქართული საკავშირო შტაბი მადლობას გიძღვნით, იმ თანაგრძნობისა და მზრუნველობისათვის, რომელიც თქვენ ჩვენს მიმართ გამოიჩინეთ და უღრმესად კმაყოფილია იმ გარემოებით, რომ თქვენს მიერ გაწეული მუშაობა, უმაღლესი ორგანოების მიერ ღირსეულად იქნა დაფასებული.

გივი გაბლიანი

ობერლეიტენანტი

## მოხალისეთა ჯარების გენერალმა, კავალერიის გენერალმა კესტრინგმა, შემდეგი დეპეშით უპასუხა ობერლეიტენანტ გაბლიანს:

ძვირფასო ბატონო გაბლიანო!

მიიღეთ ჩემგან გულითადი მადლობა ჩემს დაჯილდოებასთან დაკავშირებით თქვენი კეთილი მოლოცვისათვის. მე გთხოვთ თქვენ, გადასცეთ ჩემი მადლობა აგრეთვე ქართულ საკავშირო შტაბს.

მიღებულ უმაღლეს ჯილდოს მომავალში მუდამ ვატარებ განსაკუთ-

რებული სიამაყით, როგორც გერმანელებისა და მოხალისეების თანამშრომლობისა და ერთად მუშაობის ნიშანს. ქართულ საკავშირო შტაბს და ყველა ქართველს, რაინდობის ჯვრით ჩემი დაჯილდოების გამო, ვუცხადებ გულითად მადლობას იმ დახმარებისათვის, რომელიც მივიღე თქვენგან ჩვენი ორივე ხალხის საკეთილდღეოდ.

საუკეთესო სალამით, ჰაინლ ჰიტლერ!

## ქართული საკავშირო შტაბის მოწოდება ქართველო მოხალისენო და მამულიშვილნო!

დღეს, როდესაც ბოლშევიკებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, სწყდება ჩვენი საყვარელი სამშობლოს ბედი და ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ჩვენი — სამშობლოს საზღვრებს გარეთ მყოფი მამულიშვილების ვალია, როგორც ერთი კაცი, გამოვიდეთ მტრის წინააღმდეგ და გადამწყვეტ ბრძოლაში მოვუპოვოთ თავისუფლება ჩვენს მრავალტანჯულ ერს, საყვარელ სამშობლოს! ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და ურთიერთდახმარებით, ჩვენ შევქმნით ძალას, რომელიც ამ დიად საქმეს უდიდეს სამსახურს გაუწევს.

სწორედ ამ მიზნით, ქართულ საკავშირო შტაბთან დაარსდა ქართული ეროვნული ფონდი, რომელიც საჭიროების მიხედვით დახმარებას გაუწევს ყველა ქართველს, მის კულტურულ და ეკონომიურ მომსახურებას და, საერთოდ, ქართულ ეროვნულ საქმეს.

ქართული საკავშირო შტაბი მოუწოდებს ყველა ქართველ მოხალისეს და მოქალაქეს შეიტანონ თავიანთი წვლილი ქართული ეროვნული ფონდის სალაროში და ამით დამატებითი დახმარება გაუწიონ იმ საქმეს, რომელსაც ყველა ჩვენგანი ემსახურება. ქართული საკავშირო შტაბი გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ არ დარჩება არცერთი ქართველი მამულიშვილი, რომელიც არ გამოეხმაურება ამ მოწოდებას და თავისი წვლილით არ გაუწევს დახარებას ქართულ ეროვნულ საქმეს. თანხა გადმოგზავნილი უნდა იქნას შემდგი მისამართით: Deutsche Bank Depositenkasse P. Berlin W 35 Posdamerstr. 131. Postscheck Nr. 016. Georgischer Nationalfond.

ქართული საკავშირო შტაბი

## ცხარე ბრძოლების შემდეგ

ჩვენი ასეული ახალ პოზიციებზე გადადიოდა. ოცეულებად ვიყავით გათვისთვისებული. თვითეულ მათგანს თავისი მიმართულება ჰქონდა მიცემული. ასეულის მიზანი იყო N სოფლის მისასვლელებთან მდებარე ფერდობების დაკავება და იქ ახალი საბრძოლო წერტილების მოწყობა.

ჩვენს მოძრაობას, ზურგის დაცვა და გვერდითი მეხაზეები იცავდნენ.

დასახულ მიზნამდე 10 კილომეტრი თუ იქნებოდა. ბრძანების მიხედვით, დაღამებისას ადგილზე უნდა ვყოფილიყავით. მხნე და ენერგიული ნაბიჯით მიდიან ქართველი მოხალისეები. მიუხედავად დღის განმავლობაში ჩატარებული ცხარე ბრძოლებისა, მათ სრულიად არ ემჩნევათ დაღლა. თავდაცვით ბრძოლაში მოპოვებული წარმატებანი აღაფრთოვანებენ ქართველ პატრიოტებს, შემდგომი, უფრო წმვავე ბრძოლებისათვის.

მოულოდნელად მსვლელობა შეჩერდა. ასეულის მეთაურის სწრაფი ბრძანებით, დანაყოფები აღგილმდებარეობას შეეხამნენ. ყოველი მიმართულებით სჩრის საღამოს ბინდს მოხალისეთა ფხიზელი თვალი. ელიან საჭადელს, — მტერთან პირისპირ შებმას.

მეთაურთან მოხ. ვ. ლ-მა მიირბინა და სხაპა-სხუპით შემდეგი მოახსენა:

— ბატონო კაპიტანო! სასოფლო გზის მარჯვენა მხარეზე ჭაობიან ბუჩქნარში მტრის მოძრაობა შევამჩნიეთ. იგი თავდასხმისათვის ემზადება. ხელთ აქვთ 2 მძიმე და 4 მსუბუქი ტყვიამფრქვევი. მებრძოლთა რიცხვი გამოურკვეველია. ჩვენმა დაზვერვამ საბრძოლო მდგომარეობა ვიცით და ელოდება თქვენს განკარგულებას!

ასმეთაურმა ოცმეთაურებს გამოუძახა, განუმარტა მათ მდგომარეობა, მისცა ამოცანა და უბრძანა სრულ 7 საათზე, მისი ნიშნის მიხედვით შეტევაზე გადასულიყვნენ.

ემზადებიან შეტევისათვის ქართველი გულები. ემზადებიან ისინი, მტრისათვის ჯეროვანი პასუხის გასაცემად. თავიანთი თავი და იარაღი მოჰყავთ მათ სრულ მზადყოფნაში. აუღელვებლივ ელიან 7 საათს, იმ დროს, როცა მტრის განადგურება უნდა დაიწყოს.

სრული 7 საათია. თვითეულ ქართველს 7 ვაჟკაცის გული მიეცა. თვითეულ მათგანს განზრახული აქვს შვიდი არამზადა მაინც გამოასალმოს წუთისოფელს. და, აი, აღიმართა კიდეც მაღლა კაპიტანის მარჯვენა ხელი.

ეს შეტევის დაწყებას მოასწავებდა! მართლაც დაიწყო იგი. წარბშეუხრელნი მიდიან წინ ქართველი გმირები. მოკლე და ხშირი გადარბენებით გამოსასვლელი ზღუდეები დაიკავეს. მოხალისეთა გადარბენას მძიმე ტყვიამფრქვევები იცავენ. ნაღმმტყორცნელები კი, თავის გამანადგურებელ ნაღმებს პირდაპირ ბუჩქებში ჰყრიდნენ.

საიერიშო ზღუდეზე ოდნავ შევჩერდით. მტრის ბანაკიდან უკვე რაღაც უწესრიგო ხმაური ისმოდა.

კიდევ ცოტა ხანი და დასჭექა ქართულმა ვაშამ. ვაშას ძახილით მივდივართ მტერზე. მოხ. ვ. ლ-ი ყველაზე წინ მოექცა. მას მარტოდ უნდა შემუსროს ვერაგი მტერი. მამაცი მებრძოლი უცებ შეტორტმანდა

და დაეცა. მსუბუქად მკერდში დაიჭრა, მაგრამ მისმა მეგობრებმა სასწრაფოდ გამოიყვანეს იგი უშიშარ ადგილას.

როცა მტერი გონს მოვიდა, გაქცევა დააპირა, მაგრამ ქართველ უძლეველ მარჯვენას, იგი შორს ვერ წაუვიდა.

მტერი განადგურებულ იქნა. მათი ზრახვები, — მოეკრათ ჩვენთვის უკან გასასვლელი გზა, გარს შემოგვრტყმოდნენ, — ჩაიფუშა.

მოხ. ვ. ლ–ი და რამოდენიმე სხვა გულადი მეომარი, ბრძოლის შემდეგ დაჯილდოებულნი იქნენ მამაცობის ორდენებით.

მოხ. ს. იმერი

## „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 47 (124) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 27 ნოემბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

### წინაპართა ნაცადი გზით

**ლეიტენანტი ჰაინც შპონზელი**

უკვე რამოდენიმე წელია მიატოვეს მათ მშობლიური კერა. მას შემდეგ სამჯერ მოთოვა კავკასიონის მთაგრეხილებზე, სამჯერ შეიფოთლა საქართველოს ჭოჭორა ტევრი, სამჯერ იცვალა ფერი ცამ და ბუნებამ... უკვე რამოდენიმე წელია სდგანან ისინი გერმანელთა გვერდით; მათ მტკიცედ გადაწყვიტეს გამხდარიყვნენ თავისუფალი საქართველოს თავისუფალი მოქალაქეები, მათ იცოდნენ, რომ გერმანელ ჯარისკაცთან აერთიანებთ ბოლშევიზმის მიმართ საერთო, სამკვდრო-სასიცოცხლო სიძულვილი, კაცობრიობის ამ შავი ჰირის მოსპობის დაუდგრომელი სურვილი.

მას შემდეგ ისინი სიამაყით ატარებენ მტრედისფერ საველე მუნდირს და არასოდეს უღალატიათ მიცემული ფიცისათვის. ისე როგორც მისი ერთგულნი იყვნენ იმ შავბნელ დღეებში, როდესაც მათ კავკასიის მთებიდან სულ უფრო შორს, დასავლეთისაკენ, მოუხდათ უკანდახევა. სამშობლოს ჭაღარამოსილი ქედები თანდათან სივრცეში იკარგებოდნენ. მათ ესმოდათ მხოლოდ მთის ნიავის მძლავრი შემოქროლვა, რომელიც შორეულ მოგონებას აღუძრავდა მშობლიურ მხარეზე. ისინი მაინც დარწმუნებული იყვნენ გერმანიის გამარჯვებაში და ეს რწმენა დღესაც ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი.

ათასეულმა სულ სხვადასხვაგვარ დავალებათა შესრულებაში განსაკუთრებით თავი ისახელა. როდესაც ოგი ალმოსავლეთიდან საფრანგეთში გადაიყვანეს, ერთ-ერთი გერმანული სატანკო დივიზიის მეთაურმა მას შემდეგი დახასიათება მისცა: „ამ ათასეულმა, რომელიც ჩემს სატანკო დივიზიაში ითვლებოდა, მოვალეობის შესრულების ბრწყინვალე მაგალითები გვიჩვენა“. ასეთი გამოხმაურება წარმოადგენს ქართველი მოხალისეების მკვეთრ და მიუდგომელ დახასიათებას.

გასაკვირი არ იქნებოდა, დასავლეთში გადაყვანას უარყოფითად რომ ემოქმედნა ათასეულის განწყობილებაზე. ეს გასაგებიცაა. ხომ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ რამოდენიმე წლის წინათ ეს ათასეული ბრძოლის ველზე გარკვეული მიზნით გავიდა — სამშობლოს გასაწმენდად ბოლშევიკებისაგან. ამ მიზნის მიღწევა მაშინ რაღაც კვირეების ან დღეების საქმედ იყო მიჩნეული. და აი, უცბად, ალტერნული მიზანი სულ უფროდაუფრო თვალს ეფარებოდა. სამშობლო დარჩა მხოლოდ მათს მოგონებებსა და სიზმრებში. მრავალი ათასი კილომეტრი აშორებდა მათ სამშობლურ მთებს. მიუხედავად ამისა, ქართველმა მოხალისეებმა საკუთარ რწმენას არ უღალატეს და კვლავ შეინარჩუნეს მაღალი მებრძოლი სული.

ფრანგმა ტერორისტებმა გაიცნეს ქართველი მებრძოლები. ისინი ყოველთვის პანიკურ შიშს ეძლეოდნენ, როდესაც გაიგებდნენ ქართველების მოახლოებას. ქართველის სახელის მოსმენაც კი ძრწოლას იწვევდა მათში. მაღალი ქედების ორწოხებში გაზრდილმა ქართველებმა, გასაქანი არ მისცეს ფრანგი ხალხის მოსისხლე მტრებს. ისინი კვალდაკვალ დასდევდნენ ტერორისტებს მთის ფერდობებზე, ძნელად გასავლელ ბილიკებსა და წყვარებზე. ათასეული განუწყვეტლივ ლებულობდა მონაწილეობას ამ საბიფათო ოპერაციებში, მან დაჭკარგა მრავალი დაჭრილი და მოკლული, მაგრამ ყოველ წუთში მაინც მზად იყო იერიშზე გადასასვლელად. როდესაც გერმანულმა ჯარებმა საფრანგეთიდან უკანდახევა დაიწყეს და იძულებული იყვნენ ბრძოლით გაეკვლიათ გზა ვიწრო ხეობაში, ქართველებმა იშვიათი სიმამაცით აიტანეს ამერიკელთა საარტილერიო და ნაღმსატყორცნის ცეცხლი, როდესაც ისინი საზენიტო არტილერიას ოფარავდნენ ან რომელსამე ქალაქს იცავდნენ. გერმანულ ჯარებთან ერთად ისინი ბრძოლით გამოვიდნენ საშვიდობოს. რა ადვილი იყო ამ მძიმე დღეებში მტრის მხარეზე გადასვლა ან გადამალვა?

მაგრამ არცერთ მათგანს არ უფიქრია ამაზე, ყველამ უდიდესი ერთგულება და ქართული ვაჟკაცობა გამოიჩინა.

შემდეგ დადგა დრო, როდესაც მათ კვლავ დაამტკიცეს თავიანთი მზადყოფნა საერთო საქმისადმი. ბურგუნდიის კარიბჭეებთან ქართველებმა დაინახეს გერმანელი ახალგაზრდობა საფორტიფიკაციო სამუშაო-

ებზე. მათ არ დაუცადეს ბრძანებას, მყისვე მოსძებნეს ნიჩბები, ძალაყინები და წერაქვები, უველაფერი, რის შოვნაც მოახერხეს სოფელში ან ოთხთვალებზე, და შეუდგნენ მუშაობას. აქაც ისინი იმაზე შეტს აკეთებდნენ, რაც საერთოდ მოეთხოვებოდათ. თუ დღეში ორი მეტრის სიგრძის სანგარი უნდა გაეთხარა თვითეულს, ისინი სამ მეტრს სთხრიდნენ; ტანკსაწინააღმდგო თხრილებს, ნაცვლად სამი დღისა, ორ დღეში იღებდნენ. ბრძანების მშრალი ფრაზები მრავალსიტყვაობის ნაცვლად ნათლად ამტკიცებს ქართველი ვაჟკაცების სიბეჯითეს: „ამ საბრძოლო ერთეულმა განუწყვეტელი მუშაობის დროს მიაღწია სანიმუშო შედეგებს, რამაც ბევრად გადააჭარბა საშუალო ნორმას“.

უკანასკნელმა კვირეებმა და თვეებმა გერმანიას ბევრი უსიამოვნება მოუტანეს. ჩვენ მოწმენი გავხდით რამდენიმე შემთხვევისა, როდესაც მოკავშირეებმა დაარღვიეს ერთგულება. სწორედ ამასთან შედარებით, ქართული ათასეულის მაგალითი გაუსაკუთრებით სასიხარულო და სანუკვარია. სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ კავკასიონის მთების შვილებისათვის მოულენები შეუმჩნეველი რჩებოდა. მათ, ცხადია, შეუნიშნავად იცოდნენ, რომ ბოლშევიკები უკვე აღმოსავლეთი პრუსიის საზღვრებს მოადგნენ და სერბიაში შემოიჭრნენ. რასაკვირველია, მათ უველაფერი კარგად იციან, და, მიუხედავად ამისა, კვლავ დარწმუნებული არიან გერმანიის სიძლიერეში, სწამთ გარდატეხა, რომელიც მალე შეცვლის მდგომარეობას. მაგრამ ამის მოლოდინში ისინი გულხელს არ იკრებენ, არ უცდიან ბედის განაჩენს. არა! ისინი სჭიმავენ მთელ თავის ძალას იმ ოპერაციებში, რომელშიც მონაწილეობა ნაბრძანები აქვთ. როგორც ჩვენ გერმანელებს, გამარჯვება მათაც მტკიცედ სწამთ.

მხოლოდ ასე შეიძლება მიზნის მიღწევა!

## სტუმრად ქართულ ლეგიონში

### ჩვენი საგანგებო კორესპონდენტისაგან

დღე ღამეს ეყრებოდა, როდესაც ქართული ლეგიონის დაბანაკების ადგილს მივედით. პატარა გერმანული ქალაქი, ჩვეული სისუფთავითა და წესრიგით; გეგმიანად ნაშენი კოხტა სახლები, ლამაზი ქუჩები, ხეივნები, აგურმოყრილი გზები... უველაფერს ამჩნევია ამ შრომისმოყვარე ერის გარჯა და საქმის ერთგულება. ქალაქგარეთ მიგვითითეს — იქ არიან ქართველი მოხალისეებიო.

უცხო სტუმრის მოსვლამ უველა გაახარა. ბინად ერთ-ერთი ასეულის უმცროს მეთაურთან მოვთავსდით. საველე მეცადინეობიდან ახლადდაბრუნებული იყვნენ და გათოშილ ხელებს ღუმელთან ითბობდნენ.

ვუცქეროდი ამ სიცოცხლით სავსე ჰაბუკებს და გული სიხარულით მევსებოდა. — ასე იცის ველზე მეცადინეობამ და სხეულის გამოწრთობამ, — გავიფიქრე და კვლავ შევხედე მათს მოლაჟიანე ღაწვებს, სიცივისაგან უფრო ჯანმრთელი ფერი რომ გადაჰკროდათ. საინტერესო იყო მათთან საუბარი. უმცროსმა მეთაურებმა ბევრი საყურადღებო ამბავი მოგვითხრეს. უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ ისინი იმ იდეალური დამოკიდებულების შესახებ, რომელიც არსებობს ლეგიონში ქართველ მოხალისეებსა და გერმანელ მეთაურთა შორის. ქართული ლეგიონი ნამდვილი ცოცხალი მაგალითია ქართველი და გერმანელი ერების იმ ისტორიული მეგობრობისა, რასაც ჯერ კიდევ თავისუფალ საქართველოში დაერწყა აკვანი. გერმანელ ამხანაგებში განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა აქ ქართველთა სიმღერებმა, გართობამ და მხიარულებამ. ისინი ალტაცებაში მოდიან ჩვენი შესანიშნავი მელოდიებით, ასე მოხდენილად რომ ასრულებენ ქართველი მოხალისეები. დიდ ყურადღებას იჩენენ ქართული ენის შესწავლა და, საერთოდ, ქართული კულტურის, ისტორიისა და ლიტერატურის საკითხები. გერმანელი მეთაურები საოცარი მონდომებით ითვისებენ ჩვენს ენას. ბევრი მათგანი საგანგებოდ მეცადინეობს კიდეც ქართულში. ჩვენთან პირადი საუბრის დროს ლეგიონის მეთაურის ადიუტანტმა, ლეიტენანტმა პ-მ პირდაპირ განაცხადა:

— მე ქართველების შესახებ ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ყოფნის დროს ბევრი რამ გავიგე, ბევრიც წავიკითხე და უდიდესი სურვილი დამებადა ამ უძველესი, კულტურული ერის ახლოს გაცნობისა. სალეიტენანტო სკოლის დამთავრების შემდეგ, როდესაც წინადადება მომცეს ამომერჩია — რომელ ეროვნებასთან მინდოდა მუშაობა, მე, ცხადია, ქართული ლეგიონი დავასახელე, რადგან, როგორც იქნა, საშუალება მომეცა თქვენს ხალხთან ახლოს ვყოფილიყავი...

ბევრი საუკეთესო მოწინავე ქართველი მებრძოლი მოიპოვება ამ ახლად ჩამოყალიბებულ ლეგიონში. მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებოა მათი წარსული. სად არ ყოფილან ისინი, სად არ გამოუჩენიათ ქართველისათვის დამახასიათებელი სიმამაცე და ვაჟკაცობა. აი, ჩვენს წინ სდგას, ახოვანი, სასიამოვნო შეხედულების ჰაბუკი უნტეროფიცერი გ. განთიადი. ყურადღებას იპყრობს მის მკლავზე მიკერებული ტანკის განადგურების ნიშანი. ეს საამაყო ჯილდო მან ქართველებში პირველმა მიიღო.

— ეს ნიშანი საკმაო ხანია მომცეს, — დარცხვენით გვიყვება იგი, ეტყობა საკუთარ თავზე არ უყვარს ლაპარაკი. — ჩვენი გერმანული ნაწილი აღმოსავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოწინავე პოზიციებს იცავდა. მთელს ასეულში მარტო მე ვიყავი ქართველი. უეცრად საიდანღაც უზარმაზარი რუსული ტანკი გამოჩნდა. ტანკს უკან ქვეითი ჯარის-

კაცები მოსდევდნენ. გაიცა განკარგულება — დაგვეკავებინა ტანკსაწინააღმდეგო პოზიციები. არავითარი გამოსავალი არ იყო: ან ტანკი უნდა გაგვენადგურებინა, ან იგი ყველას გაგვესრესდა. მთელს ათეულში მარტო მე შევრჩი ტანკსაწინააღმდეგო თოფი. მიუხედავად მოახლოებული საფრთხისა, არ დავბნეულვარ. პირველმა გასროლამ ნაყოფი ვერ გამოიღო. მეორე და მესამე გასროლა. ტანკი შეჩერდა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი ქვემეხიდან ცეცხლი გაგვიხსნა. ყუმბარები ჩემს ახლოს სცდებოდნენ. სჩანდა, ჩემი გამოყვანა უნდოდათ მწყობრიდან. გავიტრუნე. ტანკმა სროლა შეწყვიტა და კვლავ წინ წამოვიდა. იგი სულ ახლოს მოვუშვი. როდესაც რამდენიმე ათეული მეტრი-ღა გვაშორებდა ერთმანეთს, მოვიკრიბე მთელი ძალღონე და ზედიზედ რამდენიმე გასროლა მივაყოლე. ფოლადის გოლიათი ადგილზევე გაიყინა. მის ჯავშანზე მკაფიოდ გავარჩიე რამდენიმე ნაბვრეტი. მივედით მასთან. მმართავი ადგილზევე მომკვდარიყო. გერმანელმა ავხანაგებმა მხურვალე მადლობა გადამიხადეს და მომილოცეს გამარჯვება, სარდლობამ კი ამ ნიშნით დამაჯილდოვა...

*

ქართველი უმცროსი მეთაურების მხიარულებამ შორეული სამშობლო გამახსენა. გულისამაჩუყებლად მღეროდნენ ისინი. ხანშიშესული მეჩოხეგურე მოხდენილი აკომპონიმენტით მიჰყვებოდა ქართული მელოდიის ჯადოსნურ ჰანგს. მრავალი ლამაზი სიმღერა შეასრულეს მათ. ჩემს ყურს დედის ნანასავით ეწვეთებოდა მშობლიური მოტივები...

— ჭეშმარიტად უკვდავია ის ერი, რომელსაც ასე შეუძლია სიმღერა, შრომა და ბრძოლა, — მომმართა ახალგაზრდა გერმანელმა ობერლეიტენანტმა, რომელიც სულგანაბული ისმენდა მეჩოხეგურის დაკვრას.

— საქართველო ძველთაგანვე ღვინის, ქალებისა და სიმღერების ქვეყნად ითვლებოდა, — მივუგე მე, — მაგრამ ვინც ჩვენს ქვეყანაში აღმოსავლური ეგზოტიკის მხოლოდ ამ ნიშნებს ამჩნევდა, მას არ უნდა დავიწუნებოდა ისიც, რომ ქართველი ერი მთელი თავისი არსებობის მანძილზე ბრძოლით ინახავდა თავს და ბრძოლაშიც იგივე სიმღერები უნათებდა გზას; ქართველმა ხალხმა შრომით შესძლო საქართველოს აშენება და ამ შრომაშიც იგივე სიმღერა ახალისებდა. დღეს თქვენ უკვე ნათლად შეგიძლიათ დაინახოთ, რომ ჩვენი ბრძოლა და შრომა ქართულ ტრადიციულ ხალისს არ არის მოკლებული.

*

მეორე დღეს, საღამოს, კვლავ შევიკრიბეთ. ქართველი ვაჟკაცები გვიყვებიან მრავალ მნიშვნელოვან ეპიზოდს თავიანთი ბრძოლების შე-

სახებ. უნტეროფიცერი გ. განსაკუთრებული აღზნებით მოგვითხრობს ბოლშევიკებთან შეხვედრის ამბებს. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი, რომელიც მკვეთრად ახასიათებს ჩვენი მამაცი მოხალისეების თავდადებას, უბის წიგნაკში ჩაიწერეთ და გვსურს ჩვენს მკითხველს აქვე გაუზიაროთ:

— გერმანელთა ზურგში წითლებმა დესანტი გადმოსხეს. დესანტის მონაწილეები გადაცმული იყვნენ გერმანულ მუნდირებში და იარაღიც გერმანული ჰქონდათ. ჩვენმა ნაწილებმა, რომელშიც ერთი ათეული ქართული იყო, დროზე შეიტყო ბოლშევიკების ეს მზაკვრობა. რუსებმა ხიდი დაიკავეს და მის მიდამოებში გაშალგრდნენ. პირდაპირი იერიშის მიტანა შეუძლებელი იყო. საჭირო შეიქმნა მზაკვრობაზე მზაკვრობითვე გვეპასუხნა. ჩვენი წინადადება მიღებულ იქნა. ქართველი მებრძოლები, რუსი ბანდიტების ტანისამოსში გადაცმულნი, გაემგზავრეთ ღამით ჩამოსხმული დესანტის ადგილას. მათ კარგად მიგვეღეს, არავითარი ეჭვი არ შეუტანიათ ჩვენში. ჩვენი მეთაური, ქართველი ფელდფებელი, რუსზე უკეთ ლაპარაკობდა რუსულს. საუბარში აღმოჩნდა, რომ ბოლშევიკებს მეორე დილით დიდი შეტევა უნდა დაეწყოთ...

ამოცანის ბრწყინვალედ შესრულების შემდეგ ადვილად შევძელით უკან დაბრუნება და გერმანულ სარდლობას ყველაფერი ვაცნობეთ. სასწრაფოდ მიღებულ იქნა საჭირო ზომები. მეორე დილით დაწყებული შეტევა გერმანელთა ისეთ წინააღმდეგობას შეხვდა, რომ რუსები იძულებული იყვნენ უკან დაებიათ და შემდეგ კი სრულიად მიეტოვებინათ ახლო დაკავებული ადგილები.

დესანტის მონაწილეთა ბედიც ამ ოპერაციამ ადვილად გადაწყვიტა...

ასეთი ეპიზოდები მრავალი მომხდარა აღმოსავლეთის ფრონტზე. გამარჯვების ურყევი რწმენით ასრულებდა ქართველი მოხალისე გერმანული სარდლობის დავალებას და ასეთივე რწმენით, უფრო მეტი ერთგულებით ასრულებს იგი დღესაც თავის წმინდათაწმინდა მოვალეობას...

ქართული ლეგიონი იყო და არის გმირთა სამშობლო, მომავალში მას უფრო მეტ დიდებას მოუტანენ მისი სახელოვანი შვილები...

ბუხარში უკანასკნელი ნაღვერდალი იფერფლებოდა, ღამწვალეწილმა თანამოსაუბრემ, ექსტაზში შესულმა, თავისი მოთხრობა ასე დაასრულა:

— აი, როგორც ეს ნაღვერდალი ჩაიფერფლა, ასე ჩაიფერფლება

ქართველი ხალხის ისტორიული მტრების ბედიც. ჩვენ სისხლი გვწყურია, სისხლი სამშობლოს პატივამხდელთა, სისხლი ჩვენი დედების, დების, შვილების ამწიოკებელთა, სისხლი... ან გავიმარჯვებთ, ან ყველა. როგორც ერთი კაცი, დავეცემით ბრძოლის ველზე...

ქართველი ვაჟკაცის ამ ცეცხლოვან სიტყვებს თითქოს ბანს აძლევდა მეორე ოთახიდან ხევსური მეჩონგურის მოძახილი:

„ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოქა ჯურხაის ფარიო,
მაუელის ომის წყურვილი —
ხანდისხან შასძრავს ქარიო“.

მოხ. მ. ეცერელი

## „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 49 (126) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 11 დეკემბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## დიდი სასპორტო დღესასწაული

იტალიის მთებში ხანგრძლივი მოქმედების შემდეგ ათასეული ქალაქ ვ-ში ჩამოვიდა.

საჭიროა ნივთიერი და სულიერი დაქურვა, კუნთების გაბალისება, ცოდნის გაღრმავება.

ათასეულის მეთაურობამ გადასწყვიტა სამოსწავლო თვეს სპორტული დღესასწაულით შეხვედროდა; შემუშავდა მრავალფეროვანი გეგმა; გაჩაღდა მუშაობა. ასეულებში მიიღეს შეჯიბრების დაწვრილებითი პირობები სპორტის სხვადასხვა სახეებისათვის. ქართველი და გერმანელი ვაჟკაცები ხალისით ჩაებნენ სახელდახელოდ შედგენილ ჯგუფებში. გამოცდილი სპორტსმენი ლეიტ. კ-ძე ჯგუფიდან ჯგუფში გადადის და სათანადო მითითებებს იძლევა. ხდება წინასწარი შეჯიბრება, რათა გადაშწყვეტ წუთში მჯობზე მჯობი იცავდეს ასეულის სახელს...

უფრო „მძიმე“ ხალხიც არ ვარჩებით უსაქმოდ, წესრიგში მოგვყავს სასპორტო მოედანი, ვაწყობთ ვერანდას სტუმრებისათვის; გენერალმა გამოთქვა სურვილი, დაესწროს ჩვენს ზეიმს!

გათენდა დანიშნული დღე. კოპწიად გამოიყურება სასპორტო მოედანი, დიდი ხანია ის ასე მონდომებით არ მოუყვანიათ წესრიგში; კოხტად შემოხაზული ფეხბურთის მოედანი და ამანათრბენის გზები სპორტის

მოყვარულთა თვალებს ხიბლავენ. უჩვეულო მღელვარებამ მოიცვა ყველა. ბევრს საინტერესოს გვპირდება მრავალფეროვანი პროგრამა.

ათასეული მოწყობილია. მოედნის კუთხიდან გამოჩნდა ქართული სამფეროვანი დროშა. მოდის საპატიო ოცეული. გატრუნული ათასეული ამაყად აცილებს თვალებით საყვარელ დროშას. ქართული დროშის ქვეშ საზეიმო სიტყვებით იხსნება სასპორტო დღე.

სხარტად იკავებენ ადგილებს ფეხბურთელები. გამარჯვებული გუნდი ფინიშზე გავა (სულ ოთხი გუნდია); დრო შეკვეცილია და ეს თავისთავად იწვევს მონდომებულსა და ცოცხალ თამაშს. ფეხბურთს მოჰყვა სხვა ინდივიდუალური შეჯიბრებანი.

სიგრძეზე ხტომაში თავი ისახელა ლეიტ. ფ-შვილმა; სიმაღლეზე ხტომაში მოხ. ჯ-შვილმა, მაყურებლები აღფრთოვანებული რჩებიან, როცა ეს მომცრო ტანის ჰაბუკი ადვილად უსწრებს მაღალ „მოწინააღმდეგეთ".

ბადრის, ყუმბარისა და შუბის ტყორცნაში ეჯიბრებიან ერთმანეთს კუთმაგარი ვაჟკაცები.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ამანათრბუნმა 10×400 მეტრზე. 5 ჯგუფი (ათ-ათი კაცი ყოველი ასეულიდან) ჩამწკრივდა სტარტთან. ლამაზია, მშვილდივით მოდრეკილი ვაჟკაცები ნიშანს რომ ელოდებიან; მაჯები ქრონომეტრით ხელში სმენას და თვალს იმახვილებენ. გაისმა სროლა; ისარივით გასრიალდნენ მორბენალნი. წინ წაზნექილი მაყურებელი ლამის წამოიტეს და თვითონაც სირბილში ჩაებას.

წყება წყებას მისდევს და მდგომარეობაც იცვლება; რომელი ჯგუფი გაიმარჯვებს? საოცარი სისწრაფით დაწინაურდა ფელდ. გ. და საერთო ტაში დაიმსახურა, თავის ჯგუფს მან მოგების საშუალება მისცა.

ამანათი მიიღო მეათემ თავის ჯგუფში, თითქმის ბავშვმა მოხალისე ს-ძემ. გაკვირვებული აღფრთოვანებით შევაჩნიეთ როგორ გადალახა მან მანძილი, დაიწია წინგასწრებულს და რამდენიმე ათეული მეტრით გაუსწრო კიდეც. ქების შეძახილებმა და ტაშმა დაჰფარა მიდამო. გამარჯვებული ჯგუფი ღიმილით ეცხადება თავის ასმეთაურს; წინ ხელიხელჩაკიდებულნი მოდიან გერმანელი ფელდ. გ. და ქართველი მოხ. ს-ძე, მათ უზრუნველჰყვეს თავისი ჯგუფის გამარჯვება; ასმეთაური ლეიტ. ა-შვილი სახელდახელო საჩუქარს ურიგებს გამარჯვებულთ.

გენერლისა და სხვა სტუმრების მოსვლამ გააცხოველა შეჯიბრება.

მალე ისევ ავარდა ბურთი, უკვე მესამედ. ორი გამარჯვებული გუნდი ზედება ერთმანეთს ათასეულის პირველობისათვის. ელვისებურმა თამაშმა ცოცხლად ჩაიარა. გენერალი მიესალმა გამარჯვებულ გუნდს.

ქართველმა მხედარმა შ-შვილმა შემოაგელვა ცხენი მოედანზე და ჯირითის ლამაზი ნიმუშები გვიჩვენა. ცხენი ველოსიპედმა შეცვალა;

მოხ. თ-მ უჩვენა სტუმრებს, რომ ქართველები მარტო ცხენოსნობაში არ არიან ოსტატები...

ანაზდად ყველა გაოცებული დარჩა, როცა მოედანზე საწოლები გამოიტანეს. გაოცებამ იმატა, საწოლებს მებრძოლთა ჯგუფი რომ მიუახლოვდა და ტანისამოსის გახდა დაიწყო. ისინი საცვლის ამარა დაწვნენ, „დაიძინეს“; ესენი იყვნენ დაბრკოლებათა გადალახვაში მონაწილენი. სროლის ხმაზე მათი წამოხტომა და ფაცა-ფუცი უჩვეულო ხალისს იწვევდა მაყურებელში. ბევრის „სიდინჯე ქებულმა“ აჯობა; ბევრს „გმობილმა სიჩქარემ“ გაუმართლა. ამოცანა ძნელი იყო: სრული აბჯრის ასხმა, სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით, ყუმბარის ტყორცნა მიზანში. ისევ დაბრკოლება, ფინიშთან საბრძოლო მდგომარეობის მიღება და... სროლა.

დღესასწაული საბუმარო სპორტით გათავდა: „ტომრით სირბილმა“ და „კვერცხით სირბილმა“ ჯანსაღი სიცილი გამოიწვია მოხალისეებში და სტუმრებში.

დღის საზეიმო ხასიათს მეტ სიხალისეს აძლევდა მოწვეული სასულე ორკესტრი და ათასეულის სიმღერისა და ცეკვის ახლად შექმნილი გუნდი.

საღამოს მთელი ათასეული კლუბში შეიკრიბა.

სცენაზე საჩუქრებით სავსე დიდი მაგიდა ბრწყინავს. ათასეულის მეთაური ობერლეიტენანტი მ. და ორდინარეც ოფიცერი ლეიტ. დ-ანი აჯილდოებენ გამარჯვებულთ სხვადასხვა საჩუქრებით, ჩვენ, მაყურებელნი კი — ოვაციებით.

კმაყოფილნი დავიშალეთ. გენერალმა განაცხადა: გმადლობთ ქართველებო სიამოვნებით გატარებული დღისათვის, გისურვებთ ასეთივე ენერგიითა და მონდომებით ჩაგეტარებინოთ სამოსწავლო თვე.

— დიახ, ბატონო გენერალო! ჯარისკაცები, რომლებიც თვეობით კარგად იბრძოდნენ, რომლებმაც სამი დღის განმავლობაში მოამზადეს ეს სასპორტო ზეიმი, სწავლაშიც ისახელებენ თავს.

მოხ. ლ. შ-ია

გაზ. „საქართველოს“ საკუთარი
კორესპონდენტი იტალიაში

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 50 (127) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 18 დეკემბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## ბარათები ბოდენის ტბიდან

### სულის დაშლა

ბრიგოლ როგავაძე

მარჯვედ და მბეჭდრად არჩევს პაატა ვარძიელი („საქართველო“, № 110) სიმონ ჩიქოვანის წერილს ქართული მწერლობის შესახებ, რომელიც მოსკოვის „პრავდაში“ გამოქვეყნებულა. მსურს ამ წერილს სხვა მხრით მივუდგე.

სიმონ ჩიქოვანს თუ დავუჯერებთ, მწერლები: გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, გერონტი ქიქოძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია, ვასო გორგაძე, გალაქტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ალ. აბაშელი, რაჟდენ გვეტაძე, ა. ქუთათელი, შალვა აფხაიძე, ხ. ვარდოშვილი, ვიქტორ გაბესკირია, მარიჯანი — ყველა ესენი თავგადმოდებით ემსახურებიან საბჭოეთს. თვითონ აქ ჩამოთვლილ მწერლებს რომ შევეკითხოთ, ისინიც ამასვე იტყვიან. ყოველი მათგანი ამ თქმისას იქნება გულწრფელი, ხოლო არცერთი მათგანი „ნამდვილი“ — ვხმარობ ამ სიტყვას როგორც შესატყვისს გერმანულისა: „echt“. როგორ? გულწრფელი და არანამდვილი ერთსადაიმავე დროს?

ბოლშევიზმის გავლენა სულიერ არეში მეტად რთული მოვლენაა. იგი უფრო ატმოსფერულია, ვიდრე ფიზიურ-ხელსახები. ჩემი „Gemordete Seele“ უმთავრესად ამ ატმოსფეროს მხატვრული გადმოცემაა. ერთს მაგლითზე შეგვიძლია ნათელვყოთ ამ ატმოსფეროს გავლენა. წარმოვიდგინოთ: ვინმე მხეცადქცეულმა ვაჟმა ძალა იხმარა ქალწულზე, რომელსაც თავისი სიქალწულე საკრალურად მიაჩნია. წმინდათწმინდა უკანასკნელისა სამუდამოდ შელახულია, ხოლო სიცოცხლე მისი თავის გზით მიდის მაინც. პატივაყრილი ქალწულის ქვეშეცნეულ ფენებში თავს იჩენს დროდადრო ერთი მეტად საიდუმლო და თან საგულისხმიერო პროცესი. ქალწულს უელვებს ხანდახან ფიქრი: შესაძლოა სასწაული მოხდეს და მან კიდეც შეიყვაროს პატივამყრელი. მაშინ? მაშინ მომხდარი თითქო არ მომხდარა და ქალწული ალარ იტანჯის. იგი უახლოვდება თავის პატივამყრელს: დღითიდღე, თანდათან, თითქმის უნებ-

ლიედ, უახლოვდება, რადგან მოწადინებულია, მასში რაიმე დადებითი ნაბოს. ნახავს ასეთს რამეს, — თუგინდ სულ მცირეს. იგი აზვიადებს მას უზომოდ. პატივამყრელი რასაკვირველია უცვლელი რჩება; ქალწულს ხანდახან ეჭვიც ეპარება დაახლოებაში; ხოლო უკანდახევა მისთვის უკვე ძნელია. იგი განაგრძობს ერთხელ აღებულ გზას და ვერ ხედავს, რომ ყოველი მის მიერ გადადგმული ნაბიჯი დასაახლოებლად მხოლოდ უფსკრულისაკენ მიაქანებს მას. მისი არსი ორდება, მისი თვისების მთლიანობა ირღვევა. იგი, ასე ვთქვათ, გულწრფელია თავის ქცევაში ყოველ წამს, ხოლო არცერთს წამს ნამდვილი, ვინაიდან მეობა მისი გაბზარულია შინაგან.

საბჭოეთის მოქალაქე, არაბოლშევიკი, ასეთს ქალწულს გვაგონებს. იგიც გაბზარულია და გაორებული და როგორც ასეთი, გულწრფელი და არანამდვილი ერთსადაიმავე დროს. „საჩვენებელი პროცესები“ მავნებელთა თუ „განსჯილთა“, ასე გავრცელებულნი საბჭოეთში, ადასტურებენ მხოლოდ ამას. საოცარი და საცნაური ამ პროცესებისა აქ მარხია. ეწერლობაშიაც იგივე ხდება: ანუ შინაგანი ნამდვილობის დარღვევა.

ავიღოთ მაგალითისათვის კონსტანტინე გამსახურდია. შემთხვევა მქონდა წამეკითხა მისი რომანი „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“, რომელსაც, ქართველ ტყვეთა გადმოცემით, თვალსაჩინო გამარჯვება რგუნებია საქართველოში. რომანის ღერძი კონსტანტინე არშაკიძის ცხოვრებაა, რომელმაც ააშენა „სვეტი ცხოველი“, მცხეთის ტაძარი, კათოლიკოს მელქისედეკის დროს, დაახლოებით 1020 წელს. „სვეტი ცხველი“, ვიცით, უფრო ძველია; არშაკიძემ მისცა მას მხოლოდ ის ფორმა, რომლითაც იგი ეხლა ჩვენ გვეელინება. მხატვრულ ნაწარმოებს საბოლოო მსჯავრი რომ დასდო, ამისათვის საჭიროა მისი ორჯერ მაინც წაკითხვა. აქ მხოლოდ ჩემს პირველ შთაბეჭდილებას გავაცნობ მკითხველს: 1. ეპიურ ნაწარმოებში „მთელი“ ისე უნდა სჩანდეს, როგორც კამარამოვლებული განფენილი ლანდშაფტი; ამ რომანში კი დეტალები ნთქავენ მთელს. 2. ისტორიული რომანი მეცნიერული კვლევა არაა; ცხადია, იქ არაფილსაც აქვს ადგილი, ხშირად სწორედ ამას; ხოლო არაფილი ისე უნდა იყოს იქ გადმოცემული, თითქო იგი მართლაც ყოფილიყოს; ეს მოითხოვს დიდ ვიზიონერულ ნიჭს, აუცილებელს გზნებისათვის წარსულის „სულიერი ჰავისა“; წარმოსახული, ამ შემთხვევაში არყოფილი, უნდა იყოს სახიერებული ვითარ ნამდვილი, ესე იგი, როგორც ყოფილი; გამსახურდიას რომანში კი მრავალი სცენები „ზღაპრაობის“ შთაბეჭდილებას სტოვებენ. 3. რომანში ყოველი ამბავი ცოცხლად უნდა იყოს თხრობილი, ეს თავისთავად ცხადია; ხოლო იქ, საცა მოთხრობილია საუცუნოებში გადახსული ამბავი, ეს „ცოცხალი თხრობა“, ასე ვთქვათ, შორეთიდან უნდა ჰქროდეს, ესე იგი, ამბის აღქმეისას ერთგვარი „მანძილი“ უნდა იყოს დაცული; აქ კი ხშირად

ისეა ამბავი თხრობილი, თითქო იგი გუშინ მომხდარიყოს; ეს სხვათა შორის ზემო მუხლში ნათქვამითაც აიხსნება: თუ ვერ წვდები წარსულს ვიზიონერულ, მაშინ ძალაუნებურად შეგაქვს იქ „ჰავა“ აწმყოსი. 4. მეორე ნახევარი რომანისა იმპრესიონისტურ-ფელეტონისტურად არის გაშლილი, რის გამო თხრობა ჰკარგავს ეპიურ ნელ განფენილობას, ეგზომ აუცილებლს წარსულის გადმოსაცემად. მიუხედავად ამისა, ეს რომანი გაცილებით უფრო უკეთესია, ვიდრე „დიონისეს დიმილი“: ყოველმხრივ.

შევეხოთ ეხლა „დათმობას“. რომანში გამოყვანილია ერთი ფეოდალი, მეფის მოწინააღმდეგე, რომელიც აგრეთვე ეკლესიასაც ებრძვის, რადგან გაწბრილია წარმართობისაკენ — (და ეს მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს!!). მეფეს უნდა თავიდან „მოაცილოს“ იგი, ეკლესიას ჰსურს მოიგოს მისი გული. იმართება შეხლა-შემოხლა. ფეოდალი იძულებული ხდება, ერთხელ „სვეტი ცხოველის“ სასწაულმოქმედ ხატს ეამბოროს, შინაგან „უგულოდ“, რასაკვირველია. რამოდენიმე წუთის შემდეგ იგი კვდება. ხალხს ჰგონია: ხატმა „უწია“ სჯულის უარისმყოფელსო. ხოლო აქ სხვა რამეცაა. ფეოდალის უეცარი სიკვდილი იწვევს ათასგვარ მითქმა-მოთქმას. საქმე იქამდეც მიდის, რომ ხატსაც სინჯავენ. მოჰყავთ ერთი ჯიშიანი ძაღლი, რომელმაც ხატი ენით უნდა ალოკოს. ალოკვის შემდეგ ძაღლიც კვდება წამსვე. ირკვევა: თურმე ერთს აგენტს მეფისა მოუწამლავს ხატი რაღაც სითხით. შინაგანი მიმართება ამ ადგილისა აშკარაა: 1. მეფე „გაბითურებულია“ — რაა ის მეფე, რომელიც მოწინააღმდეგის მოსაცილებლად ასეთს საშუალებას მიმართავს? 2. „გაბითურებულია“ ხატიც — რაა ის სათაყვანო ხატი, რომელსაც ასე ეპყრობიან და ასე იყენებენ? ბოლშევიკები, რასაკვირველია, გაიხარებდნენ, როცა რომანის ამ ადგილს წაიკითხავდნენ. ხოლო ქართველნი? ყოველ ქართველს, ნამდვილ ქართველს, ეს სცენა ისარივით მოხვდებოდა და მოხვდება გულში. შესაძლოა რომელიმე ქართველი მეფე ვერ იდგა თავის მეფურ სიმაღლეზე; ამის მაგალითებსაც ვხედავთ საქართველოს ისტორიაში. ხოლო აქ მალულად, თითქო სუნთქვით, თვითონ „ხელწერების“ იდეაც არის „გაკაწრული“, ის იდეა რომლითაც გამართულია „ცხოვრებაი ქართლისაი“. მაგრამ ეს კიდევ არაფერი; თავი და თავი აქ ხატის შელახვაა. „სვეტი ცხოველი“ საკრალური შუაგულია საქართველოს ისტორიისა და მისი ხატი სიმბოლური სახე ამ შუაგულის. მცხეთის ახლო ერთ გორაკზე, რომელსაც „მოგვთაის“ უხმობდნენ, ძველად მოგვნი მზესა და ცეცხლს თაყვანსა სცემდნენ; მცხეთის გვერდით უგულვებოდათ კარდახუს საფლავი; მცხეთაში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული მეოთხე საუკუნის დამდეგს; აქ გამოსჭრა წმინდა ნინომ ჯვარი, რომელსაც თავის თმები მოახვია: უნივერსალური სიმბოლო მთელს საქრისტიანოში, მცხეთა უძველესი დედა-ქალაქი იყო საქართველოსი; მის

წიაღში განისვენებენ მეფენი და მთავარნი. არ არის შემთხვევითი აშბავი, თუ აქ აგებულ ტაძარს „სვეტი ცხოველი“ დაერქვა; გასაგებია ისიც, რომ ქართველთა განცდაში და შეგნებაში ამ „სვეტის“ გარდამქმნელი ძალა, გასაგნდა“, როგორც სასწაულთმოქმედი ხატი, და აი გამსახურდიას რომანში ეს ხატია შეგინებული. რელიგიური კულტი რომ განზე დავტოვოთ — ეს „შეგინება“ ფსიქოლოგიურად მაინც ქერძაფივით მწველია. ეს არის ერთი მოკლე ეპიზოდი რომანში, გარნა ვიცით: ხშირად ერთს წვეთს საწამლავსა შეუძლია მოსწამლოს მთელი წყარო. აი სადამდე მისულა გამსახურდიას „დათმობა“, იმ გამსახურდიასი, რომელიც ერთს დროს მისტიკოსად და მორწმუნედ სთვლიდა თავის თავს! ამ „დათმობით“ მოსწამლა მან არა მხოლოდ თავისი წიგნი, არამედ თავისი თავიც. საბჭოეთის ატმოსფეროში რომ არ ეცხოვრა, ამ „დათმობას“ იგი არ დაუშვებდა და ვერც დაუშვებდა. თავი და თავი აქ ესაა.

წავიკითხე ახლეთვე პირველი წიგნი მისი ტრილოგიისა სტალინზე (ორი დანარჩენი დაამთავრა თუ არა, არ ვიცი). ეს წიგნი ლიტერატურულად უმნიშვნელოა; მასზე ლაპარაკიც არ ღირს (როგორც გადმომცეს ჩვენმა ტყვეებმა, იგი მმართველ წრეებშიაც ცივად მიუღიათ). აქ მხოლოდ ერთი ფრიად საგულისხმო საკითხი იბადება: როგორ მოხდა, რომ ავტორმა შესძლო მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს მოქმედ არშაკიძის ცხოვრების ასეთუისე მხატვრულად გადმოცემა და ვერ შესძლო იმ კაცის პიროვნების ხელოვნური განსაზიერება, რომელიც აი ეხლა, ჩვენს დროში სცხოვრობს? ეგება „თვალთმაქცობდა“ იგი, როცა ამ წიგნს წერდა! არა. მე დარწმუნებული ვარ: იგი გულით იყო მოწადინებული სწვდომოდა მხატვრულად ალებულ საგანს. ვერ მოახერხა? ეს მხოლოდ იმის გამო, რომ აქ მას, თუმცა „გულწრფელს“, აკლდა „ნამდვილობა“.

მკითხველი შემეკითხება: თქვენ მოიყვანეთ გამსახურდია, როგორც მაგალითი; მაშასადამე თქვენ ჰგულისხმობთ, რომ სხვა მწერალთაც, ზემოთჩამოთვლილთ, ასეთივე მარცხი მოუვიდოდათ; ხოლო მართალია ეს? აიღეთ გიორგი ლეონიძის პოემა სტალინზე! ეს პოემა მოწონებულია ხომ არა მარტო ბოლშევიკთა მიერ! შეკითხვა მართებულია. ეს პოემაც, რომელიც დაუჯილდოებიათ კიდეც, წავიკითხე. „შინაგანი დათმობა“ ამ პოემაშიც სჩანს, ხოლო იგი ოსტატურად არის დაფარული. დააკვირდით: ნამდვილი პოეტური ადგილები ამ პოემისა გვხვდებიან არა იქ, საცა პოეტი სტალინს სახავს, არამედ იმ „გარემოს“ აღწერაში, საცა უკანასკნელი დაიბადა და გაიზარდა: იგი პოეტურად სახულ „გარემოში“ არ არის „სხეობით“ შეზრდილი. მოახდინეთ შემდეგი ცდა: აიღეთ რომელიმე სხვა ისტორიული პიროვნება, თუ გინდ გიორგი სააკაძე, „ჩასვით“ იგი ამ „გარემოში“ — დაინახავთ: პოემა ოდნავადაც არ შეიცვლება. რაც თვითონ სტალინზეა აქ ნათქვამი, პოეტურობის მხრივ უბ-

რალო რეტორიული ბოტბაა და სხვა არაფერი. ნუთუ ეს ვერ შეამჩნიეს? საკვირველია.

ამასთან დაკავშირებით მსურს მეორე მაგალითი მოვიყვანო, უფრო საოცარი, საქართველოს გასაბჭოების თხუთმეტი წლისთავის აღსანიშნავად გამოქვეყნდა ერთი დიდი შაირი, შეძლებული, რიცხვში თუ არ ვცდები, ოთხი პოეტის მიერ. ამაში იყო ერთი პროლეტარული პოეტი, კომუნისტურ წრეებში თვალსაჩინო; დანარჩენები — სახელოვანი პოეტები „თანამგზავრთა“ რიგებიდან, მათ შორის: პაოლო იაშვილი, უკვე ტრაგიკულად დაღუპული, რომელსაც შაირის პოეტურ გამართვაში ძვირად თუ ვიწმე გაეტოლებოდა. რა გამოვიდა მერე? მთელს შაირში ერთი წვეთიც არაა პოეტური: არცერთ სახეში, არცერთს სახსარში, არცერთს ხტილში. ესაა რეტორიული პროზა, მხოლოდ შაირად დასტამბული. „თვალთმაქცობდნენ“ ავტორნი? არა. ისინიც გულით იყვნენ მოწადინებულნი უთუოდ, კარგი რამ შეექმნათ; თუ ვერ შექმნეს, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი შინაგან არ იყვნენ „ნამდვილნი“: ერთი პროლეტარული პოეტი, თავის თვისებაში არგაბზარული, რას შესძლებდა ამ საერთო საქმეში! ეს შაირი ფასდაუდებელი დოკუმენტია საბჭოეთის გეზით გამართული შემოქმედების უძლურებისა და უნაყოფობისა. მიკვირს: ნუთუ ბოლშევიკებმა ვერ შეამჩნიეს ეს? ვფიქრობ, ნათელყოფილია ამ წერილის გამოსავალ მუხლში ნათქვამი: თვითონ ჩამოთვლილ მწერლებს რომ შეეკითხოთ, ისინიც იმასვე იტყვიან, რასაც ამბობს სიმონ ჩიქოვანი; ყოველი მათგანი ამ თქმისას იქნება გულწრფელი, ხოლო არცერთი მათგანი „ნამდვილი“.

ზემოთ ჩამოვთვალე სიმონ ჩიქოვანის წერილში ნახსენები 19 მწერალი (სხვებს — ბოლშევიკებს, ან ჩემთვის სრულიად უცნობთ — აქ არ ვეხები). თვითეული მათგანი თავისებური ტალანტია. მათ შეეძლოთ უთუოდ მწიფობის ხანაში მნიშვნელოვანი რამ მიეცათ ქართული ლიტერატურისათვის. საბჭოთა ატმოსფეროში მათ არ ძალუძთ მისცენ უკანასკნელს მეათედიც იმისა, რისი მიცემაც მათ შეეძლოთ — სწორედ იმ „არანამდვილობის“ გამო. ბოლშევიკებად რომ იქცენ? შემეკითხება მკითხველი. ჯერერთი: მათი ქცევა ბოლშევიკებად ძალიან ძნელი ამბავია. გარდა ორი-სამისა, მე კარგად ვიცნობ მათ: ისინი შინაგან დამთავრებულნი იყვნენ, როცა მე საბჭოეთი მივატოვე. მეორე: ასეთი ქცევა შინაგან გარდატეხას მოითხოვს, რაიც შესაძლოა მხოლოდ თავისუფალ არეში; ბოლშევიზმის არეში კი, საცა ბზოლოდ გარეგანი ძალაა გამეფებული, ასეთი გარდატეხა საეჭვოა. მესამე: კიდეც რომ იქცენ ბოლშევიკებად შინაგან და ამრიგად გახდნენ „ნამდვილნი“, მაშინაც ვერ გამოიღებს მათი ნიჭი ნაყოფს, რადგან ბოლშევიზმი და ხელოვნება ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან. აქ არაა ადგილი ამ საკითხს შევეხო. ვიტყვი მხოლოდ: მთელს საბჭოეთში მე არ მეგულება არცერთი ნაწარმოები,

რომელიც არსებითად ბოლშევიკური იყოს და იმავე დროს ხელოვნური. თუ რამ თვალსაჩინო შეიქმნა საბჭოეთში ამ მხრით, ეს მხოლოდდაპოლოდ ოსტატური „გვერდის ავლით“ ბოლშევიზმისა. მაგალითების ჰოყვანა ზედმეტია.

დასასრულ ერთი შენიშვნა. ომის დროს, სიმონ ჩიქოვანის მოწმობით, დავით აღმაშენებლის სახელიც მიუჩნევიათ ბოლშევიკებს სადიდებლად. ჩიქოვანი და ძმანი მისნი უნდა ჩაუკვირდნენ ამ „მიჩნევას“. მათ კარგად იციან, რომ ორი-სამი წლის წინათ დავით აღმაშენებლის დიდებით ხსენება საკმარისი იყო, რომ მადიდებელი წამსვე მიეხვრიტათ. ბოლშევიზმის თვალსაზრისით ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან დავით აღმაშენებელის პიროვნება ძირიან-ფესვიანად ამოძგდებია ბოლშევიზმისა. დავით აღმაშენებელი არის დიდი კარდჰეს მიერ დგინებული გეზით მხმელი (მოქმედი); დავით აღმაშენებელი არის გამფენელი და მტკიცებელი ლაშარის თუ თეთრი გიორგის სხივოსნობისა; დავით აღმაშენებელი არის რაინდი და მცველი ვაზის ჯვარისა; დავით აღმაშენებელი არის მატარებელი საქართველოს „ხელწიფებისა“ ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობით; დავით აღმაშენებელი რეალური სიმბოლო არის საქართველოს „თავის-უფლებისა“, მისი თავის-თავადობისა. საკმაოა დავით აღმაშენებლის ფენომენი შეიჭრას თავის ქმედითი ძალით გასაბჭოებულ საქართველოში, რომ იქ ნიშანწყალიც არ დარჩეს საბჭოეთისა. ვიმეორებ: ჩიქოვანი და ძმანი მისნი უნდა ჩაუკვირდნენ: რად დასჭირდათ ბოლშევიკებს ომის დროს დავით აღმაშენებელის სახელის სადიდებლად მიჩნევა? საკმარისია ეს შეკითხვა საჯაროდ გამოთქვან მათ, რომ შემკითხველნი: ჩიქოვანი და ძმანი მათნი მარტოდმარტო ამ შეკითხვისათვის იმ სოფელს გაისტუმრონ.

ჩაუკვირდნენ ამას და შინაგან მისცენ თავის თავს გულწრფელი, ხოლო თანვე „ნამდვილი“ პასუხია მხოლოდ მაშინ ექნება მათს სიტყვას ფასი.

## რას ნიშნავს ქართული შურისძიება

დიდი დარბაზი სავსეა ქართველი და გერმანელი მებრძოლებით, მაგიდას შემოსხდომიან და სხვადასხვა საინტერესო თემებზე საუბრობენ. სუფრა ქართული სიუხვით არის შემკული, ღვინოც ბევრია, ამიტომ ქართული წესით უნდა შეისვას იგი.

მებრძოლთა გაბრწყინებული თვალები შემოსასვლელი კარებისაკენ არის მიპყრობილი. ელიან თავიანთ მეთაურებს, რომლებიც ჭირში და ლხინში მათთან არიან, ერთად მხიარულობენ და ერთად იბრძვიან.

დარბაზში ორი ახოვანი ახალგაზრდა ოფიცერი შემოვიდა. ისინი

შეჰედულებით და ხარისხით ტოლნი არიან. მათ ვერ გაარჩევთ ერთმანეთისაგან, ვერ იტყვით — რომელია გერმანელი და რომელი ქართველი.

მისალმების შემდეგ ადგილები დაიკავეს. ქართველმა ოფიცერმა ქართული წესით გაჰსნა მეგობრული საღამო. აბობენ ტრადიციულ სადღეგრძელოებს და სვამენ ჩვენებური პათოსით. მხიარულობენ ქართველი მოხალისეები, ცეკვავენ და მღერიან მრავალტანჯულ, მაგრამ მაინც კეცლეც საბრძოლოზე. ერთმანეთს ადღეგრძელებენ და უსურვებენ საყვარელი მშობლების ახლო გომავალში ნახვას.

ღვინებ კარი გაიღო. ახალგაზრდა მოხალისე კ. მ-ძე მუზარადითა და თოფით ვეფხვივით შემოიჭრა დარბაზში, მსედრული სალამი მისცა და ქართველ ოფიცერს მოახსენა:

— შტაბიდან გამოჰგზავნეს. ასეული საბრძოლო მდგომარეობაში ეხლავე უნდა გამოცხადდეს ათასეულის მეთაურთან, იგი სოფლის გასასვლელთან, პატარა ხიდთან გელოდებათ.

— გადაეცით, ეხლავე მოვდივართ!

ქართველ მოხალისეებს არცკი დასჭირდათ მათი საყვარელი მეთაურის თქმა. თვალისდახამხამებაზე დაიცალა დარბაზი. რამოდენიმე წუთი და ასეული უკვე საბრძოლო მდგომარეობაშია. თავაღებულნი მიემართებიან ნაბრძანებ ადგილისაკენ, წინ კი მათი საყვარელი ოფიცრები მიუძღვით... ისინი ორივე ერთად გამოცხადდნენ ათასეულის მეთაურთან და მოახსენეს:

— ბატონო მაიორო! ბრძანების თანახმად, ასეული მთელი შემადგენლობით თქვენს განკარგულებაშია.

— ძალიან კარგი, ჩვენო მეგობრებო! საქმე შემდეგშია: როგორც დაზვერვამ გაღმოგვცა, ბანდიტთა ჯგუფები ჩვენს ნაწილზე აპირებენ თავდასხმას. მათი ამოცანაა, ღამით მოიტაცონ იერიში. გიბრძანებთ: დაიკავოთ ხიდი და ორი სასოფლო გზა, მტრის მოახლოების შემთხვევაში შეტევაზე გადაბვიდეთ და გაანადგუროთ იგი!

— არის, ბატონო მაიორო! — გაიმეორა ბრძანება ქართველმა ოფიცერმა და დანაყოფში დაბრუნდა. მან მაშინვე შეჰკრიბა ოცეთაურები, დაანაწილა ასეული. ხოლო თვითონ მეგობარ გერმანელ ოფიცერთან ერთად სამეთაურო პუნქტი დაიკავა.

*

ბნელი ღამის სამარისებურ სიჩუმეს ბანდიტთა ფეხისხმა არღვევს. მოდიან შავი ზრახვებით, მაგრამ არ იციან, ვინ დაუხვდებათ წინ. სწორეთ ხიდთან წააწყდნენ ისინი ქართველ მოხალისეთა პირველ წინააღმდეგობას. მათი რიცხვი არც ისე ბევრია — მხოლოდ ერთი მიმართულებით მოდიან.

ქართველმა ოფიცერმა პირველ და მეორე ოცეულს უბრძანა, ნახევარრკალად წინ წაწეულიყვნენ და მტერი გარემოცვაში მოექციათ. ასეც მოხდა. მოწინააღმდეგე ჩაკეტილი აღმოჩნდა. მრავალჯერ სცადეს თავი დაელწიათ რკინის რკალიდან, მაგრამ ამაოდ. ბედს შეურიგდნენ და მიწაზე გაერთხნენ.

ღამის სიბნელეში კანტიკუნტად ისმოდა სროლის ხმა...

ინათა. უკვე ყველაფერი ნათელია. მათს უილაჯობას მალე მოეღება ბოლო. ბანდიტებმა უკანასკნელად კიდევ გაიბრძოლეს, ერთ მხარეზე მძლავრი იერიში მიიტანეს, მაგრამ საპასუხოდ ქართველი მოხალისეების რისხვა დაატყდათ თავზე.

ისინი განადგურდნენ. ბრძოლის ველზე მრავალი მკვდარი და დაჭრილი დასტოვეს. უმნიშვნელო ნაწილი ტყეებში იქნა წამოყვანილი.

ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლაში სიმამაცის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნენ ორივე ოფიცერი, გერმანელი ფელდფებელი ვ. შ–ნი, მოხ. ი. ი–ძე, მოხ. გ. ჭ–ძე და მოხ. ვ. ა–ნი.

მოხ. კახი

## მოხალისეთა კონცერტი პოტსდამში

13 დეკემბერს პოტსდამის საკონცერტო დარბაზში მოეწყო ჯარისკაცთა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთის სხვადასხვა ერთა მოხალისეებმა.

საღამოზე წარმოდგენილი იყო ქართველ, აზერბაიჯანელ, სომეხ, თათარ და თურქესტანელ მოხალისეთა თვითმოქმედებითი გუნდები და ორკესტრი.

კონცერტს დაესწრნენ გერმანული უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები და სტუმრები.

საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა სტუმრებზე. აუდიტორია განსაკუთრებით გულთბილად შეხვდა ქართველი მოხალისეების გუნდს.

ქართულმა გუნდმა შეასრულა შემდეგი სიმღერები: „სამშობლო“, „თამარ ქალი“, „შევსვათ ხელადით ღვინო“ და კახური საცეკვაო.

დასასრულ, სტუმრებმა დაათვალიერეს მოხალისეთა გამოფენა. ოსტატურად შესრულებულმა მხატვრულმა ნიმუშებმა საერთო მოწონება გამოიწვია.

მოხ. დ. ხ.

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 51 (128) გამოც. მე-3 წელი. ბერლინი, 25 დეკემბერი, 1944 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

# გულო ნადარაია

## ქართველი გმირის პროფილი

ავსტრიის პატარა საკურორტო დაბა...

აპრილის მზის სუსტი სხივები ხის კენწეროებს ეთამაშება. მთის ფერდობს, რომელზედაც კურორტია გაშენებული, აქოჩრილი ნაძვნარი შეჰფენია. სარკესავით მოცრიალებული გზატკეცილი თანდათან ტევრში იკარგება. რაღაც შეუცნობი იდუმალება სუფევს ყველგან, ხეთა შრიალიც კი თავისებურია აქ. ხანგამოშვებით ტყის სილრმიდან შაშვი ჰახჰახებს და სადღაც, შორით მისივე ხმის გამოძახილი მეორდება...

მთავარ საკურორტო შენობაში დავბინავდით. რა სანუკვარი გარემოა! მთის ნიავი, ჩვენს, მშობლიურ ნიავს ასე საოცრად რომ წააგავს, შენობის წინ დარგული ვერხვის ფოთლებს ამარიმურებს... თითქოს ჩვენი ქვეყნის სითბოს ვგრძნობდეთ, ყურის ბიბილოებს რომ ელამუნება...

კურორტში ქართველ მოხალისეთა ჯგუფი ცხოვრობს, ჩვენ, ახალმოსულნი, მათს რიცხვს მივემატეთ. საუცხოო ბინებში მოგვათავსეს. ერთმანეთს ვუზიარებთ პირველ შთაბეჭდილებას... სულ მცირეხანია რუსულ ჯოჯოხეთს თავი დავაღწიეთ... პირველად ამოვისუნთქეთ ასე ღრმად, ასე ნეტარებით, დიახ, დამთავრდა ჩვენი ცხოვრების შავბნელი ფაზა, როდესაც ძალდატანებით, სიკვდილის შიშით, ჩვენი მოსისხლე მტრების სასარგებლოდ უნდა გვებრძოლა. ამიერიდან იწყება მეორე, სასიხარულო ფაზა. უკვე შეგვიძლია შური ვიძიოთ ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის, ჩვენი სინდისისა და თავმოყვარეობის გამთახსირებლების წინააღმდეგ... ქართველი მოხალისეების სახეზე კმაყოფილების ღიმილი კრთის. რა ბედნიერებაა, იბრძოლო იმ მიზნისათვის, რომლის მისაღწევად ზღვა სისხლი დაღვარეს ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა...

ოთახში შემოდის შავგვრემანი, ქოჩორა ახალგაზრდა, შავი პატარა ულვაშებით და არწივისებური გამოხედვით.

— გამარჯობათ, ბიჭებო, ქართველები ხართ? — გვეკითხება იგი და თვითეულ ჩვენგანს მაგრად ხელს ართმევს. ახალმოსული წუნარად, დალაგებით და მიმზიდველად გვესაუბრება. მისი ლაპარაკი განსაკუთრე-

ბულ სიმპათიას იწვევს. პირველივე საუბრით მან ჩვენი მეგობრული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ეს იყო გულო ნადარაია, ქართველი ჭაბუკი, რომელმაც შემდეგში, გერმანული ჯარის რიგებში ყოფნის დროს, საარაყო საქმეები ჩაიდინა და ჯვირის სახელი დაიმსახურა. პირველ გაცნობას მეტი დაახლოება მოჰყვა. გულო საოცარი მოყვარული გამოდგა მეგობრებისა. იგი გატაცებული იყო ქართველი ახალგაზრდების დაჯგუფებით, რამაც ჩვენი პატარა ჯგუფი გაუტეხავ საბრძოლო ერთეულად შეაკავშირა.

გულო განსაკუთრებით გერმანელ მეთაურებს უყვარდათ. მის სახელს თვითეული ჯარისკაცი კარგად იცნობდა. ნიჭიერმა და გონებით აღსავსე ახალგაზრდამ სულ რაღაც ხანი თვის განმავლობაში შეითვისა გერმანული ენა. იგი, როგორც პირველი მერცხალი ქართული ჯარისა, კავკასიის ფრონტზე უკვე თავისუფლად ლაპარაკობდა გერმანულს. გულოს იმდენად ძნგარიშს უწევდნენ გერმანელი ოფიცრები, რომ საბრძოლო ამოცანის განხილვის დროს ყოველთვის მისგან ღებულობდნენ რჩევა-დარიგებებს.

## საბრძოლო გამოცდა

როსტოვის ფრონტის გარღვევის შემდეგ, ჩვენი ასეული წინ მიიწევდა ყუბანის ტრამალებისაკენ.

ვუახლოვდებით მდინარე ყუბანს. ამოცანაა მოცემული: ყუბანის ხიდის აღება აუფეთქებლად. ეს საპატიო საქმე დაეკისრა ჩვენს ნაწილს, რომელიც სპეციალურ დავალებათა შემსრულებელსა და მოიერიშე ასეულს წარმოადგენდა.

ნაბეჭდი ასეული წითელარმიელთა ფორმაშია გამოწყობილი. გერმანელ მებრძოლებს ოთხი მანქანა აუვსიათ, ყველას წითლების ტანსაცმელი აცვია. გერმანელთა შორის ქართველი მოხალისეებიც არიან. გულო ამ საქმის მეთაურია, იგი უფროსი ლეიტენანტის ფორმაშია და რაზმეულს წინ მიუძღვის.

თენდება. ვუახლოვდებით მდინარე ყუბანს. მდინარიდან 3—4 კილომეტრის დაშორებით წითლების თავდაცვაა გაშლილი. წითელარმიელები სანგრებში ჩამალულან. ქვეშეხებს პირი გზისკენ აქვთ მიმართული.

— შესდექ! — შესძახა რუსმა პოლკოვნიკმა და გულოს მანქანა შეაჩერა. გულო გადმოდის და საბჭოდრო სალმის გაცემის შემდეგ მოახსენებს მას მოტორიზებული ნაწილის დაღუპვისა და გერმანელთა ტანკებისაგან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. იგი ამასთანავე დასძენს — ნება მომეცით თავდაცვა მდინარის გაღმა დავიკავოთო. გულოს

ლაპარაკმა გასჭრა. პოლკოვნიკმა მოხსნა ნაწილები მდინარის გაღმა თავდაცვის დასაკავებლად.

ხუთი წუთი და ჩვენ უკვე ხიდთან ვართ. ერთი ავტომანქანა მდინარის გაღმა გავიდა, სამი კი გამოღმა შეჩერდა. მივიღეთ საბრძოლო განლაგება და მყისვე ცეცხლი გავუხსენით ხიდის დამცველებს.

ხიდის აღება ადვილად მოხერხდა. ნაღმები გამოვიცვალეთ და გზა გავათავისუფლეთ. საათნახევრის შემდეგ ჩვენი ტანკები მოვიდნენ მათ უვნებლად მიაღწიეს მდინარის მეორე ნაპირს და გზადაგზა ბოლშევიკების დამფრთხალ ნარჩენებს ერეკებოდნენ.

## დაზვერვაზე

გულო ახალ დავალებას ღებულობს — უნდა გამოარკვიოს მტრის ჯარების უკან დახევა და მათი რაოდენობა. იგი დაზვერვის მეთაურია. საღამო ხანს, წითელარმიელთა ფორმაში გადაცმული ჯგუფი მიემართება მტრის ზურგისაკენ. მინდვრების შემდეგ ტყე იწყება. ტყეში უწესრიგოდ არიან გაბნეული წითელარმიელები.

ტევრს შევერიეთ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე შუაღამეა, წითლების ჯარისკაცები, გერმანელთა შიშით, მაინც უკან გარბიან. გამოველაპარაკეთ წითელარმიელებს. გულომ დაწვრილებით გამოჰკითხა მათ — სად არის დივიზია, სად აპირებენ თავდაცვის მოწყობას, რა შეიარაღება აქვთ და სხვ. იგი თან მისდევდა უკანდახეულ წითლებს და ამავე დროს ჩვენგან თითო კაცს ჰგზავნიდა სარდლობასთან ძვირფასი ცნობებითურთ. ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული.

გულოს შევხვდით მესამე დღეს, იგი სიცილით შემოგვეგება და ყველა ქართველი მბურვალედ გადაგვკოცნა. ასეთი დაზვერვები გულო ნადარაიამ მრავალჯერ ჩაატარა და ყოფელთვის ამოცანას წარმატებით ასრულებდა.

## პირველი ჯილდო

ამ ოპერაციის შემდეგ ყუბანის ერთ-ერთ სოფელში ვისვენებთ. ზაფხულის დღეა. ქართველი ბიჭები სასაუბროდ ვიკრიბებით. ასეულში რვა ქართველი ვართ, ამიტომ უფრო მტკიცედ შევმჭიდროვდით და უერთმანეთოდ ჩვენს ყოფნას არავითარი აზრი არა აქვს.

მშვენიერი დილაა. მორიგე აწყობს ასეულს. მოდის მაიორი, გვესალმება და კითხულობს დაჯილდოებულთა სიას.

პირველი ჯილდო გულოს ეკუთვნის. მას მაიორი მკერდზე უკეთებს

გერმანულ მეორე ხარისხის რკინის ჯვარს და ხელს მაგრად ართმევს. შთელი ასეული სიხარულით ფეხზე აღარ სდგას. ჩვენ, ქართველები, ვეხვევით სახელოვან თანამებრძოლს და ვუსურვებთ უფრო მეტ წარმატებას.

### ხელჩართულ ბრძოლებში

გულო, როგორც ყოველთვის, იერიშზე გადასვლის დროსაც იშვიათ ვაჟკაცობას იჩენდა. კავკასიის ტყიან მთებში ხეებს შუა წინ მიძვრებოდა, იძლეოდა ნიშნებს და ასმეთაურიც იმგვარადვე მოქმედებდა. შმაგი იყო შეტევის დროს, მტერს არ აცლიდა საპასუხო სროლას, გრიგალისებურ ცეცხლს უხსნიდა ავტომატიდან. ხელჩართულ ბრძოლებში ხომ ცალი არ ჰყავდა, ისე დაერეოდა ხოლმე რუსებს, როგორც ქართული არაკების ზღაპრული გმირი. ასეთი სიმამაცისათვის მან მიიღო საიერიშო ნიშანი, რომელიც რკინის ჯვართან ერთად, მკერდს უმშვენებდა სახელოვან ქართველ მებრძოლს.

### ორი საშიში დავალება

მტერს მაღალ მთაზე სტრატეგიული პუნქტი ეკავა, რომელიც ორი სოფლისათვის მიუსვლელს წარმოადგენდა. ქვეითმა ათასეულმა ოთხჯერ სცადა მისი აღება, მაგრამ ოთხჯერვე უშედეგოდ დაბრუნდა დიდი დანაკარგებით. ბოლოს ჯერი ჩვენზე დადგა. ამოცანა მოგვეცა, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, აგვეღო სიმაღლე. დავალების მთელი სიმძიმე გულოს დაეწვა. მან შეჰკრიბა მოხალისეთაგან 15 კაცი, ჩააცვა ყველას წითელარმიელის ფორმა და გაუძღვა ასეულს. თვითონ წითლების ლეიტენანტის ტანსაცმელში, ავტომატითა და დამბაჩით ხელში მიდიოდა წინ.

საგუშაგოებს რომ მიუახლოვდა, თამამად მივიდა მათთან და იკითხა ასეულის განლაგება, შემდეგ კი ტყვიის გაუსროლელად ააწევინა ხელები წითელარმიელებს. ისინი სულ ხუთნი იყვნენ. მეორე საგუშაგო უფრო ახლო აღმოჩნდა ასეულის განლაგებასთან. გულომ ამ საგუშაგოს დამცველებსაც აჰყარა იარაღი და გაბედულად გასწია ასეულის განლაგების ადგილისაკენ. ასე მიუახლოვდა ჩვენი ასეული მტრის თავდაცვის ხაზს. სულ რაღაც 50 მეტრიღა იყო დარჩენილი, ჩვენმა ნაწილმა მოულოდნელად თავზარდამცემი ცეცხლი გაუხსნა მტერს. ქართველი მოხალისეების სიმამაცის შედეგად განადგურებულ იქნა მოწინააღმდეგის მეტყვიამფრქვეველთა ორი ასეული. ცოცხლად გადარჩენილნი, გულოს ბრძანებით, ტყვედ წამოვიყვანეთ.

მეორე შემთხვევა უფრო საინტერესო და დამახსიათებელია. ტყვეების გადმოცემით, მტერს დანაღმული ჰქონდა ორი გვირაბი, რომლებიც მოწინააღმდეგის ზურგში, 8—10 კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდნენ. ამოცანა იყო ჩვენი შეტევის დროს გვირაბების აუფეთქებლად დატოვება.

ამ ამოცანის შესრულებაც გულომ იკისრა. ორი ქართველი მოხალისისა და ორი გერმანელის თანხლებით, წითელარმიელთა ტანისამოსში გამოწყობილი გულო ნამუადლევს გაემართა თავდაცვის ხაზს იქით. თვითონ მას კვლავ უფროსი ლეიტენანტის ფორმა ეცვა და, როგორც ამოცანის მთავარი შემსრულებელი, წინ მიგვიძღვებოდა. გზაში გვხვდებოდნენ პატრულები და წითლების დაზვერვა, მაგრამ გულო თავის თანამებრძოლებთან ერთად მაინც უშიშრად წინ, გვირაბებისაკენ მიემართებოდა:

ინათა. შორს, ცის ტატნობს ვარდისფერი გადაეკრა, ბორცვებზე ჩამოწოლილი ბურუსი თანდათან შეთხელდა. მეგობრებმა მოსძებნეს შემაერთებელი მავთულები და გადასჭრეს მრავალ ადგილას. უკვე კარგად გათენდა. ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი გახსნა. გულო მოვიდა გამარჯვებული და შეტევაც დაიწყო. გვირაბები ხელუხლებელი აღმოჩნდა და ნიშნად დაფასებისა, პოლკოვნიკმა გულოს ქართველი გმირი უწოდა.

## გულოს სიკვდილი და პირველი ხარისხის რკინისჯვრით დაჯილდოება

შებინდდა. სალამოს სუსხი იგრძნობოდა. დაისის სილამაზით გატაცებული ქართველი მოხალისენი სტკბებოდნენ ღრისა და ღამის გაყრის სურათით.

შრძანება. ოცეული უნდა წავიდეს მორიგი ამოცანის შესასრულებლად. მისი განხორციელება უშუალოდ გულოს აქვს დავალებული. ზუთმა კაცმა, კვლავ წითლების ფორმაში, უნდა აიღოს ათასეულის სადაზვერვო პუნქტი. ამ საქმეში ქართველებს დახმარებას გაუწევს გერმანული ოცეული.

ღამით ფრონტის ხაზთან დაბინავდნენ და განთიადისას შეიჭრნენ სადაზვერვო პუნქტში. პუნქტი ადვილად იქნა აღებული. ათასეულის მეთაური — მაიორი ფაიქცა.

გულომ სწრაფად მოიხადა წითელარმიელის თავსარქმელი, დაიხურა გერმანული სამხრო ქუდი, რათა ამით ენიშნებინა თავისიანებისათვის — არ ესროლათ.

ამ დროს იგი ერთ-ერთმა წითელარმიელმა შეამჩნია და პირდაპირი დამიზნებით ყელში მოარტყა ტყვია.

— დედავ, სამშობლოვ, ვაი... — მოაწყრო მხოლოდ ორიოდე სიტყვის წარმოთქმა და საქართველოს მხურვალე პატრიოტი მოჭრილ ხესავით მიწაზე დაეცა.

ქართველი გმირის სიკვდილი პოლკისა და ათასეულის მეთაურებმა სამშინელ დანაკლისად ჩათვალეს მთელი დივიზიისათვის. გულოს დაკარგვით პირველ რიგში უზომო ზარალი განიცადა თვითონ ქართველმა ხალხმა და მისმა აწლო მეგობრებმა, რომლებიც ყოველ წუთს, ყოველ წამს მის გვერდით იყვნენ და ჭირში თუ ლხინში ერთი არსების ცხოვრებით სულდგმულობდნენ...

ასეულის მეთაურმა გულოს საფლავზე მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა.

ჩვენ, მის თანამებრძოლებსა და თანამემამულეებს, პირველად მთელი ჩვენი ბრძოლების განმავლობაში, თვალზე ცრემლი მოგვადგა და გული აგვიჩქროლდა.

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...
სადაურსა სად წაიყვან,
სად აღუფხვრი სადით ძირსა“ —

წარმოსთქვა ერთმა ჩვენგანმა გენიალური შოთას ბრძნული სიტყვები, რომელიც სწორედ გულოზე იყო ზედგამოჭრილი. მგზნებარე პატრიოტისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაუდგრომელი მებრძოლის გაციებული გვამი უცბო მიწამ, რუსეთის ტრამალებმა მიიბარეს.

მეორე დღეს ასეულის წყობილების წინაშე გამოცხადებულ იქნა გულოს დაჯილდოების შესახებ პირველი ხარისხის რკინისჯვრით. სამწუხაროდ, თვითონ იგი ვერ ელირსა ამ უმაღლესი ჯილდოს მიღებას...

გულოს გმირობა, თავდადება და მამულის გულმხურვალე სიყვარული სამაგალითო უნდა იყოს სამშობლოს განსათავისუფლებლად მებრძოლი ქართველი ჯარისკაცობისათვის...

მოხ. შ. გ-ძე,

გაზ. „საქართველოს“ საკუთარი კორესპონდენტი
ქართულ ლეგიონში.

## გაზეთი „საქართველოს“ საშობაო საჩუქარი ქართველ მოხალისეებს

ჩვენი გაზეთის რედაქციამ ქართველ მოხალისეებს მიუძღვნა საშობაო საჩუქარი, რომელსაც ქართულ ნაწილებში დიდი ხანია მოუთმენლად

ელიან. ეს არის ბანი ახჩილ მეტრეველის მიერ შედგენილი „გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ჯარისკაცის ლექსიკონი". წიგნი განკუთვნილია ქართველი მოხალისეთათვის გერმანული ენის შესასწავლად, იგი საგრძნობ დახმარებას გაუწევს გერმანელ ჯარისკაცსაც ქართულის შეთვისების საქმეში.

ლექსიკონის თვითეული ნაწილი შეიცავს დაახლოებით 3.000 სიტყვას. უპირატესად სამხედრო ტერმინებსა და გამოთქმებს. გარდა ამისა, წიგნში შეტანილია ყველა მთავარი სიტყვები, რომელნიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდებიან. ლექსიკონი შედგენილია იმავე პრინციპით, რაც საფუძვლად უდევს გერმანულ-უცხოური ლექსიკონების ცნობილ სერიას. წიგნი შეიცავს 298 გვერდს, გამოცემულია სუფთად და ლამაზად.

## მოხალისეების ნამუშევარი გერმანელ ბავშვებს

ზემოსილეზიის ერთ-ერთ სამხედრო ლაზარეთში მყოფი აღმოსავლეთის დაჭრილი და ავადმყოფი მოხალისეები ამზადებენ სამობაო საჩუქრებს გერმანელი ბავშვებისათვის, განსაკუთრებით კი იმ ბავშვებისათვის, რომელთა ოჯახებიც დაზარალდნენ მტრის ტერორისტული თავდასხმებით. სამი კვირის განმავლობაში, ყოველგვარი ხელსაწყოების გარეშე, მხოლოდ ჯიბის დანის დახმარებით, ხელოსანმა მოხალისეებმა დაამზადეს მრავალი სხვადასხვა სახის საბავშვო სათამაშო. სათამაშოებმა დიდი მოწონება ჰპოვეს ლაზარეთის მოსამსახურეთა შორის.

დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა ჯგუფის ეს მისასალმებელი წამოწყება განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს ყველა მოხალისეში. იგი წარმოადგენს მოხალისეთა მადლობის გრძნობის საუკეთესო გამოხატულებას გერმანიის მიმართ.

21 დეკემბერს, ქ. ბერლინში შედგა ბერლინის სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და აღმოსავლეთის მოხალისეთა დივიზიონის დელეგაციის წევრების შეხვედრა. დაბომბვით დაზარალებულ ბერლინელ ბავშვებს მოხალისეებმა გადასცეს მათ მიერ დამზადებული სათამაშოები. შეხვედრა ჩატარდა მეგობრულ ატმოსფეროში და სტუმრებზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა.

# შობისთვის მზადება მოხალისეთა ლაზარეთში

ცაცხოველებული მზადება სწარმოებს შობის დღესასწაულის შესახვედრად მოხალისეთა ინტერნაციონალურ ლაზარეთში, რომელიც სილეზიის ერთ-ერთ სამრეწველო ქალაქში იმყოფება. პარტიამ და სამხედრო უწყების სათანადო დაწესებულებებმა განსაკუთრებული დაბმარება გაუწიეს ამ ლაზარეთს, რათა სამშობლოსმოწყვეტილი მოხალისეები ქრისტეს შობას ყოველმხრივ უზრუნველყოფილი შეხვდნენ. საშობაო დღესასწაულს გეგმა უკვე დაზუსტებულია. ლაზარეთს ჰყავს საგანგებოდგამოკვებილი ორი დედაღორი, მათი მწვადი დაამშვენებს მოხალისეთა საშობაო სუფრას. ლაზარეთმა მიიღო სპეციალური სადღესასწაულო ამანათები, რომელიც მას ქალთა ნაციონალ-სოციალისტურმა ორგანიზაციამ გამოუგზავნა. ფურნელში გამოცხვება საშობაო ნაზუქები, ქადები და სხვა სახის ნამცხვრები. შობის დღეს გაიცემა მრავალნაირი ტკბილეულობა და სასმელები.

მიღებულ იქნა მოხალისეთა დასასაჩუქრებლად წიგნები სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ქართული გამოცემებიც, ყველა სახის მუსიკალური ინსტრუმენტი, ალმოსავლური ფირფიტები, სათამაშოები, გასართობები... საჩუქრები უხვია და მრავალფეროვანი. საშობაო ნაძვისხის სანთლების მოკიაფე შუქზე, ყველა ამ საჩუქარს უფრო მეტი ელფერი მიეცემა და სიხარულით აღავსებს მოხალისეთა გულებს.

დღესასწაული მოეწყობა თვითეულ სართულში ცალცალკე. ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები და ალმოსავლეთის სხვა მოხალისეები ერთად ჩაატარებენ ზეიმს; ესტონელები, ლიტველები და ლატვიელები შეაღგენენ ცალკე საზოგადოებას, მათ შეუერთდებიან ბერძენი ფრანგები და იტალიელები. გარდა ამისა, დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს ერთი არაბი მოხალისეც. ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია გერმანელ მომლერალთა ბავშვთა გუნდი, რომელთა წკრიალა ხმა მოაგონებს მოხალისეებს სახლში დატოვებულ და-ძმებს.

სულ რამდენიმე დღე გვაშორებს ამ უდიდეს საერწმუნოებრივ დღესასწაულს. მას ყველა ქრისტიანი ერი ერთნაირად ატარებს და გერმანიაშიც იგი ისეთივე ვრანდიოზული ზეიმით აღინიშნება, როგორც, მაგალითად, საქართველოში აღინიშნებოდა. ჩვენს მოხალისეებს უკვე საშუალება ჰქონდათ ჯერ კიდევ ფრონტზე ყოფნისას ეღდესასწაულათ შობა. ყველა ქვეყნის მოხალისეები, რომლებიც ეხლა ლაზარეთში იმყოფებიან გერმანიის მიწაზე, როდესაც მათ თავიანთი მსხვერპლი გაიღეს საკუთარი სამშობლოსა და საკაცობრიო საქმისათვის, უფრო მეტად იგრძნობენ, როგორ ზრუნავს მათთვის დიდი გერმანია და მთელი გერმანელი ხალხი.

სამხედრო კორესპონდენტი
ლეიტ. ვერნერ ლ. ვიტკოფი

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 1 (129) გამოც. მე-4 წელი. ბერლინი, 1 იანვარი, 1945 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## ქართველი მებრძოლი ახალგაზრდობისადმი

ამ საბედისწერო წუთებში, როდესაც წყდება ევროპისა და ჩვენი სამშობლოს ბედიღბალი, ქართული საკავშირო შტაბი მხურვალე პატრიოტულ სალამს უძღვნის საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ, თაქდადებულ ქართველ მოხალისე ახალგაზრდობას!

გასული, 1944 წელი ჩვენი მებრძოლი თაობის გმირობისა და სიმამაცის მაგალითებით აღიბეჭდა. პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობით, ჩვენი ახალგაზრდობა თავიდანვე გაჰსაკუთრებული ენთუზიაზმით ჩაება ბრძოლის ქარცეცხლში. ახალი ევროპისათვის ბრძოლაში ჩვენი მოხალისე ახალგაზრდობა, მეგობარი გერმანელი ჯარისკაცის მხარდამხარ, საკუთარი მკერდით იცავდა კაცობრიობის კულტურასა და ცივილიზაციას. თქვენი ბრძოლა, თქვენი სისხლი უკვალოდ არ ჩაიკარგა. საყვარელი სამშობლოს ბედი სწყდება სწორედ აქ, ევროპის თვალუწვდენელ სივრცეზე, საქართველოს თავისუფლება ევროპის ბედიღბალზეა დამოკიდებული! ახალი ევროპა, რომელიც იბადება ზღვა სისხლის გალუბით, ღირსეულ ადგილს მიუჩენს მათ, ვინც აქტიურად მონაწილეობდა მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ახალი წლის დაბეგომა ძლევამოსილმა გერმანულმა არმიამ დიდი შეტევის დაწყებით აღნიშნა. დაჰკრა საათმა. როდესაც ჩვენი მებრძოლი ძალები კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაეშვებიან საკუთარი სამშობლოს გამოსახსნელად ბოლშევიკური კლანჭებისაგან.

მრომავალი ჩვენ გვეკუთვნის! გერმანიის შემტევი ძალა კვლავ აქტიურად იჩენს თავს და ამ ძალის შეჩერება უკვე აღარაფერს შეუძლია! ახალმა 1945 წელმა უნდა მოგვიტანოს ძირითადი შემობრუნება ყველა ფრონტზე.

თქვენი ბრძოლა თავისი განვითარების უმაღლეს ფაზაში შევიდა. ქართული ნაწილები საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ, როგორც მტკიცე შეკრული და ერთვნულად ჩამოქნილი ერთეულები. თქვენ ახლა ყველაგან საკუთარი ქართველი ოფიცრები და უნტეროფიცრები გყავთ, საკუთარი მზრუნველი სამხედრო ცენტრი და თქვენი ეროვნული დროშა, რომელსაც მუდმივად მარჯვენა მკლავზე ატარებთ, აგვირგვინებს თქვენს

ნაციონალურ საბეს. თქვენ წარმოადგენთ საბელოვან ქართველ მოხალისეებს რომელნიც უშუალოდ გერმანული არმიის რიგებში იბრძვიან საკუთარი ოჯახების, ჩამცრალი კერის აღსადგენად, ახლობელთა გამოსახსნელად ბოლშევიკური ტყვეობისაგან. თქვენ წარმოადგენთ თქვენი ხალხის ნამდვილ რევოლუციონერებს, რომელნიც აღსდექით ქართველი ერის უფლებათა მოსაპოვებლად!

ქართული საკავშირო შტაბი რომელიც წარმოადგენს ყველა ქართველი მებრძოლი ძალის გამაერთიანებელ და ხელმძღვანელ ცენტრს, ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით გისურვებთ სრულ წარმატებას თქვენს მიერ წარმოებულ ბრძოლაში და მთელი ქართველი ხალხის საუკეთესო სურვილის — სამშობლოს განთავისუფლების — რაც შეიძლება მალე განხორციელებას.

ქართული საკავშირო შტაბი

## „საქართველოს“ რედაქციას

მიიღეთ ჩემი ბარათი „მადლი ქართული მიწისა“, როგორც მცირე საახალწლო საჩუქარი. ნუ მოიგაკლოთ გამჩენმა ეს მადლი. ამასვე ვუსურვებ ნათელი გულით თქვენს მკითხველებს.

**გრიგოლ რობაქიძე**

**რედაქციის შენიშვნა:** ტექნიკური მიზეზების გამო, რედაქცია იძულებულია ბ-ნი გრიგოლ რობაქიძის წერილი: „მადლი ქართული მიწისა“ მოათავსოს მომავალ ნომერში.

## ვაჭაცები საქართველოდან

### ლეიტ. ვერნერ ვიტკოპფი

ჩვენი სამხედრო კორესპონდენტი

I

ქვემოსილეზიის ერთ-ერთ სავარჯიშო მინდორზე დაბანაკებულია ქართული ლეგიონი. მას ხელმძღვანელობენ ქართველი ოფიცრები და უნტეროფიცრები, რომელთაც რჩევას აძლევს და ეხმარება მცირერიცხოვანი გერმანული პერსონალი.

ლეგიონში გაერთიანებული მებრძოლები დაბრუნებული არიან ლაზარეთებიდან და ფრონტის სხვადასხვა ნაწილის საველე ათასეულები-

დან. ხელახალი სამხედრო გაწვრთნის შემდეგ, ისინი ამ სათადარიგო დანაყოფებს მალე დასტოვებენ და წავლენ ფრონტის მიმართულებით.

ოთხი მხედრის პორტრეტი, რომელსაც ქვემოთ ვიძლევით, წარმოდგენას შეგვიქმნის ამ მებრძოლებზე.

## ლეგიონის მეთაური

ლეგიონის მეთაური, კაპიტანი სიმონ კ. მუდამ მხედარი იყო და სულს ყოველთვის მხოლოდ მხედრად დარჩენს. ამას საუკეთესოდ ადტკიცებს მისი მკვეთრად მოხაზული ვიწრო სახე, რომელსაც შავი პატარა წვერი განსაკუთრებულ ელფერს აძლევს, გერმანული ორდენები მის მკერდზე კი საბოლოოდ ადასტურებენ ზემოთაღნიშნულ დებულებას.

უკვე დიდხანია არ უნახავს მას სამშობლოს მთები. 1921 წელს სიმონ კ.. როგორც თბილისის სამხედრო სკოლის მედროშე იუნკერი, იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელთაც დიდად გადაჭარბებული ძალებით ჩაახრჩვეს ქართველთა ბრძოლა თავისუფლებისათვის. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა უცხოეთში წამოსულიყო, მას თან წამოჰყვნენ მედროშე იუნკრებიც.

როგორც სხვა იუნკრებმა, ისევე დღევანდელმა კაპიტანმა, რომელიც ქართულ ეროვნულ დროშას გულმოდგინედ მყლავზე ატარებს, მცირე ხანი დაჰყო თურქეთში. შემდეგ ისინი შეიხიზნა პოლონეთის სახელმწიფომ, სადაც მათ სახედრო სკოლა დაამთავრეს და შემდეგ სამსახურში იყვნენ მილებული ხელმეკრულების მიხედვით, რადგან საკუთარი ეროვნული ქვეშევრდომობის დაკარგვა არ სურდათ.

ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობა მან პირნათლად შეასრულა: ეს იყო ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. პოლონეთის აღმოსავლეთის ფრონტზე იგი ებრძოდა წითელ არმიას, როდესაც ეს უკანასკნელი 1939 წელს პოლონეთში შეიჭრა. შემდეგ, როცა გერმანიის არმია დაიძრა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, პოლონური ჯარის ყოფილი როტმისტრი, გამოცხადდა მოხალისედ გერმანულ ჯარში. იგი ჩაირიცხა უბრალო ჯარისკაცად ისევე, როგორც მისი ძმა, რომელიც გერმანულ ტყვეთა ბანაკიდან ქართულ ლეგიონში მოვიდა. ამ დღიდან სიმონ კ. მუდმივად ქართულ ლეგიონთან და საველე ათასეულებთან იმყოფება. თავისი ძმისაგან მან შეიტყო სამშობლოს ამბები, გაიგო მოხუცი მამის მრავალჯერ დაპატიმრების შესახებ. მცირამ ძმების ერთად ყოფნის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ძმა გმირული სიკვდილით დაეცა დასავლეთის ფრონტზე. მან იგი საკუთარი ხელით დაასაფლავა.

## ასმეთაური

ლეიტენანტი ნიკოლოზ ტ. ჩვენ ვნახეთ ასეულის მეცადინეობის დროს. ის ლაპარაკობდა „ტანკის მუშტის“ შესახებ. მაღალი, მოქნილი ტანის მქონე მეთაური სდგას თავისი ჯარისკაცების წინაშე და უხსნის მათ დედაენაზე ერთეული მებრძოლის ამ იარაღს.

ნიკოლოზ ტ. ახალი დროის შვილია, რევოლუციის შემდეგ დაბადებული. მას სურდა თბილისში ეკონომიური მეცნიერება შეესწავლა, მაგრამ ვერ მოასწრო უკანასკნელი გამოცდის ჩაბარება, ისე გაიწვიეს ჯარში. ლეონში დაამთავრა უმცროსს მეთაურთა სკოლა და ოცმეთაურის მოადგილე გახდა. ომის დაწყებიდან არ გასულა 14 დღე, რომ იგი გერმანულ ტყვეობაში აღმოჩნდა.

ნიკოლოზ ტ. ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ტყვეთა ბანაკიდან ნებაყოფლობით შევიდა ქართული ლეგიონის რიგებში. შემდეგ იგი სამხრეთ საფრანგეთში მეთაურობდა ქართული ლეგიონის ასეულს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მალე სამხედრო სკოლაც დაამთავრა და ლეიტენანტის ხარისხი მიიღო.

ისიც, როგორც მეთაური, ქებით იხსენიებს გერმანელი ამხანაგების თანამშრომლობას და გვიცხადებს მადლობას დახმარებისა და რჩევისათვის. მას განსაკუთრებით სწყურია თავისი ასეულის ხელახლა ბრძოლაში წაყვანა...

## ზემდეგი

ზემდეგის ნამდვილ ტიპს წარმოადგენს მოხალისე ბ. ამ საქმისათვის საჭირო მომზადება და უნარი მას განსაკუთრებით ემჩნევა. მისი ნათელი წაბლისფერი თვალები მუდმივ შენიშნავენ თვითეულ უმცირეს უწესრიგობასაც კი...

აკაკი ბ. ძრ არის კადრის ჯარისკაცი, როგორც პირველად გსურს იფიქრო. იგი სატყეო ინჟინერია. მაგრამ მას დიდხანს არ დასცალდა თავის დარგში მუშაობა. როგორც ტექნიკური ინჟინერი, მალე წითელ ჯარში გაიწვიეს. იგი ყირიმში მოხვდა ტყვედ, 1942 წლის მაისში.

იმავე წლის დეკემბერში მოხალისე ბ. უკვე გერმანიის მხარეზე იბრძვის ყუბანის ფრონტზე, არც ისე შორს საქართველოდან, სადაც მან თავისი ოჯახი დატოვა. თავისი ახლობლების შესახებ აკაკის შესძლო მხოლოდ იმის გაგება, რომ მისი მამა დაბერებული იქნა, როცა ის პარიზის ემიგრაციიდან დაბრუნდა...

## „ტანკების მსხვრეველი“

უნტეროფიცერი გიორგი გ-ც ქართველია, დასავლეთ საქართველოდან. მას დიდი სურვილი ჰქონდა ცოდნის მიღებისა, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაეწყოფა გეოგრაფიისა და გეოლოგიის შესწავლას, მაგრამ მალე რუსულ ჯარში გაიწვიეს და საშუალება ალუკვეთეს სწავლა გაეგრძელებინა. ფრონტზე ყოფნის დროს გ. კიევთან ახლოს ტყვედ ჩავარდა.

ტყვეობა მხოლოდ ათ დღეს გაგრძელდა. მას არ სურდა უმოქმედოდ ყოფნა, როდესაც სამშობლო დახმარებას საჭიროებდა, სწყუროდა ჩაბმულიყო საქართველოს მოსისხლე მტრების — ბოლშევიკების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელთაც მისი ტრადიციული ქართული ოჯახი შეარყიეს და თავისუფალი შრომის უფლება წაართვეს.

მაღალი, ჩასხმული უნტეროფიცერი დგას ჩვენს წინაშე და კმაყოფილებით იღიმება. მის მკერდს ამშვენებს ორდენები და წარჩინების ნიშნები, რომელნიც მოწმობენ, რომ მან ბრძოლებში განსაკუთრებული გამბედაობა გამოიჩინა და ქართველური გმირობის მაგალითები უჩვენა. ქართული ეროვნული ნიშნის — სამფეროვანი დროშის ზემოთ ის ატარებს ტანკებისა და ქვეითი ჯარის საბრძოლო ნიშნებს, ყურეთვე ალმოსავლეთის ხალხთათვის გამომეფებულ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სიმამაცის ნიშნებს. ეს ნიშნები გვიჩვენებენ ბრძოლის იმ გზას, რომელიც მან განვლო, როგორც თავისი სამშობლოს ერთგულმა პატრიოტმა. ჩრდილო-კავკასიაში, უკანდახევა აზოვის ზღვისკენ, ხელახლა ჟიტომირის რაიონი, შემდეგ პარიზი, ბრძოლა ტერორისტების წინააღმდეგ — აი, მოკლედ მის მიერ განვლილი გზა გერმანულ ფორმაში.

ვაჟკაცები საქართველოდან — თავისუფლებისათვის მებრძოლნი, რომელნიც დამოუკიდებელი საქართველოს დროშას მკლავზე ატარებენ, სამშობლოდან შორსმყოფნი, იბრძვიან სამშობლოსათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მათ თავიანთი ბედი გადაჭრით დაუკავშირეს გერმანიის ბედს. თვითეული მათგანი გულში მტკიცედ ატარებს ურყევ რწმენას, რომელიც ქართული ლეგიონის მეთაურმა საუკეთესოდ გამოხატა შემდეგ სიტყვებში: „ერს, რომელიც ასე მჭიდროდ არის შეკავშირებული, როგორც გერმანია, ომის წაგება არ შეუძლია“.

ამას იგრძნობს, ჰფიქრობს და განიცდის ქართული ლეგიონის ყოველი მოხალისე...

## საახალწლო მილოცვები

### ქართველ ეხედროვას

ქართული ცხენოსანი სს-ის სახელით, გილოცავთ, ძვირფასო ძმებო, ახალი წლის დაქცგომას. თქვენ, სიმამაცით და თავდადებით მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაიმსახურეთ უდიდესი ნდობა — საკუთარი ხელმძღვანელობა დაცვნიშნათ ლეგიონში და სხვა ქართულ სამხედრო ერთეულებში, რაც უაღრესად ღირსშესანიშნავ და მოსალოც საქმეს წარმოადგენს.

წლიწადთაწნდაა თქვენს მიერ გაღებული მსხვერპლი, საწრობლო არასოდეს დაივიწყებს მოსდამი გამოჩენილ ერთგულებას. მშურს, რომ გავიმარჯვებთ! მეღვრად იდექით თქვენს საგუშაგოზე!

ქართული ცხენოსანი სს-ის მეთაური: შტანდარტენფიურერი

ფრიდრიხ ვულუაიძე.

### ქართულ საკავშირო შტაბს

გუშათა ბრიგადის ქართველი მოხალისეები გილოცავთ თქვენ, ქართული საკავშირო შტაბის მთელ შემადგენლობას და თქვენი სახით ყველა ქართველ მოხალისეს ძველ წელს და გისურვებთ, რომ 1945 წელი ყოფილიყოს ბოლშევიზმზე გამარჯვებისა და ჩვენი საყვარელი სამშობლოს განთავისუფლების წელი.

ლეიტენანტი მეჯი.

## გაზეთი „საქართველოს“ საახალწლო საჩუქარი ქართველ მოხალისეებს

ჩვენი გაზეთის რედაქციამ ქართველ მოხალისეებს მიუძღვნა მშვენიერი საახალწლო საჩუქარი — ბ-ნი არჩილ მეტრეველის მიერ შედგენილი კრებული „ქართველი პოეტები“. წიგნში თავმოყრილია ყველა ცნობილი ქართველი მგოსნის თვალსაჩინო პოეტური ნაწარმოებები, დაწყებული ალექსანდრე ჭავჭავაძიდან, დამთავრებული ალექსანდრე აბაშელით. კრებულში მდიდრად არიან წარმოდგენილი ქართული რომანტიზმის ფუძემდებლები — ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი... შემდეგ მოდიან რეალიზმის სკოლის ისეთი ბუმბერაზები, როგორიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი და სხვ. წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ახალი ქართული პოეზიის ცნობილი წარმომად-

გენლების — ვრცელი რობაქიძის, იოსებ გრიშაშვილის, სანდრო შანშიაშვილისა და ალექსანდრე აბაშელის რჩეული ლექსები. თვითეული ავტორის ნაწარმოებთ წინ უძღვის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და პოეტის პორტრეტი.

კრებულს წამძღვარებული აქვს პაატა ვარძიელის წინასიტყვაობა და ავრეთვე წიგნის გერმანული რეზიუმე. კრებული შეიცავს 432 გვერდს, გამოცემულია ლამაზად და ჩასხმულია მუყაოს ცალფორმებულ ყდაში. გამოცემა ეკუთვნის გაზ. „საქართველოს“ რედაქციას (ქართველი პოპულარის საველე ბიბლიოთეკა № 4).

## „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 2 (130) გამოც. მე-4 წელი. ბერლინი, 8 იანვარი, 1945 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

### ჩვენი დასასვენებელი სახლის ფლისთავი

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბავარიის პატარა, მაგრამ სილამაზით შემკულ სოფელში დაარსდა ომში დაჭრილ-დასახიჩრებულ ქართველ ჯარისკაცთა დასასვენებელი და დამხმარე სახლი.

პარალელურად იმ დიდი მუშაობისა, რომელსაც გერმანიის სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციები ატარებენ დაჭრილი ქართველი მოხალისეების სასარგებლოდ, რუპოლდინგის დასასვენებელმა სახლმა საშვილიშვილო საქმე გააკეთა.

ეს იყო 1943 წლის ზაფხულში. მაგონდება გაზ. „საქართველოს“ მაშინდელი მთავარი რედაქტორის ბ-ნი ობერლეიტენანტი გაი მაღლაკელიძის ჩამოსვლა ქართულ ლეგიონში და იქ საჭირო მუშაობის ჩატარება დასასვენებელი სახლის გასახნისათვის. ყველა ქართველი მოხალისე სიხარულით გამოეხმაურა შეტად მნიშვნელოვან და სასარგებლო საქმეს და სულ მალე საჭირო თანხა შეგროვილი იყო... ობერლეიტენანტი გაი მაღლაკელიძე კომისიაში შემავალ ქართველ მოხალისეებთან ერთად ბრუნდება ბერლინში და იწყებს პრაქტიკულ მუშაობას. დასასვენებელი სახლისათვის არჩევენ ისეთ ადგილს, რომლის გარეშეო ბუნება საქართველოს ემსგავსება და სადაც ქართველი მხედრები თავისუფლად იგრძნობენ თავს. დაახლოებით ასეთი ადგილი მალე აღმოჩენილ იქნა. გერმანიის სამხედრო ორგანიზაციების დახმარებით ბავარიის პატარა სოფელ რუპოლდინგში ქართველი მოხალისეებისათვის გამოყოფილი იქნა ორი სახლი.

გერმანიის პროპაგანდის სამინისტროს წარმომადგენლის ბ-ნი კ-ს, რაინხსკულტურკამერის მოხალისეთა განყოფილების უფროსის ქ-ნი როტისა და ალმოსავლეთის სამინისტროს დახმარებით, აგრეთვე გაზეთ „საქართველოს“ თანამშრომელთა უშუალო მონაწილეობით, სულ მოკლე ხანში საპატიო კოსტატად და ლამაზად იქნა მოწყობილი და მზად იყო სასურველი სტუმრების მისალებად.

დავიდა რამდენიმე დღე, აი, უკვე ჩამოვიდნენ ქართველი მხედრები, როგორც საავადმყოფოებიდან, ისე სხვადასხვა ქართული ნაწილებიდან. ბავარიის პატარა სოფელში ქართველმა ვაჟკაცებმა სიცოცხლე და მხიარულება შეიტანეს. ქართული მელოდიები და ომახიანი სიმღერები ბავარიელ გლეხებში აღტაცებას იწვევდა და ერთმანეთს უპატრონებდა გერმანელი და ქართველი ერის წარმომადგენლებს. ქართველი მოხალისეები აღტაცებული იყვნენ ბუნების ამ დიდი მსგავსებით, რომელიც ჩვენი საყვარელი საამშობლო მხარესა და ბავარიის ლანდშაფტს შორის არსებობს. აი, რას სწერს პირველი ჯგუფის ერთ-ერთი დაპატიჟებული ამის შესახებ: „...დასასვენებელ სახლში გატარებული თექვსმეტი დღე დაუვიწყარი იქნება ჩემს სიცოცხლეში. ჩვენ ყველას გვიყვარს რუპოლდინგი, რადგან იგი საქართველოს მსგავსია. ქოჩორა მთები და კლაკნილი ბილიკები, პატარა, მაგრამ მწვანით მოსილი ტყეები, ლამაზი მინდვრები, მოჩუხჩუხე ნაკადულები ჩვენს მშობლიურს გვაგონებს“.

დადიოდა დღეები და იცვლებოდა დამსვენებელთა შემადგენლობაც. ყოველი ახალი ჯგუფი სიხარულით გაბრწყინებული თვალებით და უდიდესი ცნობისმოყვარეობით ჩამოდიოდა პატარა სოფელში და ორი კვირის შემდეგ გულდაწყვეტილი, მაგრამ კმაყოფილი ბრუნდებოდა უკან თავის ნაწილში იმ იმედით, რომ კიდევ ერთხელ ნახავდა მშვენიერ მხარეს და იგრძნობდა იმ თბილ მშობლიურ მზრუნველობას, რომლითაც ყველას ერთნაირად ეგებება ქ-ნი გრეტიკო მ-ძე. დამსვენებელთა წიგნში ამის შესახებ, სხვათაშორის ერთი მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნაა, რომელიც ბ-ნი ობერლეიტენანტი მ. დადიანის ესკადრონის მოხალისეებს ეკუთვნის: „1944 წ. 30 ივნისი. ვტოვებთ რა ბავარიის სოფ. რუპოლდინგს, დიდად კმაყოფილი ვართ აქ გატარებული 19 დღით. ამ სოფელში მიღებული შთაბეჭდილებები ჩვენს მოგონებაში მუდამ წარუშლელი დარჩება. ეს ხსნარე გვაგონებს ჩვენს ძვირფას სამშობლოს. იგი მით უფრო საყვარელი შეიქნა ჩვენთვის, რაც უფრო მოახლოვდა წასვლის დღე. ჩვენ, „ბერგმანელებმა“, ჩამოსულმა საბერძნეთიდან, ბავარიაში ვპოვეთ სრული სიმშვიდე და დავისვენეთ როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. დავბრუნდებით რა ჩვენს ნაწილში, სიამოვნებით მოვუყვებით მეგობრებს ყველა იმ ენით გამოუთქმელ და დაუფასებელ მზრუნველობაზე, რომელსაც გვიწევდა ბ-ნი ობერლეიტენანტი გაი მაღლაკელიძე, ქ-ნი გრეტიკო მ-ძე და დასასვენებელი სახლის

პაუპტფელდფებელი ი. ტ-ლი. ჩვენ ვაფასებთ ბ-ნ ობერლეიტენანტს, როგორც ამ საქმის ორგანიზატორს და პირველ ინიციატორს. მხოლოდ ნამდვილი პატრიოტული ქართული გრძნობებით გაჯერებულ ადამიანს შეუძლია გააკეთოს ასეთი სამკვილიშვილო საქმე".

დასახლებელი სახლის დაარსების დღიდანვე რუპოლდინგის ახლოს, ქ. ტრაუნშტაინში, ორთოპედიული სახელოსნოს უფროსთან დაიდო ხელშეკრულება უხელფეხო ქართველ მოხალისეთათვის პროტეზების დამზადების შესახებ. პირველი შეკვეთის შესრულების დღიდან რუპოლდინგის დასახლებელ სახლში იწყება ახალი ცხოვრება. აქ ჩამოდიან ომში მძიმედ დაჭრილი ქართველები. დამწუხრებულნი თავიანთი უბედობით, ისინი სასოწარკვეთილებით გამოიყურებიან და არ სჯერათ, რომ სულ მოკლე ხანში, უფეხონი თავისუფლად გაივლიან და უხელონი კი საკუთარი ხელებით შეხვამენ.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ქ-ნი გრეტიკო მ-ძეს მზრუნველი ხელი ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში. როგორც პატჭრა ბავშვებს, ისე ეხმარებოდა იგი მათ, უზრდიდა და აშმევდა საღილს, უვლიდა ავადმყოფებს, დაჰყავდა ქ. ტრაუნშტაინში და უკეთებდა პროტეზებს. ის დიდი ღვაწლი და ენერგია, რომელიც მან გაიღო, დაუვიწყარი იქნება ყველა იქ ნამყოფი ქართველი ჯარისკაცისათვის. მოხ. ვ. უ-ა, რომელმაც ფრონტზე ორივე ფეხი დაჰკარგა, ხუთი თვის განმავლობაში ცხოვრობდა რუპოლდინგში. შემდეგ მან მიიღო პროტეზი და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ამხანაგებთან ერთად მთებზე დადიოდა და გასართობად ბალში მუშაობდა. მოხ. ვ. უ-ა დამსვენებელთა წიგნში, სხვათაშორის, სწერს: „...მეორედ დავიბადე ქვეყანაზე. ის დიდი ჭეშმარიტი ტანჯვა, რომელსაც განვიცდიდი, რუპოლდინგში მოსვლის შემდეგ სრულიად გაჰქრა, მზრუნველობა, ძმური და მეგობრული დამოკიდებულება მამხნევებდა და ძალას მაძლევდა გადამეტანა ყოველივე, რაც ასე მაწუხებდა. ყველა ამას ვუმადლი ქ-ნ გრეტიკო მ-ძეს. ის და მხოლოდ ის იყო ჩემი მშველელი, ჩემი დამხმარე, მის შრომას არასოდეს არ დავივიწყებ"...

და ასეთი, ვინ იცის კიდევ რამდენია!..

ერთი წლის განმავლობაში რუპოლდინგის დასახლებელ და დამხმარე სახლში გაიარა 303 ქართველმა მოხალისემ. 29 მოხალისეს გაკეთებული აქვს ხელი და ფეხი. 17 ასეთივე პროტეზი უკვე ნახევრადდამზადებულია და მოკლე ხანში გამოიყენება დანიშნულებისამებრ. სამმა დაჭრილმა მოხალისემ მიიღო ინვალიდის ეტლი, მრავალმა — ორთოპედიული ფეხსაცმელი და სხვა დამხმარე საშუალება.

გარდა იმისა, რომ ომში დასახიჩრებული ქართველი მოხალისეები რუპოლდინგში ღებულობენ პროტეზებს, ისინი დაუყოვნებლივ იგზავ-

ნებიან იქით სასწავლებლებში ან სამუშაოზე, სადაც მათ შეუძლიათ შეისწავლონ მათთვის შესაფერისი ხელობა და ამით ზომავალში უზრუნველჰყონ თავისი თავი. მაგალითად, 15 ქართველი მოზალისე უკვე მოეწყო სამუშაოზე და კმაყოფილია თავისი ბედით, რამდენიმე მათგანი გაიგზავნა სახელოსნო სკოლაში, სადაც სწავლობენ მცერაობას, მეჩექმეობას და სხვა ხელობას იმის მიხედვით, თუ რა აქვს ამათუიმ მოხალისეს დაზიანებული და რის გაკეთება შეუძლია ყველაზე ადვილად.

ჰეშმარიტად დიდია ის მუშაობა, რომელიც ტარდება ამ სახლში, სამწილიშვილია ის საქმე, რომელიც აქ კეთდება, ამიტომ სულით და გულით გვინდა ვუსურვოთ ამ სახლის მესვეურთ კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და მონდომებით განაგრძონ დაწყებული მუშაობა ქართველ მოხალისეთა საკეთილდღეოდ.

მოხ. თამაზ ჩოხელი


# „საქართველო“

№ 3 (131) გამოც. მე-4 წელი. ბერლინი, 15 იანვარი, 1945 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი


## კაპიტანი გივი გაბლიანი დასავლეთში

ქართული შტაბის წევრი და სამხედრო განყოფილების უფროსი კაპიტანი გივი გაბლიანი 1944 წ. დეკემბრის შუა რიცხვებში გაემგზავრა დასავლეთში თამარ მეფის სახელობის ქართული საველე ათასეულის დასათვალიერებლად; რომელიც წელიწადნახევარზე მეტია ატლანტიკის სანაპიროზე მეტად საპასუხისმგებლო სამსახურს ასრულებს.

კაპიტანი ვ. გაბლიანი ეწვია ბეტონის სიმაგრეებში ქართველ ოფიცრებს, უნტეროფიცრებსა და მოხალისეებს, მიულოცა მათ ქრისტეს შობის დღესასწაული და ახალი წელი, კიდევ მეტი წარმატებები უსურვა ბრძოლასა და მუშაობაში, შეხვედრა ერთად თავმოყრილ მოხალისეებს მოხსენება გაუკეთა საერთაშორისო სამხედრო და პოლიტიკურ მდგომარეობაზე, აგრეთვე წამინდა ქართულ საკითხებზე და ჩვენი ნაწილების პერსპექტივებზე. ერთი წლის განმავლობაში დაუღალავი მუშაობით მოპოვებულ მიღწევათა შორის, მოხსენებულმა აღნიშნა და მიულოცა მოხალისეებს ახალი ქართული ლეგიონისა და საველე ათასეულების ჩამოყალიბება ქართული ხელმძღვანელობით.

კაპიტანმა გაბლიანმა დაუხატა მოხალისეებს სამშობლოსათვის მებრძოლი ქართველი ჯარისკაცის სახე: იგი უნდა იდგეს მაღალ მორალურ

საფეხურზე. იყოს შეგნებული, პატიოსანი და რაინდი, რაც გან ქართველებთან ურთიერთობაში მყოფი ევროპელი ხალხები მისი სახით შთელს ქართველ ერს აფასებენ.

თამარ მეფის სახელობის ათასეულმა კაპიტან გ. გაბლიანზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა როგორც დისციპლინის, ისე სამხედრო და პოლიტიკური მომზადების მხრივ. საზეიმოდ გამართულ საღამოზე მან შემდეგი სიტყვით მიმართა ქართული ათასეულის მოხალისეებსა და გერმანულ პერსონალს:

ქართული შტაბის ამოცანას შეადგენს ქართველთა და გერმანელთა შორის პოლიტიკური მუშაობის ჯანსაღ ნიადაგზე დაყენება, რისთვისაც ქართული ნაწილები უფრო მეტად მტკიცენი და საიმედონი უნდა იყვნენ, ამისათვის საჭიროა ქართველ მებრძოლებს და გერმანულ პერსონალს შორის უფრო მჭიდრო მეგობრული თანამშრომლობა არსებობდეს. იმ ნაწილებში, სადაც ეს საკითხი სათანადო სიმაღლეზე იდგა, საუკეთესოდ ისახელეს თავი ბრძოლებში.

ჩვენი მოხალისეთა ნაწილების განვითარებამ მეტად მძიმე და ძნელი გზა განვლო. სიძნელეები დღესაც მოიპოვება. გერმანულ პერსონალსაც ცოტა სიძნელე. როდი აქვს გადასალახავი, გარდა სამხედრო მუშაობისა, მათ აქვთ მეორე საპასუხისმგებლო ამოცანა გადასაჭრელი. ისინი არიან გერმანელი ერის წარმომადგენლები ქართველი ერის წარმომადგენელთა შორის. აღზრდილია სხვადასხვაობა, უნის უცოდინარობა და კიდევ მთელი რიგი სპეციფიკური საკითხებისა, ძნელებენ მუშაობასა და კონტაქტს. თქვენ არასდროს არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ქართველი მოხალისე მოწყვეტილია საშობლოს, წერილობითი კავშირიც კი არა აქვს მშობლებთან და ამ მხრივ იგი ტყვრო ძნელ პირობებში იმყოფება, ვიდრე შედარებით თქვენ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ომი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება. შალგამ, რომ კიდეც ვაგებდეთ შას, მაინც უნდა ვიმუშაოთ უცანასკნელ წუთამდე. რადგან ჩვენ ვმუშაობთ და ვიბრძვით არამარტო დღევანდელი დღისათვის. არამედ მომავალი თაობისათვის, — ისტორიისათვის. შემდეგი გერმანელი და ქართველი თაობები ისეთივე ნდობითა და მეგობრობით უნდა მივიდნენ ერთმანეთთან, როგორც ჩვენ.

1918 წელს საქართველოში მოვიდა გენერალი ფონ კრესენშტაინი, როგორც გერმანელი ერის წარმომადგენელი. იგი დაეხმარა ქართველებს და დაასთესა ტრადიციული მეგობრობა ქართველებსა და გერმანელებს შორის. ამის გამოა, რომ დღეს ათასობით ქართველი ასეთივე ნდობით მოვიდნენ გერმანელებთან. ჩვენი საქციელით ეს ტრადიციული მეგობრობა უფრო უნდა გავაძლიეროთ და შემდეგი თაობებისათვის ხიდად გამოვიყენეთ...

1945 წლის 1 იანვრისათვის კაპიტანი გივი გაბლიანი კვლავ ბერლინში დაბრუნდა.

## ვინ არიან აღმოსავლეთის მოხალისენი

გერმანული გაზეთი „ანგრიფი“ ათავსებს საინტერესო წერილს აღმოსავლეთის მოხალისეთა შესახებ, რომელშიც მოცემულია საბჭოთა კავშირიდან მოსული ყველა მებრძოლი ძალის ღირსეული შეფასება. „როდესაც 1939 წლის სექტემბერში, — სწერს ხსენებული გაზეთი, — დაიწყო ჩვენი დროის უდიდესი ბრძოლა, გერმანული არმია თვითონ, მუდმივი მხარდაჭერის გარეშე, ჩაება გადამწყვეტ ომში. გერმანელ ჯარისკაცთა რიგებში სულ უფრო მზარდი რაოდენობით მოდიოდნენ მოკავშირენი ევროპის კონტინენტიდან. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოკავშირეთაგან ზოგიერთნი, მათი უსპასიათო მთავრობების დაჟინებულით, ბრძოლიდან გავიდნენ, მათს ადგილას გერმანიამ მიიღო დახმარება აღმოსავლეთის მოხალისეთა მხრიდან.

უმაღლესი სარდლობის ცნობებში არაერთხელ ყოფილა აღნიშნული მოხალისეთა სიმამაცის შესახებ. ერთ-ერთმა ამ ცნობათაგანმა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებრივი აზრის ფართო წრეებში. 1944 წლის 30 სექტემბერს გერმანულ რადიოში წაკითხულ იქნა შემდეგი შინაარსის ტექსტი:

„ვარშავის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობას იღებდნენ სს-ისა და პოლიციის განსაკუთრებული ნაწილების გვერდით, მოხალისეთა შენაერთების რაზმებიც. სს-ის აღმოსავლურ-მუსულმანური პოლკისა და აზერბაიჯანელთა 111 პოლკის ორი ათასეულის მებრძოლები, რომლებმაც ამ ბრძოლებში კვლავ თავი ისახელეს, დაჯილდოებულ იქნენ წარჩინების ნიშნებით და პირველი ხარისხის რკინის ჯვრებითაც კი.

ბოლშევიკებთან ომის პირველსავე წელს, საბჭოთა კავშირის მრავალი ქვეშევრდომი მიემხრო გერმანულ არმიას: ჯერეს, რუსული განმათავისუფლებელი არმიისა და ყაზახთა ნაწილების გვერდით, სდგანან კავკასიელთა და თურქესტანელთა ლეგიონები. თავგამოდებით იბრძვიან თავიანთი სამშობლოსათვის ყირიმისა და ვოლგის თათრები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, თურქესტანელები, ყალმუხები...

მიზანი აღმოსავლეთის მოხალისეებისა არის ბოლშევიკური მონობისაგან გამოხსნა და საკუთარი ეროვნული თავისუფლების მოპოვება. გერმანიის არმიის ჯარისკაცებთან ერთად, ისინი იბრძოდნენ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში და მრავალი სასახელო ფურცელიც ჩაწერეს საკუთარი ხალხების ისტორიაში.

საზღვარგარეთელი სამხედრო მეთვალყურეთათვის გამოუცნობი დარჩა, რატომ იბრძოდნენ აღმოსავლეთის მოხალისენი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ასეთი მოულოდნელი სიმამაცით. ისინი იმედოვნებდნენ, რომ გერმანელთა უკანდახევა აღმოსავლეთის ფრონტზე გამოიწვევდა აღმოსავლეთის მოხალისეთა სამხედრო სულის შესუსტებას. მაგრამ მძიმე თავდაცვითმა ბრძოლებმა დასავლეთის ფრონტზე და იტალიაში გვიჩვენეს, რომ მათი ეს ვარაუდი ყალბი გამოდგა. პირიქით, გერმანულმა სარდლობამ აღიარა და დაადასტურა მათი ერთგულება იმით, რომ გაათანასწორა აღმოსავლეთის მოხალისენი სხვა ევროპელ მოხალისეებთან. ამის საფუძველზე ძველი განმასხვავებელი ნიშნები უარყოფილ იქნა, განსხვავება ეხლა მხოლოდ ჯოკარდებითა და მკლავზე სატარებელი ნიშნებით შეიძლება.

ვლასოვისა და მისი ფორმაციის შესახებ გერმანულ ოფიციალურ პრესაში აქამდე თუ ცოტა იწერებოდა, ეს აიხსნება იმით, რომ გერმანული სარდლობა საზოგადოებას აუწყებს სამხედრო გადაწყვეტილებათა შესახებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ გადაწყვეტილებათა განხორციელება უკვე განსაზღვრულ და საბოლოო ფორმას ღებულობს. გერმანელი ჯარისკაცი, რომელიც მოხალისეებთან ერთად ბრძოლაში მხარდამხარ სდგას ფრონტზე, მათ სათანადოდ აფასებს და პატივს სცემს. გერმანელი ჯარისკაცი ხედავს მათში გერმანული არმიის მოკავშირეს თავისუფლებისა და არსებობისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში.

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 6 (134) გამოც. მე-4 წელი. ბერლინი, 12 თებერვალი, 1945 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## გერმანიაში მცხოვრებ უველა ქართველ მოქალაქეს

ომი თავისი განვითარების გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ჩვენი მოკავშირე, დიდი ერი მთელ თავის სასიცოცხლო ძალებს სწირავს გადამწყვეტი შედეგის მისაღწევად. ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოხუცი ჩაბმულია შრომისა და ბრძოლის გრანდიოზულ პროცესში. ასეთი მომენტი ჩვენ, ქართველებსაც გვავალებს მთელი ჩვენი ეროვნული ენერგია დავაძაბოთ და მივმართოთ საერთო მტრის წინააღმდეგ. ვინაიდან კარგად ვიცით, რომ მხოლოდ გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში შეგვძლებთ სამშობლოს თავისუფლების მოპოვებას. ამიტომ ქართული

საკავშირო შტაბი მოუწოდებს გერმანიაში მცხოვრებ ყველა ქართველ მოქალაქეს, რომელიც სამხედრო ერთეულებში არ არის გაერთიანებული და გარკვეული მუდმივი სამუშაო არა აქვს, გამოცხადდეს ქართული შტაბის შრომის განყოფილებაში. (ბერლინი, ჰეგელის მოედანი, № 2, ბ. ჟურნალთან) სამუშაოზე მოსაწყობად. წინააღმდეგ შემთხვევაში დაინტერესებული გერმანული ორგანიზაციები თვითონვე მიიღებენ სათანადო ზომებს.

ქართული საკავშირო შტაბი.

## მტრის ზურგში

ლამის წყვდიადი ჩაბოსწოლია სანგრებსა და თხრილებს. ირგვლივ სიწყნარეა. სიჩუმეს მხოლოდ ქართველი მოხალისეების ღრმა სუნთქვა არღვევს, სანგრებში მებრძოლები მოუთმენლად მოელიან მტრის გამოჩენას. ცნობაა მიღებული — მოწინააღმდეგის დაზვერვა უახლოვდება სანგრების ხაზსო. ბრძანება: არცერთი გასროლა, მტერი მოშვებული იქნას ძალო ბანძილზე.

გავიდა რამდენიმე წუთი, დაძაბული მდგომარეობა კვლავ გრძელდება. მავთულხლართებში რაღაც ფაჩუნი გაისმა. მოწინააღმდეგის რამდენიმე ჯარისკაცი მუცლით მიხოხავდა...

მაშაც ქართველ მოხალისეებს არ გასჩერვებიათ ტყვიის გაუსროლელად მათი ხელში ჩაგდება. ტყვეები ნაწილის შტაბში მიიყვანეს. საჭირო სამხედრო ცნობების მიღების გარდა, მათ გვიამბეს ბევრი რამ საინტერესო წითელი არმიის მდგომარეობისა და საბჭოთა ზურგის შესახებ.

— რაც დრო გადის, — გვიყვება ყოფილი წითელარმიელი პ., საბჭოთა ჯარისკაცის მორალური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო ეცემა და უარესდება, წინ მოგვერეკება მხოლოდ ის მონური შიში, რომლის ატმოსფეროში ალვიზარდეთ ჩვენ ყველანი საბჭოთა რეჟიმის პირობებში.

სანამ გერმანიის მიწაწყალზე ფეხს შემოვდგამდით, ჩვენი მეთაურები და კომისრები გვეუბნებოდნენ — გერმანიაში ბრძოლა მეტად გაგვიძნელდება, გერმანელი ხალხი დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევსო. ამაში არამცთუ დავრწმუნდით, ალრამედ იმ საშტატმა წინააღმდეგობამ, რომელიც ჩვენ აქ შეგვხვედა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოვიჩანჩალებდით აღმოსავლეთ პრუსიაში და ჩვენს წინ ისპეზოდა საკითხი — როდის უნდა გათავდეს ეს დაუსრულებელი სისხლიანი გზა, მოფენილი ჩვენი ხალხის უცდანაშაულო გვამებით?!

— ცვაწუხებდა პუპკა, მკბენარი, შიმშილი და სიცივე, — მოგვი-

თქრობს მეორე ტყვე წითელარმიელი ბ. — მრავალ ჩვენგანს დახეული მაზარა ეცვა, ზოგს ხელთათმანიც არ ჰქონდა და ტომრის ნაჭრებში შეეყო ხელები. საკვები იმ ცოტა იყო, რომ კუჭის ამოვსებასაც არ ჰყოფნიდა. გაძვრებული ვეცემოდით ხოლმე პირველსავე ნაბავლს, ვძარცვავდით სოფლებს, დაბებს, დასახლებულ პუნქტებს.

მხეცური ყიყინით უსწორდებოდნენ რუსი წითელარმიელები უდანაშაულო გერმანელ მოსახლეობას. როცა ალმოსავლეთ პრუსიაში პირველი გერმანული სოფელი ავიღეთ, მცხოვრებლების ნაწილმა, მეტწილად ქალებმა და ბავშვებმა, ვერ მოასწრეს გაპარვა. ჩვენი შენაერთი სოფელში შევიდა ძარა როგორც რეგულარული ჯარი, არამედ როგორც ნამდვილი ბათო-ყაენის ბრბო, ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც კი ხელში ხვდებოდათ. შეშინებული ქალები და ბავშვები სარდაფებსა და ხვრელებში იმალებოდნენ. გაიცა განკარგულება — ალმოფხვრილიყო დამარცხებული მოსახლეობა და ხიშტებზე აგვეცა. დაიწყო სამრეწველო ნადირობა ადამიანებზე. რუსი ჯარისკაცები, იღიმის გინებითა და ღრიალით, მოედევნენ სოფელს. ამ სურათის მნახველს კინალამ შარპანა ხელიდან გამოვარდა. ჩემში გაიღვიძა სამკვდრო-სასიცოცხლო სიძულვილმა საზიზღარი ჯალათების მიმართ. ერთი წუთით შევყოყმანდი, ვერ გამოვრკვეულიყავი — რა მემართებოდა. ჩემს წინ ხიშტით განგმირული ახალგაზრდა დედა ეგდო, იქვე ჩვილი ბავშვი ქვაზე დაენარცხებინათ და თავი გაეპობათ. თვალთ დამიბნელდა. ჩემთვის არაჩვეულებრივი ძალა ალარ ჰქონდა იმ პროპაგანდას, რომლითაც ყურები გამოგვიტენეს — გერმანელებს საშიშროება უნდა გადავუბადოთო...

უეცრად თავში ნაგანის ტარი მომხვდა და მიწაზე დავემხე. მეტი ალარაფერი მახსოვს. როცა გამოვერკვიე, ცხვირში ნაცრის მწარე სუნი მეცა. ბოსელში ვიყავი დამწყვდეული. შიგ საქონელი ალარ იყო — ყველა გაეყვანათ დასაკლავად.

— ჰმ! — ჩაფიქრდა ჩემთვის, გამახსენდა ნაგანის ტარის დარტყმა, უგონოდ მიწაზე დაცემა. არ გამოვიქეცი რუს ბოლშევიკებს გერმანელი ქალებისა და ბავშვების ასაყლეპად, სამაგიერო ასე გადაბიხადეს. მიკვირდა — რატომ იქვე არ მომკლეს, გაინ მათთვის ეს ძნელ საქმეს წარმოადგენდა! არაჩვეულებრივი დამთმენობა, როგორ გვისწორდებოდნენ განსაკუთრებით ჩვენ, ქართველებს სულ უბრალო შენიშვნისათვისაც კი. ჯერ კიდევ ლატვიაში, ფრონტზე ყოფნისას ერთ ჩემს ამხანაგს, ქართველ წითელარმიელს, სანივთე პარკში გერმანული ენის სახელმძღვანელო და პატარა ლექსიკონი უპოვნეს. წიგნები ისევ საბჭოთა ხელისუფლების მიერ იყო გამოცემული წითელ არმიაში სამსახურებლად. მხეცსავით ალრიალდა კომისარი, ფაშისტი, სამშობლოს გამყიდველი, მოღალატე და ვინ იცის, რა არ უწოდა უდანაშაულო ჯარისკაცს, რომელიც თავისუფალ წუთებს ფრონტზე ყოფნისას გერმანული ენის შე-

სწავლას ანდომებდა. განაჩენი მოცლე იყო და მარტივი — დახვრეტა! სულ თვრამეტი წლის ახალგაზრდა, რომელსაც არასოდეს უფიქრია გერმანელების შპარეს გადასვლაზე ან „სამშობლოს“ ღალატზე, ავტომატით დაცხრილეს და ბომბის ძაბრში ჩააგდეს.

ამ ამბის შემდეგად მილებული სასჯელი თითქოს დიდი არ გამოდგა, საჯარიმო ათასეულში გადამიყვანეს და ფრონტის უცელაზე მოწინავე პოზიციებზე გამგზავნეს. ასეთი საჯარიმო ათასეულებისა და ასეულების რიცხვი ყოველდღიურად მატულობდა და ბოლოს წარმოუდგენელ რაოდენობას მიაღწია. აქ იყვნენ ყოფილი სისხლის სამართლის დამნაშავენი, უდისციპლინონი, პოლიტიკურად შენიშნულნი, მეტწილად არარუსი ხალხების წარმომადგენელნი.

ჩვენი ათასეული მთელი დღელამის განმავლობაში საფორტიფიკაციო სამუშაოებს ასრულებდა მოწინავე ზაზზე. თუ ცოტა თავისუფალი დრო დაგვრჩებოდა, მაშინაც არ გვასვენებდნენ — ნაღმების ამოსაღებად გვგზავნიდნენ, ყველაზე სახიფათო და ძნელ დავალებებს გვაძლევდნენ, გადარჩენა მხოლოდ რამდენისამე კაცს შეეძლო.

ერთ დღეს სამ ქართველს დავალება მოგვეცა, მუცელზე ხოხვით გადაგველახა დანაღმული ველები და ცნობები მოგვეტანა მოწინააღმდეგის განლაგების შესახებ. წამოვედით. უცან დაბრუნების იმედი არავის ჰქონდა. გზაში ნაღმი გასკდა და მესამე ამხანაგი ნაფლეთებად აქცია. ჩვენ ორნი ალბათ განგებამ გადაგვარჩინა. მაგთულკლართებს რომ მივაღწიეთ, თქვენ ჩაგვიქცეთ ხელში და ეხლა, ვფიქრობთ, ჩვენი სიცოცხლე უკვე დაზღვეულია.

— რა ვიდგომარეობაა ზურგში, როგორ ეპყრობიან მოსახლეობას? — ვეკითხებოდით მათ.

— როგორც საჯარიმო ათასეულში მყოფთ, აკრძალული გვქონდა წერილების გაგზავნა და მიღება, ამიტომ ღრმა ზურგის შესახებ ვერაფერს გეტყვით. სამაგიეროდ, ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ ეპყრობოდნენ ბოლშევიკების მიერ კვლავ დაკავებულ აღმოსავლეთის ოლქებში ადგილობრივ მოსახლეობას. ყველა ძამაკაცი, ბავშვები და მოხუცებიც კი, მყისვე გამოიძახეს და წითელი არმიის მოქმედ ნაწილებში ჩარიცხეს, ამასთან ყველა მათგანი მოგალე იყო საკუთარი ტანსაცმელითა და საკვების მარაგით გამოცხადებულიყო. ამ სახით იგზავნებოდნენ ისინი პირდაპირ მოწინავე პოზიციებზე. ქალები და ბავშვები აჰყარეს და ციმბირს გაუყენეს ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაოდ. აღნიშნულ ოლქებში საშინელი შიმშილი და სილატაკე გამეფდა. მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი იძულებული იყო ამ აუტანელი მდგომარეობისათვის ტყეში გასულით ეპასუხა. გაჩნდნენ პარტიზანული ჯგუფები, რომლებიც აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ბოლშევიკი მოძალადეების წინააღმდეგ. ვინც ტყეში გასვლა ვერ მოახერხა, შემოსეულ ურდოებს

სარდაფებში, მიწურებსა და თივის ბულულებში დამალვით არიდებდა თავს. შინსახკომის საგანგებო რაზმებს დაფალებული ჰქონდათ ასეთი ხალხის აღმოჩენა. ისინი ხიშტებით იჭრებოდნენ სარდაფებსა და მიწურებში, ჩხრეკდნენ ძნებსა და ბულულებს და თაეშეფარებულთ ადგილზევე უსწორდებოდნენ...

მოხ. შ. ბარელი.


# „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

№ 7 (135) გამოც. მე-4 წელი. ბერლინი, 19 თებერვალი, 1945 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი


## ურყევი რწმენით

როგორც გერმანიის, ისე უცხოეთის პრესაში ბევრი იწერებოდა იმ დიდი შეტევითი ბრძოლების მომზადებისა და დაწყების შესახებ, რომელსაც საბჭოები აწარმოებენ, დაწყებული 12 იანვრიდან. მრავალი „წინაპირობა“ გამართლდა, მაგრამ მრავალი გაცრუვდა და ისტორიას ჩაბარდა. როგორც ყოველთვის, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე წარმოებული ბრძოლების ანალიზი გვიჩვენებს და მიმდინარე ომმაც ეს დაგვიმტკიცა, რომ ყველა დიდი შემოტევები, ალწევენ რა თავისი განვითარების კულმინაციურ წერტილს, ჰკარგავენ ძალას და ეშვებიან უკან, დასაწყისისაკენ. სტალინის მიერ წარმოებული გრანდიოზული შემოტევა სწორედ ასე განვითარდა. მან მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს, მაგრამ უმაღლეს მიზანს კი — ვერავითარ შემთხვევაში. ჩვენი მტრები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან, რომ ომის მსვლელობაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს იალტაში ეხლახანს დამთავრებული სამთა კონფერენცია, ისე, როგორც ამას თეირანის კონფერენციამ ვერ მიაღწია. სტალინს, ჩერჩილსა და რუზველტს შეუძლიათ მრავალი დადგენილება გამოიტანონ, მაგრამ ჩვენი რწმენა და მისწრაფება სულ სხვაა და ვერავითარ შემთხვევაში მათ სურვილებს ვერ შეურიგდება.

მალე მესამე წელი შესრულდება, რაც კავკასიის ერების: ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და ჩრდილოკავკასიელების მოხალისეთა შედგენილი ლეგიონები უდიდეს დახმარებას უწევენ გერმანელებს ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში და მათთან ერთად, მხარდამხარ იბრძვიან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათ-

ვის. ჩვენ გვწყმს, რომ გავიმარჯვებთ! ეს რწმენა არ არის ფანატიკური, არამედ მრავალმხრივ გამოცდილ ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა. ისე, როგორც წარსულში, კავკასიის ერები გაჭირვებისა და დალხინების დროს ერთმანეთს მხარში უდგნენ, დღესაც როდესაც ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმე საფრთხეში ჩავარდა, კავკასიის შიწის შვილებმა გადაწყვიტეს ერთიმეორესთან ხელიხელჩაკიდებულმა და მტკიცე კავშირში იბრძოლონ ბოლშევიკების წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ამ მიზნის წარმატებით შესრულებისათვის გასულ წელს კავკასიის ერების საკავშირო შტაბების წარმომადგენელთა შიერ შექმნილ იქნა სპეციალური დელეგაცია, რომლის მიზანი იყო ხელმძღვანელობა გაეწია საერთო კავკასური საქმისათვის კავკასური კომიტეტის ჩამოყალიბებამდე.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ ცნობას აღნიშნული კომიტეტის შექმნის შესახებ, რაც უეთუოდ უაღრესად პროგრესული ნაბიჯია ჩვენს შეშაობაში და აშკარად ლაპარაკობს იმ დიდ მონდომებაზე და სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილზე, რომელიც დღევანდელი დღის სიმთელემ კი არ შეასუსტა, არამედ ერთიანად გაზარდა. ყველა ქართველი, აზერბაიჯანელი თუ სომეხი, ღრმად დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიმარჯვებთ, თუ საამისოდ ყოველგვარ საშუალებას გამოვიყენებთ და ყველა ძალებს დავძაბავთ ამ მიზნის მისაღწევად. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ იმარჯვებს მხოლოდ ის, ვისაც ნერვები მტკიცე აქვს და გამარჯვებაში დარწმუნებულია. წარსულში ეს თვისება ჩვენს მამა-პაპათ საუკეთესოდ ახასიათებდა, დღეს ჩვენც შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა გვაძალებს გავაერთიანოთ ყველა ჩვენი ძალები, განვამტკიცოთ ჩვენი რიგები და გერმანიასთან მჭიდრო კავშირში მოვიპოვოთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

## კავკასიის ერების ერთიანობისათვის

აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის საკავშირო შტაბებმა და ჩრდილო-კავკასიის ნაციონალურმა კომიტეტმა, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ აღნიშნული ერების ერთადერთ და სრულუფლებიან წარმომადგენლებს, გადაწყვიტეს დააარსონ კავკასიური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

**აზერბაიჯანის საკავშირო შტაბიდან:**

1. ალიბეკოვი,
2. მაიორი დუდანგინსკი,

3. დასახელებული იქნება მომავალში;

**საქართველოს საკავშირო შტაბიდან:**

1. კეკია,
2. მალალაშვილი,
3. კაპიტანი გაბლიანი;

**სომხეთის საკავშირო შტაბიდან:**

1. ჯამალიანი,
2. პოლკოვნიკი სარქისიანი,
3. პოლკოვნიკი ტიგრისი;

**ჩრდილო-კავკასიის ნაციონალური კომიტეტიდან:**

1. კანტემირი,
2. მაგომა,
3. დასახელებული იქნება მომავალში.

კავკასიური კომიტეტის მიზანია: გაერთიანება, კოორდინაცია და ხელმძღვანელობა მთელი იმ საქმიანობისა, რომელსაც დღეს აწარმოებენ კავკასიის ერების წარმომადგენლები, რათა ამ გზით უფრო ნაყოფიერი ბრძოლა ჩაატარონ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების, აღდგენისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

## „საქართველო“

№ 10 (138) გამოც. მე-4 წელი. ბერლინი, 12 მარტი, 1945 წ.

ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი

## შეგილწეს გლიუხერის საფლავი

გერმანელმა გრენადერებმა, რომელთაც ხელახლა დაიკავეს სოფელი ბლიუხერსრუ ქალ. კანტთან (სილეზია), აღმოაჩინეს, რომ ბოლშევიკებს გაეთხვრებინათ ცნობილი გერმანელი მხედართმთავრის ბლიუხერის მავზოლეუმი. ლითონის კუბო გაეტეხათ და განსვენებულის მუნდირიდან მოეხსნათ ოქროს ნიშნები. განადგურებულია აგრეთვე მარშლის 5 ათასკაციანი საფლავებიც. მათი ნაშთები ამოყრილ იქნა საფლავებიდან, ხოლო ძვირფასი ნივთები დატაცებული.

# „სამშობლოს მოღალატენი“

## ტყვე ჭითელარმიელთა ნაამბობიდან

აღმოსავლეთის ფრონტი...

ღამის სიჩუმეს შორეული საარტილერიო სროლა არღვევს...

ჩვენს სანგარში ქართველი მოხალისეები ფსიზლობენ. მტერი აქტიუროს, მოსალოდნელია მცირე ჯგუფების უეცარი თავდასხმა...

მავთულხლართებთან რაღაცამ გაიფაჩუნა. მებრძოლებმა სუნთქვა შეაგუბეს. ბრძანება: მტერი ახლო მანძილზე იქნას მოშვებული! ერთი წუთით ჩაშიჩუმი შეწყდა. თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ნუთუ წყვდიადმა შეგვიყვანა შეცდომაში!..

შორიახლო მსხვილი ყალიბის ყუმბარა გასკდა და გაყინული მიწა ერთ მეტრზე ამოთხარა. ძაბრიდან სუსტი კვამლი ამოვარდა და ღამის სიბნელეს შეერია...

— იყუჩეთ, ბიჭებო, — ხმამაღლა ქართველმა ეფრეიტორმა ამხანაგებს, — ყუმბარის გასკდომამ მავთულხლართები დაგვავიწყებინა. შეხედეთ, ჩვენკენ მართლაც ვიღაცეები მოიწევენ. სამტროდ არ უნდა იყვნენ ეს რუსები ჩვენს მიმართ განწყობილი!

სანგრის ახლოს ხიშტის წვერზე წამოცმული თეთრი ცხვირსახოცი აფრიალდა, რასაც რუსულად წართმოთქმული რამდენიმე სიტყვა მოჰყვა. ქართველმა მეგობრებმა დაასკვნეს, რომ ისინი სამოყვაროდ იყვნენ მოსულნი და დამიზნებული შამბანები ძირს დახარეს. ახალმოსულნი სულ ექვსნი იყვნენ, ყველა რუსები, ხუთი წითელარმიელი და ერთი გვარდიის ლეიტენანტი. ქართველმა მოხალისეებმა ისინი სასწრაფოდ განაიარაღეს და ახლომდებარე ნაწილის შტაბში გაგზავნეს.

•

გვარდიის ლეიტენანტმა მრავალ სხვა საინტერესო ცნობასთან ერთად, სიტყვასიტყვით შემდეგი გვიჩვენა:

— გერმანიის ტერიტორიაზე ფეხი რომ შემოვდგით, სარდლობისაგან სპეციალური საიდუმლო ბრძანება მივიღეთ — გაგვეანდგურებინა ყველა და ყველაფერი, რაც ჩვენს წინსვლას ხელს შეუშლიდა. გამხეცებული ჭითელარმიელები ახგრევდნენ, წვავდნენ და ნაცარტუტად აქცევდნენ საცხოვრებელ სახლებს, იტაცებდნენ ქონებას, აუპატიურებდნენ ქალებს და ხიშტებზე აგებდნენ მცირეწლოვან ბავშვებს... ისინი განსაკუთრებით სამშინლად ექცეოდნენ აღმოსავლეთის მოსალისეებს, როდესაც ისინი ხელში უვარდებოდნენ. აღმოსავლეთ პრუსიაში ერთ გერმანულ ნაწილს ალყა შემოვარტყით. ისინი უკანასკნელ ვაზნამდე

გვიწევდნენ სასტიკ წინააღმდეგობას, მაგრამ ბოლოს ტყვიამწამლის გამოლევის გამო ველარ გაანაგრძეს თავდაცვა. ჩვენ ისინი ტყვედ ჩავიგდეთ. გერმანელთა შორის ერთი ქართული ათეულიც აღმოჩნდა. უნდა გენახათ, როგორი მზეცური ჟინით მივარდნენ წითელარმიელები ქართველებს — იქვე, ადგილზე თოფის კონდახებით კბილები ჩაუმტვრიეს, შემდეგ კი ნახევარაღმცქდარი ჯარისკაცები მანქანით სადღაც წაიყვანეს.

მეორე დღეს მათი გვამები ბომბის ძაბრში ვიპოვეთ ავტომატის ტყვიებით დაცხრილული. მიწაც კი არავის მიეყარა.

— ამის შესახებ უფრო საინტერესო ამბებს მოგიყვებით, — თქვა ერთ-ერთმა წითელარმიელმა. — მე თვითონ ეროვნებით რუსი ვარ, საქართველოში, ლაგოდეხში დაბადებული. ჯარშიც დიდი ხანი არ არის გამიწვიეს. ორ კვირას ლაგოდეხში დავყავი, სადაც სანგრებით მომზადებას გავდიოდი... ერთ დღეს სოფელში ხმა გავრცელდა — გერმანიიდან „სამშობლოს მოღალატე“ ჩამოიყვანესო. მართლაც, ორიოდე დღის შემდეგ მთელი სოფელი გარეთ გამოერეკა. ლაგოდეხის შუაგულში, ერთ ამაღლებულ ადგილას, სახრჩობელა მოეწყოთ. ხალხი აიძულეს მასთან ახლო მისულიყო. „სამშობლოს მოღალატე“, შინსახკომელთა მთელი რაზმის თანხლებით, სახრჩობელაზე ამოყავნეს. ხალხს გააჟრჟოლა და ოხვრა აღმოხდა. ღიპიანმა ურიამ, რომელსაც შინსახკომის სპეციალური ჯარების მეთაურის ფორმა ეცვა, ორიოდე სიტყვით განუმარტა ხალხს, რომ „სამშობლოს“ ამ ფაშისტმა გამყიდველმა „ულალატა“ თავის ხალხს, გერმანელების მხარეზე გადავიდა და შემდეგ, როგორც ქართველ მოხალისეთა ნაწილის ოფიცერი, იარაღით ხელში ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებასო. როგორც განსაკუთრებული მძიმე დანაშაულის ჩამდენი, იგი გამოგზავნილ იქნა თავისივე სამშობლო სოფელში, რათა მთელი სოფლის წინაშე ავიდეს სახრჩობელაზეო...

წითელარმიელი შეჩერდა. ეს ამბავი ჩვენთვის აქამდე უცნობი იყო და ამიტომ საკმაო გაოცება გამოიწვია. ჩვენ ვიცოდით, რომ მოხალისეებს ბოლშევიკები ახრჩობენ, მაგრამ სამშობლოში ჩამოხრჩობა კი, როგორც სჩანს, სტალინელების ახალ გამოგონებათა სერიას განეკუთვნება. ტყვე წითელარმიელს კვლავ ვეკითხებით: თუ ხართ მოწმე იმისა, როგორ უსწორდებიან ჩვენს მოხალისეებს თვით გერმანიის ტერიტორიაზე?

— როგორ არა, სიღნაღში ჩემი თვალით ვიხილე შემდეგი სურათი: შეტევაზე გადმოსასვლელად ვემზადებოდით. გვერდზე, ტყიდან უეცრად სამი გერმანელი ჯარისკაცი გამოძვრა, უიარაღონი იყვნენ, მოგვიახლოვდნენ და ხელები ასწიეს. სამივე ქართველი მოხალისენი

გამოიდგნენ. მათ განაცხადეს, რომ ჩვენთან უნდოდათ ყოფნა და ამის დასამტკიცებლად დასძინეს, რომ საიდუმლო სამხედრო ცნობების გადაცემა შეეძლოთ. ისინი მაშინვე ათასეულის შტაბში მიიყვანეს. დაკითხვის შემდეგ ალმოჩნდა, რომ ერთი მათგანი პარტიის რაიკომის ყოფილი მდივანი. ხოლო დანარჩენი ორი — პარტიული მუშაკები ყოფილიყვნენ. მე იმ დღეს ათასეულის შტაბში მარბიელად ვიყავი, ხის ბარაკის მეორე ოთახიდან ყური მივუგდე და დაკითხვის მთელი შინაარსი მშვენივრად გავიგე. ახალმოსულნი უმტკიცებდნენ კომისარს, რომელიც მათს დაკითხვას აწარმოებდა — ჩვენ გერმანელებთან ვიყავით, როგორც თქვენი ხალხი და ხელსაყრელ მომენტს ვუცდიდით, რათა ისევ თქვენთან გადმოვსულიყავითო...

დაკითხვა დასრულდა. ბანაკში ოთხი შეიარაღებული შინსახკომელი შემოვიდა და ქართველები გარეთ გაიყვანა. მთელ კვირას მათს შესახებ არაფერი გაგვიგია. ალბათ საჯარიმო ათასეულში გაგზავნეს-მეთქი — ვფიქრობდი.

ერთ დღეს ჩემი ამხანაგი, რომელსაც სოფლის საწყობი გაეტეხა და არყით გალეშილიყო, გამომიტყდა, ქართველები გუშინწინ ღამით ხევში დაკვირიტეთ, სპეციალური განყოფილების ბრძანება გვქონდაო, ამსათანავე გაგვაფრთხილეს, ეს ამბავი სასტიკ საიდუმლოებად უნდა შეგვენახაო...

მოღალატე მოხალისეები ჰფიქრობდნენ — ალბათ ოროო კვირას შვებულებასაც კი მოგვცემენო, მაგრამ საშინლად მოტყუვდნენ. თავიანთი ეს ნაბიჯი მათ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ...

მოხ. ე. შ.

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

## რუპოლდინგი — ქართველ ლეგიონერთა დასასვენებელი სახლი


### (1943—1945)

საქართველოს აკადემიის კ. კეცელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებულ გაიოზ მაღლაკელიძის არქივში დაცულია ე. წ. „სტუმრის წიგნი“, სადაც ქ. რუპოლდინგში დამსვენებელი ქართველი ლეგიონერები თავიანთი შთაბეჭდილებებისა და მადლობის გამომხატველ (ხშირად ლექსის ფორმით) ჩანაწერებს ათავსებდნენ.

წიგნს ზემოდან აწერია — „რუპოლდინგი. ქართველ ლეგიონერთა დასასვენებელი სახლი. სტუმრის წიგნი. 6 ნოემბერი 1943“. აქ ჩანა-




პოლკოვნიკი შალვა მაღლაკელიძე, სოფ ურუხი - ოსეთი. 1942 წ.



1942 წლის 26 მაისი, პოლონეთი, ქ. ვესიოლასთან.
ქართული ბატალიონების წინ დამოუკიდებელი საქართველოს დროშას აღმართავენ შ. მაღლაკელიძე (ჩოხაში) და გენ. კესტრინგი.



შალვა მაღლაკელიძე და ხოხო ლომთათიძე. 1943 წელი, პოლონეთი.



პოლკოვნიკი შ. მაღლაკელიძე თავის სახელობის ბატალიონთან.



შალვა მაღლაკელიძე მეუღლითა და ქალიშვილით აკრობატში. 1950 წ.



გაიოზ შალვას ძე მაღლაკელიძე. 1980 წელი, ქ. მოუნხენი (დაიბადა თბილისში 1920 წლის 29 მაისს, გარდაიცვალა ქ. მოუნხენში 1989 წლის 29 მაისს).



ქართული ცხენოსანი ლაშქარი



ქართველი დაჯგუფული ლეკიო. ბ-ს მიერ.

ქართული ათასეულის მეთაური ესაღმება უცხოელ ჟურნალისტებსშორის პატივსაცემად მოწყობილ სალაშქრეზე ნინო ქართველ დაჭრილ მოხალისეებთან ერთად.

# ქართული ოცნება

GEORGIEN

## „ჩვენ ბავშვისთვის ბრძოლაზე...



# ეროვნული ბიბლიო



ბრძოლისა და გამარჯვების ათი წელი



# ჩვენც თქვენთან ვარ თ მებრძოლო ძმებო!


## (წერილი ფრონტელ ლეგიონერებს)









## ერთიანი ქართული ეროვნული ეროვნული




ნახატი ლეგიონერი მხატვრის ი. ევგენიძისა.




ქართველი და გერმანელი ხალხის სოლიდარობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ქართუ
ლეგიონერთა მიერ გერმანელი ბავშვებისათვის მიძღვნილი საშობაო საჩუქრები... პატარა სტუმრის მი
მილებულმა ყილდემ დედა უზომოდ გაახარა.



დილის სუფთა პაერზე. ქართველი ლეგიონერები მიდიან ლაშქრობაზე.



პოლკოვნიკი შ. მაღლაკელიძე სიტყვით მიმართავს ქართველ ლეგიონერებს.



ქართული ლეგიონის ტრადიციული დროშები.

რესელიძე — ილ. გ. წულუკიძე — ილ. ლ. ცეცხლაძე
ლიძე — ილ. შ. ჯაფარიძე — ილ. გ. გაბაშვილი
ილ. ან. ანდრონიკაშვილი — ილ. ლ. ყაზბეგი
ლი — ილ. მ. ქავთარაძე — ილ.


პატივისცემით თქვენს დაღუპულნი.

ქართველ ლეგიონერთა ოჯახების დამხმარე სალარის ფონდის განკარგულებაში ნებაყოფლობითი შემოწირულების სახით დაღებული თანხა შემოტანილი უნდა იქნას შემდეგი მისამართით: Postscheckkonto, Berlin, 29653 für Dresdner Bank — konto Nr. 3232.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლ. ლინი

რედაქციის მისამართი:
Georgische Zeitung „Sakartwelo".
Berlin W 7, Dorotheenstraße 64

ქართული სტამბა არჩილ შეტრეველისა



მეცადინეობის დამთავრების შემდეგ. ტყეში სუფთა ჰაერზე ლეგიონერები ხალისით უელიან საბრძოლო ხარაულს.

ნალტყორცნის გათვლა ტაქტიკურ მეცადინეობაზე. ამგვარი ლეგიონერებს აჩვენებს ცეცხლის მიმართულებას.

ქართველი მოხალისეები საველე მომზადებაზე.



ქორფელი მაყურებელი შტადიონის ტრიბუნებზე.

წარმოდგენილ ფოტოსურათზე დაკვირვებით - ტრიბუნის მეზობელი პოდპოლკოვნიკი შტატსი ათწლიერებს ლეგიონერია რასებს, ალბათ წლების შემდეგ. მარჯვნივ ლეგიონერია ერთი ჩვენი




გერმანელი ოფიცრები სასპორტო დღესასწაულზე.









საველე ბატალიონის ერთერთი ახალი ბრუნდება ლაშქრობიდან. საზენიტო ტყვიამფრქვევის საგუშაგო წერტი. გერმანელი ქალიშვილები დასვენების დროს.




გერმანელთა მოტომექანიზებული ნაწილი გადადის მდინარეზე.




მძიმე მკლავნიობის შემდეგ კარგია გართობა. სპორტული თამაში ქართულ საველე ბატალიონში.




ქართული საველე ბატალიონი „ჟერიშზე".



26 მაისის აღსანიშნავად გამართული სუფრა ქართულ ასეულში.



გიორგი სააკაძის დროშის საბრძოლო ნაცლობა.



ქრონული სამთო ასეულის ცხენოსნები.







უძლეველი გერმანიის და მისი მოკავშირეების იარაღი, რომელმაც ისტორიაში ჯერ არნახულ გამარჯვებებს მიაღწია. გერმანიის მძიმე ყუმბარმშენი ინგლისზე თავდასხმის წინ. რუმინეთის არმიის ერთ-ერთი ნაწილის ყარაული შავი ზღვის სანაპიროზე.



ქართველი ცხენოსანი ლევიორერი.



ქართული ათასეულის შეიარაღი ესალმება უცხოელ ჟურნალისტებს მათ პატივსაცემად მოწყობილ სალამოზე.




ქართული ლეგიონი. მებრძოლები.



ბრძოლის მესამე წელსაც ქართველი მოხალისე გამარჯვების შეურყეველი რწმენით იბრძვის საბოლოო გამარჯვებისათვის.

# ᲐᲠᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲔᲠᲫᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ნ ი ს ლ -
მ ფ რ ქ ვ ე ვ ი





## დიდება მამულის მსხვერპლ[illegible]

ილუსტრირებული ყოველკვირეული ჟურნალი

# ბიბლიაში ახალ წელს!






საქართველოს დემოკრატიული
ერთიანი დამხმარე საქველმოქმედო ფონდი

[illegible]

[illegible]

[illegible]



ფრონტზე მყოფი ჯარისკაცი არასოდეს არ იეწყებს თავის ოჯახს, მშობლებს. იგი ყოველთვის პოულობს თავისუფალ დროს სახლში წერილის მისაწერად.



მომღერალთა და მოცეკვეეთა ქართული გუნდის გამოსვლა საზეიმო საღამოზე.



ქართული ლეგიონის ძირითადი გუნდის მოცეკვავენი.



პარიზის ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფი ა. დარეჯანიძის ხელმძღვანელობით.

რესელიძე ბი. გ. წულუკიძე ბი. ლ. ყურუშ-
ლიძე ებ. შ. ჯაფარიძე 100. გ. გამყრელიძე
ბი. ან. ანდრონიკაშვილი 100. ლ. ყაზბაშვი-
ლი ბი. მ. ქავთარაძე — ბი.

პატივისცემით თენგიზ დადეშქელიანი.

ძართველ ლეგიონერთა ურთიერთდამხმარე სალაროს ფონდის გასაძლიერებლად ნებაყოფლობითი შემოწირულების სახით გაღებული თანხა შემოტანილი უნდა იქნას შემდეგი მისამართით: Postscheckkonto, Berlin 25053 für Dresdner Bank — konto Nr. 3232.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლ. ლინი

რედაქციის მისამართი
**Georgische Zeitung „Sakartwelo".**
**Berlin W 7, Dorotheenstraße 64**

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა



ქართველი მოხალისეები საველე მომზადებაზე.



ისინი კითხულობენ მშობლიურ გაზეთს...



აღმოჩენილი გვამები ვინიცკის ახლოს.



ქართველი ოფიცრები.



გერმანელი ექიმი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში, ქართულ სანგს უმღერის ჩვენი მოხალისეთა გუნდის წევრებს.

…ვეზე თეოფილაქტეს კუთხეში, უკანასკნელ…
…ერკვესტანელთა ბაზარში, გთხოვთ სა…
…ცნობად რედაქციის თანახმად ადგილის…
…ლი და საველე ფოსტის ნომერი.

* ბ. სვანელს: თქვენი წერილები „ბრძოლა და ბატონი კაბი“ და „ერთი თავისუფლების ომის ამბავის შესახებ“, კარგია, უახლოეს ნომერში რედაქციის შესაძლებლობისამებრ გამოვაქვეყნებთ.

* ბ-ნ. ი. შ-ს: თქვენი ლექსები „ასისტენტი“, „ბარტყული“, „შენი სიცოცხლე“ და „ტრაგედიის დამაკმაყოფილებელია. ...ლექსის ...ელს“ ახლო მომავალში დავბეჭდავთ.

* ბ-ნ. ლ. ლ. ლიტერატურა: თქვენი ...ლექსის ბედნიერების დავეძებ გულით“ და ...ლექსი გამოყენებული იქნება ...ლიტერატურულ ...ურცელში“.

* ბ-ნ. ზ. აბაშისკირელს: ...ლექსი ...ბი საქართველოს ისტორიიდან ...ლექსს ...ნველვენ მკითხველებში. რედაქცია ...ლშიც მოგვწოდოთ ახალი ხასიათის ...ლექსები.

* ბ-ნ. ამშარს: გვაცნობეთ თქვენი ...ლექსის ...ელი და საველე ფოსტის ნომერი. რედაქცია ...ელის აგრეთვე თქვენი შემოქმედების ...ლი ნაწარმოების მიღებას.


პასუხისმგებელი რედაქტორი
კაატა ვარძიელი
რედაქციის მისამართი
Georgische Zeitung „Sakarthwelo“
Berlin SW 68, Neuenburgerstr. 14.



თავისუფალი მიწა განთავისუფლებულ ხალხს. გერმანიის მთავრობის დეკლარაციით აღმოსავლეთის განთავისუფლებულ ოლქებში დაწესებულია ქერძო საკუთრება მიწაზე. ამიერიდან თავისუფალი მშრომელი გლეხი მიწის ბატონ-პატრონია.



ნაწილში მოვიდა ქართული გაზეთის ახალი ნომერი.



ქართველ მოხალისე მომღერალთა გუნდი ატლანტიკის სანაპიროზე.



ქართული საკავშირო შტაბის თანამშრომლები.




გერმანელი ოფიცრები სასპორტო დღესასწაულზე.



ობერლეიტენანტი გივი გაბლიანის დაკრძალვა I კლასის ძმაკაცობის ჯარდენით.



ქართველი ლეგიონერების მიერ საშობაო პარტრების გადაცემა საბერო თავდასხმისგან დაზარალებული ბავშვებისადმი. ბავშვების სიხარულს საზღვარი არა აქვს. მათ არასოდეს დაივიწყებენ ქართველების სახელი - აცხადებენ დახარჯრებულ ბავშვთა დედები...





უცხოეთის პრესის წარმომადგენლები ქართულ ათასეულში ატლანტიკის სანაპირობე: ქართული ათასეულის მეთაური ესაუბრება იაპონელ ჟურნალისტს.





მებრძოლთა კულტურული დასვენება.



ქართველი მებრძოლი აღმოსავლეთის ფრონტზე.


ამ ანგარიშის მიღებაზე
დარეკილები აღძრულებელი
**გრ. ჩალუნელი.**

**წერილები უნდა გამოიგზავნოს**
**შემდეგი მისამართით:**
**Georgische Zeitung „Sakarthwelo"**
**Potsdam, am Minenberg, Baracke 47.**


მოხ. ჩ. გეგთარი.



ქართველი მოხალისე შობის ხესთან.



ქართველი ლეგიონის მეთაური კაპიტანი ს. კობიაშვილი და მისი ადიუტანტი ნ.



ცალფეხმოჭრილი მოხალისე პროტეზის გაკეთებაზე და შეძღვა.



ქართველი პროპაგანდისტები.



გაზეთის ახალი ნომერი ნაწილში




რუსოლდინგი, 1943 წლის 11 ნოემბერი. პირველი ქართველი დამსჯელები შუაში - პოლკოვნიკი შალვა მაღლაკელიძე.



ქართველი მოხალისენი ლტოლვილებს გერმანულ განმასხვავებელ ნიშნებსა და საბრძოლო ჯილდოებს.




მეგობრების შეხვედრა ერთ-ერთ ქართულ დანაყოფში.




ქართული სამხედრო ტრიო ჯაჭვი





სამკერდე ნიშანი - ფარი.



"ქართული მხედართა დარაზმულობის" (1954წ)
სამკერდე ნიშანი - "დავით აღმაშენებელი".

წერები გაუცვეთებიათ შემდეგ ლეგიონერებს: გიგა ლუარსაბიშვილი, გ. ბექაია, შ. მშვიდობაძე, ბ. ხაშბა, ს. კურტანიძე, ილია ჟღენტი, მაღალაშვილი ლადო, ასმეთაური ზაჭარია ოქრუაშვილი, ვ. თურქია, ა. ჭითანავა, გ. გაგრშელი, კ. ბერაძე, ხაინდრავა, წიკლაური, ჩხიკვაძე, ი. ცომაიძეთელი, გ. ჯღამაძე, ბ. კიკნაველიძე, ნ. კიტია, ლევ. ხუროძე, ვ. ბერაია, დ. ტორონჯაძე, დ. თაბორიძე, მ. მამულაშვილი, ი. კუპუხიძე, შ. სტურუა, ი. ტატიშვილი, ი. ყიფიანი, ჩხაიძე, დ. სვინტრაძე, გრიშა ჰატარაია, ვალიკო ბერაია, ნ. ფაცურია (რუსულად), ა. ლურწკაია, მ. ბერიაშვილი, არჩილ ფურცელაძე. ჩიტაძე შაქრო, ნანიევ სადო, პ. ფალავა, ტ. ჭიპაშვილი, კ. დოლიძე, „ბერეშმანები“: ვ. ჭყონია, შ. ჩიჩუა, ა. თაყაიშვილი, შ. დადიანის „ესკადრონი“. ნოდარი იასონიძე, გვედევან კაციტაძე, არქიპო მაისურაძე, ვ. ყაზბეგი, ბიჭიკო მეშვრელიშვილი, იოსებ ციცქიშვილი, კ. თირქია, ი. მაღრაძე, მ. შონია, ვ. გოგოძე, ა. დათიშვილი, ა. ხვანიძე და სხვანი და სხვანი.

ბოლო ჩანაწერი დათარიღებულია 1944 წლის 2 აგვისტოთი. ხელს აწერენ: კ. დავითაშვილი, დ. ქვლივიძე, რ. უჩაძე და სხვანი.

## ლორდი გეტელი

### უკანასკნელი საიდუმლო *

ინგლისელთა რაზმს ასევე აცნობებს (ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის გაზაფხული, ვ. რ.), რომ სასაზღვრო ადგილ ფორნი ავოიტრასთან (ავსტრიის საზღვართან იტალიის მხრიდან, ვ. რ.) დაბანაკებულია რამდენიმე ათასი ქართველი. ბეიტსი წერს, რომ ქართველები საუკეთესო დამოკიდებულებაში იყვნენ ადგილობრივ იტალიელ მოსახლეობასთან, მაგრამ მათსა და კაზაკებს (გერმანელთა მხარეზე მყოფნი, ვ. რ.) შორის ყდებოდა სისხლიანი შეტაკებები. როგორც ყოველი ინგლისელი, ბეიტსიც გაოცებული იყო ამ ძველ მებრძოლთა შესახედაობით: ეს ქართველები წარმოადგენდნენ მეფის რუსეთის არისტოკრატიულ ატავიზმს. მათი ოფიცრები, რომელთაგან ათი თავადი იყო, ბრწყინვალე ფორმებში ჩაცმულნი, თავიანთ ჯარისკაცებს ყმებსავით ეპყრობოდნენ. მრავალი მათგანი ომის დაწყების წინ ტაქსის მძღოლად მუშაობდა პარიზში. სწორედ აქ, ფეხოსანი ვეტ-ცენტის პოლკის ჩა-

---

* Николас Беттелл, «Последняя тайна», пер. с англ., М., 1992, стр. 95—98. ამ წიგნში ავტორი მოგვითხრობს გერმანელთა მხარეზე მებრძოლ კაზაკთა ტრაგიკულ ბედზე, რომელნიც ომის დამთავრების შემდგომ ინგლისელებს ტყვედ ჩაბარდნენ, ხოლო ამ უკანასკნელებმა ისინი საბჭოელებს გადასცეს. აქვე ახსენებს ავტორი ქართველებსაც.

მოსვლის წინ, ქალაქი შეაშფოთა გასროლის ხმებმა და მოსახლეობა დაიმალა სახლებში. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ერთმა ქართველმა ოფიცერმა მოკლა მეორე დუელში.

ქართველები ტყვედ ხალისით ბარდებოდნენ, ხსნიდნენ რა ამას იმით, რომ მათ არავითარი ანგარიშები არ გააჩნიათ დასავლეთელ მოკავშირეებთან და მათი მტერია მხოლოდ საბჭოთა კავშირი. „მათი ეს საბუთია — წერს ბეიტსი, — მალე ჩვენ ზეპირად დაგვწავლეთ". იყო მხოლოდ ერთი დაძაბული მომენტი, როდესაც მთებიდან დაეშვა მთავარი ოფიცერი და დაწყო ამ თავდა-ოფიცერთა დადანაშაულება იმაში, რომ ისინი ტყვედ ბარდებიან შესაბამისი ბრძანების გარეშე. ბეიტსი იხსენებს: „მთავარი ოფიცერი, სამწუხაროდ, მრავალ სხვათაგან განსხვავებით, რომელთაც ჩვენ ვიცნობდით, აღმოჩნდა მშვენიერი თავადის ქალი... მას ეცვა ირმის ტყავისაგან შეკერილი შარვალი, იყო ეფექტური და მზრძანებლური და მოითხოვა ბრიტანელ გენერალთან შეხვედრა". მეორე ოფიცერს ახსოვს, რომ 9 მაისს, უკვე შუაღამის შემდეგ, თუ როგორ მიუყვანა მასონს ეს „ტანადი, ძოწით მორთული ქალი". მასონი იხსენებს, რომ იგი იყო ლამაზი ქალი დაახლოებით ოცდაათი წლისა, რომელსაც ეცვა თეთრი სვიტერი. იყო ბრიჯითა და ჩექმებით და ერტყა პატრონტაში. მათ მიაღწიეს შეთანხმებას ტყვედ ჩაბარების პირობებზე.

ინგლისური მონაცემების მიხედვით, 16 მაისისათვის დღიანარე დრავის ხეობაში თავი მოიყარა 22.009 დომანოველმა (დომანოვი — კაზაკთა ატამანი, ვ. რ.) კაზაკმა: 15380 მამაკაცმა, 4193 ქალმა და 2436 ბავშვმა. რამდენიმე კილომეტრის მოშორებით აღმოსავლეთისაკენ, ობერდრაუბურგის მახლობლად, დაბანაკდა 4.800 ქართველი. [მათ შემდგომ ბედს ლორდი ბეტელი აღარ აღწერს, ვ. რ.].

# ქართველ ტყვეთა წერილი იტალიიდან *

ინჟ. გიორგი ლოლუა

ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი
ფრასკეტტის საკონცენტრაციო ბანაკში
იტალია

ფრასკეტტი 6—3—1950

ბ ბ-ს

გაბლიანი გივის — მიუნხენი
დუმბაძე ლეოს — ნიუ-იორკი
ზურაბიშვილი ლევანს — პარიზი
კედია მიხეილს — ჟენევა
კორძაია სანდროს — მიუნხენი
ტუღუში მარკოზს — ბრიუსელი
ცნობისათვის ბატ. აბხაზს — რომი

ძვირფასო თანამემამულენო!

თქვენ მოგმართავთ იმ 11 ქართველის სახელით, რომელნიც უკვე მე-3 წელიწადია რაც სხვედან იტალიის საკონცენტრაციო ბანაკებში, როგორც „ომის დამნაშავენი" მოთხოვნილნი საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ" და რომელთა მდგომარეობა დღევანდელი დღისთვის იმდენად კრიტიკული გახდა, რომ მიჭდება ყველა იმ ქართველი პატრიოტის შეწუხება ვისაც კი უცნობ ან გაგონილი მაქვს მათი არსებობის შესახებ.

აი ამ 11 ქართველის სია და მათი ტრაგედია.

ესენი არიან: გაბუნია სერგო, გიკაშვილი ალექსანდრე, დარახველიძე ხულიო, თოფურია ნიკოლოზი, ლოლუა გიორგი, მამალაძე ქერომი, მოდრეკელიძე დავით, ნანობაშვილი ივანე, ოქროპირიძე ნოდარ,

---

* როგორც ეს წერილი, ისე მომდევნო გერმანულენოვანი ორი წერილი ა. კორძაიასი, დაცულია საქართველოს აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებულ გაიოზ მაღლაკელიძის არქივში, რომელიც ამჟამად გახლდათ გერმანიის ამერიკული ზონის ქართული ეროვნული კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარე — ა. კორძაია).

სალია ანდრო და სინჯიაშვილი დიმიტრი. ზოგიერთ მათგანს ალბათ იცნობთ პირადად შორეულ წარსულიდან, დანარჩენები შემოემატენ ქართულ ემიგრაციას ამ ომის დამთავრების შემდეგ და მათი უცხოეთში ყოფნა იმის მომასწავებელია, რომ ელოდებიან სათანადო მომენტს, რომ ანგარიში გაუსწორონ იმ ვეშაპთან, რომელმაც მათ წაართვა სამშობლო და რომელიც ჯიჯგნის და აწამებს ისედაც განწამებ და ჯვარცმულ ქართველ ერს, იქ, ჩვენ საშშობლოში.

მათი ტრაგედია — იტალიურ საკონცენტრაციო ბანაკებში თრევა და წამება დაიწყო კარგა ხნის წინად, უხუცესებს უკვე 3 წელი შეუსრულდათ. უფრო „ბედნიერებმა“ კი უკვე ტყვეობის მე-3 წელში გადადგეს ფეხი.

1947 წელს იტალიამ ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის § 45-ში ნათქვამია, რომ იტალია ვალდებულია დააპატიმროს და გამარჯვებულ სახელმწიფოებს გადასცეს მის ტერიტორიაზე მყოფი ყველა ის უცხოელი, რომელიც მოთხოვნილი იქნება თავისი მთავრობის მიერ, როგორც „ომის დამნაშაეე, კოლაბორატორი ან სამშობლოს მოღალატე“.

მას შემდეგ რაც საბჭოთა სარეპატრიაციო კომისიამ მოათავა სამშობლოში ნებით დაბრუნების მსურველთა რეპატრიაცია, საბჭ. მთავრობამ გადაწყვიტა იძულებითი რეპატრიაციის ლეგალური გზათ გაეხსნა საზავო ხელშეკრულების ეს ორმოცდამეხუთე პარაგრაფი და ამით მიეღწია არ დაბრუნებულებთან ანგარიშის გასწორებას იტალიაში. 1947 წ. ბოლოში იტალიის მთავრობას წარუდგინეს მრავალრიცხოვანი სიები იმ პირებისა ვისი გვარი და სახელი იცოდნენ და მოითხოვეს მათი გადაცემა, „როგორც ომის დამნაშაეეებისა“ ეს საკმარისად გრძელი და კურიოზული სიები მოიცავს დაახლოებით 4.000 გვარს, რომელთაგან 1947 წლის დეკემბრისათვის, როდესაც იტალიის მთავრობამ დაიწყო მოთხოვნილებაზე ნადირობა, მის ტერიტორიაზე აღმოჩნდა მხოლოდ 100 კაცამდე. დაპატიმრებულებს თავს უყრიდნენ სიცილიის მახლობლად მდებარე კუნძულ ლიპარზე. იტალიელებმა დაარქვეს ამ ჯგუფს „პრესუნტი კრიმინალი დი ვუერთა“ (C. G. I.). (ომის დანაშაულობაში ეჭვმიტანილნი) და მას შემდეგ გრძელდება ეს უგუნო და არაადამიანური წვალება უდანაშაულო ხალხისა.

1948 წლის მაისში გამოქვეყნდა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ § 45-ის საფუძველზე მოთხოვნილ პირთა საქმე უნდა განიხილოს იტალიის უმაღლესმა სასამართლომ, რომლის კომპეტენციაში შევა გადაცემისა თუ არ გადაცემის საკითხის გადაწყვეტა. ამ კანონის გამოქვეყნებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, როგორც იქნა, იტალიის მთავრობამ გაბედა მისი ცხოვრებაში განხორციელება ჩვენს მიმართაც. 1949 წლის მაისში 25 უცხოელ ხი-

ზანს (ასე ეძახიან აქ ინტერნირებულ უცხოელებს — სათანადოდ — ბანაკსაც ეძახიან უცხოელ ლტოლვილთა შემცირებ ცენტრს; რაკაკვირველია ეს ხელს არ უშლით, რომ ჩვენ ბანაკის ზღუდეებზე 30-მდე ტყვიამფრქვევი იდგეს და 150 პოლიციელი გვდარაჯობდეს). „ომის დამნაშავეს" — წარუდგინეს დაპატიმრების ორდერი და ჩამწყვდიეს, რომის ცნობილ საპყრობილეს „რეჯინა კოელში". მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობას არავითარი სამხრალდებლო მასალა არ წარმოუდგენია მათ წინააღმდეგ და მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრების ორდერებში მხოლოდ სამი ელემენტი იყო მოყვანილი დასაპატიმრებელი ინდივიდუმის პირადობისა (გვარი, სახელი და მამის სახელი, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის საკმარისი, რომ ორდერი კანონიერი იყოს), ისინი „გაასამართლეს" და კანონით გათვალისწინებული 60 დღის ნაცვლად 5 თვე ამყოფინეს ციხეში. 5 ოქტომბერს გამოქვეყნდა განაჩენი მათ საქმეზე. სასამართლომ უკლებლივ იცნო ისინი უდანაშაულოდ, უარი სთქვა მათ გადაცემაზე და ბრძანება გასცა მათი განთავისუფლების შესახებ მაგრამ საქმეში ჩაერია საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი განკარგულებით და მის განკარგულებაში ეს ჯგუფი გადაიყვანეს ფრასკეტის საკონცენტრაციო ბანაკში.

იმავე წლის 27 ოქტომბერს დაპატიმრების ორდერი მიიღო 58-მა პირმა. ეს ჯგუფი დასტოვეს ლიპარის ციხეში და 29 დეკემბერს რომის სასამართლომ გაამართლა ესენი, ყველანი უკლებლივ იცნო უდანაშაულოდ, უარი სთქვა მათ გადაცემაზე და განკარგულება გასცა მათი განთავისუფლების შესახებ. ამ ჯგუფმაც „თავისუფლება" იპოვნა ფრასკეტის საკონცენტრაციო ბანაკში.

ბუნებრივია, რომ სასამართლოს განაჩენის გამოტანის შემდეგ მოველოდით განთავისუფლებას და რადგანაც ჩვენების უმრავლესობა (ქართული ჯგუფი კი უკლებლივ I. R. O.-ს მიერ აყვანილია თავისი მფარველობის ქვეშ, რადგანაც ცნობილი ვრიან „ალიჯიბილად" ფიქრობდით, რომ 2 წლის წვალების შემდეგ გადაგვიყვანდენ I. R. O.-ს ბანაკებში და მოგვცემდენ ემიგრაციის საშუალებას. მაგრამ ფუჭი და ამაო გამოდგა ჩვენი ოცნება. იტ. საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურმა დეპარტამენტმა დაგვაღო ვეტო და არ გვეშვება. თუ ამდენ ხანს „მოთხოვნილებს" და „ეშვმიტანილებს" გვეძახდენ, ახლა აშკარად ლაპარაკობენ რომ ვართ მ ძ ე ვ ლ ე ბ ი და რომ ჩვენს განთავისუფლებაზე ლაპარაკი ზედმეტია სანამ არ გადაწყდება რუსეთში მყოფ იტალიელ სამხედრო ტყვეების დაბრუნების საკითხი. ამგვარად ახლიდან გვითხრეს რომ ჩვენით აწყარმოებენ სპეკულაციას.

უკანასკნელი ტროკი იტალიელებმა გააკეთეს მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვებში, რაც გამოიხატა 32 ალიჯიბილ „ომის დამნაშავის" გადაყვანაში I. R. O.-ს ბინა Sant Antonio-ს ბანაკში (Salerno

პროვინცია) ნორმალურად I. R. O.-ს განკარგულებაში გადასვლა ნიშნავს თავისუფლების მიღებას. ასეთი პირი ღებულობს შეებულებას, უგამყოლოდ მიდის რომში აფორმებს საბუთებს I. R. O.-ს ცენტრალურ სამმართველოში, აკეთებს ვიზას და შემდეგ, გამგზავრების მოლოდინში ცხოვრობს იროს თავისუფალ ბანაკში და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს პოლიციასთან. ეს 32 კი აქედან წაიყვანეს გაძლიერებული ყარაულის ქვეშ და Sant Antonio-ში ჩაბარეს. პოლიციის კომისარს, რომელიც დღეში სამჯერ თვლის მათ და ჰყავს გაძლიერებული და განგებო მეთვალყურეობის ქვეშ. Sant Antonio-ში იმყოფებიან მოდრეკელიძე, მამალაძე, ოქროპირიძე და სინჯიკაშვილი. დღეს აქაურ სადაბო საავადმყოფოდან მათთან გადაიყვანეს გაბუნია, რომელიც ჯგუფს ჩამორჩა ავადმყოფობის გამო (ბანაკის საკვებმა დაასნეულა იგი და გაუჩნდა კუჭის წყლული. ორი წლის წვალების შემდეგ, როგორც იქნა, მიიღწია იმას, რომ ოპერაცია გაუკეთეს).

საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური (მე-7-დე) დეპარტამენტის უფროსმა ვინმე ბოზიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ იცის ამ ხალხის უდანაშაულობის ამბავი, იცის, რომ სასამართლომ ისინი გაამართლა, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებების გამო არ ანთავისუფლებს მათ. და ისინიც სხვედან I. R. O.-ს ბანაკში, ისევე როგორც ჩვენ ამ საკონცენტრაციო ბანაკში. ცხადია რომ იტალიის ხელისუფლება ეძებს მოხერხებულ კომბინაციას ჩვენს გადასაცემად, აშიანურებს ყოველნაირად ამ ისტორიას და ელოდება ხელსაყრელ მომენტს, რომ უხმაუროდ და შეუმჩნეველად ჩაგვაბაროს და გადაგვცეს ჩვენს ჯალათებს, რომლებიც ხშირად მოდიან ჩვენს ბანაკში და ცდილობენ, რომ დაგვაკარგვინონ სიმშვიდე და გაგვანერვიულონ ათასი პროვოკაციით. ყველაფერი ეს ხდება იტალიის მთავრობის ნებართვით, პოლიციის მფარველობის ქვეშ და არავინ არის ჩვენი შენწე და ქომაგი, რომ აქ, უცხოეთში მაინც მოგვასვენონ ჩეკისტებმა.

დღეს აქ, ფრასკეტში მყოფმა „ომის დამნაშავეებმა" გადაწყვიტეთ, რომ მივმართოთ უკიდურეს ღონისძიებებს — გ ა მ ო ვ ა ც ხ ა დ ო თ შ ი მ შ ი ლ ო ბ ა. ამ ჩვენი პროტესტის დევიზი იქნება: „ან თავისუფლება ან სიკვდილი თავისუფლებისათვის ბრძოლაში". დღესვე ვუგზავნით საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩვენს მესიჯს და უკანასკნელ მოთხოვნას განთავისუფლების შესახებ და ვიფრთხილებთ, რომ 10 დღის ვადაში გადაწყვიტონ ეს საკითხი და თუ დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მივიღეთ 16 მარტს უარს ვაცხადებთ ყავაზე, 17 მარტს არ მივიღებთ ყავას და საღილს და 18-ში გადავალთ მთლიან შიმშილობაზე; ან გვწყდებით ან და დავიბრუნებთ იმას, რაც უკანონოდ და უსამართლოდ წაგვართვეს.

აქ მყოფმა უკრაინელმა და რუსმა, „ომის დამნაშავეებმა" მიმართეს

თავიანთ თანამემამულეებს და მათგან სოლიდარობის დაპირება მიიღეს. ჩვენ ამდენხანს თავს ვიკავებდით, მაგრამ ახლა შექმნილი მდგომარეობა ამას აღარ ითმენს.

ჩვენი თხოვნა თქვენდამი ის იქნება, რომ ყოველგვარი საშუალებით რაც ხელთ გაქვთ (ნაცნობობა, პოლიტიკური ორგანიზაცია, პრესა, რადიო, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები) — მოგვეხმაროთ და მხარი დაგვიჭიროთ. მიმართეთ O. N. U.-ს ადამიანის უფლებების დამცველ კომიტეტს, იმ მთავრობებს რომლის ტერიტორიაზე იწყოფებით და ხელი შეგვიწყეთ, რომ ჩვენი თავგანწირული და სასოწარკვეთილი ყვირილი არ დარჩეს „ხმად უდაბნოსა მღაღადებელსა შინა“. დავიკარგეთ ყველაფერი: სამშობლო, ოჯახი, თავისუფლება, ჯანმრთელობა, პირადი კეთილდღეობა, ახალგაზრდობა. ჩავლპით საკონცენტრაციო ბანაკებში და ახლა ამ ჯოჯოხეთიდან თავის დასაღწევად ეს უცანასკნელი გზა-ღა დაგვრჩა — სიცოცხლის რისკი უნდა გავწიოთ და ჩვენც ამ გზას დავადგეთ: სხვა გამოსავალი არ არსებობს.

ჩვენი ჯანმრთელობა შეირყა: სინჯიკაშვილმა თითქმის რომ დაკარგა მხედველობა (სანამ შიმშილის გამოცხადებით არ დაემუქრა პოლიციის კომისარს იქამდის ნება არ მისცეს, რომ თვალის ექიმთან წაეყვანათ, და იროს „თავისუფალ“ ბანაკიდან სამი ჟანდარმი გაადევნეს ჩვენს განაწამებ თანამემამულეს): დარაშვილიძეს შეეყარა ძელის ჭლექი. ორი თვეა რაც ბანაკის სანიტარულ ნაწილში წევს და ტკივილები სტანჯავენ რადგანაც არავითარი მკურნალობა არა აქვს. მოდრეკელიძეს ჰაემები დაუავადდა და სანთელივით ჩამოდნა ახალგაზრდა კაცი. 2 ჩვენთაგანი რევმატიზმებმა აიკლეს. ამბერი სინეშტე ცნობილია მთელს იტალიაში და ღამე სველ ლოგინებში გვიჭდება წოლა. არ ვლაპარაკობ მატერიალურ დახმარებაზე. ვიცი, რომ დღეს ყველას უჭირს (ამ 2 წლის განმავლობაში ძრავინ არ შეგვწუხებია; ერთადერთი დახმარება რომელიც მივიღეთ იყო 22 ათასი ფრანგული ფრანკი გამოგზავნილი პარიზის ქართული კოლონიისგან) — ჩვენ სხვებზე მეტად, მაგრამ სიჩუმეში გადავიტანეთ ყველაფერი. ახლა დგას ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. კიდევ ცოტა ოდენი დრო ხელთა გვაქვს და თუ ისიც არ გამოვიყენეთ სასაკლაოზე მირეკვა არ აგვცდება. სწორედ ამიტომ მოგმართეთ თქვენ. მოგმართავთ, როგორც ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და გთხოვთ, რომ მხარი დაგვიჭიროთ, გაგვწიოთ თანაგრძნობა, გამოგვიწოდოთ მეგობრული ხელი და ხელი შეგვიწყოთ რომ თავი დავაღწიოთ ამ ცოცხალთა სასაფლაოდან.

დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ და ვიმედოვნებთ, რომ დაგვეხმარებით, სწავგვარად ჩვენი სიფლავები თუ ციმბირში არა, იტალიის რომელიმე საკონცენტრაციო ბანაკში მაინც გაითხრება.

გვაპატიეთ რომ გაწუხებთ და წინდაწინ მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სალამი და მადლობა.

ქართველი 11 ტყვის სახელით და დავალებით

ინჟ. გიორგი ლოლუა

Ing. Giorgio Lolua
CRPS 4513/14
Fraschette d:Alatri
(Frosinone) ITALIA

ძმაო გივი!

გიგზავნი ამ წერილს და იმედი მაქვს, რომ გააკეთებ იმას რის გაკეთებაც შეგიძლია. ძალიან დიდი საფრთხეა იმისა, რომ იტალიელებმა გადაგვცენ რუსებს და ამიტომ სხვა გამოსავალი არ გვრჩება. ჩვენი დამცველიც ამ აზრისაა. მიტოს თვალების მდგომარეობა არაჩვეულებრივად გაუარესდა და ძალიან გული მწყდება რომ მასთან არა ვარ. სერგო დღეს გამოსწერეს საავადმყოფოდან და გაემგზავრა 'S. Antonio-ში. ჩვენი ბიჭები მიათრევენ წუთისოფელს. ეს ორი დღეა სხეულიდან და ამ წერილის ასლებს ჰხატავენ, რომ ყველგან დავაგზავნოთ. გთხოვ, რომ ეს წერილი წააკითხო ბ-ნ კორძაიას. მისთვის წერილს ვაგზავნი აფხაზის მეშვეობით, რადგან დავკარგე მისი მისამართი. გაფიცვის გამოკვლადებას ვცნობებ დეპეშით ზურაბიშვილს პარიზში (ტექსტზე უკვე შეუთანხმდი) და რადგანაც მეტის საშუალება არა მაქვს მას ვთხოვ რომ დანარჩენებს შეატყობინოს.

თუ რუსები ამჯერადაც ქვეშიდან არ გამოუდნენ, იმედი მაქვს რომ შედეგს მივაღწევთ, რადგანაც იტალიელებს მეხზე უფრო ეშინიათ ამ საკითხზე ხმაურობის ატეხვა და რაკი დავემუქრეთ, რომ 16-ში გაზეთები გამოაქვეყნებენ თუ შიმშილობა დავიწყეთ, შეიძლება მივდრიკოთ.

მოკითხვა ქ-ნ რუსუდანს და შენს ახლობლებს.

გესალმები ვითარცა ძუკნე, ძუკუთა შორის უძუკუესი.

მოგეხვევი და გკოცნი ხშირად.

შენი

გ. ლოლუა

როგორც ქართული ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრე კორძაიამ გვაცნობა, საბჭოთა მთავრობის მოთხოვნით 11 ქართველი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები უკვე სამი წელია ინტერნირებულნი არიან იტალიაში. იტალიის სასამართლომ გაამართლა დაპატიმრებულნი და თითქმის ყველა ექვემდებარება ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციას (International Refugee Organization, IRO). ამ ფაქტის მიუხედავად, ისინი არ გაუთავისუფლებიათ და როგორც საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, არსებობს იმის საშიშროება, რომ ისინი უცან გადაასცენ. ამის გამო სასოწარკვეთაში ჩავარდნილებმა შიმშილობა გამოაცხადეს. სერიოზულად დამაფიქრებელია ის, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ვინაიდან გადაწყვიტეს უმალ შიმშილით დაიხოცონ, ვიდრე საბჭოელებს ჩაბარდნენ.

ამასთან დაკავშირებით, მიუნჰენის პოლიტიკურ ლტოლვილთა და გადანაცვლებულ პირთა საერთაშორისო კომიტეტმა ინტერნირებულთა განთავისუფლების თხოვნით მიმართა იტალიის მთავრობას, ვატიკანსა და წითელ ჯვარს ყენევაში. ქართულმა კომიტეტმაც გადადგა უკვე ნაბიჯი ამ სვე-ბედგამწარებული ადამიანების გასანთავისუფლებლად.

მიუნჰენი, აინმილერშტრასე 46/11

ა. კორძაია 24.3.50.
თარგმნილია გერმანულიდან

ალექსანდრე კორძაია
ქართული ეროვნული კომიტეტის
თავმჯდომარე
გერმანია-ამერიკის ზონა
მიუნჰენი 13, აინმილერშტრასე 46/11

მიუნჰენი, 27 მარტი, 1950

**მის აღმატებულებას**

**ჯორჯეისკოპოს დოჭტორ ნოიჰოიზლერს**

**მიუნჰენი**

თქვენო აღმატებულებაც!

დიდი უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს სრულიად უდანაშაულო თანამემამულეებს იტალიაში, მაიძულებს ყველა ქართველის სახელით მოგმართოთ და დახმარება გთხოვოთ.

დიდი კატასტროფის წინ, 1945 წელს ბევრმა ქართველმა შეაფარა თავი იტალიას, რათა რუსეთის საფრთხეს გაქცეოდა. იტალიაში საბჭოთა წარმომადგენლობის მოთხოვნით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლები დააკავეს იტალიელმა მოხელეებმა და კუნძულ ლიპარიზე გადაგზავნეს. ბევრი მათგანი უკვე 3—4 წელია ინტერნირების ბანაკში იმყოფება. საბჭოელებმა მოითხოვეს მათი, როგორც სამხედრო დამნაშავეთა გადაცემა. 1949 წლის მაისში შემდგარმა სასამართლომ ყველა მსჯავრდებული გაამართლა და მათი დაუყოვნებლივი განთავისუფლება ბრძანა. მიუხედავად ამისა, ისინი არ გაუთავისუფლებიათ და ფრამეტტი დი პლეტრის (ფროზინა) ინტერნირებულთა ბანაკში გადაიყვანეს. ამ უბედურთა შორის არის 11 ქართველი, რომელნიც ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IRO) მიერ ცნობილნი არიან როგორც გადანაცვლებული პირნი და ქვეყნიდან თავისუფლად გასვლის უფლება აქვთ.

ეს უბედურნი იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში იმყოფებიან და მათ გამოუცხადეს, რომ ისინი მიჩნეულნი არიან მძევლებად რუსეთში დაკავებული იტალიელი სამხედრო ტყვეების სანაცვლოდ.

საბჭოელები ცდილობენ ეს ინტერნირებულები იტალიელებს გამოსტყუონ, და თუ იტალიელები არ გადაგზავნიან ამათ საბჭოეთში, რუსები იშუქრებიან იტალიელი სამხედრო ტყვეების რეპრესირებით.

ჩვენ კარგად გვესმის იტალიელთა უხერხული მდგომარეობა, მაგრამ არაქრისტიანული და სამწინელება იქნებოდა ამ უდანაშაულო ადამიანთა საბჭოთა ჯალათებისთვის გადაცემა.

ამგვარ ვითარებაში 1949 წლის თებერვალში შუამდგომლობის თხოვნით მივმართეთ ვატიკანს და მონსენიორ მანტინისგან დაპირებაც მივიღეთ, რომ იგი ყოველ ღონეს მიმართავდა ჩვენი თანამემამულეების დასახსნარებლად.

ვატიკანის კომპეტენტური პირები უკვე ინფორმირებულნი არიან ინტერნირებულთა მძიმე მდგომარეობის შესახებ და რომ არა პაპის დახმარება, ისინი შიმშილისა და ტანჯვისაგან დაიხოცებოდნენ.

ახლანდელი ვითარება ძლიერ სახიფათოა, აპირებენ მათ გადაცემას. ამ არაადამიანურობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაკავებულებმა შიმშილობა გამოაცხადეს და როგორც გვაცნობეს, იშიმშილებენ მანამ, სანამ არ გაათავისუფლებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილი აქვთ გადაწყვეტილი.

ვკურვარ თქვენი აღმატებულების გულმოწყალებისა და უმორჩილესად გთხოვთ, ჩვენს უბედურ, უდანაშაულო თანამემამულეებს დაეხმაროთ.

ღვთის წინაშე ვფიცავთ, რომ მათ არაფერი ჩაუდენიათ და სრულიად უდანაშაულონი არიან.

უდიდესი ცოდვა იქნებოდა, რომ სწორედ ამ დროს, ამ წმინდა წელს, როცა იტალიაში მილიონობით მლოცველი ქრისტიანი ჩადის, ეს უდანაშაულო ქრისტიანები ჯალათებს გადასცენ.

ჩვენ ვიმედოვნებთ და დარწმუნებულნი ვართ, რომ პაპის კურია წინააღუდგება ამას.

ზემოთაღწერილიდან გამომდინარე თქვენი ალმატებულება მიგვიხვდება, თუ რატომ გავბედეთ და შეგაწუხეთ.

მინდობილი თქვენს ლოცვა-კურთხევას ვრჩები თქვენს მარად მორჩილ მსახურად.

ა. ძორძაია

თარგმნილია გერმანულიდან.

# ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში (1954)

აქვე წარმოგიდგენთ საქართველოს აკადემიის ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მასალას გაიოზ მაღლაკელიძის არქივიდან, რომელიც ეხება ორგანიზაციას — „ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში".

ეს „დარაზმულობა", როგორც მათი „მოწოდებიდანაც" ჩანს, დაუარსებიათ 1954 წლის 26 იანვარს მიუნხენში. თავმჯდომარედ აურჩევიათ გენ. შ. მაღლაკელიძე *, მდივნად გრიგოლ აჟალიანი, საქმეთა მმართველად გაიოზ მაღლაკელიძე. ამ „დარაზმულობის" დაარსებას, როგორც გერმანულ ენაზე შედგენილი „პროტოკოლი" გვამცნობს, გარდა სამი ზემოთ ნახსენები პიროვნებისა ესწრებოდნენ: ალექსანდრე ბაღათურია, რომან ფარდზინი, ანდრო მოსიძე, დავით პეკურიძე და სხვანი. როგორც არქივში დაცული დოკუმენტებიდან ჩანს, ორგანიზაცია შ. მაღლაკელიძის კგბ-ს აგენტების მიერ მოტაცების შემდეგაც (1954 წლის აგვისტო) წლების მანძილზე აგრძელებდა თავის საქმიანობას. მათ დააარსეს ორდენი „დავით აღმაშენებლის" სახელობისა, რომელიც ენიჭებოდათ „მამაცობისა და დამსახურებათა გამო საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მსოფლიო ომში 1941—1945" და სამახსოვრო მედალი „ქართული ლეგიონი 1941—1945", რომელიც ასევე ენიჭებოდათ „ღირსეული მონაწილეობისათვის საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მსოფლიო ომში 1941—1945".

ახლა გავეცნოთ თვით „მოწოდებას" და „განცხადების" ფორმას „დარაზმულობის" წევრთათვის.

---

* აღსანიშნავია, რომ არქივში დაცულ გერმანულენოვან დოკუმენტებში შ. მაღლაკელიძე მოიხსენიება, როგორც გენერალ-გუბერნატორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი და გერმანული არმიის გადამდგარი გენერალი (general A. D.), რაც კიდევ ერთხელ უარყოფს მისდამი მტრულად განწყობილი ზოგიერთი ემიგრანტის მტკიცებას, რომ იგი არასდროს ყოფილა გერმანული არმიის გენერალი. იხ. ამის შესახებ „ლიტერატურული საქართველო", 6 ნოემბერი, 1992 წ.

ქართველ მხედართა დარაზმულობა
უცხოეთში
VERBAND GEORGISCHER
SOLDATEN Ev.

München—Solln
Sintzenichstr. 12/0

## მოწოდება

მას შემდეგ, რაც უცანასცნელ წლებში გერმანიაში და სხვა თავისუფალ სახელმწიფოებში დაარსდნენ მხედართა ორგანიზაციები, ქართველ მხედართა გაერთიანებაც ფრიად სასურველი შეიქმნა.

ამ მიზნით საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშავა წესდება და თავის კრებაზე 26 იანვარს 1954 წლისა ის განიხილა, მიიღო და დასამტკიცებლად წარადგინა.

საბელწოდება გაერთიანებისაა:

### „ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში"

წესდების § 4 ასე განმარტავს, სხვათა შორის, ამ დარაზმულობის დანიშნულებას:

> „ქართველ მხედართა დარაზმულობა არის პარტიების გარეშე მყოფი ორგანიზაცია და მის წევრად შეუძლია იყოს თითოეული ქართველი მხედარი, რომელსაც მოქმედებით ომში თუ მშვიდობიანობის დროს დაუმტკიცებია ღირსეული მამულიშვილობა, და აგრეთვე ისიც, ვინც იზიარებს პრინციპებს და ტრადიციებს ქართული მხედრობისას".

წევრთათვის მიღებულია საგანგებო ნიშანი: ფარი ქართული ეროვნული ფერებით, მეორე დიდი ომის დროს ქართველ ლეგიონერებისათვის დაწესებული; ამ ფარს კი ამშვენებს შურდული და ხმალი საქართველოს სამეფოს ღერბიდან ამოღებული.

შეთანხმება ძველი და ახალის ამ საგანგებო ნიშანში სიმბოლურად ძღვება სახელოვანი ჩვენი მხედრული ისტორიის სულს შენახვას და მის გაგრძელების აუცილებლობას.

პირველი საქმიანობა დარაზმულობისა შემდეგში უნდა გამოისახოს:

1) აღნუსხოს ქართველი მხედრები უცხოეთში;
2) გამოითხოვოს სათანადო დაწესებულებებიდან ცნობარება დაჭრილ-დასახიჩრებულ ქართველებისათვის;
3) იპოვნოს და მოუაროს ომში დალუპულ ქართველ მხედართა საფლავებს;
4) აღადგინოს ვინაობა დალუპულთა, მათი განსვენების ადგილები

იმ მიზნით, რომ პირველ შესაძლებლობისთანავე აშკნოს მშობლებს და ახლო ოჯახის წევრთ საქართველოში ხვედრი მათთვის დაუვიწყარი ახლობლებისა.

დარაზმულობას მეთაურობს დროებითი ხელმძღვანელობა, რომელიც შეეცდება თანაჭმად წესდებისა დროზე მოიწვიოს საზოგადო კრებ ასარჩევად სათანადო მმართველი ორგანოებისა.

მოკლე დროში ის აპირებს ერთგვარი ცნობის ფურცელის გამოცე მასაც, რომლის საშუალებით უნდა მოხდეს თავის მოყრა და დაკავში რება სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეულ ქართველ მხედრებისა.

არსებობს ბიურო; მისი მისამართია:

VERBAND GEORGISCNER SOLDATEN

München – Solln.
Sintzenichstr. 12/0
Tel. 79 267.

დარაზმულობის დროებითი გამგეობის მიერ საქმეთა მმართველად მოწვეულია გაიოზ მაღლაკელიძე.

ვაცნობებთ რა ქართველ მხედრებს დარაზმულობის დაარსებას სიყვარულითა და პატივით მივმართავთ მათ მოწოდებით, ჩაეწეროს უკვე არსებულ ორგანიზაციაში, თავზე აიღონ ჩვენთან ერთად კეთილ შობილური საქმე და მოვალეობანი; მით ღირსნი გავხდეთ ვიგრძნოთ თავი დაახლოებულად ჩვენ საყვარელ სამშობლო საქართველოსთან!

ქ. მიუნხენი,
აპრილი,
1954 წ.

ქართველ მხედართა დარაზმულობ
უცხოეთში
დროებითი გამგეობა